


24470
2

რ ჩ ე უ ლ ი
ნ ე ნ ე რ ე ბ ი





ქართული კლასიკური მწვერლოება

ნიკოზ ნიკოლაძე

რძეული ნაწებები

სიმონ ხუნდაძის

ბედაქციით, წინასწარცვაობით და შინაშეზრებით

«ფ ე ღ ე რ ა ც ი ა»
ბ უ ი ლ ი ს ი

ქართული კლასიკური მწერლობა

ნიკო ნიკოლაძე

301 (C41)

ბიბლიოთეკა

კულტურის ისტორიის წიგნები

1870—1877

K 24470
2



«	ფ	ე	ნ	ე	რ	ა	ც	ი	ა»
M	C	M	X	X	X	X	I	I	

ცეკავშირის სტამბა, პუშკინის ქუჩა № 3.

დაკვეთა № 585

მთავლიტი № 1104

ტირაჟი 4.000

70-იანი წლების
გურუშუაწიული ინტელიგენციის პროგრამა

მოკლე მიმოხილვა

ბურჟუაზიული ინტელიგენციის პროგრამა 70-იან წლებში

მოკლე მიმოხილვა

ნიკო ნიკოლაძის რჩეული ნაწერების მეორე ტომში წინასწარი გეგმით უნდა დაბეჭდილიყო ყველა ის საზოგადოებრივი მნიშვნელობის წერილები, რომელიც ავტორს დაუწერია 1870—1877 წლების განმავლობაში. მაკრამ წინასწარი გეგმა მასალების სიდიდემ ჩაშალა და ერთი ნახევარი ამ წერილებისა გადატანილი იქნა მესამე ტომში. მეორე ტომში მოთავსებული მასალები უმთავრესად ეხება „ახალი ახალგაზდობის“ სამოღვაწეო პროგრამას, მიწისა და გლეხთა საკითხებს და საბანკო საქმეებს; მესამე ტომში დაიბეჭდება ის წერილები, რომელიც ეხება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას (ეკონომიკა, რკინის გზა, სასამართლო, ქალაქის თვითმართველობა, ერობა, სკოლა და სხვ.), უცხოეთისა და რუსეთის ცხოვრების ვითარებას. ამიტომ მკითხველმა წინდაწინვე უნდა იცოდეს, რომ ამ ტომში ნ. ნიკოლაძის 1870—1877 წლების პუბლიცისტური წერილების მხოლოდ ნაწილი არის წარმოდგენილი, დანარჩენი ნაწილი კი შემდეგ ტომში იქნება გამოქვეყნებული. ამ პატარა ცნობის შემდეგ შევუდგეთ ნ. ნიკოლაძის 70-იანი წლების წერილების დახასიათებას.

* * *

60-იანი წლების მეორე ნახევარი და 70-იანი წლები ღირსშესანიშნავ ეპოქას წარმოადგენს ჩვენს ისტორიაში. ბატონ-ყმობის მოსპობით და რკინის გზის გაყვანით ახალი პერიოდი დაიწყო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ორივე ეს ფაქტორი ერთი მიმართულებით უწყობდა ხელს საქართველოს ცხოვრების განვითარებას, — ისინი კაპიტალისტური ურთიერთობის წარმატების უდიდეს საწინდარს წარმოადგენდნენ. მართალია, საგლეხო რეფორმა თვითმპყრობელურმა ხელისუფლებამ გაატარა, რომელიც არსებითად მემამულეთა ინტერესებს იცავდა, და ამიტომ გლეხოება კვლავ თავად-აზნაურობის

ბატონობის ქვეშ იქნა დატოვებული, მაგრამ საერთოდ 60-იანი წლების რეფორმებით მაინც საგრძნობი ნაბიჯი იყო გადადგმული პოლიციურ-თავად-აზნაურული წყობილებიდან — ბურჟუაზიულ წყობილებისაკენ. გლახთა იურიდიულ-ფორმალურ განთავისუფლებამ სრულიად ვერ გადასწყვიტა გლახთა საკითხი და ვერ უზრუნველყო იგი თავისუფლებითა და მიწით; წინააღმდეგ, რეფორმის შემდეგ პერიოდში ურთიერთობა, ერთი მხრივ, გლახობასა და მემამულეებს შორის, მეორე მხრივ, გლახობასა და ჩარჩ-ვაჭრებს შორის უფრო გამწვავდა და კლასიურ-წოდებრივ ბრძოლას უფრო მძაფრი და გარკვეული სახე მიეცა. ეს წოდებრივი შეტაკება ხშირად შეიარაღებულ აჯანყებამდეც მიდიოდა და მეფის ჯალათები ქართველ მემამულეებთან ერთად მთელი თავიანთი სისასტიკით აქრობდნენ აჯანყებებს. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, გლახთა რეფორმის მაინც ის დიდი შედეგი მოყვა, რომ ფორმალურად განთავისუფლებული გლახი დაიძრა თავის ძველ საბუდარიდან და ქლაქებს მიაშურა ფულის საძებნელად. ასე დაიწყო ჩამოყალიბება ჩვენში სრულიად ახალი სოციალური ფენის — მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს, რომელიც 90-იან წლებში უკვე გადაიქცა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალად. მეორე მხრივ, რეფორმის შემდეგ პერიოდში სწრაფი ტემპით განვითარდა ჩვენში სამრეწველო კაპიტალისტური ურთიერთობა. რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის ზეგავლენით და სავაჭრო კაპიტალის განვითარებით უკვე მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო ჩვენში ნატურალური მეურნეობის რღვევა; ხოლო შემდეგ პერიოდში რუსეთის კაპიტალი ტრანსპორტის მოწყობითა და სხვა საშუალებებით უფრო ღრმად შეიჭრა ა.-კავკასიის ეკონომიურ ცხოვრებაში და დიდი ცვლილებანი გამოიწვია შიგ. არა ნაკლებ დაინტერესდა ჩვენი ბაზრებითა და ნედლეულით ევროპის კაპიტალიც. ფაბრიკა-ქარხნების ზრდა, სამთო-მადნო შრეწველობის (ნავთი, მარგანეცი, შავი ქვა) განვითარება, რკინის გზის გაყვანა, სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება, ქლაქის მცხოვრებთა ზრდა, — საუკეთესო მაჩვენებელი იყო იმისა, რომ საქართველოში უკვე ჩქარის ტემპით დაიწყო განვითარება კაპიტალისტურმა ურთიერთობამ, რომ იგი გადაიქცა რუსეთისა და ევროპის კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტად.

ამ ახალმა ეკონომიურმა პირობებმა და ცვლილებებმა თავისი შესაფერისი გავლენა მოახდინეს ქართულ საზოგადოებაზე, აღძრეს მასში ახალი სურვილი და მისწრაფებანი. 1874 წ. ცნობილი პუბლიცისტი სერგეი მესხი წერდა: „ღროება გამოიცვალა. ყველამ

ფულის ძებნას, საქმის ძებნას მიჰყო ხელი. შეიქმნა ფაცა-ფუცი. მოძრაობა. ყველა პროექტებზე ლაპარაკობდა, ყველას ისეთი განზრახვა და პლანბ ჰქონდა, რომ რამდენისამე წლის განმავლობაში ნიჩბებით მოელოდა ას-ას მანეთიან ქალღლებსა და ოქროების მობოჭვას. ერთმა ღვინის სარდაფები გახსნა ქალაქში, — მეორემ ფურის ძუძუებიდამ მოინდომა ოქროების გამოდენა, — მესამემ კაკლის კუნძს მიმართა, — მეოთხემ დედა-მიწაში ჩაიხედა და მანები-საგან განიზრახა თავის-თავის გამდიდრება, — და ყველამ ბანკისაგან მიაქცია შემბრალებელი თვალი. ერთი სიტყვით შეიქნა საზოგადო ძებნა საქმისა და ფულებისა“*)

უდავოა, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მომხდარ ამ ცვლილებას არ შეეძლო თავისი შესაფერისი გამოხმაურება, თავისი შესაფერისი გარდაფასება არ გამოეწვია იდეოლოგიის სფეროშიაც; ე. ი. არ წარმოშობილიყო გარკვეული ბურჟუაზიული ინტელიგენცია და მისი შესაფერისი იდეოლოგია ჩვენს სინამდვილეში. ამ ინტელიგენციას უნდა გამოესახა ახალი, ჯერ კიდევ მშობიარობის პროცესში მყოფი ბურჟუაზიული კლასის ინტერესები, უნდა წამოეყენებია ამ კლასის სამოღვაწეო პროგრამა, უნდა ებრძოლა მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის. ასეთ წრეს ინტელიგენტებისას წარმოადგენდა „ახალი ახალგაზდობის“ ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბდა 1869 წ. და რომლის მეთაურები და ხელმძღვანელები გახდნენ ნ. ნიკოლაძე, სერ. მესხი და გ. წერეთელი.

ცნობილია, რომ 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა ინტელიგენციისა, რომელიც თერგდალეულთა სახელწოდებით არის ცნობილი და რომლის მეთაურად და სულის ჩამდგმელად ილ. ქავჭავაძე ითვლებოდა. ამ ჯგუფმა ჯერ კიდევ „ცისკრის“ ფურცლებზე (1861 წ.) გაუმართა ბრძოლა ძველ თაობას და შემდეგ (1863 წ.) თავისი საკუთარი ორგანოც დაარსა („საქართველოს მოამბე“), „ექვს გარეშეა, — წერს ფილ. მახარაძე მათ შესახებ, — რომ ქართველი ხალხის წინაშე იმათ ერთნაირი სამსახური მიუძღვით. იმათ გამოიწვიეს ქართველ ხალხში ინტერესი ქართული მწერლობისა და ქართული ენისადმი; და ყოველივე ამას საძირკველი ჩაუყარეს. იმათ მოუხდათ საქართველოში მოღვაწეობა უმეტეს ნაწილად ბატონ-ყმობის ოფიციალურად გაუქმების დროს (1860—65) და აგრეთვე იმ დროს, რომელიც უშუალოდ ამ გაუქმების დროიდან იწყება. რა თქმა უნდა ისინი ბატონ-ყმობის წინააღმდეგი იყვნენ,

*) სერ. მესხი: „ნაწერები“, ტ. I. გვ. 212, 1904 წ.

მაგრამ არსებითად მაინც თავად-აზნაურობის ინტერესებს იცავდენ^{*)}. არსებითად თერგდალეულთა დასი თავისი კლასიური საფუძვლებითა და პროგრამით გამოხატავდა თავად-აზნაურული ლიბერალიზმის მიმდინარეობას. მას არ სურდა ჩვენი ცხოვრების მეთაურობა თავად-აზნაურობისათვის ჩამოერთმია და ახალი, ჯანსაღი კლასისათვის გადაეცა ხელმძღვანელობის როლი; იგი არ მიისწრაფოდა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის რადიკალურად დარღვევისაკენ. მის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენდა თავად-აზნაურობა შეეგუებია „ახალი ცხოვრების ქროლვისათვის“ და გადაერჩინა ეს წოდება განადგურებას. თერგდალეულთა თაობამ „რეფორმა“ მიიღო თითქმის უკრიტიკოდ, და თითქოს დაკმაყოფილდა მით და აღარ ცდილობდა მის გაღრმავებასა და გაფართოვებას დემოკრატიულ-რადიკალური პროგრამის მიმართულებით. მაგრამ ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ვერ შეჩერდებოდა ამ პროგრამაზე. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა სოციალურმა დიფერენციაციამ თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული ინტერესები გარკვევით დაუპირისპირა ერთი მეორეს. ამ საზოგადოებრივ-კლასიურ ნიადაგზე აღმოცენდა ჩვენში რეფორმის შემდეგ პერიოდში დიდი პრობლემა: რომელი კლასი უნდა გადაქცეულიყო ახალი ცხოვრების მესაქედ და მის მეთაურად, — ბურჟუაზია თუ თავად-აზნაურობა. სწორედ ამ სოციალ-კლასიურ საფუძველზე მოხდა თერგდალეულთა ჯგუფის დანაწილება, მათი წრიდან ახალი მიმდინარეობის წარმოშობა. 1897 წელს ერთ თავის საინტერესო წერილში გ. წერეთელი წერდა:

„... 1866 წლიდან გამოჩნდა ახალი დასი, უფრო პროგრესიული მოძრაობა ქართულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სფეროში. ამ დროს გამოჩნდა მეორე დასი. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა 1869-დან—1877-მდე. ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა „დროება“-„კრებულის“ რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი. ამათვე შემოუერთდა განკერძოებულად მოღვაწე აკაკი წერეთელი. ეს მეორე დასი იყო პროგრესიულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი. ამ დასმა განუწყვეტლად იზრომა ერთათ მთელი ათი წელიწადი — 1877 წლამდის. შემდეგ კი განაწილდნ და მოხდა მათ შორის დიფერენცია-

*) ფილ. მახარაძე: „1905 წელი ამიერ-კავკასიაში“, გვ. 51. 1926 წ.

ცია... ამ მეორე დასს სულ სხვა იდეალი შეჰქონდა ცხოვრებაში და: ლიტერატურაში, ვიდრე დასს ჰუმანიტარულ მიმართულებისას*).

ეს ახალი დასი ჩამოყალიბდა 1869 წელს. მისი უმთავრესი ორგანოები იყო: „დროება“, რომელსაც 1869 წლიდან რედაქტორობდა სერ. მესხი; „კრებული“, რომლის რედაქტორი იყო გ. წერეთელი და „სასოფლო გაზეთი“ იმავე გ. წერეთლის რედაქტორობით. თავისი სამოღვაწეო პროგრამით, თავისი იდეოლოგიითა და მისწრაფებებით ეს დასი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებისა იყო. იგი ქართველი ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესებს ემსახურებოდა, ამ კლასის ინტერესებსა და მისწრაფებებს გამოსახავდა. იმავე გ. წერეთლის გადმოცემით ამ ახალი ჯგუფის პროგრამა და სამოღვაწეო ხაზი შემდეგ ძირითად მუხლებში გამოიხატებოდა: 1) „სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში დაარსა შეუფერავი რეალიზმი“; 2) „პოლიტიკურ-ეკონომიურ შეხედულებაში ის ემხრობოდა მილის თეორიას. ეს პროგრესიულ-დემოკრატიული დასი ბურჟუაზიასა და მუშათა ხალხს შორის გამწვავებულ ბრძოლის დროს უფრო იმ თეორიას ადგა, რომ სახელმწიფოს კანონმდებლობითი ძალა უნდა ჩაერიოს ამ ბრძოლაში მუშათა კლასის სასარგებლოთ, რომ ალაგმოს ძალმომრეობა ბურჟუაზიისა“; 3) „საზოგადოებრივ წყობილების განვითარებაში დემოკრატიული, წოდებათა განურჩევლათ, საზოგადო წესწყობილება მიაჩნდა“ საჭიროდ; 4) „ამ დასმა წამოაყენა წინ სასოფლო და სამოქალაქო სამრეწველო კრედიტი, ის ურჩევდა მოკლევადიან სამრეწველო ბანკების წესწყობილებას“ (იქვე, გვ. 816).

ეს პროგრამა წმინდა წყლის ბურჟუაზიული პროგრამა არის. ამ ბურჟუაზიული პროგრამის გატარებას ცდილობდა ჩვენში ეს დასი. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ჩვენში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და სუსტი იყო მესამე წოდება, ბურჟუაზიული კლასი, იმდენად ამ დასის დასაყრდენი სოციალური ძალაც სუსტი იყო და მათი პროგრამის ცხოვრებაში გატარების საქმეც ძლიერ მოიკოჭლებდა.

ამ დასის სოციოლოგიური შეხედულებანი, მათი გაგება საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების შესახებ იდეალისტურ-სუბიექტიური შინაარსისა იყო. მათ კარგად ესმოდათ, რომ „კაცობრიობა მუდამ და ყოველი მხრით იცვლება და წარმატებაში შედის“ (ს. მესხი). „კაცობრიობის წარმატება კი იმაში მდგომარეობს, რომ

*) იხ. წერილი: „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“ — „კვალი“ № 46, გვ. 816—17, 1897 წ.

ძველი, დამძალი და უვარგისი ცხოვრების ჩვეულებებისა და შემცდარის აზრის ნაცვლათ შეითვისებს უმჯობესს და უსარგებლესსა. კაცობრიობას ისეთი თვისება აქვს, რომ ერთ ადგილზე გაჩერება, ერთი და იმავე ჩვეულებისა და აზრის სამუდამო შენახვა იმას არასოდეს არ შეუძლია. ის მუდამ წარმატებაშია, მუდამ წინ მიდის; ერთ უაზრო ჩვეულებას დააგდებს და მის ნაცვლათ შემოიღებს მეორეს, უფრო საფუძვლიანს“^{*)}. მაგრამ ვინ არის ის უძლევი ძალა, რომელსაც „კაცობრიობა წარმატებაში შეყავს“, ცხოვრებას წინ უძღვება და ახალ-ახალ პროგრესულ პირობებს ჰქმნის? — ეს არის ინტელიგენცია, განათლებული თაობა, ცოდნითა და ქვეით დაჯილდოებული. ამრიგად, ამ დასის აზრით, ცხოვრება წინ მიყავს „კრიტიკულად მოაზროვნე პირებს“, ინტელიგენციას. იგივე ს. მესხი წერდა: „აი ამ პირების (განათლებულების) ვალია, შეძლებისა და დროს მოთხოვნილებისა დაგვარათ, წინ წასწიონ მთელი საზოგადოება და ცდილობდნენ იმის კეთილდღეობაზე“^{**)}. გ. წერეთელიც და ნ. ნიკოლაძეც ამ განათლებულ თაობას უმღერდნენ, ის მიაჩნდათ ერის მეთაურად. 1873 წელს გ. წერეთელი წერდა: „ამ სახით ჩვენი თავად-აზნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი წინ წამოწევა, — აი დიდად სანუგეშო ნიშანთაგანი ამ დროებისა. მაშ გაუმარჯოს მშრომელ ერს და იმის მოთავეს მშრომელს, განათლებულს ახალგაზდობას. ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემდეგში მათ ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგობრებაზე დამოკიდებული“^{***)}. ნ. ნიკოლაძის დასახელებული წერილი — „ახალი ახალგაზდობა“ არსებითად ახალთაობის, ბურჟუაზიული ინტელიგენციის სამოღვაწეო პროგრამას იძლეოდა, მის ინტერესებს ემსახურებოდა.

ამ ინტელიგენციამ, რომელმაც უშალღესი განათლება რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში მიიღო, ნათლად დაინახა, რომ ძველი ცხოვრების ფორმები დაიმსხვრა, ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობა აღარ შეესაბამებოდა ცხოვრების წინსვლელობის საქმეს, რომ პროგრესის ინტერესი, ხალხის წარმატების საქმე მოითხოვდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობის განმტკიცებას, თავისუფალი ბურჟუაზიული შრომის გამეფებას. ს. მესხი 1870 წელს წერდა: ...ჩვენ

*) სერ. მესხი: „ნაწერები“ გვ. 16; იხ. აგრეთვე გ. — თელი (გ. წერეთელი): „ცისკარს რა აკაკანებდა?“ „საქართველოს მოამბე“ № 5, 1863 წ., ნ. სკანდელი (ნიკოლაძე): „ახალი ახალგაზდობა“ „კრებული“ № 1, 1873 წ.

**) ს. მესხის წიგნი, გვ. 13.

***) გ. წერეთელი: „ამ დროის მოძრაობა“. — „კრებული“ № 3, გვ. 231, 1873 წ.

გვყავდნენ შინაგანი მტრები, რომელნიც ათასჯერ უფრო მავნებელი და დამაზიანებელი არიან, ვიდრე გარეშენი. ეს მტრები იყვნენ: ბატონ-ყმობა და უმეცრება, რომლების წყალობით, ჩვენ თითქმის ისევ იმავე მდგომარეობაში ვახლდით, როგორც ნეტარსენებულ რაინდობის დროსა... ვალდებულებითი და ძალდატანებითი შრომა, მონობა მავნებელია და დამლუპველი როგორც ბატონისათვის, ისე უმეტესად გლეხებისათვის*.) ამ ძველი დახავსებული წყობილების წინააღმდეგ წერდნენ „დროება-კრებულში“ მესხი-ნიკოლაძე-წერეთელი-უმეცარე-უმეცარი. ისინი ნათლად ხედავდნენ, რომ თავად-აზნაურობამ დაჰკარგა თავისი ძველი აქტიური ძალა და ცხოვრების შემაფერხებლად გადაიქცა, რომ ახლად ერის მეთაურობა ჯანსაღმა წრემ უნდა იკისროს. ეს წრე ახალი თაობის ინტელიგენცია იყო, მათის გაგებით, ის ინტელიგენცია, რომელმაც გაიცნო ევროპის ახალი ცხოვრება და მის გადმონერგვას ცდილობდა ჩვენს ცხოვრებაში. იგივე ს. მესხი წერდა: „რაკი ჩვენი ახალ-თაობა ნამდვილად დარწმუნდა, რომ ეს ძველი გზა ყოველს შემთხვევაში გამოუსადეგარი და ხანდახან მავნებელი გზა იყო, შეუდგა ახალი გზის მოძიებას და, ამ ახალი თაობის საქებრათ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მოძიებეს. ეს გზა — დასავლეთი ევროპის გზა არის... ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატების წყარო ჯერ-ჯერობით დასავლეთი ევროპა არის“ (**).

მაგრამ როგორი გზით, როგორი საშუალებით არის შესაძლებელი „ევროპის ცხოვრების“ დამყნა ჩვენს ძველ დახავსებულ ცხოვრების პირობებზე? ამ ინტელიგენციამ უარყო რევოლუციისა და ძალდატანების მეთოდი. იგი მშვიდობიან, რეფორმისტული გზით ცდილობდა ახალი პროგრამის განხორციელებას ჩვენს საზოგადოებაში. იგი უარყოფდა გარდატეხას, ერთი ხელის მოქნევით დამსხვრევას ძველი ურთიერთობის, ძველი საზოგადოებრივი წყობილების. მისთვის ევოლუციონური მეთოდი, მშვიდობიანი შეზრდა ძველი წყობილებისა ახალს ურთიერთობაში — ყველაზე უფრო მისაღები და

*.) ს. მესხის წიგნი, გვ. 21—22. მესხი კარგად ხედავდა, თუ როგორი დამოკიდებულება სუფევდა მებატონესა და გლეხს შორის. „ბატონი იყო თითქმის განუკითხველი პატრონი თავის გლეხის სულისა, ხორცისა და ქონებისა: ხანდახან ძლიერ სასტიკათაც ხმარობდა ის ამ უფლებას. ვის არ ექნება გაგანილი ზოგიერთი მებატონის ყოფა-ქცევა, რომელნიც თითქმის სულს აძრობდნენ და ტყავს ატყავებდნენ თავიანთ გლეხებსა?!“ (იქვე, გვ. 60—61).

**.) სერ. მესხის წიგნი, გვ. 108.

აუცილებელი იყო. ეს დასი ფიქრობდა, რომ ძველის რეფორმაციისა და ევოლუციის გზით ყველაზე ადრე განხორციელდებოდა ახალი წყობილება, ევროპიული შინაარსის საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. ეს რევოლუციონური მეთოდის უარყოფა და რეფორმისტული გზის აღიარება ჩვენი ბურჟუაზიული ინტელიგენციის მიერ ნაკარნახევი იყო ევროპის ისტორიული გამოცდილებებით. ამ ინტელიგენციამ კარგად იცოდა, რომ დასავლეთ ევროპაში რევოლუციებმა სულ სხვა სახე მიიღეს და იგი თვით კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ იქნა მიმართული. ამიტომ ქართველი ბურჟუაზიული ინტელიგენცია ჩვენში ბურჟუაზიული წყობილების განხორციელებისათვის უარყოფდა ყოველგვარ რევოლუციონურ გზას და მშვიდობიან რეფორმისტულ გეგმებს აყენებდა.

„ახალი ახალგაზდობის“ დასი დემოკრატიზმის დროშით გამოდიოდა; არსებითად ეს მათი დემოკრატიზმი ავსებულ იყო ბურჟუაზიული შინაარსით; ბრძოლა ბურჟუაზიული წყობილებისათვის ჩვენს მაშინდელს პირობებში ჯერ კიდევ დემოკრატიული ლოზუნგებით წარმოებდა. მაგრამ ეს დემოკრატიზმისათვის ისტორიული მნიშვნელობით თუ მიმართული იყო ერთი პირით ბატონყმური წყობილებისა და თავად-აზნაურობის წინააღმდეგ და მოითხოვდა „ძალდატანებითი, მონური შრომის მოსპობას“, და თავისუფალი შრომის განმტკიცებას, მეორე პირით საუკეთესო საფარს წარმოადგენდა თვით კაპიტალისტური წყობილების დასაცავად მის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ რევოლუციონურ საფრთხისაგან. შემდეგ პერიოდში 70-იან წლების ჩვენი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ეს ბურჟუაზიული დემოკრატიზმი სავსებით გაკოტრდა და თავისი გარკვეული შინაარსით აივსო.

აღსანიშნავია, რომ ამ ახალ ახალგაზდობის დასს კარგად ესმოდა, რომ თავდაზნაურობამ დაჰკარგა ძველი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მხოლოდ ხალხის ძველფეველ ძალად გადაიქცა*). ნიკოლაძე წერდა, რომ თავად-აზნაურობას, როგორც წოდებას აღარ შეუძლია რაიმე როლი ითამაშოს ხალხის ცხოვრებაში, მისი აქტიური მნიშვნელობა უკვე გაუქმებულია ისტორიის მიერ და იგი ახლა ხალხის ზედმეტ ბარგად გადაიქცაო**). მიუხე-

*) იხ. გ. წერეთლის წერილი: „ამ დროის მოძრაობა“. — „კრებული“ № 3, 1873 წ.

**) ნ. ნიკოლაძე: „Дрозба“ о дворянстве — „Обзор“ № 496, 1880 წ.; აგრეთვე მისივე „Наш дворянский пролетариат“ „Тиф. Вестник“ № 12, 1874; № 184, 1876 წ. „Служба местного дворянства“. — „Обзор“ № 210, 1878 წ. „ამხანაგობის ძალა“. — „სასოფლო გაზეთი“ № 1, 1870 წ.

დავად ასეთი შეხედულებისა, ეს დასი ვერ ბედავდა აქტიურად გამოსულიყო თავად-აზნაურობის წინააღმდეგ და იგი იძულებული ხდებოდა კომპრომისის გზას დასდგომოდა, მათთან შეთანხმების ტაქტიკა გაეტარებია. ეს ადვილი ასახსნელი არის, თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ ისტორიულ პერიოდს: ახალი დასის ინტელიგენცია, რომლის დასაყრდენი სოციალური კლასი ჯერ კიდევ უხერხემლო და სუსტი იყო, იძულებული ხდებოდა კომპრომისის გზას დადგომოდა და თავისი ინტერესებისათვის მაღალი წოდება გამოეყენებია. როგორც მკითხველი ხედავს, ქართველი ბურჟუაზია და მისი ინტელიგენცია თავიდანვე კომპრომისის, შეგუებისა და შეთანხმების გზას დაადვა, როდესაც ჩვენში ფართოდ გაიდგა ფესვები რევოლუციონურმა და მუშათა მოძრაობამ, როდესაც გლეხური მასები გვერდში ამოუდგა თვითმყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარიატს, — ქართველმა ბურჟუაზიამ და მისმა ინტელიგენციამ თავისი შესაფერისი გზა მოსძებნეს და ისინი რევოლუციის გადაღმა მხარეზე მოხვდნენ, თვითმყრობელობისა და მემამულეების გვერდით. ასეთი იყო ამ ინტელიგენციის პოლიტიკური განვითარების გზები.

ერთ-ერთი ძირეული და მაშინდელი ჩვენი ცხოვრებისათვის თავსამტკრველი საჭირობორტო საკითხი, რომელიც წამოაყენა რეფორმის შემდგემა პერიოდმა — ეს იყო გლეხისა და მიწის საკითხი. როგორც ცნობილია, 1864 — 65 წლების საგლეხო რეფორმებით გლეხომა თითქმის უმიწაწყლოდ გაანთავისუფლეს ჩვენში. ფორმალურად თითქოს განთავისუფლებულ გლეხის წინაშე ახლა უდიდესი პრობლემა აღიმართა მიწისა და თავისუფლების მოპოების შესახებ: მიწა მას უნდა შეეძინა მემამულისაგან, ხოლო თავისუფლება — თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლით *).

ამ საკითხს თავიდანვე მიაქცია ყურადღება ახალი ახალგაზრდობის დასმა **). 1875 წ. ს. მესხი წერდა: „სანამ გლეხი საკუთარი მამულის პატრონი, დამოუკიდებელი მემამულე არ შეიქნება, მანამ ნაბატონრებსა და მის ნაყმევებს შუა ახლანდელი დამოკიდებულება არ მოისპობა“ ***). ნიკოლაძე წერდა: „გაუადვილეთ ხალხს სხვისთვის შრომისაგან თავის დახსნა,

*) Рио Нели: „Освобождение крестьян в Грузии“ — „Колокол“ № 199, 1865 წ. და ნ. ნიკოლაძის „რჩეული ნაწერები“ ტ. 1. გვ. 177, 179—180 1931 წ.

**) იხ. ფელეტონი: „მათხალას აღსარება“ — „დროება“ № 1, 1866 წ. და გ. წერეთლის თხზულებანი ტ. I.

***) სერ. მესხის წიგნი, გვ. 230.

გამოიყვანეთ ის უსაქმო კაცების მონობისაგან, მიწა დაუმკვიდრეთ, მყვლეფელებსაგან და მუქთი მკამელებისაგან დაიხსენით... ხალხში ნამდვილი ერთობა მარტო მაშინ დამყარდება, როცა იმისი ეკონომიური ცხოვრება გათანასწორდება, როცა ხალხი ეკონომიურად გათავისუფლდება და შეერთებულ შრომას შეეჩვევა*.) როგორც ვხედავთ ახალი დასი სერიოზულ ყურადღებას აქცევდა გლეხთა საკითხს, მაგრამ მას თავისი ბურჟუაზიული თვალსაზრისით იხილავდა; გლეხის „დამოუკიდებელ მემამულედ შექმნის“ პროგრამა არსებითად ბურჟუაზიის სასარგებლო პროგრამას წარმოადგენდა: ამ გზით სურდა ბურჟუაზიულ ინტელიგენციას გაეთავისუფლებია ქართველი გლეხი მემამულის ბატონობისაგან და გადაექცია იგი ნორჩი ბურჟუაზიული ფენების საექსპლოატაციო ობიექტად: არსებითად აქ ბრძოლა იყო არა გლეხის განთავისუფლებისათვის, არამედ იმისათვის თუ ვინ უნდა ყოფილიყო გლეხის ბატონ-პატრონი, მისი ექსპლოატატორი: „მონური შრომის“ მომხრე მემამულე, თუ „თავისუფალი შრომის“ მოტრფიალე — ბურჟუაზია. ისტორიულად, მაშინდელს პირობებში, გლეხის სავსებით განთავისუფლება „მონურ შრომისაგან“ ე. ი. მემამულის ბატონობისაგან, ნიშნავდა გლეხობის ბურჟუაზიის საექსპლოატაციო ობიექტად გადაქცევას; იმ პერიოდისათვის ამას ის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ თავისუფალ გლეხურ მეურნეობის გზით ჩქარის ტემპით შეიჭრებოდა ჩვენს სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობა და უფრო ინტენსიურად მოხდებოდა მთელი ჩვენი ცხოვრების კაპიტალიზაციის პროცესი. მაგრამ როგორი გზითა და საშუალებით სურდა ახალ ახალგაზდობის დასს გლეხობის „დამოუკიდებელ მემამულედ გადაქცევა“, „საკუთარი მამულის მეპატრონეთ განადობა“? — რეფორმისტულ-მშვიდობიანი გზით. იგი უარყოფდა გლეხების რევოლუციონურ ზამოსვლას, უარყოფდა ძალდატანებასა და მემამულეთა ბატონობის ძალით დამსხვრევას. მათი აზრით მიწების, მემამულეებისაგან გამოყიდვა ყველაზე უფრო სწორი და მიზანშეწონილი გზა იყო; მათი პროგრამით 1) გლეხობას მიწები უნდა გამოეყიდა ინდივიდუალურად ან კოლექტიურად სოფლის ამხანაგობათა დაარსების გზით; 2) ან სახელმწიფო უნდა დახმარებოდა ამ გამოყიდვაში გლეხობისათვის საჭირო სესხის მიცემით და ან 3) სასოფლო-სამეურნეო ბანკი უნდა გამხდარიყო ერთ მთავარ ორგანიზაციად მემამულეებიდან მიწების გლეხობაზე გადაცემის საქმეში. არსებითად ყველა ეს გზები რეფორმისტული შინაარსისა იყო, კომ-

*) ნ. ნიკოლაძე: „საახალწლო“ გვ. 322, 340, 1880 წ.

პრომისული, კულშეკვეცილი და საკითხს ვერ წყვეტდა ძირიანად, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ მთელი მემამულეთა მიწების კონფისკაციის გზით, ამ მიწების უსასყიდლოდ და სრულ განკარგულებაში გლახობაზე გადაცემის საშუალებით. მაგრამ ამ გზას ქართველი ბურჟუაზიული ინტელიგენცია ძირშივე უარყოფდა. მათთვის რევოლუციისა და კონფისკაციის საშუალებით მიწის საკითხის გადაწყვეტა პრინციპიალურად მიუღებელი იყო. თუ არსებითად და ისტორიულად განვიხილავთ საკითხს, დავინახავთ, რომ მენშევიკურმა ხელისუფლებამ 1917—21 წლებში თითქმის 70-იანი წლების ბურჟუაზიული ინტელიგენციის პროგრამის მიხედვით გადაჭრეს ჩვენში მიწის საკითხი: 1) აქაც ხელუხლებელი, დაუმსხვრეველი დარჩა მემამულეთა ეკონომიური არსებობის საფუძველი; და 2) გლახობას მიწები ფასით გადაეცა; არსებითად მიწის მეპატრონე სოფლის კულაკი და შეძლებული ელემენტი გახდა, უღარიბესი გლახობა კი კვლავ უმიწოდ დარჩა. ასე ემთხვია ერთმანეთს 70-იან წლების ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და მენშევიკების აგრარული პროგრამა. მაგრამ, თუ 70-იან წლებში, როდესაც ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობა ჯერ კიდევ მშობიარობის პროცესში იმყოფებოდა და არსად იყო შებრძოლი რევოლუციონური კლასი და რევოლუციონურად განწყობილი გლახობა, ქართველი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ეს აგრარული პროგრამა პროგრესიული იყო, 1917—21 წლებისათვის, როდესაც სოციალისტური რევოლუცია უკვე დაიწყო, ასეთი პროგრამა მხოლოდ მემამულეთა და ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა და რეაქციონური შინაარსით იყო ავსებული. ამრიგად ქართულმა ბურჟუაზიამ ვერც შეძლო და არც შეეძლო გლახთა საკითხი სისწორით გადაეწყვიტა. საჭირო იყო მხოლოდ პროლეტარიატის რკინის ხელები და ზოლშევიკური სიმტკიცე, რომ ამ ისტორიულ უსამართლობას ბოლო მოეღებოდა და ქართველი გლახი დაკმაყოფილებულიყო მიწით.

ამ დასმა კარგად შეიგნო ვაჭრობა-მრეწველობის მნიშვნელობა. ისინი ნათლად ხედავდნენ, რომ ვაჭრობის, მრეწველობის, ფაბრიკა-ქარხნების ზრდას და ფულის ტრიალის გაბატონებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერის ეკონომიური ცხოვრების განვითარების საქმეში. მაგრამ მთელი მათი ეკონომიური პროგრამის შინაარსი ეროვნული კაპიტალის განვითარებაში გამოიხატებოდა. ეროვნული ბურჟუაზია, ქართველი მესამე წოდება მათი აზრით უნდა გადაქვეყლიყო ერის ეკონომიური აღორძინების მთავარ მესაქეთ. გ. წერეთელი ეროვნული კაპიტალის შექმნის აუცილებლობასა და საჭიროებას შემდეგნაირად ასაბუთებდა: „მით უფრო ღრმად გვმართებს მო-

საზრება, რომ როგორმე უეცრად მოვარდნილს ღვარს ჩვენი საერთო სახლ-ქარის საძირკველი არ გამოვართვევინოთ; ისეთი ქვიტკირის კედლით შევიზღუდოთ თავი, რომ მაგარი ბურჯები ჰქონდეს, არ აგვატივტივოს და ქვეყნის მორევში არ ჩაგვიტანოს — ამისთანა მკვიდრი კედელი ამ ჟამად უნდა იყოს ფულის გაჩენა ჩვენში, რომ ყოველ კაცს ახალი საქმის დაწყებისათვის ხელი მოენაცვლებოდეს“ *). ნ. ნიკოლაძე არა მარტო ამტკიცებდა ფაბრიკა-ქარხნებისა და ვაჭრობის განვითარების საჭიროებას ჩვენში**), არამედ 70-იან წლებში პრაქტიკულადაც შეეცადა ტყიბულის საქმე მოეწყო***). მაგრამ ვინაიდან ეს დასი გრძნობდა, რომ ქართველი კაპიტალისტი ძლიერ მცირედი იყო და ინდივიდუალური გზით ძნელი იყო საქმის სისწრაფით განვითარება, ამიტომ ამ დასის წარმომადგენელი ცდილობდნენ ამხანაგური სული ჩაენერგათ მათში და კაპიტალიზმის განვითარებისათვის ერთგვარი ასოციაციური ფორმები მიეცათ. ასეთი იყო ჯ. ს. მილის მიმდევრების ეკონომიური პროგრამა 70-იან წლებში.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ნაციონალურ ბურჟუაზიისა და ნაციონალური კაპიტალის იდეოლოგია შემდეგში (XX-ე საუკუნის დასაწყისში) უფრო გააღრმავა და გაათართოვა არჩილ ჯორჯაძემ. იგი მუშათა კლასს მოუწოდებდა ხელი აეღო კლასიურ ბრძოლაზე და სავსებით დამორჩილებოდა ქართველ ბურჟუაზიის ინტერესებს. 1901 წ. არ. ჯორჯაძე წერდა: „ჩვენი აზრით კაპიტალისტურმა ზრდა-განვითარებამ საქართველოში თანამედროვე პირობებში ნაციონალური მიმართულება უნდა მიიღოს... საქართველოს ეკონომიური წარმატება — ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში — კლასთა ბრძოლის ნიადაგათ კი არ უნდა ჩითვალოს, არამედ პირობათ ჩვენი ხალხის ნაციონალური აღორძინებისა... ჩვენთვის ფულიანი კაცებია საჭირო, რადგანაც უფულოთ ჩვენ ვერ ვაწარმოებთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს“****).

არსებითად მენშევიკური ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა მიმართული იყო ნაციონალური კაპიტალისა და ნაციონალური ბურჟუაზიის განმტკიცებისაკენ; გარეშე ბურჟუაზიის მოღვაწეობისა და მისი სამოღვაწეო პროგრამისა მათ ვერ წარმოედგინათ საქარ-

*) გ. წერეთელი: „საამხანაგო ბანკები“ — „კრებული“ № 8—9, 1872 წ.

**) იხ. მისი: „მირზოვეის მიტკლის საქსოვი ფაბრიკა თფილისში“ — „დროება“ № 48, 1871 წ. და წერილები „ობზორში“ 1878—80 წ.

***) ნ. ნიკოლაძე: „ტყიბულის საქმე“ — „დროება“ № 50, 1871 წ.

****) არ. ჯორჯაძის წერილი. „ცნობის ფურცელი“ № 1416, 1901 წ. ან მისი თხზულებანი, ტ. IV. 1911 წ.

თველოს ეკონომიური აღორძინების შესაძლებლობა. ფაქტიურად იმ პერიოდში ქართველ ბურჟუაზიას უკვე დიდი ხნით დაკარგული ჰქონდა რაიმე პროგრესიული მნიშვნელობა და იგი ეკონომიური აღორძინებისა და საწარმოო ძალების განვითარების შემფერხებელ ფაქტორად იყო გადაქცეული, რადგან საწარმოო ძალების განვითარება შესაძლებელი იყო არა კაპიტალიზმის გზით, არამედ სოციალისტური ფორმების საშუალებით; ამიტომ მენშევიკურმა ხელისუფლებამ და მისმა მფარველობითი სისტემამ ბურჟუაზიის მიმართ ფართოდ განავითარა ჩვენში სპეკულიაცია, დასცა ჩვენი ეკონომიკა და ქვეყანა დასავლეთის იმპერიალისტების საექსპლოატაციო ობიექტად გადაქცია. ამრიგად მენშევიკების მიერ 70-იან წლების ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან შემკვიდრეობით მიღებული ეროვნული ბურჟუაზიის და ეროვნული კაპიტალის პროგრამა უსუსური და დღენაკლული გამოდგა. მხოლოდ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით შესძლო ქართველმა ხალხმა მთელი თავისი საწარმოო ძალების ამოძრავება, ბუნებრივი დოვლათის დამუშავება და ეკონომიური აღორძინება. მაგრამ ეს მოხდა არა კაპიტალისტურს საფუძვლებზე, არამედ სოციალისტურს ნიადაგზე.

70-იან წლებში ქართველ საზოგადოებასა და მწერლობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკამათო საგნად გადაიქცა ბანკის საკითხი. ეს საკითხი პირველად წამოაყენა ცნობილმა დ. იმ. ყიფიანმა 1865 წ. იგი ნათლად ხედავდა, რომ ბატონყმობის მოსპობით და ახალი ეკონომიური პირობების შექმნით ნიადაგი ეცლებოდა ფეხქვეშ თავად-აზნაურობას და მათი ვანადგურება აუცილებელი იყო. რათა აეცილებია ამ წოდებისათვის ეს ისტორიული საფრთხე, დ. ყიფიანმა წამოაყენა დებულება სათავად-აზნაურო ბანკის დაარსების შესახებ*). პრესაში და სათავად-აზნაურო კრებებზე იმ. კითხვამ, თუ როგორი ბანკი დაარსებულ იყო დიდი კამათი გამოიწვია. თავად-აზნაურობა და მისი იდეოლოგები მოითხოვდნენ წმინდა სათავად-აზნაურო ბანკის დაარსებას. უნდა ითქვას, რომ საერთოდ „დროების“ ჯგუფს გარკვეული პოლიტიკა ჰქონდა შემუშავებული ამ საკითხში. მაგრამ ეს ზოგადად და საერთოდ. ზოგიერთ შემთხვევებში ხშირი იყო გადახრები. გ. წერეთლის გადმოცემით ამ დასის საბანკო პოლიტიკა შემდეგში გამოიხატებოდა: „საკრედიტო დაწესებულებათა შორის ის (დასი) ეწინააღმდეგებოდა თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო

*) ეს საკითხი ვრცლად განხილული იქნება ჩემს მონოგრაფიებში დ. იმ. ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის შესახებ.

ბანკის დაარსებას. ამის მაგივრად ის ურჩევდა მოკლევადიან სამრეწველო ბანკების წესწყობილებას. ამასთან ამ დასმა წამოაყენა წინ სასოფლო და საქალაქო სამრეწველო კრედიტი და ერთი ამგვარი წვრილმანი ბანკი კიდევ დაარსა იმ დროს ტფილისში წვრილმან ვაჭრებისათვის“ *). „დროებაში“, „კრებულში“ და „სასოფლო გაზეთში“ გ. წერეთელი**), სერ. მესხი***) და ნ. ნიკოლაძე ბევრს წერდნენ ბანკის შესახებ. შედარებით დიდი ნაწილი ნიკოლაძის 70-იანი წლების წერილებისა დათმობილი აქვს ბანკის საკითხს. იგი „ტფილისის უწყებასა“ და „ობზორშიაც“ ბევრს წერდა ამ კითხვებზე და 1876 წლიდან მეტად ცხარე კამათს აწარმოებდა ი. ქავჭავაძის წინააღმდეგ. ვერ ვიტყვი, რომ მისი აზრები და პოლემიკა სწორი ხაზით მიემართებოდა; იგი ხშირად დათმობაზე მიდის თავადაზნაურობის მიმართ და სურს ეს წოდება გამოიყენოს თავის საბანკო პოლიტიკის საქმეში. არსებითად მისი აზრი იმაში გამოიხატება, რომ ბანკმა ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიური ცხოვრების აღორძინებას და გადაიქცეს მრეწველობის განვითარების ფაქტორად. მეორე მხრით ბანკის საშუალებით უნდა მოხდეს მიწების გადაცემა მემამულეთა ხელიდან მიწის მუშათა ხელში. 1876 წელში იგი წერდა: „... საქმის ცოტათ თუ ბევრათ რაციონალური და ენერგიული წარმოებით, ორი-სამი ათეული წლების განმავლობაში, ჩვენი საადგილმამულო საკუთრების უდიდესი ნაწილი, დაყოფილი და დანაწილებული, გადავიღოდა მიწადმოქმედ წოდების ხელში და მით უმტკივნეულოთ მივალწევდით ჩვენი დროის ერთ უმნიშვნელოვანეს და მეტად აუცილებელ რეფორმის განხორციელებას“ ****). რასაკვირველია, ასეთი ამოცანების დაკისრება მაშინდელ ბანკზე უტოპიზმი იყო, მაგრამ ეს უტოპიზმი ქართველი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს. უფრო გარკვევით, ნათლად და მკაფიოდ ბურჟუაზიული ბანკების დებულებანი ნიკოლაძემ 80—90-იან წლებში წამოაყენა.

*) იხ. მისი წერილი; „კვალი“ № 46, გვ. 816. 1897 წ.

**) იხ. მისი წერილები: „სამხანაგო ბანკები“, „კრებული“ № 8-9, 1872 წ.; „ორიოდე სიტყვა სასოფლო ბანკის თაობაზე“, „სასოფლო გაზეთი“ № 11, 1871 წ. და „დროება“ 1879 წლის.

***) იხ. მისი ნაწერები, ტ. I, გვ. 103, 115, 121, 125, 130, 142, 159, 162, 213, 329 და სხვ.

****) Н. Николадзе: „Наш Год“ — „Кавказский Альманах на 1877 г.“ ახ „რჩეული ნაწერები“ ტ. II, გვ. 363. იხ. აგრეთვე მისი წერილი: „Будущность нашего земельного кредита“ — „Обзор“ № 186, 190, 1878 წ.

მსგავსავე პროექტს აყენებდა ს. მესხიც. 1876 წელს იგი წერდა „დროებაში“ შემდეგს: „ქართველ გლეხს მიწა უნდა ჰქონდეს; უმიწოთ იმის ცხოვრება შეუძლებელია: იმ დღეს, როდესაც ჩვენებურ გლეხს მიწა ჩამოერთმევა, ჩვენ ჩვენი ქვეყნის ბედს საუკუნოთ უნდა გამოვეთხოვოთ... ეს სახსარი არის ისეთი ბანკისა ანუ საკრედიტო დაწესებულების გამართვა, რომლის განსაკუთრებული, სპეციალური დანიშნულება გლეხებისათვის მიწის გამოსყიდვა იქნება. ამისთანა ბანკს შეუძლია ხელი მოუშართოს ფულით ყოველ გლეხს, რომელსაც სანადგლო მიწის საკუთრებათ შეძენა ჰსურს. ის ასესხებს და ისესხებს მხოლოდ იმისთვის, რომ მიწა შეიძინოს ნაბატონებისაგან და გირაოთ შეუძლია ისევე მიწა მიიღოს. ამისთანა ბანკს ჩვენს დროში ყველა სხვა გვარ ბანკებზე უფრო უაღრესი მნიშვნელობა აქვს, და როგორც ზევით მოგახსენეთ, ამაზედ იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი“*).

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ 70-იან წლებში მთელი რიგი ასეთი წვრილი სასოფლო ბანკებისა დაარსდა ჩვენში, მაგრამ მან ვერ გადასწყვიტა ჩვენი ცხოვრების რთული აგრარული საკითხი. ამ ბანკებით კულაკობამ ისარგებლა და ღარიბი გლეხობა კვლავ უმიწაწყლოდ დარჩა. მაგრამ ამ ბანკებს ის ისტორიულ-ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ მათი საშუალებით გზას იკაფავდა კაპიტალიზმი ჩვენს სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებაში.

60—70-იანი წლების „რეფორმებში“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი საქალაქო და სათემო რეფორმებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებშიათ თვითმპყრობელობის მთავრობა კულშეკვეცილ პოლიტიკას ადგა, ეს რეფორმები მაინც გამოხატავდა ნაბიჯს, ბურჟუაზიული წყობილებისაკენ გადადგმულს. ახალი დასი სიამოვნებითა და ხალისით ეგებებოდა თვითმართველობების შემოღებას; იგი, ამ თვითმართველობებში ხედავდა საზოგადოებრივი წესწყობილების ქვაკუთხედს; მაგრამ ეს თვითმართველობა მათი გაგებით უნდა ყოფილიყო დემოკრატიული, საყოველთაო და არა ვიწრო, კულშეკვეცილი, პოლიციურ-წოდებრივი. დემოკრატიული ერობა**), საყოველთაო საარჩევნო სისტემაზე აგებული

*) იხ. სერ. მესხი: „გლეხს კრედიტი უნდა“ — ტ. I, გვ. 331.

**) იხ. ნ. სკანდელი: „ერობა, მისი დანიშნულება და წესდება“—„სასოფლო გაზეთი“ № 16, 17, 18, 1871 წ. აგრეთვე: „რუსეთის ცხოვრება“—„კრებული“ № 5—6, 1873 წ.

ქალაქის მართველობა*), დამოუკიდებელი საზოგადოებრივი თვითმართველობანი — აი რას მოითხოვდა ეს დასი. მათი აზრით, ამ გზით იყო შესაძლებელი საზოგადოების ინიციატივის გამოჩენა, პიროვნების განთავისუფლება პოლიციურ-თვითმპყრობელობის ბიუროკრატიულ არტახებისაგან. ამ გზით ცდილობდა ბურჟუაზიული ინტელიგენცია მოეპოებია თავისი კლასისათვის ცხოვრების სიმალღეები და გაეხადა იგი მეთაურ ძალად. ამ საკითხების გადაწყვეტის დროს ეს ინტელიგენცია ხალხის სახელით ლაპარაკობდა და ხალხის ინტერესებით ასაბუთებდა ამ მოთხოვნილებებს, არსებითად ხალხი და ხალხის ინტერესი მათთვის საფარი იყო ბურჟუაზიული პროგრამის გასატარებლად. ეს დასი, მოკლებული ხერხემლიანსა და მებრძოლ ბურჟუაზიულ კლასს, ხალხის სახელით და მათი გამოყენებით ცდილობდა ბურჟუაზიული კლასის ინტერესების განხორციელებას. ამ ჯგუფის დემოკრატიზმი ადვილი იყო ბურჟუაზიული შინაარსით.

ასეთი იყო ეს „ახალი ახალგაზდობის“ ჯგუფი, რომელსაც ისეთი ნიჭიერი და მძლავრი პუბლიცისტები მეთაურობდნენ, როგორიც იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და ს. მესხი, — და რომელთაც 60—70-იან წლებში სამი დიდი და საინტერესო ორგანო ეპყრათ ხელში: „დროება“, „კრებული“ და „სასოფლო გაზეთი“. 60—70-იან წლებში ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრების ფონზე წამოჭრილი მთელი რიგი ღრმად მნიშვნელოვანი და სერიოზული პრობლემები მათ ბურჟუაზიული თვალსაზრისით გააშუქეს და ობიექტურადაც მათი პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობდა ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის უფრო ჩქარს განვითარებას. ისინი მოითხოვდნენ ეროვნული თვითმართველობის შემოღებას, დემოკრატიული ერობის დაწესებას, ქალაქის მართველობის განმტკიცებას, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლებას, გლეხობისათვის მიწების გადაცემას ფასით და მრავალ სხვას. მათი ეკონომიური მსოფლმხედველობა ბურჟუაზიული მეცნიერის ჯ. -სტ. მილის ძირითად დებულებებს ეყრდნობოდა. ისტორიულად ეს ბურჟუაზიული პროგრამა საფუძვლად დაედვა არ. ჯორჯადის მოძღვრებას, დიდი ნაწილი ამ პროგრამისა 1917—21 წლებში განახორციელა მენშევიკურმა ხელისუფლებამ. მაგრამ 70-იან წლებში და შემდეგაც „ახალი ახალგაზდობის“ პროგრამა განუხორციელებელი დარჩა და მხოლოდ დამტკერულ ჟურნალ-გაზეთებში ინახებოდა. მიზეზი? — მიზეზი ადვილი ასახსნელია. საქართველოს ბურჟუაზია უხერხემლო, მეტად სუსტი და უმოქ-

*) იხ. მისი წერილი „Обзор“-ში, № 256, 1878 წ.

მედო გამოდგა. იგი სავსებით შეეგუა არსებულ წყობილებას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მასების რევოლუციონური მოძრაობა დაიწყო ჩვენში. თვითმპყრობელობა მისთვის საფარად გადაიქცა ამ რევოლუციონური მოძრაობისაგან თავის დასახსნელად. ქართველი ბურჟუაზია რევოლუციონური ბრძოლების დროს თვითმპყრობელობის გვერდით აღმოჩნდა. მეორე მხრივ, ეს ჯგუფი, მოკლებული ხერხემალ-მაგარ ბურჟუაზიულ კლასს, ვერაფრითარ თანაგრძობას ვერ პოულობდა მშრომელ მასებში, რომელიც იმ პერიოდში ჯერ კიდევ განუვითარებელი და ჩამორჩენილი იყო. მესამე მხრივ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველო და მთელი ამიერ-კავკასია რუსეთის კოლონიალური არტახებით შებორკილი, მძიმე ტკივილებს განიცდიდა ბიუროკრატიულ აპარატის ქვეშ მოქცეული და ყოველგვარი თავისუფლება და მოქმედება შეზღუდული და შებორკილი იყო. ბურჟუაზიას და მის ინტელიგენციას არც შეეძლო და არც სურდა არალეგალური მუშაობა, რევოლუციონური ბრძოლა თავისი ინტერესებისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ორი დიდი ფაქტორი აბრკოლებდა და აფერხებდა კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფ განვითარებას: ბატონყმურ-ფეოდალურ წყობილების მძლავრი ნაშთები, დარჩენილი ჩვენს საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობაში და მსხვილი ფეოდალური არისტოკრატის ბატონობა სოფლის მეურნეობაში, ერთი მხრივ, და რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა მეორე მხრივ. რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ ამიერ-კავკასიაში არ განვითარებულყო მსხვილი კაპიტალისტურ-ინდუსტრიალური მეურნეობა, არ გადაქცეულიყო იგი დამოუკიდებელ ეკონომიურ ერთეულად, რომელიც შესძლებდა თავის საკუთარ ეკონომიურ ფეხებზე დამდგარიყო და თავისი რესურსებით დაეკმაყოფილებია თავისი მოთხოვნილებანი; რუსეთის ხელისუფლება და ბურჟუაზია ცდილობდა ამიერ-კავკასია რუსეთის მრეწველობის დამატება ყოფილიყო ნედლი მასალის მიწოდებისა და რუსეთის საქონლისათვის გასასაღებელ ბაზრის სახით. ეს იყო წმინდა წყლის ბურჟუაზიული კოლონიალური პოლიტიკა. ობიექტურად, რასაკვირველია, კაპიტალიზმი ვითარდებოდა ჩვენში. „რუსეთის კაპიტალიზმი ითრევდა კავკასიის საქონელს მსოფლიო ტრიალში, ანადგურებდა მისი (კავკასიის) ადგილობრივი თავისებურების ნაშთებს, ძველ პატრიარქალურ კარჩაკეტილობას და ამ სახით ჰქმნიდა თავის ფაბრიკატებისათვის

ბაზარს“ *). მაგრამ ეს პროცესი ნელის ტემპით ხდებოდა იმ არტახების ზეგავლენით, რომელიც რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკის ზემოდ აღნიშნულ მიზეზებიდან გამომდინარეობდა. ამ მიზეზებიდან წარმოსდგა ის, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავ დარჩა აგრარულ, სასოფლო-სამეურნეო ქვეყნად და შედარებით სუსტად განვითარდა ინდუსტრია, არ მოხდა მისი საზოგადოებრივეკონომიური წყობილების ღრმა კაპიტალიზაცია. აქედან წარმოსდგა ის მიზეზიც, რომ ჩვენი ბურჟუაზია ეკონომიურად სუსტი აღმოჩნდა და სავსებით დამოკიდებული რუსეთის კაპიტალისა და რუსეთის თვითმპყრობელობისაგან.

ამ მიზეზებს ებრძოდა 70-იანი წლების ახალი ახალგაზდობის ჯგუფი; მაგრამ მისი ბრძოლა უმნიშვნელო და უშედეგო აღმოჩნდა. იგი ფიქრობდა სიტყვიერ, პროპაგანდით, წერით შეეკეთებია ის, რაც ძირითად დამსხვრევას მოითხოვდა; იგი ცდილობდა მშვიდობიანი რეფორმისტული გზით, ძველი წყობილების „შეპაჩინკებით“ გაეხსნა გზა ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობისა და ბურჟუაზიის ბატონობისათვის. მაგრამ თვითმპყრობელობა, დაყრდნობილი მსხვილ მემამულეთა საფუძვლებზე, ძირშივე სპობდა ასეთს ცდებს. ქვეყნის ინტერესი და წინსვლელობის აუცილებლობა მოითხოვდა რევოლუციონური ძალდატანებით მოსპობასა და დამსხვრევას თვითმპყრობელობისა და მემამულეთა ბატონობის და დემოკრატიული წყობილების განმტკიცებას. მაგრამ ჩვენს მაშინდელ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას არც შეგნება ჰქონდა ამის და ვერც გაიზიარებდა ასეთს მეთოდს ბრძოლისას. მისი ბრძოლის იარაღი წერა და პროპაგანდა იყო. მაგრამ, როდესაც რუსეთის რევოლუციის ზეგავლენით თვითმპყრობელობა დაემხო და წვრილ-ბურჟუაზიული მენშევიზმი შეუდგა ჩვენში ბურჟუაზიული წყობილებისა და ბურჟუაზიული პროგრამის გატარებას, რომლის მრავალი მუხლი ენათესავებოდა ახალი ახალგაზდობის ჯგუფის პროგრამას, — ასეთი ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცება უკვე დიდად დაგვიანებული აღმოჩნდა: ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების ინტერესები აღარ შეესაბამებოდა კაპიტალისტური ურთიერთობის ფორმებს და იგი დაეინებით ღოითხოვდა მის სოციალისტურს ლიანდაგზე გადაყვანას.

ბურჟუაზიული აზროვნება და პრაქტიკა გაკოტრდა, სოციალისტურმა აზროვნებამ და პრაქტიკამ გაიმარჯვა.

სიმონ ხუნდაძე

*) В. Ленин: т. III. „Развитие Капитализма в России“, гл. 484.

ახალი ახალგაზრდა

ჩვენი ახალგაზღვრა

ხაუბარი მკითხველთან

I

თუ არ დაგზარდება, მკითხველო, და ჩვენი საზოგადოების მდგომარეობას გაიხსენებ ამ ათი-თუთხმეტი წლის წინათ, ადვილათ დამეთანხმები, რომ ეს მდგომარეობა მეტის მეტათ შეუხარბებელი გახლდა.

მაშინდელ ჩვენ საზოგადოებას შეადგენდა ხალხი და თავდაზნაურობა. ხალხზე, ე. ი. გლეხ-კაცობაზე, ბევრი ლაპარაკი როდი გვკირია: გლეხი თავს ძლივს ირჩენდა, ძლივს შოულობდა იმოდენ მოსავალს, რომ თავისი თავი და ოჯახი შიმშილს თუ სიცივეს გადაერჩინა, და ბატონი გაეძლო, დაეტკბო. „მაღალი საზოგადოება“, ესე იგი თავად-აზნაურობა, — საზოგადოთ რომ სთქვას კაცმა-გლეხობაზე უკეთესს მდგომარეობაში არ ყოფილა: ჩვენში ეს საზოგადოება ძლიერ ბევრი წევრებიდგან არის შემდგარი, და რაც უფრო მეტია მაღალი საზოგადოების წევრების რიცხვი, მით უფრო ნაკლებია თვითოეული მათგანის ქონება და ძალა. მართალია გლეხ-კაცობა ამ მაღალ საზოგადოებას უხვად აძლევდა პურ-ღვინოს, უხვად ემსახურებოდა და თავის მოსავალს უყოჟდა. მაგრამ ეს პურ-ღვინო და მოსავალი — საზოგადო უმეცრების გამო — სრულიად უბარაქოთ იხარჯებოდა, ისე რომ ამ ხარჯს არავისთვის ხეირი არ მოჰქონდა. ბევრით, მონადეებით და შინა ყმებით მოწყულ პურ-ღვინოს სკამდა ბატონის ოჯახში უსარგებლო და უხეირო მხლებლების და მოსამსახურეების გროვა. ას-ასი საპრობით რომ შესვლოდა მებატონეს წელიწადში პურ-ღვინო და სხვა მონაწევი, ეს სიმდიდრე მის ამბრებში და მარხებში ფუჭად უნდა წამხდარიყო, — ამიტომ რომ არც მკიდველი მოიძებნებოდა ახლომახლო, არც შორ წარებოს საშუალება, არც ხეირიანათ მოხმარების ღონისძიება. ცრუმორწმუნოების და საზოგადო უმეცრების გამო, მებატონეს ამ სიმდიდრის გაყიდვა ან სხვა ნაირათ სახეიროთ მოხმარება უპატიოსნო, წამბილწველ საქმეთ მიაჩნდა; და საზოგადო გონება იქამდის დაიშული იყო, რომ სიმდიდრის ფანტვა მწვევარ-მეძებრებში და ლოთობაში საქმეზარ საქმეთ ითვლებოდა.

იმ დროს სიღარიბე საზოგადო სენი იყო. დიდს და პატარას, თავადს და გლეხს რამდენიმე თუმნის კი არა, ორიოდ თუმნის მოხერხება უჭირდა. ყველა ცუდ სახლებში იდგა, გაჭირვებით ცხოვრობდა, ბევრ საჭირო მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. შეუძლებლობის გამო. არავის შეძლება კი არა, გაგებაც არ ჰქონია სახეიროთ და გონიერათ გამოყენებინათ თავიანთთვის და ქვეყნისთვის ის ბუნებრივი სიმდიდრენი, რომელნიც ჩვენ ქვეყანაში ყოველთვის ბლომათ იყვნენ.

საზოგადო აზრს ეწია ტენის განძრევა, გაუმჯობესება, შეუმუავება არავის საჭირო საქმედ არ მიაჩნდა, და თუნდ კიდევ მიჩნეოდა, თითქმის არავის არ ჰქონდა ხეირიანათ სწავლის და გონების შემუშავების საშუალება. ბნელი სიღარიბე დასაწყისშივე ბოლოს უღებდა ყოველ სწავლის გაუმჯობესების სურვილს და ამნაირათ გავრძელებული უმეცრება, თავისი მხრით, უფრო და უფრო ადიდებდა და აძნელებდა სიღარიბეს

ერთი სიტყვით, როგორც ხალხს, აგრეთვე თავად-აზნაურობას, ჩვენში სიღარიბე და უმეცრება ჰკლავდა. საზოგადო წარმატებას, ყოველ კეთილ აზრს, ყოველ ნათელ განზრახვას, უსათუოდ და ყოველგან ეს ორი მტერი ხედებოდა და ბოლოს უღებდა...

ადვილად შესაძლებელია წარმოიდგინოს კაცმა, რანაირი ზნეობითი ცხოვრება უნდა ჰქონოდა ამნაირ მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებას და რა ჩვეულებები უნდა სჩვეოდა მის წევრებს. შიმშილი და სიღარიბე გონებას უბნელებს და აზრებს ურევს, როგორც კერძო პირებს, აგრეთვე მთელ საზოგადოებასაც. ჩვენშიაც ამ მიზეზით, საზოგადო აზრი მეტის მეტათ არეული, გაურკვეველი და გადახვეული იყო.

ასე, მაგალითად, საზოგადო აზრში დაკარგულიყო ნათელი გარკვევა კეთილსა და ზოროტს შუა. როგორც მშიერი ადამიანი იმის მეტს არათერს დეძებს, საქმელია რომელიმე საგანი თუ არა და მის სილამაზეს და სისწორეს არ დასდევს, ისე ჩვენი ღარიბი საზოგადოება გამდიდრების მეტს არას ფიქრობდა, და თავისი უმეცრების გამო ამ გამდიდრების სურვილს მახინჯურად ზდიდა.

მის გონებაში სულ ერთი იყო, რა გზით და რა საშუალებით პროულობდა კაცი შეძლებას და ქონებას—ოღონდ კი ემოვა ეს ორი ძვირფასი საგანი. მის თვალში პატიოსანი, გულწრფელი და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ამალღებული კაცი ერთ ფიცარზე იდგა იმისთანა პირთან, რომლის ამალღების და გამდიდრების მიზეზი იქნება სულმდაბალი ან უწმინდური ანგარება იყო...

ქონების და გავლენის შესაძენათ, მისი აზრით, კაცს ყველაფერზე ხელი უნდა აეღო, ნათესავზე და მეგობრებზე, ოღონდ კი რამე საშვალეობით კაცი თავის სიღარიბიდან გათავისუფლებულიყო და თავისი დამამცირებელი მდგომარეობიდან გამოსულიყო.

ამ გვარმა საზოგადო აზრის მიმართულებამ უფრო მეტათ დააბნელა ჩვენი ცხოვრება, რომელსაც უიმისოდაც საკმაოდ აბნელებდა უმეცრება, და სიღარიბე. ჩვენი საზოგადო ხასიათი დარბილდა, დაღბა; იმან ორპირობას, თაღლითობას ხელი მიჰყო, და ჩვენს საზოგადოებაში თანდათან უფრო და უფრო გამრავლდენ ისეთი პირები, რომელთაც შეძლების და ქონების მეტი ღმერთი არ ჰყოლიათ არც ამ ქვეყანაზე არც ზეცას...

დაუმატოთ ამ ბნელ და სამწუხარო სურათს, რომ იმ დროს საზოგადოებაში სრულიად არ ისმოდა გაუმჯობესების, საზოგადო განახლების და ზნეობითი განათლების სურვილი და ხმა, დაუმატოთ საზოგადო ზნეობითი მიძინება და ჩვენ შეგვეძლება მაშინ წარმოვიდგინოთ ჩვენი საზოგადოების მკრთალი სურათი ამ ათი-თხუთმეტის წლის წინათ.

ამ ნაირ ზნეობრთ მიმართულებას სრულიადაც შეეძლო დაეღუპა ჩვენი საზოგადოება, სამუდამოთ მიეძინებია, ისე როგორც დაღუპულან ან მიძინებულან ასი და ათასი ხალხები; რომელთაც უწინდელ დროს ისტორიაში თავიანთი ცხოვრება ჩაუწერიათ. ამგვარ მიმართულებას რომ საზოგადოება დაემორჩილება, მარტო მისი ხასიათი კი არა, მისი ტვინის და სისხლის ძალაც, მისი გამჭირაზობა და მეხსიერებაც იკარგება, და ხალხი ხან დროებით, და უფრო ხშირად კი სამუდამოთ სუსტდება და კვდება...

II

ესრეთი იყო ჩვენი საზოგადოების მდგომარეობა ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ და ამნაირი სამწუხარო. მომავალი ელოდა იმას უკმდევისთვის, როცა მის ცხოვრებაში ორი ცვლილება მოხდა, რომელსაც მის ბედზე დიდი, გაუზომავი გავლენა უნდა ჰქონოდა. ერთი ამ ცვლილებებთაგანი გლეხკაცობის განთავისუფლება¹ იყო და მეორე—ჩვენებური ყმაწვილების სახელმწიფო ხარჯით გაგზავნა გასანათლებლათ რუსეთში².

ამ ორ გარემოებას, როგორც წელან ვთქვი, დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა. გლეხების განთავისუფლებაზე და საზოგადოთ გლეხკაცებზე ჩვენ კიდევ გვექნება მოლაპარაკების დრო, დღეს კი ჩვენი ყურადღება მეორე გარემოებაზე უნდა მივაქციოთ და გავშინჯოთ,

თუ რა შეეძლო, რა უნდა ექნა ჩვენ განათლებულ ახალგაზდობას, და რა მოახდინა იმან თავის წრეში და საზოგადოებაში.

რამდენიმე ბენდიერი ახალგაზდა სხვა და სხვა გარემოებამ ამ ბნელ ცხოვრებას მოაშორა, და უმჯობესს საზოგადოებაში, უმჯობესს წრეში ასაზღვლათ, გასანათლებლად გაგზავნა.

ეს სხვა საზოგადოება დიდი ხანია გონების გამხსნელ შრომას და აზროვან ცხოვრებას შესდგომია. მასში ხშირათ იპოვებიან იმისთანა პირები, რომელნიც მარტო თავის საკუთარ პერანგზე და ჯობეზე-კი არ ზრუნავენ, და თუნდა კიდევ ზრუნავდენ, თავს და სინდისს როდი დაიმდაბლებენ ჯიბის ან პერანგის გასაუმჯობესებლათ. —ამ სხვა საზოგადოებაში—მართალია—უმეტრებიც, ლარიბებიც, და უგუნურებიც ბევრი იყვნენ და არიან. მაგრამ მასში გონიერი და პატიოსანი პირების აზრი და მეცადინეობა დიდი ხანია იმაზეა მიქცეული, თუ რა გზით და რა საშუალებით შეიძლება ამ ორი სენის მოსპობა მთელ საზოგადოებაში და რა ფრად მოსახერხებელია საზოგადოების წევრების გაჭირვებიდან დახსნა და სწავლით და პატიოსნებით განათლება. და ამნაირათ მეცადინე პირების ხმა, ამ სხვა საზოგადოებაში მლაღადებლის ხმათ როდი რჩება უდაბნოში. არა, მას ყურს უგდებენ გონიერი და გულკეთილი პირები, რომელნიც მარტო ყურის დაგდებასაც არ სჯერდებიან: ისინი გამოთქმული აზრის, მოძებნილი საშუალების ასრულებაში მოყვანას ცდილობენ, იწყებენ და ხშირად არაფერ ღონისძიებას არ ზოგვენ ამ მშვენიერი და ღვთის და კაცის სასიამოვნო საქმის წარსამატებლათ...

რადგანც ამ საზოგადოების გონების გახსნაში დიდი გავლენა ჰქონია ამისთანა პირების აზრს და მოქმედებას, საზოგადოება მათ დარიგებას, მათ სიტყვებს კანონსავით იღებს, და თავისი მოქმედების ხელმძღვანელათ იხდის. ამ მიზეზით საზოგადოების ზნეობით მიმართულებაში და ზნეობით კანონებში წელან ნახსენები პირების აზრს დიდი ადგილი უჭირავს და საზოგადოების ზნეობიანი შეხედულებაც სასიამოვნო, გულის და გონების ამამალლებელ სანახავს წარმოუდგენს კაცს.

ისევ კი მართალია, რომ ყოველ საზოგადოებაში უმრავლესს რეცხვს ისეთი პირები შეადგენენ, რომლებიც ეხლანდელი ცხოვრების უწყისობას არ ნიშნავენ და საფლავამდე დარწმუნებულნი რჩებიან, რომ ქვეყანა ღინებულათ განწყობილა და უმჯობესად მისი განწყობა შეუძლებელი რამ არისო. მაგრამ ერთი ეს, რომ ჩვენი ახალგაზდობა რუსეთში სასწავლებლათ იგზავნებოდა, და მაშასადამე მოსწავლე და მასწავლებელ წრეში უნდა გარეულიყო. და ამ

წრეში, ხომ, უმეტეს რიცხვს ისეთი პირები შეადგენენ რომელნიც თავიანთი გონებით და სწავლით მთელ საზოგადოებაზე ბევრათ მალლა დგანან და სრულიადაც არ ფიქრობენ, რომ ესლანდელი წესები და ჩვეულებები შეურყვეველი უნდა დარჩენ... მეორეც, სწავლის დროს ჩვენ ახალგაზდებს საქმე მარტო ცოცხალ კაცებთან კი არ აქვთ: წიგნების, თხზულებების საშვალეებით, ისინი გამოიკვლევენ უმჯობესი და უგონიერესი პირების აზრს, რომელნიც კი როდისმე ყოფილან დედამიწაზე, ემუსაიფებიან ამ პირებს, მათ აზრებს ერთმანეთთან ადარებენ და ამრიგათ თითქო სცხოვრობენ გონიერობის გამირების საზოგადოებაში.

უნდა იცოდეთ, რა მიზანი, რა უმთავრესი მიმართულება აქვს ამ გამირების აზრს და ნაწერს. ამას ჩვენ ყველაზე უკეთ მაშინ დავინახავთ, როცა ყურადღებას მივაქცევთ იმ მნიშვნელობას, რომელიც ამ გამირებს კაცობრიობის ცხოვრებაში ჰქონიათ და იმ სარგებლობას, რომელიც იმათ კაცობრიობისთვის მოუტანიათ.

უწინდელ დროში, ღრმა და ბნელ ძველობაში, კაცს ყოველი საქმე სამუდამოთ, შეურყვევლათ, საკვირველ-მოქმედათ, თითქმის ღმერთად მიაჩნდა. იმას ყველაფრის ეშინოდა, ყველასი ერიდებოდა, და მისი შეშინებული გონება ვერას დროს ვერ ბედავდა, რამე გამჯობესების შემოღებას, რომ ამითი თავისი სიცოცხლის სიძნელე შეემსუბუქებინა ესლა ჩვენ ძლიერ ადვილ საქმედ მიგვაჩნია, მაგალითად, ცელხლის ან სინათლის ანთება. მაგრამ რამდენიმე საუკუნეს ისე გაუვლია კაცის ცხოვრებაში, რომ იმას ცეცხლის ანთება არ სცოდნია, და რამდენიმე სხვა საუკუნეს ისე გაუვლია, რომ კაცს მეხით ცეცხლ-მოკიდებულ ხიდგან ცეცხლის აღება ვერ გაუბედიო, რომ შინ თვითონ ცეცხლი აენთო. რისთვის, თუ იცით? იმისთვის, რომ იმას ცოდვათ მიაჩნდა „ზეციდან ჩამოსული“, მაშასადამე „ღვთიური“ ცეცხლის აღება და გადატანა... ამისთანა მაგალითი ათი ათასობით არის ჩაწერილი კაცობრიობის გათავისუფლების ისტორიაში.

საზოგადოთ, კაცს ერთი უბედურება აკავებს მუდამ და მის წარმატებას აბრკოლებს: გაუბედველობა, თავისი ძალის ან თავის უინელობა. თითქმის მუდამ თავხედი, გამბედავი კაცი ისეთ საქმეებს ახერხებს, რომელნიც „ღამჯდარ“ კაცის გონებას აზრშიაც არ მოუვიდოდა...

კაცობრიობის ისტორიაში ამნაირი გამბედაობა გონიერ და ღრმა გონების კაცებს უქნიათ. იმათ მოუაზრებიათ, მაგალითად, რომ მეხით ცეცხლ-მოკიდებულ ხიდგან ცეცხლის გადატანა იქნება

ლმერთების წინააღმდეგი საქმე არ იყოსო და თავ გამომეტებულათ დაუწყიათ ამ აზრის სახალხოთ დამტკიცება. რასაკვირველია, რომ იმათ ბევრ წინააღმდეგები ასტეხიან.— „როგორ, თქვენ ლმერთები არ გრწამთ, საღმთო წესს არ იცავთ, რჯული არაფრათ მივაჩნიათ, ზეცილამ ღვთის გამოგზავნილ ცეცხლს წაბილწული წვადის შესაწველად და ხარშოს მოსამზადებლათ ხმარობთ თქვენ მამა-პაპური სარწმუნოების გამრყენელი ხართ“... და სხვადასხვა. ბევრი ამისთანა გამბედავი პირებუ ქვით ჩაუქოლავთ, ბევრისთვის თავი წაუწყვეტიათ, ბევრი დაურჩვიათ, უფრო მეტი საზოგადოებიდან გაუქცევიათ და მასხარად აუგდიათ.

სწორეთ აზნაირი ბედი დამართვია თითქმის ყოველი ახალი აზრის, ახალი გაუფჯობესობის შემომღებს.— მაგრამ ამ წინააღმდეგობას და ამ ღვენას მაინც ვერ დაუშინებია გამბედავი პირები: იმათ მაინც გაუგრძელებიათ თავიანთი ღვაწლი, და ერთი მეორეს შემდეგ გადაუღმევიენებიათ ფეხი კაცობრიობისთვის, გაუფჯობესობის და განათლების გზაზე.

რადგანაც კაცს ყველაზე უწინ და ყველაზე უფრო მისივე საკუთარი უმეტეებისგან და გაუბედველობისგან გაათავისუფლება სჭირია, ამ პირებმა თან-და-თან, ერთი მეორის შემდეგ დაანახეს კაცს, რომ უმეტესი ნაწილი მისი „რწმუნებულებისა“ მისივე საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი იყო, მგალითად, ის რწმუნება ვითომ მესს ლმერთები ისვრიან, და ბევრი სხვები. ამ გვართვე დაანახეს ამ პირებმა საზოგადოებას, რომ მისი ჩვეულებისა და გაწყობილების უმეტესი ნაწილი, მისი კანონები და საქციელი, ლმერთებისგან დაფუძნებული და სამუდამოთ დაწესებული კი არ იყვნენ,— ისინი მის ცრუ-მორწმუნოებამ და უმეტეებამ მოიგონა და დააწესა, მაშასადამე მათი შეცვლა შესაძლებელი და სასარგებლო საქმეაო. ამ გვართ განხილულია ამ გონების გმირების თხზულებაში კაცის ყოველნაირი აზრები, მოქმედებები, რწმუნება, ჩვეულება და განწყობილება, და ამ განხილვასთან, მისივე გვერდით, აწერილია ყოველიფერი, რაც კი უსამზღვრო, გამბედავ გონიერებ ს შეეძლო წარმოედგინა უკეთესი, აზრზე ვარ, თუ მოქმედებაში, თუ რწმენაში და ჩვეულებაში, თუ საზოგადო განწყობილებაში...

კაცი რომ ამ თხზულებებში ვაერთვება, მათი აზრით აღივსება და მათ მიზანს შეუღდება, მისი გრძნობა და ხასიათი ისეთ რიგათ შალღდება და უმჯობესდება, რომ ვერაფერი ღვენა, კაცის უსამართლობა, დაბრკოლება და მარტვილობა ამისთანა კაცს ვერაფერს უზამს, და მის მაღალ მიზანს ვერ დაავიწყებინებს. მის მოქმედებას

ასეთი სწორი, მარჯვე და საფუძვლიანი ხასიათი ეძლევა, მის სჯას და ყოფაქცევას ისეთი მშვიდი, პირდაპირი გამჭვირახობა და აუჩქარებელი გაბედულება, რომ ამისთანა კაცების ცხოვრება ბევრს და თვითონ იმათაც ნეტარებათ მიაჩნიათ, თუმც ძლიერ ხშირათ ეს ცხოვრება ბევრი ბნელი ღრუბლებითაა დაბნელებული...

III

რაკი ჩვენ გაკვრით ვსთქვით, რა საზოგადოებას სცილდებოდა, ჩვენი, ახალგაზდა, და რა ნაირ საზოგადოებაში, რა ზნეობით პაერში იწყებდა ის ახალ თავის ცხოვრებას, დაუბრუნდეთ ეხლა თვითონ იმას და ვნახოთ, რა რიგათ და რა ნაირათ სუნთქავდა ის ამ ახალ პაერს, რა მოჰქონდა იმას უკან თავის სამშობლო საზოგადოებაში, რა ნათელი გადმოჰქონდა იმას, იმ მშვენიერ და ალტაცებულ აზრის მოედნიდან. სადაც ვარჯიშობდნ და ვარჯიშობენ კიდევ კაცობრიობის უძლიერესი და უპატიოსნესი მოაზრენი.

რალა თქმა უნდა, რომ წელან აწერილი ძველი საზოგადოების შვილებს დედის ძუძუთივე უნდა მოეწოვათ ჩვენი უწინდელი ცხოვრების უხეირო მხარეები; რალა თქმა უნდა, რომ პრანკია, კულაბზიკა, გარეგან შნაზე გადარეული და შინაგან ღირსებისათვის და პატიოსნებისთვის გულგრილი დედმამები თავიანთ შვილებსაც ამ თვისებასაც საგზლათ გადაატანდნ, როცა სასწავლებლათ გაისტუმრებდნ!...

მართლაც, პირველი საქმე, რომელსაც ეცემოდნ რუსეთში ჩვენი ახალგაზრდები იყო გარეგანი შნო, პირველი ღირსება, რომლითაც იმათ ჩვენა საზოგადოების პატივის დამსახურება უნდოდათ, იყო „სწავლული, შეცნირი სახის“ მიღება, და პირველი მიზანი, რომელიც იმათ ცხოვრების დასაწყისშივე აღმოაჩნდათ, იყო დიდი შეძლების მოპოება რა გზითაც ყოფილიყო, კარგით თუ ავით....

ვინ დაიჯერებს, ნეტავი, რომ უთხრა ეხლა მკითხველს, რომ თვრამეტი წლის ახალგაზდა, რომელსაც ნეტარება ელირსა და სასწავლებლათ რუსეთში გაიგზავნა, სადაც იმას შეუძლია ოთხი თუ ხუთი წლის გატარება მოაზრე სწავლული და პატიოსანი პირების საზოგადოებაში, სადაც ის მოცილებულია ცხოვრების ბინძურ მხარეს და შეუძლია წმინდა პაერის სუნთქვა—ვინ დამიჯერებს, ვამბობ მე, რომ ამისთანა ბედნიერებას მოსწრებული ახალგაზდა ოთხ წელიწადს ქუჩა-ქუჩა გამოპრანქულ სიარულში, ლახლანდარობაში, „უაზრო და უმოქმედო“ ცხოვრებაში ატარებს. ვინ დაიჯერებს, კიდევ

რომ ვთქვა, იმ ახალგაზდას, რომელსაც წინ უმჯობესი ლიტერატორების თხზულებები უწყევია, რომელსაც შეუძლია მათი გაცნობა, მათი აზრის გარკვევა და მათი გრძნობით აღვსება, და რომელიც — მამასადამე — წმინდა აღტაცებით და დაუღალავი ენერგიით აღვსილი უნდა იყოს, — ვინ დამიჯერებს მეთქი, რომ ამისთანა ახალგაზდას ევროპიელი მოაზრებების გრძნობის და მიზნის მაგიერათ ერთი გრძნობა და ერთი მიზანი უღვივის გულში: საზოგადოების წინ ბრწყინვა და ამ ბრწყინვის საშუალებით — ღიღძალი ფულის შოვნა, რა გზითაც იყოს, კარგით თუ ავით?...

უნივერსიტეტი ისეთი სასწავლებელია, სადაც ყოველ ახალგაზდას სწავლის ასპარეზი ეხსენება, ის სრულიადაც არ ჩამოგავს სხვა სასწავლებლებს, ამიტომ რომ შიგ კი არ ასწავლიან, სწავლის ასპარეზს აჩვენებენ. იქ ყველა მოსწავლემ თვითონ უნდა იშრომოს, გზა ეძიოს, ისწავლოს: მარტო მასწავლებლის სიტყვებით ის არ უნდა დაკმაყოფილდეს და თვითონ სწავლის წყაროებს უნდა მიაღდგეს. მხოლოდ მაშინ იქნება მოსწავლესთვის სასარგებლო უნივერსიტეტის სწავლა, როცა ის თვითონ წიგნებიდან და მოაზრებების თხზულებებიდან ავსებებს, და ასრლებს თავისი მასწავლებლის სიტყვებს, და მათ შრომასაც ეჩვენა, მოაზრებასაც და მეცნიერების სწორე შეხედულობასაც...

საუბედუროდ, ბევრი ახალგაზდა, და განსაკუთრებით ჩვენები, სულ სხვა თვალებით უყურებენ უნივერსიტეტის სწავლას, მათთვის უნივერსიტეტის სწავლას ერთი მიზანი აქვს — ეგზამენი და დიპლომის აღება... ამის გამო ისინი მხოლოდ იმოდენათ უგდებენ ყურს უნივერსიტეტის სწავლას, რამოდენათაც ეს მეტის მეტი ადვილი ეგზამენისთვის აუცილებლათ საჭიროა. — უნდა თუ არა სწავლას სხვა გზით და სხვა მიზნით შევსება, ამაზე ძლიერ ცოტა ფიქრობს...

და რადგანაც ეგზამენი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ერთბაშად, რამდენიმე საათის განმავლობაში, გაანსწავნიონ ახალგაზდა კაცს ნასწავლი, ან უფრო სწორედ ვთქვათ სასწავლი საგნების სახელები და ერთმანეთს შუა კავშირი, ჩვენი ახალგაზრდები დიდი გაცოდვილებით იხეპირებენ ამ სახელებს, უმეტესი ჯაფით იმახსოვრებენ ამ კავშირის ზოგიერთ ნაწილებს და ბრუნდებიან შინ ტანი-სამოსით გატენილი ზანდუკით და რახარუხიანი სახელებით ავსებულნი თავით ..

ეს არის ის სიმდიდრე, რომელიც შემოაქვთ ჩვენ ბნელ და ღარიბ საზოგადოებაში იმ ბედნიერ ახალგაზრდებს, რომელნიც ელირსნენ ეხლანდელი ევროპიული საზოგადოების ახლო დანახვას და

ეხლანდელი მოაზრების თხზულებების გაცნობას, რომელნიც ისე ახლო იდგნენ სწავლის მადანთან!...

დაბრუნდებოდნენ ისინი თუ არა, მაშინვე ტყდებოდა მათ და ჩვენი საზოგადოებას შუა გამწარებული ბრძოლა. რა დაუშავებიათ ერთი მეორესთვის ამ ორ მოწინააღმდეგეებს, რა ჰქონდათ იმათ ვასაყოფი რა აზრის და მიზნის პირდაპირობა აშორებდათ იმათ ერთს მეორესგან და მათ შუა ორმოს თხრიდა? რითი განირჩეოდნენ ისინი ერთმანეთიდან?..

ჩვენდა სამწუხაროთ, სიმართლის დასაცველათ, აქ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ამ ორ მოპირდაპირეს, რომელთა შუა დღესაც არ მოსპობილა ბრძოლა, მხოლოდ გარეგანი თვისებები აშორებენ, ტანისამოსი და სიტყვები. გრძნობით, მიზნით, ხასიათით ორნივე ერთმანეთს ღირან და ერთმანეთს ემსგავსებიან, ასე რომ ჩვენ საზოგადოებას, ხუმრობა გაშვებით, სრული სიმართლე და საფუძველი აქვს თქვას თავის წვერულეაშიან,³ გამოკიმულ შვილებზე: „ესე არს ძვალი ძვალთა ჩემთაგან!“...

ჰკვიანი კაცი ბრიყვიდან მით გაირჩევა, რომ ვაგონილ სიტყვას მხოლოდ ყურადღებაში იღებს; და ნამდვილ მნიშვნელობას, კაცის ხასიათის დაფასების დროს, მხოლოდ იმ კაცის მოქმედებებს და ცხოვრებას აძლევს, მერმე ისეთ მოქმედებებს, რომელნიც ამ კაცს დაუმზადებლათ: უეცრათ, გაჭირვებულ დროს მოუხდენია. ჰკვიანი კაცები ამბობენ, ამნაირ მოქმედებაში სრულიად ერთბაშათ სჩნდება კაცის ხასიათიო, სიტყვები კი ქარს გააქვს გამოაქვსო...

მოდო ეხლა, ჩვენც ამ ჰკვიანი კაცების მაგალითს ავყვეთ, ცოტა ხნით ჩვენი ახალგაზღვრების სიტყვები დავივიწყოთ და ვაფშინჯოთ, რა ხასიათი სჩანს მათ საქციელში და მოქმედებაში.

IV

რაკი ჩვენ ამის გამოკვლევას შეუდგებით, პირველ ჩვენ ნაბიჯათ შემდეგი კითხვა უნდა გამოვთქვათ: რა მიზანი აქვთ ამ ჩვენ ახალგაზღვრებს და რა რიგათ აწყობენ ისინი თავიანთ ცხოვრებას?

დიახ, ეს კითხვა აუცილებელი საგანია, რომელიც უნდა იხმაროს კაცმა ვისმე ხასიათის გასასინჯავათ: რა სურს კაცს, რას ასრულებს?

და რაკი ჩვენ ამ კითხვით ჩვენებურს ახალგაზღვრებს მივუაქლოვდებით, ჩვენ შემდეგ პასუხს მივიღებთ.

ჩვენებური ახალგაზღვა კაცი ბრუნდება სასწავლებლიდან და ცხოვრებაში თვებს ადგამს უმიზნოთ, უაზროთ. იმას არ უკითხავს

თავისთვის, რა მოქმედებით, რა საქმის გარიგებით, რა სარგებლობის მოტანით, ერთი სიტყვით რა მიზნის მიღწევით უნდა შთაბეჭდოს იმან თავისი სახელი საზოგადო ცხოვრებაში, რითი და როგორ დაიმსახუროს თავის საკუთარ თვალში ის თავის მადლიერობა, ურომლოთაც გონიერი კაცის ცხოვრება ნიადაგი და დაუცხრომელი წყალემაა...

ამ კითხვით თავის მტკრევის მაგიერათ ის, უდარდელათ, ღიმილით შედის ცხოვრებაში, მის ტალღას თავს აძლევს, იმ იმედით სავსე, რომ თვითონ ცხოვრება მას რამე მიზანს უპოვის, საქმეს აუჩინს და მხიარულათ, შეუნიშნავათ სიცოცხლეს გაატარებინებს.

მაგრამ ცხოვრება ისეთი კეთილი პატრონი როდია, რომ თვითეულს კეთილი ადგილი და სასარგებლო, პატიოსანი ასპარეზი აუჩინოს. ცხოვრება თავს ანებებს და ამდაბლებს იმას, ვინც თავისი საკუთარი ღონით, თავისი გონებით მას ადგილს არ გამოსტაცებს და თავის ნებაზე არ გადააკეთებს. ამის გამო ჩვენი ახალგაზდების პირველი ნაბიჯები პრაქტიკულ ცხოვრებაში ეკლით და განსაცდელით სავსე არიან.

მათ განაზებულ ბუნებას და ხასიათს ამ განსაცდელის და ეკლების ატანა რომ შეეძლოს, ეს განსაცდელი, ხასიათის დამტკრევის მაგერათ, აამაღლებდა და გააძლიერებდა ჩვენ ახალგაზდებს. მოთინებით, დაუღალავი შრომით, მოხერხებით და გამბედაობით იმათ ახალი გზის გაკაფვა, ახალი საშუალებების გამოძებნა რომ შეეძლოთ, ცხოვრება ადრე თუ გვიან ერთიანათ დაემორჩილებოდა მათ შეერთებულ ძალას, და ისე გაიწყობოდა, როგორც ახალგაზდების ბუნება და გონება მოითხოვდა.

მათდა საუბედუროთ, პირველივე ეკალი სრულებით აუძლურებს მათ ჩვილ და უღონო სხეულს. ისინი პირველივე განსაცდელის წინ ბუნებს იდრეკენ და უძლურად გამგულად გამომეღწილს დახმარებას ევედრებიან... რა გინდ გულკეთილი იყოს მათი განსაცდელის დამსწრე, რომელიც ამას წინათ მათ ტრაბახული სიამაყის და ქაღილის მოწამე იყო, იმას არ შეუძლია შეურაცყოფით არ მოექცეს და ორიოდ წინლი არ ჩაახილოს სულმოკლე დაცემულს...

რაში მდგომარეობს ეს დაცემა!

იმაში, უმეტეს ნაწილათ, რომ ახალგაზდა, ცხოვრებაში ფეხის შედგმის დროს, გაზეპირებულ სიტყვებს იხსენებს, და ამბობს—
კეთებათ—რომ უპატიოსნოა ის კაცი ვინც თავის საკუთარ ღი-
რებას იფიწყებს, სარგებლობის გულისათვისო.—მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა თვითონ ამ ახალგაზდა კაცს ცხოვრება უძნელდება,

და უდარდოთ საცხოვრებელი საშუალება ეძლევა, ის ნელ-ნელა წე-
ლის ხვრას ეჩვევა იმისთანა პირების წინ, რომელზედაც საშუალების
მიცემაა დამოკიდებული... წელის ხვრას მოსდევს ამ პირების ნებაზე
სიარული, მათი სასიამოვნოთ ისეთი მოქმედება, რომელზედაც უარს
ამბობდა უწინ ახალგაზდას სინდისი.—როცა ახალგაზდას ეს უკა-
ნასკნელი გარემოება ახსენდება, ის თავის სინდისს იმ სიტყვებით
ამშვიდებს, რომ „კაცმა როგორმე თავი უნდა ირჩინოს“—
და რაკი ეს აზრი ერთხელ მის ტვინში ჩაინერგა, ახალგაზდა უფრო
და უფრო სტოპავს თავის ახალ მოქმედებაებში...

მაშინ ძველი საზოგადოება თავს მალა იღებს და ამაყი სა-
ხით ამისთანა ახალგაზდას მიათითებს.—„დახედეთ ამბობს ის, რა-
ვა მალე მოტყდა ყმაწვილი! ამისთანა საფუძვლიანი არიან ყველა ეს
ბატონები“!...

და როცა ჯერ კიდევ მოუმტყდარი ახალგაზრდები მომტყდარს
შეურაცყოფის სიტყვას ესვრიან, გაბრაზებული ახალგაზდა ერთბა-
შათ ივიწყებს თავისს უწინდელ სიტყვებს, და ერთბაშათ შემძენი,
მფორთხველი და მლოკველი ხდება...

მაშინ იწყება ახალ ნაირი მოქმედება: რაც ახალგაზდა კაცი-
სთვის სწავლას, გამოცდილებას, უცხო ქვეყნების ნახვას და საზოგა-
დო მდგომარეობას ღონის ძიება და ძალა მიუტია, ყველას ის იმ სა-
ზოგადოების და ხალხის სავენებლათ ხმარობს, რომლისგანაც ის თვი-
თონ გამოსულა. ის იწყებს იმ ბნელ ხალხის მოტყუებას, რომელსაც
არც თავის დაცვის, არც სამაგიერო გადახდევინების საშუალება
აქვს. სწავლაში გაწვრთნილი გონება, გამოცდილებით გაძლიერებული
ხსიათი ებრძვის გამოუცდელ, ბნელ ხალხს, იმ განზრახვით, რომ
მის ხმელ და სუსტ საზრდოს რამე ნაწილი ჩამოაკლოს თავისი ჩაფუ-
ნთრუშებული, განაზებული სხეულის სასარგებლოთ...

ამ ძველებურ საქმის წარმოებაში, ისინი ყოველთვის ძველ-
ებურ ჩვენ მამაბაბურს საშუალებას ხმარობენ, ან და, თუ ამ ვატკე-
პნილ გზას სცილდებიან, იმ მიზეზით შვრებიან ამას, რომ დაძველ-
ებული, გათადლითებული და დაუძღურებული საშუალების მაგიერათ,
ხალხის დასამორჩილებლათ და გასაკრეჭათ, მათ ახალი უმჯობესი
ღონისძიება მოუაზრებიათ...

როგორც უწინ ხალხის მკრეჭლები თავიანთ ძალას სხვა და
სხვას პირების ვაცალკალკეევაზე, ზოგის დამორჩილებაზე, ზოგის
წინ დამცირებაზე, აფუძნებდენ, სწორეთ ეხლაც იმნაირათვე მოქმე-
დებენ ჩვენი ახალგაზრდები. მაშინ, როდესაც ეხლანდელ სწავლას ერთი
მიზანი უძევს—ყველას სარგებლობის დათანხმება, ყველასი შეერთება,

დაამხანაგებდა, როცა ახალგაზდა მთელი თავის ღონის ძიებას ამ გვარ შიერთებდას უნდა აღევდეს, ის უწინდელურად განხეთქილებას სთვს, და საზოგადოების გაცალცალკეებაში თავის სარგებლობას ეძებს!

როგორც უწინ ვაქნილ პირებს სალაპარაკოთ, საქადაგოთ ტკბილი სიტყვები ჰქონდათ დამზადებული, და ცხოვრებაში კი ისინი ამ სიტყვების წინააღმდეგაო იქცეოდნენ, ისე ეს ახალგაზდები ქადაგობენ პატიოსნების დაცვას, და თავის გონებას რამდენიმე თუმნათ აქირავებენ, ქადაგობენ უანგარებას, და მთელ სიცოცხლეს მდიდარი საცოლოს ძებნაში ლევენ, ქადაგობენ მდაბალ ხალხის სიყვარულს და მასზე გაცემულ მიწაში მამასისხლის ფასს ლალათ ახდევინებენ,—ქადაგობენ თავისუფლების სიყვარულს, და თვითონვე ფეხქვეშ უგორდებიან ყველას, ვისაც კი ერთი ნამცეცა ძალა და გავლენა აქვს. ერთი სიტყვით, ყოველთვის და ყველაფერში მათი მოქმედება მათ ლაზათიან სიტყვებს ეწინააღმდეგება და არღვევს...

ეს ჩემი სიტყვები რომ ამისთანა ახალგაზდას გააგონოთ ის მამინევე ყურებში თითებს დაიცავს, და გულმწარეთ გეტყვის, — ტყუილია, მე ჩემი სინიღისის წინააღმდეგ არ მიმოქმედილია...

არ გეგონოს, მკითხველო, რომ ის ტყუის, როცა ამ სიტყვებს აშბობს; არა, ეს მართლა მტკიცეთ დარწმუნებულია, რომ თუ თავის დღეში არ უთქვამს „ღალის გამორთმევა უსამართლობააო,“ ნება აქვს ატყავოს მიწის მქირავებელი გლეხი, რომელსაც მის გარდა ფეხი მოსაცვლელი არა აქვს...

მიბრძანდით, და აუხსენით ამ ახალგაზდას, რომ ის კაცი, რომელიც სხვას უპატიოსნო მოქმედებაში ამტყუნებს, და პატიოსან, სინიღისიან მოქმედებას ურჩევს, ის კაცი მეოქი ვალდებული უნდა იყოს თავისი სინიღისის წინ ნიადაგ იმ დარიგებას სდევდეს, რომელსაც თვითონ სხვას აძლევდა.—მიბრძანდით, და აუხსენით ამ ახალგაზდას, რომ იმ კაცს, რომელიც ბატონ-ყმობის მოსპობას ქადაგობდა და ჩვენ ნაბატონარებს შავი ქვით ქოლავდა, მათი სარგებლობის დაცვის გულისთვის, იმ კაცს სინიღისი გათავისუფლებული გლეხების ხელახლავ ბატონყმურ მდგომარეობაში ჩაყენების ნებას როდი უნდა აძლევდეს. მოდიოთ, და აუხსენით ამ ახალგაზდას, რომ ის თვითონ სწორეთ ისე უნდა მოემყროს მისი მიწის მოქირავე გლეხს, როგორც ის თვითონ თხოულობდა, რომ მებატონე თავის ყაზახს მოქცეოდა.—ის არც კი დაგიჯერებს, რომ ამ ორ მდგომარეობას შუა რაზე კავშირი და მგავსობა იყოს. ის დარწმუნებულია, რომ რაკი იმას მებატონეს მავიერათ სახელათ მიწის პატრონი დაერქვა, იმას აღარაფერი მორიდება და ხათრი აღარ მართებს გლეხ-კაცის წინ,

მაშასადამე იმას შეუძლიან დამშვიდებული სინიღხსით ამ გლეხკაცის შევიწროება და გაქნაჟა, თუმცა ამ გლეხს მის მეტი გზა არსაიდან აქვს...

თუ მოხდა როგორმე სასწაული, და ახალგაზდა დარწმუნდი როგორმე თავის მსგავსობაში უწინდელ მებატონესთან, ის მაშინვე იმას გეტყვის: „რა უნდა ვქნა, რითი ვირჩინო თავი,—ხომ იცი, კაცს თავის რჩენა უნდა, განსაკუთრებით როცა ოჯახი და ნათესავები ყავს... ჩვენში სხვა რიგათ თავის რჩენა შეუძლებელია ან უნდა შევიდღე სამსახურში.... ან და რაც მიწა წყალი და ტყე დამრჩენია, ის მიწა უნდა ვასარგებლოო...“

ხუთიოდე ამისთანა ახალგაზდას ყური რომ დაუგდო, დარწმუნდები, რომ ჩვენ ქვეყანაში კაცი მუდამ გულზედ ხელ დაკრეფილი უნდა იჯდეს, ამიტომ, ვითომ, რომ ჩვენში არც საქმეა ხეირიანი, არც შრომა შესაძლებელი და დამჯილდოებელი, არც ღონისძიებაა, — გლეხების შევიწროების და სამსახურში შესვლის გარდა...

მართალია ეს?

V

ვინც ერთი წუთის ვადით ჩვენს მამულს დაუკვირდება ეხლანდელ მდგომარეობას გაიხსენებს, მაშინვე დაინახავს, რომ ჩვენში ღვთის მადლით, ყველაფერში სიუხვია, მცოდნე კაცების და მოხერხების გარდა. საითაც უნდა მიიხედოს კაცმა, ყველა მხრით დაუწყებელი, ჩინებული, გამოსადეგი, საქმე სჩანს, ისეთი, რომ მისი შესრულება ათასჯერ უფრო მეტ ხეირს მისცემს კაცს, მინემ გლეხების შევიწროება, და თან მთელ საზოგადოებასაც სასარგებლოთ დარჩება: საითაც უნდა მიიხედო, ყველა მხრიდან ჩვენი მამულის ბუნება მცოდნე მომვლელის ხელს ელის აგერ რამდენი საუკუნეა, და ვერას ეღირსება, ყოველგან სჩანს ხელ მოუკიდებელი სიმდიდრე, გამოუყენებელი ძალა, და არსაიდან კაცი არ ჩნდება, რომელმაც ეს სიმდიდრე და ძალა შესძინოს ქვეყანას...

ჩვენში, რაგინდ მტკიცე და შეურყეველი ჭეშმარიტება გამოთქვას კაცმა, თუ ეს ჭეშმარიტება მაგალითით არ გამოხატა და ხელის მითითებით არ გამოთქვა, მის სიტყვებს არაფერი გავლენა არ ექნება. აზრი ჩვენში უსათუოთ მაგალითით, ზღაპრით უნდა გამოითქვას, თორემ იმას ვერავინ გაიგებს.—აქაც მე ორიოდე მაგალითი რომ არ მოვიყვანო, უიშისოთ არავინ დამიჯერებს, რომ ჩვენ ქვეყანაში ახალგაზღობას რისმე გარჩევა და რამე სარგებლობის მოტანა შეეძლო.

ავილოთ, მაგალითად, ოჯახობა, მეურნეობა. არც ერთ ქვეყანაში ეს საგანი ისეთ დაცემულ მდგომარეობაში არ არის, როგორც ჩვენში. მეცხრამეტე საუკუნეში, ჩვენ სწორედ იმ იარაღს ეხმარობთ მეურნეობაში რომელიც ნოეს წარღვნის დროს თავის კილობანში გადურჩენია, და იმავე წესით ეხნავთ, ვთესთ, მოსავალს ვიყვანთ, როგორც ნოეს დროს. იმ საქმეს, რომელსაც ეხლა ევროპაში და რუსეთში ორი კაცი უნდება, ჩვენში—ზოგი უფულობის და უფრო მეტი უმეცრების გამო—ოცი და ოცდა ათი კაცი აკვდება; იმ მიწიდან, რომლითგანაც ხეირიანი მემამულე რესეთში და სამზღვარს გარეთ ათ საპანე ღვინოს ან პურს მოიყვანდა, და თან ბალახითაც ისარგებლებდა და ან სხვა წვრილმანი საგნებით, ჩვენში მეოთხედ საპანეს ძლივს იღებენ. რა მიზეზით?—იმით რომ ჩვენი მეოჯახენი უმეცრები არიან, და უკეთესი საქმის გაწყობილება არ უნააავთ.—მაგრამ რათ არ უნახავს ეს გაწყობილება ჩვენ ახალგაზდობას, რათ არ მიუქცევია იმას ყურადღება ამოდენა ჯაჯის და სიმდიდრის კარგვისთვის, რათ არ შეუგონებია იმას მამულის მეპატრონესთვის გაუმჯობესობის, ახალი წესის და იარაღების სარგებლობა?

ამბობენ, ჩვენში ფული, შეძლება არ არის, რომ ახალი იარაღი შემოიღოს კაცმაო.—ღმერთო, რა უხეირო და უსაფუძვლო აზრია ეს, და რამდენი ხანია იმეორებს ამას ჩვენი საზოგადოება ისე, რომ არავის მისი შემოწმების განზრახვა თავში, არ მოსვლია!—მიბრძანდით, აბა, ფოთის დამოყნაში, ან ფოთის და თბილისის ტრანსპორტების და კამისიონრების კანტორებში, და იკითხეთ. რამდენი აბრეშუმეულობა, ბეწვეულობა, წმინდა ნაქსოვრება, ბატისტი და წმინდა ტილო, ოქრო, ვერცხლი, წვრილმანი, ნივთეულობა, ძვირუასი ქვა და მარგალიტი, ერთი სიტყვით რამდენი ისეთი საგანი მოდის ჩვენ ქვეყანაში, რომელნიც საზოგადოებისათვის პირველ საქიროებას არ შეადგენენ. იანგარიშეთ, რათ მოდის ეს საგნები, ვინ იხდის მათში, ფულს, და მაშინ მე დიდის სიამოვნებით მოგახსენებ, რომ იმ ფულის მეოფხედით რომ ჩვენმა საზოგადოებამ ხეირიანი ტერალი, თესლები და სხვა სამეურნეო გაწყობილება გამოიწეროს, და მეორე მეოთხედი ხეირიანი, ნიჭიერი ყმაწვილების ხეირიანათ სამეურნეო ნაწილში ასახდელათ მოიხმაროს, ხუთი-ათი წლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე გაათდებოდა მაინც, თუ არ გაცოდებოდა...

ეს, შგონია, ცხადი საქმეა. კარგი, ეხლა ეს მიბრძანეთ, რათ არ იხმარა ჩვენმა ახალგაზდობამ ყოველი ღონისძიება, რომ ჩვენ საზოგადოებაში უსარგებლო, მიმბაძავი პრანჭიობა მოესპო ან და შეეცირებინა, და სასარგებლო საქმეზე მოეხმარებინა ის, ფული, რო-

მელიც დღეს უსარგებლოთ კინკებში და სხვა ამავევარ საგნებში იკარგება... უნმარია როდისმე ჩვენ ახალგაზდობას ერთი მაინც საშუალება, ენა გაუნძრევია მაინც ამ მიზნის მისაღწევლად?—საიდან სად! ამის მაგიერათ, იმას თავისი საკუთარი ქონება, თავისი დედამისი და ცოლ-შვილის შეძლება გადაუღვეია მაგნიირივე ბრიყვულ და მიმბაძავ პრანჭობაზე....

ავილოთ ეხლა, მეურნეობის მაგიერათ, ვაჭრობა, და ვნახოთ, რისი გარიგება შეეძლო ამ საქმეში ჩვენ ახალგაზდობას და რა უნდა ექნა იმას ამ ასპარეზზე.

ჩვენში „ვაჭრობა“ თითქმის არც კია ჯერ დაფუძნებული. გამოდის სრულიად უმეცარი კაცი, რომელსაც ათი წელიწადი დუქანში გაუტარებია და მარტო ბაზრული ხერხი უსწავლია, გამოდის ამისთანა კაცი, სამოცი, სამოცდაათი თუმნით, რომელიც იმას გროშობით შეუგროვებია (მაღალმა ღმერთმა იცის რა გზით!) და მართავს თავის საკუთარ დუქანს, ვაჭრობას, „აღებ-მიცემლობას“. კითხედ აბა, რა არის აღებ-მიცემლობათქო, და ხელს მოვიჭრი, თუ არ გიპასუხებ: „ფულს ავიღებ, საქონელს მივცემ, — აი, აღებ-მიცემლობაც ეს არისო.“ ზაფხულზე შეავროვებს ის ორასიოდე ან მეტ თუმანს, ზოგ ნასესხს, ზოგს ნამზითვს, და მიდის „მაკარიას“, საიდანაც გამოაქვს საქონელი, ზოგი ნაღდ ფულათ, ზოგი ნისიათ. ამ საქონელს ის ჩვენში ნასყიდობაზე ერთი ორათ ყიდის, ან მეტ ნაკლებათ, — და გაყიდვის დროს მხოლოდ იმას ცდილობს, თუ რა გზით, როგორ წააღლიტოს მყიდველს ორიოდე ნამეტანი გროში. — ამას ჩვენში ვაჭრობას ეძახიან.

ეხლა მიბრძანეთ, რატომ არ იცის ჩვენმა ახალგაზდობამ, რომ ეს ვაჭრობა კი არაა, ღმერთმა იცის, რაა? როგორ არ იცის იმან, რომ ვაჭრობა იმაში მდგომარეობს, რომ მოხერხებული, აზრიანი, პატიოსანი კაცი ცდილობს შეიტყოს, რა ადგილს იშოვნება იაფად რომელიმე საგანი, რა გზით უჯრო სახეიროა ამ საგნის გადატანა, და რა საშუალებით შესაძლებელია ამ საგნის საჩქაროთ გასაღება: რომ მასში გაცემული ფული მალე უკან დაბრუნდეს, და ხელმეორეთ ახალი საგნის მოპოებაში და მოტანაში გამოადგეს? რატომ არ იცის ჩვენმა ახალგაზდობამ, რომ ვაჭრობა იმასაც კი უნდა ცდილობდეს, რომ ჩვენი ქვეყნიდან, ნაღდი ფულის მაგიერათ, ისეთი საგნები გაჰქონდეს, რომელთაც ჩვენში გასაღალი არა აქვს. მაგრამ სხვა ადგილებში კი კარგი ფასი ადევთ? რატომ არ იცის ამ ახალგაზდობამ, რომ ჩვენში ამისთანა საგნები ძალიერ ბევრია, და ჩვენი ქვეყნის სიკეთე იმას ითხოვს, რომ ამ საგნების გასასაღებელი ცდილი და გზა მოძებნოს ვაჭრობამ?

რადღა ლაპარაკი უნდა, რომ ეხლანდელი ჩვენი ვაჭრები ამ დანიშნულებას ვერ აასრულებენ, ამიტომ რომ მათი აზრით ქვეყანაზე თფილისის და შაქარიას მეტი ადგილი არ არის, და ვინც მათგანმა მოსკოვის და „მარსელიას“ ან „მაჩესტურის“ სახელი იცის,—ის ხომ ღვთისგან გაბედნიერებული კაცი. — უჭველია, რომ ამ დანიშნულვბის ასრულებისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ ვაჭრობას ხელი მოჰკიდონ ხეირიანმა, გონიერმა და ნასწავლმა პირებმა. მაგრამ რათ არ მოუკიდია ამ საქმისთვის ხელი ჩვენ ახალგაზდობას? განა ეს გზა ნაკლებათ დაარჩენდა იმათ, მინემ სამსახური? განა ამის გარიგება ძნელი იყო?... არა, არც სიძნელე უშლიდა იმათ, არც საშუალების უქონლობა: ისინი გაცნობილნი არ იყვნენ პრაქტიკულ ცხოვრებასთან, და იმოდენი ხასიათი არა აქვთ, რომ ბრიყუების დაცინვას და შეურაცყოფას ყური არ უგდონ, და ხეირიანი მოქმედებით და სარგებლობის მოტანით აამაღლონ ის საქმე, რომელიც ეხლა დაცემულია უკაცობისაგან და უმეცარი პირების ხელში ჩავარდნისაგან.

მე მოვიყვანე ორი მაგალითი; ადგილი რომ მქონდეს, ათ ამდენს კიდევ მოვიყვანდი, და ყველასგან ერთი აზრი ნათლად დამტკიცდებოდა: მოხერხებულ და გონიერ ახალგაზდას ჩვენშობვერი საქმის გარიგება შეუძლია, და კიდევ უნდა გაერიგებია: და თუ ჩვენ ახალგაზდობას ამ საქმეებისათვის ხელიც არ მოუკიდია და არც კი შეუნიშნავს მათი არსებობა, ეს იმას ამტკიცებს, რომ ეს ახალგაზდობა გაუხათლებელი და უნიჭო, უხასიათო პირებიდგან იყო შემდგარი...

ამ საუბარს რომ თვალი გადავაგლე, ერთი კიდევ რამ გამახსენდა: ყოველ საზოგადოებაში თვითთვეულ თაობას თავის საკუთარი ჭვირთი აწევს, და ისტორიულ ცხოვრებაში ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა: ჩემი მხრით, მე ეს ახალი სარგებლობა მოუტანე ჩემ ხალხს, ეს ახალი სინათლე ვაჩვენე; ახალი ძალა შევსძინე და ახალი გზა გაუხსენი უკეთესი ცხოვრებისკენ,—შეუძლია ჩვენ ახალგაზდობას გულზე ხელი დაიდვას, და თქვას ეს სიტყვები? მე დარწმუნებული ვარ, რომ არა. მაშ ნუ დავივიწყებთ, რომ იმ თაობას. რომელსაც ამ სიტყვების თქმის უფლება არა აქვს, ისტორია სწორეთ იმგვარათ თვლის, როგორც ცხოველების ჯოგს—რომელიც მხოლოთ მით ასარგებლებს ქვეყანას, რომ მოძოვებულ მინდორზე ნაკელს ყრის.

საახალწლო

ხატბარი მკითხველთან

Будущее светло и прекрасно. Любите его, стремитесь к нему, работайте для него, приближайте его, переносите из него в настоящее сколько можете перенести: настолько будет света и добра, богата радостью и наслаждением ваша жизнь, насколько вы умеете перенести в нее из будущего. Стремитесь к нему, работайте для него, приближайте его, переносите из него в настоящее все, что можете перенести. ¹⁾

დღეს ხვალ იანვარი დადგება, ჩემო საყვარელო მკითხველო. როცა ეს წიგნი შენ მოგივა, იანვარი კიდევ ღამდგარი იქნება. ძველი ჩვეულებისამებრ, ამ თვის დასაწყისი ახალწლით ითვლება, და ხალხი იმის პირველ დღეს ისე შეჰხარის, როგორც ახალი დროს და ახალი ცხოვრების დასაწყისს.

მიღებულა, რომ ამ დღეს ყველამ ერთმანეთს ახალი წლის დადგომა უნდა მიულოცოს, და ერთმანეთისათვის ახალი ბედნიერება და სიკეთე ისურვოს. და რაკი მე შენ ამ ბედნიერ დღეს ხელახლავ გხედავ, მეც ამ ჩვეულებას უნდა დავემორჩილო, და ახალი წელიწადი მოგილოცო, ახალი ბედი გისურვო.

წარმოიდგინე, ესლა, რომ ამ ჩვეულების ასასრულებლათ, შეხვედნის დროს, მე ამისთანა სიტყვები გითხარი: „მომილოცავს ახალი წელიწადი, ღმერთმა ესე ისე უგაგატარებინოს, როგორც ძველები, და სწორეთ იმისთანა ბედი მოგცეს, როგორიც ამდენხანს გქონია“.

¹⁾ მომავალი ბრწყინვალე, მშვენიერია. შეიყვარეთ იგი, გაემუროთ იმისკენ, იმუშავეთ იმისთვის, დაიხლოვეთ იგი, რამდენიც გადმოიღებაც შეგიძლიანთ, გადმოიღეთ იქიდან ამ ცხოვრებისთვის, თქვენი ცხოვრება იქნება იმდენათ ნათელი, საესე სიკეთით, მზიარულებით და სიამოვნებით, რამდენათაც უფრო ბევრის გადმოღებას მოახერხებთ მომავალი ცხოვრებიდან აწინდელში. გაემუროთ იმისკენ, იმუშავეთ იმისთვის, რამდენიც შეგიძლიანთ გადმოიღეთ იქიდან ყოველივე ვხლანდელ ცხოვრებისთვის *.

ამასთანავე წარმოიდგინე, რომ ამდენხანს შენ, ვთქვათ, უბედური წელაწადები გაგიტარებია და უხეირო ბედის ყოფილხარ. როგორ გგონია, მილოცვა იქნება შენთვის ჩემი სიტყვები?

ამას რალა ბევრი ლაპარაკი უნდა. შენ გაჯავრებული გულით მეტყვი, ან თუ არა და, მაინც იფიქრებ: „შე ოხერო, თუ ნატვრა გინდოდა, ახალი რამ ვერ ინატრე, — ძველიდან ხომ უშენოთაც თავი მობეზრებული მაქვს, ის ხომ უნატროთაც არ მცილდება...“

თუ გინდ ძლიერ ბედნიერიც ყოფილიყოს შენთვის ძველი წელიწადი, შენ ხომ ადამიანის გული გაქვს, არა? და ადამიანის გული ისეთი რამეა თავისი ბუნებით, რომ რაგინდ კარგ მდგომარეობაში იყოს, ახალს, უკეთესს მდგომარეობას უნდა ეძებდეს. ამის ვამო, ადამიანი, რაც ხელში უჭირავს, იმის ნატვრას კი არა, დაფასებას და ხეირიანათ მოვლასაც არ კადრულობს.

მაშასადამე, ბედნიერი იყო შენთვის ძველი წელიწადი თუ არა, შენ მაინც იმას თხოულობ და იმას უნდა თხოულობდე, რომ მომლოცველმა შენთვის რამე ახალი ისურვოს, ძველზე უკეთესი, ისეთი, რომ ძველს არ ჩამოგავდეს.

ეს „ახლის“ სიყვარული და ახლის წადილი უსაფუძლო მიზეზობათ როდი უნდა ჩათვალო, ჩემო მკითხველო. ამ გრძნობას ძალიან მტკიცე და შეურყეველი საფუძველი აქვს, რომელიც ბუნების კანონებზეა დამყარებული.

რადგანც ყოველიფერი ქვეყანაზე იზრდება, ხუცდება და კვდება, ბუნება დიდი ხანია დაღუპოდა და გაქრებოდა, გამცხოველებელი და გამაახლებელი ძალა რომ არ ჰქონდეს, რომელიც გაფუჭებული და დაძველებული ნაწილების მაგიერათ ახალს, უკეთესებს უმზადებს და აძლევს, და ყოველ ძალას, რომელიც ბუნებაში არსებობს და მოქმედობს, კაცის ცხოვრებაზედაც პირდაპირი ზედმოქმედება აქვს.

იმას გარდა, რომ ეს ძალა ბუნების თვისებაზეა დამყარებული, იმას ჩვენ პატივისცემით იმიტომაც უნდა ვიხსენებდეთ, რომ კაცის ცხოვრების გაუმჯობესობაზე და კაცის ბედნიერებაზე იმას ყოველთვის უპირატესი ზედმოქმედება ჰქონია. შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა, რა მდგომარეობაში იქნებოდა ესლა ადამიანი, რანაირი გაწყობილი იქნებოდა ესლა საზოგადოება, რაფრათ იცხოვრებდა ესლა კაცი, მის გულში ნიადაგ ახლის წადილი და უმჯობესის სურვილი არ ლეიოდეს. უფრო მეტათ შეუძლებელია ამ გრძნობის შეურაცყოფა ან მიზეზობათ ჩათვლა, როცა კაცი ვაიხსენებს, რა გზით და რანაირათ გააუმჯობესა ამ გრძნობამ კაცის ცხოვრება და ხასიათი.

როგორ გგონია, მკითხველო, თავს ხომ არ მოგაწყენს, ახალი წლის კარზე ეს გზა რომ გაეისხნოთ.

ჩვენ მხარეში იშვიათი უნდა იყოს ისეთი მკითხველი, რომელსაც ჩვენ მთებში და ტყეში კლდის ქვაბები, ლეიშები, ორმოები და დაღრუბული ხეები არ ენახოს. წარმოიდგინეთ ესლა, რომ ამისთანა ორმოში და ქვაბში სცხოვრობს კაცი, თავის ოჯახით. წარმოიდგინეთ, რომ ეს კაცი სრულიად ტიტველია, აგრეთვე როგორც მისი ცოლშვილი, რომ ის მხოლოდ იშვიათათ, ხანდისხან, თავს მეხით ცეცხლ-მოკიდებულ ხეებზე ითბობს და ნელლი ხორციით და ნამყოფებით ირჩენს თავს. წარმოიდგინოთ, ამ მხიარული სურათის დასაგვირგვინებლათ, რომ იმას ქვების და ჯოხის მეტი არაფერი იარალი არა აქვს, და მხეცებიდან თავ დასაფარავათ მხოლოდ მარდათ ხეზე შეხტომა შეუძლია. დაუმატოთ ამას, რომ ხშირათ მის გვერდით ქვაბში ტურა და სხვადასხვა ცხოველები ბუდიან,—და ჩვენ გვეცოდინება რა რიგათ სცხოვრებდენ პირველი კაცები.

გადის დრო. მხეცების ნიადაგი მივარდნა ქვაბებში და ორმოებში კაცს თავს აბეზრებს. ის ცდილობს უკეთესად თავი დაიფაროს, უმჯობესად სახლი გაიწყოს. და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ კაცს მყუდროთ მდინარე წყლებში და ტბებში დიდრონი ხეები ჩაუყრია, ერთათ შეუჭრავს, ზედ ხის ტოტებიდგან კარვები გაუკეთებია, და ამნაირი ტივის სახლიდგან ნაპირამდი ადვილათ ასაღები ხიდე გაუდვია. ამგვარ კარვებზე იმას ტყის მხეცი ვერ მიეკარება, და თუ წყალზე მავალი რამ დაეცა, ის ხმელეთზე გასვლით თავს უშეგლის.

ეს სადგომი იმისთანა კაცს რომ დაანახოთ, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ბნელ და ნოტიო ქვაბში გაუტარებია, ის, რასაკვირველია, ტივის კარვებს სასუფეველათ ჩათვლის,—და უკეთესი თუ იქნება რამე ქვეყანაზე, ვერ მოიაზრებს. მაგრამ კაცს ტივებიც მალე მოსწყინდა, და მისმა „ახლის სურვილმა“ ამას უკეთესი სადგომები გამოაგონებინა. ჯერ გაკეთდა კარავი დამალულ ადგილებში, მერე, კარვის მაგიერათ ხის შენობები მოიგონეს, და მათ გადასადგამათ ამაღლებული, მთიული ადგილები არჩიეს; შემდგომ მოიღეს ქვის შენობა, ამას კირის და სილის ხმარება მოყვა და ბოლოს ჩვენ ისეთ ქვეთკირის შენობაებს ვხედავთ, რომელნიც ჩვენებურ სახლებს ემსგავსებიან.

სადგომი ხომ ამ რიგათ უმჯობესდებოდა. ესლა ენახოთ ტანსაცმელს რა და რა ცვლილებები მიადგა.

ჯერ კაცის სხეული ტიტველა იყო, და ზედ ბალნის მეტი არა მოიძებნებოდა რა. — შემდგომში, როცა მონადირე კაცმა, მოკლული ნადირის მხარზე ვადების დროს, ნადირის ტყავის სითფო გაიციწო, — შემოიღეს სხვადასხვა ცხოველების ტყავის მოსხმა და ჩაცმა... მაგრამ, რადგანც უბრალოთ მოსხმული ტყავი ქარს მაინც ვერ აკავებდა და სიტყვეს მაინც ვერ აცილებდა კაცს, შემოიღეს ტყავების შეკერვა ისე, რომ ტყავს ყველა მხრიდან კაცის სხეული დაეფარა. ამ გამოგონებას მოყვა ნაბდის და შალის კეთება, მოყვა ტილო, ბამბის ნაქსოვები და სხვ. და ეხლა საქმემ იქნამდი მიაწია, რომ აბრეშუმით და ძაფით ობობიას ნაქსელის გაკეთებაც კი შეუძლია.

იარალი?

წელანაც ნათქვამი იყო, რომ თავდაპირველათ კაცს ქვისა და კეტის მეტი იარალი არა ჰქონია რა. მაგრამ შემდგომში, როცა ქვის ხმარების დროს იმან შენიშნა, რომ თხელი და პირბასრი ქვა მრგვალზე უფრო გამოსადეგი იყო ზოგიერთი საგნების ქრაში და პობაში, იმან თვითონაც ქვას განგებ გალესვა და გათლა დაუწყო, რომ მკრელი, ბასრი ქვა გაეკეთებინა. მერძე, რაკი ქვა ძლიერ ადვილათ ტყდებოდა და ფუჭდებოდა, გამოძებნეს სპილენძი, და დიდხანს, მთელი საუკუნეების განმავლობაში, კაცს მეტი იარალი არა ჰქონია.

მაგრამ სპილენძი რბილი მადნეულია, და მისი შემწეობით კაცი ბევრს ვერც კი გასჭრის; ამისგან, როცა კაცი უცაბედათ რკინას წაატყდა და მისი სიმაგრე, და მომზადება გაიგო, სპილენძის იარაღმა მაშინვე თავისი ადგილი ჯერ რკინისას და მერმე ფოლადისას დაუთმო.

ჯერ იარალი მარტო ერთი მხრით გალესილი ნაჭრიდგან შედგებოდა, ანდა ბასრი ისარიდგან. მაგრამ თანდათან სხვადასხვა საჭრელი, სახერეტი, საპობი, სახერხი, სარანდველი და სხვა იარალი მოხგონეს; და რაც უფრო მეტი დრო მიდიოდა, მით უფრო და უფრო მოხერხებულ იარაღს იგონებდენ და შრომას აადვილებდენ.

უნდა ნახოთ, კაცი რა რიგათ მგზავრობდა უწინ. კატა რომ ეხლა თავის კნუტს დაათრევს, სწორეთ იმნაირათ აიკიდებდა რაც რამე გააჩნდა, და მიათრევდა სადაც წასვლა დასჭირდებოდა; რისიცი წალებას ის ვერ მოახერხებდა, ის იქვე უნდა დარჩენილიყო, — და ეს, მაშინ, სრულ დაკარგვას ნიშნავდა. გვარიანი ხანი გავიდა, ვინემ კაცმა სხვადასხვა ცხოველები შეიჩვია, დაიმორჩილა და იმ რიგათ გაზარდა, რომ თავის საჭიროებისათვის მათი ხმარება შესძლებოდა. როგორც იქნა მოშინაურდა ხარი, ცხენი, ვირი, და გამარჯვებული კაცი დიდხანს გულამაყათ ათრევდა ამ ცხოველებზე თავის ქონებას

და თავს. რა გამარჯვებით, რა გაადვილებათ მიანჩღათ მაშინ ცხოველების დამონება! მაგრამ შემდგომში, როცა კაცის ქონება გადიდება, როცა იმან გვარიანათ მოჭორებულ ადგილებთან მისვლა-მოსვლა გამართა, ხარი და ცხენი იმას ნამეტნათ გვიან და სუსტ ცხოველებათ ერგენა, დე მისმა დაუცხრომელმა აზრმა ხომალდი, ორთქლის გემი, რკინის გზა და სხვა მოიაზრა.

ცხენით და ხარ-კამბეჩით მოგზაურობა, ხიჩმ ძლიერ ძნელი და გასაჭირი საქმე იყო, ისეთი, რომ ვისაც გასაჭირი არ ადგა, გზას თავის დღეში არ შეუდგებოდა. — მაგრამ ამაზე უფრო ძნელი საქმე ერთი ადგილიდან მეორეში ამბის გადაცემა იყო. კაცს ან ვინმე უნდა გაეგზავნა, და მისთვის ამბავი დაებარებინა, ანა და თვითონ უნდა წასულიყო, ორიოდ სიტყვის სათქმელათ, რამდენიმე დღის სავალზე და ერთი წუთის საქმესთვის მთელი თვე და ხანდისხან მეტიც უნდა დაეკარგნა. ეს ძლიერ ძნელი საქმე იყო, და კაცი, როგორც იქნა, ერთი მეორეს შემდეგ, სხვადასხვა საშუალებებს იგონებდა, ამ გასაჭირის თავიდან ასაცილებლად. ჯერ მოიგონეს გზებზე, ხეებზე და ქვებზე უხეირო ნიშნების სმა, — ვინიცობაა, იქნება ვისთანაც შე მინდა მოლაპარაკება გამოიაროს, ნიშანს თვალი მოჭკრას და ჩემი აზრი გაიგოსო. შემდეგ მოიღეს ფიცარზე, ცხვრის ტყავზე, ან ბეჭზე, ანა და ერთნაირ მცენარის ფოთოლზე ნიშნების სმა და მოსამსახურის ან მგზავრის ხელით გზავნა, დანიშნული პირისთვის გადასაცემლათ. უნდა იცოდეთ, რომ ასოების მაგიერათ მაშინ საკვირველ ნიშნებს ხატავდენ: დანიშნავდენ რგოლს — და წამკითხველი ამით უნდა მიმხვდარიყო, რომ დამწერს შხის დახატვა ნდომებია და ალბათ აზრში დღე ან წელიწადი ჰქონია. — ამ რგოლს ვთქვათ გვერდში გველს დაუხატავდენ — ეს მოხერხებას თუ ოსტატობას აჩვენებდა. ამაზედ დაამატებდენ ბუს, ან მელას, ან კრუხს, — და მთელი აზრი გადაცემული იქნებოდა. მართალია მიმღებლები ხშირათ არც კი იგებდენ მაგნიარ ბარათებს, მაგრამ დამწერს მეტი რა უნდა ექნა? თანდათან გამოიგონეს ასოები, ანბანი, გამოიგონეს წიგნის წერა, მოსამსახურის გზავნა და ბოლოს ეგეც მოახერხეს, რომ როცა რომელიმე ქალაქიდან მეორეში ბევრ პირს ექნებოდა გასაგზავნი წიგნები, მრავალი მოსამსახურის მაგიერათ, ერთს რომელსამე გზავნიდენ, და ყველას წიგნებს მარტო იმას ატანდენ.

როგორც გასაჭირი იყო სხვა ადგილში ამბის გაგზავნა, ისე ან უფრო მეტათ სჭირდა ერთი თაობიდან მეორეში ამბის და მოთხრობის გადაცემა. მთელი საუკუნოები, მთელი ხალხები გაქრენ ისე, რომ მათ შთაშობავლებისათვის სანიადაგოთ დაფარული მათი ცხოვე-

რება და მოქმედებები არ გადმოიჟციათ. როგორც იქნა მოიგონეს უზარმაზარი პირამიდების აშენება და ზედ შესანიშნავი ამბების ქვაზე ამოტოხნა, ჯერ ნიშნებით, მერმე ასოებით. ბოლოს გამოტყვენეს წიგნების წერა, რომელიც თავდაპირველათ ძნელი და უძალო საქმე იყო, ამიტომ რომ წიგნი გადაწერის გამო ძვირათაც ჯდებოდა, და შეცდომებითაც სავსე იყო. მერმე გამოიგონეს ფიცარზე ასრების ჭკულმა ამოჭრა, ზედ მურის წასმა და ქალაღზე დაჭირება, რომ ასოებზე წაცხებული მური ქალაღზე პირდაპირ გადასულიყო.

ეს მუშაობა ჯერ მინც ძნელი იყო, ამიტომ რომ ყოველი ახალი წიგნის დასაბეჭდათ ახალი გვერდები უნდა ამოეჭრათ. ამ სიძნელის მოსაშორებლათ შემდგომში ისეც მოიგონეს, რომ ცალ-ცალკე ერთად ააწყობდენ, როგორც საჭირდება მოითხოვდა, მერე შეკრავდენ, და დაბეჭდავდენ; დაბეჭდვის შემდეგ კი იმ ასოებს გადაარჩეოდენ. რომ ისინი შემდგომში სხვა წიგნებისათვისაც გამოდგომოდათ.

რა საგანიც უნდა ავიღოთ, ჩვენ ყოველგან ამ გვარსვე პირვანდელ უგუნურებას და იმას შემდეგ გაუმჯობესობას დავინახავთ. ავიღოთ, თუ გინდათ, დროს ანგარიში. თავდაპირველათ კაცმა ისიც არ იცოდა, თუ რა იყო დრო. მერმე, დღეს და ღამეს შუა აშკარა განსხვავება იმის ტვინში ჩაიბეჭდა, და იმან დრო ორ ნაწილათ გაყო: ბნელ და ნათლათ, ესე იგი ღამეთ და დღეთ. მერმე გაარჩია დილა, შუადღე და საღამო. მაგრამ რა ფასათ უჯდება იმას ეს გარჩევა!... ჯერ კაცი ნიშნავს, რომ კატის თვალის ბაია დილას ვაშლივით რვალი და ფართოა და შუადღის ხანს კი ძაფსავით ვიწრო და გრძელი. — შენიშნა იმან კიდევ, რომ სწორეთ დასობილ სარს დილასაღამოს გრძელი ჩრდილი დაყვება, შუადღის ხანს კი მოკლე და შენიშნავი. და ეს ორი შენიშვნა იმას დიდხანს საათის მაგიერობას უშვრება. კატის თვალის ბაია და სწორეთ ჩასმული კეტი იმან დროს გამოცნობაში ეხმარებინან. შემდგომ კაცი ნიშნავს, რომ ვიწრო ქუთრქელიდგან წყალი ან სილა ერთ რიგი სიჩქარით გამოდის. ამ შენიშვნის ძალით კაცმა წყლის და სილის საათები გამართა და მასაქეთ ბევრი საუკუნე გავიდა, სანამ კაცმა ის ჩინებული მანქანა მოიგონა, რომელსაც ეხლა ადვილათ შოვნულობ და დაატარებ — საათი.

ამდენ ხანს მე ისეთ გაუმჯობესობას და ცვლილებებს ვსთვლიდი, რომელიც მხოლოდ გარეგან ცხოვრებას შეეხება. მაგრამ სხვა გაუმჯობესობაც რომ გავიხსენოთ, მაგალითად აზრის გადასხვაფერება, გონების გახსნა და სხვა, ჩვენ იმავენაირ უკეთესობას დავინახავთ. თავდაპირველად კაცი თითქმის სრულიადაც არ ჰფიქრობს, —

ის პირდაღებული გარშემო იხედება, და უბრალო ცხოველსათვის ბელს ავლებს ყველაფერს, რასაც კი მისი მუცლის გაძღება შეუძლია. თანდათან მისი ტუჩი მუშაობას იწყებს; კაცი აკვირდება იმას, რაც მის გარშემო ხდება; და ცოტოცოტათ მოაზრებას, ფიქრს ეჩვევა. მაგრამ როგორია მისი პირველი აზრები! მისი აზრით, მზე, მთვარე, და მთელი ქვეყანა მხოლოდ მის გულისთვის გაჩენილან, და მისი ცქერის მეტი საქმე არა აქვს რა; მთვარე ადვილათ გაიგონებს რასაც კაცი აქ დაიწერს, ადვილათ დიამახსოვრებს მის მოქმედებებს, და სხვა. — წვიმას მზე გზავნის: ის პირის ბანის დროს, წყალს აქცევს, და წვიმა ეს — წყალია. ვინცმზეს ან მთვარეს ერთგულათ ემსახურება და თავიანს სცემს, ის ნეტარებას ეღირსება, ვინც არა და — არა.

ამგვარი აზრები მკითხველს ძლიერ ბევრი უნდა ახსოვდეს, ისე რომ მე საჭიროთ არ ვრაცხ ამ საგანის გაგძელებას...

აზრის შეცვლა, რასაკვირველია, კაცის ცხოვრების წესსაც შეცვლიდა და გააუმჯობესებდა. მართლაც, არც ერთი დაწესებულება, რომელიც კი კაცს ჰქონია, ამ გაუმჯობესობას ვერ ასცილებია. ავილოთ, სამაგალითოდ, საკუთრება. პირვანდელი კაცი ყველაფერს, რესიცი ალება და დაკავება შეეძლო, თავის საკუთრებათ სთვლიდა, ცოლი და შვილი რომ მისი საკუთრება იყო, ამას რა-ლა თქმა უნდა. აქ შესანიშნავი იხ არის, რომ თავდაპირველათ კაცს, თავის აზრში, კაცის არსება თავის საკუთრებათ ჩაეწერა და მისი სიცოცხლე თავის სრულ უფლებაში დაეტოვებინა. „საკუთრებას“ უფლებით იმას მონის მოკვლა შეეძლო, და კანონი იმას ხმასაც ვერ გასცემდა. მერმე მონის სიცოცხლეზე უფლება პატრონს ჩამოაკლდა, და მის საკუთრებათ დარჩა მხოლოდ გლენჯაკის შრომა. მაგრამ, რამდენიმე ხნის შემდეგ ძალდატანებითი შრომის ვალდებულებაც მოისპო, ისე რომ კაცს ნება არა აქვს სხვა ძალდატანებით ამუშაოს. როგორც უწინ, კაცის სიცოცხლეზე უფლება გამოირიცხა კაცის საკუთრებისგან, ისე გამოირიცხა შემდეგში კაცის შრომაზედ უფლებაც. ესე იგი, მონების შემდეგ მოდის გლენჯობა, და გლენჯობას მოჯამაგირობა, მოქირაობა მოსდევს...

ქალის მდგომარეობაც სწორეთ ამ რიგათვე შეიცვალა, ან უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, შეიცვალა კაცის აზრი, შეხედულობა ქალის დანიშნულებაზე; შეიცვალა კაცის უფლება ქალზე. პირველ საზოგადოებაში ქალი ავეჯათ მიიჩნიათ; იმას არც ნშა, არც ძალა, უფლება აქვს. შემდგომში, ის თავისი შნოთი ცოტაოდენს გავლენას პოულობს, და კაცი იმას მხოლოდ მისი სილამაზისთვის, სიამოვნე-

პისათვის ფასებას უწყებს. ქალის მდგომარეობა კეთდება, მისი ჩასათიცი ცეცლება, და ქალი კაცობრიობის საქმეებში მონაწილეობას იღებს. ამ მდგომარეობაში მისი ბედი უწინდელს როდილა ჩამოავს: უწინ რომ იმას ცხვარსავით ან ხბოსავით სცვლიდნენ და ჰყიდდნენ, მის დაუკითხავათ თხოულობდნენ და აგდებდნენ, შემდგომში იმას თავის თავზე ცოტა ხმა მიეცა და კაცი, მისი აღერსის მოსაპოებლათ, მის ნებადაყოლას ეძებს. შემდგომში ქალის ბედი უფრო მეტათ უკეთესდება: იმას მარტო ერთგვარ სიამოვნებისათვის კი არ აფასებენ — მის ჰზრს პატივის ცემას უწყებენ, მის ქონებას აფასებენ, და საზოგადო თუ საშინაო საქმეში უიმისოთ აღარას შურებიან. და ქალი, მონისგან, „თანამემცხედრესგან“, ერთი წუთის სიამოვნების ქურჭლიდგან, კაცის თანასწორე ამხანაგი, მისი დამხმარებელი ხდება...

ჩვენში დღესაც ძლიერ ბევრია ისეთი პირები, რომელნიც თავისი საკუთარი თვალით დასწრებიან უწინდელ დროში კაცის უბედურს, თითქმის ველურს მდგომარეობას. იმათ ადვილათ შეუძლიათ ძველი დროს მოგონებით დაამოწმონ ჩვენი სურათების სისწორე და გამოხატონ, ზოგიერთ საგნებში მაინც, კაცობრიობის მდგომარეობა გაუმჯობესდა რა გზით.

რა ლაპარაკი უნდა, რომ მათი სიტყვები და მოგონება ყველაფერში დამტკიცებს, რომ თავდაპირველში კაცი საშინელ ცუდ მდგომარეობაში ყოფილა, რომლისგან ის გაუმჯობესობის სურვილს და ახალის წადილს ამოუყვანია. უწინდელი მისი მდგომარეობა და ახრი თანდათან ნელ-ნელა შეცვლილა, გაუმჯობესებულა, და დღევანდელი მისი მდგომარეობა ერთი ათასათ სჯობია უწინდელს...

მართლაც, რაგინდ მხურვალეთ უყვარდეს მოხუცებულ კაცს „ძველი“ დრო და ძველი ჩვეულება, რაგინ გულწრფელათ სტიროდეს ის წასულ დღეებს და დაკარგულ ახალგაზნობას, დღეს იმას არაფრის ნაირათ არ შეუძლია ახალი დროების უკეთესობა დამალოს და ძველი ახალს ამჯობინოს. წედან რომ ზოგიერთი უწინდელი მდგომარეობაები ჩამოვთვალეთ, ეხლანდელი მათი სურათი რომ დაეხატათ, მაშინ ეს უმჯობესობა ისე ნათელი და ცხადი იქნება, როგორც დღე.

წედან რომ კაცის უწინდელი სადგურები მოვითვალეთ, იმათ რომ ეხლანდელი ქვეტკირის სახლები შევადაროთ, რა საშინელ განსხვავებას ენახავთ! რა ჩინებულათ დახურულია ეს სახლი წვიმისაგან და ქარისაგან, რა საუცხოოთ იცავს ის კაცს სიცხიდან და სიცივიდგან, მყუდროთ და წყნარათ შეუძლია კაცს შიგ თავის შეფარება და ცხოვრება!...

შეადარეთ ეხლა ამ უბრალო ქვიტკირის სახლს რომელიც ჭინდა ეხლანდელი სასახლე, — შშენიერათ და საკვირველათ შემაგრებული კაცის ყოველნაირ მოთხოვნილებისათვის, და თქვით, ვისი ტვინი, მდგომარეობა, ვისი დრო უნდა სჯობდეს, იმ თაობის, რომელსაც ამისთანა სახლები და სასახლეები სიზმარშიდაც არ მოლანდებია, თუ იმის, რომელმაც თვითონ გამოიგონა ან და გააშუქობესა და გააშშენიერა ეს საკვირველი შენობაები?

ტანსაცმელზედაც ჩვენ ამგვართვე დავინახავთ, რომ უწინდელი ხამის თუ ტყავის სამოსლის მაგიერათ, ეხლა უბრალო კაციც იმნაირათაა ჩაცმული, რომ უწინ მისი ტანისამოსი დიდ კაცებისათვისაც სადღესასწაულოთ ჩაითვლებოდა. რა და რა რიგი ტანსაცმელი არ გამოუგონია ეხლა კაცს, ნიავსავით მსუბუქი გინდათ, თუ აბანოსავით. თბილი. თავიდან ბოლომდე გამსჭვერი, ისეთი, რომ მისი ჩამცმელი კაცს ტიტველათ მიანჩდეს, თუ იმგვართ გაფისული და შემზადებული, რომ შიგ ვერაფერმა წვიმამ და სეტყვამ ვერ გაატანოს? მიადარეთ ეს ტანისამოსები თუ გსურთ მეფე სოლომონ ბრძენის ტანსაცმელს, და მითხარით, რომელ თაობას უფრო მოხერხება და მიგნება უნდა ჰქონდეს, რომლის დრო და მდგომარეობა უკეთესია, და რომელს უფრო უნდა შენატრიდეს კაცი?...

შეადარეთ აგრეთვე დღევანდელი დანები, იარაღი, თოფ-ზარბაზანი, დღევანდელი საექიმო გაწყობილება და ყოველგვარი ჩარხები იმ უბედურ გაღესილ ქვას, რომელიც პირველ კაცებს საუკუნეების განმავლობაში ყოველნაირ მუშაობაში უნდა გამოეყენებინათ, შეადარეთ მისი სიმარდე და მუშაობის ცოდნა უკანასკნელი ეხლანდელი მოსწავლე ქარგლის მდგომარეობას და ცოდნას, და თქვით, ცოტა გზა გამოუვლია კაცს, და რა ძალა, რა შრომა რა სურვილი დასჭირდებოდა იმას ამ გზის გასავლელათ.

ეხლა სამგზავროდ, ხარკამბეჩის მაგიერათ ორთქლის გემი და რკინის გზა აქვს კაცს, რომლის შემწეობით საქართველოს ერთი ბოლოდგან მეორემდე დილიდგან შუადღემდე გავლა შეიძლება, და რომლითაც შესაძლებელია შეუფერწოებლათ ასი ულელი ხარკამბეჩის ერთბაშათ და იმავე ვადით წაყვანა. ამბის გადასაცემლათ, მოსამსახურის გაგზავნის, ან საკუთარი ფეხით წასვლის მაგიერათ, კაცს ეხლა, ერთი წუთის განმავლობაში შეუძლია თავისი ახრი ამერიკაში გაგზავნოს, და მეორე წუთში პასუხი მიიღოს იმისთანა მხარედგან, სადაც წასასვლელ ცხენოსან კაცს ხუთი წელიწადი მაინც დასჭირდება. ახრის გადაცემა რაა? ტელეგრაფში ეხლა ისეთი ჩარხები და გაწყობილებაა მიღებული, რომ ერთი წუთის განმავლობაში

ბუთი წლის სავალზე შეიძლება თქვენი, ხელნაწერი ბარათის, თქვენი დახატული სურათის, თქვენი საკუთარი სახის გადაცემა. წადით და მოახსენეთ ეს ამბავი რომელიმე ძველი დროების ბრძენს, თუნდ ვთქვათ, ნაპოლეონ პირველს — მაგრამ გაუფრთხილდით კი, რომ გიყად და ცრუთ არ ჩავთვალოს და გიყების სახლში არ ჩავსვას, ან სიცრუისთვის დახვრეტა არ გადაგიწყვიტოს.

ერთი სიტყვით, საითაც უნდა გადაავლოს კაცმა თვალი, ყოველიდგან შეუდარებელ უკეთესობას და უმჯობესობას დაინახავს. კაცს რომ უწინ წინააღმდეგის მოქმედება არ შეეძლო, და ყველასი უნდა შინებოდა, და ალერსით მოპყრობოდა, ესლა იმან თავისი პატივი იგარძნო, და შეუძლია მხოლოდ იმას გაუგონოს, მოეპყროს კარგათ, ვისზედაც გული აქვს. უწინ რომ ათასს კაცში ნახევარზე მეტი ხუთ წლამდი კვდებოდა, და მხოლოდ ერთი ორმოც-სამოც წლამდი სძლებდა; ესლა ას კაცში ორი მინც აწევს ამ ხანამდის, და კაცის სიცოცხლე—საზოგადოთ—ერთი ღრათ გაგრძელდა. უწინ რომ ომის ჟამი და ვაი-უბედურობა, იმ რიგათ ლეწდა, რომ მთელი მხარე ერთბაშათ უკაცოთ რჩებოდა, ესლა ეს რისხვა თან-და-თან უფრო და უფრო მკირდება და კაცის გონების და ცოდნის წინ იკარგება. ერთი სიტყვით ყველაფერში, ყოველგან, რაც კი უნდა ავიღოთ შესადარებლად, დავინახავთ, რომ ესლანდელი მდგომარეობა, ესლანდელი ტვინი და მოხერხება უწინდელზე შეუდარებლათ უფრო მალლა დგას და უფრო სადიდებელია...

ეს ყველაფერი ითქმის და უნდა მიიღებოდეს მხოლოდ წარსულთან შედარებით, ჩემო მკითხველო. ჩვენ ბედნიერ მდგომარეობაში ვართ, თუ ჩვენ ესლანდელ სიცოცხლეს უწინდელს შევადარებთ და უწინდელ ჩვენ უბედობას თუ გავისხენებთ. მაგრამ როგორც კი წარსულს დავივიწყებთ ან მომავლისკენ თვალს მივაქცევთ ოჰ, რა ბნელი და ნაკლულევანი გვეჩვენება ჩვენ მაშინ ესლანდელი მდგომარეობა, რამდენს უხეირობას დავინახავთ ჩვენ შიგ, რამდენს უმზგავსობას, და რამდენი ცვლილება გამოგვიჩნდება მაშინ აუცილებელ საჭიროთ...

რახუნდაც უნდა მიაქციო მაშინ ყურადღება, ყოველგან ნაკლულევანებას შენიშნავ: აქ მთელი მხარე ფიცრული სახლებში დგას, რომელშიაც ქარი გაჰკრავს-გამოჰკრავს და წვიმა როგორც გარეთ, სახლში ისე ჩადის. იქ მთელი ხალხი მიწის- ორმოში, კვამლში, ქვარტლში ატარებს თავის სიცოცხლეს. ერთ ალავს ყანას ხარ-კამბენით ამუშავენ, მეორეს ბარით და თოხით. ზოგან კაცი ქალს საზოგადო საქმეების განხილვის და წაყვანის ნებას არ აძლევს, მამა შეი-

ლის აღზრდას ვერ ახერხებს, ქმარი ცოლს ჯოხით სცემს, ცოლი ქმარს მტერსავით ეპყრობა და ატყუებს, მეზობელი მეზობელს ექიშპება და ერთი მეორის დაცემით და დაჩაგვრით სცხოვრებს, ხალხი მთელ ხალხს თავზე ეცემა და ბრძოლის ველი ასი ათასობით მოკლული ადამიანებით ივსება, ერთი სიტყვით — ყოველგან ჩვენ საზარელი რამე წინ გვიდევს. ყოველგან რომელიმე ძველი უმეცრებისა და ბატონოების კვალი შეგვაჩერებს, და თუ ჩვენი გული წრფელია — გაუშვავობის წადილს აღძრავს ჩვენში.

მაგრამ როცა გონიერი და პატიოსანი კაცი ამგვარ უხეირობას ან უმეცრებას ხედავს, და მის მოშლას, მისმაგიერ ხეირიანი წესის ან საგნის შემოღებას მიიხდომებს, ძველი დროების კაცი მას წინ უდგება, და გულბრაზაჲთ, ამაყთა ეუბნება: „რა ნება გაქვს, ადამის წლიდან დაარსებული საქმე შესცვალო, ვისი რა ხარ, ჩვენი წინაპარების ქკუა რომ არ მოგწონს, მათ დაწესებულ ჩვეულებას არ სდევ და მაგიერათ შენს საკუთარს ახალ რიგს აწესებო. ამნაირი შეურაცყოფა ძველი ჩვეულების, ძველი წესისა, და მამა-პაპური გონების გამობაზე, უარესი ცოდვა რამ არისო! ამას შენ უგნურობით, ცუდკაცობით შვრები, ფუი შენ კაცობასო!“

დიახ, ჩემო ძკითხველო, ამ სიტყვებით შეეხება ყოველს ახალ აზრს, ყოველ გაუმჯობესობას ის კაცი, რომელიც წელან თანახმა იყო, რომ ეხლანდელს დროში კაცი უწინდელზე უკეთ ცხოვრობს და უმეტესი მოხერხება აქვს, — ამ სიტყვებს ესერის ყოველ ახალ მოგონებას ის კაცი, რომელიც წელან ტყდებოდა, რომ ორთქლის გემზე მოგზაურობა მამა-პაპურ ჯვარს სჯობია და დეპეშის გაგზავნა შიკრიკზე უფრო ადვილათ შეიძლება და იაფათაც ჯდებაო!

აბა მიბრძანდით, მიეკარეთ ამ კაცს, და მუსაიფი გააბით მასთან.

— ჩინებულნი მოგონება არ არის, ბატონო, რკინის გზა? საუბრეს რომ თბილისში მიირთმევთ, სადილათ თქვენ დისწულთან წაბრძანება შეგეძლება თუთაისს და ვახშმათ ისევ გორს ან თბილისს დაბრუნება.

— უცხო რამეა თქვენმა სიცოცხლემ!

— ძალიან არ ჩამოგავს, თქვენი რისხვა არა მაქვს, ამ ჩვენ დალოცვილ ურემს! სანამ თბილისიდან დუშეთს ოჯახს მიიყვანდი, სული კი ამოგძვრებოდა და... ეს მამაცხოვნიებული ჩვენი ძველები რა-რიგათ სძლებდენ, საკვირველია!

— ნუ იტყვით, ყრუ კაცები იყვნენ, საბრალონი.

დიახ, მკითხველო, სწორეთ ამ სიტყვებს გეტყვის... ჩვენი ძველები „ყრუ კაცები იყვნენო“.

კარგი და კეთილი. შესცვალეთ მაშინვე საუბარის საგანი, და თქვით, პეტერბურგში ქალებისთვის თანამდებობა მიუციათ. სამსახურში მიუღიათ და ანგარიშების წიგნები მიუბარებიათ-თქო. დღეს თუ ხვალ მათთვის იქნება მაღალი სასწავლებელიც გამართონ, რომ ქალმაც იმდენი იცოდეს, როგორც კაცმა, — უნდა ნახოთ მაშინ, რანაირათ შეხტება და შემოტრიალდება ეს თქვენი მოსაუბრე.

— წახდა, თქვენმა სიცოცხლემ ეს ქვეყანა! არა, თუ ღმერთი გწამთ, ეს ვისღა უნახავს, ქალი რომ დარბაზიდან გამოჰყავდეთ და ანგარიშის წიგნებს აბარებდენ? რა ვქნა, ეს ჩვენი წინაპარები, ის დალოცვილები, სულელ კაცათ არავის მიაჩნია, და თუ ქალს სამსახური მოუხდებოდა, ისინი კი ვერ მისცემდენ ადგილს? თუ არ მიუციათ, ცხადია, რომ სამსახური ქალის საქმე არაა... ღმერთო ჩემო, ეს რა ცეცხლია!..

საუცხოვოა, ჩემო ბატონო, მაგრამ ჩანგალი გამოსადეგი იარაღია თუ არა? ან ექვსლულიანი დამბაჩა სჯობს თუ არა ვენეტიკის დამბაჩას? ანდა ქალამანი სჯობია, თუ კარგი ჩექმა-კალოში? ხომ ჩანგალი, რევოლვერი, კალოშები კარგი რამეა? მაშ რატომ ამ ჩვენ ძველებს (ღმერთმა საუკუნო განსვენება ძიანიჭოს) არ სცოდნიათ და არ ჰქონიათ ეს იარაღები? და თუ არ ჰქონიათ, ცხადია თუ არა, რომ ამათ ბევრი სასარგებლო საგნების ცნობა არ ჰქონიათ, რომ ისინი ბევრ საგნებში, ბევრ საქმეებში თქვენი წელანდელი სიტყვის არ იყვენ, „ყრუ კაცები“ ყოფილან? რა ჭკუა უნდა ვკითხო, დღევანდელ დროში გამოსადეგი, იმ კაცს, რომელსაც ეს საგნები არ სცოდნია? გიჟი არ ვიქნები იმას რომ ვკითხო, შიბრძანე, თქვენი ქირიმე, ჩანგალი ხელში როგორ დავიჭირო ან რევოლვერი საიდგან გავტენო მეთქი?

— ჩანგალი რაა, სასმელია თუ საქმელიო, მკითხავს ის, ლაპარაკი რომ შეეძლოს, ან და მეტყვის — შენც შეგარცხვინა ღმერთმა და შენი რევოლვერი არის თუ რალაცაო!.. ამ ორი პასუხის მეტს თუ რასმე გამოდნებით, კარგ და მარჯვე ბიჭს დაგიძახებ.

მაშ ქალების მდგომარეობის გაწყობაში, ან ახალ წესის შემოღებაში, ან ახალი აზრის გარკვევაში რათ უნდა დავემორჩილოთ ჩვენ ძველების გაურკვეველს და გაუჩვეველს აზრს, რათ უნდა გვიდგეს ნიადაგ ჩვენ წინ მათი გათეთრებული და დაცარიელებული ძვლები, და რა სამართლით უნდა გვიშლიდენ ისინი ჩვენ ცხოვრების მდგომარეობის გაუმჯობესობას?

განა თვითონ ამ ძველებს, მათი ძველების ძველებმა შეილდ-ისრის მაგიერათ თოფის შემოღება დაუშალა? განა ამ ჩვენმა ძველებმა

რომ დაინახეს თავიანთი ძველების 'შეცდომა, და ყრუ კერპთაყვანის-
ცემის მაგიერათ ქრისტიანობა მიიღეს, ცუდი საქმე ჰქნეს, რომ ძვე-
ლების ჰკუთას არ დაეკითხნენ და თავიანთზე გაიარეს?

არა, ჩემო ბატონო, კაცობრიობას არც ერთი გაწყობილება,
არც ერთი ჩვეულება არ ჰქონია, და არც ეხლა აქვს ისეთი, რომ
სამუდამოთ კეთილი და შეუსცვლელათ გამოსადეგი ყოფილიყოს.
ყოველიფერს ნიადაგის გაუმჯობესობა ეჭირებოდა, ყოველიფერი
ნიადაგ უნდა იცვლებოდეს, ახლდებოდეს და უმჯობესდებოდეს. ამას
თხოულობს ბუნების მოთხოვნილება. კაცი ვერასოდეს ვერ ეწინააღმდე-
გება, ან თუნდ წინააღმდეგობა შეეძლოს, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

მაშასადამე, ჩემო მკითხველო, ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმ
პირების გოდებას, რომელნიც ძველებს ხან „ყრუ კაცებს“ ეძახიან,
და ხან ბრძენათ სთვლიან. ვიყოთ სამართლიანი და გონიერები: პა-
ტივისცემით მოვიხსენიოთ ჩვენი ძველების გმირობა, მათი თავგან-
წირული სიყვარული საზოგადო საქმისათვის, მათი მხურვალე და
პატიოსანი გული, ვეცადოთ ამ საგნებში მათ შევედაროთ და მათს
მაგალითს ვსდევდეთ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ კაცის გო-
ნების გახსნა თანდათან მატობდა, და ჩვენი ძველების ჰკუთა, მათი
ანდაზები და ჩვეულებები იმნაირათვე გამოუდგვარნი არიან ჩვენთვის,
როგორც ჩვენი შვილებისთვის და შვილის-შვილებისთვის ჩვენი სა-
კუთარი სწავლა და გონება იქნება...

თუ ასეა და, ვეცადოთ მომავალ წელიწადში, რომ ახალი წე-
ლიწადი მართლაც ახალი იყოს და ძველებს სჯობდეს. ვეცადოთ
რომ იმან ჩვენ სიცოცხლეში ახალი ბედი, ახალი სინათლე შეიტა-
ნოს, რომ ჩვენმა სიცოცხლემ ფუჭათ არ ჩაიაროს და კაცობრიობის
ისტორიაში, ჩვენ ცხოვრებაში ერთ საფეხურათ გამოდგეს იმ კიბი-
სა, რომელითაც თან-და-თან მალდებდა კაცობრიობა.

„კრებულის“ დანიშნულებაზე

„კრებული“⁵ დღეის იქით ჟურნალათ გამოიცემა. ეს ცვლილება მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ „კრებულის“ წიგნები დანიშნულ ვადაზე გამოვლენ, თვეში ერთხელ და უწინდელს მის შინაარს ახალი ნაწილები — „მიმოხილვა“, „კრიტიკა“ და სხვა დაემატება. არა: ჟურნალი სხვა რამითაც განირჩევა სხვადასხვა სტატიების კრებისგან. ხეირიან ლიტერატურაში ჟურნალის სახელი ისეთ გამოცემას ეძღვევა, რომელსაც თავისი საკუთარი სული უდგია, თავისი დამდგარი აზრი აქვს, და რომელიც ყოველი თავისი სტატიით, თითოეული სტრიქონით და სიტყვით ნიადაგ თავის დანიშნულ მიზანს მისდევს. ამას ეძახიან ჟურნალის „მიმართულებას“, მის დროშას, და ჩვენი „კრებული“ დარწმუნებულია, რომ ხელ-ცარიელი არ გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე, რომ იმას თავისი საკუთარი მიმართულება და დროშა გამოაქვს.

როგორც ყოველი კაცის მოქმედების და მიმართულების ასახნელათ უმთავრესი საგანი — მისი მიზანია, ისე ჟურნალის ხასიათის გამოსაკვლევათ მისი მიზნის გაცნობაა საჭირო. როცა ჩვენ გაცნობილი გვაქვს ვისიმე მიზანი და ის საშუალებები, ის გზა, რომელითაც ის თავის მიზნისკენ მიმართვას აპირებს, ჩვენ სრული სჯა შეგვიძლიან შევადგინოთ ამ პირის მიმართულებაზე დამოქმედებაზე და რადგანაც ჟურნალის საქმეც ანაირივეა, და მისი შრომა მით უფრო აღვიღდება, რაც უფრო უკეთ და სრულათ გაცნობილი აქვს მკითხველს მისი მიმართულება, ჩვენ აქვე უნდა გამოვთქვათ მისი მიზანი, საშუალებები და მოქმედების გზა.

„კრებულს“ ისევე მიზანი აქვს, როგორც უნდა ჰქონდეს თავის სიცოცხლეში ყოველ პატიოსან და ხეირიან კაცს, ესე იგი, თავისი საზოგადოების ბედნიერება. როგორც ყოველ გონიერ კაცს, ანაირ ბედნიერებათ მთელი საზოგადოებისთვის „კრებულს“ ის მიაჩნია, რომ ყოველ კერძო პირს, საზოგადოების წევრს, მისი სხეულის და გონების ძალა რაც შეიძლება უფრო სრულათ გაეხსნას და ცხოვრებაში ამ ძალას რაც შეიძლება უფრო სრული დაკმაყოფილება მიეცეს.

ამნაირი ბედნიერება ის მიზანია, რომელსაც მისდევს მთელი კაცობრიობა. მაგრამ იმის მიღწევას ქვეყანაზე ბევრი რამ უშლიდა და ეხლაც უშლის. ყველაზე უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც ნიადაგ ხვდება და ხვდებოდა კიდეც ამ მიზანს, ის საზოგადო აზრია; ვითომ ამ ბედნიერების მიღწევა თვითონ კაცს და კაცობრიობას კი არ შეუძლია,—ამ სიკეთეს ის ზეგარდმო უნდა მოელოდეს; ვითომ კაცის უბედობა საბრალო დედამიწაზე თვითონ კაცის აგებულების ანა და გარშემო ბუნების საქმეა, ვითომ კერძო პირს, ან კერძო პირების კრებას არა შეუძლიათ რა ამ უბედურების დასათურგვწელათ და ბედნიერების მისაღწევლათ. „ასე უნებებია ბედს, ფიქრობენ საზოგადოთ ამ საგანზე, მაშ დავემორჩილოთ მის წმინდა განგებას“.

უეჭველია, რომ კაცის უბედობაში ბრალი კაცის სხეულსაც ადევს და გარშემო ბუნებასაც. მაგრამ ამაზე უეჭველი ისიც არის, რომ ეს სენები ნიადაგ და შეუცვლელ ბუნების კანონებს მონებენ, და ამ კანონების გამოკვლევით, მათი გონიერათ ხმარებით კაცს, როგორც თავის საკუთარი სხეულის, აგრეთვე გარშემო ბუნების გაუმჯობესობა და თავისთვის სასარგებლოთ ხმარება შეუძლია. ამაზე კიდეც უფრო უეჭველი ისიც არის, რომ კაცის უბედობის ბრალი ადევს, კაცის სხეულს და ბუნებას გარდა, კაცის უმეტრებას და იმ გარემოებას, რომ კაცს ზერ მოუხერხებია ისეთ ნაირათ გაემართა თავისი სიცოცხლე და საქმეები, რომ მისი საკუთარი და გარშემო მყოფი ბუნების მოთხოვნილებებს ბუნებითი დაკმაყოფილება მიელოთ.

მოვიყვანოთ მაგალითი. ცხოვრებს, ვთქვათ, ხალხი ნოტიო, ქენჭო ადგილში, მდაბალ სამეგრელოში, ვთქვათ, რიონის პირათ. ის უძლური სხეული და ღარიბია, შეძლებით და გონებით. რასაკვირველია, ამ გარემოებაში, ბრალი კაცის აგებულებას და სამეგრელოს ბუნებას ადევსთ, რადგანაც კაცის აგებულება მშრალ, ნოყიერ ჰავას, კარგ მიწა-წყალს და საზრდოს თხოულობს, ურომლოთაც იმას ხეირიანათ გაძლება არ შეუძლია; სამეგრელოს ბუნება კი არ აძლევს კაცს იმნაირ ჰავას, მიწა-წყალს და საზრდოს, და ამისგან, რაკი კაცის ბუნების მოთხოვნილება იქ ხეირიანათ ვერ კმაყოფილდება, კაცი უბედურ, უძლურ მდგომარეობაშია. ქვეყანაზე ასი და ათასი მაგალითი რომ არ ყოფილიყო სწორეთ მაგნაირივე მდგომარეობაში მყოფ ხალხებისა, ვინა გაბედავდა ხმის ამოღებას და იმ პირების წინააღმდეგობას, რომელნიც ხმა მალლა დარწმუნებით ამტკიცებდენ, რომ „ეს ღვთის ნებააო, ღმერთს ასე გაუჩენიაო და ჩვენ აბა რა

ხელს ვვაქვს მის ნებას ვეწინააღმდეგოთო!“ ან ვინ გაბედავდა სხვა პირების წინააღმდეგობას, იმ პირებისას, რომელნიც ძველი სწავლით და ცოდნით დაიარაღებული გამოდიან და ამბობენ: „ეს ბუნების კანონია. კაცის აგებულება და ბუნება დამნაშავეა სამეგრელოს მცხოვრებლების სისუსტეში. ჩვენ, უძლურ ქიებს, აბა რანაირათ შეგვეძლება ბუნების საუკუნო კანონების შეცვლა და გასწორება?“

მაგრამ, ასი და ათასი მაგალითი მოხდა ქვეყანაზე იმის, რომ ხალხი, რომელიც ნოტიო, ქენჭყოიან ადგილებში იღვა და მრავალი საუკუნოების განმავლობაში უძლური, ავითმყოფი და ღარიბი იყო, თავისი საკუთარი მოხერხებით და შრომით გამოვიდა ამ უბედურ მდგომარეობიდან და ეხლა მშვენიერათ სცხოვრობს. ამ სასწაულ-მოქმედებაში არც ზეგარდმო მოვლინება გარეულა, არც ბუნების კანონების შეცვლა. მოხდა ეს ცვლილება მარტო იმის გამო, რომ კაცმა გაიგო, რა იყო უბედობის ნამდვილი მიზეზი, გაიგო, რა ბუნების კანონების ძალით ხდება ეს უბედობა და რა კანონების ძალას შეუძლია მისი მოსპობა. და როცა გაიგეს, რომ გონიერათ გავლებულ თხრილებს ნოტიო ადგილებში წყლის დაჭრეტა შეუძლიათ, რაკი გაიგეს, რომ დაწრეტილ ჭენჭყოებზე მშვენიერი მოსავალი მოიყვანება, რომ ტყეების გონიერათ გამოკაფვა ჰაერს მოძრაობას და მათსადამე სიწმინდეს მისცემს, უძლური ხალხი გადარჩა თავის უბედობას, ძალოვან, მდიდარ ხალხათ გადაიქცა. წვრილმან მაგალითებს თავი დავანებოთ, მოვიხსენიოთ მარტო ლოლლანდია, რომელიც სწორეთ ამ გზით ეღირსა თავის ეხლანდელ მდგომარეობას.

ევროპაში, ამერიკაში, აფრიკაში, ერთი სიტყვით ყოველგან ძლიერ ბევრი მაგალითები ყოფილა, რომ სრულიად უწყლო, უმცენარო, უხეირო მიწა-მინდვრები, თვალ-გადაუწვდენლები, ცარიელი ზილით სავსენი, კაცის ხელ ქვეშ მშვენიერ ბაღათ გადაქეულებიყვნენ. ჩინებულთ წყაროებით, ტყეებით და მავი მიწით ზესებულიყვნენ და ზედ ქალაქები და მთელი სახელმწიფოები გამართულიყვნენ, სიმდიდრით და ბედნიერებით სავსენი. თავი დავანებოთ, კიდევ, წვრილმან მაგალითებს, და მოვიხსენიოთ რჩდილოეთ ამერიკაში მორმონების ადგილი: მლაშე ტბაზე, რომელზედაც ამ ორმოცი წლის წინ ფრინველიც არ მოიძებნებოდა, და რომელზედაც დღეს მდიდარი და ძლიერი ხალხი ცხოვრობს, მშვენიერათ გამართულ ქალაქებში, საუცხოოთ დამარაგებულ და შემუშავებულ მიწაზე.

ეს მაგალითები საკმაოთ გვიმტკიცებენ, რომ კაცის ბედზე ძლიერ დიდი გავლენა აქვს თვითონ კაცს, ისეთი გავლენა აქვს, რომ

იმას შეუძლია მთელი მხარესი შეცვლა; მისი ბუნებრივი მდგომარეობის გადასხვაფერება და თავის სასარგებლოთ მოწყობა.

თუ კაცს და მის გონებას ამ სიდიდე გავლენა აქვს თვითონ ბუნების გადასხვაფერებაზე, თუ კაცის ტვინს და შრომას შეუძლია ბუნების კანონების გამოკვლევით და მათი გონიერათ ხმარებით თვითონ ბუნების ხასიათის შეცვლა, რაღა თქმა უნდა, რომ წვრილმანაობაში იმას მეტის მეტი გავლენა უნდა ჰქონოდა სხვადასხვა დაბრკოლებაებზე, რომლებიც იმას ცხოვრებას უმწარებენ და ზედნიერებას აშორებენ. მართლაც, რაგინდ დაბრკოლება აიღო კაცის ცხოვრებაში, ყველა, თითქმის, ისეთნაირი იქნება, რომ კაცის გონებას და შრომას მათი დათურგენა და მოგერება შეუძლია ან შეუძლება. ავიღოთ, მაგალითად, ჟამი. უწინდელ დროს ეს სენი რომელიმე მხარეს რომ ეწვეოდა, მას შემდეგ მხარე თითქმის მოსრესილი დარჩებოდა: ხალხი გაიღეწებოდა, და ვინც დარჩებოდა, იმას საზრდო აღარ ექნებოდა, რადგანაც ჟამიანობას ხენა-თესვა სწყდებოდა. და ორმოცი, ხან ასი წელიწადი სჭიროდა ხალხს წელის გასამართავათ, ჟამის კვალის ამოსახოცველათ. ვის არ ახსოვს, ჩვენში, მაგალითად, იმერეთში, რა საშინელი კვალი დატოვა ჟამიანობამ ამ საუკუნის დასაწყისში, და რა გავლენა ჰქონდა ამოწყვეტილ ხალხზე, ჟამს შემდეგ, საზარელ შიმშილს, როცა დედა ერთ საკეცე შკადისათვის შვილს ყიდდა და ადამიანი ადამიანის ხორცს ზელს კიდებდა? ვინ არ იცის, ჩვენში, რომ იმ დროს ხალხი ათასობით გაწყდა და ათასობით ტყვეთ გაიყიდა, დამონავდა, რომ იმ დროს ჩვენი ქვეყანა წელმოწყვეტილი, დაკლული იყო, და მას შემდეგ დიდხანს კიდევ გაქირვებას სწევდა? განათლებულ ქვეყნებში კი ჟამმა და ამგვარმა სენებმა დიდი ხანია რაც თავისი საზარელი ხასიათი დაკარგეს, და უბრალო ავთომყოფობათ გადაიქცენ, რომელიც თან და თან უფრო სუსტათ და სუსტათ ეპყრობა ხალხს, და მალე სრულიადაც გაქრება სწავლის და ხეირიანი ცხოვრების წინ.

აი ამნაირ სენებზედ ყველაზე უფრო ნათლად აღმოჩნდა, თუ რა და რანაირი გავლენა შეუძლია იქონიოს კაცმა ბუნების მავნებელ ძალებზე. შენიშნულია, რომ ეს სენები, და საზოგადოთ ავთომყოფობა, უფრო ადვილათ იჯაბნებს და ხოცავს მდაბიო ხალხს და იმ პირებს, რომელთაც შეძლება არა აქვთ ხეირიანი და გონიერი ცხოვრებით მათი ბუნების მოთხოვნილება დააკმაყოფილონ, ესე იგი, რომელნიც ცუდ სადგომებში სცხოვრებენ, ცუდათ ტანს იცემენ, ცუდი საზრდოთი თავს ირჩენენ და გადაქარბებულ ჯაფაში არიან. შენიშნულია, კიდევ, რომ ამ სენებს ყველაზე უფრო კარგათ იგუ-

რებს, წამალი კი არა, ან ექიმის დახმარება, — ხეირიანი და გონიერი ცხოვრება; საზრდო, და ის ხალხი, რომელიც უფრო კარგათ სჯამს და სვამს, კარგათ ცხოვრობს, უფრო ნაკლებათ იჩაგრება სხვადასხვა სენების დროს. ამნაირათვე იქცევა ხოლერა, რომელმაც ამ უკანასკნელ დროში თავისი საშინელი ძალა დაკარგა; და ეხლა ის იჩენს ხოლმე თავის დამლუბველ გავლენას, იჯაბნებს მარტო ღარიბ, გაჭირვებულ ხალხს, რომელიც ცუდათ იკვებს თავს და ცუდ, დახშულ ჰაერს სუნთქავს...

როგორც სენი, იმგვარათვე ყოველი სხვა ავთიმყოფობაც იღრეკს მუხლს ხეირიანი ცხოვრების წინ. ხურება, ცივება, ყვავილი, წითელა, ხველა, ქლექი, ერთი სიტყვით თითქმის ყოველნაირი ავთიმყოფობა მეტის მეტათ კლებულობს, თითქმის სრულიადაც ქრება იმ საზოგადოების ნაწილში, რომელსაც ხეირიანი ცხოვრების საშუალება აქვს, და მხოლოდ იმ უბედურ ხალხზე იმარჯვებს და ვარჯიშობს, რომელსაც ჯერჯერობით თავის მდგომარების გაუმჯობესობა ვერ მოუხერხებია, რომ კაცურ მდგომარეობაში, კაცურ ცხოვრებას მიეცეს და ბედნიერებას ეღირსოს...

მაშასადამე, გაჭირვება, რომელიც ბუნებისგან უძლური კაცის დაჩაგვრაში მდგომარეობს, და რომელიც, ყველას აზრით, უმთავრეს დაბრკოლებას შეადგენს კაცობრიობის ბედნიერებისთვის, ეს გაჭირვება, ვამბობთ ჰქრება თვითონ კაცის შრომის და მოხერხების წინ, ემორჩილება კაცის ტვინს და ხასიათს, რადგანაც მისი უმთავრესი საფუძველი კაცის ცხოვრების უხეირობა საზრდოს და სადგომის უფარვისობა და ნაკლულეგანება არის. რაღა თქმა უნდა, რომ ამ მიზეზს კაცი ყოველთვის მოერევა.

მართლაც რაა ცხოვრების მოთხოვნილება? რა სჭირია კაცის ბუნებას ისეთი, რომ თვითონ კაცს მისი შექმნა და შოვნა არ შეეძლოს? კაცის ბედნიერებისათვის ჩიტის რძე ან ნატურის თვალი რომ იყოს საჭირო, ან მარტო ბუღბუღლის ენებიდან დამზადებული საზრდო, ან სხვა, ამნაირათვე ძვირი და უპოვარი საგნები, უეჭველია, კაცს მათი შოვნა გაუძნელდებოდა, არ შეეძლებოდა და, ამისგან, მისი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი დარჩებოდა, ესე იგი, ის საუბრადამოთ უბედური იქნებოდა. მაგრამ, აქვს განა, კაცის ბუნებას ამისთანა მოთხოვნილებაები? სანამ სწავლულებს კაცის ბუნება არ გამოეკვლიათ, სანამ სწავლას არ დაემტკიცებია, რომ საზოგადოთ ყველა კაცების სხეული და არსება ერთ და იმავე კალაპოტზეა გამოყვანილი და ყველას ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს, უმთავრეს საგნებში, მანამდე დიდი ხმა ჰქონდა იმ პირების აზრს, რომ-

ლებიც ამბობდენ, კაცი მუდამ დალაგმული იყოსო, თორემ მის სურვილს, მის მოთხოვნილებას ბოლო არ ექნებაო. ამ აზრს ის შენიშვნაც ამტკიცებდა, რომ კაცის სურვილი გაუმძღვრათ სჩანდა, პირველ დაკვირვებაზე. მაგრამ, სწავლამ რომ ეს საგანი ხეირიანათ გამოიკვლია, აღმოჩნდა, რომ სურვილსაც და მოთხოვნილებასაც გარდუეველი საზღვარი ჰქონია დაწესებული ბუნებისაგან. მარტო მშვიერი კაცი, მაგალითად, ნატრობს სხვადასხვა ფერ სასმელ-საჭმელს, და მისი დამშეული ჭანტაზია გაუმძღვრათ დაფრინავს ერთ საჭმელიდგან, ერთ სუფრიდან მეორესკენ. მაშინ კაცს მართლა გონია, რომ მის ჭანტაზიას და სურვილს საზღვარი და ბოლო არ დაწესებიათ. მაგრამ, რა სიამოვნებით დაატკებთ ეს დამშეული და მშვენიერი ჭანტაზიური საჭმელების მოსურნე უბრალო, ხეირიან, ნოყიერ მწვადს, და ბედნიერებით შესჭამს ის უბრალო პურს, და რანაირი შებრალებით გაიხსენებს ის, გამძღარი, თავის ჭანტაზიის სურათებს! სადაა მაშინ მისი ჭანტაზია? გამოუხატავს ის ერთხელ მაინც ნაირ-ნაირ სუფრების და საჭმელების სურათს, და მის გულს ზიზღი არ მოერევა, სხვა, მშვიერ კაცის მადიან ჭამას რომ დაესწროს? ნოყიერი საჭმელით გაძღომამ იმას ისეთ რივათ დაუკმაყოფილი ბუნების მოთხოვნილება რომელსაც მარტო ნოყიერი საჭმელი სჭიროდა, რომ მარტო მის მადს კი არა, მის სურვილს და ჭანტაზიასაც მოვიღო ბოლო.

ეს მაგალითი ჩვენ განგებ იშის საჩვენებლათ მოვიყვანეთ, თუ რა უბრალო, წუთიერი მნიშვნელობა აქვს შიმშილით ან ნაკლულგვანებით გაავათმყოფებულ „სურვილს“. მოუტანეთ მშვიერ კაცს, რომლის ჭანტაზია ფერად-ფერად, ნაირ-ნაირ სასმელ-საჭმელს უხატავს, მოუტანეთ ამ კაცს ყოველი ფერი, რაც კი მის ჭანტაზიას წარმოუდგენია, და დაუდგით წინ, სულ ერთიანათ. თუ ბიჭია, გაასაღოს შეათედი, მესაედი მაინც, იმის, რასაც დამშეული შეხაროდა და ნდომულობდა. ის მაშინვე ეცემა ნოყიერ საჭმელს, ხორცს, პურს, ღვინოს, და მარტო იმდენს შესჭამს და შესვამს, რამდენიც მის დამშეულ სტომაქს სჭიროდა; დანარჩენი ხელუხლებელი დარჩება, და გამძღარი კაცი შეზიზღებით მოაცილებს თვალს ნანატრ საგნებს, და რა გულის წრფელობით იტყვის: „ამაო ამათათაო!“

დიდი ვანსხვაებაა, მაშასადამე, კაცის ბუნების ნამდვილ რეალურ მოთხოვნილებას და ცრუ, წუთიერი ჭანტაზიის სურვილს შუა, როგორც ცხოვრებას და სიზმარს შუა. ამნაირი სურვილი თითქმის არც არსებობს, ის ავთამყოფი, შეწუხებული ტვინის და სხეულის ბოდევაა. ნამდვილი, რეალური მოთხოვნილება კი ისეთ ნაი-

რათ, ისე ერთ გვართ არსებობს ყოველი კაცის სხეულში, რომ მისი გამოკვლევა, აწონა, გასინჯვა შესაძლებელია და კიდევ მოხდენილია. სწავლულებს გამოუკვლევიათ, რა და რა სჭირია კაცს ნამღვილათ, რა და რა საჭიროა მისი სხეულის დასაკმაყოფილებლათ. და ეს საჭიროება, პური ვარ თუ ხორცი, ღვინო თუ ჰაერი, შინაურობა თუ სწავლა, ხეივანი საზოგადოება თუ გართვა, ყველაფერი აღვილათ საშოვნელია დედამიწაზე, სწორეთ იმოდნათ, რამდენიც საჭიროა ყველა კაცებისთვის...

ერთ ხანს სწავლულებს შუა დიდი გავლენა ჰქონდა ერთ ახიობულ, მომაკედიანებელ აზრს. კაცობრიობა, ასწავლიდენ ეს სწავლულები, მეტი-მეტათ ჩქარა იზრდება და მრავლდება; ოცდაოთხ-ხუთწელიწადში, ხალხს გაორება შეუძლია, შემდეგ ოცდახუთ წელიწადში გაოთხება და სხვ. კაცის საყოფი საზრდო კი დედამიწაზე უფრო ნაკლებათ, გვიანათ მატულობსო, ასე რომ კაცობრიობას ძლიერ მალე საზრდო სრულიათ შემოაკლდებაო. ამ აზრმა შეაშინა და აღაშფოთა ბევრი სწავლული და ბევრ კეთილ კაცს დაუბნია გზა და კვალი. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ, ამ უკანასკნელ დროში, სწავლამ სულ სხვანაირი აზრის სიმართლე დაამტკიცა. დამტკიცდა, მაგალითად, რომ ბუნებაში ერთობა სუფევს, რომ ბუნების ძალა ყოველგან ერთი და იგივეა, რომ ბუნებაში სხვადასხვა ნაწილებს შუა სრულად დამოკიდებულება და თანხმობა არის. როგორც ხის ზრდა სრულიად დამოკიდებულია იმ მიწის თვისებაზე, რომელზედაც ამოსულია ხე, როგორც მიწის დაშრობა და უვარგისობა ხის ზრდას ბოლოს უღებს და მიწის გაუკეთესება ხეს ხელახლავ ახარებს და აღიდებს, სწორეთ ეგრეთვე ყოფილა კაცის გამრავლებაც დედამიწაზე. სტატისტიკამ შენიშნა, მაგალითად, რომ როცა პური ძვირი ყოფილა ინგლისში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში, იქ ნაკლები ყოფილა ორსულობის და დაბადების რიცხვიც. და როცა პური და საზრდო გაიფხვებულა, მაშინ შესაფერათ გამრავლებულა ახალ დაბადებულეებიც. საზრდოს ნაკლებეანებას, როგორც წინათ იყო ნათქვამი, მარტო დაბადებაზე კი არა, სიცოცხლის სიგრძელზედაც აქვს გავლენა: რაც უფრო უხვია, რომელიმე ქვეყანაში, საზრდო და სხვა საჭირო საგნები, მით უფრო დიდხანს სძლებს ხალხი, მით ნაკლებია მკვდრების რიცხვი, მაშასადამე, მით უმრავლესია თვითონ ხალხი... აქედან, ვგონებ, ნათლათ სჩანს, რომ კაცობრიობას ყოველთვის ექნება იმდენი საჭირო საგნები, რამდენიც მისთვის საჭიროა ცხოვრებაში.

მაგრამ ქონვა და მოხმარება ერთი და იგივე როდია. შეიძლება რომ საზოგადოათ, რომელიმე ქვეყანაში, საკმაო საზრდო და სიმ-

დიდრე იყოს, და ამ ქვეყნის ხალხი კი შიმშილით კვდებოდეს და გაჭირვებით ცხოვრებდეს, უთავბოლო ან უხეირო გაწყობილების გამო. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ, ახალციხის მაზრაში ძლიერ ბევრი პური მოდის და ბევრი ხორავია. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ სხვა ადგილებში, მაგალითად, თფილისის მაზრაში, პურიც ნაკლებათ მოსდის და ხორავიც ძვირობს. როცა ზაფხული დგას და ხეირიანი ტაროსი, ჩვენ ბუნებურ გზებს ცოტაოდნათ გასავლელათ ხდის, ახალციხის მაზრიდან პური გადმოაქვთ, და ის საზრდო, რომელიც ახალციხეს მომეტებული იყო და ტყუილად უნდა წამხდარიყო, თფილისში ისეთ პირებზე სალდება, რომელთაც პურის სიძვირე აწუხებდა და ეტყობოდა. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ თოვლმა ჩვენში უხეირო გზები და გადუვალი მთები შეკრა, ან წარმოვიდგინოთ, რომ ახალციხის მაზრას სულ არაფერი გზა არა აქვს. თფილისთან მისვლა-მოსვლისათვის. მაშინ, რასაკვირველია, მომეტებული ხორავი უსარგებლოთ უნდა დალპეს თვითონ ახალციხის მაზრაში, და თფილისის მაზრის მცხოვრებლებს კი ხორავის ნაკლულეფანება უნდა აწუხებდეს.

წარმოვიდგინოთ, კიდევ, მეორე გარემოება, რომელიც შეუძლებელი არ არის ზოგიერთ ადგილებში. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ რომელიმე მდიდარ, ძლიერ მდიდარ პირს ცოტ-ცოტათ უყიდა სხვადასხვა ნაჩვევ ადგილებში პური, და ერთ ადგილას დაუწყებია სარდაფში, ვთქვათ ისევე თფილისში, ან გორს. რამდენიმე ხნის განმავლობაში ის მხოლოდ ყიდულობს პურს, გიჟურ ფასს აძლევს მის გამყიდველებს, ისე რომ ყველას, ვისაც კი გასაყიდი პური აქვს, იმასთან მიაქვს თავისი საქონელი.—როცა ეს პირი გრძნობს, რომ იმ მაზრაში სხვა აღარავის აქვს ბლომათ გასაყიდი პური, და ხალხს ეს ხორავი სჭირია, ის თავის სავეს სარდაფს აღებს და თანდათან უფრო და უფრო აძვირებს პურის ფასს, ჰყიდის ერთი ოთხათ და ხუთათ, იქნება ათათაც. უეჭველია, რომ იმ მაზრაში საკმაო პური იქნება, მაზრის ხალხის სარჩენელი, მაგრამ ეს პური ერთი ვაჭრის სარდაფშია დაგროვებული, და მაზრის ხალხი კი უპურობით გაჭირვებული რჩება, სანამ ახალი მოსავალი არ მოუვა, ან მეორე მომხერხებელი და საკმაოთ მდიდარი ვაჭარი პირველს თავს არ დაუვლის და ჩუმათ სხვა მაზრიდან იაფათ ნაყიდ პურს არ ჩამოიტანს, და პირველი ვაჭრის ფასზე ერთი ორი შაუროთ უფრო იაფათ არ გაასაღებს.

ამ მაგალითებს გარდა, ბევრი სხვაც მოიყვანებოდა, იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ რომელიმე მხარეს შეუძლია, თავისი საყო-

ფი საზრდო მოდიოდეს, და, სხვადასხვა მიზეზების გამო, მაინც დამშეული რჩებოდეს, ან თუ დამშეული არა, საზრდოდაკლებული მაინც. მაგრამ ჩვენ ისევ თავი უნდა დავანებოთ ამნაირი მაგალითების მოყვანას—იქნება, ამისთვის, რომ ისინი ყველას თვალწინ აქვს—და ჩვენი აზრის გაგრძელებას უნდა მივუბრუნდეთ.

წინეთ მოყვანილი მაგალითები, რომლითაც ჩვენ ვხსნიდით საზრდოს და სიმდიდრის უვარგისო განაწილებას სხვადასხვა მახრებს და პირებს შუა, გვიჩვენებენ, რომ ამ განაწილების მიზეზიც, როგორც სხვა დაბრკოლებები, კაცის ძალას ქვეშ არიან. უეჭველია, ვგონებ, რომ გზების გამართვა კაცს თითქმის ყოველგან შეუძლია, თუ მოხერხება, ცოდნა და შეძლება აქვს. პრუსიელებმა ოცდარვა დღეში მთიან და მდინარეებთან ადგილში ოცდა თორმეტი ვერსის რკინის გზა გამართეს, შარშანდელი ომის დროს. ფრანცუზებმა ერთი უშეფლებელი ტალის მთა გახვრიტეს (მონ-სენი) და შიგ მშვენიერი რკინის გზა გააფლეს, ისე, რომ ტალის ტუნელს რამდენიმე ვერსი აქვს სიგრძე, და ზედ თითქმის მყინვარის (ყაზბეგის) ოღენა მთა აწევს. რკინის გზები გამართულია მდინარეებზე, მთებში, ორმოებში, წყლის ძარში, სახლების ქერზე და ქუჩებს ქვეშ, ერთი სიტყვით ყოველგან, სადაც კი საჭიროება თხოულობდა.—აგრეთვე მოგონილთა სასტიკი სასჯელი პურის და სხვა ხორაგეულობის შესყიდვისათვის და შერმე ფასის მომატებისათვის. მოგონილია პურის საზოგადო მალაჩიები და ცენტრალური ფულის კრება (ფონდი) უპუროების დროს საზოგადოებისათვის და ხალხისთვის ხელის გასაწყობლათ, მოგონილია (როგორც რუსეთში იყო 1868 წ.), საზოგადოების ფულით და ამორჩეული პირების ხელით იაფ ადგილებში პურის ყიდვა და გაქირავებულებში მიტანა, იქ დამშეულებში დასარიგებლათ, სესხათ... ერთი სიტყვით, კაცს შეუძლია თავისი გონებით და შრომით მოიგეროს თავიდან ის დაბრკოლება, რომელიც წარმოადგება საზრდოს უსარგებლო განაწილებისგან...

მაგრამ, „შეუძლიათ“ რომ ვამბობთ, ეს მართლა იმას კი არ ნიშნავს, რომ ყოველს კერძო პირს წამოდგომის და ხელის განძრვის შერტი არა სჭირია რა ამ დაბრკოლებების დასარღვევლათ. შეუძლია აქ მართლ იმას ნიშნავს, რომ მცოდნე, შემძლე, გამტანკაცებს, ერთათ რომ შეიკრიბონ ზ თავდარიგიანათ საქმეს ხელი მოჰკიდონ შეუძლიანთ ბოლოს, დიდი ცოდნის და შრომის ფასათ, ამ დაბრკოლებების მოგერება, და დათურგნა. მაშ ამ საქმეში ცოდნას და შრომას დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ.

რანაირი ცოდნა და რანაირი შრომა საჭიროა ამ გარემოებაში.

უქვეყელია, ვგონებთ, რომ ზემოხსენებულ დაბრკოლებაებს ერთი უმთავრესი და საერთო წყარო აქვთ—კაცის ბრძოლა ბუნებასთან, ბუნების დამჩაგრელი ძალისგან განთავისუფლების სურვილი, ბუნების სასარგებლო ძალით სარგებლობის ნდომა. მაგრამ, როგორ ებრძვის კაცი ისეთ საგანს ან ძალას, რომელსაც არ იცნობს, რომლის მნიშვნელობა და ხასიათი გამოკვლეული არა აქვს? ბუნებას კი არა, ბავშვს რომ შეეძას ბრძოლაში თვალ ახვეული კაცი, ის მაინც დამარცხებული და იქნება დამახინჯებულიც გამოვიდეს. ბრძოლაში პირველი საპიროება—მოწინააღმდეგეს ხასიათის, ძალის, მდგომარეობის და ჩვეულებების გაცნობაა. მაშასადამე კაცისთვის, რომელიც ამ ქვეყანაში ბედნიერებას და ხეირობას ცხოვრებას ეძებს ყველაზე უსაჭიროესი ცოდნა—ბუნების გამოკვლევაა.

არც ერთი ცოდნა არ აძლიერებს კაცის გონებას ისე, როგორც ბუნების ცოდნა. როცა კაცი სხვადასხვა კერძო წვრილმან დაკვირვებაზე შემდეგ, იქნამდი მიაღწევს, რომ შეაგროვებს და შეადარებს ერთმანეთთან სხვადასხვა კერძო ცოდნას ბუნების მეცნიერებისას, როცა ის საერთო ანგარიშს უზამს თავის ცოდნას ბუნებაზე და ჯამს გამოიყვანს წვრილმანი ბუნების კანონებიდან, ის ერთ უმთავრეს აზრს დაადგება: „ბუნება ერთია, ყოველი მისი მოვლინება ერთ და იმავე უმთავრეს ბუნების, კანონს ემონება; კაცის ცხოვრებაც ერთი ამ ნაირი მოვლინებათაგანი არის, რომელიც ყველაფერში ბუნების კანონს მისდევს. ბუნება არც მტერია კაცის, არც მეგობარი, არც სიკეთე უნდა მისთვის, არც სიამე; ბუნებაში ზრც ერთი არსება არ მოიპოება, რომელსაც დანიშნულება ჰქონდეს კაცის მოყვრობა ან მტერობა. თვითონ კაცია თავის ბედის გამწყობი: თუ იმან გაიგო ბუნების თვისება, და ამ თვისების შესაფერათ გაიმართა ცხოვრება, ის ბედნიერი იქნება. სანამ იმას არ მოახერხებს, საბრალო და ვაჭკირებულ მდგომარეობას ვერ სცილდება“.

ეს აზრი მეტის მეტათ სასარგებლო და კეთილმომქმედია კაცის ცხოვრებისთვის. ცხოვრების სიმძიმე დიდხანს ჰჩაგრავდა კაცს, დიდხანს აწუხებდა მის გონებას და გულს, ხშირათ გამოითხოვდა იმას საბრძოლველათ, მაგრამ კაცს ერთი აზრი ნიადაგ ხელფეხს უსხლტდა, ნიადაგ გულ-ხელს აკრეფინებდა: „ეს ბედის საქმეა“, „ასეა ზეგარდმო დაწესებულიო“. ეხლა იმას შეუძლია დარწმუნდეს, რომ ბედის საქმე არა არის რა, არც ზეგარდმო ყოფილა დაწესებული მისი მდგომარეობა. ამ ნაირათ, ბუნების მეცნიერება გულ-ხელ დაკრეფილ კაცს თავისი ფილოსოფიით ამხნევეს, და თავისი

წერილმანი დაკვირვებებით და ცოდნით ხელში ათასნაირ იარაღს აძლევს, ცხოვრების გასაუმჯობესებლათ...

მაგრამ საქმაოა, ვანა, გასამარჯვებლათ მოწინააღმდეგეს გაცნობა და ბერიანი იარაღის ხელში ქონვა? ბრძოლაში მეორე ნაირი საჭიროებაც არის: იარაღის ხმარების ცოდნა, და იმ კანონის გაცნობა, რომლითაც უფრო ადვილია მოწინააღმდეგის თავის დავლა, მისი სისუსტით ან დაგვიანებით სარგებლობა. კაცობრიობის ცხოვრებაში, სტრატეგიის და ტაქტიკის მნიშვნელობა პოლიტიკურ ეკონომიას და ზოგიერთ სხვა მეცნიერებას აქვთ.

წელანდელ მაგალითში, ახალციხეს შესახებ, ჩვენ ვნახეთ, რომ დაბრკოლება გზის უქონლობის მიზეზი იყო. მეორე მაგალითმა გვიჩვენა, რომ დაბრკოლება ერთი ხარბი ვაჭრის ხელში პურის შეგროვების ბრალი იყო. ამ და ბევრ სხვა შემთხვევებში ბუნების მეცნიერებას გარდა, რომელიც სიმდიდრის მოყვანას და დამზადებას გვასწავლის, საჭიროა მეორე ცოდნა—ის, რომელიც იკვლევს, თუ რა გზით უფრო სასარგებლოთ შეიძლება სხვადასხვა სიმდიდრის შექმნა, ერთი—სიმდიდრის მეორეში გაცვლა, რანაირათ უნდა მოქმედებდეს ამ შემთხვევებში საზოგადოება და მისი წარმომადგენელი მმართველობა, და რა გაცუობილება გამოსადეგია ამ საქმეებში... ეს საგანი ეკუთვნის „საზოგადოების მეცნიერებას“ (общественная наука), რომელიც ამ შემთხვევაში „ბუნების მეცნიერებას“ ავსებს და თან მის კერძო ნაწილს შეადგენს.

ჩვენ გვაკლია ეს ცოდნა,—ეს ნამეტნათ რბილათ არის ნათქვამი, უნდა გვეთქვა: „ჩენ არაფერი ვაგვეგება ამ ცოდნისა“.

ჩვენი ქვეყნის უწინდელი ცხოვრება ისეთ რიგათ იყო გაწყობილი, და ისეთ გარემოებებში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ხალხს არც დრო და არც შეძლება ჰქონდა თავის საკუთარ ცხოვრებას დაკვირვებოდა და იმ ნაირათ გაეწყო თავისი მდგომარეობა, როგორაც მის სარგებლობას და სიკეთეს შეეფერებოდა. ყოველ მხრით ჩვენ გვაწუხებდა გარეგანი მტერი: ოსმალო, სპარსი, ლეკი თითქმის ყოველ დღე გვეჩეოდნენ თავზე, და ჩვენ ხალხს ნიადაგ მარტო ერთი საზოგადო აზრი და საქმე ჰქონდა—თუ როგორ დაეფარა თავი ამ შესვენიდგან, რა გზით დაეცვა თავის ქვეყნის და ოჯახების სიმტკიცე და თავისუფლება. ოღონდ უწყალო და ამკლებელ გარეგან მტერს გადარჩენოდა ჩვენი ხალხი, და შინ რა ბედი დაემატებოდა, რა გაწყობილებაში იქნებოდა, ამას ის აღარ ეძებდა... ყოველ ხალხისთვის ცოტაოდნათ მაინც სასარგებლოა ხანდისხან გეზობელთან და გარეგან მტერთან მისვლა-მოსვლა და შეტაკებაც;

მაგრამ ეს სარგებლობა მარტო მაშინ წარმოდგება, როცა რომელიმე შემოძველებული წესით დახავსული ხალხი უკეთ გაწყობილ და ხეირიანათ აღზდილ ხალხს ეყრება. მაშინ ის თავის მეზობლიდგან ახალ წესს და სიკეთეს იღებს, თავის ცხოვრებას აძლიერებს, თვითონ უკეთესდება და ცოტა ხანს შემდეგ გაახლებულ ხალხით გამოდის. ამ ნაირი როდი ყოფილა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა: იმას გარშემო მტერი ერტყა, რომელიც მის შვილებს გარეთ არ უშვებდა განათლების და გამოცდილების მისაღებათ; მართალი რომ ვთქვათ არც ჩვენები ეძებდნენ ნამეტნათ ამ განათლებას, ამიტომ რომ არსაიდ მისი სიკეთეს მაგალითს არ ხედავდნენ. მართლაც, ჩვენი მტერები ყველანი იმნაირივე ველურ და ადამის წლის მდგომარეობაში იყვნენ, როგორც ჩვენ თვითონ. იმათაც ცხოვრების მეცნიერებათ, ხელმძღვანელათ მარტო მამაპაპური ჩვეულება და აზრები ჰქონდათ; იმათაც ჩვენსავით თავიანთი მახინჯი საზოგადო გაწყობილება ღვთის განგებისგან დაწესებულათ მიაჩნდათ, ისე რომ მისი გაუმჯობესობის, შეცვლის ან გადასხვაფერების აზრი იმათ თავის დღეშიაც თავში არ მოსვლიათ. ამ მიზეზების გამო ცხოვრება კუს სიარულით მიმდინარეობდა. სწორეთ ისე, როგორც ასო და იქნება ათასი წლის წინეთაც. ველური ხალხი, როგორც შეეძლო საზრდოს შოულობდა, როგორც მოახერხებდა—ამ საზრდოს სჭამდა, და ბრძოლაში გადადიოდა. არავის არასდროს აზრშიაც არ მოსვლია ანგარიში, იქნება უფრო ადვილათ შეიძლებოდეს საზრდოს შეძენა, უფრო ანგარიშიანათ და სარგებლობით მისი დახარჯვა, იქნება ამ გარემოებებს ბრძოლაც გაეადვილებიათ და გასაჭირიც...

ბოლოს, ჩვენზე უკეთ გაწყობილმა და უმჯობესმა ცხოვრებამ თავი შემოჰყო ჩვენში. რასაკვირველია. ჩვენ იმის მისაღებად დამზადებული არ ვიყავით, და ამის გამო დავრჩით გაშტერებულნი, თითქო საქმე ჩვენ სრულიადაც არ შეგვეხებოდა. მაგრამ ნელ-ნელა ცოტ-ცოტა ჩვენ ვრწმუნდებოდით, რომ ახალ ხანას წესს და განწყობილებას ბევრი ისეთი მხარეები ჰქონია, რომელნიც ჩვენებურს ათი ათასჯერო სჯობდნენ. ჩვენ სრულიადაც დავრწმუნდით, რომ ევროპული წესი და ცხოვრება, ევროპული მეცნიერება ჩვენ სამაგალითოთ უნდა მიგვაჩნდეს.

როცა ჩვენ ყური ვადევნეთ ამ წესს, ცხოვრებას და მეცნიერებას, გავიგეთ, ცოტ-ცოტა, რომ არც ევროპას ღირსებია იაფათ ეს სიკეთეები. ჩვენ შევიტყვეთ, მაგალითად, რომ ევროპის ცხოვრებას ბევრი კალაპოტი გამოუცვლია, ბევრი ქაზრაკი და ვაიჯაგ.

ლახი უნახავს, სანამ იმ ნაირ გაწყობილებამდი მისულა, რომელსაც ჩვენ ეხლა უნდა შევნატროდეთ და კიდევ შევნატრით. ჩვენ შევიტყუეთ, რომ იქაურ ხალხებს პირდაღებული და გულ-ხელდაკრეფილი კი არ მოუცდიათ ამ ბედისთვის, და არც ეს სიკეთეები ზეციდან ჩამოცვენიათ. არა, იმათ ძლიერ ბევრი უშრომიათ, ბევრი უმეცადინეობათ, ბევრნაირი საცადი უსინჯავთ, სანამ ეხლანდელ თავიანთ მდგომარეობას და მლიმარე ბედს მოიპოვებდენ...

მაშასადამე, რაკი ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენთვის მეტის მეტათ შესახარბებელია სხვა ქვეყნებში გავრცელებული განათლება და კეთილდღეობა, რაკი ჩვენ ვიცით, რომ ეს განათლება და კეთილდღეობა ამათ თავიანთ აკვანში როდი უპოვიათ, ჩვენ უნდა დავაკვირდეთ და გამოვიკვლიოთ, თუ რა ნაირათ რა გზით მიაღწიეს განათლებულმა ხალხებმა თავიანთ კეთილდღეობამდი, რა და რა წესი და გაწყობილება მოუგონიათ იმათ ამ კეთილდღეობის დასაფუძნებელად და გასაძლიერებლათ. ჩვენ არც ამ გზას ვიცნობთ, ვერც არც ამ წესს, ჩვენი უმეცრება ამ საგნებში ისეთი უსამზღეროა, რომ ზოგიერთი იშვიათი განათლებული პირებიც რომ გვირეგთა ჩვენში, იმათაც არ იციან ხეირიანათ ეს გზა და წესი. საზოგადოება ხომ, რასაკვირველია სრულიად უმეცარია ამ საქმეში...

ეს ვარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ საზოგადოების ცხოვრებაში ძლიერ შესანიშნავი ვაგლენა და ძალა აქვს თვით ამ საზოგადოების აზრს და მისი გონების და ზნობის ახსნას. საზოგადოების ცხოვრება ისე იწყობა, უმეტეს ნაწილად, როგორც სურს თვითონ საზოგადოებას. მაგრამ, რა სურვილი უნდა ჰქონდეს, ან რა ზასიათით უნდა ეძებდეს თავისი სურვილის დაკმაყოფილებას ისეთი საზოგადოება, რომელსაც აზრის და ზნობის ცხოვრებაში არა გაეგებარა, და რომლის ტვინი მარტო კერძო, წვრილმან სარგებლობაზე ზრუნავს? რანაირათ უნდა მოქმედებდეს, საითკევ უხდა მიიწვედეს ისეთი საზოგადოება, რომელსაც არც სხვა ხალხების მაგალითი უძევს თვალს წინ, არც საკუთარი მდგომარეობის გაცნობა და დაფასება შეუძლია? ვინ ან რა უნდა ყავდეს იმას ხელმძღვანელათ, რა უნდა ჰქონდეს მიზნათ, რა და რა საფუძველი უნდა ედვას შის შრომას და სურვილს, რა ძალას უნდა ზმარობდეს ის თავისი მიზნის მისაღწევათ?—ამ კივხვებზე არავის პასუხის გაცემა არ შეუძლია, ამიტომ რომ ის მეცნხერება, რომელიც ამ კითხვებს იკვლევს და ხსნის, ჩვენთვის უცნობი და დახშულია.

ეს მეცნიერება ხუმრობა რამ არ უნდა ეგონოს მკითხველს. მისი მიზანი, როგორც წინეთ ნათქვამი იყო კაცობრივი საზოგადოების დაფუძნება და გაძლიერებაა. მაგრამ ის უსაფუძვლო გულკეთილობაზე და სურვილზე კი არ არის დაფუძნებული. იმას გაუხილავს სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრება, სხვადასხვა შემთხვევების ერთმანერთზე დამოკიდებულება და სხვადასხვა ხალხების წარსული და ეხლანდელი ბედი, და ამ განხილვის დროს ისეთი სამეცნიერო კანონები დაუნახავს, რომელთაც ყოველთვის და ყოველგან ემონება კაცობრივი საზოგადოება. ეს კანონები ერთ, საქვეყნო, ბუნების კანონს ჩამოაგავენ და როგორც ბუნებაში ყოველიფერი ბუნების კანონს ემონება და მისგან იღებს თავის ძალას და სიცხოველეს. ისე საზოგადო ცხოვრება თავის უნებურათ და უცოდნელათ ასრულებს საზოგადოების მეცნიერების კანონებს და უსაყვედუროთ, უცილებლათ მისდევს მის ნებას...

საზოგადო ცხოვრებაში არათფერი ხდება უეცრათ და უმიზეზოთ, ისე რომ საზოგადო ცხოვრების ნიადაგ და შეუცვლელ კანონებს არ ემონებოდეს. და როგორც ბუნებაში ერთ მოვლენას ათასნაირ სხვა მოვლენასთან კავშირი და დამოკიდულება აქვს, ისე საზოგადო ცხოვრების მოვლენებები ერთმანეთში ჩართული და ერთი მეორეზე დამოკიდებულები არიან. ავიღოთ მაგალითი. ტყის სრულიად ამოკაფვა, რომელიმე ქვეყანაში, მეტის მეტათ ამშრალებს იქაურ ჰავას და იმ ქვეყნის მდინარეებს წყალს აკლებს, ეს კანონი შეუნიშნავს ბუნების მეცნიერებას. მაგრამ ეს კანონი ამ შენიშვნით როდი თავდება. ჰაერის ნამეტანი სიმშრალე და წყლის ნაკლებევა ენება ქვეყნის მოსავალს ამცირებს, ხალხს აუძღურებს, უმეცრებას ავრცელებს და საზოგადოებაში ათასნაირ ავთამყოფობას და სენს სთესს. სწორეთ ამ ნაირივე გავლენა აქვს საზოგადოების ცხოვრებაზე ყოველ კერძო მოვლინებას, ამ ნაირათვე დამოკიდებულია ის ბევრ სხვა მოვლენაზე და თავის მხრით მოქმედებს ბევრ სხვებზე. ხალხში რომელიმე ახალი ხელობის შემოღება და გავრცელება, მაგალითად, ხალხს ამდიდრებს, ესე იგი აძლევს უმეტეს საშუალებას ბუნების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, ეს გარემოება მოქმედებს მის ხასიათზე, — ხალხის ზნე უკეთესდება, მისი გონება იხსნება და ნათლდება, ჩვეულება რბილდება, ავკაცობა კლებულობს, შენდობა და პატივი მატულობს და ამ სახით ჩვენ ვხედავთ, რომ ერთ უბრალო მოვლენას ათასნაირ მხარეზე ზედმოქმედება ჰქონია. ან ავიღოთ მეორე მაგალითი. ისეთ საზოგადოებაში, რომელშიაც ხერიანი სამართალი არ არის გაწყობილი, არც ერთ

კაცს არ ჰგონია, რომ მისი ოჯახი, ქონება და პირი დაცულია აკაცების და ვიციკირების ძალადობისაგან. ვაჭარი ამნაირ საზოგადოებაში საქონლის მოტანას ვერ ბედავს, ვლები—ნამუშევარის შინიდან გამოტანას გასასყიდათ. არავის სხვაზე ნდობა არა აქვს და ხალხი დაღრნებულათ თავს უდრეკს ყოველნაირ უსამართლობას და ძალადობას. შემოიღეთ ამნაირ საზოგადოებაში ხეირიანი სამართალბ, დაარწმუნეთ ხალხი, რომ მის ქონებას და შრომას, უიმისოთ ვერაფერ შეეხება, დაარწმუნეთ საზოგადოება, რომ მიცემული პირობა ასრულებული იქნება, გასესხებული ვალი—ამოღებული, დაწარულს—სამართალი მიეცემა, და მაშინ ნახეთ რანაირათ გაშლის ფრთებს ამ საზოგადოების ეკონომიური ცხოვრება, რა აღება-მიცემა და მისვლა-მოსვლა გიმიართება იმაში, რა სინათლე გაერცელდება ამ მისვლა-მოსვლის გამო და რამდენათ ვაუკეთესდება რა გამრავლდება მთელი ხალხის მდგომარეობა და სიმდიდრე, მისი ხასიათი და ზნე—იმ უბრალო მიზეზით, რომ უხეირო და მოქრთამე სასამართლოს მაგიერ დაწესდა პატიოსანი და პირუთნელი სამართალი,

ამნაირივე მაგალითებს წაჭმოგვიდგენს ჩვენ თითქმის ყოველი კერძო მხარე ხალხის ცხოვრებისა. სასწავლებელს, ერთმანერთის დახმარებას და ხელის გაწყობას, ბანკებით და სხვადასხვა ამხანაგობებით, გზებს, სხვადასხვა წოდების მდგომარეობას და სიმართლებებს, ერთი სიტყვით ყველაფერს თვალუწვდენელი გავლენა აქვს მთელ ხალხის ცხოვრებაზე, და არა მარტო ორიოდ პირზე. ბავშს რომ ვზდით სასწავლებელში მარტო მასწავლებელს და მოსწავლეს კი არ ვარგებთ ჩვენ იმით; ჩვენ ერთის მხრით იმ ბავშვის დედამას ნამეტან ხარჯისაგან ვიყვანთ და იათად, ადვილად ვუზრდით შვილს; მეორეს მხრით ნასწავლ ყმაწვილს ცხოვრებაში ათასი და ათი-ათასი შემთხვევა ექნება უწინდელზე უკეთ და უფრო ადვილათ იშრომოს, და მასასადამე მისი ნაშრომი უფრო მომეტებული და უკეთესი იქნება; მესამე მხრით, იმას ცხოვრებაში სხვა პირებთან მისვლა-მოსვლა ექნება, და ზოგი ლაპარაკით, ზოგი საკუთარი მაგალითით, ეს ცოტადნათ მაინც გაავრცელებს საზოგადოებაში განათლებებს და სწავლის ნამყოფს!..

შეგრამ ყოველნაირ სასამართლოს, ყოველნაირ სასწავლებელს აუცილებლათ მოსდევს ეს კეთილი შემდეგი? დიახაც არა. სასამართლოს კაცმა ხეირიანი სახელი რომ დაარქვას, და შიგ უგონიერო და უსამართლო პირები დააყენოს, ადრე თუ გვიან ამნაირ სასამართლო ძველებურის ჩვეულებას მიიღებს და ძველებურისავით უსამართლიანობას ხელს მიჰყოფს.—სასწავლებელში ნამდვილი, გამოსა-

დეგი მეცნიერების მაგიერ, ბავშვებს უსარგებლო და უსაფუძვლო საგნები რომ ვასწავლოთ, ისინი ცხოვრებაში სხვებსავეთ ხეპრებათ გამოვლენ,—განსხვავება მარტო ის იქნება, რომ ამათ განათლებულების სახელი (მარტო სახელი!) ერქმევათ. მათი საქციელი და ცხოვრება, მათი მაგალითი სრულიად უწინდელი გაუნათლებელი ხალხის ყოფაქცევას ჩამოემგზავსება, ზოგიერთი ახალი ფრაზების ხმარების გარდა, მაგრამ ფრაზებში ხომ არ მდგომარეობს კაცის მოქმედება და ხასიათი...

მაშასადამე, „საზოგადოების მეცნიერებაში“ უნდა ვეძებოთ ჩვენ იმ კითხვის ახსნაც, თუ რანაირი, როგორი და რა მიზნიანი გაწყობილება (სამართალი ვარ, თუ სასწავლებელი, ბანკი თუ საავათმყოფო და სხვ.) უფრო გამოსადეგი და სასარგებლოა საზოგადოებისათვის, რომელს რა და რა შემდეგი მოსდეს, რა და რა სარგებლობა და ვნება. „საზოგადოების მეცნიერებას“ უნდა მოვსთხოვოთ ჩვენ იმ საქმის ახსნაც, თუ რა და რანაირ მდგომარეობაში, რა და რა ნიადაგზე ხარობს და ძლიერდება სხვადასხვა გაწყობილება, და რა ჰავე სწყყენს იმას, რა ჰავე არგებს.—როგორც ერთი მხარედგან მეორეში გადარგული ვაზი შესაფერ ნიადაგს და ჰავეს თხოულობს, უიმისოთ თავის ხასიათს და თვისებას კარგავს და ცოტა ხანის შემდეგ იმნაირ ვაზათ იქცევა, როგორც უწინ იმ ნიადაგზე იზრდებოდა, სწორეთ იმავენაირათ იცვლის თავის ხასიათს და თავის თვისებას ყოველი საზოგადო გაწყობილება, თუ თავისი შესაფერი სხვა გარემოებებიც არა აქვს. მიუზბრუნდეთ, ხელ ახლავ, სასამართლოს მაგალითს. ვინ არ იცის, მაგალითად. რომ როცა ჩვენში ახალი სამართალი შემოიღეს, ამ სამი წლის წინეთ, ამ სამართლის უმთავრესი პირობები სასარგებლო და ჩინებული რამ იყვნენ ხალხისთვის, განსაკუთრებით უწინდელ წესთან შედარებით? მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენ საზოგადოებაში საკმაო პირები არ იყო, რომელთაც ამ სამართლის ხმარება გამოყენება შეეძლოთ. აღმოჩნდა, რომ ძველი წესით აღზრდილ საზოგადოებას ბლომათ არ ყავდა უანგარო და მიუდგომელი პირები, რომელთაც ახალი წესის გაცნობა დი ხმარება შესძლებოდათ. ამის და ზოგი სხვა მიზეზების გამო, ახალი სამართალი ჩვენში ისე სრულათ ვერ გაიმართა და ისე ჩინებულათ ვერ მოქმედებს, როგორც სხვაგან, მაგალითად რუსეთში... ეს ჩინებული სამართალი სხვა, უარესს საზოგადოებაში რომ შემოეღოთ, მაგალითად მადაგასკარზე, იქ აი რაები მოხდებოდა: ახალი მსაჯულები, ძველი ჩვეულებით, არც ქრთამს დააკლებდენ ხელს, არც მიდგომას, კეთილს ავიდგან ვერ გაარჩევდენ, და მთავ-

რობის ან შემძლე პირების მიდგომით, უწინდელურად დაჩაგვრიდენ ზალხის უმეტეს ნაწილს, ისე რომ მშვენიერი და აღმტაცი სიტყვები „სიამართლე და მოწყალება სუფევდეს სასამართლოში“ ცარიელ სიტყვებად დარჩებოდენ სასამართლოს კარებზე...

მიუვბრუნდეთ, კიდევ, მეორე მაგალითს, ნასწავლი ყმაწვილის მოქმედებას საზოგადოებაში. წელან ვთქვით, რომ ნასწავლ ყმაწვილს ცხოვრებაში სხვებზე გავლენა, სხვების მდგომარეობის გაუმჯობესობა შეუძლია. მაგრამ თუ ყმაწვილი უხეიროთ იყო გაზრდილი, თუ ის საზოგადოება, რომლიდანაც ის გამოდის, და რომელშიაც ის ბრუნდება, მეტის მეტათ ცუდ გზაზე და ზნეზე დვას ყმაწვილის სწავლაც ბევრს ვერას გააჩუბებს... განა ჩვენში არ გვინახავს ამის მაგალითები? განა ჩვენ არ გვინახავს ვითომ-განათლებული, რომლის ცხოვრებას და მოქმედებას არავინ აუმაღლებია და გაუნათლებია? სხვა გარემოებაში, უეჭველია, მაგალითად, რომ იმ ასიოდე ყმაწვილს, რომელთაც სახელმწიფო, ესე იგი საზოგადო, სახალხო ხარჯით უმაღლესი სწავლა მიიღეს, და რომელთაც ესლა ას-ასი და ორას-ორასი თუმანი შემოსავალი აქვთ წელიწადში, ადვილათ შეეძლოთ სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისთვის და ზალხისათვის მათზე დანახარჯი ფულის და შრომის დაბრუნება, თითო-თითო ყვაწვილი მაინც რომ აეზარდათ თავის საკუთარ ხარჯით, და ორასი თუმანიდან ათის თავი მაინც გადაედვათ ამ საქმისათვის. ეს ჩვენში თრქმის არავის არ უქნია, არავის არ აუსრულებია თავისი მოვალეობა...

აქედან სჩანს, რომ „საზოგადოების მეცნიერებას“ ერთნაირ კითხვაზე კიდევ უნდა მოვთხოვოთ ჩვენ პასუხი: იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების წევრების ხასიათს, ზნეს და პატიოსნებას.

ქვეყანაში ჯერ არც ერთი სიკეთე, არც ერთი სასარგებლო საქმე არ გარიგებულა უხეირო და სუსტი კაცის ხელით, არც ერთი ამამალლებელი აზრი არ დაბადებულა მის თავში. რაც კაცობრიობას სახეირო და სასახლო რამ ღირსებია თავის სიცოცხლეში, ეს ყველაფერი გაუკეთებია მისთვის მაღალი და პატიოსანი ხასიათის პირებს, რომელნიც თავიანთი აზრით, მოქმედებით და ხასიათით ამშვენიერებენ, აუკეთესებენ და ასახლებენ კაცობრიობას, უწინდური ხელით წმინდა რამ თავის დღეში არ გაკეთებულა, ეს ყველასთვის ცხადი კემშარიტებაა. ყოველ საქმეს, ყოველ მიზანს, კაცის შრომა და ძალა სჭირია, ისეთი შრომა და ძალა, რომელსაც ათასნაირი დაბრკოლების დათურგენა შეეძლოს, რაგინდ უბრალო

საქმე ავიღოთ, თვით კერძო პირის ცხოვრებიდანაც, მაშინვე დავინახავთ, რომ ამ საქმის აღსრულებას ბევრი დაბრკოლება უძევს წინ, ზოგი ბუნების მხრით, ზოგი კაცის უმეცრების, ზოგი მტრისა და მეგობრის წინააღმდეგობის ან საშუალების უქონლობის გამო. სანამ კაცი ამ დაბრკოლებას არ მოიცილებს, მიზნის მიღწევა მისთვის შეუძლებელი იქნება და მისი საქმე მარტო ოცნებათ დარჩება. თუ ასეა კერძო პირის ცხოვრებაში, ათასჯერ და ათიათასჯერ უმეტესი შრომა და ჯაფა სჭირია იმას, ვისაც მხედველობაში საზოგადო საქმე და ხალხის სარგებლობა უნდა ჰქონდეს. უეჭველია, რომ მთელი ხალხი, მთელი საზოგადოება თვითონ ყველა თავის საქმეებს ვერ გამართავს, რადგანც უმეტეს ნაწილს თავთავის კერძო საქმე და კერძო სარგებლობა აქვს და ათასი კაცი ერთ საქმეს რომ დაეხვიოს, ეს საქმე ამ დახვევით ვერ იხეირებს. იმისგანაც საზოგადო ცხოვრება ისეთ რიგათ იმართება ყოველგან, რომ საერთო, საქვეყნო საქმეებს სანდო პირები მმართვენ... იმათ უკისრიათ მთელი საზოგადოების წინამძღოლობა, მისი სარგებლობის და კეთილდღეობის დაცვა და ყურის გდება, მისი ბედის გაუკეთესება. ამ მიზანს, როგორც წელან ვამბობდით, აუარებელი დაბრკოლებები აძნელებენ, და ამ დაბრკოლების მოსაცილებლათ, ამ მიზნის მისაღწევათ, ესე იგი საზოგადო ბედის გასაუკეთესებლათ საჭიროა საზოგადოებისთვის მხნე, გონიერი, შეურყვევლათ პატიოსანი და ნიჭიერი პირები, რომელთაც თავის საკუთარი სარგებლობა და მიზანი სრულიადაც არ უნდა ჰქონდეთ, რომელნიც საზოგადო საქმისთვის უნდა ცხოვრებდნენ და საზოგადო მიზნისთვის უნდა კვდებოდნენ...

სადაა ამისთანა საუცხოვო პირი, ამისთანა „დედამიწის მარტი“, ურომელოთ ხავსიანდება და ლბება საზოგადო ცხოვრება და ხასიათი?—ჩვენ ვცხოვრობთ რბილ, ჩვილ დროებაში. ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნე მეტის მეტათ მომტყდარი, უფულო და უსულო შეიქნა. დაბრკოლებასთან ბრძოლა კი არა, ჩვენ დაბრკოლების აზრიც გვაშინებს. ჩვენ გვსურს, რომ საზოგადო სიკეთე შემწვარი, გამომცხვარი, მარტილ წაყრილი ჩაგვიცვინდეს პირში. ჩვენ კბილის მოქნევაც გვეზარება ამ სიკეთით სარგებლობისთვის. წინააღმდეგობას და მიზნის მიღწევას ვინლა დაეძებს,—ჩვენ იმისიც კი გვერიდება, რომ ნაცნობს, მეგობარს პირში ისეთი აზრი არ უთხრათ, რომელიც მისას არ ედარება, რომელიც მისი საწყენი და წინააღმდეგია. ამნაირ შემთხვევაში ჩვენ ათასფერათ ვარბილებთ ჩვენ აზრს, მის ბამბით და ვარაყით შეხვევას ვცდილობთ, იქნება მსმენელმა არ იწყინოს, ვინიცობაა, და ჩვენი სანდურავი გულში არ ჩაისახოსო... საზოგადო

საქმე, საზოგადო მიზანი, სარგებლობა? ვინ არ ხარხარებს ჩვენში, როცა ამ სიტყვებს ყურს მოჰკრავს, ვის არ მიაჩნია ისინი ბავშურ ოცნებათ, სიტუტუტუცთ! „ჩემი რაა, რას დავეძებ“, ეს სიტყვები ვის არ აღგია ენაზე, ყოველთვის, როცა „საზოგადო სარგებლობა“ ჩაეწვეთება ყურში? ვის არ მიაჩნია ეს სიტყვები იმ უცნაურ და თვალთმაქცურ მაკრატლათ, რომლითაც ადვილათ შესაძლებელია „საზოგადო ცხვრის“ გაკრეჭა და „საზოგადო მატყლით“ თავისი საკუთარი ტყავის და სხეულის გათფობა?...

სადა იმისთანა საუცხოვო პირი, იმისთანა ქვეყნის კეთილისშყოფელი, რომელმაც დაანახოს ამ დაბნეულ საზოგადოებას, რომ საზოგადო სიკეთე ჩვენი, ესე იგი, შენი და ჩემი სიკეთეა, რომ რაც უფრო მკვიდრი და ვრცელია საზოგადო სარგებლობა, მით უფრო მკვიდრ და შეურყეველ საუბრებზე დამყარებულია ყოველი კერძო პირის სიკეთე და კეთილდღეობა? ვინ ჩავვიდგამს ჩვენ ამ „საზოგადო სულს“, ვინ გვიჩვენებს საზოგადო მიზანს, ვინ გავვიმარებს ხაზს იათს, ვინ ავვიმალვებს გრძნობას, ვინ არ შეუშინდება დაბრკოლებას და წინააღმდეგობას და მიგვაწვევინებს საზოგადოების მაღალ მიზანს, — ყველას და თითოეულის ბედნიერებას?..

ჩვენ ძლიერ შორსა ვართ ამ ბედნიერებაზე. უღარდელათ, უზრუნველათ უცქერით ჩვენ ყოველგვარ უხეირობას, სიცუდეს და აკვაცობას, თითქო ეს საქმე ჩვენ არ შეგვხებოდეს, თითქო ჩვენი დაჩაგრული მახლობელი ჩვენი სისხლის არ იყოს და მის ბედს და უბედობას ჩვენზე არაუფერი გავლენა არ ჰქონდეს. ჩვენ შეურყეველათ ვტყბებით ჩვენ საკუთარს კერძო ცხოვრებაში, სანამ ჩვენ საკუთარ ტყავს არ შეეხება ის სენი და ის ვნება, რომელიც წინეთ ჩვენს მახლობელს მიაღვა, მაშინ კი ჩვენ ხმამაღლა ღრიალს და გოდებას ვიწყებთ, მაგრამ ჩვენს უბედობას მახლობელი იმნაირივე გულგრილობით გულხელდაკრევილი დაცქერის, როგორითაც ჩვენ მის ტანჯვას დავეურებდით. თითო თითოს, ცალცალკე, ნელნელა, შეუნიშნავათ გვჭამს ჩვენ ბედი, და ვერაფერს ვახერხებთ, უხასიათობის და უაზრობის გამო, ისეთს, რომ ერთათ, ძმურათ თავიდან მოვიცილოთ ის განსაცდელი, რომელიც ყველას ცალცალკე, მაგრამ მაინც ყველას ერთიანათ გვაწუხებს და გვაიმდაბლებს...

მკითხველს, ალბათ, გონია, რომ ჩვენ მეტის მეტათ გადაუხვიეთ ამ ნაწერის საგანს — „კრებულის“ დანიშნულებას — და ისეთ საგნებს შევხებვით, რომელთაც არაუფერი დამოკიდებულება არა აქვო ქურნალის ხასიათზე. ამ შემთხვევაში ის სცდება: რადგანაც ყოველი ხეირიანი ქურნალის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ სა-

ზოგადო მდგომარეობა გამოხატოს და საზოგადო მიზანს მიუახლოვოს თავისი საზოგადოება, „კრებულსაც“ (რომელსაც ხეირიან ჟურნალათ ყოფნა სურს) უნდა თავდაპირველათვე გაეცინჯა თავისი მომავალი გზა, ესე იგი გამოეკვლია საზოგადო საჭიროება და გამოედებნა ის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია თანადროული ცხოვრების გაუმჯობესება. წინა ფურცლებს მეტი მიზანი არ ჰქონიათ.

ებლა ჩვენ ადვილათ შეგვიძლია გამოვიყვანოთ ზემონათქვამიდან ჩვენი შემდეგი მოქმედების რიგი და წესი.

რაკი კაცის ბედნიერება ქვეყანაზე შესაძლებელია, რაკი კაცს ბუნებაზე იმოდენა ძალა და გავლენა აქვს, რომ შეუძლია ამ ბედნიერების გზის შემხუთველი დაბრკოლებები მოიცილოს, რაკი ამ საქმისთვის აუცილებლათ საჭიროა ხეირიანი წესი, ცოდნა, შრომა და პატიოსანი ხასიათი, — უეჭველია, რომ ყოველ პატიოსან კაცს ჩვენი ქვეყნისთვის ეს სიკეთეები უნდა სურდეს და ყოველი პატიოსანი ჟურნალი მთელ თავის ცდას და გონებას იმას უნდა აღევდეს, თუ რა გზით და რა ნაირათ შეუძლია საზოგადოებას ამ ხეირიანი წესის, ცოდნის, შრომის და პატიოსანი ხასიათის შექმნა და სასარგებლოთ ხმარება. უეჭველია, რომ ყოველი პატიოსანი ჟურნალი ნიადაგ იმ მიზანს უნდა მისდევდეს, რომ გააცნოს მკითხველი საზოგადოება, დაწვრილებით, ამ ხეირიან წესს, შეაყვაროს იმას ეს შრომა და ცოდნა, ჩაუდგას და აღზარდოს მასში ეს პატიოსანი ხასიათი და შეაძულოს, შეაზაროს ის განხეთქილება, ერთმანეთის გლეჯა, ერთი მეორის შეუბრალებლობა, შეაზიზღოს ის შესაზიზღებელი მოქმედებები, რომელნიც ბოლოს უღებენ საზოგადო ბედნიერებას და აბრკოლებენ მის წარმატებას.

„კრებულს“ ნიადაგ თვალწინ ეს მიზანი ექნება, რადგან იმას მხურვალეთ უნდა დაიმსახუროს „პატიოსანი და სასარგებლო ჟურნალის“ სახელი... რამდენათ მიაღწევს ის ამ მიზანმდღი, ეს ღმერთმა იცის: ლიტერატურული ასპარეზი ვარდებით მოფენილი როდია, ზედ სიარული და მოქმედება მეტის მეტათ ძნელია... მაგრამ ამ სიმძნელეშიაც „კრებული“ ყოველთვის იმ აზრით ჩაიდგამს სულს და სიმხნევებს მოიმატებს, რომ მის შრომას მიზნათ საზოგადო სარგებლობა და სიკეთე აქვს...

ახალი ახალგაზდობა⁹

I'll draw the form and model of
our battle, Limit each leader to his
several charge and part unjust pro-
portion small power.*

შექმბირი

I

ძველი თაობის დამხობა ჩვენში დღეს ბრმისთვისაც ცხადი საქმე შეიქნა¹⁰. ჩვენი ხალხის და საზოგადოების ცხოვრება, ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში, იმ ნაირათ დატრიალდა და შეიცვალა, იმას ისეთი მოთხოვნილება და საქმეები დაუხვდა გზაზე, ის ისეთ დაბრკოლებებს წაატყდა, რომ ძველებურმა ჭკუამ და გამოცდილობამ პირი დაალო, დამუნჯდა და ძალა-უნებურათ თავისი უვარჯისობა და უმეცრება აღიარა. ვინც უწინდელ დროში, 1861-მდი¹¹, ჩვენს საზოგადოებას გონიერების, გამოცდილების, მოხერხების და ჭკუის ძაღნათ მიაჩნდა, ვისიც სიტყვა და რჩევა შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდი განუხილავათ, უწინაღმდეგოთ, ბეჯითათ მიიღებოდა, ის დღეს ყველას საბრალო უმეცრათ, გაფლიდებულ მკითხავათ მიაჩნია. ჩვენი საზოგადოების დამრიგებლებს და წინამძღოლებს, ჩვენი ხალხის თავებს მაზანდა წაუხდინა ახალი ცხოვრების ახალმა მოთხოვნილებამ. ამ სასიამოვნო უბედურებას ვერც იმათმა ჭაღარათმამ უშველა, ვერც ძველმა დიდებამ. ყველაფერი შემუსრა და შეურაცხველი ახალმა დროებამ და მისმა დაუზოგველმა „მოთხოვნილებამ“.

ან კი როგორ შეიძლებოდა, რომ მათი საქმე სხვაფრივ წასულიყო? რითი დაემსახურათ ამ ვაჟბატონებს თავიანთი უწინდელი დიდება? რა ნამდვილი სიკეთე და სარგებლობა შეუძენიათ იმად სამშობლო ქვეყნისა და ხალხისათვის? რა ქველის-მოქმედება, რომელი გონიერი რჩევა და აზრი წინამოურბიდა მათ გავლენას? რა ღვაწლით, როგორი მოქმედებით, რა ნაირი ცხოვრებით დაიმსახურეს იმათ „სახელი“ და დიდება? ამ კრთხვებზე პასუხს ვინ გამოძებნის! მათი გავლენა დიდკაცობაში

* „მინდა ჩვენი ბრძოლის სახე და პლანი დავხატო, თითოეულ წინამძღოლს წესი მოვალეობა შემოუსაზღვრო და სწორეთ გავანაწილო ჩვენი მცირედი ძალა!“

მდგომარეობდა, მათი ცხოვრება წინაპარების სამკვიდრებელის ფანტეაში მიდიოდა, მათი დიდება სხვისი წყალობით ნაბოძევი იყო, მათი მოქმედება—ამ წყალობის ძებნაში იხარჯებოდა. იმათ საზოგადო მიზანი, სიკეთე, ღირსება, მომავალი სიზმარშიაც არ მოლანდებიათ, მათი მიზანი ნიადაგ პიროვანი იყო, იმათ თავიანთი თავის და ნათესავეების ამალღება და გამდიდრება ნდომიათ, და საზოგადოებისთვის რჩევით და მაგალითით მარტო ეს კერძობითი, ბინძური გამაცალცალკეებელი მიზანი უჩვენებიათ. — „ამალღდით, გამდიდრდით, ვისაც კი შეგიძლიათ, ამბობდა მათი მაგალითი და ქადაგება, დანარჩენს კი—წინ წყალი და უკან მეწყერიო!“ ეს იყო მათი სახარება, მათი მამაო ჩვენო და დაუჯდომელი. ამ მოქმედებას და საქციელს არც დიდი სწავლა სჭიროდა, არც დიდი გონიერება. ვისაც მელური ხასიათი ჰქონდა, ვისაც წინაპარებისაგან საკმაო ადგილ-მამული დარჩენოდა, ის დიდებისა და გავლენისკენ გზას ხელ-ნელა ითელიდა. იმას მაშინდელი ცხოვრება ადვილათ ითვისებდა, აჯილდოვებდა და ამალღებდა, და საზოგადოებაც, მისი ამალღებით გაკვირვებული, მის დიდებას და ამალღებას მის გონიერებას და კჳუს აწერდა. ის ვერ არჩევდა იმ გზას და იმ საშუალებებს, რომლითაც ამ პირებმა დიდებამდი მიაწიეს. ის საკმაოთ და ღირსეულათ ვერ აფასებდა იმ ღონის-ძიებებს და დამდაბლებას, რომლის შემწევობით ამალღდენ ეს პირები: ის მარტო ამალღებას ხედავდა და ფიქრობდა, —ალბათ გონიერი და სხვებზე უჭკვიანესი პირები არიან, თუ კი სხვებზე უფრო მალლა აფორთხვა მოახერხესო. აი, ეს გახლდა ჩვენი ვაჟბატონების გავლენის საფუძველი, ეს გახლავს მათი ძალის საიდუმლო კახრაკი და ძარღვი.

II

ღვთის მადლით ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები მოხდა, რომ მოთავე პირებს მარტო გაჩუმებით და წაყრუებით, ზურგის წახრით მოქმედება აღარ გამოადგებოდათ. ორმოცდათუთხმეტის ომმა¹² საზოგადოებრივი ცვლილებების საჭიროება გამოააშკარა. ამ ცვლილებებმა მამაპაპური ცხოვრება და ჩვეულებები შესძრა, ძველებური რწმუნებები მოჰკაფა, ახალი გაწყობილება კარზე მოგვყენა, ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა რომ საზოგადოებრივი წესი და წყობილება ადამიდამ შეუცვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხელით შექმნილა, და კაცის ხელით შეიცვლება. რისთვის დაწესებულა რომელიმე კანონი, სასარგებლოა ის საზოგადოებისთვის, თუ სავენებელი, დარჩეს

ის, თუ შეიცვალოს, ან როგორ შეიცვალოს, რა დაარსდეს მის მაგიერ,—ეს კითხვები თურმე კაცის გონებით და მოაზრებით გამოიკვლევაო. ამას მიხვდა ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ხალხი. და როცა ამ კითხვებით ისინი ჩვენს ბრძენებს მიაღვეს და პასუხი მოითხოვეს, ბრძენებმა, რასაკვირველია, ენაც ვერ გააჭაჭანეს, სული ჩაიბანდეს და გაიბერეს, ვითომდა ამის პასუხები ჩვენ კი ვიცით, მაგრამ არ ვიტყვითო. მაგრამ როცა საზოგადოებას საქმე გაუჭირდა, როცა ცვლილებები თვითონ ამ ვაჟბატონების ჯიბეებს და სალაროებს შეეხენ, გაქვსთ სიცოცხლე, მაშინ კი ალაპარაკდენ, მაგრამ როგორ? მათმა ლაპარაკმა და ყვირილმა, მათმა მოქმედებამ მათი განუზომელი უმეცრება და ანგარება გამოააშკარა; საზოგადოებამ მათში მარტო ხეპრული თავმოყვარეობა და უგუნურება დაინახა, მეტი ვერაფერი. და თან და თან უფრო და უფრო აშკარათ გამოჩნდა, რომ როცა საქმე მთელი საზოგადოების ბედს და მდგომარეობას, მომავალს და არსებობას შეეხებოდა, ეს ბატონები მარტო საკუთარ ჯიბეებზე * ზრუნავდენ, მარტო საკუთარ სარგებლობას ეძებდენ. და ამ ძებნაშიაც თვალ ახვეულ ჯაგლაგსავით ფორხილებდენ, სცდებოდენ და ხანდისხან საკუთარ დიდებასაც ჰკარგვიდენ. ერთი სიტყვით გამოჩნდა, რომ ამ ბრძენებს არც ცოდნა ჰქონიათ რისიმე, არც ნამდვილი, გამოსადეგი გამოცდილება, არც საკმაო გონება, და პატიოსანი საზოგადოებრივი გრძნობა, რომ ხალხისა და საზოგადოების საქმისთვის ეპატრონებიათ და თავი მოებათ. მათი დიდება გამოიფუტა, მათი გავლენა გაქრა, მათი სახელი დაივიწყა: დღეს მათი დამნახავი საზოგადოება სწორეთ იმას გრძნობს, რასაც გრძნობს მოზიდილი ქალი, როცა უცაბედათ ძველ სკივრში დამტვერიანებულ დედოფალს წაეყრება, რომელიც იმას სიყმაწვილეში სულდგმულ გვამათ მიაჩნდა, რომელსაც ის ეფერებოდა, ეთავაზებოდა, ემუსაიფებოდა და ეალერსებოდა, და რომლის ვახუნებული წითელ-ყვითელი ტანისამოსი დღეს მის პირის სახეზე მწარე შებრალების დიმილს სძრავს.

ამ უბედურმა თაობამ, თავის უკანასკნელ მოქმედებებში, იმოდენა უხეირობა და სისუსტე გამოიჩინა, რომ შებრალების მეტი აღარაფერი გრძნობა არ ეძერის გულში ჩვენი დროების კაცს. როგორც წყალ-წალბებული კაცი ხავსსა და ლანდს ხელს სტაცებს და სიპსს, ან როცა ეჯახება, ისე ამ ძველმა თაობამ ხელი წაავლო ყველაფერს, რაც კი იმის თვალ წინ მიჰქონდა ცხოვრების აღელვებულ

* ცენზორის მიერ არის ამოღებული.

ტალღას * მოინდომა იმახ ბანკის დაწესება, იბზუა, იტრიალა, და დაამკვიდრა მარტო თავისი უცოდინარობა და ანგარება¹³. ისურვა მთავრობის დახმარების თხოვნა, სასწავლებლების გამართვისათვის, და დამისახურა მარტო საზოგადო შეურაცხყოფა. ერთი სიტყვით, ყველაფერს მოეპოვებინა ეს თაობა, და ვერაფერს ვერ მოჰკიდა ხელი, ყველაფერი მოინდომა, და ვერაფერი გაარიგა, ვერაფერს მისწვდა, ვერაფერი დაამტკიცა, თავისი საკუთარი უძლურების მეტი.)

III

ამან გაუთხარა სამარე ამ საბრალო თაობას. არა მგონია, რომ ოდესმე საქართველოს ხალხმა ეს თაობა სიკეთით მოიხსენიოს და ძეგლი დაუდგას, მაგრამ კარგი კი იქნებოდა, მომავალი თაობების სამაგალითოთ, ამ თაობის მოთავე პირებს რომ ძეგლი აუშენოს ჩვენმა ხალხმა, და ზედ ეს ზედწარწერა ამოსჭრას: „აქ მარხია თაობა, რომელსაც საკუთარი სარგებლობა ღმერთად მიაჩნდა, რომელიც ბრმათ ატარებდა თავის სიცოცხლეს და დაბრმავების გამო ახალი ცხოვრების ფეხ-ქვეშ გაითელა“. და თუ ძეგლი არ იქნა, იმაში კი მტკიცეთ დარწმუნებული ვარ, რომ ისტორია, თუ ჩვენ ოდესმე ისტორიის ღირსნი შევიქენით, სიტყვა-სიტყვით ამ ზედწარწერას გაიმეორებს და იმით ღირსეულათ დადაგავს ამ ბედშავ თაობას, რომელსაც ჩვენი ხალხისთვის ვნებისა და სიმწარის-მეტი არა გაურიგებია რა.

IV

აქ შესანიშნავი და დაფიქრების ღირსი ის გარემოებაა, რომ ამ თაობის ჩაქოლების და დამხობის მიზეზი უფრო ცხოვრების და გარემოების ძალა იყო, ვინემ ახალი თაობის მოქმედება და ბრძოლა. ჩვენ იმოდნათ პირუთნელი და გულწრფელი უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი საკუთარი მოქმედების და გავლენის დაფასება უნდა შეგვეძლოს სწორეთ იმ თვლით, როგორითაც დაგვაფასებს ჩვენ შემდეგი თაობა და მომავალი ისტორია (ვიმეორებ, თუ ჩვენი ხალხი როდისმე ისტორიის ყურადღებას დაიმსახურებს). ამ თვლით რომ შევხედოთ ჩვენ იმ ახალ თაობას, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში 1861 გამოვიდა¹⁴, დავინახავთ, რომ ამ თაობას ძლიერ მცირედი გავ-

* ცენზორის მიერ არის ამოღებული.
რედ.

ლენა და მოქმედება ჰქონია, არა თუ მარტო ხალხის ბედზე და ცხოვრებაზე, მაგრამ მის გონებაზე და ძველი თაობის დამხობის მიზნებზედაც. უმთავრესი გავლენა, უძლიერესი მეხი თვითონ ცხოვრების შეცვლას, ახალი წესის შემოღებას ჰქონია, და ახალ თაობას ის სარგებლობაც ვერ მოუპოვებია, რომელსაც იმას ხელში ცხოვრების მიმდინარეობა აჩვენებდა.

1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსებული შემოვიდა, იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატივისცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზღვრული აღტაცება, მაგრამ, როგორ ან რისთვის დავმალეთ, რომ ამ თაობასაც ამ ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მარტო ერთი კაცი, — ილია ჭავჭავაძე¹⁵, რომელიც წინამძღოლელიც იყო და რაზმიც, ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ურაზმო წინამძღოლელი იყო იმ ახალი თაობასაც რომელსაც ჩვენ ცხოვრებაში ფეხი უნდა შემოედგა ამ თორმეტი წლის წინათ. თვითონ ეს თაობა დამზადებული როდის იყო ძველ თაობასთან ბრძოლაში შესაბამელათ. იმას გაცნობილი (არ ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრება, საზოგადოებრივი წესის კანონები და საჭიროებები, იმან არ იცოდა თუ რა და რა ცვლილებას თხოულობდა ხალხის მდგომარეობა, რა ნაირ მოქმედებას და დისციპლინას თხოულობს ბრძოლას საჭიროება) ის ერიდებოდა ძველ თაობას, ან, მართალი ვთქვათ, ეშინოდა მისი. მარტო ერთი მხრით შეეძლო ამ თაობას ძველის დაჩაგვრა და დათრგუნვა, — იმ მხურვალე სიყვარულით, რომელიც ახალგაზდა გულში უნდა ღვივოდეს საზოგადო. ბედნიერების და საქმისადმი. ამ გრძნობამ, ამ სიყვარულმა აამაღლა ეს თაობა საზოგადოების თვალში, და შეავსო მისი ნაკლულეევანება ცხოვრების ცოდნაში. როცა ძველი თაობის საკუთარი სარგებლობის ძებნას გვერდს ამოუდგა ახალი თაობის საზოგადოებრივი გრძნობა, ძველმა თაობამ უნებურათ, უგრძნობელათ თავი დახარა და უნდომელათ დაიწია: ეს გავლენა ჰქონდა 1861 წლის თაობის „სიტყვას“, და ეს „სიტყვა“ იმაში მდგომარეობდა, რომ გონება გახსნილი, დაწინაურებული კაცის უმთავრესი ვალია თავისი ხალხის და საზოგადოების დახმარება და ბედის გაუმჯობესება.

ამ „სიტყვამ“, ამ აზრმა გზა გჭიკვალა საზოგადოების ტვინისკენ * მაგრამ ამ თაობის ნაკლულეევანება იმაში

* ცენზორის მიერ არის ამოღებული.

მდგომარეობდა, რომ მის ნიკიერ და გონიერ წარმომადგენელს, ილ. ჭავჭავაძეს, დამხმარე და თანამოხიარე ბევრი არავინ ყავდა. მის თანამშრომლებს, საზოგადოთ რომ ვთქვათ, არც დიდი ნიჭი ჰქონიათ, არც დახელოვნებული ცოდნა. ისინი რიცხვითაც მცირენი იყვნენ და ძალითაც, ისე რომ ჭავჭავაძეს მარტო სიტყვით, წერა-ბეჭდვით შეეძლო, ისიც ცოტა ხნის განმავლობაში, თავისი მიზნის სდევნა. და თუმც იმის მოქმედებას ფუჭათ არ ჩაუვლია, თუმც იმას გვარიანი კვალი დაუტოვებია ჩვენ ცხოვრებაში, ის როდი უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინდელი გარემოებებს და ჭავჭავაძის ნიჭსა უმეტესი გავლენის მიცემა შეეძლოთ ჩვენი ახალი თაობისთვის, და უმძიმესი მების დაცემა უნდა შეძლებოდათ ძველი თაობის მდგომარეობაზე და გავლენაზე.

V

რათ დაემართა ჩვენ ახალგაზღვრებას ამნაირი უბედურება, რა მიზეზი იყო, რომ იმან ვერ დაიკავა ჩვენს ცხოვრებაში ის ადგილი, რომელიც თითქო საგანგებოთ დაუძხადა იმას ბედმა და გარემოებამ?

ეს ადვილათ ასახსნელი და გამოსაძიებელი კითხვაა. (თითოეულ დროებას, თითოეულ თაობას თავისი საკუთარი საქმე და საჭიროება მოსდევს.) ხანდისხან საზოგადოებას ეკონომიური მდგომარეობა აწუხებს, მაშინ ის კანს იცვლის თავისი ეკონომიური გაწყობილებით, და ამ დროს საჭიროა ისეთი თაობა, რომელსაც ეკონომიური ცვლილებების მოხდენა და გამოყენება შეეძლოს. სხომის საზოგადოება გარეშე მტერს ებრძვის, მაშინ ის იტანჯება ბრძოლის ველზე, და ამ დროს საჭიროა სამხედრო სწავლაში დახელოვნებული თაობა. მშვიდობიანობის დროს, როცა ეკონომიური ცვლილებები ხეირიანი დგებიან, ხალხი მშვიდობიანათ შრომობს და ცხოვრობს, მაშინ საჭიროა მწარმოებელი თაობა, შრომაში გამოცდილი, ალებმიცემის მცოდნე, გზების და გამსაღებელი ადგილების გამომძებნელი (მაგრამ თითქმის ნიადაგ როგორც მშვიდობიანობის ისე ბრძოლის, დროს როგორც ცვლილებებში, ისე მკუდროებაში, საჭიროა ახალი თაობის აღმზდელი პირები, საჭიროა სამოქალაქო და პოლიტიკური განწყობილების მცოდნე მოთავეები. როცა საზოგადოებას უეცრათ რომელიმე ამ პირებთაგანი სჭირდება, მაშინ მის თვალში და ცხოვრებაში ძალა და გავლენა იმ თაობას ეძლევა, რომელსაც შეუძლია საჭირო პირების წარმოდგენა და მოხმარება. საზოგადოება იმას არასოდეს არ დაეძებს, ახალთაობას ეკუთნის საჭირო პირი თუ ძველს, ნამეტნათ ახალგაზღვრა ის, თუ შუა კაცია,

ანა და მოხუცი. იმას ეს პირი სჭირია, ის სარგებლობს მისი ცოდნით და მოხერხებით და უჯერებს იმას, სანამ ის მისთვის საჭირო და გამოსადეგა. იცვლება დრო და გარემოება, საზოგადოებას სხვა საჭიროება კარს ადგება, ის სხვა პირებს ეძებს და უჯერებს, სხვა მიმართულებას იღებს, ასე ბრუნავს საზოგადოებრივი ცხოვრება. ამ ბრუნვაზეა დამოკიდებული სხვა და სხვა თაობის ზედმოქმედება საზოგადოებაზე, სხვა და სხვა მიმართულების გამარჯვება და ამაღლება საზოგადოების ცხოვრებაში. ძალა და გავლენა იმ მიმართულებას და იმ თაობას ეძლევა, რომლის აზრი უფრო ნათლათ სცნობს ცხოვრების გარემოებებს და რომლის წევრები უფრო მტკიცეთ დამარაგებულნი არის ამ გარემოებების გასაგებათ, მოსავლელათ და შესაცვლელათ.

(მაშასადამე, ჩვენში 1861 წლის თაობას, იქეთი წევრები სჭიროდა, რომელნიც დამზადებული და გაჩეუული ყოფილიყვნენ მაშინდელი საზოგადოებრივ საქმეების მმართველაში.) საუბედუროთ ეს თაობა ჩვენ ცხოვრებაში დაუმზადებელი შემოვიდა. (იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიითა, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. იმას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა, და გონების იარაღათ იმას მარტო ორიოდ მეტნაკლებათ ნათელი აზრი მოუძღვიდა: გლეხების გათავისუფლების სამართლიანობა, ბატონყმობის უფარვისობა, მამულის სამსახური... და თუ ამ მცირედი იარაღით და ბარგით, ამ გამოუკვლეველი, ნისლიანი აზრებით-მაშინდელმა თაობამ მაინც თავი გამოიჩინა და საზოგადოების თვალში უწინდელ თაობაზე უფრო მალა დადგა, ეს ერთი მხრით ძველი თაობის განუკურნველ სიძაბუნეს გვიმტკიცებს) და მეორეს მხრით გვიჩვენებს, რა ადვილი იყო მაშინ ახალი მიმართულების გამარჯვება და ამაღლება, მაშინდელს ჩვენს ახალგაზდობას ხეირიანი დამზადება და იარაღი რომ გამოჰყოლოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოსვლის დროს. რათ არ გამოჰყვა იმას ეს დამზადება და იარაღი?

VI

ამის პასუხს ჩვენ ადვილათ მოვძებნით, თუ კი გაკვრით თვალს გადავავლებთ იმ მდგომარეობას და გარემოებებს, რომელშიაც იზღებოდა მაშინდელი ჩვენი ახალგაზდობა.

(ნუ დაგივიწყებთ, რომ როცა ეს ახალგაზდობა სწავლას შეუდგა, ჩვენ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ ისმოდა გაუმჯობესობის საჭიროება და სურვილი. სწავლას მიმზიდველი ძალა, იმ დროს,

მარტო იმ უპირატესობაში მდგომარეობდა, რომელსაც დიპლომები და „განათლების ბზინვა“ ახალგაზდა კაცს სამსახურის ასპარეზზე აძლევდა. დაობებული, უმოძრაო ცხოვრებაში აღზრდილ ახალგაზდას გზავნიდენ უნივერსიტეტში, სადაც საკმაო მოძრაობა არ ეძლეოდა ახალი მიმართულების ძალას. ვისაც მაშინ დიდი ნიჭი ჰქონდა, ვისაც მძლავრი ტვინი დაჰყოლოდა, ის თვითონ იკაფავდა. გონების გახსნის გზას. იმას როდი აკმაყოფილებდა ადამის წლის პროფესორების დაძველებული და მამაპაპური ლექციები, იმას არ აძინებდა დიპლომის იმედი და მოსვენებას არ აძლევდა ის კითხვები, რომელნიც ყოველი ხეირიანი ახალგაზდის გონებაში ჯგუფ-ჯგუფათ იბადებიან და პასუხს მოუსვენრათ ეძებენ. ამისთანა ყმაწვილები თვითონ, თავიანთი შრომით და გაგებულებით შეუდგენ გონების გამახსნელ სწავლას, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა პროფესორების ლექციებთან. ცხოვრების დაკვირვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით, ფიქრით, ბაასით, მოქმედებისა და წერის ცდით, მეცადინეობდენ ესენი, დამზადებულიყვნენ ჩვენი ხალხის სასარგებლო მსახურებათ, და, რამდენათაც კი მაშინდელი გარემოებები და მათი ნიჭი იმათ ამის ნებას აძლევდენ, კიდევ დაემზადენ. ამგვარი იყო, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის და ზოგიერთი იმ დროის ახალგაზდების დამზადება. სხვები, ნაკლები ნიჭისა და ჭკუის პატრონები, ძველ გატკეპნილ გზას შეუდგენ. იმათ ლექციები იზებირეს, ოთხი-ხუთი წელიწადი ყური უგდეს იმის დაწვრილებით აწერას, თუ სეზოსტრისმა ვინ სად დაამარცხა, ანა და რას ფიქრობდა ივანე მრისხანე, როცა თავის საკუთარ შვილს გაბრაზებული ჰკლავდა, ანა და კიდევ, რა და რანაირი უღვაში და ფერი აქვს სხვა და სხვა გვარ პეპელებს, კობორჩხალებს და მორიელებს. უეჭველია, ეს კითხვები მეტისმეტათ შესანიშნავია კაცობრივობის მეცნიერებაში, და იმათ გამოუჯგუფებლათ ფეხს ვერ გადადგამს თანამედროე ფილოსოფია, თანამედროე სწავლული. მაგრამ ჩვენი პროფესორები და მათი ყურის მგდებელი ახალგაზდები ივიწყებდენ, რომ აუდიტორაში ას მხმენელზე იქნება მარტო ერთი იყოს ისეთი, რომელიც სწავლის წინააწევას და ფილოსოფიას შეუდგებოდა, და რომელსაც, მაშასადამე, ეს წვრილმანი ფაქტები როდესმე გამოადგებოდა. დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი კაცი კი ცხოვრებაში სამოქმედოთ, საზოგადოებაში სასამსახუროთ ემზადებოდა, და იმათ მორიელების კულის გამოხატვა კი არა, თვითონ ამ საზოგადოების გაცნობა, მისი საჭიროების გამოკვლევა, მისი საეკიმო საშუალებების გამოძებნა სჭიროდათ, უფასოთ, უნაწყაფოთ, უსისტემოთ, უცხებდენ თავს ახალგაზდებს.

ამისთანა წვრილმანი ფაქტების სიმრავლით, თითქო ეს ახალგაზდები თერამეტ-ცბრამეტი წლის მოსწავლეები კი არა, დახელოვნებული მეცნიერები ყოფილიყვნენ, რომელნიც კერძო ფაქტების მნიშვნელობას თვითონ იგებენ და ღირსეულათ აფასებენ. იმის მაგიერ, რომ ეგვიპტეში მოსწავლისთვის თანამედროე მეცნიერების აზრი. მისი მიმართულუბა და დასკვნები, მოსწავლის თვალწინ, მომაკვდინებელი სიზანტით და მიმძინებელი უნიჭობით იმ გზას ხატავდენ, რომლითაც უვლია მეცნიერებას, იმ იარაღს სწერდენ, რომელიც იმას უხმარია, და იმას კი არ ამბობდენ, რა გამოძებნა მეცნიერებამ, რა დაამტკიცა, რა შესცვალა და, განსაკუთრებით, როგორ უნდა შეიცვალოს ეხლანდელი ჩვენი ფიქრი და რწმუნება, ჩვენი ცხოვრება და განწყობილება, რომ მეცნიერების დასკვნას დაეთანხმოს და მისი საუნჯით ისარგებლოს კაცობრივობამ. მოსწავლის მეხსიერებას ათი ათასი უმნიშვნელო ან წვრილმანი ფაქტების დამახსოვრებით ღალავდენ, მოაზრების ჩვეულებას კი მასში არაფერს სძვრიდა. ამასგარდა უარესი ვნება იმას მოჰქონდა, რომ ფაქტებით ტიკტორასავით გაბერილ ახალგაზდაში არაფერს ზნეობით მხარეს არ ზდიდა. მოსწავლეს ფაქტებს აჩვენებდენ, მაგრამ არაფერს არ სცდილობდა მასში ხასიათი და ზნე ეზარდა, პატიოსნების კანონები გულში ჩაენერგა, პატიოსანი შრომისთვის შეეჩვია და მოქმედების მიზნათ მხურვალე საზოგადოებრივი გრძნობა დაეარსა. მართო სწავლა, რაგინდ სრული და მტკიცე იყოს, კაცს კაცად ვერ გახდის, თუ იმას გრძნობა და ხასიათი არ მოსდევს, თუ მის მოქმედებას მტკიცე ბეჭედი არ ასვია. ამას იფიწყებდა უნივერსიტეტის სწავლა. ის სრულიადაც არ ენებოდა მოსწავლეების ზნეობითი მხარის გაკეთილშობილებას, ის ახალგაზდა კაცს ცხოვრებას და მოქმედების მიზანს, იდეალს არ უხატავდა, ის მასში კაცურ ხასიათს არ ზდიდა და დაუღალავ, ნიადაგ შრომას, მტკიცე გზაზე სვლას, მიზნის დაუფიწყებლობას არ აჩვენებდა ამისგანმო უნივერსიტეტებიდან გამოდიოდენ ახალგაზდები, რომელთაც გაცნობილი ჰყვდათ პეპლები და ბუზანკალები, იუსტინიანის ინსტიტუტები, ეგვიპტელი მონუმენტები, მაგრამ ნამდვილი ცოდნით, საზოგადოებრივი მეცნიერებით და სამოქმედო ხასიათით თვითონ პეპლებზე უფრო სუსტათ იყვნენ და ეგვიპტელი მონუმენტებსათვის უსარგებლო უნდა გამომდგარიყვნენ საზოგადოების ცხოვრებაში. მართლაც უმეტესი ნაწილი ამ თაობისა პეპელასავით დაჰქრიდა ქუჩა ქუჩა და დღეში თხუთმეტ-ჯერ ტან-საცმელს და აზრს იცვლიდა, სანამ ცხოვრების საჭიროებამ და გარემოებამ ისინი მონუმენტების მაგივრათ არ განაღდა, არ გააშავა და გააქვავა.

VII

მაგრამ, ვიმეორებ, თუმცა ახალი თაობა ისე სუსტათ დამზადებული და დაიარაღებული გამოვიდა, თუმცა მისი ძალა თითქმის მარტო ერთი კაცის ძალაში მდგომარეობდა, თუმცა ამ თაობამ ის აღგილი ვერ დაიკავა, რომელიც მისთვის გარემოებებს დაემზადებია, ჩვენი საზოგადოების ცხოვრება იმ რიგათ მობრუნდა და შეიცვალა, რომ ძველ-თაობას მუხლები მოესხლიტა და ახალ მიმართულებას ასპარეზი თავისუფალი ხედება და რჩება. ჩვენი ახალგაზდობა მეტის-მეტათ შეცდება, თუ დარვიწყა, რომ ამ ბედნიერი მდგომარეობის მიზეზი და წყარო მარტო იმ ეკონომიურ ცვლილებაში კი არ მდგომარეობს, რომელიც გლენ-კაცების ბედის შეცვლამ მოახდინა. მარტო ეს მიზეზი რომ ყოფილიყო, ძველი თაობა ამაყათ და მარჯვეთ ჩაჩუმდებოდა, იტყოდა, ძალას ვემორჩილებიო, ანა და ცვლილება მე თვითონ მომწონსო, არა. ძველი თაობა კიდევ და უფრო მეტათ მეორე გარემოებამ მოჰკლა, ისე მოჰკლა, რომ თავის დღეში აღარ მოესწრება არც იმას, არც იმის მსგავს თაობას კვდრეთით აღდგომა და ამაღლება. ეს მეორე გარემოება აი რაში მდგომარეობს.

ყოველი ძველი თაობის ძალა, არათუ მარტო ჩვენში, მაგრამ ყოველგან დედა-მიწაზე, იმაში მდგომარეობს, რომ ეს თაობა აპატრონდება მთელი წარსული ხალხის ცხოვრების სამკვიდრებელს. წარსული დროების მოაზრებები, მწერლები, აზრები და ჩვეულებები, წარსული დიდება და შეძლება, იმათი სიტყვით, მათი საკუთარი იარაღი და სამკვიდრებელია. ვინც ახალ აზრს შემოიტანს, ახალ ცვლილებას მოითხოვს, ახალ წესს ურჩევს, იმას ყოველთვის ძველი თაობა უწინდელ გმირებს და უწინდელ დიდებას ცხვირში ატაკებს და ეუბნება: „მაშ თქვენ თქვენი თავი იმათზე უფრო ჭკუიანი და გონიერი გგონიო, რომ იმათგან დაწესებულ ჩვეულებას არ იწონებთ და სცვლითო? მაშ თქვენ ძველი მამაპაპური აზრი არ მოგწონთ, მაშ თქვენ ძველი სჯული არა გწამთო!“ ეს სიტყვები ყოველთვის აჩერებდნენ საზოგადოებას და უშველებელ დაბრკოლებას უყენებდნენ ყოველ განახლების ჯდას, რადგანაც საზოგადოებაში თანაგრძნობას უკარგავდნენ. დღეს საქმე სხვა მდგომარეობაშია. დღეს რომელიმე ძველი თაობის წითავემ რომ ამ სიტყვების თქმა გაბედოს, ჩვენ თაობას მისი ტყავის გართმევა შეეძლება, და საზოგადოების თანაგრძნობა ჩვენი თაობის მხრით იქნება. მართლაც რა სამკვიდრებელი დარჩა ჩვენ ძველ თაობას? ეკონომიური მხრით იმას გალარბებულნი და გა-

ტყავებული ხალხი და უმოქმედო, უხეირო აზნაურობა ღუპავს. პოლიტიკური მხრით — ზნე დაცემული, გაცალცალკეებული საზოგადოება, რომელსაც არა თუ ძველი გმირების სული დაუკარგავს, მათი სახელიც არ ახსოვს. ზნეობითი მხრით — გაფლიდებული უხასიათობა, დაცემული ხელისუფლება, ძლიერის თავყანისცემა, სამართლიანობის დავიწყება. ლიტერატურული მხრით — დაცემული მწერლობა, დავიწყებული ენა, დაფანტული და დამახინჯებული ძველი ლიტერატურა. გონებითი მხრით — სრული უაზრობა, ძველი ჩვენი ისტორიის უცოდინარობა, ახალი ცხოვრების გაუგებრობა. რომელ დიდებაზე მიგვითითებს ჩვენ ძველი თაობა? იმან თვითონ, თავის საკუთარი ხელით დაამხო და მტვერი წააყარა ამ დიდებას, და იმათზე უფრო გულ-მწველათ იხსენებს ამ დიდებას ჩვენი, და არა მათი, თაობა; რა საუნჯეს დაგვანახებს, რომელ გმირს წარმოგვიდგენს, როგორ ლიტერატურულ მოძრაობას, რომ ჩვენი გაჰკიცხვა და გაახლების სურვილი წალაგმოს? არაფერს, არცერთს. ის ხელცარიელია, გაკოტრებულია... ჩმას თვითონ აღარ სწამს თავის საკუთარი ღმერთები. იმას თავის საკუთარ თვალში მოჰკვდომია თავისი რწმუნება და იმედი. ვინ იხსენებს დღეს ანტონ კათალიკოზს¹⁶ და მის მსგავს კერპებს? ვინ გაბედავს მისი სახელით თანამედროვე მეცნიერების შეურაცხყოფას? ვის არ ჩაუკვენტს ენას ერთი უბრალო შენიშვნა: „თუ ჩვენი ანტონ კათალიკოზი იმისთანა ღვთისგან ჩაგონებული გმირი იყო, რომლის სიტყვა მთელ ეხლანდელ მეცნიერებაზე უფრო მაღლა უნდა იდგეს, რათ ვერ მოიგონა იმან რკინის გზა, ან ტელეგრაფი, რათ იკლავდა თავს ჯორზე ჩანჩალით, რათ ჰკლავდა შიკრიკებს თავისი ბარათების გზავნით. და იმაღეთ, თქვენ ხეპრებო, თქვენი ანტონ კათალიკოზით“. წარუდგინეთ ეს აზრი რომელ გლეხსაც გინდათ, რომელ აზნაურსაც გასურდეთ, — ვაჰრებზე რაღა ვილაპარაკოთ, — და ნახავთ, თუ ის თქვენ არ დაგეთანხმოს და არ სთქვას: — „რა ბრძანებაა, ბატონო, სად მაშინდელი სწავლა და დრო, და სად ეხლანდელი! ყრუ დრო გახლდათ, ჭკუიანი კაცები იყვნენ, მაგრამ სწავლა არ ჰქონიათო, იმათი სწავლა და დარიგება დღეს რაღა გამოსადგეიაო“.

აი ეს გარემოება ჰკლავს ჩვენში ძველ თაობას. ახალი მიმართულება, ახალი თაობა შემოდის ჩვენ ცხოვრებაში, ეხლანდელი მეცნიერების დახმარებით, როგორც ამ მეცნიერების წარმომადგენელი, მისი იარაღით აღჭურვილი. და ის სასწაულები, რომელიც ჩვენ ხალხს და საზოგადოებას ამ მეცნიერებამ დაანახა, ისეთნაირათ ზედმოქმედებენ ხალხისა და საზოგადოების გონებაზე, რომ არცერთ

ჯინჯილს, არცერთ ძველ ხელნაწერს, არცერთ ჭალარა თმიან თავს მისი ამოხოცვა და შეცვლა არ შეუძლია. ახალმა მეცნიერებამ, თავისი ორიოდე ზოგონების ჩვენებით, მოჰკლა ძველი მიმართულება, ძველი სული და თაობა, და, იმედია, სამუდამოთაც მოჰკლავს ძველ ცხოვრებას. თუ ახალმა თაობამ ახალ მეცნიერებას ხელი გაუწყო და მისი მასალები ხეირიანათ გამოიყენა. როგორ?

VIII

ახალმა მეცნიერებამ ჩვენში მარტო ცალი ფეხი შემოადგა. ის შემოვიდა ჩვენში მარტო თავისი ტეხნიკური მხრით, ზემოვიდა რკინის გზით, ტელეგრაფით, ცეცხლის გემით და სხვ.¹⁷ იმან გაიმარჯვა მით, რომ ყველასთვის შეჰკო და ცხადი შეიქნა, რომ ვერაფერი თოხნარიკი, ვერაფერი ხარ-კამბეზი ვერ იმოქმედებს იმდენს, როგორც ერთი უბრალო ორთქლმავალა. ეს ახრი ჩაიჭრა ხალხის ტვინში. უწინდელ დროში რომ ეს საქმე მომხდარიყო, ორთქლმავალს სასწაულებას მიაწერდნ და იტყოდნ, აი ბატონო, ილია წინასწარ-მეტყველი რომ ზეცას ცეცხლის ეტლით ავიდაო, ეს ყოფილა თურმეო. მაგრამ დღეს ყველა ხედავს, რომ ორთქლმავალა კაცის ხელით გაკეთებულია, კაცის გონებით გამოგონილია, და ყველამ იცის, რომ მამა აბრაამს ის არ ჰქონია, და მამა იაკობი აქლემებით დაიარებოდა. ეს დიდი საქმეა, ეს გარემოება ბევრ ცრუ მორწმუნებას სპობს და მოსპობს ხალხის ტვინში, და ღრმით შესცვლის მის აზრს და მოქმედებას. მაგრამ არის ისეთი მხარე თანამედროვე მეცნიერებისა, რომელსაც ჯერ ჩვენში ფეხი არ შემოუდგამს. თანამედროვე მეცნიერების მთელი ნახევარი, ის ნახევარი, რომელიც საზოგადოების ცხოვრებას შეისწავლის და მისი გაუმჯობესობის გზებს იკვლევს, ჯერ არ მოჩვენებია ჩვენ საზოგადოებას. ეს მხარე მეტის-მეტათ შესანიშნავი და გავლენიანია. ეს სწავლა პრაქტიკულათ გამოსადეგია ჩვენი საზოგადოებისთვის, მით, მაგალითად, რომ გვიჩვენებს, რამდენი უსარგებლო ვაი ვაგლახის აცილება, რამდენი მძიმე გაჭირვების გვერდის ახვევა, რამდენი ხეირიანი ძველის გამოყენება შეიძლება, გონიერათ რომ იყოს გაწყობილი საზოგადოების ცხოვრება. ეს სწავლა ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი წესიც კაცის ხელით შექნილია, რომ ის ათასჯერ შეცვლილა და ნელ-ნელა გაუმჯობესებულა, რომ კაცობრივობას ბედათ როდი დაჰყოლია ამ ქვეყანაზე ტანჯვა და უსარგებლო გაჭირვება, რომ სიღარიბე კაცის უმეცრების შედეგია, რომ კაცობრივობა ერთ დროს ისეთნაირათ გაიწყობს თავის ცხოვრებას, რომ არავინ სხვას ტვირთათ არ აწვეს,

სხვისი შრომით არ რჩებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირვებდეს და ძალისა და გვარათ ტვირთს უადვილებდეს. ერთმანეთში განხეთქილების და წინააღმდეგობის მაგიერ ეს სწავლა აარსებს საზოგადოებრივ გარმონიას, გონიერ ერთმანერთობას, შეერთებულ შრომას და ძმურ ცხოვრებას. ბევრი ამ სწავლის აზრებთაგანი ცხოვრებაში შევიდა, განხორციელდა, გამოდგა და გაძლიერდა. სხვების რიგიც მალე მოვა, და ნამეტნათ შორს არც ის დროა, როცა მთელი ეს მეცნიერება საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელ სწავლათ შეიქნება.

აი, ამ სწავლას უნდა მოსთხოვოს ჩვენმა ახალმა თაობამ ის საშუალება და იარაღი, რომლითაც საბოლოოთ უნდა დაიმხოს ჩვენი ცხოვრების ძველებური კილო და ჩვენი ძველი თაობის უკანასკნელი ნაფსაყუდი. როგორც რკინის გზა ანტონ კათალიკოზის ფილოსოფიას ბოლოს უღებს და უმოწყალოთ სრესს, ისე საზოგადოებრივი მეცნიერების ნაყოფის შემოტანით ბოლო უნდა მოუღოს ჩვენმა თაობამ მამაპაპურ უხეირო ჩვეულებებს და გაწყობილებას. ჩვენმა ახალმა თაობამ ეს მეცნიერება რომ ისწავლოს და მისი დასკვნები და მაგალითები გაახორციელოს და ეხლანდელი ჩვენი ცხოვრების ყვავილები გვერდში ამოუყენოს, ბრმებიც კი დაინახავენ, რომ ძველმა ცხოვრებამ ბარგი უნდა აიკრას და სამარისკენ გაემგზავროს, როგორც ბარგი ააკრევენეს ნეტარ ხსენებულ ანტონ კათალიკოზს. მაშინ, უეჭველია, ახალი მეცნიერება იმ სარგებლობას მოიტანს, რომელსაც უნდა ელოდეს მისგან თანამედროე კაცობრივობა და ჩვენთვის ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ჩვენ ისტორიულ ცხოვრებას, ჩვენ მდგომარეობას და ეხლანდელ გარემოებებს ჩვენი ხალხისთვის არც იარაღი და არც იმედი დაუტოვებია, ერთის მეტი — მეცნიერების ნაყოფის გონიერათ მოხმარებით ფეხზე წამოდგომა და უმჯობესი მომავალის დამზადება და მოპოება. რაც არ დაგვიტოვა ჩვენ წარსულმა ცხოვრებამ, რაც მოგვტაცა ბედის და ძველი თაობის ბრმა ძალამ, ის უნდა ვეძიოთ ჩვენ მეცნიერებაში, და მისი ძალით და დახმარებით უნდა გავამზადოთ მომავალი ბედი ჩვენი ქვეყნისა.

IX

შაშასაღამე, ცხოვრების მიმდინარეობას ჩვენი ახალი თაობისთვის ცალიერი ასპარეზი და გვარიანი იარაღი დაუმზადებია. რანაირათ შეიძლება ამ ასპარეზით და იარაღით სარგებლობა ისე, რომ ახალი თაობა რიყეზე არ დარჩეს? რა და რა პირობაა საჭირო ჩვენი ეხლანდელი ახალგაზღობისთვის, რომ მისი მოქმედება ფუჭად

არ გაქრეს, რომ მისი ძალა ხეირიანათ მოხმარდეს ჩვენ ქვეყანას, რომ იმან სწორეთ ის სიკეთე მოუტანოს ჩვენ ხალხს, რომლის მოტანის ნებას იმას ბედი და გარემოება აძლევს?

ამის გამოკვლევას დიდი დავიდარაბა როდი სჭირია. ჯერ ეს ვიკითხოთ, რა საქმე, რა შრომა ადგია კარზე ჩვენ ხალხს? რა საჭიროებები დააფიქრებენ ამ ახლობელ მომავალში ჩვენ საზოგადოებას?

ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში ცხოვრება ისე წაყრუებული და მიძინებული აღარ არის, როგორც ამ თხუთმეტი წლის წინეთ იყო. ვინ არ იცის, რომ გლეხების გათავისუფლებამ ზოგიერთი მხრით ახალი ეკონომიური მდგომარეობა შექნა, რომელიც ხშირათ აფიქრებს ჩვენ საზოგადოებას? ვინ არ იცის, რომ ამ ცვლილებას და სასამართლოების ახალ წესს შესანიშნავი ცვლილებები მოსდევენ ქალაქების და მაზრების გამგეობაში, და—როდესმე—ჩვენში ქალაქების საზოგადოებრივი გამგეობა და ერობა (земство) შემოიღება? ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში თითქმის ყოველგან სურვილი იბადება, რაც შეიძლება უფრო სარგებლიანათ გამოიყენონ პატრონებმა თავიანთი მიწა-წყალი და ადგილ-მამული? ვინ არ იცის, რომ ის მოძრაობა სამსახურის ადგილების შოვნისთვის, რომელიც ამას წინეთ ჩვენ საზოგადოებაში სუფევდა, დღეს გვარიანათ გაგრილებული და ძალა-მოკლებულია, რადგანაც ყველასთვის ცხადი საქმე შეიქნა, რომ სამსახურის ხეირიანი ადგილები ყველას ვერ გაწვდება და სანიადაგოთ ყველას ვერ დააკმაყოფილებს? ეს ყველასთვის ცხადია. მაშასადამე შემდეგში ჩვენ საზოგადოებას ბლომათ დასჭირდება სხვა და სხვა ხელოვნებაში და სწავლაში დახელოვნებული ახალგაზდები. როცა საზოგადოების წინ, მაგალითად, ერობის საქმე წარმოდგება, მაშინ ახალგაზდობას მარტო ორიოდ გრძნობიერი სიტყვის თქმა როდიღა ეყოფა კაცების თანასწორობაზე, როცა საზოგადოების ხელში, ვთქვათ, შკოლების გაწყობა, საავაიმყოფოების დაწესება, გზების გაყვანა, ხარკის შეკრება და სხვ. იქნება, მაშინ ახალგაზდობას, კეთილი და პატიოსანი სურვილის მეტი, ნამდვილი და პრაქტიკული ცოდნის გამოჩენა დასჭირდება, იმ ცოდნის, მაგალითად, რომელიც გზების გაყვანას, ხარკის განაწილებას, შკოლების მმართველს და სხვ. შეეხება. თუ მაშინ ახალგაზდობას საკმაო წევრები არ ეყოლა, ამ გვარი ცოდნაში დახელოვნებული, თუ, ვთქვათ, იმან თვითონ, თავისი საკუთარის ძალით, ვერ მოახერხა ხალხის საქმეების გამგეობა, რაც შეეხება შკოლებს და ძალაზიებს, გზას და ბეგარას სასოფლო და სამაზრო სესხებს და სხვ., შენი

მტერია ცუდად წავა მაშინ როგორც მთელი ერობის საქმე (რადგანაც ძველ თაობას ამ საგნებში სულ არაფერი ესმის), ისე ჩვენი ახალგაზღობის გავლენა საზოგადოებაზე და ხალხზე.

აქედამ ცხადია, რომ როგორც წინანდელი მოაზრება ჩვენ საზოგადოებრივი მეცნიერების საჭიროებას გვიმტკიცებდა, ისე ჩვენი საზოგადოების ახლობელი მომავალი ჩვენგან ამავე მეცნიერების იმ ნაწილის ცოდნას მოითხოვს, რომელიც სამოქალაქო გაწყობილებას შეეხება. რა რიგით უნდა გაიწყოს ქალაქების შინაგანი მმართველობა; მზარების და სოფლების წესი და დახმარება, რა უნდა ქნას საზოგადოებამ და ერობამ, რომ ხეირიანათ, გააწყოს ადგილობრივი მმართვეა, დაუჩაგრავათ შეკრიბოს ხარკი, საჭიროებისამებრ ხელი გაუწყოს ხალხს და ცალკე პირებს, საკმაო გასაგალი უპოვოს ხალხის ძალას, ხეირიანათ გაწვრთნას მისი ქკუა, — ამას ყველაფერს გვიჩვენებს ის სწავლა, რომელსაც უწინ პოლიციის ან ადმინისტრაციის სწავლას ეძახოდენ, და რომელსაც ეხლა გერმანელებმა გვარიანი სახელი დაარქვეს, — *Verwaltungslehre*. როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების შესწავლა, ისე განსაკუთრებით ამ მისი ნაწილის ცოდნა სწორეთ პირდაპირი მოვალეობა შეიქნა ჩვენი ახალგაზღობისათვის, თუ იმას ჩვენ საზოგადოებაში მოქმედება სურს და უსარგებლო მქამელათ ყოფნა არ უნდა. ნამდვილი და პრაქტიკული ცოდნით დაიარაღებული ახალგაზღობა, გარემოებების შემწეობით, ხმას ადვილათ ჩააკმეტიანებს ჩვენს ძველს თაობას, რომელსაც უმისოთაც გვარიანი ბურთი უძევს პირში, და როგორცამ ხმის ჩაკმეტიანებით, ისე იმ სარგებლობით, რომელსაც ის პირდაპირ ჩვენს საზოგადოებას მოუტანს, ის ადვილათ დაიკავებს ჩვენს ხალხის ცხოვრებაში იმ ბედნიერ ადგილს, რომელიც ხეირიან და ნამდვილათ განათლებულ და პატიოსან ახალგაზღობას უნდა ეკუთვნოდეს.

X

ეხლა ორიოდე სიტყვა იმაზედ უნდა ვთქვათ, თუ რა ნაირი გაწყობილებაა საჭირო, ჩვენი აზრით, თვითონ ახალგაზღობებს შუა, რა რიგი საზოგადო მოქმედება უნდა ჰქონდეთ იმათ მხედველობაში რა გვარი შეერთება ძალისა, რომ მათ შრომას და მოქმედებას რაც შეიძლება უკურო მეტი ხეირი და ბარაქა ჰქონდეს.

შესანიშნავია, რომ ჩვენ ახალგაზღობაში, რომელიც რუსულ უნივერსიტეტებში ჩემ დროს სწავლულობდა,¹⁸ ხშირათ ყოფილა მოლაპარაკება „საზოგადო საქმეზე და შრომაზე“, ხშირათ შემოტანილა აზრი შეერთებაზე და შეერთებულ მოქმედებაზე, მაგრამ არც

ერთჯერ ამ აზრს და ლაპარაკს დასკვნა და ნამდვილი დაგვირგვინება არ ღირსებია. თითქმის ყოველთვის ახალგაზღობები საქმეს ცხარეთ და ხალისიანათ ეკიდებოდნენ, მაგრამ ყოველთვის, ორიოდ სხდომის შემდეგ, აღტაცება და ხალისი ჰქრებოდა, ტყდებოდა აყალმაყალი რამე უბრალო საქმეზე ან კითხვაზე, შესდგებოდა „პარტიები“, და საქმის მაგიერ გამოდიოდა უსაფუძვლო განხეთქილება და საყვედური. ვინც ამ საბრალო უხეირობის მიზეზს მარტო სიყმაწვილეს და გამოუცდელობას მიაწერს, ის, ჩვენი აზრით, დიდათ შეცდება. სიყმაწვილე და გამოუცდელობა ისეთი ბრმა ძალა როდია რომელსაც ყოველი საქმის წახდენა შეეძლოს; სხვაგანაც კი ყოფილა ახალგაზღობა წრეები, მაგრამ სიყმაწვილეს მათთვის საქმის გარჩევა როდი მოუშლია. და რაც კი გამოუცდელობას შეეხება, ვთქვათ პირველჯერ მართლა გამოუცდელები იყვნენ ჩვენი ყმაწვილები, მაგრამ მეორეჯერ, მესამეჯერ, მეათეჯერ? არა, ამ უსარგებლო ძალისა და ცდის კარგვის მიზეზი სულ სხვა იყო. მაშინდელი ჩვენი ახალგაზღობები, უმეტეს ნაწილათ, ისეთ საქმეს ჰკიდებდნენ ხელს, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა და მოძრაობა არ უნდა ჰქონოდა, ან არ მიეცემოდა ნამდვილი საქმის და შრომის უქონლობის გამო, ახალგაზღობის ძალა და მოქმედების ხალისი ბაასში და ერთმანეთთან შეტაკებაში იხარჯებოდა. მთელ თვეების განმავლობაში ყმაწვილები სხვა და სხვა „უსტავებს“ სჯიდნენ, სჩხრეკდნენ, აწესებდნენ,—იმისი არ ეყოს, ეშმაკს ღვინო არ ჰქონდა და ტიკჭორას კი ალბობდაო. და ამ სჯისა და გარკვევის დროს უნებურათ სტყდებოდა უთანხმოება, სამდურავეი, განხეთქილება და ერთმანეთის სიძულვილი.—დიდი ხანია ნათქვამია, რომ არაფერი არ სტეხს იმოდენ აყალ-მაყალს და სამდურავეს კაცებს შუა, როგორც უსაქმოება და ერთ პაწაწა უმოქმედო წრეში ცხოვრება. სწორედ ამგვარ მდგომარეობაში იყო უწინ ჩვენი ახალგაზღობა. მთელი მისი ძალა და ხალისი ერთმანეთის გაწიოკებაში იკარგებოდა, სწორეთ ისე როგორც თავმოკრულ ქოთანში დამწყვედეულ კიბოებს მოუღიბთ. მეორე მიზეზი უფრო სანუგეშოა. არაფერი არ აახლოვებს კაცებს ერთმანეთს შუა ისე, როგორც საზოგადო მტერის ან მოწინააღმდეგის ყოლა. როცა ეს მტერი ახლოს დგას, როცა ის თვალგამოხილულია, კაცი ინსტინქტით უახლოვდება თავის მოძმეს და წვრილმან განსხვავებას და უთანხმოებას როდია იხსენებს, და როცა სტყდება ბრძოლა, მაშინ ხომ სრულიად ივიწყება ყოველგვარი განხეთქილება და ერთი რაზმი მებრძოლველები თითქმის ერთ გვამს, ერთ თავს და ერთ მკლავს შეადგენენ. მაშინდელი ჩვენი ახალგაზღობა ნამეტ-

ნათ მოშორებული იყო როგორც მტერზე, ისე სამშობლოზე. იმას თითქოს ბურუსში აგონდებოდა, რომ ერთი თვის სავალზე, მთებზე გადაღმა, სამშობლოში, ცხოვრებს მისი ხალხი, რომ ამ ხალხს ცხოვრება უჭირს მის სამშობლოში, მის საკუთარ მიმართულებას ბევრი მტერი და მუხანათი ჰყავს, რომ ამ მტერს და მუხანათს იმან ოდესმე ანგარიში უნდა გაუწმინდოს, და ამ ანგარიშის გაწმენდაში მისი მოძმე ახალგაზდა, რომელიც დღეს მის გვერდით დგას, საჭირო ან სასარგებლო იქნება. ეს ყველაფერი იმას კარგათ არ ესმოდა, ნამდვილათ იქნება არც კი სჯეროდა. დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. დღეს რკინის გზებმა ჩვენ ახალგაზდობას სამშობლო დაუახლოვეს. დღეს შინისკენ გასეირნება ადვილია, ფოჩტა ათ დღეში მოდის, „დროებასაც“¹⁹ ხშირათ მოაქვს საქართველოს ამბებზე, დღეს უფრო ცხადათ სჩანს თუ ნამდვილი ბრძოლა არა, დრო გამოშვებითი შეტაკება მაინც. დღეს უფრო ნათლათ იჩენენ თავს მოწინააღმდეგენი, და გულხელ დაკრეფა, გულგრილი მაცქერალობა სასასირცხვო საქმეთ შეიქნა. დღეს სჩანს საქმე, სჩანს ასპარეზი, სჩანს გამარჯვების იმედი, სჩანს ნამდვილი რწმუნება, რომ ხერიანი და გონიერი ახალგაზდა უსარგებლოთ როდილა გაატარებს თავის სიცოცხლეს, თუ კი სარგებლობის მოტანა მოინდომა. ეს არაფერი არ სჩანდა უწინ, როცა ჩვენი ახალგაზდობა თავის უმჯობეს დროს, უბედნიერეს წელიწადებს უსარგებლოთ და უნაყოფოთ ჰკარგვიდა პეტერბურგის და მოსკოვის ქუჩებში და აუდიტორიებში. ვინ იტყვის, რომ ამ ცვლილებას ჩვენ ახლანდელ ახალგაზდობაში სულ სხვა ნაირი შრომის და მოქმედების აღძრვა არ უნდა შეეძლოს?

მართალია, ესლაც სუფევს ჩვენ ახალგაზდობაში სხვა და სხვა ნაირი აყალ-მაყალი თუ არა, უთანხმოება მაინც. მაგრამ ეს ახალგაზდობის ხვედრია, და უიმისოთ ახალგაზდობა ახალგაზდობაც არ იქნებოდა. მაგრამ დღეს მე უმეტეს ნაწილში უფრო თეორეტიკული, ვინემ პიროვნულად უთანხმოება შემინიშნავს. ზოგიერთი, მაგალითათ ამტკიცებს, რომ კაცისთვის და ჩვენი ახალგაზდობისთვის უფრო საჭიროა გონება გამხსნელი მეცნიერების შესწავლა, და ამის გამო უნივერსიტეტისაკენ იწვევენ, ანა დასხვა და სხვა სამეცნიერო და საზოგადობრივ თხზულებებს ეწაფებიან. სხვები, იმათ წინააღმდეგათ, ქადაგებენ არაო, ჩვენთვის და კაცისათვის უფრო საჭირო ის სწავლა არისო, რომელსაც ლუკმა პურის მოცემა შეუძლიაო, და ამის თანახმათ უფრო ტექნიკურ მეცნიერებებს და სასწავლებლებს მისდევენ. ცხადია, რომ იმათ, „ბრძოლა“, თუ ამას ბრძოლა დაერქმევა, დიდხანს ვერ გაგრძელდება, და ვერც მარტო ბაასით გათავდექ

ბა. თვითონ ცხოვრება, რამდენიმე წლის შემდეგ დაანახებს ჩვენ ახალგაზდობას, რომ არც მარტო „გონება გამხსნელი“ მეცნიერება ვარგა, თუ კაცს მასთანავე ისეთი ცოდნა არა აქვს, რომელსაც ცხოვრებაში პრაქტიკულათ გამოდგომა შეუძლია, და არც მარტო ტექნიური მეცნიერება, თუ კაცი გონება გაუხსნელია და ვერც ცხოვრებას იცნობს, ვერც მის კანონებს, ვერც მის მოვლენებს, და ამ რიგათ თვითონ იმ მაშინას ემსგავსება, რომლის მოვლა იმას მაშინალურათ ასწავლეს ვიმეორებ, ამ გვარი დავა აუცილებელია, და თუმც მისი მიზეზით, ორაოდე ან ოციოდე ახალგაზდა ნამდვილი განათლების გზას ასცილდება, ეს ისეთი მსხვერპლია, რომელიც ცხოვრების მიმდინარეობას ჩვენთვის გაუწყესებია. რა ჩვენი ბრალია, რომ კაცი დედიმისის მუცლიდან სრულიად გონება გახსნილი და თვალ ახელილი არ გამოდის, განა ჩვენ დაგვიწყესებია, რომ მის გამოცდილებისთვის აქა-იქ ხეტიალი და ტვინის ქცევაა საჭირო?

ამისთანა უთანხმოება და განხეთქილება დიდ ხანს ვერ გაძლებს, და ადრე თუ გვიან გაჰქრება ახალგაზდობაში. ამასთანავე თან და თან უფრო და უფრო გაიღვიძებს შეერთების სურვილი, რაკი შეერთებული შრომა საზოგადო მიზნისთვის უფრო და უფრო საჭირო და აუცილებელ საქმეთ გამოჩნდება. მაშინ უეჭველია, ჩვენი ახალგაზდობა უფრო მეტ მოხერხებას და გულდადებას გამოიჩენს ჯერ შეერთებულ შრომაში საბრძოლველათ დამზადებისთვის, და მერმე თვითონ მოქმედების დროს ცხოვრების ასპარეზზე. ამ იმედის ნებას და ამ მომავლის მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენ ერთი შესანიშნავი საქმე, რომელიც გამოუწყიათ ზოგიერთ ჩვენ ახალგაზდებს ციურიხში, და რომელიც, იმედია, ამ მოკლე ხანში, სხვაგანაც დაარსდება, სადაც კი ჩვენი მოსწავლე ახალგაზდები ბლომათ იმყოფებიან.

აი რაში მდგომარეობს ეს საქმე.

XI

ციურიხში ამჟამათ ათიოდე ჩვენებური ახალგაზდა სწავლულობს, ზოგი უნივერსიტეტში და ზოგი პოლიტექნიკაში.²⁰ არ ვიცი ბედათ უნდა ჩათვალოს იმათ ეს, თუ უბედობათ, მაგრამ რადგანაც მათ ციურიხელ დიპლომს ჩვენში ადგილის შოვნის ძალა არ ექნება, ეს ყმაწვილები ნამდვილი სწავლის, ნამდვილი ცოდნის მიღებას უნდა ცდილობდნენ, თორემ მათი ღვაწლი და მგზავრობა ფუჭეთ ჩაივლის. ამ მიზეზითაა, თუ სხვით,—ესე იგი შვეიცარიელ ცხოვრების წახედვით, იმათ განუზრახავთ, ისეთ ნაირათ წაიყვანონ თავიანთი სწავლა და

ისტორიკოსთა გამოიყენონ ურთიერთის ძალა და ცოდნა, რომ ყველას მათგანს შრომა გაუადვილდეს და ნამყოფათ ხეირიანი დამზადება და გონების გახსნა დარჩეს. ამ მიზნის მისაღწევლათ ამ ყმაწვილებს გადაუწყვეტიათ, უფრაზებოთ, უშფოთოთ, და უაყალ-მაყალოთ, ისეთი ძმური ამხანაგობის ან საზოგადოების შედგენა, რომელშიაც თითოეულ წევრს მოვალეობა ექნება ერთი რომელიმე საგანი შეისწავლოს და დანარჩენ წევრებს თავისი ცოდნა ამ საგანზე გაუზიაროს.²¹ რადგანაც მარტო ცალ-ცალკე საგნის შესწავლის გარდა, კაცს თანამედროე საზოგადოების და ცხოვრების ცოდნაც სჭირია, იმათ ერთმანეთში გაუნაწილებიათ ახალი ისტორიის შესწავლა სხვა და სხვა ევროპიელი ხალხებისა, გაზეთებისა და ჟურნალების კითხვა სხვა და სხვა ენებზე, ზოგიერთი ჩვენ ცხოვრებაში გამოსადეგი საგნების გაცნობა და სხვ. და სხვ., და კვირაში ერთხელ, დანიშნულ დღეს, ისინი იკრიბებიან, და თითოეული მათგანი დანარჩენს უკითხავს, რაც შესანიშნავი რამ ნახა თავის არჩეულ საგანში. ამ ნაირათ ყოველი წევრი სარგებლობს არა თუ თავისი საკუთარი შრომის ნაყოფით, მაგრამ დანარჩენი ცხრა კაცის შრომითაც, და იტყობს ისეთ ამბებს, ისეთ ცნობებს, რომელსაც, მარტო რომ ყოფილიყო, ან ენების უცოდნელობით, ან დროს უქონლობით, ვერ შეიტყობდა, ან ვერ გაიგებდა. რადგანაც ამ ყმაწვილებს ეს საქმე გამოუწყიათ უფრო იმისთვის, რომ ერთმანეთს სწავლს და შრომა გაუადვილონ, იმათ როდი რცხვენიათ ერთმანეთის გამოკითხვა უცნობ საგნებზე, ან თავიანთი უცოდინარობის გამოჩენა. ისინი თავიანთ თავს შეუტყდომელ ბრძენებათ კი არა, მოსწავლე ახალგაზდებათ სთვლიან. ამისგან, თვითეული წევრისაგან წარმოდგენილი „ანგარიშის“ წაკითხვის შემდეგ, იწყება თურმე გამოკითხვა ახსნა, დამატება, გარკვევა და სხვ. ისე, რომ ანგარიშის საგანი გვარიანი სინათლით იბეჭდება მსმენელების გონებაში.

რალა თქმა უნდა, რომ ეს მეტის-მეტათ სასარგებლო და მომავალსანი საქმეა, შით უფრო, რომ ამ ყმაწვილებს, როგორც გავიგე, ძლიერ მტკიცეთ სურთ როგორც საფუძვლიანი სწავლის მიღება ისე თანამედროე ისტორიის გაცნობა, იმ მიზნით, რომ შემდეგში, სწავლის დასრულების მერმე, სასარგებლო და გამოსადეგ წევრებათ შეიქნენ ჩვენი საზოგადოების და ქვეყნისა. თუ ღმერთმა ქნა და ეს ცდა მტკიცეთ დაფუძნდა, თუ ამ ყმაწვილების აზრი ასრულებაში მოყვანილი შეიქნა, და ხანგრძლივი ცხოვრება და მოქმედება ექნა იმ წრეს, რომელიც იმათ დაუარსებიათ, უეჭველია, რომ მათ საქმეს ჩინებული ნაყოფის მოტანა შეეძლება ჩვენი უბედური საზოგადოე-

ბისტვის. მაგრამ თუ, საუბედუროთ, იმათი წრეც ისე უნაყოფოთ დაიფანტა, როგორც უწინდელი ჩვენი ახალგაზდობის წრეები, მაშინ ის სიკეთე მაინც დარჩება, რომ ამ ყმაწვილებს უპრეტენზიო და სასარგებლო ამხანაგობის დაარსების აზრი მოსვლიათ; რომ მათ საქმეს ჩინებული მომავალი მოელოდა! დამაარსებლებს საქმის წაყვანაში იგივე პრაქტიკული გონიერება რომ მოეხმარათ, როგორც თვითონ საქმის გამოძებნაში და დაწესებაში გამოუჩენიათ. სულ არაარაობას ესეც სჯობია, მით უფრო, რომ რაც ერთ ალღავს არ გაიხარებს, იქნება, სხვაგან გამოდგეს.

XII

ეს ჩინებული მაგალითი; თვითონ ციურხში უნაყოფოთაც რომ დარჩეს, მაინც გამოსადეგი და მიბაძვის ღირსი იქნება ჩვენი ახალგაზდობისთვის, მით უფრო, რომ მისი ხეირიანი გამოყენება ჩვენ ბევრ მცოდნე და დამარაგებულ ახალგაზდას დაგვიმზადებს. ერთათ სწავლა, ერთმანერთის ხელის გაწყობა რჩევით და სწავლის წყაროების ჩვენებით მარტო სწავლას კი არ გაადვილებს ამხანაგობის წევრებისთვის: (ის თითოეულ მოზიარეს წაახალისებს, წააქეზებს და ძალას მოუმატებს საერთო შრომისათვის; ეს კიდევ არაფერია; უფრო ძვირფასი ის არის, რომ თუ საქმე კარგად წავიდა, ამ გვარათ მოსწავლე ყმაწვილებში ხასიათი გამოიზრდება, ის საზოგადოებრივი ხასიათი, რომლის ნაკლულეევანობა დღეს ასე მძიმეთ აბრკოლებს ჩვენ სამშობლოს და რომელიც მხნე მშრომელებს ზღის სამშობლო საქმისთვის. შეერთებული სწავლის შემწეობით ჩვენში შეერთებული შრომის შეძლება დაარსდება. ყმაწვილები ერთათ შრომას, ერთათ რაზმში დგომას, ერთმანეთის კლავში კლავის გაყარას შეეჩვევიან, და ამით ჩვენი ახალი თაობის ძალა ერთი ათათ და ერთი ათასათ გადიდდება ღლეა ჩვენ ის ნაკლულოვანება გვჭირს რომ თითოეულს ჩვენგანს უნდა, რომ ყველა დანარჩენი მისვე კალაპოტზე ჩამოსხმული იყოს, მისივე ხასიათი ჰქონდეს, მასსავით ფიქრობდეს, ყველაფერზე და ყველაფერში მის მსგავსათ მოქმედებდეს. ეს შეუძლებელი და უსარგებლო, თითქმის სავნებელი საქმეა. დაახლოვება შეერთებული შრომის და სწავლის დროს თითოეულ ყმაწვილს უფრო დამშვიდებულ და მტკიცე შეხედულობას მისცემს ამ საქმეზე. ის დაინახავს, რომ თუ კი სხვას მისივე უმთავრესი მიზანი და მისივე პატიოსანი ხასიათი აქვს, წვრილმან გარემოებებში და საგნებში განსხვავება სავნებელი და დასაწუნარი როლია უწინ, მაგალითად, ყველას აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნდა „სე-

როიზნობა“, მძიმე, დამჯდარი ხასიათი და სხვ. და ვინც ხშირათ ხუმრობდა ან იცინოდა, იმას ცუდი თვალთ უყურებდენ. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ საზოგადო საქმეში ყოველნაირი ხასიათი გამოსადეგია, თუ კი მიზანი და პატიოსნება ყველას ერთი და იგივე აქვს. დღეს ყველას ესმის, რომ საზოგადო საქმეს როგორც ერთის დამჯდარი მოაზრება, ისე მეორის მკლავი დაცინება და მესამის ხალისიანი საქმის გამოხატულება ეხმარება. არ ამ სხვა და სხვა გვარი ხასიათების და ტემპერამენტების გონიერ შეერთებას, ერთი და იმავე მიზნის მასალწვევლათ, დაასწავლის ამხანაგური სწავლა სიყმაწვილეში. და რაც უფრო დიდხანს გაძლებს ამნაირი ამხანაგობა მით უფრო მტკიცეთ დაფუძნდება ჩვენ ახალგაზდობაში გონიერი სულგრძელება წვრილმან განსხვავების და უთანხმოების შესახებ და შეურყეველი, დაუფიწყარი მოთხოვნილება უმთავრესი საზოგადო მიზნისა და ხასიათის პატიოსნებისა.

XIII

ამ ნაირათ, ადრე თუ გვიან, ჩვენ საზოგადოებას შეეძინება გვირგვინათ დამარაგებული ახალგაზდობა, რომელსაც პატიოსან მინართულებას გარდა საფუძვლათ ცოდნა და მოხერხება ექნება, მაგრამ უსარგებლო არ იქნება დაუმატოთ აქვე, რომ ამ პატიოსან მინართულებას, ამ ცოდნას და მოხერხებას ერთი ძვირფასი თვისება უნდა ავტირავინებდეს, თუ ახალგაზდობას თავისი ძალის და სწავლის ჭვირიათ მომზადება სურს.

ცხოვრება, განსაკუთრებით ჩვენში, ნამდვილი ბრძოლაა. ვინაშე ჩვენში ცხოვრება და მოქმედება სურს,—თუ კი იმას ცხოვრება ჯამაგირის ან შემოსავლის ქეიფიანურ ხარჯვათ არ მიაჩნია—ის თავის საქციელს და მოქმედებას ისე უნდა აწყობდეს, თითქოს საბრძოლველათ ემზადებოდეს. ამისთვის აუცილებელი საჭიროა ამხანაგებთან დაახლოვება, საერთო მოქმედების დამარაგება, საერთო პლანის გაწესება, ისე რომ მთელ ახალგაზდობას არა თუ მარტო საერთო მიზანი, მაგრამ საერთო გზაც ჰქონდეს ახალგაზდობას მისი რიცხვის სიმცირე ასუსტებს, და ამას ყველაზე უფრო ადვილათ ძალისა და ღონის გონიერი მოხმარება მოუხდება. ვინ ამ გონიერ ძალის მოხმარებას უნდა შეეჩვიოთ, უსარგებლო მიღებ-მოღებას თავი უნდა დავანებოთ და იმ რიგი გაწყობილება უნდა მივცეთ ჩვენ ძალას და რაზმს, რომ თვითუფლის შრომას პირდაპირი და ჯეროვანი სარგებლობა მოჰქონდეს. ჩვენ ერთი სურვილის, ერთი ნების, ერთი აზრის და ერთის მოქმედების ქონვას უნდა შევეჩვიოთ,

რომ ჩვენი გონიერი მოქმედებით, ჩვენი შეერთებული და ერთ მიზნისკენ მიდრეკილი ძალით, ჩვენი დისციპლინით უკანასკნელი მეხი დავცეთ ჩვენს ძველ თაობას და დამაალ ცხოვრებას. მარტო ამ რიგი ამხანაგური გაწყობილებით შეგვეძლება ჩვენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესება და პატრონობა. (მარტო ამით შევიძინებ ჩვენ საზოგადოებრივ ძალას, მარტო ამით მოვიპოვებთ საზოგადოების თანაგრძნობას და ხალხის თანხმობას... და, მგონია, ეს მიზანი კი ღირს იმით, რომ თითოეულმა ჩვენგანმა თავისი თავმოყვარეობა მსხვერპლათ მოუტანოს საზოგადო საქმეს და ამხანაგურ დისციპლინას.

პარტიებზე ბევრი რამ იყო თქმული, მაგრამ ის კი ბევრს არ ახსოვს, რომ ყოველ საზოგადოებაში, რაგინდ ჩამოვარდნილი და ბნელი იყოს ის პოლიტიკური მხრით, ამკარათ ან მალულათ სდულს პარტიული ცხოვრება. ეს ჩვენშიაც ასეა. ჩვენშიაც ძლიერ განსხვავებით და მტკიცეთ იხატება პარტიების მოქმედება, პარტიული ცხოვრება. და როცა პარტიებს შუა ბრძოლა სდულს, როცა გაცხარებული წინააღმდეგობა და ქიშპობაა იმის შესახებ, თუ რომელ პარტიას უნდა ერგოს საზოგადოების წინამძღოლობა და ერის თაოსნობა, საქმე თითქმის ყოველთვის იმ პარტიის სასარგებლოთ სწყდება, რომელსაც არა თუ მარტო ხეირიანათ დამზადებული წევრები ჰყავს, თან გონიერი გამოყენება, შეუძლია თავისი წევრების ძალისა და ცოდნის. ამ გამოყენების ნებას მარტო ერთობა, მარტო დისციპლინა აძლევს პარტიას. ამის მაგალითების მოყვანა განა საჭიროა? ეს ისეთი ცხადი საქმეა, რომ მისი გაკვრით სსენებაც საკმაოა, ყველასთვის, ვინც ამ საგანზე როდისმე დაფიქრებულა, ან ვისაც დაფიქრება შეუძლია. აქ კი ის უნდა დაუმატოთ, რომ პარტიების ცხოვრებაში საქმე მარტო ბრძოლაში როდი მდგომარეობს. ყველაზე უფრო მძიმე და გავლენიანი საქმე, პარტიებისთვის, იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოიხმარს რომელიმე პარტია თავის გამარჯვებას, რას ვაარივებს და ვააწყობს ის, როცა ბრძოლის ასპარეზი ხელში დარჩება, როგორ გამოიყენებს ის თავის გავლენას და დაავგირგვინებს თავის შრომას. რაც უფრო ხეირიანათ და დაუფანტველათ ხმარობს თავის ძალას გამარჯვებული პარტია, მით უფრო ხანგრძლივია მისი გავლენა მით უფრო და უფრო სუსტდება მისი წინააღმდეგი პარტია, მით უფრო ძლიერდება საზოგადოების მყუდროება და ბედნიერება. ეს გარემოებაც უნდა იქონიოს სახეში ჩვენმა ახალგაზღობამ, რომ მისი დამზადება მარტო ეხლანდელი პარტიების წინააღმდეგ მოქმედებაში ან ბრძოლაში არ მდგომარეობდეს, მაგრამ თავისი საკუთარი სამაგიერო გაწყობილების და მოაზრების წარმოადგენა შეეძლოს...

XIV

ახლა მკითხველი მეტყვის:—ეს ყველა ყველაო, მაგრამ რისთვის; ან რა მიზეზით დაგიწერია ამსიგრძე ქადაგებაო. ეს მე თავში უნდა ამეხსნა, მაგრამ რადგანაც იქ არ ამიხსნია, ეხლა მაინც შეევასრულებ ამ მოვალეობას, და ვიტყვი რამ გამომათქმევინა ეს შენიშვნები და მოაზრება.

ჯერ ეს უნდა ვთქვა, რომ ეს მძიმე „ქადაგება“ საყოველთაოთ დაწერილი არ არის. ის იმათთვისაა დანიშნული, ვისაც სმენა და გაგონება აქვს. ამას გარდა, ამ ნაწერში მოყვანილი შენიშვნები, უმეტეს ნაწილათ მაინც ჩვენი ახალგაზღვრებისგან გამოთქმული აზრები და კითხვებია. მე იმათთვის ყური მომიკრავს აქა იქ. შემითანასწორებია, შემიერთებია და ხელახლავ ერთიანათ იმათთვის წარმიდგენია; ვისგანაც გაგონილი მქონდა ზოგიერთი კერძოობითი შენიშვნა. ამას გარდა ცხოვრების დაკვირვებამ დამარწმუნა მე, რომ ჩვენი ახალი ახალგაზღვრა ბევრი აღარ ჩამოგავს უწინდელ თაობას, ბევრი მხრით წინ წასულა იმაზე და იმ სურათს დამსგავსებია, იმ იდეალს დაახლოვებია, რომელიც ჩვენ გვენატრებოდა. და რადგანაც ამ ნაირათ გაუკეთესებული ახალგაზღვრის ძალის დაკარგვა ათასჯერ უფრო გულმომაკედინებელი იქნებოდა ვინემ უწინდელი ყმაწვილების გამოუდგომლობა, ჩვენ საჭიროთ დავინახეთ ორიოდ რჩევის და შენიშვნის მიცემა, ორიოდ გაფრთხილების და სურვილის გამოთქმა. ეს ჩვენი მოვალეობაც იყო და თან ჩვენი საქმისთვის გამოსადეგი საქციელი: ექნება ნაწერს კეთილი შედეგი თუ არა, მოიტანს ის იმ სარგებლობას, რომელსაც ჩვენ მისგან მოველით, თუ არ მოიტანს ამას მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ, მომავალს, რომ თავი დავანებოთ, აწმყოც საქმაო საფუძველს გვაძლევდა ამ გრძელი „ქადაგების“ დაწერისთვის. ეს საფუძველი მე საბოლოოთ დავიტოვე, და ეხლა მისი გამოხატვით ჩემ ქადაგებას დავასრულებ.

XV

რა თვალთაც უნდა უყურებდეს კაცი ჩვენს უწინდელ ახალგაზღვრებას, რა კი იმას გვერდით ეხლანდელს, ახალთაობას დაუყენებს, ერთი უმთავრესი შენიშვნა მაშინვე აზრში მოუვა. უწინდელი თაობა არა თუ მართო დაუმზადებელი და დაუიარაღებელი იყო, იმას საკმაო სიმტკიცე არ ჰქონდა ხასიათში, ის სიმტკიცე რომელსაც კაცს მისი სიტყვის და მოქმედების თანხმობა აძლევს. სიტყვით

უწინდელი ახალგაზღვრება ერთს ამბობდა, და საქმით მეორეს შვრებოდა. მის ზნეობით ცხოვრებაში რალაც სახარელი განხეთქილება მოჩნდა, რომელიც თითქმის სრულიად აბათილებდა იმ ჩინებულ აზრებს, რომლის მქადაგებლათ ეს ყმაწვილები გამოდიოდნენ. ისინი საქციელით თითქო შერიგებას ეძებდნენ ძველ თაობასთან, და ძლიერ ბევრ თავაზიანობას იჩენდნენ ძველი ცხოვრებრს შესახებ. იმათში საკმაო რწმუნება არ მოიძებნებოდა, და თან თავგამომეტება, ნიადაგი მიზნისკენ ლტოლვა: ამის შაგიერ სჩანდა მუდამი უხასიათობა, თავის დაღუნვა, გულხელ დაკრეფა, მცირედი, თითქმის შეუნიშნავი ნამყოფით დაკმაყოფილება.

ეხლანდელი თაობა უფრო მტკიცე და უფრო ძნელი დასაკმაყოფილებელია. ის შერიგებას როდი ეძებს: ის დარწმუნებულია, რომ შერიგება შეუძლებელი საქმეა, სანამ ერთი თაობა მეორეს სრულიად არ დაემორჩილება და იარაღს არ დაყრის. და რადგანაც იმას თვითონ იარაღის დაყრა არ სურს, ის ცდილობს ძალით დაყრევის იარაღი თავის მოწინააღმდეგეს. იმას იმედი და რწმუნება უღვივის გულში. მისთვის პატიოსანი მიმართულება მარტო ლაზათიანი სიტყვების გამოთქმაში კი არა, საქმით გამოიხატებოდა. ის საქმეს ეძებს და აფასებს. და,—ეს ყველაზე უფრო შესანიშნავია—იმას დიდათ არაფრათ უღირს გაკირვების ან შევიწროვების გამოვლა იმისთვის, რომ მისი მოქმედება და საქციელი მის სიტყვებს ეთანხმებოდეს. ის თავის გამარჯვებას, არც სხვის დახმარებაში ეძებს, არც უნაყოფო დიპლომატიაში, არც გულ ხელ-დაკრეფილ ცდაში. იმას მარტო თავისი საკუთარი თავის, საკუთარი შრომის, საკუთარი ძალის იმედი აქვს. და ეს იმედი იმას იმ ძვირფას ფანატიზმს აძლევს, ურომლოთაც არ გარიგებულა არც ერთი შესანიშნავი საქმე, ურომლოთაც არ მოპოვებულა არც ერთი გამარჯვება. ის დილიდამ საღამომდე იმას კი არ ფიქრობს, რომ იქნება ამ ჩემმა სიტყვამ, ამ ჩემმა მოქმედებამ გამოყრუებული ლაზარე ყვინცარიძე ან გოდორ-ბატონი გააბრაზოს, ან შეაწყინოსო. ის იმას არც კი დაეძებს, ყურადღებასაც არ ათხოვებს. იმას მარტო ახალი თაობა, ახალი ახალგაზღვრება და ხალხი ჰყავს მხედველობაში, მარტო მისი თანაგრძნობის მოპოება სურს, მარტო მის გულგრილობას ერიდება. ამ გრძნობით, ამ სურვილით, ამ აღტაცებით ბევრ ჩინებული საქმის გარიგებაა შესაძლებელი, და რომელი თავხედი იტყვის, რომ თვითონ საზოგადო მიზნის მიღწევაც შეუძლებელი იქნეს, როცა ბლომთ გვეყოლება ამისთანა ყმაწვილები?

აი, ეს ახალი მიმართულება გვაიძულებს და ძალას გვაძლევს ჩვენ; ახალი თაობა, თავისი რწმუნებით, თავისი იმედით, თავისი მხურვალე სურვილით და აღტაცებით გვაახლოვებს ჩვენ იმ მიზანს, რომელიც გულ მომაკვდინებელ სიშორეში გვეჩვენებოდა, როცა ჩვენ ცხოვრებაში ფეხი შევიდგით. და როცა ამ ახალი თაობის მომავალი მოქმედებებში მთელი ჩვენი იმედი და რწმუნება, როცა მისი მომავალი ჩვენთვის ჩვენი საკუთარი მომავალია, განა დაგვეძრახება იმ აზრების და შენიშვნების გამოთქმა, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ თაობას გამოადგება და შრომას და მოქმედებას გაუადვილებს?

XVI.

მაშ, მივატოვოთ მკვდრები და მომაკვდავები, თუ კი ჩვენ საკუთარ თავში ჩვენ საკმაო იმედს და ძალას ვგრძნობთ, და ვეცადოთ ხეირიანი მოქმედებით, გონიერი ძალის შეერთებით, კვირბურის საქმის წაყვანით დავიმსახუროთ და დავიკაოთ ის ალაგი, რომელიც ხალხის ცხოვრებაში ცოდნას და პატიოსნებას უნდა ეკუთვნოდეს. ამ ასპარეზზე ახალ ახალგაზღობას საშიში ან ძლიერი მოწინააღმდეგე არავინ ხვდება. მინდორი ცალიერია, მაგრამ ზედ ბევრი ურგო ბალახ-ბულახი და ტალახი იპოება. როცა ამასაც გასვწმენდთ, როცა მინდორი სუფთა და დამზადებული იქნება, მაშინ ნამდვილათ ასრულდება ჩვენი ჩინებული პოეტის აღმტაცი სიტყვები:

„თუ კი აწმყო არ გეწყალობს, მომავალი ჩვენი!“²²

1873 წ.

„მ ნ ა თ ო ბ ი“

(ბიბლიოგრაფია)

სამი კვირეა მას აქეთ, გამოვიდა „მნათობის“²³ პირველი (იანვრის) წიგნი. ერთი თვალი რომ გადაავლოს კაცმა მის შინაარსს, შიგ ბევრ რასმეს პოებს: ოთხ ლექსს (შათგან ერთი პოემაა), ხელმძღვანელ სტატიას, კრიტიკას, სამეურნეო და საპიგიენო თხზულებებს, თითქმის პოლემიკასაც. მაგრამ... როცა ამ სტატიებს გადიკითხავს, მალე მიხვდება, რომ ლექსებად „მნათობს“ ნაწყენტ-ნაწყვეტი პროზა ბიუღია. და ხელმძღვანელ სტატიათ — ყმაწვილური ბოდმვა; კრიტიკა უსაფუძვლო ქების შესხმად გადუქცევია, პოლემიკა — ლაყობათ, და მთელი ჟურნალი — ათასფეროვან და სრულიად უფერულ სტატიების კრებათ²⁴.

როგორც ეტყობა, „მნათობს“ ჰგონია, რომ ჟურნალის ღირსება სისქეზეა დამოკიდებული. ეს აზრი რომ არ უჯდეს თავში, უხეიროთ ნაწერ ათი თაბახის მაგიერათ, ხეირიან ორ-სამს მოგვცემდა, და ამით მკითხველებსაც არგებდა, და თავისთავსაც. ეხლა კი, ათი თაბახის გასავსებლად ხან იმისთანა სტატიებს ბეჭდავს, რომელიც რამდენიმე კვირის წინ „დროებაში“ იყო დაბეჭდილი, ხან იმნაირ თხზულებებს სთარგმნის, რომელთაც მათ სამშობლო ენაზედაც ვერ უშოვიათ მკითხველი*. ყველა ამ უბედურებასთან, „მნათობს“ ყელში გაჩხირებია ჩვენი ფელეტონისტი, უფ. ანჩისხატის უბნელი²⁵, რომელსაც მნათობი თავდაუზოგველათ უძღვნის რაც სხვა უსარგებლო სტატიებიდან ადგილი ჩამორჩენია.

ჟურნალის ამ გვარი წაყვანით ძალიან ძნელია ხალხისთვის მყობადის შობა და მომავლის მიცემა, როგორც ჩვენი მნათობი ეპირება. მყობადს და მომშვალს რომ თავი დავენებოთ, არც ისაა საქები ჟურნალისთვის, რომ „იყოს სოფელში და სოფელს კი არა არგოს!“...

*) აქ ჩვენ კომბის თხზულება არა გვაქვს სახეში; მაგრამ ან ესეც დასაბეჭდი იყო, განა, ჟურნალში, ცალკე წიგნათ კი კარგი საქევა მისი გამოცემა

„მნათობს“

I

„მნათობი“ ძლიერ გაუჯავრებია ჩვენს პაწაწინა შენიშვნას, რომელიც მის პირველ წიგნს შეეხებოდა („დროება“, 1870, № 16). მეორე წიგნში მისმა რედაქციამ გაცხარებული პასუხი გვიძღვნა, რომელშიაც მას არც ლანძღვა, არც ცილის წამება დაუზოგავს ჩვენთვის, და რომლითაც ის თხოულობს რომ ჩვენი მსჯელობის დამამტკიცებელი საბუთები მოუყვანოთ²⁶.

„მნათობთან“ ბრძოლაში შებმა ჩვენ, რასაკვირველია, ძლიერ გვეძნელება, ამიტომ რომ ჯერეც არ დაგვივიწყნია მისი შარშანდელი სიტყვები: „ერთი ორის სულით მახინჯის აზრი და წინააღმდეგობა ისე შეიმუხრებიან („მნათობის“ რედაქციის) სიმტკიცეზე, როგორც ზვირთები შეიმუხრებიან ხოლმე კლდეზე“ („მნათობი“, 1869, აპრილი გვ. 6). .ს. მაგრამ, რადგანაც „მნათობმა“ მოინდომა ჩვენი „ზვირთით შემუხრა“ და დაუყოვნებელი პასუხი მოგვთხოვა, რაღა გაეწყობა, უნდა თავი გამოვიმეტოთ და კლდეს ბაასში გავებათ...

II

როგორც მკითხველს ეხსოვნება, ჩვენი შენიშვნის დედა-აზრი ის იყო, რომ რედაქციას ძლიერ ცუდათ მიჰყავს „მნათობი“ და ამნაირი წაყვანით ეს ჟურნალი ვერ აასრულებს თავის დანიშნულეზბას, რომელიც მას თავის პირველ გვერდზე აწერია²⁷.

ეს იყო ჩვენი შენიშვნის აზრი. ამ აზრზე „მნათობი“ ხმას არ იღებს: იმას განსაკუთრებით არ მოსწონებია წერილმანი შენიშვნები, მაგალითად ისა, რომ ლექსებათ „მნათობს“ ნაწყვეტ-ნაწყვეტი პროზა მიუღია, და ხელმძღვანელ სტატიათ — ყმაწვილური ბოდვა; კრიტიკა უსაფუძვლო ქების შესხმად გადუქცევია, პოლემიკა — ლაყბობად და სხვა. ამ სიტყვებს ისე აუღელვებია „მნათობი“ რომ ის ჩვენ აზრს „უსაფუძვლო სიტყვების რაზა რუხს“, „ლიტერატურულ ქატოს“ „მტვერს“ „სიცრუეს“, „ტყუილს“ და სხვ. და სხვ. ეძახის.

ენახოთ, აბა, ვის უფრო ეკადრება ეს უკანასკნელი სიტყვები? ჩვენ რომ „მნათობის“ სურვილის ასრულება მოვიინდომოთ და დაწვრილებით გამოუდგუთ თვითოეული ჩვენი მსჯელობის დამტ-

კიცებას, „დროების“ მთელი ორი ნომერი კრიტიკით გაივსებოდა. ამისი ქმნა ჩვენ არ შეგვიძლია. მაგიერათ ერთ-ორ საგანს ამოვარჩევთ სამაგალითოდ, და ამ საგნებზე ვაჩვენებთ „მნათობს“, თუ რა ნაირ „დაუხედველობაზეა“ დაფუძნებული ჩვენი მსჯელობა.

III

„მნათობში“ ჯერ არც ერთი ჟურნალური სტატია არ ყოფილა დაბეჭდილი, რომელიც უფ. მოსე ქიქოძის „საქართველოს მომავალს“²⁸ შეედრებოდეს ან აზრით, ან ძალით. „მნათობის“ ცარიელ მინდვრებში ეს თხზულება მარგალიტით გამოსკვივის თავისი ჟურნალური ხასიათით და სიცხოვლით. დარწმუნებული ვართ, რომ „მნათობის“ რედაქციაც ამ აზრისაა „საქართველოს მომავალზე“.

ამ სტატიაზე ჩვენ დავწერეთ „დროებაში“, რომ ის ყმაწვილური ბოდვაა“. „მნათობს ეს მჯელობა სიტყვების რახა-რუხათ ჩაუთვლია. დაიჯერებს თუ არა „მნათობი“, ამ სამაგალითო სტატიის განხილვით რომ ჩვენი მსჯელობის წინდახედულობა დაშმტკიცოთ?

IV

უფ. ქიქოძის სტატიის აზრი ისაა, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდგომ, ჩვენს ქვეყანას ახალი ცხოვრება ემზადება, და ამ ახალ ცხოვრებისთვის საჭიროა „შრომის განაწილება“, და შკოლების ამერიკული წესით გაწყობა. ამ დედა-აზრზე უფ. ქიქოძე ართავს დამტკიცებებს, რომ ბატონ-ყმობა ცუდი და მევენებელი რამ არის, და რამდენსამე პოლიტიკურ ეკონომიის კანონებს.

დავიწყით ჯერ ამ კანონებით. 46 გვერდზე, უფ. ქიქოძე ამბობს: „პოლიტიკური ეკონომია გვიმტკიცებს, რომ შრომა მაშინ არის ნაყოფიერი, როდესაც მშრომელის სარგებლობასთან არისო შეერთებული, ესე იგი, როცა მუშა დარწმუნებული არის, რომ თავის ნაშრომით თვითონვე ისარგებლებს“ (ეს კანონი ცოტათი ბრუნდეთ არის გადმოთარგმნილი, მაგრამ არა უშავს რა). ამ კანონის დასამტკიცებლათ უფ. ქიქოძეს მე-47-დე გვერდზე შემდგომი მაგალითი მოჰყავს:

„თანხის პატრონები (გვრობაში) იძახიან, რომ მუშები გულმოდგინენი არ არიანო და შრომის ფასს ნაკლებს აძლევენ (უმცირებენ) დიდი ხანი არ არის, რაც ამაზე ყურადღება მიაქციეს სწავლულებმა. აი, როგორ გადაწყვიტეს ეს საქმე: თუ რომ სურთ ფულის პატრონებს, რომ მუშებმა იმათი თანხა სინდისიანათ აწარმოონ. იმათ შემოსავალშიაც წილი უნდა დაუდონ მუშებს, და არ დააჯგორონ მართა ქირას. ეს აზრი მეტად საფუძვლიანი არის“.

ეს არც საფუძვლიანი აზრია, არც სწავლულებს გადაუწყვეტიათ. საქმე აი როგორ იყო: როცა ზოგი სწავლული ამტკიცებდა, რომ ხალხის სიმდიდრის შექენაში თანხა უნდა ეკუთვნოდეს მშრომელებს და არა მშრომელები — თანხას, მაშინ, რასაკვირველია, მათ პირველ საბუთად ის მოყავდათ, რომ თავის საკუთარ სარგებლობისათვის კაცი უფრო გულმოდგინეთ იმუშავეს, მინემ სხვისთვისაო. ეს რომ ზოგიერთმა თანხის პატრონებმა გაიგეს! მათ მოინდომეს სწავლულების დედა-აზრის დარღვევა, მით რომ მცირე რამ წილი დაედვათ მუშებისთვის. ასე მოიქცენ ზოგიერთი ფაბრიკანტები, მაგალითად: უფ. დოლფუსი—მიულაუზენს, დიუპონი—პარიეს და ბევრი სხვა. წლის ბოლოს ისინი შეჭკრებენ მუშებს, და ეუბნებიან: მოწყალენო ხელმწიფენო! შარშან ჩვენ დაგვრჩა ნაღდი მოგება, ვთქვათ—ათასი თუმანი, როგორც ჩვენ დაგპირდით, აქედან თქვენ ასის თავი გერგებათ, ესე იგი ათი თუმანი. თქვენ ხუთასი კაცი ხართ, მაშასადამე თვითეულს თქვენგანს შეუძლია ხვალ ჩვენს კანტორაში თითო აბაზი მიიღოს. ეცადეთ, შვილებო წრეულსაც შარშანდელივით გულმოდგინეთ იმუშაოთ, და გაისს ამ დროს ამავე ჯილდოს მიიღებთ, თუ ღმერთმა მისი მოწყალება არ მიგვაკლო!“.

რასაკვირველია, იმ პოლიტიკო-ეკონომებს, რომელთაც ზაინცა-დამაინც პატრონების მხარე უჭირავთ, ეს „სარგებლობაში წილის დადება“ დიდ რამეთ მიაჩნიათ. ისინი კიდევაც სწერენ, მუშებს ამის მეტი არა აკლდათ რა, და რაკი პატრონები მათ მოგებაში წილს უდებენ, მუშები აწი სრულიად ბედნიერი იქნებიან და შრომაც სამართლიანათ დაჯილდოვდებაო! მაგრამ „მნათობის“ პუბლიცისტს უნდა სცოდნოდა, რომ ნამდვილი სწავლულები² ამ „წილის დადებას“ მასხარაობას, კომედიას უძახიან და ამბობენ, რომ „წილი“ მუშებს მართლა დადებული მაშინ ექნებოდათ, ანგარიშიც და საქმის წარმოებაც რომ მათ ხელში იყოსო, და მოგების ასის თავი კი არა, ნახევარი მაინც ეძლეოდესთო. ნამდვილი სწავლულები იმასაც ამტკიცებენ, რომ მინემ თვითონ მშრომელებს არ ექნებათ ხელშეშრომის იარაღი, და სხვათა შორის, თანხაც მანამდის მათი, შრომის ნაყოფი მათი კი არა სხვისი გამოსადეგი იქნებაო.

V

მეორე ადგილას, უფ. ქიქოძე ამბობს:

„როცა ინგლისში დაიწყეს პირველად ლაპარაკი ხალხის განათლებაზედ, მაშინ ინგლისის საზოგადოებამ, რადგან წინდახედულ ია, გადასწყვიტა, რომ თითონ საზოგადოებასვე ეკისრა ხალხის განათლება. აგრეთვე შეიძლება ვსთქვათ ჩვენი ხალხის განათლებაზედაც...“

მმართველობისათვის ისიც საკმაო შრომას შეადგენს, რომ ზრუნავს იმ ხალხის საჭიროებაზედ, რომლის დაკმაყოფილება თვით ხალხს არ შეუძლიან. მაგალითად, ჩვენში რკინის გზა და სხ.“... (63 გვ.).

ეს აზრიც შეცდომაა.

საზღვარ-გარეთელ სახელმწიფოებში აქამომდე მთელი ხალხის შემოსავალი ჯარზე და სხვა ამავე გვარ საგნებზე იხარჯება, ისე რომ აღსაზღვლათ აღარა რჩება რა. მაგალითად მოვიყვანოთ საფრანგეთი: შარშანწინ, 1868-ში, საფრანგეთის მმართველობამ დახარჯა სულ ერთიანად ორი ათას სამოცდა ოთხ მილიონზე მეტი (2.064.111.638) ფრანკი. ამ ფულებიდან სახალხო სასწავლებლებზე დახარჯულა მხოლოდ თხუთმეტ მილიონ ნახევარ ფრანკამდე (15.453.300). ესე იგი, ერთი ფრანკი რომ ხალხის განათლებაზე დაუხარჯავთ, იმავ დროს ას ოცდა თორმეტი ფრანკი სხვა რამეზე მოუწოდებიათ. მაგრამ, რადგანაც ხალხის სწავლა თვითონ სახელმწიფოსთვის აუცილებლათ საჭიროა (ამიტომ, რომ რაც უფრო ნასწავლია ხალხი, ის მით უფრო ძლიერი და მდიდარია), მმართველობამ ხალხში სწავლის გავრცელება ქალაქების ან სოფლების საზრუნველად და სახარჯოთ მიაგდო. სხვა სახელმწიფოებშიაც ასე იყო და არის, სხვათა შორის ინგლისშიაც.

ევროპაში არსებობს პარტია, რომელსაც ხალხში სწავლის გავრცელება ემართ მიაჩნია: იმას სახელათ ქვია „კლერიკალური“, ესე იგი სამღვდლო პარტია. ამ პარტიამ აი როგორ ისარგებლა მმართველობის უფულობით ერთის მხრით, და საზოგადოების უზრუნველობით — მეორით: ის ამტკიცებს, რომ სწავლის გავრცელება ხალხში თვითონ ხალხის ან საზოგადოების საქმე უნდა იყოსო და მმართველობა შიგ სრულიადაც არ უნდა ერეოდესო, არც რამე უფლება ან ზედამხედველობა ჰქონდეს სასწავლებლებზეო. ზოგიერთ წინ-დაუხედველ ლიბერალებს ეს უკანასკნელი აზრი ძალიან მოეწონა. მათ ეგონათ, რომ როცა სასწავლებლები ხალხის ხელში იქნებიან, მმართველობას მათზე აღარაფერი გავლენა და ზედამხედველობა ექნება, და ამ იმედით დაიჯინეს ხალხში სწავლის გავრცელება საზოგადოების საქმე არისო.

ამ მოსაზრებით, სწავლის გავრცელება მიანდეს სოფლელებს, ესე იგი უსწავლელ და უმეცარ პირებს, რომელთაც არც კი ესმისთ თუ რა საჭიროა სწავლა, და რომელთაც სწავლაზე ფულის დახარჯვა ეძნელებათ და სიგიჟეთე მიაჩნიათ. რაკი სწავლის გავრცელება, სასწავლებლების გამართვა და მასწავლებლების ამორჩევა ასეთ ხალხს მიენდო, რასაკვირველია, სწავლა მარტო კლერიკალური (სასულიერო) პარტიის ხელში ჩავარდა, ამიტომ რომ სოფლელებზე მღვდლებს ევოპაში დიდი გავლენა აქვთ.

ოცდა ათი წლის განმავლობაში ასე მიდიოდა საქმე. ლიბერალებს ეგონათ, რაკი სწავლა ხალხის ხელშია, მმართველობის უფლებებიდან გამოცლილი, ხალხი თავისუფლათ განათლდება, მაგრამ ნელ-ნელა აღმოჩნდა, რომ ხალხი, განათლების მაგიერ უფრო და უფრო ბნელდებოდა. სწავლულები ამის მიზეზის გამოკვლევას შეუდგენ და გამოკვნიეს, რომ მმართველობა, რომელიც მთელი საზოგადოების წარმომდგენელი და ხელმძღვანელი უნდა იყოს, სოფლელების სინდისზე კი არ უნდა აგდებდეს ამისთანა საჭირო და ძნელ საქმეს, როგორც სწავლის გავრცელებაა ხალხში; ამ საქმეს თვითონ უნდა შეუდგეს, დაახარჯოს ხალხიდან ანაკრეფი გადასახადი და ხალხს ძალდატანებითაც განათლებინოს ახალგაზდობა.

ეს აზრი ყველაზე უფრო თავისუფალ და განათლებულ სახელმწიფოებში გავრცელდა. და დღეს ზოგიერთ მათგანში კიდევაც ასრულებაში მოყვანილია. გერმანიაში, მაგალითად, შვეიცარიაში, შვეიციაში, და ამ უკანასკნელ დროს ესპანიაში, პორტუგალიაში და საბერძნეთში ხალხის განათლება თვითონ მმართველობის ხელშია; იქ კანონათ დაწესებულია, რომ ყოველ სოფელს უსათუოთ ერთი სასწავლებელი მაინც უნდა ჰქონდეს, და ყოველი ყმაწვილი უსათუოთ შიგ უნდა სწავლობდეს, თორემ მისი დედ-მამა ჯარიმით დაისჯება. ზოგიერთ ამ სახელმწიფოებში ისიც არის დაწესებული, რომ რა გინდ მდიდარი იყოს ყმაწვილის დედ-მამა, სასწავლებელი მას შვილის აღზდაში არაფერს არ უნდა ახდევინებდეს. სხვა სახელმწიფოებში ჯერ ასე შორს არ წასულან, თუმც კი ეპირებიან: საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში, ჰოლლანდიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმე სოფლების ხელშია, მაგრამ მმართველობაც ყურს უგდებს, ეხმარება და ცოტათ-თუ-მეტათ ძალასაც ატანს, თუმც იმას კი არ თხოულობს ყოველგან, რომ ყველამ ისწავლოს და წერა-კითხვა იცოდესო... მხოლოდ ინგლისში და ზოგან სხვაგანაც მმართველობა ხალხში სწავლის გავრცელებას. სოფლებს და ცალკე პირებს ანებებს*).

*) ინგლისშიც წრეულს ახალი კანონის პროექტია შეტანილი პარლამენტში; ამ პროექტით ინგლისიც ძალ და ტანებით სწავლას აწესებს (ნახ. წლებანდელი „დროება“ № № 10 და 13, პოლიტიკა).

ასე გახლავთ პ რ ა კ ტ ი კ ა შ ი. თეორიით კი ეხლა — ორიოდ ადამის ჟამის მწერლებს გარდა — ყველა დარწმუნებულია, რომ ხალხში სწავლის გავრცელება საზოგადოების ხელმძღვანელ მმართველობის ვალი და საქმეა...

ვნახოთ ეხლა, რა ნაყოფი მოუტანია ამ სამ ნაირ საქმის წაყვანას: ათასი კაცის სულზე, სახალხო შკოლაში დაიარება, გერმანიაში: საქსონიის სამეფოში — 184 ბავშვი, პრუსიაში — 155, ვირტემბერგის სამეფოში — 132, ბავარიაში — 130, შვედიაში — 136, შვეიცარიაში — 120, საფრანგეთში — 114, ბელგიაში — 109, ინგლისში — 80, რუსეთში — 12. ჯარში გამოწვეულებმა, ასი კაციდან იციან წერა-კითხვა: ვირტემბერგში — ასივემ, საქსონიაში — 98, პრუსიაში — 96, ბელგიაში — 86, ჰოლლანდიაში — 80, ინგლისში — 79, საფრანგეთში — 77, იტალიაში — 30.

აქედან სჩანს, რომ ხალხში სწავლის გასავრცელებლათ უსათუოდ საჭიროა, რომ საქმეს თვითონ მმართველობა დასდევდეს, ამიტომ რომ ყველგან, სადაც სწავლა ხალხის ხელშია მიტოვებული, ხალხი უგუნური და გაუნათლებელი რჩება.

იმედი გვაქვს, „მნათობი“ მიხედება ეხლა, თუ რა ნაირათ შემცდარა ამ საგანში უფ. ქიქოძე: მას გაუგონია, რომ საზოგადოება თვითონ უნდა დასდევდეს სწავლის გავრცელებასო, და მმართველობა ამ გავრცელებას ხელს არ უნდა უშლიდესო. მაგრამ, ეს სწორე და ქეშმარიტი აზრი ისე გადაუსხვაფერებია, რომ მისი სიტყვების ასრულებას, ხალხის განათლება კი არა, დაბნელება მოსდევს.

VI

მე-58 და 59-ტე გვერდზე უფ. ქიქოძე ძლიერ წინდაუხედველათ ამტკიცებს, რომ შრომის განაწილება მეტათ სასარგებლო არის ხალხისათვისო. მართალია, უფ. ქიქოძე სახელ-განთქმული ეკონომისტების სიტყვებს იმეორებს, მაგრამ, „მნათობს“ უნდა სცოდნოდა, რომ შრომის ნამეტან განაწილებას იზოდენა სარგებლობა არ მოუტანია, რაც ვნება მიუცია ხალხის გონებისათვის. შრომის განაწილება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ერთმა წაღები ჰკეროს, მეორემ ივაჭროს, მესამემ სთესოს და სხვა. ამ ნაირათ შრომის განაწილება მარტო უფ. ქიქოძეს ესმის. სხვები კი შრომის განაწილებას იმას უძახიან, რომ ერთი წალის შესაკერათ, მაგალითად, ერთი ძაფს გრეხს, მეორე ფისს უსვამს, მესამე ტყავს ალბობს, მეოთხე სჭიმავს, მეხუთე სჭრის, მეექვსე გვირიშტს უყოლებს, და სხვ. და სხვ. ეხლა წარმოიდგინეთ იმ მუშის მდგომარეობა, რომელიც მთელი სიცოც-

ხლის განმავლობაში ტყაეის წყალში ჩადების და ამოღების მეტს არას შერება რას, და იფიქრეთ, რა მდგომარეობაში უნდა იყოს მისი გონება, ჭკუა, ტანი და სხეული, ხელების გარდა? დამტკიცებულია, რომ ამ ნაირ მდგომარეობაში კაცი ძრიელ მალე სრულიად სუფელდება და უგონო მანქანათ იქცევა.

ამას გარდა, „მნათობს“ ის ბუნების კანონიც უნდა გახსენებოდა, რომ როცა კაცმა ორი-სამი ხელობა იცის, და ხან ერთს ჰკიდებს ხელს, ხან მეორეს მაშინ მისი შრომა უფრო ხალისიანი და ნაყოფიერია, და მშრომელს უფრო ნაკლები დროც ეკარგება, ამიტომ რომ შრომის გამოცვლა დასვენებას ედრება, როგორც დაამტკიცა ერთმა სწავლულმა (ამ დამტკიცებას უფ. ქიქოძე თუნდ მილლის რუსულ თარგმანშიაც იპოვის, მაგრამ მარტო პირველ გამოცემაში 1860 წ.³⁰).

ამ საგანს ჩვენ ვაკვრით შევხვევით, იმიტომ რომ მას ჩვენში ჯერ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ გვინდოდა შეგვენიშნებინა „მნათობისთვის“, რომ მისს პუბლიცისტს შემოძველებულ წიგნებიდან შეუძენია თავისი პუბლიცისტური ცოდნა.

VII

რაკი ჩვენ უფ. ქიქოძისა და „მნათობის“ რედაქციის უცოდინარობის მაგალითები მოგვყავს, უნდა შევანიშნინოთ „მნათობს“, რომ:

1) ე გ ო ი ზ მ ი (51 გვერდზე) უფ. ქიქოძეს უადგილოთ უხმარია, და რედაქციას შეცდომით აუხსნია: ეგოიზმურს, სხვათა შორის, იმ მიმართულებასაც უძახიან, ხოლმე, რომელიც, ასწავლის, რომ საზოგადოების და მახლობლების კეთილდღეობას და ბედნიერებას ჩვენზე დიდი გავლენა აქვს. კაცი საკუთარი სარგებლობისათვის უნდა ზრუნავდეს თავის მახლობლებზეო. ამ ნაირი მიმართულება აქვს, მაგალითად, ჰელვეციუსს³¹, ჰოლბახს³², ბენტანს³³, და ახალ ლიტერატურას როგორც რუსეთში, ეგრეთვე მთელ ევროპაშიაც.

2) პ რ ო ლ ე ტ ა რ ი (იქვე) ყოველ ქონების მოკლებულ მუშახალხს კი არ „ეწოდება“; ამ სახელს იმ პირებს აძლევენ, ვინც მარტო თავისი შრომით რჩება და ვისაც მიწა ან სხვა იმისთანა საკუთრება არ აქვს, რომ მისი შემოსავლით თავის რჩენა შეეძლოს. მაგალითად, პროფესორი, წვრილმანი ჩინოვნიკი საფრანგეთში — პროლეტარია. სოფლის მუშა კი, რომელსაც ნახევარი ან მესამედი დღიური მიწა აქვს საკუთრებათ, პროლეტარი არ არის, თუმც ეს უკანასკნელი უფრო „მოკლებულია ყველა ქონებას“, მინემ პროფესორი ან ჩინოვნიკი. სიტყვა სიტყვით რომ გადმოთარგმნოს კაცმა, პროლეტარი „მიწიდან მოცილებულ კაცს“ ნიშნავს.

VIII

გვგონია, ამდენი შეცდომა სრულ ნებას გვაძლევს ვიფიქროდ, რომ უფ. ქიქოძეს ძლიერ სუსტათ და უთავბოლოთ შეუძენია ის სწავლა, რომლის ცოდნა აუცილებლათ საჭიროა ყველასათვის, ვინც საზოგადო საქმეებზე სწერს ან სჯის. ვნახოთ, ეხლა, თუ რა ნაირათ ცოდნა მას ცხოვრების დაკვირვება და მისი მოვლინებაების გაგება.

ჩვენში, ბატონ-ყმობის მოსპობამ ახალ-ნაირი მდგომარეობა დაბადა. ის ცვლილება, რომელიც 1864 იწყება, ჯერ სრულათ არც-კი გათავებულა.

აწინაურობაზე და გვარის შეილობაზე დამყარებულ ბატონ-ყმობის მივიერთ, შეიძლება ჩვენში ახალ-ნაირი ბატონყმობა დაარსდეს, რომელიც ჯიბის სისქელეზე ან მიწის უფლებებზე იყოს დაფუძნებული. შეიძლება კიდევ, რომ ჩვენში მთელი მიწა სხვა ქვეყნებიდან მოსულ თანხის პატრონებს დარჩეს, რომ მათ ჩვენში ქარხნები და ფაბრიკები გამართონ, და თითქმის მთელი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე სხვა მხარეებში გაზიდონ, ხალხი კი უწინდელზე უარესს სიღარიბეში და მონობაში ჩაავდონ. ერთი სიტყვით, ყოველივერი შესაძლებელია, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცევა თვითონ საზოგადოება, გაანძრევს ის ხელსა და ტვინს, მოინდომებს თავის შველას, თუ არა? ამ ნაირ გადამავალ მდგომარეობას კ რ ი ზ ი ს ს ე დახიან. ვინ იცის რით გათავდება ის? ავათმყოფის მორჩენით, ყუათის მოსვლით, გამოკეთებით, გაძლიერებით, თუ სიკვდილით?

ვნახოთ ეხლა, რა ნაირათ ხატავს ამ მდგომარეობას „მნათობის“ პუბლიცისტი, და რა ნაირათ აფრთხილებს ის ჩვენ საზოგადოებას:

„ხალხი, ამბობს უფ. ქიქოძე, არის ოჯახი, სახლობა, რხოლოდ უფრო ვრცელი. რომელ სახლშიაც უმეტესი ნაწილი მშრომელი არის, და მუქთად მჭამელი კი ნაკლები, ის ხალხი უფრო კეთილ-დღეობაშია. რამდენათაც რიცხვი უკანასკნელისა (მუქთად მჭამელისა) მცირდება და პირველისა კი (მშრომელისა) ვრცელდება, იმდენათ უფრო მყარდება ხალხის კეთილ-დღეობა. იყო ეს ჩვენში აქამდე? არა, —იტყვი მკითხველო. აი ამ სენს მოულო ბოლო საუკუნოთ 1864, 65 და 66 წლებმა“ (49 გვერდი).

მეორე ალაგას, 50 გვერდზე, უფ. ქიქოძე ამბობს:

მაშინ (ბატონ-ყმობის დროს) ფიქრობდენ, რომ ვითომც იმათი (გლეხების) ტვინი ისეთი ტვინი იყო, რომელსაც ჰქონდა დანიშნულება მხოლოდ ფიზიკური (?) (სხეულებრივი) შრომა და არა სხვა. მე ბევრჯერ გამიგონია:

„მაგისი (გლუხის) სწავლა ვის გაუგონია და ვინ მოსწრებია“ . . . ა ი ა მ ა ს
მ ი უ ლ ო ბ ო ლ ო 1864, 65 და 66 წელიწადებმა. ახლა მოიწია ქართველ-
ველების სოციალური (სახალხო საზოგადო) მდგომარეობის ახალი ეპოქა“.

ორი-სამი გვერდის შემდგომ, უფ. ქიქოძე უმატებს:

„ეხლა ყველა ქართველი დარწმუნებულია, რომ შრომობს თავის
სასარგებლოთ. . .“ (53 გვ.).

ეხლა ვკითხავთ „მნათობს“, ვინ იტყვის ამას ერთობ ყმაწვილი
კაცის გარდა? ყმაწვილის მეტს, ვის ექონება აფარებული თვალებზე
ამ ნაირი ვარდის-ფერი სათვალეები? „საუკუნოთ ბოლო მოულო
მუქათა მკამლებს,“ მოულო ბოლო სოციალურ განსხვავებებს!..
(ნახეთ საჩხერის შკოლის ამბავი,³⁴ „დროება“, № 19).

IX

სწორეთ ამნაირათვე იხვევს თვალს უფ. ქიქოძე, საცა ის
ჩვენ ქვეყანაზე ამბობს:

„სამშობლო ზვერს უქადის (ქართველს) შემდეგისათვის. საქართველო
ისეთი მხარე არის, რომელსაც შეუძლიან დააკმაყოფილოს ყოველგვარი
კაცის მოთხოვნილება ... ჩვენ ქვეყანაში შეიძლება ყოველნაირი შრომა, და
სხვა და სხვა.“ (53: გვ.).

მე-59 და 60 გვერდებზე, უფ. ქიქოძე ერთ ვილაცა ს-ს დოქ-
ტორს ედავება, რომ ქართველები ძლიერ ნიჭიერი ხალხიაო.—ამ
დოქტორს უთქვამს, ქართველები ხორცს იშვიათათ სჭამენ, უფრო
მცენარეებს ეძალებიანო, და ამის გამო ისინი ნიჭიერები არ უნდა
იყვნენო. უფ. ქიქოძეს ამაზე გული მოსდის:

„აი რას მოვასხენებ ამისთანა მეცნიერებს, ამბობს ის: ისინი ვერ ხე-
დავენ იმას, რაც ადვილი დასახედავი არის. და არ ესმით ის, რაც ადვილი
გასაგები არის. ჩვენში ისე ბლომათ არის გარეული და შინაური ცხოვე-
ლები, რომ ვინც იმას ვერ ხედავს, სწორედ ბრმა უნდა იყოს. ქიზიყი ნა-
ქები არის ცხვრებით“..

შემდეგ, უფ. ქიქოძე პატრიოტული ალტაცებით აქებს ჩვენებურ
ხობებებს, მწყურებს, მტრედებს და ხბოებს, მხურვალედ ამტკიცებს
მათ სიმრავლეს, და ბოლოს გამარჯვებით კითხულობს: „თუ კი ეს
ასე არის, მაშ რაღა საფუძველი აქვს იმათ სიტყვენს“—ო?

მერმე გარდადის ლიტერატურაზე, და ამტკიცებს, რომ მეთერ-
თმეტე საუკუნეში ჩვენ მშვენიერი ლიტერატურა გვქონია, რო-
მელსაც მშვენიერი აზრები გამოუთქვამს, მაგალითად:

„მიეც გლახაკთა საქუროტლე, ათავისუფლე მონები...“

ან და:

“გვარი ათასათ დაფასდა, ათი ათასათ ზდილობა...“

მართალია, ჩვენ ქვეყანაში ყოველივე ნაირი შრომა შეიძლება, მაგრამ შრომა ალა-ალა საქმე არ არის: შრომის კირველათ ცოდნა უნდა, მეორეთ შრომის იარაღი, ესე იგი თანხა, მიწა და მასალა, მესამეთ, როგორც თვითონ უფ. ქიქოძე ამბობს, მშრომელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შრომის ნაყოფი მის თვითონ დარჩება. ეხლანდელ ჩვენ საზოგადოებაში, სანამ მისი ხასიათი, ზნე და წყობილება არ შეიცვლება, შრომა სწორეთ უწინდელსავე ძდგომარეობაში უნდა დარჩეს, და კიდევ დარჩება...

მართალია, კიდევ, რომ ჩვენში ბევრი შინაური და გარეული ცხოველებია, მაგრამ ამაზე ნაკლებ მართალი არც ის არის, რომ ჩვენი ხალხი, თითქმის მთელი წლის განმავლობაში, ლობიოთი და მხალით იკვებება: მის სუფრაზე ხორცი, ბედნიერ დღეებით თუ არა, ისე იშვიათათ ინახება.

მართალია, კიდევ, რომ ჩვენში მეთორმეტე საუკუნეში დიდებული მწერლობა იყო, მაგრამ უფრო მართალი ისიც არის, რომ ეს მწერლობა საბერძნეთიდან გადმოტანილია, და სპარსეთის მასალებით ნაკვებია. — აქ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მეთორმეტე, საუკუნეში, და ავთანდილის პირში, სიტყვებს:

„მივე გლახაკთა საქურპულე—ათავისუფლე მონები...“

ის მნიშვნელობა როდი ჰქონიათ, რომელსაც მათ თ. ილია ჭავჭავაძე და უფ. ქიქოძე აძლევენ²⁵: ეს სიტყვები მაშინ უბრალო მოწყალებას ნიშნავდენ: მოანდერძე ჩვენშიც და სხვაგანაც ინებებდა რამდენიმე გლეხის ან მოჯალაბის გათავისუფლებას, ავამყოფის სადღევრძელთ ან გადაცვალებულის სულის საცხოვნებელათ.

აქედან იმ აზრის გამოყვანა, რომ რუსთველი მეთორმეტე საუკუნეში ბატონ-ყმობის მოსაზრებას ქადაგებდაო, შეცდომაზე უარესიც არის. — ეტყობა უფ. ქიქოძეს მოსკოვში ყოფნა დატყობია...

X

უფ. ქიქოძეზე და მის თხზულებაზე ესეც საკმაოა, მაგრამ „მნათობს“ ვთხოვთ ნუ იფიქრებს ვითომ „საქართველოს მომავალში“ სხვა შეცდომებიც არ იპოვებოდეს: „მნათობმა“ რომ იმისი თქნა გაბედოს, პირობას ვაძლევთ სწორეთ ორი იმდენი შეცდომა ვამბილოთ უფ. ქიქოძეს, რამდენიც გვერდია მის სტატიაში. მაშინ დავანახებთ „მნათობს“ მისი თანამშრომლის უაზრობას; ეხლა კი, როგორც წელან ვთქვით, ეგეც ნამეტანი პატივისცემათ უნდა ჩაიგდოს „მნათობმა“ და უფ. ქიქოძემ, რომ ამდენი ადგილი ვათხოვეთ მათზე საუბარს.

XI

უფ. ქიქოძიდან რომ სხვა მწერლებისაკენ გადავდივართ, აქ ერთი თვისება უნდა შევნიშნოთ, რომელიც საზოგადოთ ყველა „მნათობის“ თანამშრომლებს სჭირთ, რაზედაც უნდა ლაპარაკობდნენ, სული ამოუვათ, თუ მილლი³⁶, დრეპერი³⁷, ბოკლი³⁸, ან სხვა გამოჩენილი მწერლები არ იმოწმენ. „მილლი ამბობს ამას, დრეპერი იმას; ჩვენ ბოკლს ვეთანხმებით იმაში; ჩვენ ვერ დავეთანხმებით მილლს იმაში,“ ამ გვარ ფრაზებს „მნათობი“ ძლიერ ხშირათ უძღენის თავის მკითხველებს. უფ. ქიქოძეს და ჯანაშვილს³⁹ ეს ჩვეულება მეტიც მეტად გადაუჭარბებიათ. უფ. ქიქოძე მაგალითად სწერს:

„უჟო სიმონი ამბობს: ინტელექტუალური (ბარაქალა, რა სიტყვა სცოდნია უფ. ქიქოძეს) (გონების) სიმდიდრე უფრო დიდ ბედნიერებას მიანიჭებს კაცს, მინამ სხვა რამეო.—ერთი გამოჩენილი ხიმიკოსი (აფერუში) ლიბიზი, ამბობს კიდევ: ყველაზე უდიდესი უბედურება, რომელიც სღენის კაცს, არის უმეტრება“.

უფ. ქიქოძეს ამაზე რომ ოჟენბახის ოპერეტის სიტყვები დაემატებინა: „ერთი დიდი მეცნიერი ამბობს: შეუძლებელი საქმე... შე . . . უ . . . ძლე . . . ბელი . . . ჯო,“ და თან ათიოდე სწავლულის სახელები დაემატებია, „მნათობის“ მწერლების ჩვეულება სრულიად დაგვირგვინებული იქნებოდა.

XII

გაბრიელ ეპისკოპოზის⁴⁰ „სიტყვანი და მოძღვრებანი“ რომ გამოვიდა წრეულს, „მნათობმა“ ამ წიგნს გადაჭარბებული ქება შეასხა და იმ ნაირათ გამოხატა მისი მნიშვნელობა, თითქო მისი დაბეჭვდისთანავე „ნაყოფი მისი ის იქნება, რომ კაცის ცხოვრება გაუკეთესდება და სისრულემდის მიაწევს.“ („მნათობი“, 1870, იანვარი, 116 გვ.).

ამაზე ჩვენ „დროებაში“ დავწერეთ, რომ „მნათობს“ კრიტიკა უსაფუძვლო ქების შესხმათ გადაუქცევია. „მნათობი“ გვეუბნება ეხლა, რომ ჩვენ ეს წინ-დაუხედველათ გვითქვამს, სიტყვის გასამშვენიერებლათ. ალბათ გაბრიელ ეპისკოპოზის მოძღვრებანი არ წავგვიკითხავს, თუ მათი ქება უსაფუძვლოთ მიგვაჩნიაო.

გავშინჯოთ ეხლა ეს საქმე.

XIII

გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებას ძლიერ ხშირად მშვენიერი და უსათუო ქეშმარიტებაები უძევს საფუძვლათ. ამ ქეშმარიტებაების გასავრცელებლათ მქადაგებელი შესანიშნავ ბუნებით ნიქს ხმა-

რობს ხოლმე. ეს ყველაფერი უეჭველია; აგრეთვე უეჭვო ისიც არის, რომ ამ ქადაგებას სასულიერო ლიტერატურაში მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს...

მაგრამ, რადგანც „მნათობი“ სასულიერო ლიტერატურას არ ეკუთვნის და დაფუძნებულია საზოგადოების გონების გასახსნელათ, მას, ქადაგების განხილვის დროს, თავისი, ყურადღება სხვა რამეზედაც უნდა მიექცია. „მნათობი“ იმ გარემოებას უნდა დაეფიქრებინა, რომ ეს მშვენიერი ჭეშმარიტებები, რომელთაც გაბრიელ ეპისკოპოზი ქადაგებს დღეს ჩვენში, ათი ათასჯერ გამოუთქვამთ პირველ მამამთავრებს და ზნეობის-მასწავლებლებს. მაშ რა მიზეზია, რომ ესლა კიდევ საჭირო გამხდარა მათი ხელმეორეთ გამოთქმა? ბოკლის და ღრეპერის თაყვან-მცემლების უურნალს უნდა სცოდნოდა, რომ ხალხის ზნისა და ჩვეულების შეცვლაში ან გაუმჯობესობაში უმთავრესი გავლენა ამ ხალხის მდგომარეობას და წყობილებას აქვს. იმას არ უნდა დავიწყებოდა, რომ ხალხის ზნეობით აღზდისთვის, ქადაგებების გარდა, სხვა რამეცაა საჭირო, და ეს „სხვა რამე“ იმაში მდგომარეობს, რომ ზნეობის კანონი დამყარებული იყოს ადამიანის ბუნების თვისებებზე, რომ მას მიზნათ ამ ბუნების დაკმაყოფილება ჰქონდეს. „მნათობს“ ისიც უნდა გახსენებოდა, რომ ამ ბუნების დაკმაყოფილებისთვის აუცილებლათ საჭიროა ზოგიერთი საზოგადო წესების შეცვლა. ერთი სიტყვით, „მნათობს“ უსათუოთ უნდა ჰქონოდა აზრში ის ჭეშმარიტება, რომ საზოგადოების ზნეობითი აღზდა საზოგადოების წყობილების და მდგომარეობის გაუმჯობესობას მოსდევს, უიმიოთ კი სრულიად შეუძლებელია...

„მნათობს“ რომ ეს უბრალო და ჭეშმარიტი აზრები არ დაევიწყნა, ის სულ სხვანაირ მსჯელობას გამოთქვამდა. ის იტყოდა, რომ გაბრიელ ეპისკოპოზის სიტყვებში ბევრი ჭეშმარიტი დარიგებაა, მაგრამ თუ საზოგადოებას ჰსურს, რომ ეს სიტყვები მლადედბლის ხმათ არ დარჩენ უდაბნოში, ის თავის წევრებს უნდა უადვილებდეს მათში გამოთქმული ჭეშმარიტებების ასრულებას სამართლიანი წესების გამართვით.

მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელია „კაცის ცხოვრების გაუკეთესება და სისრულემდე მიწევა“.

ამის დავიწყება ჩავთვალეთ „მნათობის“ კრიტიკის უმთავრეს უსაფუძლოებათ.

XIV

მეორე, უფრო მცირედი უსაფუძლოება აი რაში შევნიშნეთ იმავე კრიტიკას: „მნათობს“ გაუგია, რომ ინგლისელ მღვდელს გაბრიელ ეპისკოპოზის „სიტყვები“ ინგლისურ ენაზე გადაუთარგმნია და ამ ამბით აღტაცებული ამბობს:

„ეს შემთხვევა ამტკიცებს მოხსენებულ ქადაგებათ და მოძღვრებათ ფრიად ღირსებას. ჩვენ, ქართველებს, შეგვიძლიან ვიამაყოთ ამით, რადგან ქართველი ნიჭის ნაწარმოები ინგლისელებსაც კი, ამისთანა გონიერ და დამჯდარ ხალხს, მოეწონეთ (?!) და ისე ზოგაწონეთ, რომ შრომა გასწიეს მის გადათარგმნაზე, დაიწყეს მათი ხმარება (?). (116 და 117 წგ.)

მართალია, გაბრიელ ეპისკოპოზის წიგნს, როგორც წინეთ ვთქვით, სასულიერო ლიტერატურაში მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, და მაშასადამე ინგლისურ ენაზე მისი გადათარგმნა კარგი საქმეა. მაგრამ „მნათობს“ არ უნდა დავიწყებოდა, რომ მარტო გადათარგმნა წიგნის ღირსებას ვერ ამტკიცებს. აი მაგალითი:

ერთმა ჩვენმა მწერალმა დაწერა, კაი ხანია მას აქეთ, საქართველოს ეკლესიის ისტორია⁴¹, რომელსაც არაფერი, არც ლიტერატურული, არც ისტორიული ღირსება აქვს, ამიტომ რომ მის დამწერს არ მიუღია შრომა ნამდვილი ამბავი ზღაპრიდან გაერჩია და თავის მაგიერათ, ისტორიულ მასალებისათვის ხმა ამოეღებინა. თუმც ინგლისელები გონიერი და დამჯდარი ხალხია, მათში მაინც ბევრი ახირებული და უგონო მწერლები ურევია. ერთ ასეთ მწერალს, იმავს, რომელმაც გაბრიელ ეპისკოპოზის სიტყვები გადათარგმნა, აუღია და ინგლისურათ გადათარგმნია საქართველოს ეკლესიის ზემოთნახსენები ისტორიაც. როგორ გონია „მნათობს“, ამტკიცებს ეს გარემოება ამ ისტორიის „ფრიად ღირსებას“ ან „ჩვენ, ქართველებს, შეგვიძლიან ამით ვიამაყოთ?“ არა, ჩვენო „მნათობო“ საამაყებელი ჩვენ, ქართველებს, ჯერ არა გვაქვს რა, და ამყობას ჯერ-ჯერობით თავი უნდა დავანებოთ, თორემ გონიერი კაცები უკულო ამპარტყვანებს და კულაბზიკებს დავგიძახებენ.

XV

კიდევ-დავწერეთ, რომ „ლექსებათ“ „მნათობს“ ნაწყვეტ-ნაწყვეტი პროზა მიუღია“-თქო. „მნათობს“ არც ეს სჯერა და ამისთანა ცხადი ჭეშმარიტების დამტკიცებასაც თხოულობს ჩვენგნით.

ლექსები, უკეთ ვთქვათ, პოეზია, იმისთანა რამეა, რაც ძლიერ ადვილათ განირჩევა ყოველ სხვა-ნაირ თხზულებიდან. პოეზიას ის თვისება აქვს, რომ უცბათ იტაცებს მკითხველს მის ნაჩვევ

აზრებისგან, რალაც უცნობ ცეცხლს უნთებს გულში, და ცოცხლათ გახორცილებულათ წარმოუდგენს თავის აზრს, სურათს და გრძნობას. რა გრძნობაზედაც უნდა ლაპარაკობდეს პოეტი, მის მკითხველს. ის გრძნობა ტანში უჯდება, და რა სურათსაც ზატავდეს, ის სურათი მკითხველს თითქო თვალწინ უდგება, ამაში მდგომარეობს პოეტის ძალა და მნიშვნელობა.

გეგონია, ძნელი საქმე არ უნდა იყოს კაცისთვის შეტყობა— აქვს თუ არა რომელსამე ლექსს ან თხზულებას ეს ღირსებები? თუ „მნათობის“ რედაქციას იმის გაგებაც გაუჭირდება, შეგვიძლია უფრო ადვილათ გასაგები და სახმარი ნიშანიც ვასწავლოთ. პოეტური თხზულების წაკითხვის დროს, თუ კაცს ჟრუანტელის დავლით თმა აუდგეს ტანზე და ცოცხლათ გამოხატული სურათი წაკითხვის შემდგომ თვალს აღარ მოშორდეს, იცოდეს „მნათობის“ რედაქციამ, რომ ის თხზულება სწორეთ პოეტური თხზულებაა, ლექსი იყოს, გინდ პროზათ დაწერილი. თუ არა და, ნამდვილათ მიხვდეს, რომ იმ თხზულებას პოეზია სიზმარშიაც არ მოჩვენებია.

XVI

ეთხოვთ ეხლა „მნათობს“, ერთი თვალი გადაავლოს თავის ლექსებს და თუ უნდა, სხვა თხზულებებსაც, და გვითხრას, რომელში იპოვება ამ ნაირი პოეზიის ნაპერწკალი? გამოარჩიოს „მნათობმა“ რომელიც უნდა მის ლექსებთაგანი, და გვითხრას: ეს მიმაჩნია პოეზიათო, ლექსებათო. პირობას გაძლევთ, დაუმტკიცოთ მაშინ — ისე როგორც ორჯერ-ორი ოთხია — რომ „მნათობის“ ლექსებში პოეზიის ნაპერწკალი კი არა, მისი ლანდიც არ იპოვება. მაშასადამე ისინი „ნაწყვეტ-ნაწყვეტ პროზაზედაც“ უარესიც არიან, რადგან ზოგი პროზა, პოეტური ღირსებით, ლექსებს უკან არ ჩამოუფარდება.

თუ „მნათობი“ თავის შემდეგ წიგნში არ დაგვისახელებს ამ ნაირათ არც ერთს ლექსს, ეს იმისი ნიშანი იქნება, რომ ჩვენი სჯა მის ლექსებზე სწორეთ საფუძვლიანი და ჭეშმარიტი ყოფილა, ისე რომ თვითონ „მნათობსაც“ კი გაუგია ეს.

XVII

„პოლემიკა „მნათობს“ ლაყობათ გადაუქცევია“-თქო ჩვენ იმიტომ დავწერეთ, რომ „მნათობის“ შწერლები ჩაცივებიან ანჩისხატის უბნელის ორ-სამ სიტყვას. და დაუბოლოებლათ ჰღეჭენ და ცოხვენ მის აზრს გაუთავებელ სტატიებში. ჯერ იყო და შარშან უფ. ჯანაშვილმა თავის ტვინი წაიღო, — წრეულს ამხედრდა უფ. კუ-

ხელი; ეხლა, მეორე წიგნში, ორივე ერთად. შემდგომისთვის „მნათობი“ კიდევ გვპირდება უფ. ანჩის-ხატისუბნელის „აზრის განხილვას“. რა ღირსება აქვს ამ პოლემიკას, და სჯობს თუ არა მას ლაყბობა, თუ ისურვა, თვითონ უფ. ანჩის-ხატისუბნელი დაანახებს „მნათობს“ და „დროების“ მკითხველებს. ჩვენ კი აქ იმის შენიშვნაც გვეყოფა, რომ ორი-სამი სტრიქონის გულისთვის, რომელიც გაკრულაბთ იყო გამოთქმული „დროებაში“, „მნათობი“ მთასა და ბარს მოდებია მთელი თავისი წიგნები „ვითომ პასუხებით“ აუესია, და მაინც ვერაფერი დაუკლია უფ. ანჩის-ხატისუბნელის აზრისთვის. ლაყბობა ამაზე უარესი იქნება?

XVIII

ეხლა „მნათობი“ და მკითხველი ჰხედავს: რომ საკმაო საფუძველი გვქონია „დროებაში“ დაგვეწერა, რომ „ლექსებათ „მნათობს“ ნაწყვეტ-ნაწყვეტი პროზა მიუღია და ხელმძღვანელ სტატიათ — ყმა-წვილური ბოდვა; კრიტიკა — უსაფუძვლო ქების-შესხმად გადაუქცევიან, პოლემიკა — ლაყბობათ“ და სხვ...

ეხლა ვთხოვთ მკითხველს და „მნათობსაც“ გაიხსენონ: „ქატო“ „ფქვილი“, „მოშლილი წისქვილი“, „ტყუილი“, „სიცრუვე“ და ბევრი სხვა ზდილობიანი სიტყვები, რომელნიც „მნათობის“ რედაქციამ გვიძღვნა თავის პასუხში, და გადაწყვიტონ ვის უფრო შეეფერება ან ეკადრება ეს სიტყვები — ჩვენ, თუ „მნათობის“ რედაქციას?

XIX

რაკი ამოდენა ადგილი ჩვენი მსჯელობის დამტკიცებას მოვანდომეთ, ცოტა ალაგი გვჩრება სხვა რამეც შევნიშნოთ „მნათობს“ ჩვენდა სამწუხაროთ მარტო ერთ საგანზე მოლაპარაკებით უნდა მოვსპოთ ახლა „მნათობთან“ საუბარი.

ჩვენ ვთქვით, „მნათობის“ რედაქციას ცუდათ მიყავს „მნათობი“, და ამის გამო ეს ჟურნალი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს-თქო. მართლაც, „მნათობის“ რედაქციას, როგორც ეტყობა, არც კი სცოდნია, თუ რაა ჟურნალი, ლიტერატურა, კრიტიკა, ერთი სიტყვით, არ სცოდნია — რა საქმეში გაუბამს თავი და რა იარაღი უჭირავს ხელში? ეს სწორეთ სამწუხაროა. ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც ჯერ გონებით თითქმის სრულიად განუვითარებელია, ჟურნალს და ლიტერატურას დიდი დანიშნულება აქვს. — ჩვენი ლიტერატურა მუდამ უნდა უმტკიცებდეს საზოგადოებას, რომ ჩვენებური ცხოვრება ნაკლებათ ჩამოგავს კაცურს, დაანახებდეს ამ

კაცური ცხოვრების სურათებს, გამოუხატავდეს ჩვენი მდგომარეობის, ჩვენი უზრუნველობის უთავბოლოობის და საზოგადო განხეთქილების ხარალს და უძრავდეს გულში გონების გახსნის, ხასიათის, ზნისა და ცხოვრების გაუმჯობესობის სურვილს.—ჩვენ საზოგადოებაში, საუბედუროთ, ბევრი ცუდი ზნე და გრძნობა მეფობს. ჩვენი მწერლობის ვალია დაანახოს საზოგადოებას, რომ ეს ზნე და გრძნობა მართლა ცუდი და საზიზღარია; მისი ვალია, უპატიოსნო და ხალხისთვის მავნებელი მოქმედებების მორიდება და შეზიზღება ჩანერგოს საზოგადოებაში, ასწავლოს მას მამულის და მახლობლის დახმარება და სიყვარული...

XX

ეს დანიშნულება და მოვალეობა „მნათობის“ რედაქციას ფეხზე ჰკიდია. მას ჟურნალი ჩავარდნია ხელში, როგორც ხანდახან ყმაწვილს საათი ჩაუვარდება. ჟურნალის საზოგადო სასარგებლოთ წაყვანის მაგიერათ, ის თავის სასიამოვნოთ წინ-და-უკუღმა ატრიალებს ჟურნალის ჩარხებს. მისთვის ჟურნალი, ლიტერატურა, საზოგადოება, ხალხი, მისი თავმოყვარეობის ასპარეზია. ლიტერატურული კრიტიკა, პოლემიკა მას პირადობის საქმეთ მიაჩნია, და ამის გამო ერთ შენიშვნას ვერ უზამს მას კაცი უიმისოთ, რომ დედაბრული ლანძღვა და გინება არ დაიმსახუროს.

ვის აკლდება რამე ამ ლანძღვა-გინებით? თვითონ მლანძღველა, ჩვენო „მნათობო“: — ერთი მით, რომ ლანძღვა მას უკანვე უბრუნდება, და მეორეთ იმით, რომ ყველა ხედავს, და კაი ხანიც ნათქვამია რომ „ვისაც გული მოსდის, ის მტყუანია“*.

* აქ ისიც უნდა დავამატოთ — რაკი „მნათობი“ ამას თხოულობს — რომ საქმე იმაში კი არ არის, ავტორის თხოვნით გადაიბეჭდა სტატია „დროებიდან“ თუ არა; — საქმე იმაშია, რომ „დროებაში“ დაბეჭდილ სტატიებს „მნათობი“ უსარგებლოთ უკავია ადგილი. — „მნათობი“ ამბობს, რომ მას ბევრი კარგი სტატიები აქვს და თანამშრომლები ჰყავს, მაგრამ მცირე მატერიალური საშუალება აქვს. აი ამის გულისთვის ვახსენეთ, „დროებიდან“ სტატიის გადაბეჭდვა „მნათობში“ უსარგებლო საქმეა-თქო. ქართული ლიტერატურა ისე მდიდარი არ არის, რომ თითო სტატია ორჯერ-სამჯერ ვბეჭდოთ, თუნდაც რომ ძლიერაც შეგვეხვეწოს მისი ავტორი.

ამას გარდა „მნათობს“ წინ დაუხედველობის დასამტკიცებლათ გავახსენებთ, რომ დეკემბრის წიგნში „გადაბეჭდილ“ ნეკროლოგის დამწერს არ უთხოვია მისი გადაბეჭდვა „დროებიდან“ „მნათობში“¹³.

ქველი მეგობრები ახალ კანში

И маршалы зова не слышат:

Иные погибли в бою.

Другие давно изменили

И продали шпагу свою.

Лермонтов

ხომ გაგიგონია, მკითხველო, იმ კაცის ამბავი, ოცდა ათი წელიწადი რომ გამოუღვიძრათ ეძინა, და გაღვიძების შემდგომ ეგონა, წინ დღეს საღამოს დამეძინაო? ერთი ნამცეცი რომ დაფიქრდე, ადვილათ მიხვდები, რა ახირებულ და მოსაბეზრებელ მდგომარეობაში ჩავარდებოდა ის დალოცვილი, როცა, ამოდენა ხნის ძილის შემდგომ, თვალს გამოახელდა და უწინდელ ნაცნობებს ხელ-ახლავ დაინახავდა.

დალახვროს ღმერთმა ეშმაკი და ქაჯი, იფიქრებდა ის, ამ ჩემ ნაცნობებს წვერ-ულვაში აგრე რამ გაუთეთრა? სამასკარადოთ თუ გამოწყობილან, მასკარადი დილით ვის გაუგონია; თუ არა და, რა თავი აუგდიათ, რომ ასე უღროთ ბებრებათ დაკაზმულან?

გაქვსთ სიცოცხლე, ხშირათ ის ამ აზრს თავში გაივლებდა.

სწორეთ ამ ნაირი საქმე დამემართა მე, ამ სტრიქონების დამწერს, ჩემო მკითხველო. მართალია, მე ოცდა ათი წელიწადი კი არა ოცდა ათი, საათიც არ მიძინებია გამოუღვიძრათ, და არც ჩემ ნაცნობებს უცებ გათეთრებიათ წვერ-ულვაში და თმა. მაგრამ საქმე კი სწორეთ იმისთანა დამემართა, როგორიც ოცდა ათი წლის მიძინარს დამართია.

სხვა და სხვა გარემოების მიზეზით, ჩემი მეგობრები ექვსი წლის განმავლობაში მოშორებული მყავდა, და იმ ნაირ ადგილს ვცხოვრებდი, სადაც ძალიან იშვიათათ მომდიოდა მათი ამბავი⁴³. — მარტობაში, მერე უცხო ქვეყანაში, კაცი მეგობრების მოგონებით იყოლებს გულს; და ერთმა ღმერთმა იცის ზეცას, თუ რამდენჯერ მთელი დღეები გამიტარებია ჩემი მეგობრების ხსენებით, და მათი მომავალი ნახვის, მათთან შეყრის და ერთათ ყოფნის წარმოდგენაში...

„ეხლა (ვფიქრობდი მე ჩემ უდაბნოში), ჩემი ამხანაგები უწინდელივით გულ-მხურვალეთ ცდილობენ ქვეყნის სასარგებლო და პატიოსანი კაცები გამოვიდნენ, და კაცური ცხოვრების მაგალითი მისცენ მახლობლებს. ეხლა ისინი უსამართლობასთან უგუნურობასთან და უსვინდისობასთან მწარე ბრძოლას მართავენ, და თავ-გაწირულათ ცდილობენ ყოველნაირ შევიწროებას და ნაკლულევანებას შეეჩვიონ.“

ეს აზრი იყო ჩემი გამამხიარულებელი და ძალის მომცემი; მე იმას ისე შევეჩვიე, რომ თითქმის წამდაუწუმ თვალ-წინ ჩემი მეგობრების მხიარული და ამაყი სახე მედგა, რომელიც თითქო მეუბნებოდა — შემცდარი არა ხარ, მაგრე რომ ფიქრობო.

ბოლოს ამისრულდა იმოდენა ხნის გულის წადილი: მე შინისკენ დავბრუნდი და ხელახლავ ვნახე ჩემი ძვირფასი მეგობრები, ჩემი უწინდელი ამხანაგები.

მაგრამ, ვაი იმისთანა ნახვას!

ვინც მე ბრძოლაში და ჯაფაში გართული მეგულებოდა, ისინი მშვენიერ სასახლეებში, აბრეშუმით და ხავერდით შემკული დამხედნენ. გარშემო, შევიწროების და ნაკლულევანობის მაგიერათ, ყოველნაირი სიუხვე სჩანდა და მოწინააღმდეგების ადგილას, იმათ ზოგს ცოლ-შვილი, და ზოგს მეგობრები თავს ეხვიათ. და სამაგალითოთ, სასიმწაროთ დამზადებული ამხანაგები, უდარდელი გულით, ტუჩ მოუშორებლათ, ტკბილ სიამოვნებას დაწაფებოდნენ...

მათი პირის-სახის დანახვა და ჩემი გაცემა ერთი იყო. „რა იქნა მათი ახალგაზდური პირის-შნო, სადღაა მათი თვალების ალი, სად დაკარგვიათ სხეულის და სულის სიცხოველე და მარდი ვარჯიშობა? სადღაა მათი პატიოსანი, პირდაპირი გამოხედვა, და საიდან გადმოდებიანთ მელური, შემპარავი, თავ-ლაფ-დასხმული... რას მოუხრია მაგათი წელი, რას გაუშეშებია მათი ტვინი და სხეული, რას აუთამაშებია მათი ტყვიის ფრათ გადაქცეული თვალები? რას უქნია ეს, ღმერთო ჩემო, რას?“

ეს გარეგანი ცვლილება სულ ერთიანათ დამავიწყდა, როცა შინაგანს, ცოტათი არ იყოს, თვალი მოვკარი. — „რისი თავის გაწირვა, სიდაური მაგალითი?“ მიამბობდა მე მათი ყოფაქცევა: „კაცს ცხოვრება უნდა ქვეყანაზე, ჭამა, სმა. მაშასადამე, ის ფრთხილათ უნდა ეპყრობოდეს საზოგადო „შეცლომებს“, დროებით კიდევაც უნდა ურიგდებოდეს. ჯერ საშუალება ვიშოვნოთ, წელი გავიმართოთ, და მერმე საქმეს მივსდგეთ. თორემ კედელი შუბლით სხვას აბა ვის გაუტანია?“

ამ აზრით, ისინი სიუხვეს, დიდკაცობას და სიამოვნებას შერვევიან და შიგ ნიჭი და ახალგაზდობა ჩაულუბავთ.

კაი ხანია შენიშნულია, რომ კაცის ცხოვრებას, ხასიათს და მდგომარეობას მარტო ნიადაგი ბრძოლა და მოძრაობა აუმჯობესებს: კაცი რომ შინ ფეხმოკეცილი და გულ-ხელ დაკრეფილი დაჯდება, და ჭამისა და ძილის მეტზე აღარაფერზე იზრუნოს, რა გასაკვირველია, რომ მის სულსა და ხორცს ძალა თან და თან შემოაკლდება და ბოლოს სრულიადაც შემოელევა? ეს ბუნების კანონი გახლავს, და გასაკვირველი აქ არა არის რა, მის მეტი, რომ თვითონ ამ კაცებს ამისთანა ცხადი რამ ჯერ კიდევ აზრში არ შესვლიათ.

ნაკლები გასაკვირველი არც ის არის, კბილებს რომ კაცი იმ აზრით ითხრიდეს, გავყიდი, მათი ყვასით კაკალს ვიყიდი და შევქამო და თან ეს საქმე თვითონ იმას და მთელ საზოგადოებასაც უკუიან და საქებ საქმეთ მიაჩნდეს...

მაგრამ ამ ქვეყანაში კაცს არაფერი არ უნდა გაუკვირდეს, ამიტომ რომ ყოველიფერს თავისი მიზეზი და საფუძველი აქვს. გინდ ის ავილოთ, რომ ჩემი ამხანაგები ერთ დღეს იმას ყვიროდნენ რომ ქვა ქვაზე არ უნდა დავტოვოთო, და მეორე დღეს ქადაგობენ, ერთი ნამცეცა კენჭის მოშორებაც ქვით ჩასაქოლავი საქმეაო. ამ უშველებელ წინააღმდეგობასაც აქვს თავისი მიზეზები, ჩემო კეთილო მკითხველო, მერე როგორი მიზეზები, რომ იცოდე...

იყო დრო, როცა საზოგადოების თვალშიაც რაღაცა ნაპერწკალი ეღვარებდა. მაშინ ეს ნაპერწკალი ალათ გადიქვა ყმაწვილების თვალებში და სხეულში; ახალგაზდა ქალების თვალებში, ხომ სულ საკირე აინთო.... ეხლა ერთი ეს მიბრძანეთ, როგორ არ უნდა გაეხევირებინათ ჩემ მეგობრებს ზოგიერთი ლამაზ-ლამაზი ლიბერალური სიტყვები, იმისთანა სიტყვები, რომლის გამომთქმელს თითქმის მთელი საზოგადოება თავზე ხელს უსვამდა და ელვით ანთებული ქალები ნაზი ლიმლით აჯილდოვებდნენ? როგორ არ გაიმეორებდნენ ისინი იმ აზრებს, რომელთაც ძლიერ ხშირათ ამ ქალების მშვენიერი, კოკობი ტუჩები გამოსთქვამდნენ, ან და როგორ უწინააღმდეგებდა კაცი ამ მაცთურ ტუჩებს, რომელიც თითქოს ტკბილ ნეტარებას პირდებოდნენ დათანახმების გულისთვის?

მას აქეთ საქმე გამოიცვალა. საზოგადოების და ახალგაზდობის თვალებში ნაპერწკალის მაგიერათ სხვა რამე გამოელვარებს ეხლა და ეს ახალი ეღვარება ოქროს და ვერცხლისას ჩამოგავს. ახალგაზდა ქალებიც — ლიბერალურ აზრებს, ყოფაქცევას და თავის განწირვას კი არა, სიუხვის და ნეტარი ცხოვრების დამპირებელს

აჯილდოებენ თავიანთი მშვენიერებით. და იმ სიტყვების გულისთვის რომლისთვისაც უწინ თავზე ხელს უსვამდენ კაცს, ეხლა გამწარებულათ ყურს სწევენ, ისე მაგრა, რომ ხან ყური აგჯება კაცს, და ხან ისეც, რაზედაც ყური აქვს გამომბული. მოდი და ნუ მოერიდება, ნუ შეურიგდება კაცი ამ ნაირ მდგომარეობას ამ საზოგადო „რეაქციას“.

— „ან რა გასაკირი გვადგას, ვითომ, რომ მაინც და მაინც ვიდავოთ ეხლა, ჩვენი ყურების დაუზოგველათ? — ფიქრობენ ისინი. მოვიცადოთ, საქმე ხელ-ახლავ გამოიცვლება, და როცა ყურის მოგლეჯის მაგიერათ, ხელ-მეორეთ თავზე ხელის დასმას შემოიღებენ, მაშინ ჩვენ შეუპოვრათ გამოვალთ და პირდაპირ გამოვთქვამთ ჩვენს აზრს. მანამდის კი ვისაც ყური აქვს გამომეტებული, იმათ იმოქმედონ და იდავონ“.

სულ უგნური ანგარიში არც ეს არის, თუმც ნამეტნათ ახალი კი არაა; მე ხშირათ მინახავს, უშველებელ ხის წვერზე მებაღე გასულიყოს და ერთ ნამცეკვა შტოზე შემდგარიყოს ხილის დასაკრეფათ. რათ გადიოდა ის სულელი ან თავს სასიკვდილოთ რათ იმეტებდა?... ხის ძირში, ნამეტანი სიწმინდით გათქმული ოთხფეხი გაკვირებით ჩამონარეკ ხილს გულ-მოდგინეთ და შეუპოვრათ ჰკრეფთა და სკამდა...

მაგრამ, ხანდისხან, სიამოვნებაში და საკუთარ სარგებლობაში კისრამდი ჩაფლულ კაცსაც ერთი რაღაც ახსენდება ზიზმარსავით, და მყუდროებას უტეხს. „ეს ერთი რაღაც“ ის „ბავშური აზრები“ და „აღთქმებია,“ რომლებიც, სიყმაწვილის დროს, წინ დაუხედავათ გამოუთქვამს მის აღტაცებულ ენას. მაშინ კაცი შებრალების ღიმილით ამბობს — ეს რა ბავშური აზრები გამახსენდაო, და მათი თავიდან მოშორებას სცდილობს. მაგრამ, —

Если вы ребячий бред,
Обеты юношеских лет,
Зачем же вам забвенья нет,
И вами вызванный упрек
Так сокрушительно жесток?

ისე რომ ეს გრძნობა თვითონ საფლავშიაც კანკალით ააცეკვებს ამ დამშვიდებული და კან-შეცვლილი ყმაწვილების ძვლებს. მოდი ეხლა და „ბავშური აღთქმები“ დაუძახე შენ ამას.

უხლა შენ მახსენდები, ჩემო საყვარელო ბეჟან⁴, შენ, რომელმაც მთელი შენი სიცოცხლე, ბედნიერება, მომავალი და ოჯახი შენი

„აღთქმების“ ასრულებას შესწირე; შენ, რომელსაც სიცოცხლეში საკუთარი შენი თავის სიკეთე და სარგებლობა არ გქონია და არც მოგინდომებია... თუ შენ მაღიღვამ გადმოხედვა და ჩვენი ყოფა-ქცევის დანახვა შეგიძლია, რა ცეცხლი უნდა მოგედოს გულზე, როცა შენ მეგობრებს და ამხანაგებს გაარჩევ, და რა ნაირათ უნდა აგეწვას ის ხელის გული, რომელსაც შენ სიცოცხლეში ამ ამხანაგებს აძლევდი...

1870 წ. 12 ივნისი.

„დროების“ გამოცემაზე მომავალ 1871 წელს

გაისათ „დროება“ იმავე პროგრამით და იმავე ვადებზე გამოვა როგორც აქამომდე გამოდიოდა. ამ საგანზე ეს მოკლე განცხადებაც საკმაო უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ამ უკანასკნელ დროს, მკითხველებისგან ზოგიერთი შენიშვნები მოგვდის, რომელზედაც ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ.

წლეუანდელმა ომმა⁴⁵ ცოტათი არ იყვეს ჩვენი მკითხველები გაართო: იმათ ქვეყნის ამბების შეტყობა მოუნდათ, მოუნდათ ამ ამბების გაგება და ახსნა. როცა ამ სურვილის ასასრულებლად, იმათ „დროებას“ ხელი მოჰკიდეს, გამოჩნდა, რომ ამ გაზეთს არც დეპეშები მოსდის პეტერბურგიდან, არც ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში და მეომარ ჯარებში კორრესპონდენტები ჰყავს, არც ხეირიანი პოლიტიკური „მიმოხილვა“ აქვს. ერთი სიტყვით, ამ გამოცემას გაზეთის სახელიც ძლივს ეღირსება, თურმე.

ქართულ ენაზე სხვა გაზეთი რომ სადმე ყოფილიყო, ცოტათი მაინც უმჯობესი, მკითხველი „დროების“ უხეირობას მალე დაივიწყებდა. მაგრამ ამ ცხარე დროს, როცა ყველგან ომზე და პოლიტიკაზე ლაპარაკი, მკითხველი მაინცა და მაინც „დროებას“ უნდა დაბრუნებოდა, და ეს გარემოება უფრო და უფრო აწუხებდა მის გაფხიზლებულ სურვილს. აი, ამ მიზეზით, „დროებას“ ყოველ მხრიდან სამდღურავი, უკმაყოფილება და საყვედური მოსდის.

ის კი როდი ვის გახსენებია, რომ გაზეთის ბედი და სიკეთე იმ საზოგადოების ხასიათს ეთანხმება, რომელშიაც ტრიალობს ეს გაზეთი. არც ერთ ჩვენ მკითხველს არ მოსვლია აზრში, რომ გაზეთი ჰაერით კი არ ივსება და იკვებება,—მის ღონეს მხოლოდ საზოგადოების დახმარება შეადგენს. თუ კი საზოგადოება თავის საკუთარ სიტყვიერებას არ დასდევს და გულგრილათ ექცევა, მას გაზეთების და მწერლობის შეურაცყოფის სიმართლე აღარ აქვს, თუ „უხეირო“ გაზეთს პოულობს, როცა ერთბაშათ გაზეთი სჭირდება...

გაზეთის საქმე ისეთია, რომ მისი გაუმჯობესობა პირდაპირ მკითხველ საზოგადოებაზე ჰკიდია. გაზეთი ისეთ რიგათ უნდა იყოს გამართული, რომ ყოველი შესანიშნავი ახალი ამბავი. თავის დროზე მოდიოდეს, და გაზეთში შესაფერ ახსნას და დაფასებას

პოულობდეს. ამას კორრესპონდენტები უნდა, ტელეგრაფი, თანამშრომლები. ამ საგნებს დიდი ხარჯი ეკირვება, და ამ ხარჯს მხოლოდ ის გაზეთები ასდიან, რომელთაც ხელის-მომწერლები ბლომათა ჰყავთ. ამის გამო ყოველი გაზეთი მით უფრო კეთდება და თავის მკითხველებისთვის სასარგებლოთ გამოდის, რაც უფრო და უფრო დიდდება მისი მკითხველების რიცხვი. მაშასადამე, ჩვენი მკითხველისთვის გასაკვირალი როდი უნდა იყოს ჩვენი გაზეთის ნაკლულევანება: ამ ნაკლულევანების მიზეზი ჩვენი მკითხველი საზოგადოების სიმცირე და დაუდევნელობა გახლავთ.

გასაკვირველ საქმეთ მკითხველს სულ სხვა რამე უნდა მიაჩნდეს: მართლაც, იმ დროს, როცა მთელი ქვეყანა კანს იცვლის და როცა ჩვენ საკუთარ ცხოვრებაში ისეთი შესანიშნავი ცვლილებები ხდება, რომლის მსგავსი საქართველოს ჯერ არა უნახავს რა, ჩვენი საზოგადოება უწინდელურათ უდარდელათ, უთავბოლოთ სცხოვრობს და თავის თავიდან ყოველ ფიქრს და აზრს გამწარებულათ იგერიებს. იმ დროს, როცა ეს საზოგადოება ფხიზლათ სხვა ხალხების ცხოვრებას და ხასიათს უნდა აკვირდებოდეს, და თავის საკუთარ მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა სცდილობდეს, ის შამაპაპისეულად ხვრინავს, და მის დამკვირვებელთ იქნება სულ უსაფუძვლოთ კი არ გამოუთქვამთ ის სჯა, რომ „ქართველი კაცი ფიქრს ვერ შეეჩვევაო.....“ აი რა უნდა აზფოთებდეს ჩვენ მკითხველს, და არა იმ გაზეთის ნაკლულევანება, რომელიც ამისთანა საზოგადოებაში ბრუნავს.

ჩვენ გვემდურიან, ჩინებული კორრესპონდენტები და დეპეშები რატომ არ მოგდითო, რატომ კარჯ „მიმოხილვებს“ არ ბეჭდავთო. სამდურავი ადვილი გამოსათქმელია, მაგრამ ადვილათ გამოთქმული სამდურავის დაბრუნებაც ადვილია: გაზეთის ნაკლულევანების მიზეზი ისაა, რომ ჩვენი ხელის მომწერლების რიცხვი გაზეთის გაუმჯობესების ნებას არ გვაძლევს⁶. ჩვენი ბრალია ეს, თუ სხვისი, ამის გარჩევა ჩვენ მკითხველისთვის მიგვიჩნდია...

რალა თქმა უნდა, რომ გაზეთის მიმართულებაში ცვლილება არ მოხდება. რაც კი გაზეთის სისრულეს შეეხება, ჩვენ, რამდენიც შეგვეძლება, ვეცდებით მკითხველს ეხლანდელი ცხოვრება და საზოგადო საქმეების მდგომარეობა წარმოუდგინოთ. და თუ, წელან მოთვლილ მიზეზებით, ჩვენ ახალ ამბების სისრულეს ვერ დაგპირდებით, იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ ხანდისხან ჩვენ გაზეთში სხვა გაზეთებიდან გამოკრებული ახალი ამბები იმ რიგათ დაწყობილი და ახსნილი იქნება, რომ მკითხველს მათი გაგება და მათი მნიშვნელობის დანახვა გაუადვილდეს.

რისტვის ვახუშტობა?

საკვირველი ქმნილებაა კაცის გული და გრძნობა. რაგინდ გულ-დაწყვეტილი და გაბრაზებული იყოს კაცი ძვირფას და საყვარელ ქმნილებაზე, რა გინდ დარწმუნებით დაკარგული ჰქონდეს იმედი მის მომავალზე და გონიერებაზე, დაინახავს თუ არა იმას გაჭირვებულ ან ძნელ მდგომარეობაში, მაშინვე თავის ბრახს და სამღუარავს ივიწყებს, მის ტუტუცობას აღარ იხსენებს, მის სიბრძნევას და უხეირობას აპატივებს და ხელახლავ გულ-მხურვალეთ, დაუზოგველათ მის დახმარებას ცდილობს, რჩევას აძლევს, არიგებს, ეხვეწება და ეხმარება. მის აღშფოთებულ გრძნობას და გაფხიზლებულ გონებას მაშინ არც კი ახსენდება, რომ ეს საყვარელი ქმნილება, თავის დაბრძანების ან უხეირობის გამო, ვერც იმის რჩევის ასრულებას მოახერხებს, არც მის დახმარების გამოყენებას მოინდომებს. გამოვა რამე ხეირი მის დახმარებისაგან თუ არა, ამას ის როდი ეძებს, როდი კითხულობს. ის მაინც თავის გულის-თქმას აცხადებს, თავის ღონეს ხმარობს, ძლიერ კარგათაც რომ იცოდეს, რომ ერთი-ორი კვირის შემდეგ მისი საყვარელი ქმნილება უწინდელურათ უხეიროთ მოიქცევა და უწინდელ სისულელეს გაიმეორებს...

სწორეთ ამნაირი საკვირველი გრძნობით ივსება ჩემი გული, როცა მე მამულში ფეხის შემოდგმის შემდგომ, დაობებული ცხოვრების ოშივარი მეცემა და ჩვენი უბედური განხეთქილების და შფოთის კიჟინა და ვაი-ვაგლახი მესმის. და რაც უფრო დამალონებელია ეს ოშივარი და ვაი-ვაგლახი, მით უფრო და უფრო ხელი მექავება, გული მიძგერს, ტვინი მიდღულს და ის ძვირფასი ძალა მენატრება, რომელსაც ამ ოშივარის დაფანტვა, ამ ვაი-ვაგლახის მოსპობა შეეძლოს. მაგრამ სადაა ეს ძალა!

აი, მაგალითად, დღეს ჩვენში ყველაზე უფრო ხმა მაღლა აზნაურობის კრების ვაი-ვაგლახი და კიჟინა ისმის¹⁷. შორიდამ ამ საქმეს რომ კაცმა ყურადღება ათხოვოს, ეგონება ცხოვრება სდულსო, საქმე მზადდება, სასარგებლო ბრძოლაა გამართული. მაგრამ დააკვირდით ამ კიჟინას, ამ საქმეს, მიუახლოვდით, და ნახავთ ისეთ სანახავს, რომ ღმერთმა შეინახოს. თქვენ დაინახავთ პიროვან

ჯიბრსა და ქიშპობას, საერო საქმის მაგიერ ხელში შეგრჩებათ უბრალო, წვრილმანი, კერძო სარგებლობის ძებნა, და სასარგებლო ბრძოლის მაგიერ გაგაშტერებს, გაგაბრაზებს უმიზნო, თითქმის უმიზნო და სრულიად უნაყოფო შფოთი, ხრიალი და ერთმანეთის თავ-პირ-ლეწვა. და როცა ამ სამწუხარო სანახავის პირველი შთაბეჭდილება, იხოცება, კაცი დაღონებული გულით კითხულობს: რისთვის ან ვისთვის, რა აზრით და რა ხეირისთვის იღუპება ამდენი ძალა, იღევა ამდენი გესლი და იკარგება ამდენი დრო ამისთანა უნაყოფო და უმეცარ განხეთქილებაში!

მართლაც, ვთქვათ, რას აკვდება ქუთაისის საზოგადოება, რის გულისთვის ერთმანეთს სასელს უტეხენ და სიცოცხლეს უმწარებენ მისი წევრები, რათ იბრძვიან, რას ელიან, ან რა უნდათ? ხელს მოვიჭრი, თუ ამის პასუხს ვინმე მომცემს. იქ პარტიებიც საცმაოთ გახლავს, წინამძღოლებიც, მეომრებიც. გამწარებულათ ებრძვიან ისინი ერთმანეთს აგერ თუთხმეტი წელიწადია და შორს მოისმის მათი ბრძოლის ტყაპა-ტყუპი, კიჟინა და კივილი. დაუზოგველათ, მოუხვენრათ, დაუვიწყრათ სდგება ძმა ძმაზე და მეგობარი მეგობარს ყელს სჭრის პარტიის სასარგებლოთ, საქმის მოსაგებათ. მაგრამ ამ ძვირფასი ძალის ხმარებას, თავგამომეტებულ ერთგულობას და ბრძოლას სწორეთ ისევე მნიშვნელობა და ხასიათი აქვს, როგორც დღესასწაულ დღეს ბურთის თამაშს. ჩვენი საზოგადოება, მობურთავეების არ იყოს, არაფერს ზოგავს, არავის ერიდება, არას იხსენებს, ოღონდ ბურთი კი თავისკენ გაიტანოს, ბრძოლაში გაიმარჯვოს, სახელი დაიმსახუროს. ის დაუზოგველათ თავს კეტით უტეხს მოწინააღმდეგეს, თუნდ ეს მოწინააღმდეგე მისი მკვიდრი ძმა იყოს, ის შეუბრალებლათ ფეხით სრესს „მტერს“ — თუნდ ეს „მტერი“ — მისი გულითადი მეგობარი და ძმა კაცი იყოს, და ათასი ამისთანა დაუზოგველი, შეუბრალებელი, უანგარიშო მსხვერპლის და ვაი-ვაგლახის შემდეგ, საქმე იმით თავდება, რომ იმას თავ-პირი დასისხლიანებია, ტანსაცმელი შემოწრეტიან, ხელ-ფეხი დაუჟეჟია, და ხელში დაგლეჯილი, დასწრესილი, გატალახიანებული ბურთი შეჩენია, რომელიც ბურთადაც აღარ გამოდგება, ამიტომ რომ ბრძოლის სიცხარეში ის მებრძოლებს გაუწეწიათ და ერთ კუშნა დამბალ მატყლათ და ხაყსათ გადაუქცევიათ.

ხუმრობა გაშვებით, სწორეთ ამგვარია ქუთაისის აზნაურობისა და საზოგადოების საქციელი, კენჭის ყრის დროს. მარშლობა, ამოჩრევა სწორეთ ის ბურთია, რომლის გულისთვის თავ-პირს იმტვრევენ და ისიხლიანებენ ჩვენი კენჭის მყრელები. მართალია, თამაში,

სეირი, ბურთაობა კარგი რამ არის, მაგრამ ეს თამაში, თუ ღმერთი გწამთ, საქმეთ როდის ჩაუთვლია ვისმეს? ეს კარგი ჩინებული სეირია, მაგრამ წელიწადში ერთხელ-ორხელ. ვათავდება თუ არა თამაში, მოთამაშეები ისევ თავ-თავის საქმეებს უბრუნდებიან და უწინდელურათ ერთმანეთს ძმურად ექცევიან, მხიარულად ეკიდებიან. აზნაურობა კი ამას რატომ არ შვრება? თუ იმას მარშლის ამორჩევა ხუმრობათ, სეირათ მიაჩნია, შემდეგში, დანარჩენ დროს ის საქმეს ხელს რატომ არ ჰკიდებს, რატომ არ ერთდება, არ შრომობს, არ გონიერდება! განა ნიადაგ თამაში და სეირი ბალღების მეტს ვისმეს შეეფერება? თამაში კარგი რამეა, თავის გართვაც, სეირიც, მაგრამ გონიერ კაცს როდი უნდა ერჩიოს სეირისა და თამაშის ადგეა იმ დროს, როცა რომ შინ გაჭირვება ჩასდგომია და მეზობლისას ტირილია. მტერისა და მოწინააღმდეგის გულ-გასახარებელი საქციელი გონიერ კაცს არ შეეფერება, და მთელ საზოგადოებას ხომ სრულიადაც არ მიეტყვება, ეს ჩვენ უნდა გავიგოთ. რა გასაჭირი გვადგია, ვითომ, რომ მაინც და მაინც გულ-გრილათ, უდარდელათ ჩვენ თავს ორიოდ პატივის მაძიებელი კაცის სათამაშოთ ვაქცევთ, მათი გულისთვის ვიტანჯებით, თავს ვიმტვრევთ მათი ამაღლებისათვის!...

ჩინებული, პატიოსანი და აუცილებლათ საჭირო საქმეა იმისთანა კაცის, იმგვარი წინამძღოლის ერთგულება და დანმარება, რომელსაც მიზნათ, საქმეთ ჩვენი საკუთარი საქმე და ჩვენი საკუთარი საზოგადო მიზანი აქვს. მაგრამ უმიზნო, უსაქმო კაცის ერთგულება მხლებლების, მოსამსახურეების, ნაქირავეების საქმეა, საზოგადოების მხრით კი ეს ნამდვილი სიძაბუნე და სიგლახაკე გახლავს.

საქმე რომ კარზე არ გვადგეს, საზოგადო მიზანი საჭირო და თვალ-მოსაკრავი არ იყოს, კიდევ ჰო. მაგრამ ჩვენ ხომ ამ მდგომარეობაში არა ვართ. ჩვენს მდგომარეობას დღეს ბევრი რამ აქვს საზრუნველი, გასარიგებელი, გასაწყობელი. დროა უხეირო პარტიების განყოფილება, განაწილება მოიშალოს, რომ მის მაგიერ უფრო გამოსადეგათ და გონიერათ გაიყოს ჩვენი საზოგადოების ძალა. ეხლანდელი პიროვნული, კერძობრივი განხეთქილების მაგიერ, რომელსაც მიზნათ მარტო და მხოლოდ უმიზნო პატივის-მაძიებლების ამაღლება და სპრეგებლობა აქვს, უნდა დაარსდეს სხვანაირი პარტიობა, სხვა გვარი განაწილება და ბრძოლა, დაფუძნებული საზოგადო ხეირზე, საზოგადო მიზნის და სარგებლობის ძებნაზე, ვისაც ჩვენი ქვეყნის ბედნიერება და სიკეთე სურს, ვისაც ძვირფასათ მიაჩნია მისი ბედი და მომავალი, იმისთვის აუცილებელ მოვალეობას

შეადგენს ისეთი პარტიების დაარსება, რომელთაც მიზნათ პეტრესი და პავლეს გაბატონება კი არა, მთელი საზოგადოების დახმარება და შევლა ჰქონდეთ მხედველობაში და რომელნიც ჩვენი ქვეყნის შვილებისგან, ჩვენი მამულის მსახურებისაგან შემდგარი უნდა იყვნენ. ესაა დღეს ჩვენი საზოგადოების მოვალეობა. და ამ საზოგადოების დასაფასებელ ზომათ მარტო ის გამოდგება, თუ რამდენათ მალალ მიზანს, გონიერ მიმართულებას მიითვისებენ ჩვენი პარტიები, რომ მიზნის სიმცირე და უხეირობა საზოგადოების უჯიშობას და დაცემას აღარ ნიშნავდეს.

რა კარგი იქნებოდა, ჩვენ საზოგადოებას ის სწავლა გაცნობილი რომ ჰქონდეს და ახსოვდეს, რომელიც მის სარწმუნოების საფუძველს შეადგენს; რა ღრმა აზრია, მაგალითად იმ დარიცებაში, რომელიც მაცხოვარმა გამოსთქვა—რომ „ახალ ღვინოს ახალი ჭურჭელი სჭირიაო!“—ამ ჩვენ დროს, ამ ჩვენ ახალ საჭიროებებს ახალი ჭურჭლები, ახალი მსახურები შეეფერება და ჩვენმა საზოგადოებამ ეს არ უნდა დაივიწყოს. თუ იმას თავისი სიკეთე უნდა, თუ იმას თავისი საკუთარი და თავისი შვილების ბედი ცოტაოდნათ მაინც აფიქრებს, იმან უნდა გაიხსენოს, რომ ის პირები, რომლის ასამაღლებლათ და გასაბედნიერებლათ ის აქამდე თავს იკლავდა, მარტო თავიანთ სიკეთეს ეძებდენ და საზოგადოებას მარტო მაშინ იხსენიებდენ, ექალაჩუნებოდენ და თავს უკრავდენ, როცა მისი კენჭი სჭიროდათ და მისი დახმარება ეძვირებოდათ. ამ უნიჭო, უმიზნო, უმეცარ და უგულ-ღვიძლო პირებს აღარ უნდა მიეცეს გავლენა ჩვენ საზოგადო საქმეში. იმათ ხალხისა და საზოგადოების ხარჯზე, საზოგადოების ხელებით და დახმარებით, თავიანთი საკუთარი ბედი შეიდგინეს, და საზოგადოების პატიოსნების მაგიერ თავიანთ კერძო სოროებში შეიბუდენ. დავტოვოთ ისინი იმ სოროებში და სხვაგან, სხვა გზას, სხვა მსახურებს მივადგეთ. ვეძიოთ მკოდნე, პატიოსანი თავდადებული პირები, რომელთაც ჩვენ გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩვენი პატრონობა შეეძლოს, და მიზნათ საკუთარი ამაღლება, საკუთარი სარგებლობა კი არა, საზოგადო სიკეთე და ბედი ჰქონდეთ. დროა ამ გონიერ გზას დავადგეთ, დროა ძველი შეცდომები და უხეირობა დაეინახოთ, რომ შემდეგში უწინდელივით უპატრონო და ბრმა ჯოგს აღარ ვგავდეთ.

1873 წ.

მნათობის „სიკვდილი“

ამ დღეებში გამოვიდა შარშანდელი „მნათობის“ უკანასკნელი წიგნი (№ № 10, 11 და 12 ერთად). ამ წიგნით თავდება „მნათობის“ გამოცემა. ღმერთმა საუკუნო განსვენება მიანიჭოს იმას და შეუნდოს შეცოდებანი მისნი, ნებსითი და უნებლიეთი... როგორც შეეფერება დავსებულ სანათს, „მნათობმა“, სიკვდილის დროს, შეპკრიბა რაც ღონე ჰქონდა, გაიელვა, აპრიალდა და ისე ჩაჰქრა. მაგრამ ამ გაქირვებულ აპრიალებას და აუცილებელ გაჰქრობას ისეთი კვამლისა და ხრაკის სუნი ამოჰყვა, რომ ხანგრძლივი იქნება მისი მოგონება და ზიზღი. ესეც შეუნდოს ამ სულ-ამომავალს ყოვლის დამვიწყებელმა შემოქმედმა:

შესანდობია — რადგანაც ადვილათ გაიგება — იმ ბებრუხის წყევლა, კრულვა, შარი, ცილის წამება და ქადილი, რომელიც ჰკვდება და სიკვდილის უკანასკნელ წამში ჰხედავს სიცოცხლით და ძალით სავსე ახალგაზდობას, მომავლიან ყმაწვილებს, ცხოვრების იმედით და სულით ავსებულს. ერთიდა იარაღი დარჩენია იმას თავის გულის დასამშვიდებლად — მათი ლანძღვა, შარის მოგება, ძაგება, წყევლა, და ამ საბრალო მომაკვდავს საშინელი სამჯავროც ავიწყდება, განკითხვაც და სასჯელიც, ოღონდ კი უშვერი ლანძღვით გული ამოიყაროს „შე რათ ვკვდები და სხვები რათ სცხოვრებენო“. გასაგებია ეს, მაშ მოუტევეს ეს სულის ამოხდენის ბრაზიც სულგრძელმა მსაჯულმა.

ან როგორ არ უნდა ბრაზდებოდეს ეს საბრალო მომაკვდავი? ოთხი წელიწადი დაწოწავდა ის დედა-მიწაზე, და სიკვდილის დროს, განკითხვის საათს, აღარაფრის მოხსენება არ შეუძლია ისეთის, რომ იმას ღვაწლათ ან შესანდობლათ გამოადგეს. რა ჰქნა ამ გამოცემამ, რა სარგებლობა მოიტანა, რითი აღბეჭდა თავისი კვალი, რითი არგო თავის ხალხს? არაფრით. რითი მოიხსენიებს იმას შემდეგი შთამამავლობა? რის მადლს ეტყვის საზოგადოება? რა ხეირს გამოიტანს მისგან ახალგაზდობა? რას იტყვის ამაზე ჩვენი მწერლობის ისტორია? არაფრით, არაფრისა, არაფერს. და თუ მოცლილი ვინმე იქნა შემდეგში, ჩვენი მწერლობის გამოძიებელთაგანი, ის აი ამ ათი სტრიქონით წესს აუგებს ამ საბრალო ვითომ-ჟურნალს: „იმ დროს

როცა ჩვენი საზოგადოება კანს იცვლიდა. როცა ხალხის მომავალი ერთ ბეწვზე ეკიდა, როცა მისი ეკონომიური, გონებითი და ზნეობითი მდგომარეობა ცამდე ლალადებდა და დახმარებას თხოულობდა, როცა პატიოსანი გამოცემა იმ მხარეზე უნდა ყოფილიყო, რომელიც ბოროტებას და კერძობით სარგებლობას ებრძოდა, „მნათობი“ მართო იმას ლალადებდა, რომ ს. მესხი სკანდელის სადილებს სკამსო, გ. წერეთელი—სკანდელს ეფერებო, და სკანდელი გაყიდული მწერალი და მცარცველიაო“¹⁸.

„დროება“ გულკეთილათ უტევებს „მნათობს“ ყველა მის შეცოდებებს. მაგრამ რადგანაც განსვენებულ ჟურნალს განუსვენებელი ბაიყუშები დარჩა, იმათზე ლაპარაკი შემდეგში და სხვაგან გვექნება.

მშვიდობით, მშვიდობით!

(დღიურიდან)

ხვალ-ზეგ მე ხელ-ახლავ ვტოვებ „დროების“ ნიადაგი თანამშრომლობის უმაღლურ და მომბეზრებელ ღვაწლს⁴⁹ მკითხველს თავს როდილა მოაწყენს ჩემი ნაწერის კითხვა, და მსმენელს — ჩემ პიროვნებაზე, ნაწერზე და ხასიათზე სჯის სმენა. სხვა უფრო ახალგაზდა და გულმობიერი მწერლები ახალ საგანზე და მოვლენებზე წერა-ბეჭდვას და ბაასს გამართვენ, და ყველაფერს, რაც კი ალაშფოთა ან შეარყია ჩემმა ნაწერმა, მიყრუების და დავიწყების მალამო წაეცხება...

როგორც მკვდრისთვის, ჩემთვისაც დადგება ჯერ მოსვენებული და პირუთნეველ სჯის, და შემდეგ მალე — ძლიერ მალე სრული მივიწყების დრო. დაღალული, დაქანცული, ილაჯგაწყვეტილი ვტოვებ მე ჩვენი მწერლობის ასპარეზს და ჩვენი სამშობლოს ჰაერს, სრული ბედნიერებით ვეთხოვები ყველას, ვისაც ვძულვარ ან უყვარვარ, ვესალმები ყველას, ვინც მებრალემა ან მიყვარს, და მტერ-მეგობარს ნეტარებით ვუბნები — „მშვიდობით!“

შავი-ზღვის ზამთრის ქარიშხალი, ევროპის აღელვებული ცხოვრება, ახალი წრე, ძველი მეგობრები მეც მალე დამავიწყებინებენ აქაური უთავბოლო ბრძოლისა და ყაყანის დაღალულობას. და შორიდან თქვენი შესაფერი სიმცირით მეჩვენებით თქვენ, ჩემო ნამცეცა მტრებო, ჩემო პაწაწინა წინააღმდეგნო; თქვენი ჭიანჭველის და ობობის ტვინით დაგებული მახეებით, თქვენი ჩუმი ბეზლობით და ენატანტალით. მშვიდობით, მშვიდობით!

იქ, ჩემს მოსვენებულ ოთახში, აღმტაცი ცხოვრებით და პატიოსანი ბრძოლით გართული, მე ხანდისხან უსიამოვნო სიზმარივით მოგიგონებთ თქვენ ყველას, ვინც — ხეირიან და დაუზოგავ ბრძოლაში გამოსვლის მაგიერათ — ხმარობდით უსუსური ცილის წამების იარაღს, ვინც გულწრფელი ბრალის დადების წინააღმდეგ დედაბრულ შეწამებას ხელს ავლებდით, ვინც ვერ ბედავდით თქვენი რწმენების, საქმის, მიზნის და მოქმედების პირდაპირ, დამაცურ დაცვას, და პასუხის გაცემის მაგიერ იმ ტალახით გათქერა მომინდომეთ, რომელშიაც კისრამდი ჩაფლული იყავით, ხართ და იქნებით უკუნეთი ეკუნისამდე. იქ, ვიმეორებ, გავიხსენებ თქვენს უძლურ გამწარებას.

თქვენს საბრალო მახეებს, და გულდამშვიდებულ შენდობას და მიტევებას გამოვატან მაშინ თქვენ ყველასათვის დასავლეთის მშვიდობიან და ნათელ ნიაეს...

იქ მხიარული კისკისით მოვიგონებ მე თქვენს მოუხერხებელ და სუსტ წინააღმდეგობას, თქვენს გამოცრუებულ ბეზლობას, თქვენს გუმოფშუტებულ ბრძენობას, და ნიადაგ სასიქადულოთ ჩემ გულში იმ გრძნობას შევინახავ, რომ — სხვა თუ არაფერი — ერთი მარჯვე და მწარე წკიპარტი მაინც ვკარი თქვენს ბრძულათ ჩამოგრძელებულს ცხვირს, ერთი ბასრი და მჭრელი სადგისი მაინც ვრჩხვლიტე თქვენს ბრძულათ გაბერილს თავმოყვარეობას, „ტყვილათ ხომ მაინც არ ჩაივლის ამ გაბერილი ბრძნების შემუსვრა,“ ვიფიქრებ მე მაშინ, და ამ გრძნობით ადვილათ დავივიწყებ ყოველს, „რაც ვსვი სიმწარე ეკლიანს გზახე მწერლისა!“

იქ სხვა უფრო გონიერი და მძლავრი, უფრო პატიოსანი და მომავლიანი ჯიბრის ამოყრა მელის თქვენზე. იქ ვნახავ მე გონიერს და პატიოსანს ახალგაზდობას⁵⁰, რომელსაც ჯერ ჩვენი ცხოვრების და უსუსურობის ჩირქი არ მოდებია, რომელსაც გულში მხურვალე გრძნობა უღვივის, და რომელიც არ შეჩვევია სისაძაგლესთან შერიგებას და პიროვნული მიზნის თაყვანისცემას. ამ ახალგაზდობას, რომელსაც ვერ მოიყიდის ვერც ბეზლობა და ვერც სარგებლობა, რომელსაც ვერ მოატყუებს ვერც ბრძნული სახე, ვერც ტკბილი სიტყვები, და რომელიც სჯის მარტო საქმეს, მაგალითს, შრომას, მე ორნაირ სურათს მივუთითებ. და რადგანაც მე ჩვულებათ მაქვს წინათვე ვაჩვენო მოწინააღმდეგეს ჩემი იარაღი და განზრახვა, მე აქვე ვიტყვი. რანაირი იქნება ეს ჯიბრის ამოყრა და რას უნდა მოელოდნ ჩვენი წინააღმდეგები. ვნახოთ, აბა შეეძლებათ იმათ ამ იარაღის თავიდან აცილება, თუ არა.

ის ახალგაზდობა ცხოვრობს ასეთ ადგილს, სადაც ძლიერ ხშირია პატიოსანი მოქმედების და გონიერი მოღვაწეობის მაგალითი. იმას გარშემო ათასობით და ათი ათასობით ახვევია იმ თავგამომეტებული და პატიოსანი შრომის და მოქმედი პირების მაგალითები, რომლითაც აყვავებულა და ხეირიანობს სამზღვაჲს გარეთელი საზოგადოებრივი ცხოვრება. დაუღალავი მშრომელების და თავგანწირული მოქმედების მნახველ ახალგაზდობას, რასაკვირველია, ძლიერ ადვილათ შეუძლია გაიგოს, რომ შესაძლებელია კაცისთვის პიროვანი მიზნის უქონლობა, საზოგადო საქმისთვის გულ-მხურვალეთ მოქმედება, საერო და საქვეყნო სარგებლობისთვის გამწარებულათ ბრძოლა... ამ ახალგაზდობას თვალ-წინ ნიადაგ იმისი დამტკიცება

უდგია, რომ ყოველი ხეირიანი კაცი საერთო და საყოველთაო საქმეს უსათუოთ და ყოველთვის თავის კერძო სარგებლობაზე უფრო მალა უნდა სთვლიდეს, და ნიადაგ ამის შესაფერათ უნდა მოქმედებდეს. ამასთანავე იმან კარგათ იცის, იმავე მაგალითებიდამ, რომ კაცი თავის კერძო ცხოვრებას, თავის მოქმედებას და სხვებთან დამოკიდებულებას ნიადაგ თავის რწმუნებასთან და აზრთან უნდა ათანხმებდეს, რომ „სიტყვა“ და „საქმე“, აზრი და მოქმედება ერთმანეთს არ ორპირობდენ და აწ ეწინააღმდეგებოდენ.

აი ამ ახალგაზდობას სათითაოდ მივუთითებ მე იქაური ხეირიანი ცხოვრების მაგალითებს, და ვეტყვი — ხომ სედავთ, როგორი ხასიათისაა გონიერი და პატიოსანი კაცის მოქმედება, რა უნდა იყოს მისი მიზანი, რა გვარი უნდა იქნეს მისი ცხოვრება და ღვაწლი? დაროცა ეს ახალგაზდობა კარგა ლაზათიანად გაიხსენებს იქაური ცხოვრების და იქაური ხასიათების ჩინებულ სურათს, მე მაშინვე შემდეგს სურათს დაეუხატავ აქაური, ჩვენებური ცხოვრებისას.

ჩვენში, ვეტყვი მე, ვითომ-განათლებული კაცები, ვითომ ახალგაზდა პირები სულ სხვანაირ გზას და მოქმედებას ადგიან. იმათ ან არასოდეს არ ჰქონიათ საზოგადოებრივი გრძნობა და საზოგადო სიკეთისთვის მსახურების სურვილი, ან, თუ ჰქონიათ, დიდი ხანია რაც დაუკარგავთ. ისინი ხმა ამოუღებლათ, უბრძოლველათ, ხელგაუნძრევლათ დამონებიან მამა-პაპურ ჩვეულებებს და შეხედულობას, აჰყოლიან ადამის წლის ცხოვრებას, და მათი კერძო მოქმედება მათი საყოველღეო ცხოვრება იმავე ჩირქით გათქერილია, იმავე გესლით წარყვნილია, რომლითაც წინა თაობების ცხოვრება უკვალოთ და უსარგებლოთ დაღუპულა. გულ-ხელ დაკრეფილნი ლოკვენ ისინი უფროსების მძლავრს და მჩაგრავ ხელს, ყურმოკრილ ყმებსავით ფეხ-ქვეშ უგორდებიან ყველას, ვინც კი ძალადობს და უსამართლიანობს, და წაყრუებით, უდარდელათ ზურგს უბრუნებენ ყველაფერს, რაც კი სუსტი, დაჩაგრული და იმედ-მოკლებულია... ვისაც როდესმე ჩვენში ხმა ამოუღია ან ხელი გაუნძრევია ჩვენი მიძინებული საზოგადოების ფეხზე წამოსაყენებლათ, ან ჩვენი გალატაკებული ხალხის სარგებლობის დასაცველათ, ყველას გზაზე დახვედნია ამ კაცების ქვეშ-ქვეშა, ჩუმი, მომწამლველი და მომხიბლველი წინააღმდეგობა და მტრობა, იმათ თავიანთ მიზნათ და იარაღათ „ჩურჩული“ შეუქმნიათ, და ვინც შინაურულ ჩურჩულს საქმაო იარაღათ არ სთვლის ჩვენი მიყრუებული ქვეყნის ამაღლებისთვის, იმის წინააღმდეგ ესენი, ჩურჩულის მაგიერ, ცილის-წამებას და ბეზლობას ხმარობენ, რომ ამათ სახელი გაუტეხონ ყოველ მიმართულებას, რომელსაც მათი ჩურჩული არა სწამს, და რომელიც ჩურჩულის მაგიერ საქმეს და შრომას თხოულობს.

ამ გაგუდული ჩურჩულის შემწეობით ამ კაცებს გვარიანათ წაუფარავთ ის ნამდვილი შრომა და ღვაწლი, რომელიც იმათ თავიანთპიროვანი ამბღლებითვის უნმარიათ. თუმცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისინი დაღუმებას და შინაურულ ჩურჩულს ქადაგებენ. მაგრამ პიროვანი მიზნისთვის კი ისინი უფრო მძლავრ და ენერგიულ მოქმედებებს ხმარობენ, რომელნიც იმათ საზოგადო მიზნისთვის როდი ემეტებოდათ. და ამგვარი მოხერხებით ისინი დღეს გაძლიერებულან, ლაზათიანი ადგილები და მამულები ხელში ჩაუგდიათ, უმჯობესებს კიდევ ეძებენ და ალბათ კიდევ ჩაიგდებენ...

ამ პირებს, თავიანთ კერძო სარგებლობაში და პიროვანი მიზნის ძიებაში ჩაფლულებს, როდი სწამთ სხვებში არც გულწრფელობა, არც პატიოსნება, არც საზოგადო მსახურება და ჩვენი „დროების“ წინააღმდეგ ისინი, აზრის დარღვევის ან მიმართულების ბრძოლის მაგიერ, პიროვან შეწამებას ქადაგებენ, ბინძურ მიზნებს გვაწერენ, თავიანთ სურვილს და მოქმედებას ჩვენ თავზე გვახვევენ... უსირცხვილოთ, შეუპოვრათ, აშკარათ, მთელი საზოგადოების წინ, კაცი, რომელმაც ღვიძლი ძმა გაცარცვა, ჩვენ მცარცველს გვეძახის, ვინც ბანქოში უშლერობით ფული მოიგო — ჩვენ გაიძვერას გვიწოდებს, ვინც მზითვისთვის ძუძუს მწოვარი და უნახავი ქალი შეიერთო — ჩვენ პირადი სარგებლობის ძიებას გვწამებს, ვინც უფროსის ხელის ლოკვით ადგილი დაიმსახურა, ჩვენ უფროსების მორიდებას გვაწერს, ვინც თავის მარწმუნებელი გასცა — ჩვენზე ამბობს, სანდო კაცები არ არიანო, და ვინც ქურდობაში დაჭერილი იყო — ჩვენ ქურდის სახელს გვარქმევს...

როცა თქვენ მიხვალთ ჩვენში და ამ კაცების საქციელს დაინახავთ, მათ მიმართულებას და მოქმედებას გაიცნობთ, — ვეტყვი მე ამ ახალგაზდობას — გაიხსენეთ მაშინ აქაური პატიოსანი ცხოვრება და შეადარეთ ეს ორი სურათი. ნახავთ მაშინ, რამდენათ სასიყვარულოა ეს ცხოვრება და საზიზღარია — ჩვენებურების მოქმედება.

— როგორ გგონიათ, ჩვენო ვაჟბატონებო, როგორი იქნება ამ ახალგაზდობის გრძნობა თქვენს შესახებ, როცა ის ჩვენში ჩამოვა, და თავის მოთხოვნილების და შეხედულების თვალთ გასინჯავს თქვენს საქციელს და მოქმედებას? — ეს ხომ თქვენ თითონაც იცით.

მაშ, გტოვებთ გულდამშვიდებული, გულმობიერათ შეგინდობთ ყველაფერს, რაც თქვენ ჩემს წინააღმდეგ გიბაიყუნიათ, და გესალმებით თუ სამუდამოთ არა, გვარიან ვადითა მაინც. მშვიდობით, ნახვამდის.

ბაკმრა-ბამოკმრა

როგორც იქნა საუკუნო განსვენება ელირსა მოუსვენარს და მეტის-მეტათ უმოძრაო წარსულს წელიწადს. ჩვენის მხრით იმას სრული შენდობის და კეთილი მოხსენების მეტი არაფერი ეკადრება. ჩვენთვის — ესე იგი, ჩვენი ქვეყნისთვის — იმას უსარგებლოთ და უკვალოთ როდი ჩაუვლია, და დიდათ როდი შეცდება ის, ვინც ამ წელიწადს მომავალში ძველ და უფერული ცხოვრების დამარცხების უამათ ჩათვლის.

საკვირველი წელიწადი იყო, მართლაც, ეს 1873 წ. თავიდანვე დაწყებული მის უკანასკნელ დღემდე, იმას არც ერთხელ ხერი არ დაუყრია იმისთვის, რაც დამსობის ღირსი იყო, არც ერთი გამარჯვების უარი არ უთქვამს იმისთვის, რასაც მომავალში ძლიერება და აყვავება უნდა ელოდეს. თითო-თითოთ დათხარა იმან ძველი ცხოვრების დაფუტურებული ჯიკკეები, თითო-თითოთ მოჰკაფა ყაყაჩოსავით ამაყათ გადაბიბინებული უსულო და უგემო ყვავილები, და იმედის ძალა და მომავლის სული ჩაუდგა ყველაფერს, რაც კი მომავლის იმედით ცხოვრობს და მომავლის ბედისთვის შრომობს.

* * *

განსაკუთრებით მაღლობით უნდა მოიხსენოს ეს წარსული წელიწადი ჩვენმა მწერლობამ, და კიდევ უფრო განსაკუთრებით ჩვენმა „დროებამ“. აქ ერთი წლის განმავლობაში მწერლობას ცოტაოდენი საშვალეა მიეცა იმისთანა საგნებზე და გარემოებებზე სჯისა, რომელნიც პირდაპირ ჩვენი საზოგადოების მდგომარეობას და საჭიროებას შეეხებოდნენ. ამის გამო მწერლობას უწინდელზე უფრო მეტი გასავალი მიეცა, უწინდელზე უფრო მეტი ყურადღება ეღირსა ჩვენი საზოგადოების მხრით. თვითონ მწერლობის გავლენაც, ამის გამოისობით გვარიანათ გაძლიერდა, და ის გამწარებული შლაპა-შლუპი, დავა, ქიშპი და წინააღმდეგობა, რომელიც ასტეხა შარშანდელმა მწერლობამ, ყველაზე უფრო დაუმაღლავი დამტკიცებაა, მისი გავლენის გაძლიერებისა. შარშანს აქეთ დარწმუნებით და საფუძვლიანათ შეუძლია სთქვას და იფიქროს ჩვენმა მწერლობამ, რომ

მისი მეცადინეობა უწინდელივით როდილა რჩება „ხმათ მლალაღებელისა უდაბნოსა შინა,“ რომ მისი სიტყვა — კარგათ თუ ავათ, საზოგადოების ყურამდის აღწევს, საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს, საზოგადოების ყოფაქცევაზე ცოტა ოდნათ მაინც მოქმედებს. და ამით, ხომ, ყველა პიტიოსანი მწერლის შრომას და ძალას იმედის და წარმატების ფრთები ესხმება.

* *
*

მეორეს მხრით, ყველაფერს, რაც ჩვენს საზოგადოებაში ცუდი და საძულველი იყო, რაც ყოველი ხეირიანი კაცის თვალში ზიზღისა და დამხობის ღირსათ ითვლებოდა, ცოტაოდნათ მაინც ძვალი მოსტყდა შარშანდელი წლის განმავლობაში, ცოტა ოდნათ მაინც შეუმცირდა უწინდელი ყოვლისშემძლებელი და ყოვლისგანმბედავი ძალა და მნიშვნელობა. რამდენი უსაფუძვლო და ხეპრული აზრების და მიმართულების სიფუტურე გამოაშკარავდა ან გამოჩნდა მაინც შარშან, რამდენ უხეირო და უღირსო გავლენიან პირებს დაეკვეთა ფრთები და ფრჩხილები, რამდენ საენებელის დაწყებას ფეხქვეშ გამოუტურდა უგუნურობით ან ბოროტებით შემზადებული ნიადაგი! რა საჭიროა მაგალითების მოყვანა, ისინი ყველას ახსოვს, ყველას თვალ-წინ უდგია. საზოგადოთ კი იტქმის, რომ ამ საკვირველს და შესანიშნავს მოძრაობას ისეთი ბუნებითი ძალა მიეცა, რომ ნელ-ნელა, მწერლობისგან ხელუხლებელათაც წაიქცენ, დაემზვენ ან დასუსტდენ ისეთი საქმეები და პირებიც, რომელნიც დამხობის ან დამცირების ღირსნი იყვენ, მაგრამ რომელთაც სხვა-დასხვა მიზეზების გამო არ შეხებია ჩვენი მწერლობა.

ასე, ხშირად, ერთიანად იქცევა ერთი-მეორეზე მიდგმული ბანქოს „სახლები“ ბავშვების სუსტი და მოუხერხებელი ხელით აშენებულნი, თუმცა მათი დამხობელი შებერვა მარტო ორიოდ პირველ ბანქოებს შეეხო.

* *
*

ამ მდგომარეობაში, როცა, იმას, რაც დამხობის ღირსია, არა თუ ძალა და მნიშვნელობა აკლდება, თავის-თავის იმედიც და თვით-რწმუნებაც ეკარგება, როცა ამ დამხობის და დასუსტების გრძნობით გაბრუებული, ის შეცდომას შეცდომაზე ართავს და ხეპრობას ხეპრობაზე, როცა ის თვითონ თავისი ხელით და ტვინით თავის-თავს უფრო მეტ ზიანს და ვნებას აძლევს, ვინემ ჩვენმა მწერლობამ იმას მოუხერხა, — თან-და-თან უფრო და უფრო ძლიერდება

საზოგადოებაში ის გრძნობა და რწმუნება, რომ უწინდელი „ხერხი“, უწინდელი მთელი ქვეყნის დავიწყება და მარტო თავის კერძო სარგებლობის ძიება, უწინდელი უსინდისობა და ნამუსზე ხელის აღება საზოგადოებას ხეირს ვერ დააყრის და საზოგადოების მხრით პატივისცემის კი არა, შეზიზღების და დევნის ღირსია. და რაკი თან და თან უფრო ხშირათ ჩნდებიან, და შემდეგში ხომ უფრო მეტად გამოჩნდებიან, ისეთი მოვლენები და პირები, რომელთაც ახალი, პირუთენელი და უანგარო გრძნობის ბეჭედი ასვიათ და ესმებათ, ექვი არ არის, რომ აწინდელს მათ ბედს უწინდელი მათი უბედურების და უძღურების მსგავსება აღარ ექნება...

* * *

ამნაირათ შარშანდელმა წელიწადმა ძვალი მოსტეხა დაფუტურებულსა და დამაალ ცხოვრებას, და ფრთები შეასხა მომავლის შრომას და იმედსა, დააუძღურა ხეპრული ჩვეულებების და წესის მცველები და ძალა მისცა მათ მოწინააღმდეგეებს. ეს ისეთი ცხადი, ყველასათვის დასანახავი და მისათითებელი ჭეშმარიტებაა, რომ თვითონ დამარცხებულებიც კი ვეღარ მალავენ თავიანთ დამხობას, და თუ ხმას იღებენ — მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთი თავის გასამართლებელი საბუთები წარმოადგინონ, და მცირეოდენი შენდობა ან შებრალება ითხოვონ. მაშ მადლი უთხრათ ამ წარსულს წელიწადს და ვისურვოთ, რომ შემდეგებაც იმას ჩამოგავდენ — წარსული გლახაკური ცხოვრების და გვამების დამხობაში და მომავლიანი ხეირიანი აზრების და მიმართულების გაძლიერებაში. და თუ ღმერთმა ქნა და ერთი ხუთი-ექვსი წელიწადი გვეღირსა შარშანდელსავით ხეავიანი, ყოველ ჩვენს მამულის შვილს გულდამშვიდებით და შეუტდომლათ შეეძლება სთქვას — დამყარდა. ჩვენში ხეირიანი საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობაო, დაადგა ჩვენი საზოგადოება ხეირიან ცხოვრების კვალსაო. ნეტავი მაშინ იმას, ვისაც გულწრფელათ და სინდისიანათ შეეძლება იგრძნოს, რომ ამ საქმეში იმანაც თავისი შრომა ჩაურთო და ამ მიზნის მისაღწევლათ ყველა ის საშვალეები იხმარა, როგორც მას დრომ, ნიჭმა და ცოდნამ მიანიჭა.

ქალმის კაპრიზი

ჩემს წინაშე არის პატარა ბროშურა, რემელიც ეხლახან დაიბეჭდა თფილისში ქართულ ენაზე და რომელიც ლაპარაკობს საქართველოს მორალურად დაცემაზე. თუმცა იმ კაცისათვის, რომლის გვარი არის ქართველოვი¹, რამდენიმედ შეუფერებელია მსგავს საგანზე წერა, მაგრამ ბროშურა ღირსია ქართველი საზოგადოების ყურადღებისა. მიუხედავად ახალგაზდა ავტორის გულუბრყვილობისა, მიუხედავად მისი სტატიის მეტისმეტად მყვირალა ტიტულისა, მიუხედავად იმისა, რომ მასში სჭარბობს დეკლამატორობა და საერთო ფრაზები, ბროშურაში არის აზრი და ამასთანავე ორიგინალურიც, რომელიც ღირსია განხილვისა და რამდენიმეთ წარმატებისაც. აი რატომ მინდა შეეჩერდე მასზე.

ისე როგორც ყველაფერი, რაც დაწერილია არეულად და ულოლიკოთ, მიუწოდებელია ანალიზისათვის ბ. ქართველოვის ბროშურაც, და ძნელია მისგან რაიმე დასკვნის გამოყვანა. ძნელია მასზე ახალგაზდა ავტორის ძირითადი, სახელმძღვანელო აზრის დაჭვრაც. კი. მაგრამ რამდენადაც შეიძლება მისი გამოყოფა არა საჭირო და ზედმეტად ჩართულ მსჯელობათა და ფრაზებისაგან, ის იხატება — ყოველ შემთხვევაში ჩემს ტვინში — შემდეგი ფორმით.

ქართველ ახალგაზდობას, დღემდე, შემცდარათ ესმოდა თავისი დანიშნულება და მოვალეობა. ის ცდილობდა გავლენა მოეხდინა ქართველი საზოგადოების ისეთ ელემენტებზე, რომელნიც, თავისი ეკონომიური და საზოგადოებრივი მდგომარეობის შინაარსით, შეუძლებელია განვითარდნენ და რომელთაც არ შეუძლიათ, პრინციპებისა და იდეის გულისთვის, ხელი აიღონ თავის პრივილეგიურ მდგომარეობაზე. მას უნდა მიექცია მთელი თავისი ყურადღება სოფლის მცხოვრებლებისაკენ, რომელთაც ყველაზე მეტათ ესაჭიროებათ გონებრივ მატერიალური დახმარება.

თუ ყურადღებას მიმართავდნენ იმათკენ, იცხოვრებდნენ მათ შორის, მაშინ ახალგაზდობას შეეძლო აეწია მათი გონებრივი და ეკონომიური განვითარების დონე. ახალგაზდობამ ეხლა უნდა გამოას-

წორის თავისი შეცდომა. ქალაქის ელემენტებთან, და პრივილეგიურ წოდებათა ელემენტებთან ის ტყუილათ დახარჯავს ძალ-ღონეს. აი რატომ არის, რომ ახალგაზდობის ლიტერატურულ შრომას, მის ჟურნალურ მოღვაწეობას და სხვ., არ შეუძლია მოიტანოს და ვერც მოიტანა სათანადო სარგებლობა.

ამ შეცდომაში, ამ ჟურნალური მოღვაწეობის დაცემაში და სხვ. ავტორი მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას აკისრებს, რასაკვირველია ამ სტრიქონების დამწერს⁵². მაგრამ ეს წვრილმანია, რომელიც არ არის არავითარი ყურადღების ღირსი. მე შეგჩერდები მასზე, რაც ჩემი შეხედულებით წარმოადგენს ბროშურის ძირითად აზრს, და შეგჩერდები ამასთანავე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

საინტერესო იყო გვცოდნოდა, ადამიანის ტვინის რა განსაკუთრებული ფორმაციის მიზეზით არის გამოწვეული ის მოვლენა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ადამიანს შეუძლიან — რომელიმე საკითხის, ან საგნის შესახებ მსჯელობის დროს — დაინახოს მხოლოდ ერთი რომელიმე მხარე, მხოლოდ ერთი ნაწილი, ერთი თვისება ამ საგანისა თუ საკითხის. რა კანონის ძალით ხდება, რომ კაცი, რომელსაც მიუღწევია ერთ რომელიმე უბადრუკ აზრამდე, განწირულია გაცივდეს და გაიყინოს მასზე და ვერ წავიდეს იმის იქით? რის გამოა რომ შემჩნეულია ის საერთო კანონი კაცობრიობის აზროვნებისა, რომ ყველა ეძებს ერთ რომელიმე უნივერსალურ საშუალებას, ერთ ფილოსოფიურ ქვას რთულ და მრავალმხრივ ცხოვრების ყოველგვარ ბოროტებათა წინააღმდეგ? რატომ არის რომ ტვინები, რომელთაც უნარი აქვთ აიწიონ ამ ცალმხრივ შეხედულებათა ზევით, ითვლებიან მთელ მსოფლიოში ერთეულობით და სულ ბევრი — ათეულობით?

ავიღოთ მეცნიერებანი, — მაგალითად, მედიცინა. რამდენი საუკუნე წვალობდა ადამიანის გონება „სასიცოცხლო ელექსირის“ ძიებაში, რომელსაც შეეძლებოდა მოერჩინა ყველა ავადმყოფობა და გაემარებია ყველა ორგანიზმი! თქვენ გგონიათ რომ გუფელანდის, გარლეს, ბიშის და სხვ. შემდეგ, ეს მიმართულება გაჰქარა? მაგრამ განა ცოტანი არიან სწავლული ექიმები დღესაც კი, რომელთაც სჯერათ, რომ ყველა ავადმყოფობის და ყველა ორგანიზმის აქიმობა შეიძლება წყალით ან ელექტრონით, შედეგებული ჰაერით ან მუავბადით? მე არ ვლაპარაკობ შარლატანურ რეკლამებზე რევალიესერისა და სხვ. მსგავს საშუალებაზე; მე მხედველობაში მყავს სავსებით კეთილსინდისიერი და დაჯერებული მეცნიერები. ის, რასაც ჩვენ ვხედავთ სამედიცინო მეცნიერებაში შეიძლება ვპოვოთ სხვებშიაც, მაგრამ ეს ტყუილად გააგრძელებდა ჩვენს სიტყვას. მისი სიცხადისათვის საკმაოა ეს მაგალითიც.

უნივერსალური საშუალების ძიება ერთი ორგანიზმის წინააღმდეგ, — ეს კიდევ მოდიოდა თავს. მაგრამ სიველურე არაა განა ეძიო ასეთივე საშუალება ერთად შეერთებულ ყველანაირ ორგანიზმების წინააღმდეგ, წინააღმდეგ „საზოგადოებრივ ორგანიზმისა,“ წინააღმდეგ. მისი სატკივრისა და ნაკლისა? მიუხედავთ ამისა ჩვენი დროის საზოგადოებრივ, მეცნიერებაში არ არსებობს სხვა მიმართულების ნა-სახიცი კი. ისეთ მოაზროვნეებს როგორც არიან მილი და სპენსერი-სერიოზულათ სჯერათ, რომ კაცობრიობის კეთილდღეობისათვის საკმაოა მხოლოდ მივიღოთ აქსიომად ერთ-ერთი ამ ორ აზრთაგან: „საზოგადოებრივ მშენებლობის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მიღწევა, ადამიანთა რაც შეიძლება მეტი რიცხვისათვის“ („უტილიტარიზმი“ მილისა); ან: „ყველა საზოგადოებრივი დამოკიდებულობანი უნდა მოეწყოს პრინციპზე: ყველას ნება აქვს გააკეთოს ყველაფერი, რაც მას სურს მხოლოდ არ დაარღვიოს კი თანასწორი თავისუფლება სხვებისა“ („სოციალური სტატიკა“, სპენსერისა). განა შეიძლება ბრალი დავსდოთ ამის შემდეგ, ბ. ქართველოვს, რომ მისი გაგებით, მთელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჩვენი ახალგაზღობისა უნდა ემყარებოდეს შემდეგ წესზე: ისხდენ სოფელში და ასწავლონ გლეხობას წერა-კითხვა და კჭუაგონება⁵³?

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მსგავსი ცალმხრივი დასკვნებით გატაცება ახალი არაა. იყო დრო, როცა მთელი ჩვენი ახალგაზღობათელიდა თავის მოვალეობათ შესულიყო უნივერსიტეტში, და სძულდა ყველა, ვინც მიდიოდა სამხედრო სასწავლებელში, საინჟინეროში, ტექნიკურში და სხვა. „საერთო განათლება“, ითვლებოდა მაშინ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფილოსოფიურ ქვად. შემდეგ მოუჭროლა სხვა ქარმა: ფილოსოფიურ ქვად უცებ გადაიქცა იურისპრუდენცია, და ნაფიცი ვექილის ნიშანი გადაიქცა მიწიერი სამოთხის გასაღებად, შემდეგ აღმოჩნდა, რომ „საერთო განათლება“ და ვექილობაც იყო ალქიმიური შეცდომები: ნამდვილ ფილოსოფიურს ქვას კი წარმოადგენს „ტექნიკური განათლება“, იმისათვის, რომ „არ იყო დამოკიდებული“, იცხოვრო „საკუთარი შრომით“ და სხვ. ამის შემდეგ სინათლესავით ცხადი გახდა, რომ არ არსებობს უკეთესი ფილოსოფიური ქვა, ვინემ საჭურნალო მოღვაწეობა. ეხლა „მოვესწარით!!!“ — არა ამერიკულ „პოდსტაკანნიკებს“, — არამედ ახალთ-ახალ, ნამდვილ, გარანტია ქმნილ, პატენტიან და სხვ. ფილოსოფიურ ქვის აღმოჩენას: ის მდგომარეობს მასების განვითარებაში. წადით და დააჯერეთ რომელიც გნებავთ ამ ალქიმიკოსებიდან, რომ

ყველა ისინი, ცალ-ცალკე, სცდებიან, და რომ ამავე დროს, ყველა-ნი ერთად მართალი არიან. არც ერთ მათგანს არ შეუძლიან შესდგეს ფეხის ცერებზე და ამალდეს შეგნებადღე, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, რომელნიც წარმოადგენენ შეერთებას ათეულ და ასეულ სხვადასხვაგვარ ელემენტებისა, საჭიროებათა, მისწრაფებათა და თავისებურებათა, რომელნიც იმყოფებიან ასეთსავე მრავალრიცხოვან დაბრკოლებებთან ბრძოლაში, აუცილებელი და ერთნაირად პატივისაცემია შრომის ყველა დარგი, ყველა მომქმედი ძალები, რომელი სპეციალობაშიაც გინდა მუშაობდნენ ისინი! ცხოვრება მოეწყო არა ერთ დღეს, და ემორჩილებოდა ის არა ერთ ძალას. არ შეიძლება ერთ დღეს შეიცვალოს მისი ბედი, და არც ერთი რომელიმე ძალის გავლენით შეიძლება მოხდეს ეს. მანამდე, სანამ საზოგადოების ახალი ელემენტები არ დაუმორჩილებენ თავიანთ დაქსაქსულ ძალებს ერთობრივი მოქმედების სხვადასხვაობის კანონს, იმ დრომდე, სანამ ისინი ვარდებიან ერთი უკიდურესობიდან მეორეში, ერთი ცალმხრივი მოქმედებიდან მეორეში, — მათგან არაფერი არ გამოვა. სანამ მთელი ძალ-ღონე მიმართულია ერთ მხრისკენ, რჩებიან ხელშეუხებელნი ცხოვრების ყველა სხვა მხარეები, და ეს მხარეები თავისი დაწოლით თუ ინერციით, ნეიტრალიზაციას უშვებიან პირველის მიერ მოტანილ სარგებლობას.

მხოლოდ სულით გლახაკთ შეუძლიათ უარპყონ ხალხთან დაახლოების სარგებლიანობა. საფრანგეთში, ნაპოლეონ III-ის დროს ჩვენ ვნახეთ თუ რას ნიშნავს ხალხის განუფითარებელ მდგომარეობაში დატოვება, და რა რიგ მძიმე ტვირთად დააწვა იქ მასსა განათლებულ უმცირესობას, რომელმაც მიაღწია გონებრივი განვითარების უმაღლეს ხარისხს, როგორისათვისაც კი მიუღწევია დღემდე რომელიმე საზოგადოებას, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ ყველაფერი სხვა მიქარვია, არ შეიძლება. ყოველ პირველ შეხვედრილ კაცს კი არ შეუძლია განავითაროს გლეხები, მოახდინოს მასზე ჰავლენა. რომ იმოქმედოთ იმათ ტვირზე, რომ დაიმსახუროთ მათი ნდობა, საჭიროა ცოდნა თუ როგორ მოუტანო მათ პრაქტიკული სარგებლობა; ამისთვის კი საჭიროა ბევრი რამის ცოდნა, უნდა შეიარაღებული იყო მეცნიერებით, ბუნებრივი ნიჭით ზე პრაქტიკული ცოდნით. ნახევრად-განათლებულები, სწავლა-ნაკლული ხალხი, რომელნიც მიდიან გლეხებთან, მხოლოდ ძირს უთხრიან მეცნიერებისა და განათლებისადმი ნდობას გლეხის თავში, მხოლოდ საბოლოოთ არწმუნებენ მას, რომ არააიდან და არავისგან არაა მოსალოდნელი მისი ბედის გაუმჯობესება.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში არის ისეთი საპასუხისმგებლო საქმეები, რომელთა თავის თავზე აღების უფლება ყველას არა აქვს. პირადი მზათყოვნა, რომ კაცმა შესწიროს თავისი კეთილდღეობა და გამოეთხოვოს ყველაფერს, რაც ადამიანის გულისათვის ძვირფასია, არაა საკმარისი საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დაშვებულ მსხვილი შეცდომების გამოსაყიდათ. ვგრძნობ რა, უღრმეს პიტივესცემას ასეთ პირად მსხვერპლთადმი, მე მხოლოდ მწუხარებას გამოვსთქვამ, რომ ისინი არა თუ მხოლოდ ტყუილათ იკარგებიან, არა თუ არ მოაქვთ ის სარგებლობა, რომელსაც მისგან გამოვლიან ადამიანები, არამედ ზიანსაც აყენებენ საქმის საერთო მსვლელობას, რომელიც ზოითხოვს მოსაზრებულ და სერიოზულ გაძლოლას, და უფრო მრავალ მხრივ, უფრო საერთო მომზადებას...

ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი კეთილდღეობა შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ ერთდროულ და მრავალმხრივ განვიდარებით ყველა იმ ელემენტებისა, რომელთაგანაც შესდგება ხალხის ცხოვრება. საზოგადოების ყველა ფენებს, ყველა წრეებს და ყველა ძალებს ესაჭიროებათ გაქანება და განვიდარება. ამისათვის საკმარისი არაა მთავარი ფრაზები; საჭიროა ცოდნა, საჭიროა ნებისყოფა და ბეჯითი, გამუდმებული შრომა ბევრისაგან-ბევრ ცალკე პიროვნებათა. სანამ ეს პიროვნებები არ ამალდებიან მრავალმხრივი მოღვაწეობის აუცილებლობის შეგნებამდე, სანამ ისინი ვერ ისწავლიან თავიანთი ღონისძიებანი და ეკონომიურად გამოიყენონ თავისი ძალები, სანამ ისინი არ შეიარაღდებიან მეცნიერებითა და ენერჯით, მათი ღონისძიება იქნება ფუჭი და უნაყოფო, ყველა მათი ძალები და ყველა მათი კეთილი ნება-სურვილები მოიქანცებიან ცალკე პიროვნებათა სიზიფის შრომით, და გაისრისებიან ან მასების განუფითარებლობით, ან მტრულ მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი ძალთა ზეგავლენით. მაშასადამე, გასაგებია თუ როგორი მწუხარე გრძნობით უნდა ვუცქეროდეთ, რომ ჩვენი საზოგადოების უკეთესი ძალები, გაუგებრობის გამო, იღუპებიან ასეთ უნაყოფო მუშაობაში.

მე სავსებით დამაიწყდა ბ. ქართველოვის ბროშურა, მაგრამ მისთვის მეტის-მეტად დიდია ის პატივისცემა, რომ მის გამო მოგვიხდეს ლაპარაკი ასეთ საგანზე.

სოციალური მოძრაობანი

სახალხო განათლების მინისტრის ცირკულიარი, რომელიც მიმართული იყო რევოლუციონურ-სოციალურ ცრუმოდღვრებათა წინააღმდეგ, უკვე იწყებს თავის მოქმედების გამოჩენას. როგორც ვიცით, მისი მიზანი იყო გამოეწვია ჩვენს საზოგადოებაში აქტიური წინააღმდეგობა იმ მოძღვრების მიმართ, რომელიც „იმდენად ველური და შეუსაბამოა, რომ მათ შეუძლიათ წარმატება მოიპოონ მხოლოდ ბავშებსა, აწავლა მოკლებულ ახალგაზდებსა და გაუნათლებელ მდაბიო ხალხს შორის“.

ჩვენმა ჟურნალისტიკამ დაესწრაფა გამოხმაურებოდა მინისტრის მოწოდებას. რევოლუციონური პროპაგანდისა და მისი ნეიტრალიზაციისათვის მისაღებ ზომების (საკითხს უძღვნიან უკანასკნელ დროს ფელეტონებსა და წერილებს სატახტო გაზეთები⁵⁴). „გოლოსმა“, რომელიც არ დაკმაყოფილდა სამი დაუსრულებელი სტატიით ვიღაც ეგვ. მარკოვისა — რომელიც წარსულსა ჟამსა! პროპაგანდას ეწეოდა დიდტანიან ჟურნალებში, შვეიცარიის სასახლო რესპუბლიკანელების შესახებ, და ესლა კი ჯვაროსნულ ომს უცხადებს იმათ მიმბაძველებს — დაბეჭდა ამ ხანებში ორი სარედაქციო სტატია ისეთივე სიდიდისა და იმავე საგანზე. ამავე საკითხისადმი არის მიძღვნილი „ნოვოე ვრემია“-ში ორი ვრცელი წერილი, ერთი ფრიად პატივცემული სანკტპეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, რომელიც პუბლიცისტობს „ეკს“-ის ზარადს ამოფარებული. მოლაქიავე მოქალაქემ გაბედა ხმა შეეწყო „ბატონთათვის“. თვით „ვესტნიკ ევროპი“-მ საჭიროდ მიიჩნია მოეწყვიტა თავისი ყურადღება „ახალ კელტურ და პროგონსალურ მოძრაობიდან საფრანგეთში“ და „რომაელების კონსერვატიზმიდან“, რათა ის მიემართა იმ მიზეზთა საკითხების მიმართ, რომლებმაც ხელი შეუწყვეს „ანტი-საზოგადოებრივ მოძღვრებათა“ განვითარებას. ერთი სიტყვით, ჟურნალისტიკაში ეს საკითხი გადაიქცა „დღის მორიგ საკითხად“. რაც შეეხება მკითხველ საზოგადოებას, ისინი, როგორც ჩვენ გვწერენ პეტერბურგოდან, ხარბათ ეწაფებიან ყველა ამ სტატიებს და გაცხარებით მსჯელობენ იმათ ღირსებებსა და ნაკლზე.

ასეთი ხასიათის საკითხები, არსებითად, არ შედიან პროვინციალურ პუბლიცისტის ამოცანებში. თუმცა წარსულ დროში მე — ცოდვილი კაცი — გატაცებით ვსწავლობდი საზოგადოებრივ მეცნიერებას და ვვოცნებობდი კიდევ — როგორც ყველა „დამწყები“ სწავლული — მის „გარდაქმნაზე“, მე ესლა კრინტსაც არ დავსძრავდი ამ საგანზე. ლაპარაკი საკითხზე, რომლის შესახებაც მსჯელობა თავისი ბუნებით არ შეიძლება არ იყოს ცალმხრივი და ზერელე, საერთოდ ყოველთვის უხერხულია. მაგრამ ხედავდე, რომ ხალხი, რომელთაც სრულებით არაფერი არ გაეგებათ საზოგადოებრივ მეცნიერებაში, აყენებენ საზოგადოებრიობის საკითხებს და აყენებენ მათ თავდაყირა, ან თავუკულმა, და სდუმდე ასეთი შეცდომების დანახვის დროს, ნება თქვენია, ეს კიდევ უფრო უხერხულია. აი ამიტომ, ვამჩნევ რა, რომ ჭკვიანები და სულელები, მცოდნენი და უციენი, სატახტო ქალაქის გამოცემათა პუბლიცისტები ერთნაირად აყენებენ ამ საკითხს შემცდარ ნიადაგზე, მე ვემორჩილები ცდუნებას და, ჩემი მხრივ, ვბედავ დავილაპარაკო ამ საქმეზე.

საკითხი მდგომარეობს შემდეგში.

დღემდე ჯერ კიდევ არ არის ქვეყნიერებაზე არც ერთი ხალხი, რომლის საზოგადოებრივი წყობილება შეიძლებოდა ჩაგვეთვალა დამაკმაყოფილებლად. ყველა ხალხზე უფრო განათლებულები და ბედნიერები: ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები — რომ არ ვილაპარაკოთ სხვებზე — განიცდიან საზოგადოებრივ და ეკონომიურ ურთიერთობის არე-დარევას. ისინი აღიარებენ, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობა არ უნდა იქნეს სამუდამო, რომ საჭიროა სწრაფვა უფრო სამართლიან წყობილებისაკენ, საზოგადოებრივ ვალდებულებათა და უფლებათა უკეთეს განაწილებისაკენ. უკმაყოფილება დღევანდელი წყობილებით, სწრაფვა რათა ადამიანთა ურთიერთობაში დამყარდეს „საზოგადოებრივი ჰარმონია“, დამახასიათებელია ყველა ხალხთათვის. პოლიტიკური ფორმები და მისწრაფებანი აქ არაფერ შუაშია: როიალისტური ინგლისი, რესპუბლიკანური საფრანგეთი, იმპერიალისტური გერმანია და ფედერალისტური ამერიკა სავსებით ერთნაირად არიან დაავადებულნი ამ „მომავლის ავადმყოფობით“. დაავადების ხარისხი, ავადმყოფობის ფორმები იმდენათ არიან დამოკიდებულნი პოლიტიკური მართვლობის ფორმებისაგან, რამდენათაც ეკონომიური მდგომარეობის პირობებისაგან. მხოლოდ აქიმობის ღონისძიებანი და კრიზისების ძალა პირდაპირ დამოკიდებულია ქვეყნის წმინდა-პოლიტიკურ წყობილებაზე...

თავის თავად იგულისხმება, რომ ხალხში ასეთ მოთხოვნილებათა, მისწრაფებათა უკმაყოფილებათა და სხვ. არსებობას არ შეეძლო არ მიეპყრო განათლებულ ადამიანთა ყურადღება. ასეთ ადამიანთა ორმა კათეგორიამ განსაკუთრებით სპეციალურად მოკიდა ხელი ამ საქმეს. პირველ კათეგორიას წარმოადგენენ ის ადამიანები, რომელნიც კეთილ სინდისიერად და გულწრფელად თავდადებულნი არიან მეცნიერებისათვის, გულწრფელად თანაუგრძნობენ მასების ტანჯვას, ეძიებენ ძირითად მიზეზებს ამ ტანჯვათა და გონიერ საშუალებებს იმათ დასაძლევათ. მეორე კათეგორია უმთავრესად შესდგებოდა ისეთ ადამიანთაგან, რომელნიც აძლიერებდენ ხალხის უკმაყოფილების ექსპლოატაციას, რომელნიც სცილილობდენ გამოეყენებით ხალხთა მისწრაფებანი და ძალები თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის, ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება გაურკვეველი უკმაყოფილების წაქეზებისა და მასის ინსტიტუტურ სწრაფვათა გაღვივების გზით. პირველ კათეგორიას ეკუთვნიან ბენტამისა და ფურიეს⁵⁵ მსგავსი მოაზროვნენი და მეცნიერნი. მეორეს — ხალხთა მისწრაფებების ექსპლოატატორები, იმნაირები როგორიც იყო ნაპოლეონ III-მე⁵⁶.

შევხვით ამ საკითხის მეორე მხარეს. ყოველი მეცნიერება, ყოველი მოძღვრება და ყოველი მოქმედება ყოველთვის და ყოველგან იყოფა ორ შემადგენელ ნაწილად. კრიტიკა და დარღვევა საზოგადოებრივ — შეხედულებათა და იდეების, კრიტიკული განხილვა ამა თუ იმ წყობილების, გამოაშკარავება მისი ნაკლისა და მავნე მხარეების, მითითება არსებულ ურთიერთობის არადაამკმაყოფილებლობაზე — წარმოადგენს უარყოფითს „გამაუქმებელ მხარეს“. დადებითი მხარე ყოველი საკითხისა და მოძღვრების მდგომარეობს იმ მიზეზთა და მდგომარეობათა ანალიზში, რომელნიც ჰქმნიან ამა თუ იმ წყობილებას, აგრეთვე შესწავლაში იმ ზომებისა და პრაქტიკული გზებისა, რის საშუალებითაც შესაძლებელია სიბოროტის დაძლევა. და უკანასკნელად, განსაკუთრებით, ისეთ წყობილებისა და დაწესებულებების გამოგონებაში, რომელთაც წარმატებით შეუძლიან შესცვალონ არსებული მდგომარეობა. თვით ლონისძიებანი ამ „შეცვლისა“, გზები გარდაქინისა და გაუმჯობესების და სხვ. საზოგადოებათ მეცნიერებაში წარმოადგენენ მხოლოდ მესამეხარისხოვან დეტალებს. ყველა ეს „შეფარდებითი“ საკითხები იცვლებიან ხალხის ტემპერამენტის მიხედვით, მისი წარსული ცხოვრების მიმდინარეობისა და შემთხვევათა ან გარემოებათა ხასიათის მიხედვით, რომელთაც შეუძლიათ ითამაშონ როლი, ამა თუ იმ მომენტში, მისი ბედის საკითხში...

კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ თუნდაც ოდნავათ სერიოზული ცვლილება სალხის ბედისა (მე ვლასპარაკობ, რა თქმა უნდა, არა ომებზე, არამედ მხოლოდ საზოგადოებრივი გარემოების შეცვლის შესახებ) მომხდარიყოს. მხოლოდ კრიტიკული ძალით, უარყოფითი მხარით ახალი მოძღვრებისა ანუ პროპაგანდით. ისეთმა მეცნიერებმა, როგორც იყვნენ პლატონი⁵⁷ და სოკრატი⁵⁸, გააკრიტიკეს ჟუკანასკნელ ზომამდე ძველი ქვეყნის საზოგადოებრივი და სულიერი წყობილება, მაგრამ იმათ არ შეურყევიათ ეს ქვეყანა, იმათ არ შეუცვლიათ კაცობრიობის ბედი. საჭირო იყო მთელი „დადებითი“, „აღმშენებლობითი“ მხარე ქრისტეს მოძღვრებისა, იმისთვის, რომ ხალხებს შეეცვალად თავიანთი შინაგანი და საზოგადოებრივი ცხოვრების წესები. ჩვეულებრივ მიღებულია მითითება საფრანგეთის დიდი რევოლუციის მაგალითზე (ვინაიდან სხვა შესაფერი მაგალითი არ მოიპოება), მაგრამ სანამ დაიწყებოდა ეს რევოლუცია, სანამ დაეცემოდა ბასტილია, მთელი საუკუნე შეეწირა არა მარტო „წინანდელი წესწყობილების“ დაუზოგველ კრიტიკას, არამედ სერიოზულ მუშაობას იმ ახალი წესწყობილების შექმნისათვის, რომელსაც უნდა განეახლებია საფრანგეთის ხალხის ცხოვრება. საჭიროა ბოლოს და ბოლოს გაგება, რომ საფრანგეთის რევოლუცია დიდია არა სისხლის რიცხვით, რომელიც ცოტათ თუ ბევრად უსაფუძვლოთ იქნა დაღვრილი მის მიერ, არა ომებით და გამარჯვებებით, არა ბრბოს გაშმაგებით, არამედ იმ „კოდექსებით“, რომლებმაც არსებითად შესცვალეს საფრანგეთის ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური ყოფა. და ამ კოდექსებში — რომელნიც ეხლა მიღებულია მთელი ევროპის მიერ — არ არის არც ერთი პწკარი, არც ერთი სტატია, რომელიც რევოლუციამდე ნასევარი საუკუნით ადრე არ ყოფილიყოს მოფიჭებული და დამტკიცებული მეცნიერების ან ლიტერატურის მიერ. ადამიანებისათვის, რომელთაც ესმისთ ისტორიის შინაგანი მხარე, დიდი ხანია ნათელია, რომ საფრანგეთის რევოლუცია შექმნეს არა ბარიკადებმა, არა ვერსალის სასახლის აღებამ, არამედ ის შექმნილი იყო ბევრად უფრო ადრე, როცა მონტესკიემ⁵⁹, ენციკლოპედისტებმა⁶⁰, ვოლტერმა⁶¹, რუსსომ⁶² და სხვ. გამოხატეს თავიანთი თხზულებებში, დაწვრილებით, მთელი ის წესწყობა, რომელსაც უნდა შეეცვალა ძველი არევ-დარევა და რომელიც განხორციელდა კონვენტის „კოდექსებით“. მხოლოდ მაშინ, როცა გამოვონებული იქმნა თეორეტიულად მთელი ახალი წყობილება საზოგადოებრივ ურთიერთობისა, შესაძლებელი გახდა საზოგადოებისა და ხალხის

გატაცება, რათა შეცვლილიყო წინანდელი ცხოვრების წესწყობილება.

უმთავრესი საკმე სწორედ ის იყო, რომ მოევონებიათ ეს ახალი წყობილება, დაემტკიცებიათ ხელშესახებათ, რომ მას წარმატებით შეუძლია შესცვალოს ძველი წყობილება. ძველი ყოფა-ცხოვრების ახალით „შეცვლის“ განხორციელება კი ისე დიდ საკმეს არ წარმოადგენდა. საფრანგეთში ის მოხდა ძალდატანებითი წესით, მაგრამ შესაძლო იყო მომხდარიყო, თუმცა უფრო გვიან, სრულიად მშვიდობიანი გზით. რაკი მოგონებულია ახალი წყობილება, ძველმა ყოველ მიზეზს გარეშე, ადრე თუ გვიან უნდა დაუთმოს მას ადგილი. ძალდატანებით თუ მშვიდობიანი გზით, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ასე თუ ისე, ადრე თუ გვიან, ეს შეცვლა აუცილებელია, როგორც სიკვდილი.

ყველაფერი, რაც ზევით ვთქვი, ისევე უქვევლია, როგორც აქსიომა, რომ ორჯერ ორი ოთხია. მაგრამ ჩემი აზრი უფრო რელიეფურად გამოითქმება მეტაფორული ფორმით. აიღეთ რომელიც გინდათ ლატაკი, და დაუწყეთ მას მტკიცება თუნდ მთელ წელიწადს, რომ მისი ფარღალა ფაცხა ვერ უძღვებს ვერავითარ არქიტექტურულ და პივიენურ კრიტიკას. ვერავითარი არგუმენტებით ქვეყნიერობაზე თქვენ მას ვერ დაუმტკიცებთ, რომ უნდა მიატოვოს ფაცხა და იცხოვროს ღია ცის ქვეშ. მაგრამ აჩვენეთ თქვენ იმავე ლატაკს შესაძლებლობა ააშენოს უკეთესი ქოხი იმავე ელემენტებიდან, რომელიც მას მოეპოება, დაუმტკიცეთ მას, რომ ეს შესაძლებელია და სასარგებლოა, აუხსენით მას, როგორ ააშენოს და რა გააკეთოს და ის იმავე წამს გაგიგებს თქვენ. მაგრამ მაშინაც კი ის არ დაანგრევს თავის ფაცხას, თუ ის გიჟი არაა — და გიჟები კი ამ ქვეყნად ისევე ცოტანი არიან, როგორც გენიოსები. ის ჯერ გაიშენებს ახალ სახლს და შემდეგ თუ ძველი ფაცხა მას აღარ გამოადგება ან საქონლისათვის ან ხარა-ხურისათვის, ის დაანგრევს და მას გამოიყენებს თავისი ახალი სახლის სათბობ მასალად. ეს ტრივიალური მაგალითი წარმოადგენს ყველა საზოგადოებრივ ცვლილებათა ფილოსოფიას, გამოუკლისად.

ყველა მოძრაობანი, რომელნიც აგებულნი იქნებიან არა ამ „აღმშენებლობითი“ ანუ დადებითი მხარეზე საქმისა, არამედ უარყოფით მხარეზე და დაეყრდნობიან არა გარკვეულ აზრს — თუნდაც მასის ინტელიგენტური ნაწილისათვის — მომავალი წესწყობილების შესახებ, არამედ მათი დასაყრდნობი იქნება არსებული უკმაყოფილება ხალხისა, საბედისწეროთ განწირულნი არიან და მათი დამარ-

ცხება უეჭველია. ცხადია აქ საკითხი არაა ფორმაზე. შესაძლებელია წარმატებით დამთავრდეს, როგორც მკაცრი, უეცარი, ისე მშვიდობიანი ცვლილებებიც, თუ ისინი აგებული იქნებიან მისწრაფების დადებით მხარეზე. მაგრამ შეუძლებელია როგორც მკაცრი, უეცარი, ისე მშვიდობიანი ცვლილებების წარმატება, თუ ისინი დაყრდნობილი იქნებიან მხოლოდ არსებული წესწყობილებით დაუკმაყოფილებლობის შეგნებაზე. ეს არის თანამედროვე ისტორიის ფილოსოფიის კანონი, ეს არის დასკვნა თანამედროვე მეცნიერებისა, და, რასაკვირველია, ვერც ბრბო, ვერც ძალა, ვერც მთავრობები და ვერც საზოგადოებანი ვერ შეცვლიან ასე თუ ისე კაცობრიობის მსოფლიო კანონს.

დავუბრუნდეთ ეხლა ჩვენს საკითხს. შევჩერდეთ — მაგალითისათვის — ევროპის ორ უფრო მეტად ცივილიზაციურ მხარის, საზოგადოებრივ მისწრაფებათა შედარებაზე, საფრანგეთში და ინგლისში. ვნახოთ, რანაირად ხდება პროგრესი საფრანგეთისა და ინგლისის ხალხის საზოგადოებრივ განვითარებაში.

საფრანგეთში ყველა ერთმანეთისაგან დიდათ განსხვავებული ხელისუფლებათა სისტემები, რომელნიც ერთმანეთს სცვლიდნენ მიმდინარე საუკუნის განმავლობაში, ყოველთვის და ერთნაირად ატარებდნენ ერთდანიმავე პოლიტიკას. ლიუდოვიკ XVIII, კარლ X, ლუი-ფილიპი, 1848 წ. რესპუბლიკა, ნაპოლეონ III, 1870 წ. რესპუბლიკა, ყველანი ერთნაირად ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელია ხელი შეუშალო მასის განვითარებას და მის მიერ ადამიანური უფლებების მოპოებას ცხოვრებაში. ისინი ყველანი სცდილობდნენ ჩაეხშოთ უკეთესისადმი მისწრაფება და ხელი შეეშალათ ხალხის თვითშეგნების გამომჟღავნებისათვის. ისინი მოაზროვნეებს, რომელნიც სწავლობდნენ და არკვევდნენ საზოგადოებრიობის საკითხებს, პირზე ადებდნენ სიჩუმის ბეჭედს. იმათ, ვინც დაილაპარაკებდა ხალხის მიძიმე მდგომარეობის შესახებ, უსჯიდნენ ციხეს, გადასახლებას და ყოველნაირად სდევნიდნენ. ადამიანთა საზოგადოების შესახებ მეცნიერების ყოველმხრივ განვითარებას, მის ცდას, რომ შეეცვალა ოდნავად, სანიმუშოთ, მასის თანამედროვე მდგომარეობა, წინ ეღობებოდა ყოველგვარი დაბრკოლებანი და სიძნელები. შევიწროებული იყო არა მხოლოდ მეცნიერება და ლიტერატურა ამ საგნის შესახებ, არამედ თვით უბრალო ასოციაციების ცდასაც კი, ინტერესთა და ღონისძიებათა შეერთებას, — უტყქროდნენ როგორც სახელმწიფოებრივ დანაშაულს და ახშობდნენ მათ. ამის გამო საფრანგეთში განსაკუთრებით გაძლიერდა ახალი მიმართულების ის ნაწილი, რომელიც ემყარება

უმთავრესად საქმის უარყოფით მხარეზე. მისწრაფება, რათა დაინგრეს მთელი თანამედროვე წყობილება, მისი ცუდი და კარგი მხარის დაუზოგველად, — შეიქმნა გაბატონებულ სოციალური სკოლის ლოზუნგი. იმ ხალხთა ხმა, რომელნიც ქადაგებდნენ საქმის უფრო საფუძვლიანათ შესწავლას, მისდამი უფრო დაკვირვებულ და ღრმა დამოკიდებულებას, დაფარული იყო ამოძახილებით: „რა დროს ბრძობაა? ვანა ვერ ხედავთ, არ გვაძლევენ საშვალებას ან წავიკითხოთ, ან ვსწეროთ, ან ვიფიქროთ? პირველად საქიროა დავანვიროთ ეს დასაკრებლები და შემდეგ უკვე შეეუდგეთ სისტემების აშენებას, საკითხების შესწავლას“. აი რატომ არის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის თანამედროვე სკოლა ფრანგ პროპაგანდისტებისა ატარებს მხოლოდ დანგრევეთი ხასიათს, აი რატომ არის რომ საფრანგეთის ცხოვრება მიმდინარეობს ნახტომებით და აფეთქებებით, სისხლის ღვრით და სხვ. საშინელებით.

სრულიად საწინააღმდეგო სურათს გვაძლევს ჩვენ იმავე საქმის განვითარება მონარქისტულ ინგლისში. იქ ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ სრულ თავისუფლებას ამ საკითხის მეცნიერულ და ჟურნალისტურ დამუშავებაში, არამედ ამასთან ერთად იქ არის სრული თავისუფლება კრებების, ასოციაციების, ინტერესთა შეჯახების, პეტიციების და სხვ. რამდენადაც საკვირველ ხარისხამდე შეიძლება აღწევდეს ეს თავისუფლება, ჩვენ დაგვანახებს შემდეგი მაგალითი.

სამი წლის წინად სამიწადმოქმედო მუშების (რომელნიც მუშაობენ ფერმერებთან) მდგომარეობა იყო აუტანელათ მძიმე. ყოველგან გაისმოდა ჩივილი მათი ექსპლოატაციის შესახებ და მდგომარეობა იყო იმდენად გამოუვალი, რომ ყველა სხვა ქვეყანაში ის გადაიქცეოდა უთუოდ რევოლუციონურ აფეთქებათ. მაგრამ გამოჩნდა უბრალო კაცი, უსწავლელი მიწის მუშა არჩ⁶³ — რომელმაც მოაწყო თავისი მუშა-ამხანაგების მიტინგი და უთხრა მათ: „ქალაქის მუშები იყვნენ წინად უფრო ცუდ მდგომარეობაში, ვინემ ჩვენ ვართ; მაგრამ იმათ შემოიღეს ასოციაციები და სხვა ამხანაგობანი და ესლამათი მდგომარეობა ათასჯერ უმჯობესია ჩვენსაზე. იმათ დაამყარეს და ამყარებენ თავიანთ პატრონებთან უფრო სამართლიან დამოკიდებულებას, ვინემ წინად. ბევრ ადგილას იმათ უკვე შეიძინეს ქარხნები და ფაბრიკები, რომლებითაც ისინი სარგებლობენ საუკეთესოდ. ვსინჯოდ, ჩვენც მივბაძოთ მათ მაგალითს. მოვაწყოთ ამხანაგობა, შევიტანოთ მასში რამდენიმე პენსი კვირაში, და როცა მოგროვდება საგრძნობი თანხა, გავაჩალოთ ბრძოლა ფერმერებთან. ისინი იძულებული იქნებიან დაგვითმონ, ჩვენც ცოტა შევკვეცოდ

მოთხოვნილებები, და თანდათანობით ჩვენც შევქმნით ადამიანურ დამოკიდებულებას დაქირავებულთა და დამქირავებელთა შორის“. სთქვეს და გააკეთეს, და წელს არჩის მიერ მოწყობილ ამხანაგობაში ითვლებოდა სამასი ათასი წევრი. მან ბევრჯერ გაიმარჯვა ფერმერებთან ბრძოლაში და ბევრი შილინგით ასწია მუშათა კვირეული შრომის ხელფასი. მალე ის შეიძენს თავის ფერმებს და, თანდათანობით, შესაძლოა, მთელი ინგლისის აგრარული საკითხი გადასწვიტონ მათ ყოველგვარი არეულობისა და აფეთქებების გარეშე.

ამ ორი მაგალითიდან დასკვნის გამოყვანა ძნელი არაა, ხალხის ცხოვრება ყველგან გვიჩვენებს არადაამაკმაყოფილებელ მხარეებს. მათი დამალვა შეუძლებელია. ხალხი ყველგან ისწრაფვის უკეთესი მდგომარეობისაკენ. ამ მისწრაფების შეკავებაც ისევე შეუძლებელია. მაშასადამე, საჭიროა ცხოვრების ამ მხარეებსაც და ამ მისწრაფებებსაც მიეცეს ფართე და კანონიერი გამოსავალი. ყველაფერი ეს უნდა შესწავლილ იქნას ყურადღებით, კანონიერი მისწრაფებანი და მოთხოვნებიანი საჭიროა დაკმაყოფილებულ იქნას შესაძლებლობის დაგვარად, გაუმჯობესების ცდებს უნდა მიეცეს გასაქანი, ერთი სიტყვით, ნდობა უნდა გამოეცხადოს ხალხის გონივრულ აზრს და ინტელიგენციის პატიოსან ძალებს. მაშინ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, სულელური ბოდვები სწავლა-ნაკლებ ხალხისა აღარავის მოხიბლავს. ყველანი დაინახავენ, რა არის ნამდვილად სერიოზული და მართალი ამ ბოდვებში და რა არის სულელური და უაზრო. მაშინ ხალხის უბედურებათა და მისწრაფებათა ექსპლოატატორები, ისეთები, როგორიც იყო ნაპოლეონ III-მე და სხვ. ვერ შესძლებენ გაიტაცონ ხალხი ისეთი ლაყობით მის ტანჯვაზე. ყველაფერს, რასაც დაკარგავენ მაშინ ასეთი ექსპლოატატორები, შეიძენენ მხოლოდ სოციალური საკითხების კეთილსინდისიერი მკვლევარები, მეცნიერები და ხალხის ცხოვრების პრაქტიკულად გაუმჯობესებისათვის მოღვაწენი.

რეზიუმეს ვუკეთებთ მთელ ნალაპარაკვეს ერთი გამოთქმით: საზოგადოებრივ მისწრაფებებს არ აქვთ, არსებითად, პოლიტიკური სარჩული. ჩვენი დროის სოციალური მოძრაობანი მხოლოდ მაშინ იქცევიან პოლიტიკურ გადატრიალებებათ, როცა ქვეყნის პოლიტიკური ძალები გადასწყვეტენ წინააღმდეგ მას, — ამის დამამტკიცებელ საბუთებს წარმოადგენენ დასავლეთ ევროპის სოციალური ისტორიის მოვლენები.

ს ა ლ ა მ ი

ჩემო მკითხველო, ჩემო ძველო და ძვირფასო მეგობარო. ძლივს არ მეღირსა შენთან ხელ-ახლავ შეყრა, შენთან საუბრის გაზარტვა და მუსაიფი! ერთი დრო იყო, როცა ჩვენ ერთმანეთს ვსცნობდით, როცა ერთმანეთი გვიყვარდა, როცა ჩვენ ხშირათ, თითქმის შეუწყვეტლათ ვმუსაიფობდით. ის დრო ვაპქრა დიდიხანია. ორ წელიწადზე მეტია აგერ, რაც ჩვენ ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. რომ იცოდე რა დაუბოლოებელ საუკუნეთ მიმაჩნდა მე თითოეული დღე ამ ორი წლისა⁶⁴!..

ეხლა როცა ჩვენი უმძრახობა თავდება, როცა ჩვენ ხელ-ახლავ საუბარს ვმართავთ, ისევ უწინდლურად ვიცნობთ ერთმანეთს, თუ არა, ისევ გვიყვარს ერთი-მეორე, თუ ჩვენს შორის ის ძაფები დაწყდენ რომელიც უწინ ჩვენს გულებს აერთებდენ? ისევ უწინდელური ჩემი კეთილი და ძვირფასი მკითხველი ხარ შენ, თუ სხვა, გარეშე პირი, რომელიც არც მე მიცნობს, არც ჩემს აზრებს ეთანხმება არც ჩემი გულის წადილი სწამს? ვინ იცის, ვინ ამიხსნის ამას?

ბევრი რამეა ქვეყანაზე ძნელი და მოუთმენელი; მაგრამ ყველაზე უძნელესი, ჩემო მკითხველო, დამიჯერე, ის არის, როცა კაცს სათქმელი აქვს, და თქმა კი არ შეუძლია. როცა ის ხედავს, რომ მისი საყვარელი პირი შემცდარი ან უნუგეშოა, როცა იმას ჰგონია, რომ თავისი სიტყვით იმას ცოტათი მაინც შეუძლია ან შეცდომის გასწორება, ან იმედისა და ნუგეშის მოგვრა, და როცა ამასთანავე ის იძულებულია გაჩუმდეს, გულ-ხელი დაიკრიფოს და სხვების მოქმედებას შორიდან ხმა ამოუღებლათ უყუროს... ამაზე უფრო მწარე, შემაწუხებელი და აუტანელი უბედურება, ღმერთმანი, ჯოჯოხეთშიაც არ გამოუგონია მზაკვარე მაწვალებელს. აი სწორეთ ეს უბედურება მადგა მე თავზე ამ ორდ წლის განმავლობაში.

მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, მე ერთი წადილის მეტი არ მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, ავით. თუ კარგათ, როგორც შემეძლო, როგორც ტკუა მიჭრიდა. მე შენ მიყვარდი როგორც ჩვენი ქვეყნის კაცი, ჩემი თანა-მემამულე და ძმა.

როგორც ისეთი პირი, რომლის ბედი და უბედობა, რომლის ავი და კარგი, ჩემი პირადი-ბედი და უბედობა, ჩემი საკუთარი ავი და კარგი მეგონა. მე დამივლია მთელი ევროპა, და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საზანი მქონია: შენტვის დამზადება, შენტვის სამსახური, შენი სარგებლობა. არც საფრანგეთის ამლევებელ და აღმტაცებელ ცხოვრებას, არც პეტერბურლის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის შშვენეირებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას არასოდეს, არც ერთი წამის განმავლობაში, არ მოუხიბლავს ჩემი გრძნობა და გული, არ შეუტდენივარ და არ მიუხილავარ, — თუმცა ახალგაზდა კაცის გულზე გვარიანი გავლენა აქვს იქაური დიდი სახელის და დიდი გავლენის იმედს... იმის მაგიერ, რომ იქაურს ცხოვრებას მივებირე და სხვებსავეთ დამევიწყა ჩვენი ერთი ნამცეცა ქვეყანა, ჩვენი ყველასგან უცნობი ხალხი, მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგომე, სადაც კი ყოფილიყო შენტვის ცოტა ოდენი სარგებლობა მაინც მომეტანა. მე იმ პირებს არ ვეკუთვნი, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ შენტვის სარგებლობის მოტანა მარტო შენს საკუთარ ენაზე შეიძლება, მარტო შენს საკუთარ სახლში, შენტან ჯდომით და ლაპარაკით, როგორც ოდესმე ფარისევლები ამტკიცებდენ, ვითომც ღმერთი მარტო იმ ლოცვას მიიღებს, რომელიც იერუსალიმის ტაძარში ებრაულ ენაზე წარმოითქმის, და როგორც მაშინ მაცხოვარმა განმარტა, რომ ლოცვა ყველგან მიიღების, სადაც კი წრფელი გულით გამოითქმის, სამარიაში იყოს გინდ იუდეიაში, ებრაულ ენაზე იყოს, გინდ ქალდეურზე. და მეც ასე მიმაჩნია, რომ ქართულ ენაზე გემსახუროს შენ კაცმა, გინდ თათრულზე, ოღონდ კი შენი უფლებები დაიცვას, შენი მდგომარეობა გააუმჯობესოს, შენი ძალა აღადგინოს და შენს მტერს მეხი დასცეს, სულ ერთია. ამ აზრით მე სხვაგან და ჩვენში, მწერალი და გაჩუმებული, ნიადაგ შენი ერთ-გული, და შენი მსახური ვიყავი...

რას ველოდი, ვითომ მე შენგან, ჩემო ძვირფასო მეგობარო? განა შენ ჩემი გაკეთება შეგეძლო, ან ამაღლება, ან დაჯილდოება, ან გამდიდრება? ან შენ თითონ ვინა ხარ? შენ მე უბრალო ჩემ თანამემამულეთ მიმაჩნისხარ, რომელსაც არავითარი სიმდიდრე, გავლენა და ძალა არა აქვს, რომელიც წვალებით თავს ირჩენს და ღუმლით თავის ბედს ემორჩილება, ვინც ჩვენში დღეს ძლიერი, მდიდარია, რომელია, მითხარი, რომ შენთვის მე ის არ დამმდურებოდეს ან მტრათ არ გადამკიდებოდეს, იმისთვის რომ მათ დაბნე-

ულ და მდიდრულათ მოქიფე ცხოვრებაში მე შევდიოდი, რომ შენი მდგომარეობა, შენი უბედობა და განსაცდელი გამესენებინა, და მით მათი უგულ-ღვიძლობა შემერცხვინა?. ერთს კი ველოდი მე შენგან, და ეს ლოდინი ფუჭათ არ წამსვლია. მე ვიცოდი რომ, ჩემ ერთგულ სამსახურს შენ იქნება შენს დღეშიაც ვერ დაინახავდი, რომ, თუნდაც დაგენახა, შენ იმას მალე დაივიწყებდი, როცა გამწარებული მტრობა შენს წინ მე ცილის-წამებას და შეურაცყოფას დამიწყებდა. მაგრამ რა მენალელებოდა მე ეს ცილისწამება და შეურაცყოფა, რათ მიზნოდა მე შენი მადლიერობა ან დაუმაღლობა? მე ჩემს სინიდისს, ჩემს აზრსა, ჩემს რწმენას ვმსახურებდი და ეს ჩემთვის სრულებით საკმაო იყო.

მაგრამ ყოველივე სამსახურს და მსხვერპლს გონიერება სჭირია. როცა მე ყმაწვილი და ახალგაზრდა ვიყავ, მე ყოველთვის მრწამდა; რომ მოვა დრო. როცა შენ ბლომით გეყოლება ერთგული მსახურები, რომელნიც შენთვის თავს დადებენ, ოღონდ კი შენი ბედი და მდგომარეობა გააუმჯობესონ. მე ვხედავდი, რომ ამ ჟამათ ერთობ მცირედი იყო ამგვარი მსახურების რიცხვი, მაგრამ ვიმედობდი, რომ წლით-წლით ისინი გამრავლდებიან ახლების შექმნით. მაშინ მე მიმაჩნდა, რომ ამ მსახურების შეერთებას, მათ თავდადებულს შრომას, მათ შეერთებულ ღვაწლს ბევრი რამ შეეძლებოდა შენი სამსახურისთვის. მაგრამ წელიწადი წელიწადს გაჰყვა და თვეები თვეებს, და ამგვარი ახალი მსახურების მოსვლას მე ვერ მოვესწარი. სად არიან ისინი? რათ გეტოვებენ მარტოთ, რათ არ ებმიან ჩვენს საზოგადო უღელში, რომ ძალუმათ და შეუპოვრათ წავადგათ წინ ფეხი? იმის მაგიერ, რომ ჩვენ ამგვარი ახალი მსახურების მოსვლას ვღირსებოდით, მე ყოველ დღე ისეთი პირები მხვდებოდა, რომელნიც ან ვერ ემბებოდენ ჩვენ უღელში, ან ემბებოდენ შიგ დაუნდობლათ, გან-და-გან, თითქო ჩვენ მტრები ვყოფილიყავით, და არა ერთი და იმავე შრომის და საქმის წევრნი. როცა მე მტრათ ავიკიდე მთელი ძველი თაობა, განა ახალი ომი და ბრძოლა უნდა გამება ამ ახალ თაობასთანაც? ან რისთვის, ან რის გულისთვის, ვისი სახელით? განა საკადრისი იყო ან შენი, ან ჩემი, რომ პირადი სახელის და გავლენის დასაცავათ მე ფარ-ხმალი ამელო და შემემუსრა ის ყმაწვილ-კაცები, ვინც, იქნება, შენთვის ოდესმე გამოსადეგი შეიქნებოდენ? ვის გამოადგებოდა ეს შემუსვრა, ჩემს პიროვნების გარდა? და ღირდა ჩემი პიროვნების გულისთვის, ჩემი ნაწყენი თავ-მოყვარეობისთვის, იროდის დაემსგავსებოდი და ყმაწვილი თაობა ამომეულიტა?

მე ვიფიქრე, რომ, მე ეს არ უნდა მექნა, რადგანაც ერთი კერძო კაცის პიროვნება, ჩემის აზრით, გზას უნდა უთმობდეს საზოგადო სარგებლობას... მე ჩამოვდექი, ჩემთვის განზე გავდექი და გზა სხვებს დაულოცე, იმათ ვინც ასპარეზზე იმ დროშით გამოდიოდნენ, რომელზედაც შენი სამსახური და შენი აღდგინება ეწერა.

ან რათ ვვარგოდი მე შენთვის? მე თუ რამე მნიშვნელობა მქონდა საზოგადოებაში, უწინ მაინც, მე ის უნდა მქონოდა როგორც შენს მსახურს და წარმომადგენელს. მილიონ ნახევარი კაცია, ჩემო მკითხველო, ჩვენს ქვეყანაში სწორეთ იმისთანა, როგორც შენ თითონ ხარ. ამ ხალხს თავის კმუნვა და დარდი, თავისი შეწუხება და სურვილი აქვს, შეეკველია. ვინ არის მათის სურვილის და დარდების გამომთქმელი ქვეყნის წინაშე, თუ არა ჩვენ შენი მწერლები? ვინ სძრავს ჩვენს ქვეყანას შენი მდგომარეობის გამოსახვით, ვინ უდებს ლაგამს შენს მტარვალს, ვინ გიმონებს შენს მტერს, თუ არა ჩვენ, შენი მწერლები? და რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენს სიტყვას, ჩვენს ჩივილს ან კიჟინას, თუ კი თვითონ შენ და შენი მეგობრები — და არა მარტო შენი მტრები — უპირველეს თქვენს მოვალეობათ იმას სთვლით, რომ ჩვენ ფეხი მოგეტეხით, ჩვენი სახელი გასტეხით და ჩვენი გავლენა აღგაოთ? თუ კი თქვენ თითონ ჩვენ ხელ-ფეხს მოგვამტვრევთ, რალა გამოსადეგი ვიქნებით თქვენთვის?

აი ამ მდგომარეობაში, როგორც წელიწადი გითხარი, მე განზე გავდექი იმ უღლიდამ, რომელშიაც უწინ კარგათ თუ ავათ, მაგრამ თავდაუზოგველათ, სინდისიანათ და ერთგულად გავები და რომელსაც მაწევინებდა მარტო ერთი სურვილი შენი დახმარებისა და აღდგენისა. მაგრამ ეს არც ის განზე ვადგომა იყო, რომელსაც შენ დაგაჩვიეს სხვა შენმა ნაცნობებმა. მე რომ განზე გავდექი, განა ამით ან შენ დაგვიწყე; ან შენ გგმე, ან შენი მსახურები გავაუბატიურე და დავაუძლურე? არა, კერძოთ, ცალკე, მე ისევ შენ გამსახურებოდი, რუსულათ იყო თუ ქართულათ, ეს სულ ერთია ჩემთვის, და მგონი შენთვისაც... განზე გამდვარს, მე არც ის პირები დამივიწყნია, ვბნც შენ გამსახურებოდნენ, და რითაც კი შემეძლო მე მათ, წინააღმდეგობის მაგიერ, მხარს ვაძლევდი და შენს სამსახურს უადვილებდი...

ესლა, მე მითხრეს, რომ დროება შეიცვალაო, რომ ძველი რაც იყო იყოო, ისევ ძმურათ ვიშრომოთო, ისევ ერთს უღელში გავებათო, და მე დაუბრუნდი ჩემს საყვარელ „დროებას“, რომლისთვისაც, მას ჟამსა შინა, მრავალი ღამე გამითევია და დიდ-ძალი ზოფლი და-

მიღვრია. შე იგივე ვარ რაც ვიყავ უწინ, და იგივე ყოველთვის შე-
უცვლელათ ვიქნები, ჩემო მკითხველო... შენ კი რას ჰფიქრობ? შე-
გცვალა თუ არა დროებამ, აგიყარა თუ არა ჩემზე გული? ნუთუ
მე ხელ-ახლავ უნდა გაგაცნო ჩემი თავი და თავიდანვე დავიწყო
ჩვენი მეგობრობა? ნუ ინდომებ ამას ჩემგან, ჩემო ძვირფასო, წარ-
მოვიდგინოთ, რომ ჩვენ შორის უმზრახობა არ ყოფილა, რომ ჩვენ
გუშინ გავიყარენით, მივცეთ ერთმანერთს ხელი, და შევუდგეთ საქმეს.
შემდეგი დაგვანახებს ვინ შეიცვალა და ვინ არა.

ჩვენი ნაკლულევანები

ჩვენ ხალხს და საზოგადოებას ერთი ჩინებული და მოსაწონი ღირსება აქვს: ის, რომ ჩვენში ტრადიციას და კულტურას მოკლედ ფეხები აბია. საზოგადოთ რომ ვსთქვათ, ჩვენში თითქმის არავინ არ მალავს ჩვენი ქვეყნის ნაკლულევანებას. ყველა გულწრფელად აღიარებს, რომ ჩვენს ხალხს ბევრი რამ აკლია, ხეირიან საზოგადოებრივ გაწყობილებამდი მისაღწევლათ. ჩვენ საზოგადო უმეცრებას, უძლურებას, ნიღარიბეს და ბევრს სხვა უფრო ძნელ სენებს ჩვენში არავინ აღარ მალავს. ყველანი დარწმუნებული არიან, რომ ჩვენ მდგომარეობას ბევრი რამ აკლია და სჭირია, და ყველას ესმის, რომ დამალვით არაგაკეთდება რა, რომ შუბი ხალთაში არ დაიმალება. ეს თვისება და ამგვარი გულწრფელი სინანული დიასაც მოსაწონი და სასარგებლოა ყოველს საზოგადოებაში და განსაკუთრებით იმისთანაში, როგორც დღეს ჩვენი საზოგადოება არის.

ჩვენდა საუბედუროთ, ამგვარი სინანული საკმაო როდია, საზოგადოების წარმატების მოსახდენლათ. თავის დამდაბლება და სინანული მარტო მაშინ არის ნაყოფიერი და სარგებლიანი, როცა იმას თან საქმე, შრომა, გასწორება და წარმატების სურვილი მოსდევს. ჩვენში კი ჩვენ ამაებს ვერ ვხედავთ. ჩვენს საზოგადოებაში ყველა დარწმუნებულია, რომ ჩვენი შველა ჩვენ ერთს მშვენიერ დილას ზეცილამ ჩამოგვიფრინდება, ისე რომ ჩვენ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის. ჩვენი მოქმედება, ამ მხრივ, სწორედ იმ ვაჭრის საქმეს ჩამოგავს, რომელსაც ლატარეის ბილეთი უყიდია, და ჰგონია, რომ დღეის იქით მე არც ჯაფა და არც წვალება მჭირიაო, თავი რისთვის შევიწუხოო, დღეს თუ არა ხვალ ხომ მაინც უნდა მოვიგო ორასი ათასი მანეთიო. და რაკი ის ამ უცნაურ მოგებას პირდაღებული შეჩერებია, მისი ვაჭრობა ეცემა, მისი სერვია ილუპება, და მისი მეზობლები კი ძლიერდებიან და მდიდრდებიან, მისი მუშტრის გადაბირვით. ჩვენ ამნაირათ შევჩერებივართ ერთს უცნაურ იმედს, თითქოს ჯადოს, და ველით, როდის იქნება, რომ ყველა ჩვენი განსაცდელი აგვაცილოს იმან თავილამ და

მოგვაკლინოს სამოთხის ბედნიერება თავისი ზღაპრული სულის ჩაბერვით...

რით ვერ მივხვდით ჩვენ ამდენს ხანს, რომ ამგვარი ჩვენი იმედი უსაფუძვლოა, რომ ის ჩვენი დამლუპველი და მომზიბველია. ჯერ არსად, არცერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ როგორღმე ხალხი ან საზოგადოება ამალღებულებს სხვისი დახმარებით, თუ არა თავისი საკუთარი შრომით და ჯანით. ადვილათ შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს, არც მთელს საზოგადოებას. კაცისთვის და ქვეყნისთვის მარტო ის არის გამოსადეკი და ძვირფასი, რაც იმას თავისი საკუთარი შრომით, ოფლის ღვრით და ბრძოლით შეუძენია. მარტო ამგვარ შენაძენს აფასებს ის, მარტო იმით სარგებლობს გარდუქარებელათ და დასვენებულათ, მარტო იმას ინახავს ძვირფასს საუნჯესავით, თავისი შთამომავლობისათვის. ნაპოვნი და ნაწყალობები კი, თითქმის ყოველთვის ისევ ისევ ადვილათ იკარგება, როგორც ადვილათ ნაპოვნი იყო...

თუ ჩვენ ამ ქეშმარიტებას დავიმახსოვრებთ და ჩვენს მდგომარეობას დავაკვირდებით, ჩვენ დავინახავთ, რომ ჩვენი საზოგადოება სრულიადაც არ შრომობს იმ ნაკლულევენებათა მოსასპობლათ, რომელნიც ჩვენს ხალხს აუძლურებს. მაგალითად, ავიღოთ თუნდა ერთი ნაკლულევენება: უმეცრება. ვინ ებრძვის ჩვენში ამ სენს, ვინ სცდილობს მის მოსპობას? ჩვენ ყველანი შევჩერებივართ მთავრობას, და მოველით, რომ ის ყოველგან შკოლებს დავვიმართავს. მართალია, ეს მთავრობის მოვალეობაც არის, და მისთვის საჭიროებასაც შეადგენს. მაგრამ მთავრობა ხომ ყველას ვერ აუდის, როგორც ჩვენ თვითონ ვხედავთ. ჩვენ რომ ჩვენი სარგებლობა გვესმოდეს და ჩვენ მდგომარეობაზედ რომ ვზრუნავდეთ, განა ჩვენ თვითონ ამდენ ხანს ათ იმოდენ შკოლებს არ ვავმართავდით, რამდენიც ჯერ ჩვენში მთავრობას გაუხსნია?

აი, მივხედოთ სომხების მაგალითს, რა რიგათ ავრცელებენ ისინი თავიანთ შკოლებს, რამდენს ახლებს ხსნიან თითოეულ სოფელში, და რანაირად ცდილობენ, რომ მათთვის ხეირიანი მასწავლებლები გამოზარდონ, გონიერი სახელმძღვანელოები გამოსცენ! წელიწადი არ გავა მათთვის, რომ ოცი, ოცდახუთი მასწავლებელი არ გახსნან, რომ ათი-თუთხმეტი ახალ-ახალი სახელმძღვანელო არ დაბეჭდონ. და მიდის მათი საქმე ჩინებულათ, ვრცელდება სომხურ საზოგადოებაში განათლება, ძლიერდება და იხსნება სომხობა, ისე, რომ ვისაც სომხური საზოგადოება ჩვენში ამ ოცი წლის წინეთ უნახავს, ის იმას დღეს ვერც კი სცნობს, — იმ რიგათ წარმატებაში შესულა ის ამ მოკლე ხანში!

რომელ მხარესაც უნდა მივაქციოთ ჩვენ ყურადღება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ყველგან დავინახავთ, რომ ჩვენ სრულიად არაფერს არ ვაკეთებთ, ჩვენი საზოგადოების და ქვეყნის წარმატებისათვის, არც სკოლების საქმეში, არც მწერლობაში, არც ეკონომიურ ცხოვრებაში, არც ხალხის ზნეობის გაწრთენაში ჩვენ არავითარ შრომას არ ვიღებთ თავზე, არას ვამზადებთ და არას ვარიგებთ. ჩვენი ცხოვრება ხავს-მოკიდებული და შეჩერებულია, და მარტო სხვის შემწეობის ცდაში და ლოდინში ვლევთ ჩვენ ჩვენს უმოქმედო და უმიზნო დღეებს.

განა შეეფერება ამგვარი უმოძრაობა და უმოქმედობა იმისთანა ხალხს, რომელსაც ჩვენი სთანა წარსული ჰქონდა, რომელსაც უკეთესი მომავლის იმედი აქვს? განა სათაკილო არ არის, რომ ამგვარ უმოქმედო ცხოვრებას მისცემია არა თუ ჩვენი გაუნათლებელი საზოგადოება, მაგრამ ჩვენი განათლებული ახალგაზდობაც? შეფერის განა ამნაირი სულმოკლეობა ჩვენს დროს და ჩვენს მდგომარეობას?

დროა თვალი გავახილო და დავრწმუნდეთ, რომ დამხმარებელი და გამკეთებელი ჩვენ ჩვენს თავზე უკეთესი არასოდეს არ გველისება. დროა დავრწმუნდეთ, რომ მარტო ჩვენი საკუთარი ნიადაგი, დაუშრომელი და დაულალავი შრომა მოგვცემს ჩვენ კეთილდღეობას და წარმატებას აღიარებს ჩვენი ქვეყანას. ჩვენ ჩვენი ვიშეცადინოთ; ჩვენი ქვეყნისთვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ; და მაშინ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენს დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი; თუ არ მოინდომებს, ჩვენი ნაშრომი და შენაძენი ხომ ხელიდამ მაინც არ წავგვივა, და ისევ ჩვენ დავგრძელებთ და თუ ჩვენ თვითონ არ ვეცდებით, თუ ჩვენ დოყლაპიასავით პირდაღებულები სხვის შემწეობას შევაჩერდებით, მაშინ, ბევრი რამეც რომ მოგვანიჭონ, ჩვენ იმით ვერ ვისარგებლებთ, მაშინ ამ მონიჭებულსაც ჩვენ სხვა ვინმე მეზობელი, ჩვენზე უფრო ჰქვიანი და მოხერხებული ხელიდამ გამოგვტაცებს და თავისთვის მოიხმარს, ამიტომ, რომ ის ჩვენზე უფრო გამოცდილი და დახელოვნებული იქნება ყოველ სიკეთის და საუნჯის შეძენაში და განსაკუთრებით გამოყენებაში...

ბანა „საჭირო“ „უდროოა?“

გუშინ აკაკი ამტკიცებდა „დროებაში“, რომ ეს ბრძოლა, რომელიც, „თბილისის მოამბეში“ ატყდა უფ. ილია ჭავჭავაძესა და ჩემს შუა უდროოა და მტერს გულს გაუხარებსო^ნ. ეს აზრი მიმაჩნია ჩვენი მკითხველების სრულ ყურადღების ღირსად, და ამის გამო საჭიროა, რომ მკითხველს საშუალება მიეცეს ყველა მხრიდან გასინჯოს ეს კითხვა, რომ ჭეშმარიტი და ბეჯითი აზრის შედგენა შეეძლოს ამ საქმეზე.

მგონია, რომ ამ მეტის-მეტათ მძიმე კითხვის გასარჩევლათ უფრო სასარგებლო იქნება, რომ ამ ჩემს სტატიაში განზე დავტოვოთ ის საგანი და ის პირები, რომელზედაც და რომელთ შუა ბრძოლა წარმოებს. ეს კითხვა ჩვენ უნდა გავსიჯოთ პრინციპიალურათ, ამიტომ რომ მისი გამოკვლევა საჭიროა ჩვენი ახლგაზღობის და საზოგადოების მომავალი მოქმედებისთვის. და ამგვარ პრინციპიალურს გასინჯვას, ცხადია, ხელს შეუშლის და დააბრკოლებს პირადი და წუთიერი კითხვების დართვა ბანკზე, უფ. ჭავჭავაძეზე და ჩემს ნაწერზე.

კითხვა აი როგორ სდგას:

ჩვენ ვშრომობთ რამოდენიმე — ოცი, თუ ასი, თუ ათასი — კაცი, ჩვენი საზოგადოების სასარგებლოთ. ამ ჩვენ საზოგადოებას ჰყავს მტერები. მაშასადამე, ამბობს აკაკი, არ ვარგა, რომ მტერებს გარდა, ჩვენ კიდევ ერთმანეთშიაც ბრძოლა და უთანხმოება ვიჭონიოთ. ეს ჩვენ თვითონ გვაუსტებს და ჩვენ მტერებს ძალას უმატებსო.

ჩემის მხრით, მგონია, რომ ამგვარი მოქმედება საჭიროა ყოველთვის კი არა, მარტო მაშინ, როცა ბრძოლა გარეშე მტერთან მართლა და ნამდვილათ გამართულია. ბრძოლის ველზე, მართლაც, შეუძლებელი და საძაგელი საქმე იქნება, რომ რაზმში უთანხმოება მოხდეს, და რაზმმა მტერთან ბრძოლის მაგიერ, ერთმანეთს დაუშინოს თოფ-იარაღი. მაგრამ, მშვიდობიანობის დროს, როცა ჩვენ ვემზადებით მტერის წინააღმდეგ რაზმის დაიარაღებას, შეუძლებელი და უმსგავსო საქმეა, რომ ბაასი და ბრძოლა არ ატყდეს სხვა და სხვა ამხანაგებს შუა — იმ კითხვებზე თუ როგორ ემჯობინება იარაღის დამზადება ან ხმარება.

დისციპლინა იმას კი არ თხოულობს, რომ ყველა ამხანაგების გონება და აზრი ნიადაგ დახშული და დამალული იყოს; იმას თხოულობს, რომ ბრძოლის დღეს, რაკი ამხანაგობა ერთს აზრს დაადგება, ერთს გზას აირჩევს და ერთს მოთავეს გაჰყვება, ყველამ ამ აზრს დაეხმაროს, ამ გზას დაადგეს და ამ მოთავეს მხარი გაუმაგროს. ყოველად შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოება და საზოგადო აზრის გაუკეთესება, თუ ჩვენ დისციპლინათ იმას მივიღებთ, რომ გავჩუმდეთ, ხმას ნუ ამოვიღებთ, მტერი გვიცქერს და გაიხარებსო. ჩვენ სხვანაირი გახარების უნდა გვეშინოდეს მტერის მხრით, იმ გახარების, რომელიც წარმოებს ჩვენი აზრის სისუსტისაგან და ჩვენი რაზმის უხეირო წაყვან-წამოყვანისაგან...

ჩვენში ბევრია ისეთი ყმაწვილები, რომელნიც სარგებლობენ ამ ჩვენი მდგომარეობით და ამ საჭიროებით: „სუ, ხმას ნუ ამოვიღებთო!“ ეს ყმაწვილები დღესაც იმ აზრებს და სიტყვებს იმეორებენ, რომელნიც სწავლაში და ქვეყანაში ამ ოცი წლის წინეთ იყვნენ მიღებულინი. ჩვენი მტრები წინ წავიდენ. წარმატებაში შევიდენ, დაძლიერდენ, და ჩვენ კი უმოძრაოთ უნდა ვიჯდეთ, ხმას არ უნდა ვიღებდეთ, გაჩუმებული უნდა უცქერდეთ ჩვენს სისუსტეს და უხეირობას? რა გამოვა ამისგან? ის, რომ ნამდვილი ბრძოლის დღეს ჩვენ უაზრონი და სუსტნი ვიქნებით, შეცდომებში ჩავარდებით, მაშინ, როდესაც მტერი აზრ-ნათლიანი და გონიერი იქნება... ეს უნდა ვქნათ განა?

არა. ყოველ გონიერს კაცს ჩვენში მოვალეობა აქვს არ დაუფაროს თავის საზოგადოებას აზრი და შეხედულობა საზოგადო საჭიროებაზე და საქმეებზე. ამხანაგობაში ამგვარი აზრი უნდა გამოითქვას, თავისუფლათ, მოურიდებლათ; ეს არავისთვის საწყენი და სათაკილო არ უნდა იქნეს. და როცა ამ ამხანაგობაში ზოგიერთები იმას დაიჟინებენ, რომ ჩვენ შეუცდომელი ვართო, რომის პაპსავეთ, რომ ჩვენს აზრს და შეხედულობას ნურვინ დაიწუნებსო, გინდ ვცდებოდეთ, გინდ საქმეს ვახდენდეთ და ქვეყანას ვაბრკოლებდეთ, ყველანი დაჩუმდენ და ყველამ ტაში დაგვიკრასო, — ეს დისციპლინა კი არ არის, ეს დესპოტიზმი და ხვანთქრობაა. ამას აღვიღათ დაემორჩილება მონა, და არა გონიერი კაცი.

ჩვენ რიცხვით, ძალით, ოინობით ვერაფერს ვერასოდეს ვერ გავითანთ, და თუნდ გავითანთ, ვაი იმისთანა გატანას. ჩვენი წინააღმდეგნი და მტერები რიცხვით და ძალით ათასჯერ უფრო მეტნი და ძლიერნი არიან ჩვენზე. ერთი იარაღი გვაქვს ჩვენ, მარტო ერთი, — აზრის სისწორე, სინიღისის სიმართლე, გონიერება, საქმის სიწმინდე. მარტო ამით შეგვიძლია ჩვენ გავიმარჯვოთ, შემდეგში,

მომავალში, როდესმე. მაშ ჩვენ უმანკოთ და გაუსვრელათ უნდა შევინახოთ ეს ჩვენი მხალხლო დი იარაღი, თორემ იმ დღეს, როცა ჩვენი მტერნი, რიცხვით და ძალით ძლიერნი, ჩვენს წინააღმდეგ სიმართლესაც მოიპოვებენ, ჩვენი საქმე ფიზიკურათ და ზნეობითაც დალუპული იქნება.

ქვეყანა იმოდენათ ბრმა და ყრუ როდია, რომ ჩვენი შეცდომები ან უხეირობა ვერ დაინახოს თვითონ, ჩვენ რომ ამებზე მუნჯებადით ვაჩუქდეთ, სირაქლემასავით ჩვენ რომ თავი ბუჩქებში დავმალოთ, მტერი მაინც დაგვინახავს და მაინც დაგვამარცხებს. ათასჯერ და ათი-ათასჯერ სჯობია, რომ ჩვენ ჩვენი თავი გავიცნოთ ჩვენი სისუსტე გამოვიკვლიოთ, ჩვენი სიმრუდე თვითონვე გავისწოროთ, და მაშინ უფრო ძლიერნი ვიქნებით მტრის წინააღმდეგ, ვინემ დღესა ვართ...

მოვიყვან მიგალითს, რომელიც გვარიანათ შეეფერება ჩვენს მდგომარეობას. განა როცა ჯარი საომრათ გადის, მტრის სიახლოვე და ბრძოლის საჭიროება ჯარში სამართალს სპობს? რა გინდ ახლოს იყოს მტერი და რა გინდ მოახლოებული იყოს ბრძოლა, ის მეომარი, რომელიც ცდება ან კანონს დაარღვევს, ან რომელსამე სხვა დანაშაულებას ჩაიდენს, იმას სამართალში მისცემენ. მის მოქმედებას გამოიძევენ და ან გაამართლებენ, ან სასტიკათ დასჯიან. ასე რომ არ იყოს, ჯარი გაირყვნება და უფროსების უსამართლობას და უხეირობას ბოლო აღარ მიეცემოდა.

ჩვენ, მართალია, სალდათები არა ვართ, მაგრამ მით უფრო უნდა ვცდილობდეთ, რომ არც ერთი ჩვენგანი არ შეიქნეს უაზრო იარაღათ სხვის ხელში, როცა ამ სხვას ამოქმედებს არა საზოგადო სიკეთე და ქვეყნის გონიერი სიყვარული, არამედ ავადმყოფურად გასივებული თავმოყვარეობა... დღემდი ბევრჯერ ვაჩუქმებულვარ იმავე აზრის ხელმძღვანელობით, ბევრჯერ დამიჯარავს ამხანაგების შეცდომა, ბევრჯერ დამიხურავს თვალი წვრილმან უხეირობაზე, იმ აზრის მიხედვით, რომ უმთავრესს აზრებში და მიზანში ჩვენ ხომ ერთნი ვართო. მაგრამ გამოდის რომ ხანდისხან არც ამ უმთავრესს მიზანს რგებია რამე ამ გაჩუმებისაგან, გამოდის რომ გაჩუმებას თუ წაუხედენია საქმე, თორემ არა გაუყეთებია რა. რათ ვატყუოთ ქვეყანა, რათ აუხვიოთ მტერსა და მოყვარეს თვალი? მტერი ჩვენ მაინც არ გვიჯერის და თვითონ ცდილობს ჩვენი გარემოების შეტყობას, და მოყვარენი კი ჩვენ შეცდომაში შეგვყავს და ბრმათ გამოგვყავს.

კმარა ამდენი თმენა. თითოეულმა ჩვენგანმა მარჯვეთ და პირდაპირ სთქვას თავისი აზრი, თავისი შეხედულობა, დაიცვას თავისი მიმართულობა და დაარღვიოს სხვისი შეცდომა ან უხეირობა. საზო-

გადოება და ახალგაზღობა დაინახავს მაშინ სიმართლეს, და იქნება, როცა დაინახავს, თავის საკუთარს გზას გამოსძებნის და თავის საკუთარ კკუით გაივლის, ახალი გზით, ყველა მებრძოლეების განზე დატოვებით. დიდი ხანია ნათქვამია, რომ ქეშმარიტება გააშოიჭვრეტს აზრების შეტაკებისაგანო. დაე გამოჩნდეს ეს ქეშმარიტება; მარტო ამით შეგვიძლია ჩვენ ჩვენს მდგომარეობაში სარგებლობის მოტანა ჩვენი ახალგაზღობის, საზოგადოებისა და ქვეყნისათვის.

ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი მოვალეობა, თუ ჩვენ ნამდვილათ ვემსახურებით ჩვენს ქვეყანას, და არა პეტრეს, პავლეს ან თონიკეს, ესე იგი, ჭავჭავაძეს, მესხს. წერეთელს, ნიკოლაძეს და სხვ.

პირველი ნაბიჯი ჩვენი ბანკირებისა

კარგი სამახარობლო მერგება დღეს თქვენგან, მკითხველო, რადგანაც, მშვენიერი „ახალი ამბავი“ მაქვს თქვენთვის სათქმელი. დღეის იქით — ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება წარმატების ახალს პერიოდში შედიან. დღეის იქით ჩვენი ქვეყანა განათლებულ და აყვავებულ სახელმწიფოებს უდრის თავს და მათ ჩვეულებებს ელირსება. დღეის იქით ერთის მხრით მაინც — ჩვენ ბერლინს და პარიზს უკან არ ჩამოვრჩებით. გიხაროდნეთ, გავნათლდით! გიხაროდნეთ, მით უფრო, რომ ამ განათლების მიზეზი და საფუძველი ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები არიან, და ამ განათლების შემომღებნი ჩვენი ახლათ ნაკურთხნი ფინანსიტები. მაგრამ სჯობს საქმე დალაგებით მოგახსენოთ.

ამას წინეთ ჩვენი საადგილ-მამულო ბანკების მმართველებმა, უფ. ილია ჭავჭავაძემ და ბეს. ლოლობერიძემ⁶⁶ შეკრიბეს თუთხმტი თუ თექვსმეტი პირნი, ჩვენი უბედურ ქართული მწერლობის და ჟურნალისტიკის ბედზე საზრუნველათ⁶⁷. მას აქეთ რაც ქვეყანა დაფუძნებულა, მაგალითი არ ყოფილა, ჯერ, რომ ქართული გაზეთის და ჟურნალის ბედზე მოსალაპარაკებლათ ამოდენა ხალხი შეკრიბილიყოს. — ეს გახლავს პირველი ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გავლენისა, ჩვენის საზოგადოების განათლებაზე.

ამ პატიოსან ყრილობაზე ყველაზე უფრო გულის გასახარელი ის იყო, რომ შიგ ყოველი წოდების და ხასიათის კაცი ერივნენ. თითქმის პირველად, მას აქეთ რაც ქვეყანა არსებობს, გველირსა ჩვენ იმ მაგალითის ნახვა, რომ სამსახურის კაცი გვერდით უჯდა მწერალს, მწერალი — მეომარს, მეომარი — ბანკირს, ბანკირი, მასწავლებელს, — მასწავლებლი — ადვოკატს, ვექილი — ქიმიკოს, ქიმიკოსი — ცენზორს, ცენზორი — მიწის მეპატრონეს, და მიწის მეპატრონე — ნოტარიუსს. დიდი და პატარა, ჭკუიანი და გიჟი, სწავლული და უმეცარი ყველანი ერთს მიზანს სდევნიდენ, ერთს საქმეს ეკიდებოდენ. ყველას ერთი განზრახვა ჰქონდა, — „ჩვენი მწერლობის აღდგინება“. ეს გახლავს მეორე ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გავლენისა ჩვენი საზოგადოების განათლებაზე.

ყრილობის დამძახებლებმა ყრილობას კითხვა დაუდევს: — სასურველია თუ არა, რომ ჩვენში ისეთი „სოლიდნი“ და „სერიოზული“ მიმართულების გაზეთი გამოდიოდეს, რომელსაც „მაღლა ექიროს ლიტერატურის დროშაო?“ უფ. ნიკოლოლობერიძემ ნ. დადიანმა (ქუთაისის ბანკის დირექტორმა), პ. უმიკაშვილმა, დ. ანჩაბაძემ, ალ. ჩოლოყაშვილმა და ყველა სხვამ (ყველას ხომ ვერ იამოთვლის კაცი) პასუხათ მოახსენეს: „რასაკვირველია.“ მას აქეთ რაც ქვეყანა არსებობს, ჩვენში პირველი მაგალითია, რომ რამე კითხვა და რამე საქმე ჩვენში ერთხმით, უდაოთ და უშფოთოთ გადაწყვეტილიყოს. ეს გახლავს მესამე ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გავლენისა ჩვენი საზოგადოების განათლებაზე.

მაშინ ყრილობის დამძახებლებმა ყრილობას მეორე კითხვა დაუდევს: — ახალი გაზეთის დაარსება სჯობს, თუ ისევ „დროების“ დახმარება და გაუმჯობესება? და როცა ერთ წევრს ვკითხა: „საშვალეა გვაქვს განაო?“ დამძახებლებს ეთქვათ:

— საშვალეა ჩვენ მზათ გვაქვს. ჩვენ დამზადებული გვაქვს ხუთასი თუმანი, რომლითაც ადვილათ შეიძლება ჩოგორც „დროების“ გაუმჯობესობა, ეგრეთვე ახალი გაზეთის დაარსება და ფეხზე დაყენებო.

მას აქეთ, რაც ქვეყანა დაარსებულა, მაგალითი არ დასიზმრებია არავის, რომ არა თუ ხუთასი თუმანი, ხუთი გროშით შეწყენოდეს ვინმე ჩვენს გაზეთ-ჟურნალებს. ხუთასი თუმანი კი, ხომ მართლაც რომელს გაზეთსაც გნებავთ, სულს ჩაუდგამს. ეს გახლავს მეოთხე ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გავლენისა ჩვენი საზოგადოების განათლებაზე.

რაკი ყრილობას შეუტყვია, ხუთასი თუმანი მზათ ჰქონიათ უფ. ბეს. ლოლობერიძეს და ილ. ჭავჭავაძესო, იმ წამსვე დარდიმანდულათ გარდაუწყვეტია: — ეს ფულები „დროებას“ მოხმარდესო, იმ პირობით რომ „დროება“ გაუმჯობესდეს და „სოლიდნი გაზეთი“ შეიქნესო. მას აქეთ, რაც ქვეყანა დაარსებულა, ჩვენში ასე ძვირათ არავის დაუფასებია გაზეთის და მწერლობის სამსახური, არავის არ გამოუჩენია იმისთანა სინიდიანიობა, რომ ეფიქროს — ამ კაცს (ან ჟურნალს) ათი წელიწადია ქვეყნისთვის უშრომნია, დაე, ისევ ამას დავეხმაროთ, ხუთს ახალ მეგობარს ერთი ძველი გირჩენოდესო. ეს გახლავს მეხუთე ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გავლენისა ჩვენის საზოგადოების განათლებაზე.

მაშინ ყრილობას „დროების“ ახალი რედაქცია ამოურჩევია. ზოგს წინა დაუდევს — რედაქციას უწინდლურათ ოთხი პირი შეადგენდენ: ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, აკ. წერეთელი, და ილია ჭავჭავაძე⁶⁸.

სხევებს უთქვამსთ — არაო, რაკი ხუთასი თუმანი გვაქვს, ხუთასმა თუმანმა ახალი ტალანტები გამოიყვანოსო. და ახალ ტალანტებით ამოურჩევიათ: დ. ჩქორტუა⁶⁸, ილ. ჭავჭავაძე, ბ. ჯაფარიძე⁷⁰, და... ს. მესხი, თუკი ს. მესხი „დროებას“ ჩვენ გადმოგვცემსო.

მას აქეთ, რაც ჩვენი ქვეყანა დაარსებულა, ჯერ არავის იმის მაგალითი არ უნახავს, რომ ნიჭს ჩვენში ვინმე დახმარებოდეს. დღემდე ნიჭი ჩვენში იბრძოდა, იტანჯებოდა და ვერავისგან მხარის გამართვას ვერ ეღიბებოდა. საზოგადოება იმას ჯერ აგდებით, დასაციროდა, მერმე ცილისწამებით სდევნიდა და ბოლოს, ოდესმე ცოტაოდენათ ყურს დაუგდებდა. დღეს კი ჩვენში ნიჭს პირდაპირ, სიტყვა ამოუღებლათ, ხელის გაუნძრევლად, თავის გამოუჩენლათ საზოგადო დახმარება და ხელის-გაწყობა ეღიბსა. ეს გახლავს მეექვსე ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გავლენისა ჩვენის საზოგადოების განათლებაზე.

ამით გათავდა ყრილობა. გარდაწყვიტეს კი დაშლამდე, რომ ყრილობის გარდაწყვეტილობა წინა დაუდვან უფ. მესხს (რომელიც ყრილობას არ დასწრებია), როგორც „დროების“ რედაქტორს, და სტ. მელიქიშვილს⁷¹, როგორც ამ გაზეთის გამომცემელს.

ყრილობის მოთავეებმა, როცა ეს ამბავი „დროების“ რედაქტორს შეატყობინეს, სხვა რამეებიც ზედ დასძინეს: „ხუთასი თუმანი ხომ ხუთასი თუმანიაო, მაგრამ ეს გაზეთის სერმია იქნებაო. ამ ფულის გარდა სხვა ბევრიც გვექნებაო. სამოც-სამოც თუმანს თითოეული ბანკის მმართველი შემოიტანს თავის წილათ ყოველ წლობითო. ამას გარდა ორივე ბანკების გამოცხადებებიც სულ უკანასკნელი წელიწადში ას თუმანს მაინც მოგვცემსო. მაშასადამე, ხუთასი თუმანის გარდა, ყოველ წლობით ორასოცი თუმანი ნალდი შემოსავალი ექნება ჩვენს გაზეთსო. დათანხმდითო!“

სად ხარ ეხლა, გ. წერეთლო⁷²! იფიქრებდი, განა, იმ დროს, როცა „დროებას“ დღე და ღამ აკვდებოდი, და შიმშილის შიშით კერძო გაკვეთილებით თავს ირჩენდი, რომ „დროების“ რედაქტორს ოდესმე ბანკირები ამდენს ფულს მისცემდენ? ეს გახლავთ მეშვიდე ნიშანი და სხე.

საუბედუროთ, „დროების“ რედაქტორი, ს. მესხი, და გაზეთის გამომცემელი, სტ. მელიქიშვილი, არ დათანხმდნენ და ჩვენს ბანკირებს ნებაზე არ დაყენენ. „არ შეჯდება მწყერი ხესა, არ სჩვევია გვარი მისიო,“ თქვა ს. მესხმა, და უარპყო ტაბლასა მას გამზადებულსა ბანკირებისა მათთავან.

ჩემის მხრით კი, როცა ეს ამბები გავიგე, თავში ხელი ვი-
ტყი და ვთქვი: რათ მიკვირდა და რათ გწუხდი, რომ ბ. ლოლო-
ბერიძის და ილია ჭავჭავაძის მომხრენი თფილისის და ქუთაისის
ბანკების ყრილობებზე მმართველების ჯამაგირის მომატებას ცდილობ-
დენ! რომ მცოდნოდა, რომ ეს მომეტებული ფული ჩვენს „მწერლობას“
მოსმარდებოდა, ხომ არც გავიკვირებდი, არც შევწუხდებოდი - მეთქი!
დავინახე ნათლათ რომ ვიყავე შემცდარო, როცა ვფიქრობდი, რომ
იმათ პირადი სარგებლობის ანგარიში ამოქმედებდა.

მაშასადამე, რაკი „დროება“ ბანკის მმართველებს ხელიდამ
წაუვიდა, ჩვენს საზოგადოებას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ჩვენში ახალი
გაზეთი დაიბადება, რომელიც „მაღლა ასწევს მწერლობის დროშას“.
ეს ფრიად სასურველი და საჭირო მოვლენა ჩვენ, რასაკვირველია, უნდა
მივაწეროთ ბანკირების მეოხებას. და ეს გახლავს მერვე ნიშანი
ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გაფლენისა ჩვენის საზოგა-
დოების განათლებაზე.

ეხლა, მკითხველო, ირონია და ხუმრობა იქით მივაგდოთ, და ამ
საგანზე პირდაპირ და პირუთვნელათ მოვილაპარაკოთ.

მაშასადამე, ჩვენი ბანკირები აპირებენ ახალი ქართული გაზე-
თის გამოცემას.

ახალი გაზეთის გამოცემა ჩვენში დიანს საქები და სასარგებ-
ლო საქმეა, და ღმერთმა ჰქნას, იმ დღეს მოვესწრებოდეთ, როცა
ქართულს ენაზე, ერთი და ორი გაზეთი კი არა, ოცი და ორმოცი
დაარსებულიყოს. ქვეყნის სიკეთე ჩვენს თვალში და გრძნობაში
ადვილათ გამოიყიდის ასიოდე ხელისმომწერლის დაკარგვას „დრო-
ებისათვის“ და „დროების“ გამოცემა არც დღემდი არ ყოფილა და
არც ენა არის ასეთი სარგებლიანი (შემოსავლის მხრით), რომ
საკუთარმა სარგებლობამ საზოგადო სიკეთე დაგვაფიწყებინოს.

აქედამ სჩანს, რომ „დროებას“ არც საზოგადო სიკეთის მხრით,
არც პირადი ანგარიშის ძიებით არავითარი საფუძველი არა აქვს
წინააღმდეგს ახალი გაზეთის დაარსებას და გამოცემას, თუ კი ამ
ახალს გაზეთს მხედველობაში საზოგადო ინტერესები ექნება, და
არა საზოგადო ვნება.

ეხლა აი რა მხარე გავსინჯოთ ამ საქმისა. როგორ გგონია
მკითხველო, დღეს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მწერლობის და ჩვენი ახალ-
გაზდობის მდგომარეობა უმჯობესია თუ უარესია, ვინემ იგივე
მდგომარეობა ამ ხუთი, რვა ან ათი წლის წინეთ?

ამ ხუთი-ექვსი წლის წინეთ, იცი რა დრო და რა ამინდი
ყოფ ჩვენთვის? ქართული ენა ვის ახსოვდა, ქართულ მწერლობას

ვინ აქცევდა ყურადღებას, ქართული გაზეთი ვის რათ მიაჩნდა? გაზეთზე ხელს აწერდენ თხოვნისა და ხვეწნის გამოისობით, თითქო მოწყალეებას იძლეოდენ. „ქართველი მწერალი“ ზოგს ტუტუტუცათ მიაჩნდა ზოგს გიჟათ: „საქმე გამოლევია, ჯღაბნისო“, ამბობდენ ყველანი, ყოველგან. მის სიტყვას სრლიად არავითარი გავლენა არ ჰქონდა საზოგადოებაში. მეორეს მხრით ის ვერ ბედავდა შეხებოდა თითქმის ვერც ერთს იმ საგანს, რომელზედაც ჰტიქრობდა და ზრუნავდა იმ დროს საზოგადოება. ათასნაირ გადაკრულ-გადმოკრული მიხვევ მოხვევით უნდა გამოეთქვა იმას თავისი აზრი, ისე რომ მკითხველი ვერც კი მიხვდებოდა რაში მდგომარეობდა ეს აზრი და რა უნდოდა ეთქვა მწერალს. ამ მწერალს ზოგიერთი ვაჟბატონები იმ გვარ თვალებით უტკებოდენ თითქო მას მუნი ან ქეცი სჭირებოდა.

სად ბრძანდებოდენ მაშინ, და რას შვრებოდენ ქართული მწერლობის და ქართული საზოგადოების სასარგებლოთ ის პირები, რომელნიც დღეს იწყებენ ზრუნვას ჩვენს მწერლობაზე? თუ ამ პირებს მართლა და გულწრფელათ უყვარდათ ჩვენი მწერლობა და ქვეყანა, სად იმალებოდენ ისინი, როცა ამ ჩვენს ქვეყანას და მწერლობას ათასჯერ უფრო მეტად ეჭირებოდა დახმარება და ხელის დაწყობა ვინემ დღეს? რათ არ თანაუგრძნობდენ და არ ეხმარებოდენ მწერლობას, როცა ის ფეხის ადგამს გაჭირვებით და ვაივაგლახით სცდილობდა? რითი გამოიჩინეს იმათ მაშინ საზოგადოების სიკეთეზე ზრუნვა და ქვეყნის მომავალზე მეცადინეობა?

შემიძლია უთხრა ექლა ჩვენს საზოგადოებას — რას შვრებოდენ მაშინ და სად იმალებოდენ ის პირები, რომელნიც დღეს „ქართული მწერლობის აღდგინებას“ შესდგომიან. უმეტესი ნაწილი ამ ვაჟბატონებისა მაშინ მსახურობდენ, ზოგი სუდიათ, ზოგი ინსპექტორათ, ზოგი დირექტორათ და ზოგი რათ; მსახურობდენ კარგ შემოსავლიან ადგილებზე, კარგა ლამაზათ დაბინავებული, კარგი ორას ორასი თუმნის ჯამაგირით გამაძლარნი. მაშინ ეს პირნი თავიანთი ჯამაგირიანი ადგილებიდან შებრალებით და მასხარათ აგდებით დაცქერდნენ ჩვენს „ტუტუტუტურ შრომას“ ჩვენს მწერლობას და ქართველობას. მაშინ ისინი ქუჩაზე ერთად გავლასაც ვერ ბედავდენ ჩვენთან, ვაი თუ ამით ჯამაგირი შეგვიმციოდესო. მაშინ თვით უფ. ილია ჭავჭავაძეც განზე უდგა ქართულ მწერლობას, და დუშეთში სუდიობას ეწაფებოდა, „საქართველოს მოამბის“ დაცემით იმედ-მოკვეთილი...

ვისაც ქვეყნის საშახური უნდოდა, ვისაც გულში სამშობლოს მხურვალე სიყვარული უღვიოდა, აი მაშინ უნდა გამოსულიყო და მაშინ უნდა მიეცა ნუგეში ჩვენი საზოგადოებისთვის,

მაშინ უნდა ეჩვენებინა სწორე გზა ჩვენი ახალგაზდებისთვის, მაშინ უნდა გამოეჩინა პირადი მაგალითით, რომ კაცს მარტო ჯამაგირი კი არა, თავისი ქვეყნის სიკეთე და თავისი საზოგადოების კეთილდღეობა უნდა ჰქონდეს ცხოვრების და მოქმედების მიზნათ. რა მსხვერპლი მოუტანეს ამ პირებმა თავიანთ სამშობლოს, რა მაგალითი აჩვენეს ჩვენს ახალგაზდობას? — არავითარი, სრულიად არავითარი, გარდა ჯამაგირის და მყუდრო, შემოსავლიანი ადგილების ძიებისა.

საზოგადოებას მოწინავე პირებისაგან მაშინ სჭირია დახმარება და მაშინ სწყურია კეთილი მაგალითი, როცა მთელი არემარე უიმედობით აღესებულია და უგზო-უკვლოთ მიტოვებულია. თორემ, როცა უმეტეს ნაწილს იმედი გულში ჩაუდგება, როცა გზაც გამოიძებნება და სიარულის საშვალეც, მაშინ თქვენი დახმარებაც და თქვენი მაგალითი თუნდა გიჩვენებიათ, თუნდა არა, საღირალი მაინც არ იქნება...

მერმე კი დრო შეიცვალა. გამოჩნდა, რომ მწერლობა იმისთანა სისულელე არ ყოფილა, როგორც ჯამაგირების შეძიებლები დღემდე ჰტიქრობდნენ. გამოჩნდა, რომ მწერლობა ჩვენში ძალად დგება და გავლენას ჰპოულობს. გამოჩნდა, რომ დღეს ჩვენში ბევრია ისეთი პირები, რომელნიც საზოგადო სარგებლობას აფასებენ და მამულის სიყვარულს პატივს სცემენ. და ის პირები რომელთაც დღემდე ჩვენი მწერლობის დაკვლა რომ შესძლებოდათ, არ დაზოგავდნენ, გამოდიან ამავე მწერლობის ბედზე მზუნველებათ და ამავე მწერლობის „დროშის მალა აწევენ“ ცდილობენ!

დროშას — მწერლობის იყოს, გინდა სხვა გვარი მოქმედებისა — მარტო ის პირები აწევენ და მაგრა გააჩერებენ შალალა, ვინც შეჩვეულნი არიან ერთსა და იმავე დროშის ქვეშ დგომას. დროშას ხელში ვერ შეიკავენ, ვერც მალა და ვერც დაბლა, ის პირი, ვინც დღეს ლიბერალობს და ხვალ ლიბერალობას ჯამაგირში სცვლის, მაზეგ ჯამაგირის რაოდენობისათვის ბატონს იცვლის, და ზეგ ისევ ლიბერალობას უბრუნდება, როცა ჰხედავს, რომ ლიბერალობა ჯამაგირს ერთი ორათ უმატებს.

ამ გვარ პირების ხელში რა სიმალღეზე გაჩერდება დროშა, და რა სიმაგრით, — ამასაც მალე ვნახეთ.

დრო შეიცვალა-მეთქი, ვამბობდი წელან. შეიცვალა დრო და კიდევ იმ რიგათ, რომ დღეს ჩვენში ჯამაგირიანი ადგილები აღმოჩნდნენ, რომლის მოპოება კენჭით შეიძლება, ესეიგი, საზოგადოების ამორჩევით. ამ კენჭის საძიებლათ გამოსადეგია ხოლმე ვაზეთი და

მწერლობა. გამოსადეგია არა თუ მარტო პირდაპირი დახმარებით, მაგრამ მოწინააღმდეგეების თავიდან მოსაცილებლათაც. მე სრულიადაც არ მიკვირს, რომ უფ. ბეს. ლოლობერიძე და ილია ჭავჭავაძე, რომელნიც ამგვარ ადგილებზე დგანან დღეს, და რომელთაც დიდხანს ამავე ადგილებზე შერჩენა სურთ, ცდილობენ მწერლობის და გაზეთის შექმნას კენჭის ყრის მოსამზადებლათ და თავიანთი კანდიდატურის დასაცველათ...

ეს ახალი საქმე არ ჭრის და არც იმისთანა უმაგალითოა ქვეყანაში, რომ მისი გამოგონება დიდ ჭკუათ ჩაეთვალოს ამ პირებს. გაზეთების და მწერლობის მოქრთამვა და ყიდვა სტრუსბერგმაც კი მოახერხა. ამისთვის მარტო ფულის ქონება საჭირო მეტი არაფერი. „გამოცხადების“ დაპირებით პერსინიც კი შოულობდა გაზეთებს საფრანგეთში და ბეისტი აესტრიაში, და სამოცი თუმნით წელიწადში სამოცი ქების შესხმა ძნელი როდია. მაგრამ ამას ვკითხავ მე ყველას, ვისაც კი ჩვენი ქვეყნის სიყვარული გულში უდგია, საქმები საქმეა ჩვენს საზოგადოებაში და ჩვენს მწერლობაში ამგვარი ჩვეულებების შემოღება? ამით უნდა გამოდგომოდა ჩვენს ზნეობით ამალღებას ჩვენი ბანკების დაარსება, რომ პირველი ნაბიჯით ჩვენს მწერლობაში, ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციაში ნაპოლეონური ქრთამიანობა უნდა შემოეტანათ?

მწერლობა დიდი ძალაა. მართალია, მაგრამ ის მწერალი, რომელიც თავის კალამს იმისთვის იღებს ხელში, რომ საზოგადოებას თვალი აუხვიოს და კაი, შემოსავლიანი ადგილი იშოვოს, ჩაქოღვის ღირსია. ის მწერალი, რომელიც კალამს ხელში იღებს, თავის საკუთარ სინიდისს პირობას არ აძლევს, რომ არასოდეს, არავისგან არც ერთს ჯამაგირიანს ადგილს არ მიიღებს, ღალატობს თავის მკითხველ საზოგადოებას და თავის თავს ჰყიდის ფულათ, ჯამაგირათ. პატიოსანს მომქმედ პირს, რომელიც ჯამაგირიან ადგილზე საზოგადოებას პატიოსნათ ემსახურება და საზოგადოების საორგულო განზრახვა არა აქვს, სრულიადაც არ სჭირია მწერლობის ხელში ჩაგდება და მწერლობით სარგებლობა. იმას წინ წასწევს და დაიცავს მისი პატიოსნობა და მისი ერთგული შრომა. ვინც კიდევ სხვა იარაღს ეძებს, ვისაც სურს მოწინააღმდეგე ალაგმოს და მარტო მაქებრები შეიძინოს, ის ამით ამტკიცებს, რომ იმას ამოქმედებს ერთობ ვიწროთ გაგებული პირადი თავმოყვარეობა და იქნება არა თუ მარტო თავმოყვარეობა...

ან ესეც ვთქვათ, რათ და რისთვის სჭირიათ უფ. ბეს. ლოლობერიძეს და ილია ჭავჭავაძეს გაზეთის შექმნა, ახალის გინდ ძვე-

ლისა? განა იმათ არ ეყოფათ ის იარაღი, რომელიც ხელში აქვთ და რომლის ხმარება იმათ, როგორც ეტყობათ, კარგათ სცოდნიათ? განა საკმაო არ არის იმათთვის მომხრეების შექმნა „კერძობითი მოლაპარაკებით“ შეკენჭების მოთავეებთან? განა არ ეყოფათ მომხრეების შექმნა ახალგაზდობაში სეკრეტრების და სხვა ამგვარი ადგილების დარიგებით და დაპირებით? ცოტა გაუჩენია, განა, ღმერთს ამგვარი უწყენი „მოხერხება“? მცირედია განა ჯერ-ჯერობით ჩვენში საზოგადოების გულ-კეთილობა და კვალში ჩაუდგომლობა? რა საჭიროა ოინების ხმარება იმ საზოგადოებასთან, რომელიც უოინოთაც მარტო იმას ამბობს: „გაგვიშვით თქვენი ჭირიმიე, რაც გინდათ ის ჰქენით, თქვენ იცოდეთ და თქვენმა ნამუსმა, ოლონდ კი შინ გაგვიშვით მალეო, შინ ცოლ-შვილი გვეზოცებაო“! ამისთანა დანდობილ და დაუდევარ საზოგადოებასთან განა საჭიროა კიდევ ახალი იარაღების გამოგონება და ხმარება?

მე გამომითქვამს ეს ჩემი აზრი, გულწრფელათ და პირ-და-პირ. ეხლა ეს ორი შენიშვნა მინდა გამოვთქვა, რომელთაც საზოგადო მხრით მნიშვნელობა არა აქვთ. საზოგადო სიკეთის მხრით მე საენებელათ ვთვლი, ახალი გაზეთის დაარსებას კი არა, გაზეთის დაარსებას კენჭის ყრის გასამრუდებელათ. ეს პირველი ნაბიჯი, ჩემის მხრით, ბევრს სხვა ისეთებს გადაადგმევიწებს, „ბანკირების მწერლობას“, რომლითაც შესაძლებელია, რომ ჩვენი საზოგადო ზნეობა წაიბილწოს. მაგრამ პირადი ჩვენი სარგებლობისთვის კი დიახაც გამოსადეგი იქნება ბანკირების გაზეთის გამოცემა და აი რისთვის:

ჩვენ რომ ვებრძვით უფ. ბეს. ლოლობერიძისთანა პირებს, დღეს ისინი გაჩუმებული არიან. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ისინი გაჩუმებული არიან მარტო იმისთვის, რომ არც სათქმელი აქვთ რამე ხეირიანი, არც ხეირიანათ გამოთმა შეუძლიათ. მაგრამ საზოგადოებას კი ჰგონია, რომ ფილოსოფოსები არიან ეს პირებიო. თავიანთი გაზეთი რომ მაგათ ექნებათ, მაშინ გაჩუმება და წაყრუება როდილა გაუათ. მაშინ ყველაფერზე რამე უნდა თქვან; და მაშინ საზოგადოება თითონაც დაინახავს და ჩვენც დავანახებთ, თუ რა ფილოსოფოსები ბრძანდებიან ეს პირები. უკეთეს მათგანს, ილ. ჭავჭავაძეს რო არ მოუხდა ხმის ამოღება, სხვებს რალა ხეირი დაეყრება, ამა-საც ვნახავთ და მოვესწრებით. საუბედუროთ, მე რომ ამ პირების ხასიათი ვიცი, ნახავთ თუ ახალი გაზეთის გამოცემა მაგათ არ დაავიწყდესთ.

ერთი შენიშვნა კიდევ, იმ ასალგაზღვებზე, რომელნიც ამგვარ ვანზრახვას ეხმარებიან და ამგვარ საქმეებში ერევიან. ჩვენ იმათ საკმაოდ ვიცნობთ, და ამისთვის სასტიკათ არ გავსჯით იმათ მოქმედებას. ისინი სუსტნი არიან; თავიანთი ძალით და მოქმედებით იმათ არ შეუძლიათ გზის გაკაფვა საზოგადოების გრძნობისა და გულისაკენ. ამისთვის გასაკვირელი როდია, რომ ისინი სარგებლობენ მდგომარეობით და ევედრებიან სხვებს, რომელთაც, მათის აზრით, დღეს ცოტაოდენი შეძლება და ძალა აქვთ. ეს ყოველი სუსტი კმნილების ბედია, და ბუნების კანონიც იმას ითხოვს, რომ ყველაფერი რაც მსუბუქია, მიეზიდოს და მიეკრას მასზე უფრო მძიმესა და სხვილ საგნებს. ამათ შეცოდებაში დამნაშავეა მარტო ის ბუნება, რომელსაც ეს პირები მსუბუქ და სუსტ კმნილებათ გამოჰუტებიან.

უმიზნო პარტიობა

იმერეთის თავად-აზნაურობის კენჭის-ყრამ მარშლის ამო-სარჩევლათ ხელ-ახლავ დაგვანახა ჩვენ უმიზნო პარტიობის უშვე-რობა. მაგრამ ეს ახალი მაგალითი იმდენათ შესანიშნავია, რომ მასზე ორიოდ-სამი სიტყვის თქმა სწორეთ რომ ღირს.

ამ ათი-თორმეტი წლის წინათ იმერეთის მარშლათ იჯდა თ. ნესტორ წერეთელი⁷³. ჩვენ აქ იმ კითხვას არ შევვებებით, კარგი მარშალი იყო ის, თუ ავი, სასარგებლო თუ მავნებელი. საკმაოა ვთქვათ, რომ ამ მარშლის წინააღმდეგ გამოვიდა უფ. გიორგი ლო-ლობერიძე,⁷⁴ თავისი „პარტიით“, მაგრამ გამოვიდა თავისი სახელით კი არა, „ახალგაზდობის“ და „განათლების“ დროშის ქვეშ.

უფ. გიორგი ლოლობერიძე, და მის შემდეგ მისი ძმები, სა-ქვეყნოთ ჰყვიროდენ, რომ მთელს იმერეთში არ მოიძებნება ნ. წერე-თელზე უფრო მავნებელი და ავი პირიო: იმან ჩვენს ახალგაზდობაზე ცილის-წამება წარმოსთქვაო, განათლება შეაჩერაო და სხვ. და სხვ. სანამ ის იმერეთში მარშლათ იქნებოა, დალუპულია ჩვენი მხა-რეო. ათი წლის განმავლობაში ამას ქადაგებდენ ეს ვაჟბატონები, მაშასადამე ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ისინი თვითონ მაინც დარწმუნებული იყვნენ მასზე, რასაც საზოგადოებაში ავრცე-ლებდენ.

ჩვენის მხრით, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენებურს ძველს თა-ობაში ვინც გინდა აიღოთ, ნ. წერეთელი იქნება თუ ალ. შიქელაძე, გ. აგიაშვილი თუ პ. დადიანი — სახელები ჩვენ სამაგალითოდ მოგვ-ყავს — მათში დიდი და შესამჩნეველი განსხვავება არ მოიძებნება. ძველი თაობიდან თითქმის ყველანი იმგვარ გარემოებებში გამოზდი-ლი არიან, იმნაირ მდგომარეობაში დგანან, რომ საზოგადო საქმის-თვის მომეტებული ნაწილი ერთნაირათ გამოსადეგნი და ერთნაირათ უსარგებლონი იქნებიან... ამის გამო ჩვენის აზრით, ვინც უნდა იქ-ნეს მარშლათ, კარგი თუ ავი, სულერთია, ყველა ერთგვარათვე გა-მოსადეგი და უსარგებლო იქნება. ამ მოსაზრებით ჩვენ ვამტკიცებდით, რომ აქ არ ღირს პარტიობის გაჩენა, არ ღირს საზოგადოების

აღლევება, არ ღირს ახალგაზღვობის სახელის ხმარება არავისთვის, ვინც ამ პარტიობაში საკუთარს ანგარიშს არ ეძებს და პირადს მიზანს არ მისდევს.

ამ მოაზრების ძალით, ჩვენ სრულებით ერთი და იმავე თვალთ უყურებდით ყოველთვის სხვა და სხვა ვითომ — პარტიების წარმომადგენლებს, და ერთ და იმავე ნაირათ ვეპყრობოდით ყველა სამარშლო კანდიდატებს. საზოგადო საქმეებში ჩვენ ჩვენს მიზანს მივსდევდით, და თუ ძველი თაობიდან ვისმეს დროებით იგივე გზა ჰქონდა როგორც ჩვენ, ჩვენ მასთან ერთათ გავივლიდით რამდენიმე ნაბიჯს. არც ჩვენ მივსდევდით იმათ, არც ისინი ჩვენ მოგვსდევდნენ: ჩვენ მხოლოდ ხანდისხან გზაზე დროებით შევიყრებოდით და ორი-სამი ნაბიჯის გარდადგმის შემდეგ ისევ გავიყრებოდით. დასამდურებელი არც იმათ ჰქონიათ რამე ჩვენზე, არც ჩვენ — იმათზე.

მაგრამ როცა ჩვენ ორჯერ თუ სამჯერ ამგვარათ ერთს და იმავე გზაზე შეგვემთხვა შეხვედრა იმისთანა პირებთან, როგორც თ. ნ. წერეთელი, მაშინ უფ. ლოლობერიძეებმა სულის ამოხდენა მოგვინდომეს. „თქვენ ახალ თაობას ღალატობთო, გვეუბნებოდნენ ისინი, თქვენ ახალ თაობის უაღრეს მტერს, ნ. წერეთელს, გვერდში უდგებითო. ეს გახლდა, წრეულს ბანკის მმართველების კენჭის-ყრის დროს მათი უმთავრესი და უძლიერესი საბუთი ჩვენს წინააღმდეგ.“

ექვს კვირას არ გაუვლია მას აქეთ — შექსპირი იტყვოდა: ჩემკაც არ გაცვეთილავ — და ჩვენ ვხედავთ ახალს სურათს. იგივე ლოლობერიძეები გამობრძანდნენ მარშლის კენჭის-ყრის დროს იმავე ნ. წერეთლის მომხრეთ და მეგობრათ.

ჩვენ საძრახ საქმეთ იმას კი არ ვთვლით, ნ. წერეთელი რათ ამოირჩიეს-თქო. არა. ჩვენის აზრით, ამაში შეკენჭებებს არც შეცოდება უქნიათ, არც შეცდომა. ჩვენის აზრით თ. ნ. წერეთელს იმნაირივე სინდისიანობით შეიძლება ჩაუგდოს კაცმა თეთრი კენჭი, როგორც თ. გ. აგიაშვილს ან. თ. მ. წერეთელს. ჩვენ მართო იმას ვამბობთ, რომ ყველას ჰქონდა იმერეთში თეთრი კენჭის ჩაგდების უფლება თ. ნ. წერეთლისათვის, გარდა უფ. ლოლობერიძეებისა.

თუ თ. ნ. წერეთელი ამოსარჩევი და სამარშლო კაცი იყო გუშინ, გუშინ წინ რათ ბლაოდნენ უფ. ლოლობერიძეები, რომ ის ქვეყნის მტერი იყო? თუ გუშინწინ ის ქვეყნის მტერი იყო, რითი დაიმსახურა გუშინ წინის აქეთ ამ მტერობის შენდობა და დავიწყება? აი ეს უნდა აგვიხსნან უფ. ლოლობერიძეებმა, თუ ისინი პატიოსანი პირები არიან.

ცხადია, რომ, თუ იმათ ჩვენს საზოგადოებას ეს არ აუხსნეს, დამტკიცებული იქნება ორში ერთი: ისინი სტყუოდენ ან უწინ, როცა საზოგადოების წინ ამტყუნებდნენ თ. ნესტორ წერეთელს, ან გუშინ, როცა იმასვე ათეთრებდნენ იმავე საზოგადოების წინ. ორში ერთია: ან მაშინ უფ. ლოლობერიძეები უშვერი ცილის-მწამებელნი და ხალხის თვალის ამხვევნი იყვნენ, ან ეხლა საზოგადოების მოღალტენი არიან.

აი, ამგვარი „მტკიცე და ერთს გზაზე მავალი“ პირებისთვის იხეთქდით თავს, ჩვენო მეკენჭენო; ამ გვარის პირების სიტყვით და რჩევით აიძულდით მეზობელს და ნათესავს, მთელი თვეობით თქვენ საქმეს სცდებოდით, კიჟინობდით, ეწვალებოდით, და ამ მიზეზით იმერეთის თავად—აზნაურობას და ქუთაისის გუბერნიას მთელს რუსეთში „შფოთიანის“ სახელი უფარდებოდა! იმისთვის იხეთქეთ თქვენ თავი, იმისთვის მოიმღურეთ მთელი ქვეყანა, იმისათვის იწვალეთ და სახელი გაიტყებთ, რომ დაუბრუნდეთ დღეს იმავე მდგომარეობას, რომელიც ამ თორმეტის წლის წინეთ თქვენვე მზათ გქონდათ, მაგრამ თქვენვე დაშალეთ! თორმეტი წელიწადი იბრძოდით. წერეთლის წინააღმდეგ, როცა მასთან ბრძოლა არ ღირდა, და იბრძოდით იმისთვის, რომ ბოლოს იგივე ნესტორ წერეთელი იმავე მდგომარეობაში ჩაგეყენებიათ, რომელშიაც ის უწინ იდგა! ამას ჰქვიან, განა გონიერება, გამჭვრეტელობა და სიმტკიცე?

ეხლა მე მოგახსენებთ, რისგან სწარმოებს ამგვარი უთავბოლო და უტვინო მოქმედება.

მართალია, რომ სთქვას კაცმა, უფ. ლოლობერიძეებს ჩვენს ქვეყანაში არავითარი ძალა და გავლენა არა აქვთ. ისინი მხოლოდ ოსტატურათ და გაიძვერულათ სარგებლობენ მდგომარეობით და გარემოებით. როგორც კი დაატყობენ, რომ საზოგადოებაში ესა და ეს აზრი გავრცელებულიაო, კარგი იყოს ეს აზრი გინდ ცუდი, სასარგებლო გინდ მავნებელი ქვეყნისთვის, ისინი მაშინვე ამ აზრს და ამ მიმართულებას მიეკედლებიან, და იწყებენ წრიპინს და ჩურჩულს, აქაო და— ეს აზრი უნდა გავიყვანოთო, თორემ ჩვენ თუ არა, ეს აზრი არ გავაო. იმ ბუზის არ იყოს, რომელიც ზღაპარში ხარკამბექს ეხმარებოდა დატვირთული ურმის ზიდვაში, ეს ვაჟბატონებიც ბუზიან, დაჰფრინავენ ფაეტონებით, თითქო მართლა საქმეს არიგებდნენ. აზრი კი, რომელიც უიმათოთაც გასჭრიდა, იმარჯვებს, და მაშინ ლოლობერიძეები ყვირიან: „ჩვენ გახლავართო, ასე ვიცითო, ჩვენ რო არა, ქვეყანა იღუბებოდაო და სხვ.“ ამით გულკეთილი და გულწრფელი ხალხი რწმუნდება, რომ მარჯვე და მოხერხებული კაცები არიან ეს ლოლობერიძეებიო.

თ. ნესტორ წერეთლის ამორჩევის დროსაც ასე ყოფილა. ნესტორ წერეთელს უიმათოთაც ამოირჩევდენ, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. მაგრამ, რაკი ლოლობერიძეებმა დაატყვეს, რომ ნ. წერეთელს დიდი პარტია ჰყავსო და მაინც ამოირჩევენო, იმ წამსვე შეურიგდენ თორმეტი წლის მტერს და მოწინააღმდეგეს. ხომ აკ. წეთელზე უფრო მოძულეებული წინააღმდეგი არავინ ჰყავთ ლოლობერიძეებს? ხვალ რომ ცხადი იყოს აკ. წერეთლის, მარშლათ კი არა, ბანკის მმართველათ ამორჩევა, ხვალვე ეს ვაჟბატონები ბეს. ლოლობერიძეს მიატოვებენ, და აკ. წერეთელს მიუდგებიან. ისე ეშინიათ იმათ დამარცხების, ისე სურთ „დიდ რამეთ“ გამოჩენა საზოგადოების თვალში.

ეს კი უნდა იცოდეს ყველამ, რომ ის პირი ვინც ასე მსუბუქათ თამაშობს მიმართულებით და კენჭის-ყრიით; ვისაც ასე საშინლათ ეშინია დამარცხების და სურს ფუჭი და სავნებელი გამარჯვება, ეს პირი-მეტეი მოქმედებს უაზროთ, უმიზნოთ, მარტო პირადი სარგებლობის ან თავმოყვარეობის ძალით. ვისაც გულში უღვივის ნამდვილი სიყვარული სამშობლოსა და თავში დამყარებული აქვს ნათელი წარმოდგენა საზოგადო სარგებლობისა, იმას როდი უნდა ეშინოდეს დამარცხების: იმან კარგათ იცის, რომ სიმართლე თავისას მაინც გაიტანს, და დამარცხებული დღეს, ხვალ ან ზევ უსათუოდ გაიმარჯვებს.

ეტყობათ რომ უფ. ლოლობერიძეები ამგვარი პირები არ ყოფილან.

უკანო მაჭახელას

I

საოცარი ბედი დაჰყოლია ჩვენს მწერლობას: ისე დღე არ გაივლის, რომ ჩვენ ქართველებს, ახალი იმედი არ მოგვეცეს; მომღიმარი, სულის ჩამდგმელი, წელის-გამმართველი. გვეონია, აი, გვეშველა, როგორც იქნაო. მაგრამ ისე საღამო არ დადგება, რომ ისე იმედი ხელში არ გამოგვიღაყდეს, და მაცდურ სიზმრათ არ გადაგვექცეს...

ამნაირათვე გამოგვიღაყდა ჩვენ ის იმედი, რომელიც უფ. მაჭახელაძის⁷⁵ დაპირებამ გულში ჩავვინერგა. ათ წელიწადზე მეტია, რაც „დროება“ გამოდის. იმას ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი მომდურავი გასჩენია, ბევრი მტერი, ბევრი მძაგებელი. უეჭველია, რომ ამათ გარდა, იქნება სადმე, საქართველოს რომელსამე კუნჭულში, „დროებას“ ორიოდ-სამი მეგობარი ან მომადრიელებიც უნდა ჰყავდეს. მაგრამ არც მტერს და არც მეგობარს, არც მძაგებელს და არც მაჭებარს, ჯერ-ჯერობით ხმა არ ამოუღია რომ „დროების“ მიმართულება, ღვაწლი, ხასიათი და ნამყოფი ქარგათ თუ ავით გაესინჯოს, გაეზომოს, დაეფასოს და განემარტებინოს. ზოგი ერთს მცირედ სტატიას აიხირებდა, და იმის გულისთვის მთელს რედაქციას, ყველა მის თანამშრომლებს და სრულს მის შრომას უარ ჰყოფდა ან აძაგებდა. სხვას მეორე რომელიმე სტატია მოეწონებოდა, და ამის გულისთვის მთელი „დროება“ ზეცამდი აჰყვანდა. არავის კი აზრშიაც არ მოსვლია ერთიანათ, სრულათ საზოგადოთ ამ გაზეთის საზოგადო მიმართულება და სრული ღვაწლი ერთბაშათ და ხეირიანათ გაესინჯა.

მე, როგორც ბევრ სხვას, იმედი მომეცა, რომ ამ გვარს დაფასებას და გასინჯვას ველირსებოდით ჩვენ ეხლა, როცა უფ. მაჭახელაძემ „დროებას“ ჰკითხა, ნებას მომცემთ „დროებაში“ „დროებავე“ გაესინჯოო. მეგონა, უფ. მაჭახელაძე — რომლის ზოგიერთმა სტატიებმა ბევრს ჩვენში იმედი ჩაუდგა, რომ ჩვენს მწერლობას ერთი ახალი ნიჭიერი მწერალი მოემატაო, — გულდამჯდარათ და გონიერათ

გასინჯავდა „დროებას“, მის მწერლებს, მათ შრომას და მიმართულებას. კარგათ ვიცოდი, რომ ამ გასინჯვის შედეგი კომპლიმენტების გამოთქმა არ იქნებოდა, მაგრამ რა გინდ სასტიკი ყოფილიყო მისი კრიტიკა და მისი მსჯელობა, ქე მაინც დაინახავდა ჩვენი საწოგადობა რომ ამ გაზეთს, რომლის ცალ-ცალკე თაბახები ასე მალე ივიწყება და იკარგება, ერთი სული, ერთი გვამი და ერთი პირისახე ჰქონია, თუ ნიადაგ არა, ხანგრძლივით ხომ მაინც...

ეს იმედიც გამოგვიფშუტდა, როგორც სხვა ბევრი. ამგვარი გარჩევის და დაფასების მაგიერ, ჩვენ ხელში შეგვჩა სტატია, დაწერილი ჩემზე. ძალაუნებურათ ამ სტატიაზე და მამასადამე, ჩემზედ, ეხლა მეც უნდა ვთქვა რამოდენიმე სიტყვა.

II

ჯერ ერთი ეს, რომ ვინ მე, და ვინ „დროება?“ შართალია, მე ხშირათ მიწერია „დროებაში“, მაგრამ ყველამ იცის, და ვინც არ იცის, იმას „დროების“ რედაქცია დაარწმუნებს, რომ მე არასოდეს არ მქონია ხელში ამ გაზეთის რედაქტორობა. მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ, როცა უფ. ს. შესხი თბილისში არ ყოფილა, მე შემიდგენია რამდენიმე ნომერი ამ გაზეთისა. ჩემს საკუთარს მიმართულებას, ჩემს აზრებს „დროების“ რედაქციაში არასოდეს არ ჰქონია რედაქტორული ან შესამჩნევი გავლენა. ამნაირი გავლენა გაზეთში ჰქონდა, აქვს და ექნება მარტო უფ. ს. შესხს. მე „დროებას“ ყოველთვის ვკითხულობდი და ვკითხულობ ისე, როგორც თვით უფ. მაქახელაძეც, ესე იგი, გაზეთის დაბეჭვდის შემდეგ. მამასადამე, ყოველ სინდისიან მსაჯულის თვალში მე პასუხის მგებელი ვარ მარტო იმ სტატიებისა, რომელთ ქვეშ ჩემი სახელი ან ფსევდონიმი აწერია. ერთი სიტყვით, მე ვიყავი და ვარ ერთი უბრალო თანამშრომელი გაზეთისა, სწორეთ იმგვარივე, როგორიც ამ უკანასკნელ დროში თვით უფ. მაქახელაძეა. სინდისიანობა იქნება, ჩემის მხრით, „დროებაზე“ მსჯელობის გამოთქმა რომ მოვინდომო, და უფ. მაქახელაძეზე ვილაპარაკო, იმას „დროების“ მიმართულება მივაწერო და „დროებას“ მისი?

ვისაც ცოტაოდნათ უდევნებია თვალი ჩვენი მწერლობისათვის, იმან კარგათ იცის, რომ ძლიერ ბევრს აზრებში „დროების“ რედაქცია მე არ მეთანხმება, და მე „დროებას“ არ ვეთანხმები. ვისაც ეს არ ესმის, იმას ალბათ ორიოდ-სამი სტატიის მეტი არა წაუკითხავს რა, არც ჩემი ნაწერისა, არც „დროებისა“. ეხლა ვიკითხავ, გონიერებაა ამ გვარი ორიოდ-სამი სტატიის წაკითხვის შემდეგ მწერალზე და გაზეთზე აზრის შედგენა და მსჯელობის გამოთქმა? ეს, მკითხველო, თქვენ გასაჯეთ.

„დროებაში“ ამ ათი წლის განმავლობაში ძლებდენ მონაწილეობას იმისთანა მწერლები, როგორც აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, დ. მიქელაძე⁷⁶, ს. მესხი, — იშვიათი თანამშრომლები რომ არ მოვიხსენიოთ. ნუ თუ ამდენი და ამისთანა მწერლების შრომას ათი წლის განმავლობაში, ისე უნამყოფოთ და უმნიშვნელოთ ჩაუვლია, რომ ერთი სიტყვითაც არ უნდა მოხსენებულყო მათი ღვაწლი და ნაწერი იმ სტატიაში, რომელიც „დროებაზე“ სჯის გამოთქმას აპირებდა? ნუ თუ ხეირიან კრიტიკოსს არ უნდა დაენახა, რომ თითოეულ ამ მწერლებთაგანს თავისი საკუთარი კილო, თავისი საკუთარი ფერი და მიმართულება აქვთ, ისე, რომ არც ერთი მათგანი ჩემი სიტყვების გამმეორებელი და ჩემი მიმართულების გამვრცელებელი არ არის? გვიჩვენებს ეს გარემოება კრიტიკოსის გამჭრიაობას და მის საფუძვლიანობას? ეს ღმერთმა იცის.

მაგრამ იქნება მითხრან, უფ. მაჭახელაძეს „დროების“ მაგერათ თვითონ თქვენზე, ნიკოლაძეზე, უნდოდა ლაპარაკიო, და სწორეთ თქვენზე დაწერა სტატიაც, ისე მიიღეთო. არა. ჩემს, ლიტერატურულს წარსულში ვერც ერთი გონიერი კაცი ვერ დაინახავს, რომ მარტო „დროებაში“ მდგომარეობდეს ჩემი მიმართულება ან შრომა. მე მიწერია ბევრს სხვა გაზეთებში და გამოცემებში, და ვისაც სინდისიანათ ჩემი მოქმედების ან ნაწერის დაფასება ჰსურს, იმან ყურადღება უნდა მიაქციოს არა თუ მარტო „დროებას“, მაგრამ იმ სტატიებსაც, რომელნიც მე „კრებულში“, „Тифлисский Вестник“-ში⁷⁷ და ზოგიერთ სხვა გამოცემებში დამიბეჭდვინებია. ლიტერატურული შრომა ჭადი ხომ არ არის, რომ მისი ერთი ლუკმის დაღეჭით შესაძლო იყოს მთელი ჭადის გემოს გაგება. მაშასადამე თუნდ მარტო ჩემზე რომ იყოს დაწერილი უფ. მაჭახელაძის სტატია, მაშინაც ცხადია, რომ ახირებულ თვისებათ უნდა მივიღოთ კრიტიკოსში კაცის მწერლობის დაფასება მისი მარტო ორიოდ სტატიის წაკითხვის შემდეგ.

III

რასაკვირველია, რომ ამგვარი საფუძვლიანი დამზადებით კრიტიკოსს ხელი უნდა მიეწოდნა არა ჩემი ნაწერებისთვის, არა „დროების“ კოლექციისთვის, არამედ იმ იარაღისთვის, რომლითაც ამდენს ხანს ჩვენ გვებრძვიან ის პირები, რომელთაც არც მიმართულების გაგება შეუძლიათ, არც ნაწერის დაფასება, არც აზრების გაგება და დარღვევა. ჩვენი ახალგაზდა კრიტიკოსიც მივარდნია ჩვენს, ან უკეთ ვაქვათ, ჩემს პირად ცხოვრებას.

„მხოლოდ შორიდან რომ ვუყურებდი, მაშინ მჯეროდა ეს (კეთილი) სიტყვები, სწერს ის. მის მწერლობის მოქმედებას რომ დაეაკვირდი, ცოტა უფრო ახლოს რომ შეეხედე, მაშინ კი წინააღმდეგი ვსცანი“

დიდათ ვსწუხვარ, რომ უფ. მაქახელაძეს ამ სტრიქონების დაწერის დროს ან ვერ გაუგია მათი მნიშვნელობა, ანა და მკითხველების შეცდენა არ დაზარებია. საქმე იმაშია, რომ ყველა ჩვენი ცილისმწამებლებს, რომელთაც ძალა არა აქვთ ჩვენი აზრები დაარღვიონ და ჩვენ მიმართულებას რამე დააკლონ, ნიადაგ იმას იმეორებენ: „ესენი, მართალია, კარგათ სწერენ, მაგრამ რომ იცოდეთ რა კაცები არიან, ზიზღი მოგივათო!“ ამის თქმა უნდა უფ. მაქახელაძეს? თუ ამისი გამოთქმა სურდა, ის მაინც დაემატებია, სიმართლის გულისთვის, რომ იმას ახლოს ჩვენ არასოდეს არ უნახავართ, რომ ის ჩვენ სწორეთ იმდენათ გვიცნობს, როგორც თითოეული ჩვენი მკითხველი, ესე იგი, ჩვენი ნაწერებით, და არა პირადათ. პირადათ ხომ, ჩვენ არც კი გვინახავს ერთმანერთი. და თუ იმას ანგვარი ცილის-წამების მკითხველის გულში ჩანერგვა არ უნდოდა, მაშინ იმას თავისი აზრის დასამტკიცებლათ ორიოდე ჩვენი „მწერლური მოქმედება“ მაინც უნდა ჩამოეთვალა, ისეთი, რომელიც მის აზრს ამტკიცებენ, „აცნობებენ წინააღმდეგს,“ ესე იგი, ამტკიცებენ, რომ სიტყვით — ჩვენ საქართველო გვიყვარს, და საქმით კი — გვძულს. მგონია, რომ ამ აზრის დასამტკიცებელი იმას თავის სტატიაში არა მოუყვანია რა.

IV

უფ. მაქახელაძე სწერს შემდეგ:

„ამათ („დროების“ სულის-ჩამდგმელების) შორის ყველა იცნობს იმ კაცს, რომელიც თავის თაობას სახელს აძლევს, რომელიც დღეს დააყენებს ვინმეს თავის დროშის ქვეშ და ხვალ გააგდებს. ყველა იცნობს ამ „დიქტატორს“, მაგრამ ვინ იცის რამ დაუმსახურა მას ეს დიქტატორობა? რა არის მისი თვისება, რომელიც მას სხვის თავში აყენებს?“

პირველად არ არის, რომ მე ეს სიტყვა მესმის — დიქტატორია ნიკოლაძეო. მკითხველს იქნება ეს სიტყვა საშინელ დანაშაულობათ მიაჩნდეს, კაცის კვლათ ან ღვთის გმობათ. ამისთვის ავხსნი ამ სიტყვის მნიშვნელობას. დიქტატორს იმ კაცს ეძახიან, რომელსაც რომელიმე საზოგადოება ან ქვეყანა განუსაზღვრელ უფლებას აძლევს დროებით ან სანიადაგოთ: გვმართე, გვიბრძანე, გზა გვიჩვენე და

ჩვენ შენს სიტყვას ხმა ამოუღებლათ, უწინააღმდეგოთ ავასრულებ-
თო. მოხდება ხოლმე, რომ კაცი, რომელსაც კარგი და ძლიერი ჯა-
რი ჰყავს, და რომელსაც ეს ჯარი სრულიათ უჯერის, ძალათ ხდება
რომელიმე ხალხის დიქტატორათ. ნაპოლეონ პირველი ერთ ხანს
დიქტატორი იყო, გამბეტაც, გარიბალდიც. თვითონ დიქტატორობა
არც ცუდია, არც კარგია, თავის თავათ. მისი სიავე ან სიკარგე
გარემოებებზე ჰკიდია, კაცზე, საქმეზე, და არა მარტო დიქტატორო-
ბაზე. ფრანკლინიც დიქტატორი იყო, მაგრამ მის დიქტატორობას
მისი ქვეყნისთვის ავის მაგიერ ბევრი კარგი უქნია. მაგრამ მე აქ
სრულიადაც არ მინდა დავამტკიცო დიქტატორობის სიკარგე ზოგი-
ერთ შემთხვევებში და გარემოებაში. მე მარტო ის მინდა შევნიშნო,
ვინ მომცა როდესმე დიქტატორობა, ვინ რა დამიჯერა, ან ვინ შე-
იამჩნია დიქტატორობის სურვილი? ნუ თუ კრიტიკოსმა ბრიყველათ
უნდა გაიმეოროს, გამოუკვლევლათ სულელური სიტყვები, წარმო-
ქმული ორიოდ მაზინჯისაგან? მას აქეთია რაც ქვეყანა დაარსებუ-
ლია და მანამდი, სანამ ქვეყანა არ მოიშლება, ყოველთვის ყოფილა,
არის და იქნება, რომ ჰკუთას და სიმარჯვეს გავლენა აქვს იმათზე.
ვისაც ნაკლებათ აქვს ეს საუნჯენი. ათასი რომ იხტუნოთ, ამ ბუნე-
ბის კანონს თქვენ ვერ მოსპობთ, როგორც იმ კანონს ვერ მოსპობთ,
რომ დედა-მიწას მზე მიიზიდავს და მცირედ ბუნდლას — დიდი სა-
განი. მაგრამ ეს მიბრძანეთ, როდის ვთქვი მე, უსათუოდ ჩემ ჰკუთაზე
უნდა იაროთ-თქო, როდის მოვიწოდებ ამგვარი დიქტატორობის
ხელში ჩაგდება, ან რათ მინდოდა? ყოველი პატიოსანი კაცის მოვა-
ლეობაა ეცადოს გავლენა შეუძინოს და განახორციელოს ცხოვრება-
ში თავისი აზრი და მიმართულება. გლახაკი და უსუსურია ის, ვინც
არ ეძებს თავის აზრების გამარჯვებას და გაძლიერებას. მაგრამ ის
მიბრძანეთ, როდის და ვის მოვუბოვე ჩემს ჰკუთაზე სიარული, ვის
დავატანე ძალა ჩემს ამხანაგებში ან მოძმეებში? უამისოთ განა
დიქტატორობა იქნება?

დიქტატორობა რომ მსურვებოდა, განა ვისმე ნებას მიცემდი, რომ
„დროებაში“ ერთი სტრიქონი დაბეჭდილიყო ისეთი, რომელსაც მე
არ ვეთანხმებოდი? „დიქტატორი“ განა სხვის რაზმში ჩადგება რო-
დესმე, ან სხვის მიმართულებას დაემორჩილება? რათ ავიტანდი მაშინ
მე იმ მდგომარეობას, რომ „დროებაში“ ან „Тифлисский Вестник“-ში
ხშირათ იმისთანა აზრებს ავრცელებენ ამ გაზეთის რედაქტორები და
თანამშრომლები, რომელთაც მე სრულიადაც არ ვეთანხმები? „გლახათ
გიქნიაო, თუ დათანხმებულხარო,“ აი რა უნდა მითხრას ამაზე უფ.
მაკახელიაძემ, და რომ მითხრას, მართალს იტყვის. მაგრამ მე ამას

ვუპასუხებ, რომ როცა ჩვენი უთანხმოება რამე მძიმე საგანს შეეხებოდა ხოლმე, მე ძალას კი არაკაცს ვატანდი, დიქტატორულად, არა, თავს ვლუნავდი და კარში გავდიოდი: თქვენ იცით და თქვენმა აზრმა-თქო. და როცა მე ორჯერ მომიხდა ამ გვართ გაზეთის დატოვება, რამდენიმე ხნის განმავლობაში, მაშინ უკ. მაქახელაძისთანა საუფუძელიანი კრიტიკოსები გამოდიან და სწერენ: „უკეთესი დამტკიცება იმისა, რომ ნიკოლაძეს თავისი ქვეყანა არ უყვარს, ის არისო, რომ ის ხან შრომობს, და ხან განზე დგასო. როცა ქეიფი მოუვა, სწერსო, და როცა არა — მიყრუებულიაო.“ ეს ამიხსენით, თუ ღმერთი გწამთ, როგორ ათანხმებთ დიქტატორობას ამგვარ გამტყუნებასთან?

საკვირველ მდგომარეობაში ვარ მე სწორეთ, და სიცილის ღირსია ის სამღურავი, რომელიც მე ჩვენ ახალგაზდებისგან მესმის. როცა მე ვშრომობ და ვსწერ, ყველა გულხელ დაკრეფალია, ყველა იმას ყვირის: „ნიკოლაძე დიქტატორია, თავის მეტი ქვეყანაზე არავინ უყვარს, თავის მეტს ქვეყანაზე ადგილს არავის აძლევსო!“ არის ამაზე ერთი უშველებელი ლანძღვა და თრევა. მობრძანდით, ბატონებო, იშრომეთ, იმოქმედეთ, ქვეყანა დიდია, შრომის ველი ვრცელია, ადგილი და საქმე ყველას გვეყოფა. მაგრამ არა. ყველა იმას ყვირის ნიკოლაძე დიქტატორიაო. მაგრამ, როცა მოხდება, რომ ეს დიქტატორი რომელიმე მიზეზის გამო თავის ასპარეზს და მოქმედებას სტოვებს, მაშინ ერთბაშათ სხვა ხაირი ლანძღვა და ლაღადი ისმის: „ნიკოლაძე მოლაღატეა, ამისთანა საჭირო საქმე მიატოვა, ნიკოლაძე მხდალია, საქმეს გაეჭვა! ნიკოლაძეს საქმის სიმტკიცე არა აქვს!“ და სხვ. და სხვ. და სხვ.

თუ მე მართლა დიქტატორი ვარ, თქვენ კი არ უნდა მლანძღვდეთ საქმის მიტოვებისთვის, უნდა გახარებული იყოთ და უნდა მემადლიერებოდეთ, რომ ქვეყანა ჩემისთანა დიქტატორისაგან განვათავისუფლეთ. თუ ჩემი შრომა საქმეს აკლდება და საქმისთვის გამოსადევია, დიქტატორი ვიყო მე, გინდ უბრალო გულ-ლბილი მშრომელი, თქვენ უნდა გიხაროდეთ, როცა ვშრომობ, და არ უნდა მდევნიდეთ შრომისათვის. ყოველს შემთხვევაში ერთ გზას მაინც უნდა დაადგეთ. ან იმისთვის უნდა მკიცხავდეთ, რომ ვშრომობ, ან იმისთვის, რომ არ ვშრომობ. ორივე შემთხვევაში გაკიცხვა კი, უეჭველია, თქვენს საკუთარს გონების დაუდგომლობას გვაჩვენებს, და სხვას კი არაფერს.

უფ. მაქახელაძეს, როგორც თვითონ, ის სწერს, ვერ გაუგია ის ნაწილი ჩემი „სალამისა“, სადაც მე ამ გარემოებაზე განგებ ნისლიანათ ვსწერდი. მაშ აუხსნი.

საქმე იმაში იყო, რომ ზოგიერთ ყმაწვილებს, რომლების აზრს „დროების“ რედაქცია (და არა მე) ერთობ აფასებდა, არ მოსწონდათ ჩემი თანამშრომელობა „დროებაში“.

რისთვის არ მოსწონდათ, რით, ეს ღმერთმა და იმათმა სინდისმა იცოდეს. საქმე ისე წავიდა, რომ ან მე უნდა დავრჩენილიყავი „დროებაში“ — და მაშინ „დროება“ მათ სიმპატიას დაჰკარგავდა, ან ისინი — და მათთვის ჩემი თანამშრომელობა სათაკილო იყო. დიქტატორი, რასაკვირველია, იტყოდა: ფეხზე მკიდია ის ყმაწვილებიო, და ძალით დარჩებოდა. მე კი ვარჩიე თავის დანებება და განზე გადგომა. ეს არის განა დიქტატორობა? — რათ დატოვეო? მკითხავს უფ. მაჭახელაძე; თუ შენ შენი ქვეყნის სამსახური გინდოდა, შენ მოვალე იყავიო შენს ადგილზე დარჩენისაო.

მართალიხ, მაგრამ მე არა მგონია, რომ ერთს კაცს, რა გინდ კარგი და ჩინებული იყოს ის, მსხვერპლათ უნდა მიეცეს მთელი ახალგაზღობა ან მისი უკეთესი წარმომადგენლები. მე დიდი იმედი არა მაქვს ჩვენი მამულის მომავლისა, მაგრამ ის კი მტკიცეთ მრწამსს, რომ ჩვენი მდგომარეობა, ჩვენმა ახალგაზღობის მტკიცე შეერთებულმა შრომამ უნდა გაამჯობინოს... ამ შეერთებულ შრომის სიმტკიცისათვის საჭიროა რომ შიგ შინაგანი უთანხმოება და განხეთქილება არ არსებობდეს. იყო დრო, როცა მე მეგონა, რომ ჩვენს ახალგაზღობაში შესაძლებელი იყო ამ დროითვე ამგვარი შეერთების დაფუძნება. ამ იმედით დავიწყე შრომა ჩვენს მწერლობაში, ამ იმედით ვსდევნიდი მე ყველაფერს, რაც ამ შეერთებულს შრომას შემდეგში, ჩემის აზრით, გზაზე მოწინააღმდეგეთ უნდა დახვედროდა. მაგრამ ეს შეერთება კი მაინც ვერ მოხერხდა. ყველანი იმას მიყვიროდა, მაშინ, რომ ამ შეუერთებლობის მიზეზი შენი დიქტატორობააო. აი ამ მიზეზით მივატოვე ჩვენს მწერლობაში შრომა, და ვთქვი: — ბატონებო, რადგანაც ჩემი პიროვნება ამისთანა ჩინებულ საქმეს უშლის და აბრკოლებს, მე ჩემი თავი ფეშკაშათ მომიბრთმევია, განზე გავდგები და სიტყვას გაძლეეთ თქვენ წინააღმდეგად ჩემ დღეში არ შევიქნე, ოღონდ კი შეერთდით და რამე ვაარიგეთ-ოქო. როგორ ჰგონია უფ. მაჭახელაძეს, ასე მოიქცეოდა. დიქტატორი, ან ცუდი მოქცევა იყო ეს ჩემის მხრით?

გავიდა ორი წელიწადი, მე ჩემთვის ვიყავი, არაფერში არ ვერეოდი და მარტო-ხელათ ვშრობდი ხან შინ, ხან გარეთ; ხან სულ არაფერს არ ვშვრებოდი. შედგა მაშინ ის „შეერთება“ რომლის დაუარსებლობას ყველანი მე ბაბრალეზდა? ვარიგდა რამე? წავიდა წინ ჩვენი მწერლობა და გაძლიერდა მისი გავლენა?

იმ პირებმა, რომელნიც ჩემს პიროვნობას აბრალებდენ უწინ „შეერთებული შრომის“ დაუარსებლობას, მითხრეს, სჯობს ხელ-ახლავ და უწინდლურათ ერთათ მიუუდგეთ საქმესო, რაც იყო იყო. . და მე ხელ-ახლავ უდელში გავები. ეს იყო გამოთქმული ჩემს „სალამ-ში“, ასე გაიგო „სალამი“ ყველამ, ვინც ცოტაოდნათ მაინც იცნობდა ჩვენი მწერლობის გარემოებებს. თუ ეს უფ. მაქახელაძეს ვერ გაუგია, ეს იმას ნიშნავს, მარტო, რომ ის ბრძნულათ სჯის იმისთანა საგანზე, რომელსაც ერთობ ცოტათ და ერთობ შორილამ იცნობს, თუმც კი ამბობს, „ახლოდამ გავიცანიო“.

V

— რამ დაუმსახურა მას (ნიკოლაძეს) დიქტატორობაო, ჰკითხულობს უფ. მაქახელაძე, რა არის მისი თვისება, რომელიც მას სხვების თავში აყენებსო? და აქვე პასუხათ იძლევა იმ გარემოებას, ვითონ მე „არ შემიძლია ბრძოლა, თუ კი პირადი მოწინააღმდეგე არ მეყოლა“. ბრძნული და ფონიერი ახსნაა ეს, მაშ რა დარღუბალაა! ვის შეუძლია ბრძოლა, თუ მოწინააღმდეგე არ ეყოლა, რასაკვირველია, პირადი ესე იგი ხორცშესხმული? დონკიხოტის მეტი წისქვილებს ბრძოლაში ვინ შეებმება? შეჰკვლია, აქ უფ. მაქახელაძეს სიტყვა „პირადი“ სხვა აზრით უხმარია, იმიტ, რომ ლიტერატურაში მე ვებრძვი მარტო იმ პირებს, ვისთანაც კერძო-ცხოვრებაში რამე უსიამოვნება მომსვლია. ასე ფიქრობს უფ. მაქახელაძე? თუ ასე ფიქრობს, ვერ გამოუჩენბა მას მწერლური სინდისიანობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გამოუტყვევლათ და უსაფუძვლოთ კაცმა მწერლობაში არაფერი სჯა არ უნდა გამოთქვას.

ჩემს მწერლობაში მე ვის არ შევეტაკებივარ? ჰკითხეთ, აბა, უფ. მოსე ქიქოძეს, ანტონ ფურცელაძეს, გ. იოსელიანს, სიტოვსკის, სცეპურას, კოკორევის, კატკოვს, და ასიოდე სხვებს, მქონდა მე მათთან რაიმე პირადობა, სანამ მე იმათ მწერლობაში შევეტაკებოდი? ბეს. ლოლობერიძე რომ მაგალითად მოჰყავს უფ. მაქახელაძეს, განა მე და იმას გასაყოფი რამე გვექონდა, ან ერთს ალაგს ვეძიებდით მე და ის, ან ერთ ქალს ვყვარობდით, ან ერთს რთახში ვერ მოვთავსდით? არა. მე შევეტაკე იმას, აგრეთვე როგორც ყველა სხვებს, მარტო იმისთვის, რომ არ მომწონდა ან მისი აზრი, ან მისი მოქმედება საზოგადო საქმეებში. ამას პირადობას მარტო უმეცრები უძახიან, და ყოველი ცოტა-ოდენათ გონება გახსნილი კაცისათვის კი ამაში სწორეთ იმოდენა პირადობაა, რამდენიც დობროლიუზოვს ბეზობრაზოვთან და კოკორევთან ჰქონია, ან ბელინსკის — სენკოვსკისთან და ბულგარინთან.

ნუ თუ კრიტიკოსს ამებების ახსნა სჭირია? ნუ თუ იმან თვითონ არ უნდა იცოდეს, რომ მწერლობაში პირადობა მარტო იმას ჰქვია, როცა მწერლური სჯის გამოთქმის მიზეზი, მიზეზი და საფუძველი პირად ანგარიშებში და პირად მტერობაში მდგომარეობს? ნუ თუ თვითონ იმან არ უნდა იცოდეს, რომ როცა ლასალი შულცე დელიჩს ან იულიან-შმიტს დაუზოგველათ ტყავს ართმევდა, არც ერთს გონიერს კაცს მის ნაწერში პირადობა არ დაუნახავს? მართალია, მე ლასალის ტალანტი არა მაქვს, მაგრამ ღვთის მადლით არც ბესარიონ ლოლობერიძეს აქვს შულცე-დელიჩის ჰკუა და სიმტკიცე; მაშასადამე ჩვენი მდგომარეობის შედარება სიმართლის გამოხატ როდი უნდა ჩაითვალოს. მაშ ვკითხულობ, რა საფუძვლით დაუწერია უფ. მაქახელაძეს, ვითომ მე მარტო მაშინ შემიძლია ბრძოლა, როცა პირადი მოწინააღმდეგე აღმიჩნდება?.

რამდენათ საფუძვლიანია ეს სჯა, ამას ჩვენ მეორე მოაზრებაც გვიჩვენებს. თუ ბიჭია და მიმითოთოს უფ. მაქახელაძემ ვინ გამობრძანდა ჩემს მოწინააღმდეგეთ და ვის შევები მე ბრძოლაში ისე, რომ ეს ბრძოლა პირველათ ჩემგან არ ყოფილიყოს დაწყებული და მე ჩვითონ არ შევტაკებოდე პირველათ სხვას, და არა სხვა — მე. ორი მაგალითი მახსოვს მე ამგვარი, მარტო ორი: ერთი უფ. ილია ჭავჭავაძის, რომელიც ყველამ იცის, რამ ალაპარაკა, და მეორე თვით უფ. მაქახელაძის. მაგიერათ წინააღმდეგ მაგალითებს მე ასობით ჩამოვთვლი, თუ გნებავთ. ნუ თუ გონიერი მსაჯულის თვალში ეს იმას უნდა ნიშნავდეს, ვითომ მე მარტო პირადი მოწინააღმდეგის შოვნა მიწვევს ბრძოლაში?

VI

ერთი მაგალითი კიდევ მოჰყავს უფ. მაქახელაძეს: რატომ ნიკოლაძე ბრძოლაში არ შეება იმ ბროშურის დამწერს, რომელმაც, 1872-ში, საქართველოს მომავალზე ცუდი სჯა გამოთქვაო?⁶

ერთი ეს, რომ ჩემთვის არაკაცს არ მიუთვისებია ლიტერატურული გლადიატორობის როლი... მეორეც ეს, რომ 1872 წლის განმავლობაში მე ორი სტატიის მეტი არც კი დამიბეჭდია „დროებაში“. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. უმთავრესი გარემოება და მიზეზი აი რაში მდგომარეობდა.

ამ კითხვაზე ჩემი აზრი არ ეთანხმება „დროების“ რედაქციის აზრს და საზოგადოთ იმისთანა ჩვენი ახალგაზნდების აზრს, როგორც თვით უფ. მაქახელაძეა. მე რომ გულ-წრფელათ ჩემი აზრი გამოვთქვა ამ საგანზე, მგონია, რომ „დროების“ მიმართულებას ეს

უფრო მეტს ზიანს მოუტანს, ვინემ ის ბროშიურა, რომელიც დამახსოვრებია უფ. მაქახელაძეს. ამის გამო მე არ მსურს ამ საგანზე სჯის გამოთქმა, არ მსურს იმიტომ მარტო, რომ ამით დახმარება მიეცემა ჩვენი ქვეყნის მოწინააღმდეგეებს და ძალა მოაკლდება ჩვენი ქვეყნის ერთგულ შვილებს... მაგრამ ვერაფერი ძალა ქვეყანაზე ვერ გამომათქმევინებს მე ისეთს აზრს, რომელიც ჩემს გულში და გონებაში მკვიდრათ არ არის დამყარებული. ამ მიზეზით მე ამ მწველ საგანზე სრულებით არაფერი არ ვთქვი, არც ტყუილის თქმა ვისურვე, არც სიმართლის თქმით მოვინდომე ჩემი მოძმეების გულ-წრფელი აზრის დამცირება.

ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომ მე იმ ბროშიურას ვეთანხმებოდე, სრულიადაც არა. ამ საგანზე მე სრულიად სხვანაირი აზრები მაქვს, რომელიც არც იმ ბროშიურის დამწერს ეთანხმებიან, არც „დროების“ აზრს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ საზიანოთ დავინახე ჩვენი ახალგაზდობისათვის ჩემი მხრით ამ ბრძოლაში გარევა. ამ აზრის ნათლათ გამოხატვა მე არ მსურს. თუ შეუძლია ჩვენს კრიტიკოსს ამ ბურუსში ჩემი აზრის გაგება, ხომ კარგი. თუ არა და, ჯერ ისწავლოს ბნელათ გამოთქმული აზრის ნათლათ გაგება და მერმე ლაპარაკი დაგვიწყოს.

VII

უფრო ნათლათ გამოვთქვამ იმ მდგომარეობას, რომელშიაც მწერალი ხანდისხან საჭიროთ არ სთვლის თავის აზრის გამოთქმას. აი მაგალითად თუნდა ის კითხვა ავიღოთ: სად უნდა შრომობდეს ჩვენებური ახალგაზდა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა უყვარს.

ამ კითხვაზე „დროებას“ ხშირათ გამოუთქვამს თავისი აზრი, აკ. წერეთელს — თავისი, უფ. მაქახელაძესაც და უფ. პეტრიაშვილსაც. მე არ მინდოდა ამ საგანზე რამე დამეწერა, ამიტომ რომ ნამდვილ და საჭირო კითხვათ ეს საგანი არც კი მიმაჩნია. მაგრამ ეხლა, სამაგალითოთ, გამოვთქვამ ჩემს შეხედულებას, რადგანაც უფ. მაქახელაძეს ამ შემთხვევაშიაც ჩემზე სჯის შედგენა ნდომებია.

ჩემი აზრით მთელი ჩვენი ახალგაზდობა და მთელი ჩვენი ქართველობა ორ ნაწილათ გაიყოფა. უმრავლესობას მარტო ერთი მიზანი და მიდრეკილება აქვს: თავისი კერძო ცხოვრების, თავისი კერძო სარგებლობის დაცვა და ძიება. „ჯერ თავო და თავოო, მერე ცოლო და შვილოო“, ეს არის ამ უმრავლესობის სახარება. მეორე ნაწილი, ერთი იოტის ტოლა, იმისთანა პირებისაგან შედგება, რომელთაც საკუთარ სარგებლობაზე უმალ საზოგადო სიკეთე და მამულის სიყვარული მიუძღვისთ. ჩემი აზრით სადაც უნდა

ცხოვრებდეს უმრავლესობის წევრები — სულ ერთია: ქვეყანას და საზოგადოებას იმათგან არავითარი ხეირი არ მოეღოს, გინდ შორაპანში იცხოვრონ, გინდ პარიჟში. ყველგან და ყოველთვის ესენი მუქთი მჭამლები და უხეირო წევრები იქნებიან თავიანთი ქვეყნისათვის. სწორეთ ამნაირათვე, სადაც უნდა იცხოვროს ან იმოქმედოს მამულის მოყვარე პირმა, ჩემის აზრით, ყოველგან სასარგებლო იქნება თავის ქვეყნისათვის, თუ კი, სურვილის გარდა, იმისთვის ბუნებას ნიჭი, ცოდნა და ძალა მიუნიჭებია. რითიმე, როგორმე ყოველგან მოუტანს ის ხეირს თავის ქვეყანას, აქ იყოს გინდ სტამბოლს, გინდ მადრიდს. სიბრიყვეა, ერთი რომელიმე ურიგო და უნიჭო კაცი თფილისის მოედანზე უსარგებლოთ დაეთრეოდეს, და თან ვინმე მშრომელს და ხეირიანს პირს, რომელიც პარიჟის ბიბლიოთეკაში შრომობს, მამულის უსიყვარულობას აბრალებდეს მართო იმისთვის, რომ საქართველოში ჩემსავით უსარგებლოთ რატომ არ დალოლიალობსო. სადაც გინდათ იშრომეთ, სადაც გსურდეთ ისწავლეთ, რაც გინდათ ჰქენით, ოღონდ კი თქვენი მამული გიყვარდეთ, ოღონდ კი მის სასარგებლოთ იშრომეთ, ოღონდ კი მისი მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, მისი სახელის გადიდებაზე მისი კეთილდღეობის მოახლოებაზე იმეცადინეთ. ეცადეთ გონიერი, სწავლული, ძლიერნი, და პატიოსანნი გამოხვიდეთ, და მართო ამითაც შეგიძლიათ საქართველოსთვის ხეირის მოტანა, მართო იმით, რომ სხვებს ვაგება მაინც ექნებათ, რომ საქართველო სადმე არსებობს, რომ მასში კაცები ცხოვრებენ, და არა ველური მხეცები, როგორც ეხლა მთელს ევროპას ჰგონია. მართალია, ჩვენი ქვეყნისთვის ის უფრო ემჯობინება, რომ მისი ჩინებულათ ნასწავლნი და დახელოვნებული შვილები მასშივე შრომობდნენ, დანარჩენ მის შვილებს პირ-და-პირ ეხმარებოდნენ, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მე ოც-და-ათს შინაურს უმეცარს ერთი „გასული“ ნასწავლი მირჩევნია. სხვა რომ არ იყოს რა, ჩვენებური კაცი, კაცი რუსეთში პროფესორათ გამხდარი, ერთს ჩვენებურ სტუდენტს ხელს მაინც გაუწყობს, ერთს ჩვენს ყმაწვილს მაინც დაიფარავს და შემწეობას მისცემს თავის გავლენით...

ეს გახლავს ჩემი აზრი ამ საგანზე. როგორ ჰგონია უფ. მაჭახელაძეს, დიქტატორი რომ ვიყო, დაეაბეჭდვინებდი, ამის შემდეგ, „დროებაში“ იმ ალაგს მის პირველ სტატიისას, სადაც ის წინააღმდეგ აზრებს ავრცელებდა? ხომ არა? მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ როგორიც უნდა იყოს ჩვენი აზრი, წინააღმდეგ გულწრფელს აზრის გამოთქმა არ უნდა აღუჯკრძალოთ, თუნდ იმისთვის, რომ მართალი აზრი თავისას ბოლოს მაინც გაიტანს...

VIII

უფრო შესამჩნეველ და მძიმე შეცდომას გამოთქვამს უფ. მაჭახელაძე, როცა ის ჩემი „სალამის“ ერთი აზრის წინააღმდეგ სწერს, ვითომ ჩვენი ქვეყნისთვის მარტო ქართულ ენაზე მწერლობით შეუძლია კაცს მოუტანოს სარგებლობაო. ეს კითხვა ჩემის აზრით ერთობ შესანიშნავია, და ამიტომ საჭიროა, რომ ორიოდ სიტყვა ამაზედაც ვთქვა.

ჩვენი ქვეყნის ბედი რუსეთთან არის შეერთებული. გარემოებამ ასე მოიტანა... ჩვენი ხალხი სცხოვრობს რუსეთის კანონს ქვეშ, რუსეთის მმართველობის განკარგულების ქვეშ. მგონია, ეს უეჭველია. მე როდი ვსჯი, იმას ვამბობ, რაც არის... ვინ სწერს და სცემს კანონებს, რომლითაც უნდა იმართებოდეს ჩვენი ქვეყანა? ვინ ირჩევს იმ პირებს, რომელნიც ამ კანონებს უნდა ასრულებდენ, და ჩვენს ქვეყანას უნდა მმართველდენ? რუსეთის მთავრობა, ესე იგი, რუსეთი. ნუ თუ სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისთვის, რომ რუსეთმა არ იცოდეს ჩვენი მდგომარეობა? ნუ თუ საჭირო არ არის, რომ ღირსეული აზრი ჩვენზე შეადგინოს არა თუ მარტო რუსეთმა, მაგრამ მთელმა ევროპამაც? მაშასადამე ნუ, თუ საჭირო არ არის, რომ ქართველები სწერდენ რუსულ და ევროპიულ ენებზე, აგებინებდენ რუსეთს და ევროპას ჩვენს ხასიათს, ჩვენს მდგომარეობას, მიმართულებას, სურვილს, ღზინას და დარდს?

კაცმა რომ თქვას მარტო რუსულ ან მარტო ევროპიულ ენებზე უნდა ვსწეროთო, ქართული კი სრულიად მივატოვოთო, — ეს, რასაკვირველია, სიბრძნევე იქნება. ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი ქვეყნის მოყვარეთაგან ორგვარ შრომას მოითხოვს. ერთის მხრით ჩვენ უნდა ვშრომობდეთ თვითონ ჩვენი ხალხის გასანათლებლათ, მისი გონების გასახსნელათ, მისი ხასიათის გასამაგრებლათ. უეჭველია, რომ ამგვარი შრომა მარტო ქართულს ენაზე შეიძლება. მაგრამ ამასთანავე ჩვენ ვე უნდა ვშრომობდეთ რუსულს და სხვა ენებზედაც, იმ აზრით, რომ სხვებს ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი საჭიროება, და სურვილი გავაცნოთ. ეს უკანასკნელი შრომა ყველასთვის, ვისაც კი ცოტაოდნათ ესმის პოლიტიკური სცხოვრების მოთხოვნილებებო, თითქმის იმდენათვე აუცილებელი და საჭიროა, როგორც პირველი.

საშინლათ მიკვირს, რომ ამისთანა უბრალო ქვეშაობების გამოთქმა სჭირდება ჩვენში კაცს, და სჭირდება არა უმცარი ხალხის დასაჯერებლათ, არამედ ნასწავლი და ნამუშავერი პირების გონებაში ჩასადგებლათ. მე მეგონა, რომ მარტო ჩინეთში შესაძლებელი იყო ისეთი პირების მოძებნა, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ მათი ქვე-

ყანა დედა - მიწის კიპიაო, რომ ჩინეთლები დანარჩენ ქვეყანასთან არავითარ საქმეს არ უნდა იჭერდნენ და დანარჩენ ხალხებისგან ჩინური კედლით უნდა განიყოფებოდნენო. მაგრამ ეხლა, როცა ჩინეთშიაც გონიერი პირები ამ აზრის შეცდომაში დარწმუნდნენ, ჩვენში გამოდიან ნასწავლი ყმაწვილები, რომელნიც ამგვარ ჩერჩეტი აზრების ქადაგებას როდი თაკილობენ...

IX

ეს ჩვენი ბაასი ერთობ გაკვიანურდა. ამისათვის მე აღარ შევეხები მრავალგვარ წვრილმან შეცდომებს, რომლითაც ავსებულა უფ. მაჭახელაძის სტატია. მინდა მარტო ერთს შენიშვნას მივაქციო მკითხველის სრული ყურადღება.

ორ წყებათ გაიყოფება ეხლა ჩვენში მოქმედი პირებიო, ამბობს უფ. მაჭახელაძე: ის პეტიკობს ჩვენზე და ჩვენ მოწინააღმდეგეებზე. რომელი წყება სჯობიაო, რომელს მიუდგეთო, პკითხულობს ის.

დიახაც ასე უნდა ეკითხა ყოველს გონიერს და სინდისიანს კაცს. ცხოვრება წინ მიდის. უწინდელურ ძილისა და დაყრუების მაგიერ, ჩვენს ქვეყანაში ველირსეთ ბოლოს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ველირსეთ საზოგადოების მხრით ყურადღების მოქცევას, ველირსეთ ბანაკების ანუ პარტიების დაარსებას, ბრძოლას და სხვა და სხვა გვარი მიმართულების შეტაკებას. თვითონ უფ. მაჭახელაძეს შეუძინებია, რომ ერთს მიმართულებას თვისება აქვს მტერს პირ-და-პირ უთხრას შენი მტერი ვარო, პირ-და-პირ მტრულათ შეეტაკოს, თავისი თავის და წინააღმდეგის დაუზოგველათ. მეორეს - კი, თვისებათ ისა აქვს, რომ მტერსა და მეგობარს ექალაჩუნება, მართლის თქმას ვერ უბედავს, არა თუ პირ-და-პირ წინააღმდეგობას. სხვა რომ არა იყოს რა, ვანა ეს ორი თვისება საკმაო არ არის ამ ორივე პარტიის ზნეობითი ხასიათის გასაცნობელათ? მაგრამ უფ. მაჭახელაძეზე უფრო გამჭრიახ და გამოცდილ კაცს ბევრი სხვა უფრო შიშიმე თვისებების და განსხვავების დანახვა შეეძლო ამ ორ პარტიაში...

როგორ გარდაუწყვეტია, ეხლა, უფ. მაჭახელაძეს, თავისი კითხვა — ვის მიუდგე, ვის ვეწინააღმდეგო ამ ორს პარტიაშიო? ისე, როგორც სწყვეტდა ამ გვარ კითხვას ყოველი უხასიათო ბურჟუაზისი აზრით ყველას ის ემჯობინება, რომ ორივესთან კეთილი განწყობილება დაიკავოს, ორივესთან დარჩეს, ორივეს სიკეთით ისარგებლოს და ორივეს სიავეს ასცილდეს. ეს გახლავს ლაყს ჭკუაზე „მარცხენა ცენტრის“ გავლენა...

ამ გვარი თეორიით, მართალია, პარტიში ტარქემ ელჩობა იშოვნა და ფილონმა — მინისტრობა, მაგრამ ნამდვილს გავლენას თავის საზოგადოებაზე ვერასოდეს ვერ შეიძენს ის პირი, ვინც ამნაირ ქანქალს დაეჩვევა. ამ საქციელით მარტო პირადი კეთილ-დღეობის „დამსახურება“ შეიძლება, და არა საზოგადო სარგებლობისა ან საქვეყნო გავლენისა. ამის დასამტკიცებლათ თეორიულათ ავუხსნი უფ. მაქახელაძეს ჩემს აზრს.

ქვეყნის და ხალხის ცხოვრებაში „პარტიობა“, — როცა ეს პარტიობა აზრების უთანხმოებაზედ და საზოგადო მიზნის წინააღმდეგობაზეა დამყარებული მეტის-მეტათ სასარგებლოა, ორი მხრით: ერთი, მითი რომ მოწინავე პირების ბრძოლა ხალხს აჩვენებს აზრების გაგებას, შეთვისებას და შეყვარებას. მეორე მით, რომ მოწინავე თავების შეტაკების დროს თვითონ სადავო აზრი სწორდება, უმჯობესდება და ღრმავდება. როცა ორი აზრი ერთმანეთს ებრძვის, ორივეს, რასაკვირველია, თავ-თავისი მომხრენი ეყოლება. მაგრამ მათი შეტაკების დროს ორივე ეს აზრი შალაშინდება, და თითოეულს მათგანს ათას ჯერ უფრო მეტი გამგები და მომხრე შეეძინება, ვინემ იმ დროს, როცა ეს აზრები შეუტაკებლათ მათი გამომგონის ჭკუაში იმყოფებოდნენ. ეს ცხადია, მგონი.

ამ აზრების შეტაკებას ქვეყნისთვის არასოდეს არ შეუძლია ვნების მოტანა, ამიტომ რომ ხალხი მარტო იმას მიიღებს ამ აზრებიდან, რაც მის ჭკუას, გარემოებას და მდგომარეობას ეთანხმება ან მოუხდება. თითოეულ აზრს, მართალია, რამოდენიმე მომხრე აუჩნდება. არა აზრის სისწორის გულისთვის, მაგრამ იმისთვის, რომ ეს აზრი ჩემმა ნათესავმა, მეგობარმა ან მწყალობელმა გამოთქვაო. მაგრამ ამ გვარი მომხრეების რიცხვი ყოველგან და ყოველთვის მცირეა. ხალხში კი აზრი მარტო მაშინ ვრცელდება ან ძლიერდება, როცა თვითონ აზრი სწორი და სასარგებლოა. და ორი აზრის შეტაკება სწორეთ იმიდია სასარგებლო, რომ ხალხს ამით უადვილდება მათი შედარება და მათგან უკეთესის გამოჩვენება ან მითვისება.

ხშირად ისიც მოხდება, რომ არც ერთი აზრი არ არის სრულათ საფუძვლიანი, ანა და ორივეში ცოტაოდენი სიმართლე იპოვება. ხალხის ცხოვრებაში მაშინ ის მოხდება, რომ ხალხი ითვისებს ორივე აზრიდან იმას, რაც მოსახდენი ან სამართლიანია, და ორივე აზრიდან დანარჩენ ნაწილებს სტოვებს. ესლანდელმა საფრანგეთის ხალხმა, მაგალითად, მიითვისა რესპუბლიკელი პარტიის აზრიდან მარტო ერთი მხარე: რესპუბლიკური პოლიტიკური წესის საჭიროება, და წინააღმდეგი პარტიების აზრიდან მიიღო მეორე მხარე: საზოგა-

დო სიმშვიდის და წესიერების დაცვის აუცილებელი საჭიროება. ორივე ამ ნაწილებიდან ხალხისთვის შედგა ის წესი, რომელსაც ეხლა ჩვენ საფრანგეთში ვხედავთ. ამ გვართ სარგებლობს ქვეყანა, ხალხი, მხარე, აზრების და მიმართულების წინააღმდეგობით.

მაგრამ სწორეთ იმისთვის, რომ ქვეყანას, ხალხს ან მხარეს ამნაირათ შეეძლოთ სარგებლობა აზრების და მიმართულების წინააღმდეგობით, აუცილებლათ საჭიროა, რომ იმისთანა მოთავეები იყვნენ ამ ხალხში ან ქვეყანაში, რომელთაც ამ წინააღმდეგობის გამართვა მოახერხონ. ამისთვის ყოველი პატიოსანი და გონიერი პირის მოვალეობაა — ბრძოლა გამართოს, რაზეში ჩადგეს, თავი არ დაიზოგოს, რომ ამით ხალხს და ქვეყანას საშუალება მისცეს — უმჯობესი აზრის არჩევისა და უკეთესი გზის გამონახვისა.

როცა ორი რაზემი იბრძვის, ომში, ნუ თუ ეს რაზეები მარტო იმიტომ იკლავენ თავს, მარტო იმიტომ ხოცვენ მოწინააღმდეგეს, რომ სისხლით დაძლენ და სიკვდილით იქეიფონ? არა. თითოეულ გონიერ მებრძოლეს კარგათ ესმის ეს კეშმარიტება: მე თავს ვიკლავ, მე სისხლს ვღვრი, ჩემსას და სხვისას, მაგრამ ამ სისხლის ღვრას შედეგათ ის ექნება, რომ ჩვენი ოჯახები შეისვენებენ, ჩვენს წვრილშვილს მშვიდობიანობა ეღირსება, ჩვენს ცოლ-შვილს ვერავინ აიკლებს და გააუპატიურებს, ერთი სიტყვით, ჩვენი სისხლი ჩვენს შთამომავლობას გამოადგება. ასე ჰფიქრობს მამაცი, და მარტო ეს მაღალი მიზანი აძლევს იმას ძალას და მხნეობას.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ გამოდის კაცი, რომელიც ჰფიქრობს: ეს ოხრები ერთმანეთს თავ-პირს ანტვრევენ, გავჩერდები, მოვიციდი, და ბოლოს, ორივე მხრის მამაცობით ან შეცთომებით ვისარგებლებ: ორივეს ბანაკში ძვირფასი რამ მოიძებნება, ორივეში აუცილებლათ იქნება უხეირო ნივთებიც. ვუყურებ სეირს, და როცა რამე მომეწონება — იმას მივითვისებ, რაც არ მომეწონება — მივატოვებ. ყოველს შემთხვევაში სარგებლობა ჩემი მხრით იქნება, და ბოლოს რომელიც გაიმარჯვებს — იმას მივეკედლები.

ამნაირათ ჰფიქრობენ, ბრძოლის დროს, ბევრი სულდგმულები. მათი მოქმედება, რასაკვირველია, მათთვის სასარგებლოა: სისხლს ისინი არ ღვრიან, და სარგებლობას კი ბოკვენ ორივე ხელბით. მაგრამ რაც მიეტოვება ქალებს ან უსუსურებს, ის დალათ ესმის წვერ-უვლაშიანს ვაეკაცს. და ყოველს კაცს, რომელიც ბრძოლის დროს ამ გვარ საქციელს ადგია, ორივე მებრძოლი მხარე ერთნაირი შეზიზღებით უყურებს, ერთნაირი დაუზოგველობით ექცევა.

დაე სარგებლობა მოუტანოს ჩვენმა ბრძოლამ ჩვენს ქვეყანას, დაე გამოადგეს ის ჩვენს ხალხს, დაე დაუხმარებლათ ისარგებლონ მით ჩვენმა ქალებმა, ბავშვებმა და წვრილ-შვილობამ — ეს ბუნების კანონია. დაე აგრეთვე გამოადგეს ის სახეიროთ ზოგიერთ „ოსტატ პოლიტიკანებს“, რომელთაც — კატის არ იყოს — თევზი კი უყვართ, მაგრამ წყალში ფეხის ჩადგმის ეშინიათ. ესეც ხშირი მოვლენაა. მაგრამ იმის მაგალითი კი არსად ყოფილა, რომ ამგვარ გზაზე დამდგარ კაცს პირადი სარგებლობის და პატივის მეტი რამე შეეძინოს თავისთვის: ან ნამდვილი გავლენა ხალხზე, ან თავისი საკუთარი აზრისა და მიმართულების პატივი, ან სხვა ზნეობითი კმაყოფილება. ღომი რომ დაეტაკება ვეფხვს, ხშირად მოხდება, რომ მათ სადაო ირემს კუდ-მოგლეჯილი ტურა დააპატრონდება და კიდევ შესჰამს. მაგრამ თავის დღეში არ მომხდარა, რომ ამის მნახველს ხალხს ეს ტურა ამის გამო ღომით ან ვეფხვით მიეღოს.

X

უფ. მაჰახელაძეს გამოუძებნია აკ. წერეთლის სტატიებში ერთი ვითომ წინააღმდეგობა: ერთხელ ეს სტჰვა და მეორეჯერ სულ სხვაო. ჩვენმა მკითხველებმა, ვისაც კი ორივე სტატია ახსოვს აკ. წერეთლისა, კარგათ იცინან, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა ამ ორს სტატიას შუა. ორიოდ სიტყვის ამოგლეჯით ადვილათ მოაჩვენებს კაცი ამგვარ ვითომ წინააღმდეგობას. მაგრამ მე დავანახებ უფ. მაჰახელაძეს უფრო შესანიშნავს წინააღმდეგობას მის ნაწერებს შუა, და ეს ამიხსნას.

ამას წინეთ-ის სწერდა, როგორ შეიძლება უფ. ანჩაბაძესთან კაცებთან საქმის დაკავება და მათთან ერთს რაზმში ჩადგომაო. მე სრულიათ თანახმა ვარ ამ აზრისა. ეხლა კი ის ამტკიცებს, რომ ხან ერთს რაზმში უნდა ჩავდგეთ, ხან მეორეშიო. წინააღმდეგობას თუ ეძებთ, მომირთმევია თქვენთვის აი ეს გაცხელებული წინააღმდეგობა.

ქვეყნის მტერობა მე იმათში (ესე იგი, იმ რაზმში, რომელშიაც დგანან უფ. დ. ანჩაბაძე, ბ. ლოლობერიძე, დ. ჩქოტუა, ილ. ჭავჭავაძე და სხვ.) არ დავგინახავსო“, ამბობს დღეს უფ. მაჰახელაძე. მაგრამ ამას წინეთ კი მისი სტატიის აზრი ის იყო, რომ ვისაც ათი და თუთხმეტი წლის განმავლობაში ქვეყნისთვის ხელი არ გაუწმინდა და თავისთვის კი ბევრი გაურჩებია, ის ქვეყნისთვის საცნებელი პირი არისო. რა მიზეზია რომ ამ მოკლე ხანში ასე სრულიათ შეცვლია აზრი უფ. მაჰახელაძეს?

XI

ერთს უკანასკნელს შენიშვნას კიდევ დავსწერ.

„ნდობას კაცი მარტო მაშინ დაიმსახურებს, როცა საზოგადო სიკეთისთვის ყოველგან და ყოველთვის გამოაჩენს ერთგულობას, და არა მარტო მაშინ, როცა თფილისური უქმი ლიბერალობა ერთს წამისთვის თავს მოაბეზრებს, არა მარტო მაშინ, როცა ქუთაისის გართობა არ ჰყოფნის, ან როცა „უაღმატებულესობის“ იმედი ეკარგება!“

ამით უფ. მაჭახელაძე, ალბათ, ჰფიქრობს, რომ უშველებელი კვერი დამკრა თავში. მაგიერათ აი რას ვეტყვი: ის ერთობ ყმაწვილია, და ჯერ ვერ შეუძენია ვერც კაცის ცნობა, ვერც გამოცდილების სიფრთხილე.

„თფილისური თუნდ უქმი ლიბერალობა,“ დამიჯეროს უფრო ძნელია, ვინემ პარიჟული არხი-რადიკალობა. მოვიდეს აქ, და თავის საკუთარი მაგალითით დაინახავს ამას. ბევრი მინახავს, ჩემს წარსულს სიცოცხლეში, იმისთანა ახალგაზდები, რომელნიც პარიჟში ან პეტერბურგში ქვეყნის გადატრიალებას ჰქადაგებდენ, და თფილისში კი თავიანთ სტოლ-ნაჩაღნიკის წინააღმდეგ სიტყვის ამოღებას ველარ ბედვენ. ბევრი მინახავს ლიბერალები, რომელნიც ჩემს „გართვას“ მომაკვდინებელ ცოდვით მითვლიდენ, და თფილისში კი საზიზღარს საქციელს არ თაკილობდენ. ისეთებიც კი მინახავს, რომელნიც ნიდაგ იმას ჰქადაგებდენ, ნიკოლაძეს ლენერლობა უნდაო, მაგრამ როცა ამავე თფილისში ან ქუთაისში ჩამობრძანდენ, პრისტაობაზედაც უარი არ უთქვამთ, თუ კი მისცენ... მე კი იგივე დავრჩი, და იგივე ვარ, რაც ვყოფილვარ. ამგვარი სიტყვები, ჩემო ბატონო, ძუძუ-მწოვარმა ბავშმა კი არ უნდა მითხრას, იმისთანა პირმა უნდა გამოთქვას, ვისაც საკუთარი გზა მამაცურათ, გადაუბირავათ გაუვლია, ისე, რომ თავის მიზანს და მიმართულებას არ ასცილებოდეს არცერთს ნაბიჯზე. ეხლა კი გასაცინარი ის არის, რომ სიმტკიცეს, სისწორეს ის კაცი მიქადაგებს მე, რომელმაც ჩვენს ახალგაზდობას ურჩია — ტურასავით მებრძოლებს უცქირეთ, და სადაც ლეში დაინახოთ, იქ დაახტენით კისერზეო.

სახალწლო გოდება

Печально я гляжу на наше поколение...
ლერმონტოვი.

„გოდებავო, მერე სახალწლოო? ახალი წელიწად-დღეს ვის გაუგონია გოდების დაბედებაო?“ იფიქრებს გაოცებული მკითხველი. „ახალ-წლის-დღეს ხეირიანმა კაცმა სამხიარულო რამ უნდა გვიკვლიოს, ოქრო, მყინვარე-შაქარი, თაფლი, ხილი; და არა გოდება ან ვაი - ვაგლახიო.“

სხვამ, ჩემო მკითხველო, რაც უნდა ის გიკვლიოს, რითაც უნდა, მით გამხიარულოს, მე კი, თუნდ უხეიროთ ჩამთვალო, გოდების მეტი სახალწლოთ არაფერი მაქვს სამკვლეველი.

იქნება შენს კერძო ცხოვრებაში — და ჩემშიაც — ბევრი რამ გქონდეს და მქონდეს სამხიარულო, სანუგეშო, სასიამოვნო. იქნება ჩვენს შრომას მატერიალური სარგებლობა მოეტანოს შენთვის და ჩემთვის, იქნება საზოგადოებაში მე და შენ წინ წავეწეულიყოთ, ჯილდო მიგვედოთ, სახელი გვეშოვნოს; იქნება კიდევ ჩვენს ოჯახობაში და ნათესავეებში საკმაო ბედნიერება და კმაყოფილება გვეპოვოს შენც და მეც, — ეს ყველაფერი შესაძლებელია. შესაძლებელია კიდევ, რომ მომავალ წელიწადში უფრო მეტს სიამოვნებას და ბედნიერებას მოველოდეთ კერძოთ თვითოეული ჩვენგანი. მართალია. „მაშ საგოდებელი რაღა გვაქვსო“ მკითხავ ხომ?

სრულიად არაფერი, ერთი რამის გარდა, გიპასუხებ, ჩემო მკითხველო. კერძო ცხოვრებაში თითოეული ჩვენგანი ბედნიერია და ჩვენს ქვეყანას ამ მხრით სიხარბით უნდა შესცქერიდეს ევროპის უმეტესი ნაწილი. აი, მაგალითად, დღეს რომ დეკემბრის დამლევია, დღეს რომ ევროპის უმეტეს ნაწილში ხალხი სიცივიტ კვდება და ხელებს ორთქლით ითფობს, ჩვენში შემოდგომის ნაზი სითბო დგას, და ხე-ხილი ხელ-მეორედ ყვავის. იმერეთში ტყეში დღეს იას ჰკრეფენ და ახალი ტყემლის საწებელს ხმარობენ. — ეს მართალია. ბუნებას ჩვენთვის არც ერთი მომხიბლელი და სანატრელი თავისი სიკეთე არ დაუკლია. არც ჩვენ თვითონა ვართ ზარმაცნი და უხეირონი.

ჩვენი ხალხის ნიჭს, მოხერხებას, მეცადინეობას დღეს მტერიც და მოყვარეც ჰკვირობს. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ თუმცა ჩვენ არც ბუნებას დაუჩაგრივართ, არც გონებას დაუფიწყნივართ, მაინც უკანასკნელი ევროპიელი ხალხი ჩვენზე უკეთესათ და ხერიანათ ჰცხოვრობს, ჩვენზე უფრო სახარბელ მდგომარეობაშია...

რომელი ევროპის მხარეც გინდათ ავიღოთ, ჩვენს ქვეყანასთან შესადარებლათ, ვნახავთ, რომ იქაც ხალხი უმჯობესათ სცხოვრობს, უფრო გონიერათ სარგებლობს ლეთისგან მინიჭებული „ტალანტით“, ვინემ ჩვენში. მიბრძანდით აბა და მოიყვანეთ აქ უკანასკნელი იქაური გლეხი, ჩააყენეთ ჩვენს მდგომარეობაში, გააცანით მას ჩვენი გარემოება, და ნახავთ, რომ მეორე დღესვე გეტყვისთ — არა, ჩვენში სატუსალოში დაბმა მირჩევენია თქვენთან ცხოვრებასაო.

რისთვის, ვითომ? მისთვის, ბატონო, რომ მარტო ბუნების სიუხვე და მარტო კერძო ბედნიერება როდი შეადგენს ხალხის კეთილდღეობას, ან ქვეყნის სიკეთეს. მაგალითად, რას მიპასუხებ შენ თვითონ, ჩემო მკითხველო, პირადათ რომ აი ეს კითხვა დაგიდვა: „რომელს საზოგადოებაში გირჩევენია ცხოვრება — ორას შემძლე, ბედნიერ მაგრამ გაუტანელ ვიგინდარებს შუა, თუ ორას გაჭირვებულს, უბედურს, მაგრამ ერთგულს და დამნარე მოძმეებს შორის?“ დარწმუნებული ვარ, რომ ამ კითხვაზე დიდ ხანს როდი დაფიქრდები, პირ-და-პირ მიპასუხებ: რასაკვირველია, მოძმეებთან სჯობია ცხოვრებაო, თორემ თუ კი მე ყველასთვის ვიგინდარა ვიქნები, თუ კი მთელი ქვეყანა მტრათ მეყოლება, ფეხებზე მკიდია მისი სიმდიდრე და კეთილ-დღეობაო... თუ კი ერთი ფეხი რომ გადამიბრუნდეს და მომაკვდავად ვეგდო, ვერავისგან ერთს ქიქა წყალს ვერ მოველი, ამგვარ საზოგადოებასთან ცხოვრებას მგლებთან ყოფნა მირჩევენიაო...

დღეს ჩვენ მართლა რომ ახირებულ მდგომარეობაში ვართ, და გაჭირვებულ დროებას მოვესწარით. რაც უწინ ჩვენი წინაპრების სარწმუნოებას და ხეობით მცნებას შეადგენდა — ძმობა, ერთობა, ერთმანეთის დახმარება, ერთი საზოგადო სული, ერთი საქვეყნო გული, — ეს ყველაფერი დღეს უარნაყოფი და დაფიწყებული არის. ჩვენ როდილა გვწამს, რაც ჩვენს ძველებს სჯულის საფუძვლათ მიაჩნდათ, როდილა გვეშინია მისი, რაც იმათ ცუდ ვნებებს ლაგმავდა, როდილა გვენატრება ის სასყიდელი, რომლითაც ნათი სარწმუნოება მათ სიკეთეს და ქველის მოქმედებას დეზავდა.

დღეს დიდსა და პატარას ჩვენში ეს ყველაფერი „ცრუ-მორწმუნოებათ“, „შეცდომათ“, „უმეტრებათ“ მიაჩნია.

ამასთანავე ჩვენ არც ის ზნეობის მცნებები მიგვიღია, რომლითაც ევროპელებმა განაახლეს თავიანთი ცხოვრება და ძველ რწმუნების მსგავსათ ალაგმეს კაცობრივი ბუნების მანე ვნებები. დღეს თითოეული ჩვენგანი გამოდის ცხოვრებაში როგორც ველური მხეცი, რომელსაც არაფერი სწამს, არაფერი ამოქმედებს, არაფერი მიიზიდავს გარდა მისი საკუთარი მადისა და ქეიფისა. თუ მოგვშივდა, შეგვიძლია საკუთარს ძმას ცხვირი მოგვენიტოთ და საკუთარი შვილის ხორცი შევსჭამოთ, ამიტომ, რომ ჩვენში არაფერი ლაგმავს ჩვენს მადას, აღარაფერი გვასწავლის მოთმენას, სიმწრის ატანას, არაფერი გვეუბნება, რომ ის ქმნილება, რომლის ხორცით ჩვენ გაძლომას ვაპირებთ ჩვენი ძმაა, *ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვალთაგან ჩვენთა“.

თუ ჩვენი წუთიერ მადის დაკმაყოფილება მას სანიაღვრო ტანჯვას მიაყენებს, ამას ვინ კითხულობს? „მე ქე რა მენაღვლებაო!“ ეს აზრი: — დღეს მე დაუთმობ სხვას, ხვალ სხვა მე დამითმობსო, — ჩვენ თავში როდი მოგვდის. სხვისი დაჩაგვრა რომ შემდეგში ჩვენვე დაგვჩაგვრავს, და ჩვენვე მოგვეკითხება — ეს აღარავის ახსოვს. ერთილა ლაგამი დაგვრჩენია — სისხლის სამართლის შიში, ციმბირის მორიდება, — და თუ კი ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ციმბირში არ დავიკარგებით, ყველაფერს ვაგებდავთ, ყველაფერს ვიკისრებთ, თუნდ კაცის მოკვლაც რომ იყოს...

ამას ჰქვია ორი სახელი: „ხალხის ზნეობის დაცემა“ და „ქვეყნის დამხობა“. რათ მინდა პირადი კეთილდღეობა, სიმდიდრე, პატივი, თუ კი გარშემო ისეთი პირნი გვახვევიან, რომელსაც, არაფერი დაუშლის ჩემ გაცარცვას, შექმნას, დამხობას, დარჩობას? თუ კი ვერვის დავენდობი, ვერვისზე იმედს ვერ ვიქონიებ ვერვისგან შემწეობას ვერ ველირსები გაქირვების დროს?

წარსული წელიწადი ჩვენს ქვეყანაში სწორეთ აი ამით არის საგოდებელი და შესანიშნავი, რომ იმან ცხადათ და საშინელი სახით დაგვანახა ეს ჩვენი სენი, ეს ჩვენი უბედურება. უწინ ამ გვარზე უზვირობები ჩვენ კერძო მოვლენათ გვეჩვენებოდენ, იმ გვართ როგორაც ყოველგან მოხდება ხოლმე. შარშან კი ეს მოვლენები ჩვენ წარმოგვიდგენ სხვა-და-სხვა სფერებში, და მერმე ისე როგორც საზოგადო მოვლენა, და არა კერძობითი. მოდი, და ნუ იგოდებ შენ, ნოდი და მყინვარე შაქრით ან ფორთოხლით გაიქარწყლე ამგვარი სიმწარე!

რას მოვესწართ ჩვენ შარშან?

სამს სრულიად მოულოდნელს, უშველებელს და დამხობელს მოვლენას...

პირველი მოვლენა, ყველაზე უფრო უმცირესი, ის იყო, როცა უმადლესი სწავლის მიმდებარე კაცმა იკადრა, როგორც ზოგიერთნი ამბობენ, უმანკო სისხლის დანთხევა — უმანკო ქალის წახრჩობა — მარტო პირადი სარგებლობისათვის, მარტო ფულის ანგარიშისათვის. დღემდე ერთი მარტივი რწმუნება შერჩენოდა ჩვენს ხალხს — მეცნიერების პატივისცემა, სწავლის ყურის გდება, ის რწმუნება, რომ სწავლა და მეცნიერება აკეთილ-შობილებს და აპატიონებს კაცს. ჩვენს ხალხს, რომელიც აღარაფერს ენდობა და არაფერს იჯერებს, დღემდე სწავლა მაინც სწამდა, მეცნიერების მაინც ერიდებოდა. ამ ძვირფას რწმუნებას, ამ წმინდა და მომავლიან გრძნობას ძირი გამოაცალა და ბოლო მოუღო ანდრეევსკის ქალის დახრჩობამ...⁵⁰

მართალია, სხვაგანაც მომხდარა ამგვარი საზარელი მოქმედება, სხვაგანაც ნასწავლს კაცს მოუკლავს ვინმე. განათლებულს საფრანგეთში. ლაპომრე დოქტორი იყო, მაგრამ მეცნიერებამ იმას არ დაუშალა ქალის მოწამვლა. რუსეთში დანილოვიც სტუდენტი იყო, მაგრამ იმანაც კაცი მოკლა. მაგრამ იქ ეს მარტივი, კერძობითი მოვლენა იყო, ამიტომ რომ ყველა მეცნიერებმა საფრანგეთში, როგორც რუსეთში, ზიზლით და დაუზოგველათ გაჰციცხეს და დადგეს ამგვარი დამნაშავენი. იქ მათთვის თავი როდი ვისმეს გამოუდვია, მათთვის ფული როდი ვისმეს დაუხარჯავს, და მათი დანაშაულობა, მათ გარდა არვის სცოდნია და მათთან არავის განუზრახავს. ჩვენში კი რამდენმა გამოიდვა თავი, რამდენმა იქადაგა „ტყუვილიაო!“ არ მოუკლავსო, და თუნდ მოეკლას რა უყოთო, მაინც არ უნდა ვთქვათო!“ ამით ზნეობითი ჩირქი დაედვა მთელს იმ საზოგადოებას, რომელიც მისთვის სცდილობდა, რომელიც მის გულისთვის ქადაგებდა და თავს იკლავდა...

ქვეყანაზე იმისთანა საზოგადოება არ მოიძიება, რომელშიაც ერთი ან ორი, ან ოცი ცუდი კაცი არ იპოვებოდეს. მაგრამ ხეირიან საზოგადოებაში, როცა რომელიმე მისი წევრი ცუდს რასმე იმოქმედებს, დანარჩენები თვითონ სდევნიან და ლაფს ასხამენ ამგვარ წევრს, აგდებენ იმას საზოგადოებისაგან, გამოააშკარავენ მის ცუდს და მარტო ამნაირი მოქმედებით ამ წევრის ჩირქი არ მოედება მთელს საზოგადოებას. ის საზოგადოება, რომელიც თავისი წევრის ცუდს მალავს და აფუჩეჩებს, თავის თავზე ყველა თავის წევრებზე იღებს მის ჩირქს და სიგლახეს. ესლა მიბრძანეთ, როცა ერთმა ან ორმა განათლებულმა კაცმა კაცი მოკლა, დანარჩენებმა რა ჰქნეს? ვინ გაჰციცხა მათი მოქმედება, ვინ ჩაუდგა კვალში მათ სიგლახეს, ვინ ააცილა მთელს ახალგაზღვობას დამნაშავეობის და კაცის მკვლე-

ლობის ჩირქი? — ერთმა თუ ორმა. დანარჩენები კი ჰქადაგებდნენ კარის კარამდე „არაფერიო, ტყუელიაო, რა უყოთო, სსსუო!“

ამ შემთხვევას რა გავლენა ექნება ჩვენი ხალხის ზნეობაზე და მის გონებაზე, ამას ჩვენ ამ ხუთ-ექვს წელიწადში დავინახავთ. და მაშინ კი გავგიკვირდება რამ წაბილწა ჩვენი ხალხიო, რამ წაუხდინა მას ნდობა, რწმუნება და მეცნიერების მორიდებაო!

მეორე უფრო შესაძწნეველი მოვლენა, უფრო ხანგრძლივით მავნებელი აი რა იყო:

შარშან ბანკების და აზნაურობის კენჭის ყრის დროს, ჩვენმა საზოგადოებამ პირველათ დაინახა საქმეში ჩვენი ვითომ ახალი თაობა, და ეს თაობა წარდგა საზოგადოების წინაშე მეტის მეტად ბნელი მხრით.

მის მაგიერ, რომ იმას თვალი აეხილა გაუნათლებელი და უმეცარი ხალხისთვის, მის მაგიერ, რომ იმას ესარგებლებია საქვეყნო ყრილობით ხალხის გონების ასამალლებლათ, მის მაგიერ, რომ იმას ეძებნა მარტო საზოგადო სიკეთე, პირადი სარგებლობის დავიწყებით, ამ თაობამ დაივიწყა ყველაფერი, რასაც უწინ ამბობდა. იმან ისარგებლა საზოგადო უმეცრებით, და თვალი აუხვია უმისოთაც დაბნელებულ ხალხს. პირველი მისი საქვეყნო სიტყვა, პირველი დარიგება, რომელიც იმან ხალხს მისცა — იყო: „ნურავის ალაპარაკებთ, ნუ გასჯით საქმეს, ნურაფერს დაიჯერებთ, რაც ჭკუაში მოსასვლელი იყოს, ან რაც დაინახოთ. თქვენ ხართ ძალა, უმრავლესობა, თქვენია, იხმარეთ ეს ძალა; რისი ცოდნა, რისი ჭკუა, რისი გამჭრიახობა: კენჭი და მისი ძალა! ჩვენთანა არს ღმერთი!“

აი, ეს გახლდათ ის ახალი სიტყვა, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში შეიტანა შარშან ჩვენმა ვითომ ახალგაზდობამ. ძალით, უმრავლესობით, ხანჯლებით მოინდომა იმან სიმართლის გათელა, სწავლის დახშობა, უმცირესობის ალაგმა, იმ უცმირესობის; რომელსაც მარტივ იარაღათ ჰქონდა შეგონება, გაფრთხილება და საზოგადო სიკეთე. ძალა იხმარა ამ ვითომ განათლებულმა, ვითომ ახალგაზდობამ ჭკუის წინააღმდეგ, როცა დაინახა, რომ ვერ შეეძლო მოაზრების — მოაზრებით მოგერება, ვერ შეეძლო თავის სარგებლობის დაცვა ცოდნით, ჭკუით და გონიერებით. ეს ჩირქი, ეს სიგლახე იმას სამუდამოთ შერჩება, და საფლავშიაც ჩაჰყვება.

ამას გარდა, ესევე ვითომ განათლებული, ვითომ ახალგაზდობა ერთ საძრახის გზას დაადგა

იმან დაინახა, რომ ჩვენს ქვეყანაში უმრავლესობა უმეცარია, რომ ეს უმრავლესობა უძღურია თავისი უმეცრებით, და თვითონ ამ ვითომ ახალგაზდობას კი ხელში ზოგიერთი საჭირო სეკრე-

ტები უკავია, მაგალითად უსტავების ცოდნა, რუსული ენის გაგება და სხვ. „ვისარგებლოთ ამ ჩვენი მდგომარეობით, მოვაჩვენოთ საზოგადოებას და ხალხს, ვითომ ჩვენ დიდი რამ მეცნიერება და უშველებელი, მიუწვდომელი რამ სეკრეტი გვიშოვია, ისეთი, რომელსაც ხალხი ვერ მიწვდება თავის ცქუით, და ვჭამოთ პური ამის შემწეობით. და ორ შაურიანი შრომისთვის, სრულიად უბრალო აზრისთვის იტაცვენ ვაება ჯანაგირებს, უშველებელ ადგილებს და თითქმის საშვილიშვილოთ იმკვიდრებენ საზოგადოების შემოსავალს და სიმდიდრეს.

ეს იყო განა, ის უანგრო სამსახური, რომელსაც ჩვენი თაობა ჰპირდებოდა ჩვენს ხალხს და ქვეყანას? ეს იყო განა ჩვენი „მამულის ერთგულება“, მამულისთვის თავის დადება? იმისთვის გამოვიზარდეთ, განა, რომ ჩვენი შებეგრეთ გაგვეხადა ჩვენი ღარიბი და უძლური ხალხი, რომ მისი უმეცრებით გვესარგებლებია, მისთვის თვალი აგვეხვივნა, მისთვის ორი კაპეიკის შრომა გერკულესის ჯაფათ მოგვეჩვენებია, და ოცი თაბახის გადმოწერისათვის უფრო მეტი სასყიდელი გვეთხოვა და მიგველო, ვინემ დავით აღმაშენებელს, თამარ დედოფალს და მეფე ერეკლეს მიუღიათ მათგან ამაღლებულ და სახელ განთქმულ ხალხისაგან!

ჩვენი თაობა შერცხვა ხალხის წინ, შერცხვა მით, რომ გამოდგა ხალხის უმეცრების ექსპლოატატორათ, ხალხის უძლურებით მსარგებელათ... როდის დაიბადება ახალი თაობა, რომელიც ხალხს დაუბრუნებს ძველს რწმუნებას სწავლის უანგაროებაში, გარდუხდის ეხლანდელს მის გაცარცვას, გაანთავისუფლებს შარშანდელის დაბრმავებისაგან? ვინ იცის! ის კი კარგათ ვიცი, რომ მანამდე მტკვარში და რიონში ბევრი წყალი ჩაივლის!

მესამე, უფრო უსაშინელესი მოვლენა იმაში მდგომარეობს, რომ შარშან ჩვენი სოფლის ხალხი, ჩვენი გლეხ-კაცობა გაჭირვებაში იყო, და ამ გაჭირვებაში ცმაცურებდა გამწარებულათ...

ამ გაჭირვებაში და გამწარებაში იმისთვის ხელი არავის გაუწყვია ჩვენი ახალი თაობისგან, მისთვის არც დარიგება, არც დახმარება, არც შევლა არავის მიუწოდებია... ამით ხალხსა და ნასწავლებს შუა უფრო-და-უფრო დიდდება და ღრმავდება გამყოფი თხრილი, და უფრო-და-უფრო იკარგება მამა-პაპობრივი ერთობა. ვინ ისარგებლებს ამით? ვის დააკლდება ეს?

აბა ეხლა მითხარით, მკითხველო, ჩვენი ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის საგოდებელი გვქონია, რამ საახალლოთ, თუ სასიხარულო?

ცოტა კიდეც .

ყოველი პაწია ჭკუის და სუსტი ხასიათის აუცილებელი თვისება ის არის, რომ როცა იმას მსჯელობაში საბუთი ან მოაზრება შემოეღვება, ის მაშინვე გამწარებულ ლანძღვას სტაცებს ხელს, თითქო გინებით მოაზრების დარღვევა შეიძლებოდეს. ჩემდა სასიამოვნოთ, ეს თვისება ეხლავე დატყობია უფ. მაჭახელაძეს: იმას ეხლავე წაუფლია ხელი ამ დაცემულებს იარაღისთვის. ჩემი სტატიის წინააღმდეგ იმას მოუბოკავს ერთი ურემი ლანძღვა, როგორც მაგალითად, ძაღლი, მაიმუნი, უსინდისო, სალახანა, და სხვ. და სხვ. და ეს ნაზი იარაღი გამოუსტყორცნია ჩემზე პარიჟიდან.

ლანძღვა და გინება ადვილი საქმეა. ლიტერატურული მსჯელობა გინებაზე რომ იყოს დამყარებული, ჩვენი კინტოები პირველ კრიტიკოსებათ გამოდგებოდნენ. ამგვარი იარაღი, საზოგადოთ, მარტო უკანა სცემს, და ჰკლავს .მარტო იმას, ვინც მათი ხმარება იკადრა. მაშ მითუტევოთ ეს შეცოდება უფ. მაჭახელაძის გამწარებას და სისუსტეს: ღმერთმა ხომ იცის, რომ ემან არ უწყის რას შვრება და რასა სწერს. გადავიდეთ, ისევ, ჩვენი პოლემიკის უფრო საკადრის მხარეებისკენ.

როცა უფ. მაჭახელაძის სტატია დაიბეჭდა, ჩემი ყურადღება შიგ მარტო ერთმა მხარემ მიიზიდა. შიგ შეკრებილი და გამოთქმული იყო ჩემს მწერლობაზე ზოგიერთი იმისთანა აზრები, რომელიც ხშირათ გამეგონა უწინ სიტყვიერათ ბევრი ჩვენი ასალგაზღებისგან. მარტო ამ მხრით მივაქციე მე ყურადღება უფ. მაჭახელაძის სტატიას, თორემ არც ავტორის ნიჭი, არც მისი მოაზრება და გონების ძალა არ მოითხოვდა ჩემგან ბაასში გარეგას. უფ. მაჭახელაძის შემწეობით, მე საშუალება მეძლეოდა პასუხი გამეცა იმ დაბრალებებზე, რომელიც ხშირად მსმენოდა საზოგადოებაში. მე მივატოვე უფ. მაჭახელაძის სტატიაში ყველაფერი, რაც კი თვითონ დამწერს საკუთრივ ეკუთვნოდა, და გავსინჯე მარტო ის, რაც იმას სხვების ნალაპარაკებისაგან გამოეკრება და დაებეჭდა. ამ მხრით უფ. მაჭახელაძეს არც ეხლა დაუკარგავს ჩემთვის თავისი მნიშვნელობა, თო-

რემ ეს მხარე რომ არ იყოს, საკადრისიც არ იქნებოდა მის ნაწერებზე ბაასის გაგრძელება.

მკითხველს ემახსოვრება, რა დაბრალებები გამოთქვა ჩემზე უფ. მაჭახელაძემ, რასაკვირველია, სხვისი ნალაპარაკების ყურის გდებით. ნიკოლაძეს შრომა ქეიფათ მიაჩნიაო, ის დაუდგარი კაციო, დღეს სწერს, და ხვალ კი არაო, ის დიქტატორობას ცდილობსო, ბატონობა უნდა ჩაიგდოს ხელშიო, და სხვ. და სხვ. მკითხველს აგრეთვე ისიც ემახსოვრება, რამდენი საფუძვლებით დავარღვიე მე ეს დაბრალებები. მაშინ მე მეგონა, რომ უფ. მაჭახელაძე გულწრფელათ მართო ჭეშმარიტებას ეძებდა და სინართლის აღდგინებას. მე იმედი მქონდა, რომ ჩემი საბუთები დააკმაყოფილებდნენ იმას, როგორც დააკმაყოფილეს ბევრი სხვა ყმაწვილები, რომელნიც უწინ იმავე დაბრალებებს სხვისი სიტყვიდამ იმეორებდნენ. მაგრამ უფ. მაჭახელაძე თურმე ჭეშმარიტების მაგიერ სულ სხვა რასმე ეძებს. იმას თითქო არც კი გაუგონია და არ წაუჟიხთხავს ჩემი პასუხი, თითქო არც კი გაუგია, რა მიზეზისთვის არ ვწერდი მე ხანდისხან მთელი წლობით! ამ მხრით ბაასის გაგრძელება საჭირო არ არის. მე იმიტომაც არ ვწერ, რომ დავაჯერო უფ. მაჭახელაძე. ჩემთვის სრულიად საკმაოა სხვები დაჯერდნენ.

მაგრამ აქ საჭიროა დავანახო ჩვენს საზოგადოებას, თუ რანაირ პატიოსანს იარაღს ხმარობენ ხოლმე მწერლობაში ის ვაჟბატონები, რომელნიც მე უსინდისოს მიძახიან. დიქტატორობაზე ბაასი რომ ჩამოვარდა, მე დავწერე, რომ თვითონ დიქტატორობა, თავის თავათ, როგორც ყოველი საშუალება, არც კარგია, არც ცუდი. მისი სიკარგე ან სიავე გარემოებაზე, კაცზე, მიზანზე ჰკიდია მეთქი. ამ აზრის დასამტკიცებლათ მე მოვიყვანე მაგალითი ორი ისეთი დიქტატორებისა, როგორც გარიბალდი და ვაშინგტონი. ეს უბრალო მაგალითი უფ. მაჭახელაძეს გადმოუტრიალებია, და ეხლა ის აჯერებს მკითხველებს, ვითომ მე ჩემი თავი გარიბალდისთვის და ვაშინგტონისთვის შემედარებინოს. მეორე ალაგას ისვე უფ. მაჭახელაძე დარწმუნებით ბრძანებს, ვითომ მე მეთქვას საქართველოს ბორნე და ლასალი ვარო! აი, ამგვარი იარაღის მხმარებლები თავიანთ თავს კიდევ ნებას აძლევენ სხვისი პატიოსნების სჯისას. ღმერთს როგორ არ უნდა გაეცინოს ამ გვარ საქციელზე!

ცოტათი კიდევ უნდა დავაკვირდეთ ჩვენი მსაჯულების იარაღის სიწმინდეს. მე როგორღაც გაკვრით ვთქვი, რომ არაფრათ ვაფასებ ზოგიერთ უქმ-ლიბერალებს, რომელნიც სანამ რუსეთში ან სამზღვარს-გარეთ იპოებიან მთელი ქვეყნის ყირაზე დაყენებას

ჰეიქრობენ, და როცა ჩვენში მობრძანდებიან, მაშინ კი თავიანთ სტოლ-ნაჩაღნიკზედაც ვერ ჰბედავენ სიტყვის ამოღებას. ეს ერთობ ხშირი მოვლენაა ჩვენში, და უფ. მაჭახელაძეს ვერ გაუბედნია მისი უარპყოფა ან დაცვა. „უქმი ლიბერალობა ცუდიაო, მიპასუხებს ის ეხლა, მაგრამ ანტი-ლიბერალობა უფრო უარესია, და ნიკოლაძე კი ამ გზას დაადგაო“. რასაკვირველია, რომ ამ მძიმე დაბრალების საბუთი იმას არ მოჰყავს. ვიმეორებ, ჩემთვის სულ ერთია, რაც უნდა დაბრალება გამოთქვას კაცმა ჩემზე — ყურები დიდი ხანია შემიჩვევია ამგვარი ყბედობისათვის. მაგრამ როგორც წინეთ ვთქვი, რომ ბევრი უქმი ლიბერალი მინახავს ჩვენში მიყუჩებული მეთქი, ეხლაც ვეტყვი უფ. მაჭახელაძეს და იმათ, ვისიც სიტყვასაც ის იმეორებს: მე იგივე ვარ დღეს, რაც თექვსმეტი წლისა ვყოფილვარ, და იგივე ჩავალ საფლავში. იმ პირებში კი, ვინც ჩემს ანტი-ლიბერალობაზე ჩურჩულობდენ, მე ბარე ორი სამი მინახავს, რომ პატრიოტობა და სოციალისტობა უფროსების ზურგის ლოკვაში და ენის მიტანაში გაეცვალოსთ. და წრფელის გულით ვისურვებ უფ. მაჭახელაძისთვის, რომ იმან იმ პირების საქციელს არ წაბაძოს, ვის სიტყვებსაც დღეს ის ასე წინადაუხედველათ იმეორებს...

უფ. მაჭახელაძე უფრო ნათლათ იჩენს თავის ზნეობით სიწმინდეს მეორე შემთხვევაში. ხომ გახსოვთ, იმან დაბეჭდა, ვითომ მე მარტო მაშინ ვიღებ ხელში კალამს, როცა ვინმე პირადათ შემეხება. ამაზე მე ვუპასუხე, რომ პირადათ მე კი არავინ შემეხებია, მე თითონ შეეხებოდა პირველი თითქმის ყველასა, და იმისთანა პირებს, რომელთაც პირადათ ჩემთან არავითარი საქმე და გაწყობილება არ ჰქონიათ - თქო. მაშასადამე ეს შეხება პირადი საქმე კი არა, საზოგადო მოვალეობის ასრულება ყოფილა - მეთქი. ამ მოაზრებაზე და საბუთზე ის ეხლა ხმასაც ვერ იღებს. მაგრამ ეხლა ის ოინობს, და ამტკიცებს, ვითომ შეედარებინოს პოლემიკური ჩემი სტატიების რიცხვი დანარჩენი ჩემი ნაწერებისათვის, და დაენახოს, რომ მე უფრო მეტი დამიწერია პოლემიკური სტატიები, ვინემ საზოგადო ინტერესისა. ამას ამბობს კაცი, რომელიც სწერს — ყველა ნიკოლაძის სტატიები წამიკითხავს, რაც კი იმას ქართულათ დაუწერიაო. ვისაც ჩვენი მწერლობისთვის თვალი უდევნებია, იმან კარგათ იცის, რომ მე ორას სტატიაზე მეტი დამიწერია ქართულათ და ამ რიცხვში სულ ბევრი ოც-და-ხუთი თუ მოიძებნება პოლემიკური სტატია. აი ამას ჰქვია სამართლიანობა, კეშმარიტების ძიება, სიმართლე! და ეს კაცები კიდევ მსაჯულობას სჩემობენ! დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი.

ვინ სჯის, კიდეც, და რა ცოდნით, რომ იცოდე, მკითხველო! „დროების“ პრინციპები გავსინჯეო, ყველა მისი თანამშრომლების ნაწერების დაფასებითაო და დავინახეო... ამბობს მსაჯული, ჩვენი უფალი მაჭახელაძე! იცით, აბა, რა ჰგონებია იმას პრინციპი?

„ეს არის მათი პრინციპები: ერთს („დროების“, პარტიას) უნდა რომ სიკეთისათვის შრომა საქეიფო იყოს, მეორეს („ივერის“ პარტიას), რომ სიკეთისთვის შრომა საპატიო იყოს“.

რადგანაც ყოფილა ჩვენში იმისთანა გვაგები, რომელნიც პრინციპებზე კი მაღლა ბანზე სჯიან, და პრინციპი რაა არ იციან, მე საჭიროთ ვრაცხ ავუხსნა ამ სიტყვის მნიშვნელობა. პრინციპი, ბატონებო, იმას ჰქვია, რაც შეადგენს კაცის რწმუნებას, მიზანს, რომლისკენ მიილტვის კაცი, საფუძველს, რომელზედაც ის აშენებს თავის ცოდნას, ზომას, რომელითაც ის ზომავს ყველაფერს, რაც კი გზაზე შეხვდება. თუ კაცს უნდა შეიტყოს რომელიმე პირის ან პარტიის პრინციპი, იმან უნდა იკითხოს: „რა მიაჩნია ამ პირს ან ამ პარტიას სიკეთეთ, რა წესს იწუნებს ის, რა წესი სურს იმას სალხისათვის“, და არა ის, თუ „რათ მიაჩნია იმას სიკეთისათვის შრომა — ქეიფათ, თუ პატივით“. ყოველს პარტიის წევრს, როგორც კარგს, ისე ავს, თავისი პარტიის სასარგებლოთ შრომა მიაჩნია ქეიფათ და საპატიოთ. ეშაფოტზე გადიან პარტიის წევრები ქეიფიანათ, და უაღრესი დამცირება ან გაუპატიურება მიაჩნიათ იმათ ხანდისხან საპატიოთ და სანატრელათ. ნუ თუ ამაებით უნდა განირჩეოდნენ პარტიები, ნუ თუ ეს თვისებები უნდა ჰქონდეს კაცს მათი დასაფასებელ ზომით!

ესლა მიბრძანოს ვინმემ, „დროების“ გარჩევა რომ დააპირა უფ. მაჭახელაძემ — და „დროებას“ რომ ზოგიერთები სიტყვიერათ არა ჩვენ — შეეხო ან უფ. მაჭახელაძე, ან სხვა ვინმე იმ კითხავს, თუ რა მიაჩნია „დროებას“ საზოგადო სიკეთეთ? ბევრი წერა და ლაპარაკი როდია საჭირო იმისთანა გამოცემაზე, რომელსაც საზოგადო სიკეთეთ, მაგალითად, კახარმა მიაჩნია. საკმაოა მარტო ეს გამოთქვას კაცმა, და ამ გამოცემის მნიშვნელობა დამზობილი იქნება. რას ნიშნავს, ესლა, რომ აი ამ პრინციპებზე არავინ იღებს ხმას? ან იმას, რომ „დროების“ პრინციპები იმდენათ კარგნი არიან, რომ იმათ ვერავინ შეეხება, ან და იმას, რომ „დროებაზე“ სჯიან იმისთანა პირნი, რომელნიც თუმც პრინციპებზე ლაპარაკობენ, მაგრამ პრინციპი სასმელია თუ საჭმელი ის კი არ იციან.

შეიძლება კაცს კარგი პრინციპი ჰქონდეს, და ცუდი გზით მიიღოს მით გამარჯვებისაკენ. ეს ხშირათ მოხდება. „დროებას“ თუ

საშუალებებს უწუნებთ ეს საშუალებები გაარჩიეთ, მაგრამ, თუ გინდათ ხეირი ჰქონდეს თქვენს მსჯელობას, საშუალებას და მიზანს ერთმანერთში ნულარ არევთ. თორემ რა პატივი უნდა დასდევას კაცმა თქვენს ლაპარაკს, როცა თქვენ თითონ მსჯელობის გზას ვერ აგნებთ და თქვენივე ხელით თქვენს მსჯელობას ხაფანგში აბამთ!

პრინციპი არ უფარგა „დროებას“, ამბობს უფ. მაქახელაძე, ამიტომ რომ უფ. ნიკოლაძეს შრომა ქეიფათ მიაჩნიაო. სად ნიკოლაძის ან თუნდ ყველა „დროების“ თანამშრომლების ქეიფი — და სად „დროების“ პრინციპი? სასაცილო სისულელე არ იქნება, რომ ვთქვა, მაგალითად: უფ. მაქახელაძეს აზრები არ უფარგა, ამიტომ რომ მისი მზარეული ლოთობსო? აი სწორეთ ამ მოაზრებით და ამ გვარი ლოდიკით ხელმძღვანელობენ ჩვენი მსაჯულები.

კარგი, ქეიფათ მიმაჩნია მე შრომა, მერე რა? ნუ თუ ზოგიერთებსავით რომ გავიბერო, და თითო სიტყვის გამოთქმა ადიოდე ოხვრით და კლაკნით შევაზავო, მაშინ კი პატივის-საცემელი იქნება ჩემი ნაშრომი? თქვენ ეს გასინჯეთ, რაა ჩემი შრომა, კარგია თუ ცუდი, სასარგებლო თუ მავნებელი, და ვიციანი მე, როცა სტატიებს ვწერ თუ ვკრუსუნობ, ეს, ბატონებო, ღმერთმანი სრულიად უმნიშვნელო საქმეა. — მაგრამ ვისაც შინაგანი არსების დაფასება არ შეუძლია, ის ყოველთვის მარტო გარეგან გამოხედულებაზე სჯის. ის მარტო ტანსაცმელს აფასებს, მიხვრა-მოხვრას, და არა შინაარსს.

მეორე მაგალითს კიდევ მოვიყვან, იმისას თუ როგორ სჯიან ჩვენი ბრძნები. რა კი იმათ ვერ შეუძლიათ „დროების“ პრინციპის გაშინჯვა და „დროების“ საშუალებების დაფასება, იმათ წაუვლიათ ხელი ერთი დაფხრეწილი ვითომ-აზრისათვის: „დროებაში“ საქმე სიტყვას არ ეთანხმებაო. მე საქუროთ ვრაცხ ვუჩვენო ჩვენ მკითხველებს საიღამ სწარმოებს ეს აზრი და რაში მდგომარეობს მისი უსაფუძვლობა.

ჩვენი კრიტიკოსები რუსეთში და საზღვარ-გარეთ კითხულობენ ზოგიერთ გაზეთებს, სადაც ხშირათ სწერენ: ამ და ამ გამოცემას სიტყვა და საქმე თანასწორათ არ მიჰყავსო, მაგრამ რუსეთში და საფრანგეთში ეს სიტყვები აი რას ნიშნავენ: საფრანგეთში, მაგალითად, გამოვა ერთი ვინმე პურტალესი, და დაიძახებს: მე გამოცემ განსაკუთრებით გამბედავ რესპუბლიკურ გაზეთს, მე ყველაზე უფრო წინ-წასული რესპუბლიკელი ვარო: სიტყვით ამისთანა ვაქბატონი რომ ამას ყვირის, საქმით ის აი რას შერება: ის აქებს ოსტატურათ ყველა იმ წესებს, რომელიც ბონაპარტების ტახტის დედა-ბურ-

ჯათ არიან, სდევნის და ცილს-წამებს, ყველა იმ კაცებს, რომელნიც რესპუბლიკური პარტიის მოთავე არიან, ავრცელებს ყველა იმ აზრებს, რომელიც რესპუბლიკური ტეორიის წინააღმდეგნი არიან. მაშინ ხეირიანი გაზეთები სწერენ ამისთანა გაზეთზე: „მომბილო, შენ სიტყვით ერთს ამბობ და საქმით კი სხვას შვრებიო!“

ეს ვერ გაუგიათ ჩვენ ბრძენებს. ამათ ეს სიტყვა მოსწონებიათ, და გაუკითხველათ გადმოუტანიათ ჩვენში. მაგრამ რადგანც იმათ თვითონ არ შეუძლიათ გასაჯონ ჩვენი პრინციპი რაა და რამოდენა ერთგულობით ვუახლოვდებით ჩვენ ჩვენს მიზანს, იმათ მოჩვენებით, რომ „სიტყვისა და საქმის ერთობა“ აი რაში უნდა მდგომარეობდეს. მაგალითად, „დროებამ“ დასწერა: ჩვენში რკინის გზაა საჭიროო. მაშ „დროებამ“ თვითონ უნდა გააშენოს რკინის გზაო. ანა და სთქვა: სასოფლო შკოლების მასწავლებლები სჭირია ჩვენს ხალხსაო; — მაშასადამე, თვითონ მისი მწერლები სოფლის მასწავლებლათ უნდა წავიდნენო. — ერთი სიტყვით, რალა ბევრი გავაწილადობილო ლაპარაკი, გაუგონიათ. ამათ ზარების რეკაო, და სად არის ან რა ზარების რეკაო, ამისას კი ნურას ჰკითხვთ.

რალა გასაკვირველია, რომ ამისთანა ცოდნის და ჭკუის პატრონი კაცები ვერ შეიდგენენ სრულს და გონიერს აზრს იმისთანა ათასმხაროვან საქმეზედ, რომელსაც ჰქვია ხალხის ცხოვრების წინ-წაწევა. მათი ვიწრო ჭკუა, მათი მარტო ერთ პატარა წერტილზედ გახსნილი გონება მარტო ერთ მხარეს აჩვენებს მათ ხალხის საჭიროებისას. ერთი გამოვა და დაიჟინებს: ხალხს მარტო სასოფლო შკოლები სჭირიაო, და პირად მტრათ ჩასთვლის ყველას, ვინც კი იტყვის სხვას რასმე. მეორე დაიყვირებს: არა, ხალხს მარტო სასოფლო ბანკები სჭირიაო, ჯერ გააძღეთ, სწავლას მერმე თვითონ შეიძენსო. ესეც გაბღვერილათ უყურებს ყველა იმას, ვინც სასოფლო შკოლების ანა და სხვა რამე დაწესების საჭიროებას ჰქადაგებს. მესამე გამობრძანდება და იტყვის: სულ ყველაფერი შეცთიომია, ხალხს მარტო ქართული ენის შესწავლა სჭირიაო, მეოთხე დაობს — არა ზნეობითი განხნაო, მეხუთე მატერიალური კეთილდღეობაო და არის ერთი უშველემელი ალიაქოთი და დავი-დარდუბალა ამ ვიწრო-შეხედულობის კაცებს შუა. ყველას გულწრფელათ სურს ხალხის სიკეთე, ყველას

უნდა მისი დახმარება, მაგრამ საუბედუროთ მათი დრო და ძალა ურთი-ერთს შუა გამწარებულ ბაასში და დავაში იკარგება. ხალხს ამით ბევრი არა ემატება რა, და ყმაწვილები კი ორი სამი წლის დაობის შემდეგ, რწმუნდებიან, რომ „არაფერი გამოდის რაო“; და ჰრგავენ თავს ბიუროკრატიაში...

აი როგორ იფანტება და იკარგება ჩვენი ხალხის უმჯობესი ძალა, უმჯობესი იმედი, უძვირფასესი საუნჯე, მარტო იმიტომ, რომ არავის თავში არ მოდის უბრალო აზრი: ამ ყმაწვილებში მტყუანი არავინ არის, ამიტომ რომ ხალხს მართლა ყველაფერი ის სჭირია, რასაც თითოეული ყმაწვილი ცალ-ცალკე ჰყვირის. მოვა დრო როცა ჩვენ ან ჩვენი შემდეგნი, ამას მიხედებიან. მაშინ ურთი-ერთთან დავის მაგიერ, ისინი თავიანთ შრომას და ძალას შეაერთებენ და ნელ-ნელა მიანიჭებენ ან უფრო სწორეთ ვთქვა შეაძენიებენ ხალხს ყველაფერს, რაც იმას სჭირია.

აი რითი აიხსნება ხშირი საყვედური „დროებაზე“. ზოგი იმას გვეუბნება — საკმაოდ ქართველები არა ხართო, და ქართული ენის საჭიროებას ყველზე უფრო უაღრეს საჭიროებათ არა სთვლითო. სხვანი გვკიცხავენ, რომ ერთობ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენ ქართულს ენას, და ხალხის მატერიალურ კეთილ-დღეობას, მის ზნეობით აღდგინებას კი ვივიწყებთ. ზოგი რას გვიწუნებს, ზოგი რას. ყველა ესენი სტამბაში რომ ხმას იღებდენ, მათი კრიტიკები და საყვედურები ერთმანეთს გააქარწყლებდენ, და გამოვიდოდა, რომ „დროებას“ ხალხის საჭიროება მარტო ერთი ვიწრო მხრით როდი ესმის, რომ ხალხის ცხოვრება ემორჩილება ათასნაირ ბუნებითს და ზელოვნურს ძალებს, რომლებს წინააღმდეგ კაცმა ათასნაირი საშუალება და ძალები უნდა გამოძებნოს. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ადრე თუ გვიან ეს მაინც გამოჩნდება, და მაშინ საზოგადოება დაინახავს, რომ „დროება“ არ შემცდარა, ამ რიგათ რომ გაუგია თავისი დანიშნულება და მოვალეობა.

აი რა დავინახე მე საჭიროთ გამომეთქვა უფ. მაჭახელაძის სტატიის იმ ადგილების წინააღმდეგ, რომელიც შეადგენენ, ჩემის აზრით, ჩვენი ახალგაზდობის ერთს ნაწილში გავრცელებულს შეცთომას. რაც შეეხება თვითონ უფ. მაჭახელაძის კვინტრის და დიალექტი-

კურს ვაპრობას, მე იმათ სწორეთ იმოდენს ყურადღებას მივაქცევ, რამდენი ჩემგან მის გინებას ეღირსა. თუმცა უფ. მაჭახელაძე ამბობს, რომ მართალი აზრი მარტო მაშინ გაიტანს თავისასო, როცა იმას გამოთქმენ და დაიცვენ საზოგადოების წევრებო, მაგრამ ჩვენი საზოგადოება არც იმდენათ ბრწყვია რამდენათ იმას უფ. მაჭახელაძე სთვლის. ათასჯერაც რომ დაბეჭდოს უფ. მაჭახელაძემ ის აზრი, რომ კაცი ყირა - მაღლა უნდა დაიარებოდესო, თუნდ არავინ ამის წინააღმდეგ არ აღიჭურვოს, ამ აზრს მაინც არავინ ჩათვლის გონიერათ, და სახელმძღვანელოთ მაინც არავინ მიიღებს. მაშ ივარჯიშოს კიდევ თავის დიალექტიკაში და ლანძღვაში უფ. მაჭახელაძემ. როცა იმდენათ ისწავლის თავის საქმეს, და იმდენათ დახელოვნდება, რომ პრინციპი რაა გაიგებს და პრინციპს ხასიათთან არ არეგს, მაშინ, მაგრამ მარტო მაშინ, მე გამოვემუხსაიფებდი იმას. მაგრამ ჩემი ანგარიშით მანამდი, მგონია, ბარე ოცი მუხა გახმეს აჯამეთის ტყეში.

1877 წ.

პაჭროთხილვა

ზოგიერთი სენი ისეთ რიგათ გამოჯდარია ჩვენი საზოგადოების ძვალსა და რბილში, რომ მის ამოსანერგავათ კაცმა ერთხელ კი არა, მგონია ოც-და-ათჯერაც უნდა წაუწეროს ავთიმყოფს კარგი მაგარი დეკობტი. ამ გვარი სენის რიცხვს ეკუთვნის ის უსინიდილობა, რომლითაც ჩვენში ყველა ჰკიდებს ხელს სრულიად უცნობს საქმეს და კისრულობს სრულიად აუწონავს ტვირთს. თუმც ბევრჯერ მიმიქცევია მე მკითხველი საზოგადოების ყურადღება ამ ჩვენს უბედურს თვისებაზე, მაგრამ დღეს, ხელახლავ საქიროა მასზე ლაპარაკის ატეხა, მით უფრო, რომ დღეს ეს სენი ჩვენ ახალ კანში გვეჩვენება...

მოგეხსენებათ, რომ ჩვენში არავინ, არც დიდი, არც მცირე არ იტვირთებს, მაგალითად, კუპრიელის გაკეთებას ან ყასბობას, ანა და ხარაზობას, არ ითაკილებს სთქვას: მე ეს ხელობა არ შევისწავლია, მისი არა მესმის-რაო და არ შემიძლია, რომ ის შევესარულოო. თუ ჩააჯინდით, დაუმატებს კიდევ: ეს საქმე რომ ვიკისრო, ტყავსაც წაფახთენ, დროსაც დაგაკარგვინებთო. მაგრამ იგივე პირი, რომელიც ყასბობას არ ჰკიდებს ხელს იმ საფუძვლით, რომ მე ეს ხელობა არ შევისწავლიაო, დაუფიქრებლად მზათა იკისროს, მაგალითად, მსაჯულობა, ბანკირობა, ქალაქის მმართველობა და სხვა ამგვარი თანამდებობა. თითოეულს ამ თანამდებობას სულ უკანასკნელ ასჯერ მაინც უფრო მეტი ცოდნა და დამზადება სჭირია, ვინემ ყასბობას. მაგრამ საკვირველი ისაა, რომ კაცი არ გამოჩენილა ჩვენში, რომელსაც სინიდიისი გაღვიძებოდეს ამგვარი თანამდებობის ძიების დროს და ეთქვას: რადგანაც მე სრულიად არაფერი მისწავლია ამ თანამდებობისა, მე მისი აღსრულება არ შემიძლია და სჯობს მასზე უარი ვთქვარო. ამ მიზეზით ჩვენ ვხედავთ წამ და უწუმ რომ სხვადასხვა რთულ და მძიმე თანამდებობას ეწაფებიან სრულიად მოუმზადებელი პირნი, რომელნიც, რასაკვირველია, გაკეთების მაგიერ, ჰფუშავენ და ახდენენ მათგან ნაკისრ საქმეს.

ეს შენიშნვა მე ორჯერ-სამჯერ გამომითქვამს ჩვენს მწერლობაში, და დღეს მე იმას როდი მიუბრუნდებოდი, ესევე სათაკილო.

და მანვე მოვლენა სხვა, უფრო მძიმე სფერებში არ გადასულიყო და სხვა, უფრო ხელუხლებელი ფორმა არ მიეღო.

თუმც დიახაც სავენებელია საზოგადოების ერთი ნაწილისათვის რომ დაუმზადებელი და უმეცარი პირი ბანკის საქმეს ჰკიდებს ხელს, ანა და ქალაქის მმართველს ჰკისრულობს, მაგრამ ეს ვნება ეკუთვნის მატერიალურს მხარეს, და შეადგენს საზოგადოებისათვის მატერიალურს ზარალს. ამგვარი მოქმედებით ბანკის წევრებს ეკარგებათ ფული, ანა და საშუალება ფულის გამოტანისა; ქალაქის მცხოვრებლებს შკოლები აკლდებათ, ან ქუჩები უტალახიანდებათ და სხვა. მაგრამ თითოეული ამგვარი ყმაწვილის მოქმედება ზიანს როდი აძლევს მთელს საქართველოს, როდი ავნებს მთელს ჩვენს ხალხს და ჩვენი ქვეყნის მომავალს. სულ სხვანაირია იმ პირების როლი, რომელიც წინდაუხედველათ მოუმზადებდათ, უმეცარივით ხელს ჰკიდებენ მწერლობას და საზოგადოთ აზრს. მათი შეცდომა ხშირათ შესამჩნევს კვალს სტოვებს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მათი უმეცრება ხშირათ ოცი და ორმოცი წლით აბრკოლებს ჩვენი ქვეყნის წინ-წაწევას და კეთილ-დღეობას. აქ მართალია, მატერიალური ვნება იშვიათია, მაგრამ, სამაგიეროთ, გაუზომავია ის ზნეობითი ვნება, რომელიც ჰლუპავს მთელს თაობას და აბრკოლებს მთელს ხალხს...

მწერალი ანუ ის კაცი, რომელიც კისრულობს მრჩეველათ გაუხდეს თავის საზოგადოებას და თითქმის წინამძღოლათ გამოვიდეს თავისი ხალხისა, ისეთ უშველებელს და მძიმე მოვალეობას კისრულობს, რომლის სინდისიანათ ასრულებისათვის საჭიროა ათასნაირი პირობა. ხეირიანი კაცი, რომელიც ამ მაღალ დანიშნულებას ეძებს, უნდა იყოს ჩინებულათ მომზადებული ერთს რომელიმე საგანში კი არა, თუთხმეტ და ოცს მეცნიერებაში. საზოგადო ცხოვრებაში ერთი ისეთი მოვლენა არ მოიპოვება, რომელიც ერთსა და იმავე დროს არ ეხებოდეს ხუთს-ექვს სხვა და სხვა მეცნიერებას. მის დასაფასებლათ და გასარჩევლათ საჭიროა, რომ კაცს შეეძლოს ყველა ამ მეცნიერებების მხრით გაარჩიოს ამ მოვლენის თითოეული მხარე. მაგალითად, ავიღოთ თუნდ იმისთანა სულ უბრალო საქმე, მაგალითად, შკოლების გამართვა, მისი სინდისიანათ გასასჯელათ მწერალს სჭირია ცოდნა პედაგოგიური სისტემებისა, სოფლების ეკონომიური მდგომარეობისა, ხალხის ნაციონალურ მიმართულებისა, ქვეყნის ფინანსიური ძალისა, დანარჩენ ქვეყნებში სკოლების საქმის მსვლელობისა და სხვა და სხვა. უწარჩინებულესი პედაგოგი, რომელიც ჩინებულათ დამზადებულია სკოლაში ყმაწვილის აღზიდისათვის, შეიძლება რომ სრულიად დაუმზადებელი იყოს სკოლის საქმის გარჩევისათვის მწერ-

ლობაში, ამიტომ რომ იმისთვის სზირათ სრულიათ დახშული არიან ყველა ეს მეცნიერებები, პედაგოგის გარდა.

თუ ასე ძნელია წვრილმანი საზოგადო კითხვების გარჩევა და მათზე ხელმძღვანელი აზრის გამოთქმა, მიბრძანეთ, რამდენათ უფრო მძიმე უნდა იყოს იმისთანა საქმეებზე აზრის გამოთქმა, როგორც მთელი ერთი ხალხის მომავალი, ან მთელი ერთი ქვეყნის ხელმძღვანელობა?

ეს საქმე თხოულობს კაცისგან ხანგრძლივ სინიდისიან დამზადებას, რომელსაც ოთხი და ხუთი წლის შრომა როდი კმარა, თხოულობს ამას გარდა ხეირიან გონებას, დამჯღარო მსჯელობას და დიდს გამოცდილებას. ასრე გასინჯეთ, რომ პატიოსანი მწერლები, რომელთაც ყველა ეს საუნჯენი უხვათ აქვთ, ისინიც კი თითოეული ახალი საზოგადო კითხვის აღძვრვის დროს თავს იმტვრევენ, წვალობენ და ათასჯერ ზომავენ ყველაფერს, რაც კი იციან, სანამ ერთხელ „მოჭრას“ გაბედვენ, ესე იგი სანამ თავიანთ აზრს გამოთქმენ...

ეხლა ვნახოთ, რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ აქ, ჩვენებური ახალგაზღობა, რომელიც ჰკისრულობს ჩვენი საზოგადო აზრის წინამძღოლობას.

წაბრძანდება რომელიმე ჭაბუკი რუსეთში ანა და საზღვარგარეთ, წაიკითხავს ხუთ-ექვს პაწაწა წიგნს, დაათვალიერებს ქუჩებს და ყავახანებს, და დაბრუნდება უკან, სრულიად დარწმუნებული, რომ მასში მსოფლიო მეცნიერებაა დაბუდებული. არც ექვს, არც ფიქრს არც ზაფხრს მის თავში აღვილი არ აქვს. თუ ქვეყანაზე უწინ ყოფილა რამე ცოდნა, თუ არსებობს ხალხში ან ისტორიული ტრადიცია, ან მამა-პაპური მიმართულება და თვისებები, ამას ის არც დაეძებს, არც იცის, თუ საჭიროა ძიება. ის სრულებით დარწმუნებულია, რომ რაკი იმას ორიოდ ბროშიურა წაუკითხავს ფლეროვსკის და მისი მსგავსებისა, მეტი აღარაფერი ცოდნა აღარ სჭირია. უწინ რომ მეცნიერები ყოფილან, კაცობრიობის თვალის ამხსნელნი, ყველა ეს მეცნიერები ამ ყმაწვილების აზრით, „დაბერებულები“ არიან. მათი შესწავლა, მათი თხზულებების გაცნობა ვის სჭირია! და ის კი არავის ესმის, რომ ბროშიურების დამწერი ისწერენ იმ საზოგადოებისთვის, სადაც ყოველ ხეირიანს კაცს თავში გათქვეფილი აქვს ყველა ის უკვდავი ჭეშმარიტებები, რომელნიც უწინდელ მეცნიერებს კაცობრიობისთვის უძღვნიათ. ის კი არავინ იცის, რომ ფლეროვსკები სხვისგან დამზადებულ საფუძველზე და შენობაზე ადებენ თავიანთ საკუთარს ერთს ახალს აგურს. ჩვენ ყმაწვილებს კი ჰგონიათ, რომ თუ იმათ მარტო ეს ახალი აგური გაიცვენ და გადმოიტანენ,

ჩვენშიაც მზათ იქნება ის შენობა, რომელიც ევროპიული საზოგადოების სიამაყეს და იმედს შეადგენს!

მობრძანდება მეთქი ამგვარათ დაუშაადებელი ყმაწვილი, დამის მაგიერ, რომ სწავლა შეისრულოს ჩვენი ხალხის და მდგომარეობის გაცნობით, რომ ჯერ რიფიმე საზოგადო ნდობა დაიმსახუროს, მივარდება პირ-და-პირ ისეთი კითხვების სჯას, რომელშიაც სრულიად არაფერი ესმისი, და იწყებს ისეთ საქმეებზე აზრის გამოთქმას, რომელზედაც უწარჩინებულესი მეცნიერი ორს-სამს თვეს მაინც გამწარებულათ იფიქრებდა. მერმე როგორ კითხვებზე და როგორ საქმეებზე ლაპარაკობს ის? იმისთანებზე, რომელიც პირ-და-პირ შეეხებიან მთელ ხალხის მომავალს, რომელნიც შეადგენენ ჩვენი ქვეყნის ასავალ-დასავალს!

ყოველს კაცს სრული ნება აქვს ისე გაატაროს თავის დრო და ისე მოიხმაროს თავისი ენა, როგორც იმას სურს. მაგრამ, როცა ვისმეს ლაპარაკი და ვისმეს დროს გატარება შეეხება მთელ ხალხს ან მთელი ქვეყნის აზრს და მომავალს, მაშინ არც ერთმა სინდისიანმა კაცმა არ უნდა იკისროს „ალა-ალათ“ როტვა და ყბედობა. თუკი არც ერთი პატიოსანი და სინდისიანი კაცი ვერ გაბედავს რჩევა მიცეს ერთს თავის მეგობარს, სანამ კარგათ არ გასჯის მის საქმეს, რანაირათ უნდა ჩაითვალოს პატიოსნების რიცხვში ის კაცი, რომელიც, ალა-ალათ ბედავს რჩევის მიცემას მთელი ხალხისათვის? თუკი ყოველს ხეირიან კაცს ეძძიმება სრულიად უბრალო ბანქოს თამაშის დროს მეგობრისთვის რჩევის მიცემა, რა სახელი უნდა დაერქვას დაუფიქრებელ რჩევის მიცემას იმისთანა საქმეებში, სადაც რჩევის ასრულებას მოსდევს მთელი მხარის ბედი ან უბედობა?

იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადო ცხოვრება ხეირიან კალაპოტ-ტშია ჩამჯდარი, ვერავინ ვერ ნახავს ამგვარ მავნე მოვლენას. იქ, მეტიჩრობა და მატრაკვეცობა საზოგადო საქმეებში თითქმის სრულიად უცნობ მოვლენას შეადგენს. იქ ახალგაზდობა ერთათ იკრიბება, და ამ ყრილობაზე თითოეული თავის აზრს გამოთქვამს, დანარჩენები ამ აზრს დაფასებენ, ასწონიან, გასჯიან, და მარტო ამგვარი მრავალ მხაროვანი განსჯის შემდეგ მიიღებენ გარდაწყვეტილებას, თუ რა აზრს და რა საქციელს დაადგენ. ამის წყალობით სამზღვარს გარეთ ჩვენ იშვიათათ ვხედავთ სხვა და სხვა ტუტუტურს ან ბავშურს პროექტებს, უფრო იშვიათათ ვესწრებით მოუაზრებელს და აჩქარებულს მოვლენებს და თითქმის სრულიადაც არ ვესწრებით იმისთანა, უსარგებლო ძალისა და დროის კარგვას ახალგაზდობისას, რომლის მოწმეთ ჩვენ ასე ხშირათ ვართ ჩვენში...

კარგათ ვიცით, რომ ეს ჩვენი სიტყვები არავის არ ასწავლიან კკუას. ინგლისში წყევლაში აი ამ სიტყვებს ხმარობენ: „ღმერთმა არც შენ გაცოდინოს რამ, არც სხვისი დაგაჯეროსო“. არ ვიცი ვინ-
ან როდის დასწყევლა ასე მწარეთ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ახალ-
გაზღობა, ნამდვილი კია, რომ ჩვენზე ამ წყევლას სრულებით გა-
უჭრია. მაგრამ, თუმც იმედი არ არის, რომ აქ წერით რამე გარიგ-
დეს, ვისურვებ კი მაინც, რომ შემდეგში ჩვენს ქვეყანაში იმისთა-
ნა პირების რიცხვი შემცირდეს, რომელთაც ჯიუტათ და წინდაუ-
ხედველათ მარტო უმეცრება ხდის. ვისურვებ კიდევ, რომ იმათ უმეც-
რებას არავითარი გავლენა არ ჰქონდეს ჩვენი საზოგადოების აზრზე
და ჩვენი ხალხის მომავალზე.

1877 წ.

„ივერიის“ პირველი ნომერი

მოკვდა იგი მებუჯცა,
რომელიცა ბუკსა სცემდა!
სახალხო

„ივერიის“ პირველი ფურცელი — დაპირებისამებრ — გამოვიდა წარსულ ხუთშაბათს, ამ თვის სამს¹. თუმც ახალი გაზეთის რედაქციამ შიგ საქმეო სისრულით გამოაჩინა თავისი შეხედულება, ძალა და მიმართულება, ისე, რომ გამპირიანხე პირისთვის ადვილია „ივერიის“ მომავალზე სჯის შედგენა, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, ამგვარი სჯის გარდაწყვეტით გამოთქმა, ჩემის აზრით, უდროოც იქნებოდა და უსარგებლოც. მართალია, ღეინემ თქვა, ვერაინ დამაჯერებს, ვითომ ლომი ჯერ თავვით დაიბადება და ლომის ბრწყალები და თვისება კი მას მერმე მიენიჭებაო. მართალია, კიდევ ჩვენი ხალხი ამბობს, რომ საულლე ხბოს კანჭებში შეეტყობაო. მაგრამ აჩქარებით სოფელი მაინც არავის მოუჭამია. ვაცადოთ დროს, მოხერხებას, მეცადინეობას, შემთხვევას. იქნება ღმერთმა ჰქნას და ჩვენმა ხბომ მგელი დაიჭიროს. ნუ დავიჟინებთ თავიდანვე „არა, ვერ დაიჭერს ხბო მგელსავრ“. ვაცადოთ, შივუშვით ხბო ტყეში, მივცეთ დრო, და თუ ვინცობაა რამდენიმე თვის განმავლობაში იმან ფეხ - შეკრული მგელი შინ ვერ მოგვგვაროს, ან თვითონაც აღარ დავვიბრუნდეს, მაშინ მაგრამ მართო მაშინ — საუუძველი გვექნება ვთქვათ: „ხბოს მგელი როდი დაუჭერიათქო“.

ამის გამო უდროოა ჯერ-ჯერობით აზრისა და სჯის გამოთქმა ახალ გაზეთზე და მის რედაქციაზე. რა ვიცით, იქნება შემდეგში მისი საქმე უკეთ წავიდეს, იქნება მომავალში იმან ახალი ძალა შეიძინოს!...

მაგრამ „ივერიის“ პირველ ნომერზე კი ყოველ კაცს შეუძლია სჯის შედგენა და გამოთქმა. ის დაიბეჭდა, გამოიცა, ხალხში გავრცელდა. მომავალი იმას ვერც გააუმჯობესებს, ვერც დაამცირებს. ის ეხლა ხორც-შესხმული არსებაა, და მისი დაფასება, გასინჯვა ან გარკვევა ყველასათვის ადვილია. ოღონდ იმას ნუ ვიტყვით და ნურც

ვიფიქრებთ, რომ როგორც პირველი ნომერია, იმნაირივე იქნება მთელი „ივერიაც“, ელონდ ამ პირველი ნომრის სიკარგეს ან სიგლახაკეს მთელ გახეთს თავზე ნუ მოვახვევთ, — მაშინ ამ ნომრის განხილვით ჩვენ როდი დავარღვევთ „დარბაისელი კრიტიკის“ კანონებს და ჩვეულებას. ეს ვიქონიოთ სახეში, და შეუდგეთ, იმ შთაბეჭდილების გამოხატვას, რომელიც ჩვენზე „ივერიის“ პირველმა ფურცელმა მოახდინა.

დავიწყოთ წვრილმანებით. ამ პირველი ფურცელის ენა ერთობ შესანიშნავია, და ღირსია მიიქციოს ჩვენი მწერლობის სრული ყურადღება.

1861 წელში უფ. ილია ჭავჭავაძემ დიდი და დაუფიწყარი სამსახური გაუწია ჩვენს მწერლობას. უწინდელი ჩვენი მწერლები ხმარობდნენ მკვდარ მწიგნობრულ ენას, რომელსაც ჩვენი ხალხი ვერც კი იგებდა. ილია ჭავჭავაძემ პირველათ დაამტკიცა ის საფუძვლიანი აზრი, რომ მწერლობა იმ ენას უნდა ხმარობდეს, რომლითაც ხალხი ლაპარაკობს. ამით მან ზურგი გაუმაგრა იმ მწერლებს, რომელთაც მასზე უწინ სახალხო ენაზე წერა დაეწყოთ. „საქართველოს მთაბის“ შემდეგ, ქართულმა მწერლობამ ერთი-ორი ნაბიჯი მაინც წინ წაადგა, და უფრო და უფრო მიითვისა სახალხო ენა, რომელიც ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამდიდრდა საქართველოს სხვა და სხვა პროვინციალური დიალექტების სიმდიდრეების ჩართვით ქართულ მწერლობაში. უფ. ჭავჭავაძეს ეხლა ალბათ შეშინებია იმ მიმართულების, რომელიც თვითონვე დაამყარა. „ივერიის“ პირველ ნომერში ის უკან დახეულა ძველ მწიგნობრულ ენისკენ. დღეს ის თითქო საგანგებოთ უბრუნდება დავიწყებულ სიტყვის-წყობილებას, მიტოვებულ ფლექსიებს და უხმარ მიმოხვრას. აიღეთ და შეადარეთ, „ივერიის“ პირველი ნომრის ენა თუნდ „კაცია ადამიანის“ ენას, — და აი რას ნახავთ:

„თავადი ლუარაბ თათქარიძე განლდათ კარგათ ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი — უკაცრავათ არ ვიყო ამ სიტყვაზედ — რო ორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელის კაცის 'თებდულება' ჭქონდა მის ბრწყინვალებასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგევით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენია“-ო. და სხვ. (კაცია ადამიანი).

ახლა კი უფ. ჭავჭავაძეს აი როგორ დაუწყია წერა:

„გიდრე ამ ახნას შევუდგებით საჭიროთ ვრაცხთ მოვიხსენიოთ, რომ ნაყმეთა გარეთად ჩვენის გუბერნიის გლეხობას შეადგენენ საეკლესიო (რომელნიც ეხლა სახასით არის ჩარიცხულნი) და სახასო გლეხნი, რომელთაც როგორც ვენახები, ისე სახანავსათიბი მიწები უფრო უხვადა და ბლომადა აქვსთ („ივერია“ № 1, გვ. 4).“

შეადარეთ ეს ორი ენა და მიბრძანეთ — პროგრესათ ჩავთვალოთ ეს, თუ რეგრესათ, წარმატებათ, თუ უკან დახევათ?

მწერლობის წარმატებას ყოველ ქვეყანაში ერთი და იგივე კანონი მართავს: ყოველგან მწერლობა თან-და-თან უფრო და უფრო უახლოვდება ცოცხალ ენას, და თავის გრამმატიკას ამ ენის თვისებებზე იდგენს, და არა ძველ ნაწერებში ეძებს. ნიჭიერი მწერალია უფ. ილია ქავჭავაძე, მაგრამ მისი ნიჭი ვერ დაარღვევს ამ საზოგადო და საყოველთაო კანონს. ბევრათ უფრო ნიჭიერნი იყვნენ რუსეთში აქსაკოვები და შიშკოვი, როცა იმათ სცადეს ძველი მწერლური ენის აღდგინება, მაგრამ ვერა გაარიგეს რა. და რადგანაც ჩვენში ნიჭი იშვიათი საქონელია, სჯობს და სასურველიც არის, რომ უფ. ქავჭავაძემ თავისი ღონე და მეცადინეობა სხვა, უფრო სახეირო და მომავლიან შრომას მოახმაროს.

ენიღამ მანერისკენ გადავიდეთ. „ივერიის“ პირველ ნომერს მიუღია „Неделя“ - ს ჩვეულება — ბრტყლათ და „დამჯდარათ“ გამოთქმა სრულიად უმნიშვნელო და ყველასაგან ნაცნობი აზრებისა. იწყებ კითხვას, გგონია აი, ესეც არის გამოთქმენ იმ აზრს, რომლის გამოთქმამდი ამდენს ცერემონიას ხმარობენო, ძლივს ინელებ სიტყვების ტკაცა-ტკუსს, გადახვევ-გადმოხვევას, და ათავებ სტატიას ისე, რომ აზრი ვერც კი გიპოვია. შემოძველდა, ბატონებო, ეს მანერა. ათასნაირი ბრძნული სახე რომ მიიღოთ, ათასნაირათ რომ გაიქინოთ და წილადობილები გამართოთ, საქმე მაინც იმითი უნდა გათავდეს, რომ ახალი აზრი გამოთქვათ და დაამტკიცოთ. გამოთქვით, რალა, ეს აზრი, გვიჩვენეთ რაში მდგომარეობს, ნუ გვაწვალებთო ფიქრობს მკითხველი, და ხედავს, რომ აზრი, მერმე ახალი აზრი, არსად იპოვება. გაცვეთილი, ბანალური აზრების ბრტყლათ გამოთქმით მწერალი მკითხველ საზოგადოებას ვერ დააკმაყოფილებს. თუ მის ნაწერში ისეთი აზრი არ მოიძებნება, რომელიც მკითხველს შუაგულ კკუაში გაუჯდება და ჩაებტკდება, თუ ეს აზრი ერთბაშათ არ არწმუნებს მკითხველს ისე, რომ იმას ჰგონია ეს აზრი მე თვითონ მიჯდა თავში, მაგრამ ასე, გარკვეულად კი არ მეჩვენებოდაო, — მწერალი ვერ მიითვისებს მკითხველის გონებას, ვერ გახდება მის მესაიდუმლე მეგობრათ და ვერ დაიმსახურებს მის ნდობას და რწმუნებას. ეს იცოდეთ, ეს დაიმახსოვრეთ, და აი ამისთანა აზრების პოვნა მოახერხეთ, თუ გსურთ გზა გაიკაფოთ მკითხველი საზოგადოების გონებისა და გრძნობისკენ. თორემ მარტო მედიდური პირის-სახით, წარბის შეღუმევით, და სიტყვის დამძიმებით მწერალი შორს ვერ წავა.

ეხლა დანიშნულებაზედაც ვთქვით ორიოდ სიტყვა.

„ივერიის“ პირველი ნომერის მოწინავე სტატია ამბობს:

„სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება, — აი რაში მდგომარეობს ჩვენის გაზეთის პროგრამა“.

ლმერთმა ჰქნას, რომ ჩვენმა ხბომ მგელი დაიჭიროს, მაგრამ „სამეცნიერო ცნობათა გადმოტანას“, სამეცნიერო ცნობათა ცოდნა სჭირია, და არა ამგვარი სიტყვის რახა-რუხი:

„მეცნიერება საღაროა, სადაც აწყვია უკეთესი განძი ადამიანის უკეთესის ჰკვითა და გრძნობით მოპოებული; იგი უდიდესი ტაძარია, საცა დაყუდებულია დიდებული ხატი კაცობრიობისა, ადამიანის ჰკვითა და გულით ძვირფასი თვლებით შეჭედილი, განუჭრობლათ ანთია უმშვენიერესი ხომლი ადამიანის ჰკვითა და სულით ანთებულის ჰუმბარიტებისა“.

ამ გვარი ფრაზებით ბებია ჩვენის დროს „აკვირებდა ხალხს“ განსვენებული მარლინსკი. ფრაზები შემოძველდენ. ეხლა მკითხველი აზრს თხოულობს, ახალს, მარჯვე, სწორ აზრს, და არა ფრაზას. მართლა რომ იცოდეთ თქვენ მეცნიერება რაა, ამგვარ ფრაზებს როდი დასწერდით, ამიტომ რომ ამნაირი ფრაზები მოსპო და მოკლა მეცნიერებამ, რომელიც თხოულობს ფაქტს და იმ ფაქტზე დამყარებულ აზრს, და არა სიტყვების სრულიად უმნიშვნელო კრიკინს.

რამოდნაა ნამდვილია „ივერიის“ პირველი ნომრის პრეტენზია გვინდა მეცნიერულ გზას დავადგეთო, გვიჩვენებს სტატია „ტფილისის გუბერნიის ეკონომიური ღონე რის ნაკლებ არ უნდა იყოს“ (?). თუ ემაგრე სცოდნია „ივერიის“ მეცნიერ რედაქციას სტატისტიკის ხმარება, თუ ემაგრე იხმარა იმან მეცნიერების „განძი“, — გაკეთებულა ჩვენში მეცნიერების საქმე! ჩვენ იშვიათათ წაგვიკითხავს ამ სტატიასზე უფრო უმეცარი რამ, მაგრამ, რადგანაც „ივერიის“ ათიოდე ნომრის გამოსვლის შემდეგ ვაპირებთ მისი „მეცნიერების“ ერთბაშათ გასინჯვას, ამის გამო ეხლა ჩვენ ამ სტატიას დაწერილებით როდი განვიხილავთ.

რაკი მეცნიერებაზე ჩამოვადგეთ ბაასი, უნდა შევნიშნოთ, რომ „ივერიის“ პირველ ნომერს ვერ გამოუჩენია საკმაო მეცნიერება, როცა ის აზრი გამოუთქვამს, ვითომ მარტო დაცემულ საზოგადოებაში ჰქონდეს მწერლობას „ერთმანეთის ლანძღვის და თრევის ხასიათი“. დაცემული როდი იყო ვოლტერის დრო და საზოგადოება, მაგრამ ლანძღვა და თრევა თუ გინდათ, ჩაიხედეთ მის ნაწერებში. ლეინეს დრო და საზოგადოება აგრეთვე დაცემული არ იყო, აბა

ლანძღვა და თრევა მის ნაწერებში მოიკითხეთ. გაიხსენეთ აგრეთვე ბოკლი და ბაირონი, ვიქტორ ჰიუგო და ბორნე, არმან კარელი, დობროლიუბოვი, ლერცენი და ლასსალი, და გამოტყდით, რომ თქვენზე ნაკლები არც ერთი მათგანი არ ყოფილა, თუმც ლანძღვაში და თრევაში ისინი დიდი დარდიმანდები იყვნენ. არც მეცნიერების ნიშანია აგრეთვე, აი ამ აზრის გამოთქმა:

(მწერალმა მოპირდაპირეს თავის იზრი) „ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხ-ჰყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავის-თავს კაცად სცნობს და აღიარებს“.

ერთი რომ, ეს ფრაზების შადრევანი „ივერიამ“ უნდა უძღვნას „გამოცანების“ დამწერს „ჩატეხილ ხიდზე“, „მსუნაგზე“ და სხვ. მეორე რომ, როცა კაცი თავისი საკუთარი მოქმედებით და ხასიათით თვითონ ივიწყებს და უარჰყოფს კაცობრიულ გრძნობას, მაშინ მის მოწინააღმდეგეს სრული უფლება აქვს დაივიწყოს ის, რაც დავიწყებული აქვს თვითონ მეპატრონეს. მესამე რომ, მწერლობისთვის „ივერია“ ახალ კანონებს ვერ დაარსებს: რაც სხვა მწერლობაში ნიადაგ ხდება, იმას ვერც ჩვენ ავცილდებით. მიბრძანდით და ჰკითხეთ უფ. კოკორეცს, შეუხებელი თუ დასტოვა მასში დობროლიუბოვმა „კაცობრიული გრძნობა“, „ძვირფასი ზნეობითი კანონი“ და სხვა. მიაკითხეთ ამაზედვე იულიან შმიტს ან შულცე - დელიჩს, სან - ბეცს, ან ჟირარდენს და ათას სხვა მწერლებს, რომელთაც მოხვედრიათ პოლემიკის მწარე შოლტი, ან დასმიათ კრიტიკის აუხსოვავი დალი... როცა გამეცნიერდეთ, ამავების შეტყობით, მობრძანდით, და ამბავი მე-ნიბრძანეთ.

პუბლიცისტური მხრით „ივერიის“ პირველი ნომერი წარმოგვიდგენს უფრო სანუგეშო მოვლენას. სტატია „ცხოვრება და კანონი“ იწყება ჩინებულათ. შიგ ორიოდ გონიერი აზრია გამოთქმული, და თუმც ახალი არა რაა ამ აზრებში, მაგრამ სტატია მაინც ყურადღების ღირსია. როცა ეს სტატია დაბოლავდება, ჩვენ უეჭველად გავაცნობთ მკითხველებს მის შინაარსს. ესლა კი ორს რასმე ვისურვებთ: პირველათ იმას, რომ ეს სტატია ისე კარგათ დაბოლოვდეს, როგორც დაწყებულია, და მეორეთ, რომ ამისთანა ხეირიანი სტატიები ხშირათ იბეჭდებოდნენ „ივერიაში“.

ჩვენ იმედი გვქონდა, რომ „კაცია-ადამიანის“ და „გლეხების გათავისუფლების სცენების“ დამწერი „ივერიას“ ხეირიანი მოთხრობებით და ფელეტონებით შეამკობდა. „ივერიის“ პირველმა ნომერმა

ეს იმედი ვერ გაგვიმართლა. ფელეტონი „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“ ერთობ სუსტი და უკბილოა, ნეტავინ ან რამ ჩამტვრია კბილები მის დამწერს? დიდი სურვილი კი ჩარჩენია გულში კბენის, მაგრამ მადა და მისი დაკმაყოფილება ერთი როდია. რაც შეეხება „ქალაქის სცენებს“, გვიკვირს, უფ. ილია ჭავჭავაძემ როგორ მისცა თავის გაზეთში ალაგი ამისთანა ყოველდღუნქო და უმნიშვნელო ვითომ სურათს ხალხის ცხოვრებიდან!

ნებას ვაძლევ ჩემს თავს ერთი რჩევა მივსცე უფ. ჭავჭავაძეს. რასაკვირველია, იმას სრული უფლება აქვს მიიღოს ან უკუაგდოს ეს რჩევა. მისი პირველი ნომრის გასინჯვა მარწმუნებს, რომ თითქმის მთელი ეს ნომერი, ორი სუსტი სტატიის გარდა, მისი დაწერილია, თავიდან ბოლომდე: კარგათ დარწმუნდეს, რომ „ივერიის“ რედაქციაში ლიტერატურული ძალა არ მოიძიება, გარდა თვითონ ილ. ჭავჭავაძის ძალისა, და იმედი იქონიოს მარტო თავის თავისა. ნუ დააძალებს თავის ნიქს, ნუ მოთხოვს იმას იმისთანა რასმე, რისიც მოცემა მის ნიქს არ შეუძლია. მიატოვოს იქით მეცნიერება, ფილოსოფია, მაღალი ფრენა: ამაებში უხეირო ფრაზების მეტს მისი ნიქი ვერაჲს მოგვცემს. მიუბრუნდეს ისევ მოთხრობებს, ბელეტრისტიკას, — ამ მხრით მისმა ნიქმა დიდი დავალება დაადვა ჩვენს მწერლობას; და იქნება კიდევ შეძლოს ახალ დავალების დადება. მიუბრუნდეს საკუთარ დაკვირვებას, მოგონებას, და, თუ მოთხრობების წურა ეძნელება, გვიწეროს იმისთანა სტატიები საკუთარი მსაჯულის პრაქტიკიდან, როგორც სტატია „ცხოვრება და კანონი“. ამით „ივერიას“ მნიშვნელობაც შეეძინება და მკითხველებიც, და მაშინ ეს გაზეთი ნამდვილ სარგებლობას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას და ხალხს. ნუ ერიდება მუშტი-კრივს, ნუ მიაქცევს ყურადღებას გარეგან შეხედულობას, და ნუ დაივიწყებს, რომ ხანგრძლივია მარტო შინაგანი ძალა, მარტო დედა-აზრი. დაიჯეროს ეს ჩემი გულწრფელი რჩევა: დარწმუნებული ვარ, ჩვენი მწერლობის მომავალი შემატანე იტყვის შემდეგში, რომ ეს რჩევა გონიერი და გულწრფელი ყოფილა.

1877 წ.

სასოფლო მეურნეობა და გლეხთა საკითხი

ამხანაზობის ქალა

I

კაცს ცხოვრებაში ბევრი რამ სჭირია სასმელ-საჭმელათ, ტან-საცმელათ, სადგომათ, ერთი სიტყვით, თავისი ბუნების დასაკმაყოფილებლათ. ამ საჭირო საგნების გაკეთება ან შოვნა იმისთანა ძნელი საქმეა, რომ კარგი ცოდნა უნდა ჰქონდეს კაცს, რომელიც იმათ აკეთებს და კარგა ძალი დროც უნდა მუშაობდეს იმათ გასაკეთებლათ. ამის გამო შეუძლებელი საქმეა, რომ ყოველმა კაცმა თვითონვე დაიმზადოს და გაიკეთოს თავისი ხელით ყოველივე, რაც კი იმას ცხოვრებაში სჭირდება. კაცის ცხოვრებაში მიღებულია, რომ ერთი ერთს რასმე ხელობაზე დამდგარი და ერთნაირ საგნებს ამზადებს, — მაგალითად ხენა-თესვაზე, — მეორე მეორე — გვარ ხელობაზე ადგია, — მაგალითად სამოსლებს ქსოვს ან კერავს, ან და სადგომებს აშენებს.

უწინ, როცა კაცი სიღარიბის და უმეცრების მიზეზით, იმისთანა ცუდ მდგომარეობაში იყო, რომ თითქმის მხეცივით სცხოვრობდა, იმას, რასაკვირველია, ბევრი რამ არ სჭიროდა: ერთი ხამის პერანგი, ერთი ქალაბანი სადღესასწაულოთ, თხის ტყავის ხალთა ტანის დასაფარავი, — ამის მეტი იმას არა ჰქონდა რა, და არც სხვა საშვალეა ჰქონდა, რომ უკეთესი რამ შეეძინა. მაშინ ბევრი ცოდნა და ჯაფა არ უნდოდა იმის საჭიროების დაკმაყოფილებას. შინ გაზრდილ ძროხას ის თვითონ დაკლავდა, ტყავს ნაცარს წააყრიდა, ბალანს ნაჯახის ტარით გააცლიდა და ორი სადგისის გაყრით ქალაბანი მზათ ჰქონდა. მისი ცოლი შინაურულად ხამს დაამზადებდა, ქმრის საპერანგეთ და თავის საკბეთ. — ხალთაც ამ ნაირათვე ადვილი დასამზადებელი იყო.

მაგრამ როცა კაცი თან და თან უკეთეს მდგომარეობაში ჩაჯარდა, იმას ჩემებეცი დასჭირდა, ჩოხაცდა ხეირიანი პერანგი; მისი ცოლი ლაინის კაბას და ხამის პერანგს აღარ დაჯერდა. სუფრაზე მარტო ლობიოსა და მკადს გარდა, კვირაობით და უქმე დღეობით ღოში და ხორციც მოინდომეს, მათი საკმაზით. ყველა ამ საგნებს ერთი კაცი და ერთი ოჯახი ვერ დაამზადებდა.

II

მაშინ მუშაობა ისე გაიმართა, რომ რაც უფრო ეადვილება კაცს, და რაც მის გარემოებას უფრო მოუხდა, იმას მოკიდა ხელი. საცა, ვთქვათ, კარგი სახნავ-სათესი მიწა იყო, იქ კაცი მამულის მუშაობას მისდგა, სადაც ნამეტნავათ ცოტა ადგილი იყო და უფრო მეტი წყალი, მდინარე ვარო, თუ ზღვა, — იქ კაცმა თევზაობას, მენავობას მიაწვა; საცა ბევრი ნაღირიანი ტყე იყო, იქ უფრო ნაღირობა გახშირდა და სხვა.

პირველათ, მეთევზეები უმეტეს ნაწილათ, თევზით იკვებდნენ თავს და პურის მომყვანნი, — პურით. რუსეთში, ჩრდილოეთისკენ, ეს-ლაც სცხოვრობს იმისთანა ხალხი, რომელიც პურის მსგავსად გამხმარს და დანაყილს თევზს ხმარობს. ეს იმის მიზეზია, რომ სიღარიბის და უგზობის გამო, კაცი თავის სახლს ვერ სტოვებს, და ვერ იტყობს, თუ სხვაგან როგორ სცხოვრებენ, რას აკეთებენ და რას სჭამენ.

გადის დრო, და ზოგიერთი გამბედავი კაცები მიდიან ჯერ მეზობელი და მერმე შორეულ ხალხების სანახავათ, იქ ისინი რასაკვირველია, იმისთანა რასმე ნახავენ, რაც შინ ჯერ არ ენახათ, და თან წამოიღებენ რამდენიმე ამ გვარ გასაკვირველ საგნებს, შინ ამ საგნების შოვნას ბევრი ისურვებს და ამის გამო ამ საგნებს ფასი ედება. რაკი მგზავრები ამას დაინახავენ, მეორეჯერ წავლენ უცნობ ხალხთან, მიუტანენ იმათ გასაკვირვებელ ან გამოსადეგ თავიანთ საგნებს და მათ მაგიერ წამოიღებენ იმისთანაებს, რომ შინ კარგი ფასი დაედოს. — ამნაირათ იწყება ხალხში ერთი მხრითგან მეორეში საქონლის წაღებ-წამოღება, რომელსაც ჩვენ „ვაჭრობას“ ვეძახით

III

ვაჭარს თავისი ხალხისთვის სხვა ქვეყნების საქონელი მოაქვს, და თავის ქვეყნიდგან ან სხვა იმავე ფასის საქონელი, ან ფული გააქვს. ეს საქმე ადვილი საქმე არც ახლა არის, უწინ კი სწორეთ გაჭირვება იყო, ასე რომ ბევრი ვაჭარი ჩამკვდარა გზაში. ბევრი დაღუპულა საქონლის წახდენით, დაწვით, ან დაკარგვით. — ამას გარდა, ვაჭარი დროს ჰკარგავს ვაჭრობაზე, შრომობს, სცილილობს. უეჭველია, რომ ის ამას ამიტომ შვრება, რომ გამოჩინას მოელის. მანეთად ნაყიდ საქონელს, რომელიც ქირა-ხარჯით იმას, ვთქვათ, ექვს აბაზათ დასჯდომია, ის შვიდ, ან რვა აბაზათ, ხან ორ მანეთათ და მეტათაც ჰყიდის, და ამ მოგებით ის თავსაც ირჩენს, ოჯახსაც, და თან შავდლისთვისაც იმზადებს სარჩენს. სანამ ერთი ქვე-

ყანა მეორედგან დაშორებული და გაყოფილი იყო ცუდი გზებით, ავაზაკობით და ხალხების ერთმანერთ-შუა მტერობით, მანამდის სწორეთ დიდი გაბედვა უნდოდა სავაჭროთ წასვლას. — მაშინ ვაჭარს დიდი გამჭირახობა უნდა ეხმარა მოკლე, სანდო და სახეირო გზის გამოსაძებნათ, რომ საქონელი შინ საღათ და იათათ მოეტანა, ადგილებიც უნდა გამოეძებნა, საცა უფრო იათად იყიდებოდა თვითონ საქონელი და სხვ. და სხვ. მაშინ ვაჭარი ხალხი სწორეთ ისევე სავაჭრო და სასარგებლო იყო ხალხისთვის, როგორც პურის მომყვანი და მხედარი, ამიტომ რომ ვაჭარი ეძებდა, ჰპოულობდა და ყიდა იმისთანა საქონელს, რომლის შოვნა ძნელი და შეუძლებელიც იყო კერძო ჰირებისთვის,

მაგრამ აქ ისიც არ უნდა დაგვაიწიყდეს, რომ ვაჭრებსაც კარგათ ესმოდათ თავიანთი სავაჭროება და სარგებლობა. — ისინი, საცა კი შეეძლოთ — მოგებას ხელს არ აკლებდნენ, და, თავიანთი შრომით და მოხერხებით, კარგა ძალ სიმდიდრეს აგროვებდენ.

IV

შემდეგში გარემოება გამოიცვალა. გაიმართა კარგი გზები, ავაზაკობა შემცირდა, წასვლა-წამოსვლა ერთი ქვეყნიდგან მეორეში ისე გაიადფდა და გაადვილდა, რომ უწინ თფილისიდგან ქუთაისს ვერ ჩავიდოდა კაცი იმ ფულით, რომლითაც ეხლა ერთ თავიდგან მეორემდი შეიძლება მთელი ევროპის გავლა. ამას მოსდია ვაჭრების რიცხვის გამრავლებამ, ალებ-მიცემობის მომატებამ; და საზოგადოთ კაცის ცხოვრების გაუმჯობესობამ.

მაგრამ, ვაჭრების გამრავლებას ცუდი გავლენა ჰქონდა ხალხის მდგომარეობაზე. რაც უფრო მატულობდა ვაჭრების რიცხვი, მით უფრო მეტ რიცხვს მიჰქონდა ნოგება და სარგებლობა, ან, როგორც სწავლულები ამბობენ, მით უფრო მეტი რიცხვი უმაქნისად სკამდა პურსა. ამას გარდა, ვაჭრები, და განსაკუთრებით ისინი, რომლებიც სხვებზე უფრო მდიდრები იყვნენ, აგროვებდენ რაიმე საგანს, ან საქონელს, და ინახავდენ სანამ სხვებს გამოეღეოდათ; მაშინ გასაყიდათ გამოიტანდენ და ისეთ ფასს ადებდენ, როგორც მათ გულის სურდა. ამ მიზეზებით, ვაჭრობა ხშირათ ერთი-ორათ ან სამათ ზდის საქონელს, მაშასადამე ხალხი ტყუილა-უბრალოთ იხდის ფულს და ღარიბდება ვაჭრების გასამდიდრებლათ.

V

სხვა მეცნიერებებს შუა, ერთი მეცნიერებაა, რომელიც იკვლევს თუ რა რიგად გროვდება ხალხის სიმდიდრე და რა მიზეზებზე დამოკიდებულია ხალხის კარგი ან ავი მდგომარეობა. ამ მეცნიერებას „საზოგადო“ (სოციალური, პოლიტიკური) ეკონომია ჰქვია:

როცა ამ მეცნიერებაში გართული სწავლულები დაუკვირდენ ეხლანდელი ვაჭრობის საქმეს და მდგომარეობას, იმათ დაინახეს, რომ ეხლანდელ დროში საზოგადოებას და თვითონ ხალხსაც ძალიან ადვილათ შეუძლია უეაჭრებოთ გაძლება, და თავიანთვის იმ მოგების შენახვა, რომელიც ეხლა ვაჭრების ჯიბეში რჩება.

აი, რაზეა დამყარებული იმ სწავლულების აზრი.

ეხლანდელ მდგომარეობაში, საქონლის გამკეთებელი, ფაბრიკანტი, თვითონ კი არ ყიდის წვრილათ თავის საქონელს: მისგან ყიდულობს მდიდარი ვაჭარი, რომელსაც დიდ ქალაქში, ვთქვათ, მოსკოვში, მალაზია აქვს გამართული, და შიგ სხვა-და-სხვა ფაბრიკებში ვაკეთებელი საქონელი უწყევია. — ამ ქალაქში მოდის სხვა-და-სხვა ქვეყნის ვაჭრები, მაგალითად თფილისელი, და ყიდულობს მისგან საქონელს, ნახევარს ნაღდათ, ნახევარს ნისიათ. ნისიათ ყოველფერი ნაღზე უფრო ძვირათ ჯდება, — ერთი ეს, და მეორეთ, დიდ ვაჭარს მალაზიის მოჯამაგირეების ქირა და ხარჯი, თავის რჩენა, მოგება უნდა. მაშასადამე, ის თავის საქონელს ბევრით უფრო ძვირათ უნდა ყიდდეს, მინამ თვითონ ნაყიდი აქვს ფაბრიკანტიდან.

თფილისელ ვაჭარს ნაყიდი საქონელი თფილისს მოაქვს. ის ზოგს თვითონ თავის მალაზიაში წვრილმანათ ყიდის, ზოგს კი წვრილ-წვრილ მედუქნეებს „მეწვრილმანეებს“ აძლევს, ნახევარს ნისიათ, როგორც თვითონ აქვს ალებული, და ნახევარს ნაღდათ. აქაც სწორეთ ის ანგარიშია, როგორც მოსკოვში იყო, თფილისელი ვაჭარი ბევრათ უფრო ძვირათ ყიდის მეწვრილმანეებზე თავის საქონელს, ვინემ თვითონ უყიდნია.

მეწვრილმანეს დუქანი ან პატარა ქალაქებში აქვს გამართული, მაგალითად, დუშეთში, ან ონში, ან სოფლებში, ან და თვითონ თფილისის ქალაქის ნაპირის ქუჩებში. დუქნის ქირათ, ხარჯათ, და თავის დასარჩენათ ის რამე მოგებას უნდა იღებდეს გაყიდულ საქონელზე, მით უფრო, რომ ისიც მყიდველებს ხშირათ ნისიათ აძლევს საქონელს.

ამ ნაირათ, მოსკოვის და თფილისის ვაჭრების და მეწვრილმანის ზარჯი, მოგება და სარგებელი რომ ვიანგარიშოთ, დავინახავთ, რომ ის საქონელი, რომელიც გამკეთებელს პირველათ მანეთათ გაუყიდნია, ჩვენ, მყიდველებს, მომხმარებლებს, სამ მანეთათ გვიჯდება.

რათ, გადის ჩვენი ჯიბიდან ეს ნამეტანი ფული? განა არ შეიძლება ისე გაიწყოს საქმე, რომ პირდაპირ იმართებოდეს ალბ-მიცემობა გამკეთებელსა და მომხმარებელს შუა, და რაც ვაჭრებს მოგება ან სარგებლობა რჩებათ, ის თვითონ მყიდველის, მომხმარებელის ხელში დარჩეს?

სწავლულებმა თქვეს, ეს დიახ შესაძლებელიაო.

VI

ავიღოთ, სამაგალითოდ, ერთი შუათანა სოფელი, ან ორასიოდე კაცი, ერთ ალაგას მცხოვრები. დღეს ისინი ცალ-ცალკე ყიდულობენ თავიანთ საზრდოს და საქონელს მეწვრილმანეებისაგან. საქონელი არც ნამეტანი კარგია, არც იაფია. ეხლა ვთქვათ, რომ ას კაცს იმ სოფელში სჭირიათ, ვთქვათ, თითო ლერი სანთლის ყიდვა. თითოეულათ რომ მივლიან ისინი მეწვრილმანესთან, თითო შაური უნდა გადაიხადონ ვაი-ვაგლახიანი სანთლის ლერში. მაგრამ თითო შაური რომ გამოეღოთ, კაცი გაეგზავნათ და გირვანქობით ან ოყობით ეყიდნათ სანთელი იმავე ალაგს, საცა თვითონ მეწვრილმანე ყიდულობს, მაშინ სანთელიც უკეთესი ღირსების ექნებოდათ, ასე რომ თვითონ მედუქნეზედ უფრო იაფათ ექმნებოდათ ნაყიდი, რადგანაც ნაღდი ფული ხელში ეჭირებოდათ.

ეს მარტო სანთელზე ვთქვივთ. მართალია, მარტო სანთელზე ჯოფილიდან ქალაქში კაცის გაგზავნა უანგარიშობაა, მაგრამ მარტო სანთელი ხომ არ ესაჭიროება კაცს. სანთლის გარდა საპონია, შაქარი ან ხანდისხან, ხმელი თევზი, არაყი, და სხვა სოფელში გამოსადეგი სავნები. — ორს ან სამს თვეში რომ ერთხელ სოფლელები ფულს გამოიღებდნენ და სანდო, პატიოსან კაცს გაგზავნიდნენ ქალაქში ზორაგეულობის საყიდლათ და მერმე ერთმანერთში გაიყოფდნენ ნაყიდ ფასათ, მაშინ იმათ იმოდენი სარგებლობა დარჩებოდათ, რომ ქალაქში კაცის გაგზავნას კი არა, სახლიც რომ ექირავნათ ზორაგეულობის დასაწყობათ, იმის ხარჯსაც აუვიდოდნენ. და თუ კი ეს გაგზავნა ერთ-ჯერ თუ ორ-ჯერ სახეიროთ დარჩა, რაღა დაუშლის მაშინ სოფლელებს სამუდამო დუქნის ან მალაზიის გამართვას და ამორჩეული კაცისათვის ჩაბარებას? რა ძნელი იქნება მაშინ, რომ

ის ამორჩეული კაცი, წელიწადში ოთხჯერ-ხუთჯერ წავიდოდეს მახლობელ ქალაქში და იქ თავისი სოფლელების ფულით ხორაგე-ულობას ყიდულობდეს?

VII

ეს აზრი მეტის მეტათ ადვილი გასაგები და შესასრულებელი იყო. ამის გამო ხალხშიაც ძალიან მალე მოინდომეს ზოგიერთებმა მისი ასრულებაში მოყვანა. ჯერ მოჰყვენ ქალაქებში მცხოვრებლებმა, და შეადგინეს „ამხანაგობები“; ზოგან ოც-ოცდახუთი კაცის მეტი არ იყო, მაგრამ ზოგან კი ას-ასიც და ათასებიც ერთად შევიდნენ ამხანაგობაში. ამისთანა ამხანაგობები ირჩევიდნენ „გამგებლებს“ , რომელნიც საქმეს დასდევდნენ, იაფ ფასათ საქონელს გამკეთებლების ხელიდან ყიდულობდნენ, იაფ ფასათ გადმოჰქონდათ საამხანაგო მღაზიაში, და იქ ვისაც დასჭირდებოდა აძლევდნენ, იმავე ფასად როგორც თვითონ ამხანაგობას დამჯდარი ჰქონდა.

თავ-დაპირველათ, რასაკვირველია, ზოგიერთი უთავბოლობა უნდა მომხდარიყო, — ხან იმიტომ, რომ ყოველგან კარგი და სანდო პირები ვერ ამოერჩიათ, ხან იმის გამო, რომ ამხანაგებს თავის დროზე და ნაღდათ არ შეჰქონდათ ხვედრი წილი და ხან იმისთვის, რომ გამგებლები ვერ ახერხებდნენ საქმის კარგათ წაყვანას და რიგინი წესის გაწყობას ამხანაგობაში. მაგრამ ეს დაბრკოლებები თანდათან ჰქრებოდნენ, და ახლა ამგვარი ამხანაგობები უფრო და უფრო ვრცელდებიან ქვეყანაზე, ასე რომ ამ ჟამათ განათლებულ ქვეყნებში იშვიათად იპოვება იმისთანა ქალაქი, სადაც ერთი ამ გვარი ამხანაგობა მაინც არ იყოს. ასე გაშინჯეთ თფილისშიაც კი გამართეს წრეთულს ერთი ამხანაგობა და ამჟამათ ერევანშიაც ემზადებიან ამხანაგობის შედგენას.

VIII

წინანდელი ნომერში რომ ამხანაგობაზე ვლაპარაკობდით, იმნაირი ამხანაგობების სარგებლობას მკითხველი ყველაზე უფრო კარგათ მაშინ დაინახავს, როცა ჩვენ ნოუყვებით ერთი ამგვარი ამხანაგობის ისტორიას.

ინგლისის ქვეყანაში ერთი პატარა ქალაქია, რომელსაც სახელათ როჩდელი ჰქვია; ამ ქალაქში განსაკუთრებით ფაბრიკების გამართული, და მუშები სცხოვრობენ. ოცდა-ათი წელიწადია მას

აქეთ, ეს ქალაქი სხვა ქალაქებივით უშნო და ღარიბი იყო: კომლით გაშავებული ფაბრიკები თითქო სასაფლავის ძეგლებივით დასცქეროდნენ შავ და დანგრეულ მუშების ქოხებს, რომელშიაც დღისით აღამიანის ლანდიც არა სჩანდა, ამიტომ რომ დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ფაბრიკებში მუშაობდნენ, მწარე სიღარიბის გამო, და მაინც სიღარიბეს თავიდან ვერ იშორებდნენ. მუშა ხალხი უგუნური, ბინძური, ლოთი და ავაზაკი იყო და პატრონებს იმათზე ცემა-ტყევის მეტი არა გაუდიოდათ რა.

ათას რვაას ორმოცდა ოთხში, ესე იგი, ოცდა ექვსი წელიწადია მას აქეთ, ოთხ როჩდელელ მუშას გაეგონათ სადღაც, რომ კარგი იქნება რომ ერთად ვყიდულობდეთ ჩვენ ხორაგოულობასო და ჩვენთვის საკუთარ პაწაწინა დუქანს გაემართავდითო. მაგრამ დუქნის გამართვას ფული უნდოდა. ამის გამო იმ ოთხმა მუშამ ერთმანერთს პირობა მისცეს, ყოველ კვირაში ჩვენი ჯამაგირიდან რამდენიმე გროში გადავდოთო და რაც შეიძლება მეტს ამხანაგებს გამოვალეზინოთ აგრეთვეო. — ეს პირობა იმათ ძალიან მტკიცეთ შეასრულეს, და ორი წლის შემდგომ ერთ მოშორებულ ქუჩაში, ბნელ სარდაფში, გაიმართა „ამხანაგური მაღაზია“.

პირველათ, ამ მაღაზიას, ვინც გამართა, იმათ მეტი მყიდველი არავინ ყავდა. მაგრამ რაკი ხალხმა დაინახა, რომ შიგ-სხვა ადგილებზე უფრო იაფათ იყიდებოდა უკეთესი საქონელი, მალე მიატოვა სხვა დუქნები და საამხანაგო მაღაზიისკენ მიმართა. დიდი დაბრკოლება ამ შემთხვევაში ის იყო, რომ ეს მაღაზია ნისიათ არვის არ აძლევდა, სხვა დუქნებში კი მუშები ნისიათ დავალებული იყვენ, და მათი ჯამაგირი პირდაპირ მედუქნეებს მიჰქონდათ. როგორც იყო, მუშებმა გაიჭირვეს საქმე, ნისიის ვალი გადაიხადეს, და საამხანაგო მაღაზიაში დაიწყეს ხორაგის ყიდვა. რამდენათაც მყიდველები მატულობდნენ, იმდენათაც მატულობდნენ ამხანაგები, და რადგანაც, მათი პირობისამებრ, მაღაზიას რაც სარგებლობა დარჩებოდა, თანხის გასადიდებლათ და ამხანაგების სასარგებლოთ უნდა მოხმარებულყო, ამხანაგებმა იმ სარგებლით გამართეს ფურნე, საცა იაფათ კარგ პურს აცხობდნენ, გააწყვეს საყასბო, საიდანაც მშვენიერი ხორცი გამოქონდათ, და ამნაირათ ცოტ-ცოტათ აუმჯობესებდნენ თავისი ამხანაგობის მდგომარეობას.

იმათი საქმე თანდათან უკეთ მიდიოდა, რადგან ამორჩეული გამგებლები ერთიმეორის წინ ცდილობდა საზოგადო საქმის წარმატებას, და თვითონ ამხანაგები თავიანთი მხრით, დღე-ღამე თვალ-გამოხე-

ლილი იყვნენ იმაზე, თუ როგორ უფრო გავაუმჯობესოთ ჩვენი ამხანაგობის მდგომარეობაო. ამოდენა ცდას, მუყაითს და გულისყურის დადებას ცუდათ არ ჩაუვლია. ეხლა ამხანაგობას აქვს როჩდელში მშვენიერი და უზარმაზარი სამ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი, რომელიც ამხანაგობის მალაზიებისთვის არის გაშენებული. მშვენიერათ გაწყობილ მალაზიებში იყიდება ყოველიფერი, რაც კი სჭირია საზოგადოთ მუშას, ხორაგეული ვარ, თუ ტანსაცმელი, თუ სამუშაო იარაღი და სხვ. ზეითური ეტაჟები უკავია დიდ-უშველელ ზალას; საცა ათი ათასზე მეტი ამხანაგების კრება ეტევა ერთათ, საამხანაგო ბიბლიოთეკას, რომელშიაც რამდენიმე ათასი უმჯობესი წიგნებია შეკრებილი, და საკითხავ ოთახს, საცა თითქმის ყველა ინგლისის და უმჯობესი საზღვარგარეთელი გაზეთებია შეკრებილი. გაზეთებს ამხანაგები იქვე კითხულობენ; წიგნები კი შინ მიაქვთ საკითხავათ, თოთო-ორ-ორი კვირის ვადით.

რა-და-რა მშვენიერი და ხალხის სასარგებლო გაწყობილებაა ამ „მუშების სასახლეში“, რომელიც ზოგიერთ სასახლეს უკან არ ჩამოუარდება, ამისი აწერა ძალიან ბევრს დროს და ადგილს მოითხოვს. საკმაო იქნება ვსთქვათ, რომ თითონ მუშების მტრებიც კი ამბობენ, რომ ჩვენ დღეში ვერ მოვიფიქრებდით თუ მუშა კაცი ასე მშვენიერათ და თავის სხეულის და გონების სასარგებლოთ გაიწყობდა სახლს და საქმესაო.

სასახლის გაშენების შემდგომ, ამხანაგობამ მოინდომა საზოგადო აბანოების გაწყობა მუშებისათვის, და ეხლა ეს აბანოები კიდევაც მზათ უნდა იყვნენ; აბანოების გარდა ამხანაგობამ როჩდელის სიახლოვეს დიდი ალაგები იყიდა, ნაწილებათ გაჰყო, ზედ თითო ოჯახისთვის საკმაო სახლები გააშენა, თითო ეტაჟიანი, და ყველას წინ ბოსტანი დაატანა, და უკან ბალი. ეს სახლები იმ პირობით მისცა თავის წევრებს, რომ იმათ თუთხმეტი ოცი წლის განმავლობაში გადაეხდათ ამხანაგობისათვის სახლის ფასი, მისი სარგებლით. ყველას ძალიან გაუკვირდა, როცა დაინახეს, რომ თითოეულ მყიდველს წელიწადში იმაზედაც ნაკლები უნდა შეეტანა, სახლის ფასათ, რასაც უწინ მარტო ქირათ აძლევდა სახლის პატრონებს. ამნაირათ ამხანაგობამაც ასარგებლა ფული, და მის წევრებს და მუშებს საკუთარი სახლები შეეძინათ, თითქმის ფულის დაუხარჯველათ, ამიტომ რომ ის ფული, რომელიც იმათ სახლის ფასათ გაუვიდათ, სახლები რომ არ გაეშენებია ამხანაგობას, სახლის ქირათ დაეხარჯებოდათ.

ბევრი სხვა კარგი საქმე ქნა ამ ამხანაგობამ, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის! დღეს, უწინდელ ოთხი წევრის მაგიერ, რამდენიმე ათასი წევრია ამხანაგობაში და მისი სიმდიდრე მთელ ინგლისში განთქმულია. როჩდელი ეხლა მშვენიერი, განათლებული და მშვიდობიანი ქალაქია, შიგ განათლებული, ზდილობიანი და პატიოსანი ხალხი სცხოვრობს, რომლის სარგებლობისათვის მთელ ინგლისში დაიარებიან მისი გამგებლები, უმჯობესი ხორაგეულის და მასალეების საყიდელათ.

ამისთანა საქმე მოავლინა ოთხმა გაუნათლებელმა, ბნელმა მუშამ, და მათმა დაწყებულმა საქმემ ასე გაამშვენიერა და გააუმჯობესა მთელი ქალაქი და მისი მცხოვრებლების მდგომარეობა.

1870 წ.

რა გზით შეიძინება მიწა - წყალი?

(ანხანაგობის ძალა).

I

ბატონ - ყმობის დროს, ჩვენი თავად - აზნაურობა, როგორც იყო, თავისი მიწა - წყლის შემუშავებას ახერხებდა ყმების ხელით. ბევრი იყო თუ ცოტა, იმას მიწიდან შემოსავალი ეძლეოდა, და ზოგი ამ შემოსავლით, ზოგი ბევრით და გლეხის გარდასახადით, თავად - აზნაურები უდარდელათ თავს ირჩენდნენ.

ბატონ-ყმობის მოშლამ, ცოტათი არ იყოს, ნაბატონარების მდგომარეობა გააძნელა; თუმცა, მართალია, მათი ბედი ისე ცუდი კი არ არის, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ. კანონმა ნაბატონარების ხელში მიწა - წყალი დასტოვა. მაგრამ, თვითონ თავად - აზნაურები, თავიანთი წარსული ცხოვრების და ეხლანდელი ჩვეულებების ძალით, ისეთ ნაირ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული, რომ მათთვის თითქმის სრულიად შეუძლებელია ამ მიწა - წყლის ხეირიანი ხმარება და გამოყენება.

მართალია, ისეთი თავად-აზნაურებიც მოიპოვება ჩვენ ქვეყანაში, რომელთაც უდარდელათ შეუძლიათ „ნადელის“ შემოსავლით თავის რჩენა, მაგრამ ამისთანა მებატონეების რიცხვი ნამეტანი ბევრი არ არის. საზოგადოთ რომ ვილაპარაკოთ, თავად - აზნაურობის უმეტესი ნაწილი თავის მიწა - წყლიდან მხოლოდ მაშინ მიიღებდა სარგებლობას, მისი შემუშავება და გაუმჯობესობა რომ შესძლებოდა. მისდა საუბედუროთ, იმას დედის რძითვე შეუსვამს შრომის ზიზლი და უცოდინარობა. ეს ერთი. მეორე მისი უბედურება ის არის, რომ უწინდელ მის ბატონობას მისთვის ხელ - გაშლილი ცხოვრება დაუსწავლებია, და ამნაირი ცხოვრების: საშუალება კი ცოტა დაუტოვებია...

და რადგანაც თავად - აზნაურობის უმეტესს რიცხვს, ერთის მხრით უწინდელი ჩვეულებები დიდს ხარჯს აძლევენ, და მეორეს მხრით უცოდინარობა და უფულობა მიწიდან სარგებლობას უჭირან,

უქველია, რომ ადრე-თუ გვიან ამ თავად-აზნაურების ადგილ-მამული მათი ჩვეულების დასაკმაყოფილებლათ გაიყიდება და სხვის ხელში გადავა.

II

მაგრამ ვის ხელში? გამყიდველი ჩვენში ბევრია, და შემდეგში კიდევ გამოჩნდება უფრო მეტი. მყიდველი ვინ არის, ან ვინ იქნება? გლეხი-კაცი სულს ეხლაც ძლივს აბრუნებს, — ისე დამჩაგვრელი იყო მისთვის წასული ჩვენი ცხოვრება. მისი მდგომარეობა, ცოტათი არ იყოს, მარტო ეხლა კეთდება. მათი გათავისუფლების შემდეგ, და განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ჩვენ ქვეყანაში ცოტაოდენი ალებ-მიცემა და მისვლა-მოსვლა გაიმართა, გლეხ-კაცი ზურგის გამართვას იწყებს. მაგრამ, ეხლაც უწინდელ მის ცხოვრებას მასზე დიდი გავლენა აქვს. ეხლაც კიდევ მძიმეთ აწევს გლეხ-კაცს უწინდელი უმეცრების ტვირთი. დღეს იმას შეუძლიან ცოტათი თავის თავისთვის იმუშავოს. მაგრამ მის ახალდაწყებულს, გუშინდელ შრომას არც იმოდენა ძალა აქვს, არც იმოდენა ხეირი, რომ გლეხ-კაცს მკვიდრათ შეეძლოს თავისი ოჯახის კეთილდღეობის დაფუძნება, ერთი სიტყვით, იმას უწინდელზე უკეთ შეუძლია ოჯახის რჩენა, მაგრამ იმას ჯერ კიდევ დიდხანს არ შეეძლება ამ ოჯახისთვის ადგილ-მამულის ყიდვა.

რაკი წვრილი თავად-აზნაურობა მიწის გამყიდველი შეიქნება და გლეხების უმეტეს ნაწილს ყიდვა არ შეეძლება, მყიდველი ვიღან დაგვრჩა? — ცხადია, რომ ყიდვის შეძლება მარტო სხვილ-სხვილ ნაბატონარებს და ვაჭრებს ექნებათ, და თითქმის მთელი ჩვენი მიწა-წყალი რამოდენიმე ხნის შემდეგ იმათ ხელში გადავა.

ეს პირები მიწა-წყალს მისთვის კი არ ყიდულობენ და იყიდვიან, რომ მისი შემუშავება ჰსურდეთ, — არა. მათ შემუშავების თავი არა აქვსთ, არც ამისთანა მცირე საქმისათვის სცალიან. ისინი მიწას იყიდვიან იმ განზრახვით, რომ შემდგომში იჯარით, ღალით გასცენ ეს მიწა, მიაქირაონ ის იმ პირებს, რომელთაც უმიწოთ გაძლება არ შეუძლიათ, ესე იგი გლეხ-კაცობას, და სამაგიეროთ შემოსავლის წილი მიიღონ.

ეს „წილი“ მით უმეტესია, რაც უფრო ნაკლები საკუთარი მიწა აქვსთ გლეხ-კაცებს, და რაც უფრო მეტი მიწა-წყალი შეგროვებულია ერთ პირის ხელში. ზოგან ეს წილი მოსავლის მეათედია, ზოგან მეხუთედი. და ერთ სოფელში მთელი მიწა ერთ პირს რომ ეჭიროს, შეიძლება რომ მიწის მჭირავებელმა პატრონს ღალათ შე-

მოსავლის ნახევარიც მისცეს. მაშასადამე, ეხლანდელი მიწის ქირა უფრო და უფრო იმატებს იმავე წესით, როგორც უფრო და უფრო შემცირდება წვრილმანი მიწის-პატრონების რიცხვი, და გაძლიერდება ჩვენში სხვილ-სხვილი მიწის პატრონობა. — და აქედან ცხადია, რომ ამასთანავე გაძნელდება მიწის შემზღუშავებელის, ესე იგი გლეხ-კაცობის მდგომარეობა...

III

რითი შეუძლია ეხლა გლეხ-კაცობას ისეთ ნაირათ-დაიკავოს საქმე, რომ შემდეგში მისი მოსავლის ნახევარი მიწის დალათ არ გადიოდეს, და თან მიწის შოვნა საღალღოთაც დასამადლებლადაც არ მიაჩნდეს! ან უკეთ ვთქვათ; რითი შეუძლია ეხლა გლეხ-კაცობას ახალ-ნაირი „ბატონ-ყმობის“ დაარსება მოშალოს?

ცალ-ცალკე არც ერთ გლეხს ამ საქმეში არაფრის გარიგება არ შეეძლება. მაგრამ გლეხ-კაცები ერთმანეთის ხელის გაწყობას და დახმარებას შეჩვეულნი რომ იყვნენ, და მათში ამხანაგობა დანერგული რომ იყოს, მათი მდგომარეობა შემდგომისთვის ერთი ათასჯერ უკეთესი იქნებოდა.

ავიღოთ მაგალითი.

ერთი სოფლის მცხოვრებლებმა სიტყვა რომ შეკრან და ერთი პატიოსანი სანდო პირი გამოარჩიონ, — მამასახლისათ კი არა, ისე, ამხანაგობის „სანდო პირათ“ და ამით ამორჩეულ პირს მარტო ერთი საქმე მიანდონ, ახლო-მახლო რაც მიწები იქნება გასაყიდი, მათი დათვლიერება, პატრონებთან მოლაპარაკება და მორაგება და მათი საყიდველი ფულის და პირობების შენახვა — ვითომ ძნელია ეს საქმე?

ამ სოფლის მცხოვრებლებმა რომ ერთიანათ, მთელი სოფლით პირობა მისცენ რომელიმე ადგილის გამყიდველს, რომ მთელი სოფელი ხუთი ან ექვსი, ან ათი, ან ოცი წლის განმავლობაში თქვენ მიწის ფასს გარდაგიხდისო; ამ ფასში, წელიწადში, ამდენ და ამდენ მანეთს მოგცემსო, ვითომ რომელი მიწის გამყიდველი იტყვის უარს ამისთანა სანდო საქმეში? რომელი მეპატრონე იქნება ისეთი უან-გარიშო, რომ ხეირიან ფასათ არ დაუთმობს მიწას გლეხკაცობას და მიწის ფულს გონიერათ არ გამოიზოგავს? რომელს ერჩევენება ნახევარი ფასის ერთბაშათ მიღება მოვაჭრიდან, როცა წვრილ წვრილათ რომ გაუნაწილოს ფასი სოფელს უფრო მეტ ხეირსაც ნახავს, და სოფელსაც დაიმადლებს?

სოფლის მცხოვრებლებმა ნაყიდი მამულის ფასი რომ გაინაწილონ და წელიწადში თითო კომლმა ხუთი მანეთი ან მეტ-ნაკლები იხადოს, — ვითომ ეს გადასახადი შეუძლებელია? ვითომ ხეირი არ ექნება სოფელს, რამდენიმე წლის განმავლობაში თავი გაიჭირვოს, როცა ამ გზით მიწა-წყლის შეძენა შეეძლება?

ეს ნაყიდი მიწა სოფელს რომ ეკუთვნოდეს, და თვითონ სოფელი რომ აძლევდეს იმას თავის გლეხებს სამუშაოთ, სამი ან ოთხი წლით, ან ათით როგორც რუსეთშია, — ვითომ ათასჯერ უფრო მეტი ხეირი არ ექნება. მიწა-წყალი რომ თვითონ გლეხ-კაცობას და მთელ გლეხ-კაცობას ჰქონდეს, რომ გლეხობაში ყველანი ერთ პირნი და ერთმანერთის დამხმარებელნი იყვნენ? ვითომ ღვთისა და კაცის სასიამოვნო საქმე არ ექნება, რომ გლეხ-კაცობას თავისი შრომის იარაღი — ესე იგი მიწა — ხელში ჰქონდეს და ამის გამო შრომის ნამყოფიც იმასვე რჩებოდეს, მერმე ისე, რომ მის შუა დაჩაგრული და უნაწილო არავინ იყოს?

ყველა ეს კითხვები განსაკუთრებით უნდა იქცეოდნენ გლეხ-კაცობის ყურადღებას. დღეს ჩვენ ეს კითხვები და ეს საქმე გაკვირვებით გავშინჯეთ. — მაგრამ, წლიულს, შემდეგი ნომრიდანვე დაწყებული, ჩვენ ვეცდებით დაწვრილებით, გარკვევით გამოუხატოთ ჩვენ მკითხველებს თუ რანაირათ, რა გზით შეიძლება მიწების გამოყიდვა პატრონებიდან, და ამ მიწების ამხანაგობრივი განაწილება, და სარგებლობა როგორც ეს საქმე რუსეთშია გაწყობილი².

IV

ერთი მეორეზე რომ ვიანგარიშოთ, ჩვენში, და განსაკუთრებით თფილისის გუბერნიაში, თითო სოფელში ოცდაათუთხმეტი კომლი ცხოვრობს; თითო კომლში, აგრეთვე ერთი მეორეზე რომ ჩავადგოთ, ერთი სული კაცი და ქალი იპოება.

კანონი ამ კომლებს ერთათ შეერთების ნებას აძლევს და თვითონაც სხვა-და-სხვა ცალკე სოფლებს აერთებს, ერთი „სასოფლო სასამართლოს“ დასაწესებლად. სასოფლო სასამართლოს კანონი ნებას აძლევს სხვადასხვა შენობები და უძრავი ქონება შეიძინოს, მაგალითად, ვსთქვათ, სასოფლო სასწავლებელის სახლი, სასამართლოსი და სხვა და სხვა.

უძრავი ქონების შეძენის გარდა, სოფლებს ბევრი სხვა უფლებაც აქვს, მაგალითად, მასწავლებელის ქირაობა, სოფლის ხარჯის გაცალკე-ცალკეება და სხვა. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელს შეუძლია რომელიმე კერძო პირიდგან, — თავად - აზნაურიდან ვარ თუ გლეხ-კაციდან,

— მიწის ყიდვა, შეუძლია სხვადასხვა მოძრავი ქონების შეძენა და ყიდვა ვთქვათ, ქვის, ფიცრის, კრამიტის და სხვ.; შეუძლია სხვადასხვა ოსტატების ქირაობა. სახლის ან გალავნის გასაკეთებლათ, და ამას შემდეგ შეუძლია იმ სახლის საერთოთ მოხმარება, სასწავლებლათ, სასამართლოთ, საბაზროთ თუ ბევრი სხვა საქმისთვის, ამის ყოველიფრის ნება სოფელს მინიჭებული აქვს კანონისგან.

რისთვის მიუნიჭებია კანონს ეს ნება და ეს უფლება და რა გავლენა აქვს ამ მინიჭებას?

ავიღოთ თვითოეული ოჯახი, რომელიც ექვსი სულიდან არის შემდგარი, ერთი მოხუციდან, ერთი ცოლქმრიდან და სამი ბავშვიდან. ეს მაგალითი ჩვენ აქ მისთვის მოგვყავს, რომ ოჯახი, საზოგადოთ რომ თქვას კაცმა, ამნაირათ შემდგარია. ამ ოჯახში მომუშავე პირი ორივე ცოლ-ქმარია და მათ მუშაობას ხანდისხან მოხუცებული მამა ან დედა ეხმარება და უფრო იშვიათათ — ერთი მოსწრებული შვილი. მოხუცს რჩენა უნდა, ბავშვებს მოვლა და აღზრდა, ვინ მოუვლის ან ერთს, და ან მეორეს? მამა უმეტეს ნაწილათ ყანაშია, ან ტყეშია, ან და სხვა მუშაობაში, სახლს გარეთ. შინაც იმას ხან სახლი აქვს შესაკეთებელი, ხან ღობე აქვს შემოსაწნელი, ხან რა და ხან რა. ისე, რომ იმას ბავშვებისთვის და მოხუცებულისთვის არ სცალია. დარჩა მისი ცოლი, რომელიც ნიადაგ საქმელის მომზადებას, ტანსაცმელის დაკერებას და შეკერვას, საქონლის ყურის გდებას და სხვა უთვალავ შინაურ საქმეებს უნდება, ამის გამო, ბავშვების მოვლა მისთვის ძლიერ ძნელია. ეს სიძნელე მით უფრო დიდდება, რომ მოვლის გარდა ყმაწვილს სწავლაც უნდა და თვითონ დედა სრულიად გაუზღელი და უმეცარია, — მაშასადამე ბავშვები ყურის უგდებლად და უსწავლელათ უნდა დარჩეს, აგრეთვე როგორც მოხუცებული.

ძნელი მდგომარეობის გასაადვილებლათ, განათლებულ ქვეყნებში, სადაც ხალხი გონიერს და წესიერს სიცოცხლეს შეეჩვია, მოიგონეს ორი საშუალება. ერთი საშუალება საერთო სახლის გამართვა, სადაც თავს იყრიან სიმთელისთვის ყმაწვილები და სადაც მათ უვლის და ასწავლის ერთი ან ორი ანა და სამი მასწავლებელი. ყმაწვილები თავ თავის სახლებში რომ დარჩენილიყვნენ, იმათ სამი მასწავლებელი ვერაფრათ აუფიქროდა, ვერც ხუთი, ვერც ათი. მაგრამ ერთათ შეკრებულ, ერთათ მოსწავლე ყმაწვილებს ათს და ოცს კაცს ერთი მასწავლებელი ყოფნის.

აგრეთვე გააწყვეს განათლებულ ქვეყნებში მოხუცებულების და ავადმყოფების მოვლა. თითო მოხუცებულისთვის ან ავადმყოფისთვის

თითო მომვლელი რომ მიეჩინა კაცს, თითქმის მთელი სოფლის მცხოვრებლები მათ მოვლას მოუნდებოდნენ, და საზრდოს მომწევი ალარავინ დარჩებოდა. იმას ვილა სჩივა, რომ ყველას ხეირიანი მოვლა არც კი ეცოდინებოდა. მაგრამ რაკი გაიმართა საზოგადო, საერთო სახლები, სადაც მთელი სოფლის ან მაზრის ავათმყოფები და უძღური მოხუცებულები მიჰყავთ და სადაც მათ ოთხი და ხუთი დახელოვნებული პირი უვლის, ექიმობს და არჩენს, დავარდნილების და ავათმყოფების მოვლა მეტის მეტად გაადვილდა. ამით მათი მდგომარეობაც გაუმჯობესდა და მათი პატრონებისაც, ამიტომ რომ იმათ მეტი მკამელი მოსცილდათ და მეტი თავისუფალი დროც დარჩათ სახეირო მუშაობისთვის.

როგორც სასწავლებლის, ისე საყავადმყოფო სახლების საქმე ისეთია, რომ თითო ოჯახს ცალ-ცალკე სწავლა ან მოვლა რომ უნდოდეს, იმას ამ საგნებში ათი და ოცი იმდენი დაეხარჯებოდა, რაც საერთო სახლების გამართვაში და რჩენაში გადის. ამის გამო, არც ერთ უგნურ კაცს არ მოუვა თავში ის აზრი, რომ სასწავლებლის სახლი, მიწა, რომელზედაც ის აშენებულია, ყველა გლეხებმა რომ გავიცალკალებოთ, ჩვენთვის უფრო კარგი და გამოსადეგი იქნებაო. ყველასთვის ცხადია, რომ ამისთანა საქმეში ერთობა, „საერთო საქმის“ ქონვა მეტის მეტად გამოსადეგი და სახეირო საქმეა, როგორც ყველასათვის, ისე ცალკ-ცალკე თვითიული პირისთვის.

V

ვისაც უნდა უთხრა ეს, ყველას აზრში დაუჯდება და იტყვის, დიახ, რასაკვირველია, ეს საქმე სახეირო და გამოსადეგიაო.

წარმოვიდგინოთ ეხლა, რა გავლენა ექნება ამ გვარსავე ერთობას და საერთო საქმის დაჭერას არა მარტო სასწავლებლის გამართვაში, მაგრამ სხვა საქმეებშიაც. წარმოვიდგინოთ ეხლა, რა გამოვა, მთელმა სოფელმა იმნაირათვე რომ მოიპოვოს და მოიხმაროს სახნავ-სათესი ადგილი, როგორათაც მოიპოვა და ხმარობს სასწავლებლის ან სასამართლოს ადგილს.

აქ ჯერ საჭირო არ არის დაწვრილებით გამოვხატოთ, რა ხეირი იქნება ამ საერთო ხმარებისაგან. საკმაოა ვიცოდეთ, რომ ეს „ერთობა“ შეუძლებელი საქმე როდია მიწის შექენაში და ხმარებაში, და თვითონ ჩვენი სოფლის ცხოვრება ამნაირივე შექენის და ხმარების შავალითს წარმოგვიდგენს შკოლის ან სასამართლოების თაობაზე. მაშროცა ჩვენ „საერთო“ მიწა-წყლის მოპოებაზე და მის ხმარებაზე ვლაპარაკობთ, ეს საქმე შეუძლებლათ და მოუფიქრებელ საქმეთ არავის უნდა მიაჩნდეს...

VI

რაკი ჩვენ ცოტაოდნათ დავინახეთ, რა სასარგებლოა ერთობა-ზოგიერთ საქმეებში, და რანაირათ აადვილებს ძლიერ ძნელსა და ცალკე პირებისთვის თითქმის შეუძლებელ საქმეებს. ვნახოთ ესლა, რა ძალას აძლევს ამნაირივე ერთობა იმ პირებს, რომელნიც მას შეადგენენ.

რაც უნდა პატიოსანი კაცი იყოს კაცი, თუ მტკიცე მამული-არ აქვს, იმას მეზობლებში დიდი ნდობა — ფულის ანგარიშში — არ ექნება, ამიტომ რომ ვისაც ფული აქვს, ნიადავ იმას ცდილობს, იმნაირს კაცს არ ჩაუგდოს ხელში, რომლისაგანაც მისი ამოგება გაუძნელდება, და პატიოსან მაგრამ უმამულო კაცს — უბედურება რამ-რომ შეემთხვეს, (ვთქვათ გადაბრუნდა და მოკვდა) მასზე გასესხებუ-ლი ფული დაკარგული შეიქნება. ეს ხომ ჩვენში ყველას ესმის; აგრეთ-ვე ყველამ იცის, რომ ჩერჩეტი და უპირო კაცი, მამულის მეპატ-ონე, ყოველთვის უფრო მეტ ფულს იშოვნის სასესხებლათ, ვინემც პატიოსანი, მაგრამ უმამულო პირი, თუ კი ის თავის მამულს და-აწინდრებს და მტკიცე თამასუქს მისცემს.

რა თქმა უნდა, რომ ეს ნდობა მართო ფულის სესხებაზე კი არ არის, ყველაფერში, ანგარიშში, პირობის შეკვრაში, მიწა-წყლის სა-ლალათ აღებაში, მოყიდვაში, — უმამულო პირს ნდობა არ აქვს, ამიტომ რომ ვინც იმას ენდობა, დარწმუნებული არაა, რომ ხვალ ზეგ მის მოვალეს გადახდის ღონე ექნება.

რას შერებიან ამისთანა მდგომარეობაში მოხერხებული და გო-ნიერი პირები? როცა ისინი უმამულო კაცს პირობით ეკვრიან, თხო-ულობენ რომ ამ კაცს გინმე თავდებათ დაუდგეს. თავდებს ისეთ პირს უძახიან, რომელიც კისრულობს ვალის გადახდას, ან პირობის ასრულებას, ვინიცობაა, რომ პირობის შემკერელს ან ვალის ამღებს პირს თავისი სიტყვის შესრულება არ შეეძლოს. ვალის გამღები მაშინ ფიქრობს: ერთი თუ მოკვდა ან წახდა, მეორე მაინც ხელში დამ-რჩებაო, და ამ აზრით ფულს იმეტებს.

ხშირათ ისიც მოხდება, რომ საქმე დიდი და მძიმეა. ანა და ფუ-ლი დიდ ძალია, ისე რომ ვალის გამცემს ორი კაცის ნდობა უძნელ-დება. მაშინ ის ერთი თავდების მაგიერათ, ორს თხოულობს და ფიქრობს, რომ სამში ერთი მაინც როგორ არ დარჩება სალათო. — შეიძლება რომ ამნაირათვე ორ თავდების მაგიერათ სამი იყოს, ან ოთხი, საზოგადოთ, რაც უფრო მეტი თავდებია, ის სჯობია და ის უფრო მეტად აიმედებს ფულის გამცემს.

მაშასადამე, თუ კი ისეთი საქმე შედგა, რომელშიაც ერთიან ორი პირის მაგიერათ, სიტყვას მთელი სოფელი ან მთელი მაზრა აძლევს, და ამ სოფლების ყველა მცხოვრებლები ერთი შეიკრის თავდებათ ხდებიან, მცირე ნდობა უნდა ჰქონდეს ამ საქმეს ვალის გამცემი ან ფულის და მამულის პატრონის თვალში? უეჭველია, ის იანგარიშებს: მთელი სოფელი მე პირობას მაძლევს, ღმერთმა დაიფაროს, და ნახევარიც რომ წახდეს, მეორე ნახევარი ხომ პირობის აღმსრულებლათ დარჩება და თუნდაც რომ მთელი სოფელი გადაიცივლოს, სოფლის, ესე იგი ყოველი ცალკე პირის, მამული ხომ რჩება პირობის ამსრულებლათ.

ამგვარმა ფიქრმა და ამგვარმა აზრმა ისეთი საქმეები მოახდინა, რომ მკითხველს ეს საქმე საკვირველათ შეუძლებელ რათმე მიანდებდა. ვინ დაიჯერებს ჩვენში, რომ ერთ პაწაწინა სოფელს, ანნაირათ თითქმის მეოთხედი მილიონის ნდობა ჰქონია ფულის პატრონებისგან? ვინ დაიჯერებს ჩვენში, რომ ორმოცდაათ მუშა კაცისთვის, რომელთაგანაც არც ერთს ერთი ტკაველა მიწაც არ ჰქონია, ფულის პატრონებს მიუტიათ ოცი და ოცდა ხუთი ათასი მანეთი, ერთი მეორის თავდებობით. ვინ დაიჯერებს, რომ ამისთანა საქმეები უხლა ძლიერ ხშირი შეიქნენ და თითქმის ნიადაგ ხდებიან ყველა განათლებულ ქვეყნებში?

VII

ვნახოთ ჯერ რა წესი და წყობილება დაუარსებია ამ საგანზე ჩვენ კანონს, გლეხობის გათავისუფლების დროს.

ამ საგანზე გამოცემულია ცალკე „დებულება“ (Положение о выкупе), რომელიც დამატებულია გლეხების გათავისუფლების კანონებზე.

ამ დებულების ძალით, თუ მებატონე და გლეხ-კაცები დათანხმდნენ და ერთმანეთს ფასში მოურიგდნენ, გლეხებს ნება ეძლევათ გამოიყიდონ მებატონედგან არა თუ მარტო ეზო და სახნავ-სათესი ადგილები, მაგრამ სხვა მიწებიც, რომლის შეყიდვაზე მებატონე დათანხმდება, და, ზოგიერთ შემთხვევაში, გლეხ-კაცობას ამ შეყიდვაში მმართველობაც ეხმარება...

„შეყიდვის დებულება“ აწესებს, სახელდობრ, რომ ყოველ გლეხს, ცალკე, შეუძლია მოურიგდეს ამ საგანზე თავის მებატონეს, და გადაწყვიტოს, მისი თანხმობით, შესასყიდველი მიწის ფასი და ამ ფასის გადახდის დრო და წესი. — სწორეთ ამნაირათვე შეიძლება მოურიგდეს მებატონეს მთელი ერთი სოფელი, იმ ადგილებში, სადაც რუსეთში საზოგადო (общинное) მიწის მფლობელობაა;

ამ შემთხვევაში მებატონედან მიწას ერთბაშათ მთელი სოფელი იხსნის, და მერმე გლეხებს შუა ჰყოფს, დაწესებული რიგით. ამას გარდა კანონს მესამე წესიც გაუხსენებია: მებატონედან მიწის დასხნა შეუძლიან, არა თუ მარტო ცალკე პირებს, ან მთელ სოფელს ერთათ, მაგრამ რამდენიმე ცალკე გლეხებსაც, ერთმანერთის თავდებობით, რომ ამით უფრო მეტი ნდობა იშოვონ მებატონესაგან („შესყიდვის დებულების“ ოცდა მეთოთხმეტე (34) მუხლი, შენიშვნით). კანონი აწესებს, რომ გლეხებს როგორც ცალკე-ცალკე, ისე ამხანაგობით ანუ და მთელი სოფლით, შეუძლიან მოურიგდენ — მებატონეს და ის ფასი დაჰპირდენ მიწაში, რაც კი ჰქუაში თრივე მხარეს დაუჯდებათ. იმათ ისეთი ხელწერილით შეუძლიან შეეკრან მებატონეს, რომ გადასახადი ფული ან მთლათ ერთიანათ შეიტანონ, ან და რამდენიმე წლის განმავლობაში იხადონ ცალ-ცალკე ან ერთმანერთის თავდებობით და ერთად, როგორც ამ საგანზე ისინი მებატონესთან მორიგდებიან. — ეს საქმე სრულიად ერთმანერთთან მორიგების, დათანხმების საქმეა.

მაგრამ, რადგანაც, ერთის მხრით, მებატონეებს ფული სჭირიათ, და მეორეს მხრით გლეხ-კაცობას ერთბაშათ ფულის გამოღება არ შეუძლიან, კანონი იმასაც აწესებს, რომ, როცა გლეხები და მებატონე ერთმანერთს მიწის შესყიდვაზე და ფასზე მოურიგდებიან და ამ საგანზე მთავრობას განცხადებას მისცემენ, თვითონ მართებლობა ფულს გამოიღებს, რომ მიწის ფული მებატონეს ერთბაშათ მიეცეს, და მერმე, რამდენიმე წლის განმავლობაში, ეს ფული ცოტ-ცოტათ გლეხებს გადახდეს, თავისი სარგებლით. მაგრამ რამდენი ფული უნდა გამოიმეტოს ამ საქმეზე თვითონ მმართველობამ, რამოდენა დახმარება უნდა მისცეს იმან გლეხ-კაცობას? რასაკვირველია, რომ მიწა მოკლებულმა, გაქირვებულმა გლეხმა ერთი ათათ რომ დაპირდეს მებატონეს შესაყიდველი მიწის ფასი, მმართველობა ამ ფულს არ გაიმეტებს. ამის გამო ესევე კანონი იმ ზომასაც აწესებს, თუ რამდენი დახმარების მიცემა შეუძლია მმართველობას გლეხ-კაცობისთვის, მებატონეებიდან მიწის შესყიდვის დროს.

ამ ზომათ კანონს ის გადასახადი მიუღია, რომელიც ეხლა დაწესებულია მორიგების პირობით (უსტავნი გრამოტით) „ნადელის“ გულისთვის. ვთქვათ, ეხლა, ერთ გლეხს თავის ნადელის შესყიდვა ჰსურს, რომელშიაც ის ეხლა, უსტავნი გრამოტის ძალით, წელიწადში, ვთქვათ, ერთ მანეთს იხდის. — კანონი აწესებს, რომ ამ შემთხვევაში, თუ გლეხმა ამ ნადელის შესყიდვაში მებატონე დაითანხმა, მმართველობამ ნადელის ფასათ თექვსმეტ და ორ მესამედ ჯერ ასაღე-

ბი ნადელის ქირა უნდა მიიღოს, — ესე იგი, ის მიწა, რომელიც ვთქვათ, ნადელში ყოველ წლით თითო მანეთს იხდის, ნაანგარიშები უნდა იყოს თექვსმეტ მანეთათ, სამ აბაზათ და შვიდ კაპეიკათ. ამ ფულიდან მმართველობა პირდაპირ აძლევს მებატონეს ოთხ მეხუთედს, ესე იგი მანეთში ოთხ აბაზს, ან თექვსმეტ მანეთ და ცამეტ შაურ ნახევარში — ცამეტ მანეთს და ოცდა ოთხმეტ კაპეიკზე ცოტა ნაკლებს.

მაგრამ, ადვილათ შესაძლებელია, რომ მებატონეს ეს დაფასება ხელს არ აძლევდეს, რომ ის თავის მიწას, რომელიც ეხლა ნადელ-დანიშნულია, ამ ფასზე უფრო მეტათ ანგარიშობდეს, და თვითონ გლეხებიც იმ აზრის იყვნენ, რომ ეს მიწა უფრო ძვირათ ღირს, და ვლენობას ხელს მისცემს მასში მეტი ფასის გაცემა. ამ შემთხვევაში კანონი გლეხ-კაცებს ნებას აძლევს, მმართველობისაგან დაწესებულ ფასს გარდა, მეტი ფული ან წინდაწინვე მისცენ მებატონეს, ან და პირობა დაუდვან შემდეგში გარდახდისა. ამ მომეტებული ფასისთვის (дополнительная плата) მმართველობას არაფერი სახლვარი არ დაუდვია, მაგრამ კანონი პირდაპირ კი აწესებს, რომ ამ მომეტებული ფასის გადახდას ის არ იკისრებს და არც თავდებათ დადგება მის გადახდაშიო. — მმართველობა მხოლოდ იმ ფულს მისცემ წინდაწინვე, რომელიც, მისი ანგარიშით, საკმაოა მიწის შესასყიდველათ.

ამგვარათვე ისიც შესაძლებელია, რომ ნადელის ქირა ეხლანდელ გრანოტებში ცოტათი მომეტებული იყოს დაწესებული, და თვითონ მებატონეც დათანხმდეს იმოდენა ფულის მიღებას, რამდენიც მმართველობის ანგარიშით გამოდის. ამ შემთხვევაში კანონი აწესებს, რომ შეიძლება, მებატონეს სრულიად მთელი მორიგებული ფასიც ერთბაშათ მიეცესო, თუ ეს ფასი მმართველობისაგან ნაანგარიშზე ჯამს არ გადაემეტებაო.

მაშასადამე, თუ გლეხ-კაცი მებატონეს მიწის ფულში მოურიგდება, და მათი მორიგების განცხადება მთავრობას წარედგინება, მებატონეს შეეძლება მმართველობისაგან მიიღოს ცამეტნახევარჯერ იმდენი ფული, რამდენსაც ეხლა იმას ნადელში უხდის გლეხი და დანარჩენ ფასს, — თუ მართლა მისი მიწა უფრო მეტათ ღირს, — გლეხი ზოგს წინდაწინ მისცემს და ზოგს თამასუქით, ან სხვანაირ პირობით, რამდენიმე წლის განმავლობაში გადაუხდის. მმართველობა ამ საქმეს ისეთ სასარგებლო საქმეთ სთვლის თვითონ მებატონეებისთვის, რომ მისი აზრით შეიძლება, რომ მებატონეებმა თვითონ ითხოვონ მიწის შეყიდვის ნება გვესურს გლეხებისთვისო. ამ თხოვნას მმართველობა ისეთ მნიშვნელობას აძლევს, რომ მაშინვე თავის ანგარიშისამებრ მე-

ბატონეს ხვედრ ფულს უნიშნავს და გლეხებს იმ ფულს ვალათ აწერს, რადგანაც მიწა მაშინვე გლეხების საკუთრებათ ხდება.

რადგანაც გლეხებისგან მიწის შეყიდვას ძლიერ ბევრი უფული დასჭირდებოდა, ამისთვის რომ ეს საქმე სისრულეში მოიყვანოს, მოხერხებულა ისეთი საქმე, რომ მიწის შეყიდვა არც მმართველობას გაუძნელდეს, არც მებატონეებისთვის დარჩეს საუნებლათ. — ამ საქმისთვის გაჩენილია სახელმწიფო ბანკის ბილეთები (ჩვენში რომ სერიებს უძახიან) და საკუთრივ მიწის შეყიდვისთვის დამზადებული შეყიდვის მოწმობები; ამ ქალაქებს თავთავისი სარგებელი (კუპონები) ეძლევათ, წელიწადში მანეთზე ერთი შაური, ასე რომ მებატონე, რომელიც, ფულს მაგიერ, ამ ქალაქებს იღებს, თავის ფულს სარგებელსაც არა კარგავს და ამ ქალაქების გაყიდვა და გასაღებაც შეუძლია, თუ დაჰკირდა. რომელ მებატონესაც ათას მანეთზე ნაკლები აქვს მისაღები მიწის ფასი, ის სრულებით სერიებით მიიღებს ამ ფულს და დანარჩენი ფულიდან ზოგი ამნაირივე სიერებით ეძლევა და ზოგი „შესყიდვის მოწმობებით“.

ესლა ვნახოთ, რა ნაირათ ახდევინებს გლეხ-კაცს ამ ფულს მმართველობა, და რა რიგათ ხდება საქმე ისე, რომ ყველა მხარე დაუზღავრელი და დაკმაყოფილებული დარჩეს.

ყოველ მანეთზედ, რომელიც მმართველობას მიწის შეყიდვაში მებატონისთვის მიუცია, გლეხ-კაცმა უნდა იხადოს წელიწადში ექვსი კაპეიკი, იმდენ ხანს, სანამ მისი წილი ვალი არ გადაიხდება თავის სარგებლით. ვთქვათ, მაგალითად, რომ რომელიმე გლეხის ნადელის შესაყიდველათ მმართველობას მიუცია მებატონესთვის ათი თუმანი.. გლეხმა ექვს-ექვსი მანეთი უნდა იხადოს წელიწადში ჩვიდმეტი წლის განმავლობაში. რა გინდ დიდი იყოს მმართველობისაგან გაცემული ფული, ის უნდა გადაიხადოს ორმოცდაცხრა წლის განმავლობაში.

გლეხ-კაცებს ნება აქვთ, თუ თავიანთი მიწის ვალისგან თავისუფლება ჰსურთ, შეიტანონ დაწესებულ ფულებზე და ცომოტებულო, მაგრამ შეტანილი ფული თუმანზე ნაკლები არ უნდა იყოს; ანგარიშის გასაადვილებლათ დაწესებულია, რომ ეს ფული თუმნობით უნდა შეიტანონ, და არა მეტ ნაკლებათ; ესე იგი ერთი, ორი, სამი, ოთხი თუმანი, ან მეტი. ამ ნაირათ შეტანილი ფული გლეხ კაცს შემდეგი წლების გარდასახადში ჩაეთვლება.

შემდეგ ნომერში დაწვრილებით მოვიყვანთ, თუ რანაირი წესი დაუდგია კანონს ამხანაგობების შედგენისთვის და მებატონესთან მოკრებებისთვის.

VIII

როგორც წინეთ ვთქვი, გლეხ-კაცობას სამნაირი გზა აქვს მე-ბატონესთან მოსარიგებლათ მიწა-წყლის შეყიდვაზე: 1) თვითეულ ცალკე გლეხს შეუძლია თავის ხვედრი მიწა-წყლის შეყიდვაზე მოურიგდეს თავის მებატონეს; 2) რამდენიმე გლეხს ერთათ, ერთმანერთის თავდებობით შეუძლიან შეეკრან მებატონეს პირობით, თავიანთი ხვედრი მიწა-წყლის შესაყიდველათ, და 3) მთელს სოფელს ერთბაშათ შეუძლია შეიყიდოს საბატონო მიწა-წყალი.

რადა თქმა უნდა, რომ პირველ შემთხვევაში, როცა თითო გლეხი ცალკე ურიგდება მებატონეს, კანონი მარტო ამ ორი პირის თანხმობას თხოულობს, და როცა ისინი თავ-თავისი მხრით განცხადებას მისცემენ მთავრობას, მოვრიგდეთო, მმართველობა მაშინ მხოლოდ იმას დასდევს, კანონისა და წესის წინააღმდეგი ხომ არაფერი ჩაუწერიათ მორიგების პირობაშიო. მაგრამ, როცა მორიგება ამხანაგობას ან და მთელ სოფელს და მებატონეს შუა ხდება, კანონი სულ სხვა ნაირ წესს თხოულობს, იმას გარდა, რომ პირობაში კანონის წინააღმდეგ არა იყოს რა.

როცა რამდენიმე გლეხი ერთათ ამხანაგობას აღდგენენ მიწის შეყიდვისათვის, კანონი თხოულობს, რომ იმათ მტკიცე ამხანაგობის წერილი დაწერონ. სასოფლო სასამართლოში დამტკიცებული, რომელშიაც ნათლათ გამოყვანილი უნდა იყოს, რომ ესა და ეს გლეხები ამა და ამ მებატონეს პირობებს აძლევენ მიწა-წყლის შეყიდვის ფასი თავის დროზე გადაიხადონ, და ვინიცობაა ზოგიერთმა გლეხმა თავის დროზე ფული რომ არ გადაიხადოს, დანარჩენები იმ გადასახადს თავის თავზე კისრულობენ. ამნაირ პირობის წერილი ყველა დათანხმებულ გლეხობისაგან ხელმოწერილი უნდა იყოს, და წერაკითხვის უტოდინარის მაგიერ, მისივე თხოვნით სხვა ვინმემ უნდა მოაწეროს ხელი, სასოფლო სასამართლოს დამოწმებით.

როცა მიწას შეიყიდის მთელი სოფელი, მაშინ, ამ საქმის დაწყებამდე, უნდა შედგეს სასოფლო კრება (Мирской сход), და ამ კრებამ გადაწყვეტილება უნდა შეადგინოს (Мирской приговор), რომელშიაც გამოყვანილი უნდა იყოს რომ მთელ სოფელს მიწა-წყლის შეყიდვა ჰსურს, და ამ შეყიდვის ფასის გადასახადს კისრულობს. ამნაირ გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ მიეცემა კანონიერი ძალა, როცა იმაზე დათანხმდება და ხელს მოაწერს ორი მესამედი იმ გლეხებისა, რომელთაც კანონისამებრ საზოგადო კრებაზე ხმა აქვთ.

ამ გადაწყვეტილებაში, სხვათა შორის, ისიც უნდა იყოს გამოყვანილი, რომ კრება ამა და ამ პირს ირჩევს, მეტატონესთან სოფლის სახელით პირობის შესაკრვლათ.

როცა ცალკე გლეხი, ან გლეხების ამხანაგობა, ან და მთელს სოფელი ამ წესისამებრ მოიქცევა და მეტატონეს შეურიგდება მიწა-წყლის შეყიდვაზე, იმათ მომრიგებელ შუამდგომელს (მიროვოი პოსრედნიკს) განცხადება უნდა მისცეს, რომელშიაც დაწვრილებით მოხსენებული უნდა იყოს:

ა) წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი იმ მეტატონისა, რომლის მამულშია შესაყიდველი მიწა-წყალი.

ბ) იმ ვუბერნიის და ჯეზდის სახელი, რომელშიაც მდებარეობს ეს მამული.

გ) რა რიგათ ერგო ეს მამული მის მეტატონეს (ესე იგი ყიდვით, მემკვიდრეობით, თუ სხვაფერ).

დ) იმ სოფლის საზოგადოების და სოფლის სახელი, რომელსაც ეკუთვნიან მიწა-წყლის შემყიდველი გლეხები.

ე) როცა მიწა-წყალს შეიყიდის მთელი სოფელი, მოხსენებული უნდა იყოს ამ სოფლის მცხოვრებლების რიცხვი უკანასკნელი რევიზიისამებრ, და როცა შეიყიდის რამდენიმე გლეხ-კაცების ამხანაგობა, ამ გლეხების სახელი და გვარი თითოეულათ.

ვ) რამოდენა მიწა-წყალი მითვისებული აქვთ გლეხებს ნადელში უსტაენი გრამოტით, რამოდენა გადასახადია დაწესებული ამ მიწა-წყალში, მოხთა თუ არა რამე ცვლილება ნადელში მიცემულ მიწა-წყალში, და თუ მოხდა, როგორი და რა საფუძვლით.

ზ) მთელ ნადელს შეიყიდიან გლეხები, როგორც უსტაენი გრამოტით აქვთ მიცემული, თუ ნაკლებს და რა ზომისას.

ს) რა და რა მიწა-წყალს შეიყიდიან გლეხები.

თ) შესაყიდველი მიწა-წყლის საზღვრები, იმნაირათ აღნიშნულები უნდა იყონ, რომ შეყიდვის შემდეგ ეპკი და დავა შეუძლებელი იყოს იმაზე, თუ რა და რა მიწა-წყალი შეუყიდიან გლეხებს. როცა გლეხი შეიყიდის იმისთანა მიწა-წყალს, რომელიც ნაჭერ-ნაჭერია, ერთი ერთ აღაგას და მეორე — მეორეს. მოხსენებული უნდა იყოს იმ ადგილების სახელები, სადაც თვითოეული ნაჭერი მდებარეობს.

და ი) რა სიდიდე გადასახადი აქვს შესაყიდველ მიწა-წყალს, და რამოდენა ფული უნდა გამოიღოს, კანონისამებრ, მმართველობამ, ამ მიწა-წყლის შესაყიდველათ.

ამ განცხადებასთან წარდგენილი უნდა იყოს, თუ მიწას მთელი სოფელი შეიყიდის, — სოფლის კრების გადაწყვეტილება, და თუ

ზოგიერთი გლეხ-კაცების ამხანაგობა, — ამ გლეხ-კაცების ერთმანერთის თავდებობა, და ყოველ შემთხვევაში უსტავნი გრაჰოტის პირი.

განცხადება, მორიგების პირობა და ყოველიფერი, რაც მასთანავე წარდგენილი იქნება, იწერება უბრალო (უღერბო) ქაღალდზე, მორიგების წერილის თითოეულ თავახზე და ბოლოს უნდა ჰქონდეს მოწერილი ხელი, და ეს ხელისმოწერა დამოწმებული უნდა იყოს მიროვოი პოსრედნიკით.

რა კი მიროვოი პოსრედნიკს ამნაირათ შედგენილი და ხელმოწერილი მორიგების პირობა მიეცემა, იმან უნდა გასინჯოს, მართლა მოხდა თუ არა ეს მორიგება ყველა იმ პირობაზე, რომელიც მოყვანილია მორიგების წერილში, და აგრეთვე ნამდვილი ცნობები და ანგარიშია მოყვანილი შიგ, თუ არა. ამის შესატყობლათ მიროვოი პოსრედნიკს შეუძლია თავის მხლებ მიწის მზმანლებს მიწა-წყალი ააწერინოს, და მთელი სოფელი და გლეხები გამოჰკითხოს შეყიდვის თაობაზე.

თუ მიროვოი პოსრედნიკი დარწმუნდა, რომ მორიგების წერილი-კანონის თანახმათ არის შედგენილი, და მასში მოხსენებული ზომა, პირობები და ანგარიში სწორეა, იმან ეს მორიგების წერილი მაშინვე უნდა წარუდგინოს გლეხ-კაცობის საქმეებისათვის დაწესებულ გუბერნიის სამმართველოს (პრისუტსტიას), რომელსაც კანონი ამ საქმეში დიდ გავლენას აძლევს.

პრისუტსტიამ, თავდა-პირველათ გამოგზავნილი მორიგების წერილი უნდა გასინჯოს, და სადაც საჭიროა, ცნობები შეკრიბოს, აწევს თუ არა რამე ვალი შესაყიდველ მამულს, და თუ აწევს, ვისი და რამდენი. — კანონი ამას იმისთვის თხოულობს, რომ ბევრ მებატონის მამულები სხვადასხვა ბანკებში კერძო პირებს დაგირავებული აქვთ მებატონეების ვალში და მიწა-წყალი გლეხებს რომ მიეცეს, და გლეხებისაგან გადახდილი ფული მებატონემ რომ მიიღოს, ბანკები და მებატონეზე ფულის გამსესხებელნი დაჩაგრული დარჩებიან. ამ მიზეზით, კანონი სასტიკ გამოძიებას თხოულობს, შესატყობლათ თუ ვისი და რამდენი ვალი აწევს შესაყიდველ მამულს, და ამ გამოძიებას დიდი ღრო უნდა, სანამ ნამდვილათ აღმოჩნდება მამულის მებატონეს მდგომარეობა. — მაშინ პრისუტსტიე მთელ საქმეს პეტერბურგს გზავნის, იმ სამმართველოში, რომელსაც განსაკუთრებით მიწა-წყლის შეყიდვის საქმეები აქვს მინდობილი, და ამ სამმართველომ ხელ-ახლავ უნდა გასინჯოს, სწორეთ გაანგარიშებულია თუ არა, რამდენი ფული ერგება მებატონეს მმართველობის და გლეხ-კაცობის მხრით. როცა ეს გასინჯვა გათავდება, შეყიდვის საქმე-

ებისთვის დაწესებული სამმართველო საქმეს უკანვე გუბერნიის სამმართველოს უგზავნის, და თან იმ ფულსაც გზავნის, რომელიც მმართველობამ თავის მხრით უნდა გამოიღოს, მებატონეებისათვის მისაცემათ.

გუბერნიის სამმართველო, როცა იმას საქმე უბრუნდება ფულებით, ანგარიშობს, რამდენი ფული უნდა მიეცეს დანიშნულ ჯამიდან მებატონეს მოვალეებს, რამდენი უნდა დაეკლოს სახელმწიფო გადასახადში და რამდენი უნდა მიეცეს თვითონ მებატონეს. მაშინ, დამტკიცებულ მორიგების წერილი კანონიერ ძალას იღებს, და მთავრობა განკარგულებას შვრება ორ საგანზე: ერთი რომ მებატონეს და გლეხებს შუა ყოველივე ვალდებული დამოკიდებულება მოისპოს, და მეორე, რომ გლეხებს შეყიდული მიწა ჩაბარდეს. ამას შემდეგ გლეხ-კაცებს მარტო მმართველობასთან ექნებათ საქმე, და მმართველობას უნდა უხადონ სახელმწიფო გარდასახადს გარდა ის ფული, რომელიც მმართველობამ მიწის შესაყიდველათ გამოიღო. რასაკვირველია, რომ თუ მორიგების პირობაში გლეხებმა მებატონეს რამე მომეტებული გადასახადი დაპირდენ, ეს გადასახადი იმათ თვითონ პირდაპირ უნდა გადაუხადონ მებატონეს, თუ წინდაწინ მიცემული არა აქვთ ეს ფული ან საქმის დაწყებისთანავე მთავრობისთვის არ წარუდგენიათ.

ვეენახეობის საქმე ჩვენი

ჩვენი ვენახების გაჭირვებულმა და უიმედო მდგომარეობამ, როგორც იქნა, ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ამ მოკლედ ხანში რამდენიმე ვენახის მეპატრონემ ხმა ამოიღო და საშუალების ძებნას შეუდგა თუ როგორ გადაარჩინოს საბოლოო დაღუპვას თითქმის მხოლოდ წყარო ჩვენი ქვეყნის შეძლებისა. ამის თაობაზე მხლა საქმათ ლაპარაკობენ და სწერენ კიდევ, ისე, რომ იმედია ამ მოკლე ხანში საქმესაც შეუდგებიან.

ვაზის ავადმყოფობა ისეთი საქმე როდია, რომელსაც თითოეული ვენახის-მეპატრონე კერძობით თავს მოუარს და თავიდაში აიცილებს. დამტკიცებულია, რომ ეს ავადმყოფობა გადადმდებიან, და რა გინდა კარგათ უპატრონოს კაცმა თავის ვენახს, რაგინდ წამალი წაცხოს ყურძენს, რაგინდ ახალ-ახალი ვაზები ჩარგოს, თუ მის მეზობელს ვენახში ავადმყოფობა უდგია, თუ მისი ზვარი დაჭირიანებულია, თუ ის თავის ვაზებს არ სცვლის და არ უვლის, მოვლილი და ხეირიანათ ნაპატრონევი ვენახიც მალე წახდება და მასზე დადებული ღვაწლი და დახარჯული ფული ამათ დაკარგული იქნება. ამისთანა საზოგადო სნეულებას, ამ გვარ საყოველთაო გაჭირვებას მარტო საერთო პატრონობა და შეერთებული, საყოველთაო მოვლა და ღვაწლი მოუხდება. თითოეული ვენახის მეპატრონის სარგებლობა თხოულობს სხვა მეპატრონეების ვენახების ხეირიან მოვლას და პატრონობას, სწორეთ ისე, როგორც მის საკუთრისას, ამიტომ რომ სხვისას თუ სნეულობა ჩარჩა, მისი საკუთარი ვენახიც მალე ხელმეორეთ წახდება, რაგინდ ხეირიანათ მოვლილი და ნაწამლი იყოს.

მაშასადამე, ვენახის სნეულობასაც საერთო წამლობა სჭირია, ამ საქმესაც საზოგადო პატრონობა მოუხდება, და ჩვენებური ვენახის მეპატრონეები ყველაზე უწინ იმას უნდა ცდილობდენ, თუ როგორ შეიკრიბონ ერთათ, რა საშუალებით დათანხმდენ, რანაირი საერთო მოქმედება და საშუალება გამოძებნონ ისეთი, რომ ჩვენი ვაზის სნეულობა მოიხსოს და ვენახების მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ამ საქ-

მის თაობაზედ შეკრება, მოლაპარაკება, დათანხმება, ხარჯის გაწევა ღირს, თუ კი ჩვენს საზოგადოებას და ჩვენებურ მამულის-მეპატრონეებს ცოტაოდენი გამჭირიანობა და გონიერება აქვთ... მაშ რატომ არ იკრიბებიან ისინი, რისთვის არ ეძებენ ამ გასაჭირიდან გამოსასვლელ ღონისძიებას, მცოდნე პირებს რატომ არ იბარებენ და არ გამოკითხვენ, მეცნიერებისაგან მოძებნილ გზას და საშუალებებს რატომ არ ხმარობენ, რატომ თითოეული მათგანი თავის მეზობლებს არ უახლოვდება და მათთან საერთო-ჭირში საერთო ღონისძიებას არ ეძებს და არ ხმარობს?...

მივიხედ - მოვიხედოთ ცოტაოდნათ. აი რუსეთი, აი ყაზანის ან პსკოვის უსწავლელი, გამოუცდელი, მიყრუებული გლეხები — ისინიც კი საერთოთ უვლიან თავიანთ მამულებს, საზოგადოთ აწესებენ: ყველამ ხარჯი გავსწიოთ, ყველამ მოვყაროთ ჩვენს მიწებს ნაკელი ან ჭაობები საერთოთ დავაშროთო. ნუ თუ რაც მიხვდა და გამოძებნა ყაზანის ან პსკოვის გლეხმა, იმას ქართლელი, კახელი ან იმერელი თავადები ვერ უნდა ახერხებდენ და იყენებდენ? შესაძლებელია განა ეს, ან აზრში მოსასვლელია ვისმესთვის?

ნათქვამია, „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას განახებო“. აი გაჭირვებაც, ვნახოთ ეხლა რამდენათ მოახერხებენ ჩვენი თავადები გაქცევას კი არა, პატრონობას და გონიერს მოქმედებას. დროცაა, დღის ღმერთმა! თორემ დღეს ტყეები გამოგვეცალა ხელიდამ, ხვალ მიწა-წყალი გვეკარგება, ზეგ ვენახები გვიხდება, მაზეგ სწავლის შეძლებაც ხელიდამ გვიცურდება, მაშ ბოლოს რაღა დაგვრჩება, რითი გვედგმება სული, რითი შეგვეძლება ცხოვრება? შრომას ჩვენ შეუჩვეველნი ვართ, სწავლა ჩვენ არა გვაქვს, გავლენა რახანია დაგვიკარგია, რაღა დაგვრჩება ბოლოს, თუ ჩვენ თვითონ ჩვენს თავს არ მოუვლით და გაჭირვებას გონიერათ და მოხერხებულათ თავიდან არ ავიცილებთ?

ნუ თუ ჩვენ ჩვენი თავის მტრები ვართ, და მართლა ჩვენი თავის დაღუპვა და გაღატაკება გვსურს, ჩვენი საბოლოო დაღუპვა გვეწყურია?

ახირებული ამბავი

ჩვენი კორრესპონდენტები გვწერენ იმერეთიდან, რომ ამ მოკლედ ხანში იქ ერთი მეტის მეტათ ახირებული ამბავი მომხდარა⁸². თ. აბაშიძეებს შეუწირავთ — მას ჟამსა. შინა — რამდენიმე მოსახლე გლეხი კაცხის მონასტრისთვის. როდის ყოფილა ეს ამბავი, მართლა შეუწირავთ იმათ ეს გლეხები თუ არა, მართლა ეს გლეხები ყოფილა, თუ სხვები, ეს არავინ იცის თურმე, მაგრამ ახლა საეკლესიო მამულების სახაზინოთ გადაცემის დროს, აბაშიძეებს განუზრახავთ ამ გლეხების დაბრუნება და დღეს მთელი ზემო-იმერეთი ამ ამბავს მიჩერებია: დაუბრუნდება აბაშიძეებს როდინობის კვირაში შეწირული და დღეს გამოწირული გლეხები, თუ არა; ხელ-ახლავ დაარსდება ამ გლეხებისთვის ძველებური ბატონ-ყმობა თუ არა, და შეიძლება, თუ არა, ძველათ გათავებული და დაბოლოვებული საქმის ხელ-ახლავ აღდგენა და სხვანაირად გადაწყვეტა?

ჩვენ არ ვიცით ამ საქმის ნამდვილი გარემოებები, და მართალი რომ ვთქვათ, არ გვესმის რანაირათ შეიძლებოდა ამ გვარი უსამართლობის მოხდენა. ეს ისეთი უბრალო საქმე როდია, რომლის გადაწყვეტა — ბრუნდე იყოს, თუ სწორი — მარტო ორიოდ მოჩივარს პირს შეეხება, ამ საქმეზე მიჩერებულია, როგორც წელიწად ვთქვით, მთელი ზემო-იმერეთის ყურადღება. მაშ რა ნაირათ შეიძლება, რომ ამისთანა მძიმე საქმე ასე ალა-ალათ გადაწყვეტილიყო, ან ამ გვარი უწესობა მომხდარიყო, — ეს, ვიმეორებთ, ჩვენ არ გვესმის.

ადვილი საქმე როდია მონებათ გადაქცევა იმათი, ვინც რამდენიმე წელიწადის და იქნება საუკუნის განმავლობაში თავისუფალი იყო. ამას ყოველთვის მღელვარება და ვაი-ვაგლახი მოსდევს. უფრო ძნელი საქმეა იმისთანა მდგომარეობაში მოხდენა ამ გვარი უწესობებისა, რომელშიაც ეს აბაშიძეების საქმე იმყოფება. აბაშიძეებს რომ ეხლა ის გლეხები მართლა დაუბრუნდეს, რამდენს ჩვენებურს მებატრონიებს შეეძლება მაგნაირივე საჩივრის განცხადება? ჩვენთაგანი ვინ იქნება ისეთი, რომლის წინაპარს ცოტაოდენი რამ მაინც არ შეეწიროს რომელიმე ეკლესიისთვის, და რა კანონის ან რომელი

სინდისის ძალით შესაძლებელია ამ ძველათ შენაწირავის გამოწირვა და დაბრუნება?

უეპველია, რომ თუ აბაშიძეებს კმაყოფილება მიეცა, ბევრი მებატონეები მოითხოვენ შენაწირავი მამულების დაბრუნებას, და თუ ასე ავეყვით, თუ ყველას კმაყოფილება მიეცა, მალე ჩვენი ქვეყანა იმავე მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიაც ის ასი და ორასი წლის წინეთ იყო. თუ „ძველე ბური“ ანგარიშები გავიხსენეთ, ვინ იცის რა და რაები არ მოგვაგონდება. ჩვენ გავიხსენებთ მაგალითად, რომ მაშინდელ დროში გლეხ-კაცობას ამდენი გარდასახადი და ვალდებულება, ამდენი შრომა და ვაივაგლახი როდი აწვა კისერზე, რომ მებატონეებს მაშინ ძლიერ სასტიკი და მძიმე ვალდებულება და მოვალეობები ჰქონდათ, რომ ჩვენმა ხალხმა ამდენი განსაცდელი იმიტომ კი არ გასწია, რომ ეხლა მისი ნაპირნახტლევით უსაქმო და უსარგებლო მკამლები უდარდელ ქეიფის-გაწევაში ფულებს უთავბოლოთ და უანგარიშოთ ფლანგავდენ და სხვ. და სხვ. და სხვ. მაგრამ ამაებსაც რომ თავი დავანებოთ, და გულწრფელათ ძველ წესებს და ჩვეულებებს დავადგით, მათ სრულ აღდგინებაზე დავთანხმდეთ, მაშინაც აი რა გარემოებას შევცვდებით. ვინც რომელიმე გადაგდებულ წესს აახლებს და აღადგენს, იმან იქიდან თავისთვის მარტო უპირატესობა კი არა, მოვალეობაც და პასუხისგებაც უნდა მიიღოს. ვინც თავის უფლებას აფუძნებს ძველ სამართალზე, იმან ამ ძველ წესის და სამართლის მოვალეობაც და პასუხისგებლობაც უნდა მიიღოს. მაშ გავიხსენოთ, ამას შემდეგ, რა პასუხისმგებლობა და სასჯელი ელოდა, ძველის წესით იმას, ვინც შენაწირავს და შენაფიცავს უარს - ჰყოვდა, ვინც ეკლესიას რასმე აკლებდა და ან ავნებდა, ვინც სიტყვას და პირობას სტენდა; და თუ აბაშიძეები ან გახურებულ შანთს ათ ნაბიჯზე გაარბენენ ხელის დაუწველათ, ან მდულარე წყლიდამ ჯვარს ამოიღებენ, ან ხელს მოიკრიან, ან მიწაში ჩაივლებიან, — იყოს ნება მათი, დაუბრუნდეთ მათ მათი შენაწირავი და გამონაწირი გლეხები!

ნუ თუ ამისთვის ვცხოვრობდით ჩვენ ამ საუკუნის განმავლობაში, ნუ თუ ამისთვის ავიტანეთ ყოველგვარი გასაჭირი, რომ ჩვენ ძველი ცხოვრებიდამ ამ ნაირი სამწუხარო და ხეპრული ჩვეულებებოდაგვბრუნებოდა?

საზღვსო ბანკები და ჩვენი გზებისა

„დროებას“ ბევრჯერ გამოუხატვია შეწუხებული და თითქმის უიმედო მდგომარეობა კახელი გლეხკაცობისა, რომელსაც უფულობა და ვალები უკანასკნელ ღონისძიებას აკლებენ და უმძიმეს ტვირთათ აწვეთ. ბევრჯერ გამოთქმულა ჩვენს გაზეთში აზრი, რომ ამ გასაჭირს, რომელიც მარტო კახეთს კი არა, მთელ საქართველოს სიცოცხლეს უჭირვებს, ჩვენი ხალხი ასცილდება ზოგიერთი საზოგადო ცვლილებებით და — ცოტაოდნათ მაინც — სახალხო, სასოფლო ბანკების დაარსებით, და გამრავლებით. სასოფლო ბანკები, ვამბობდით ჩვენ, ამ გასაჭირიდან მაინც დაიხსნიან ჩვენს ხალხს, რომ გადასახადის შეკრების დროს და სხვა წვრილმანი საჭიროების წინ ის ურიის ვალში აღარ ჩავარდება და თითქმის მთელს თავის შემოსავალს ორიოდ თუმნის სარგებელში მაინც არ გასცემს.

ესევე აზრი ავრცელა გ. წერეთლის „სასოფლო გაზეთმა“⁸⁴. და დღეს ჩვენ შეგვიძლია სრული ბედნიერებით ვთქვათ, რომ უნამყოფოდ არ ჩაუვლია ჩვენი მწერლობის სიტყვას და მაგალითს. გარდა ამისა, რომ თფილისში უბრალო მოხელეებმა მოინდომეს თავისთვის პაწაწა ხელის-გამწყობი ბანკის გამართვა, და ერთგულათ შეუდგენ ამ საქმის ასრულებაში მოყვანას, თელავის მაზრაშიაც გლეხ-კაცობას მოუნდომებია ამ გვარივე სასოფლო ბანკების დაარსება. სამს სოფლის საზოგადოებას კახეთში: კონდალის, წინანდლის და ქიხისხევისას, გარდაუწყვეტია საამხანაგო ბანკების დაარსება, და „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის შემწეობით კიდევ შეუდგენია ამ ბანკების წესდება, რომელიც გუშინ თფილისელ გუბერნატორს მიართვენ ამ სოფლებისგან გამოგზავნილმა გლეხებმა. უეჭველი საქმეა, რომ ეს წესდება მალე დამტკიცდება და ასრულებაშიც მოიყვანება; მაშასადამე, ჩვენი ხალხი ამგვარი ბანკების სარგებლობის მაგალითს მალე თავის საკუთარ თვალითაც ნახავს.

„დროების“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქციებს გამზადებული აქვთ ამგვარივე წესდებები, ისე რომ სხვა სოფლების საზოგადოებებს მოთხოვნის მეტი არა დასჭირდებათ რა მათ მიღებისათვის და დასაპტკიცებლათ წარდგენისთვის. ამასთანავე „დროების“ რედაქცია ამზადებს სამაგალითო წიგნებს, რომელნიც ყოველ სასოფლო ბანკს უნდა ჰქონდეს ანგარიშის, შემოსავლის და გასავლის

ჩასწერათ, წევრებისათვის მისაცემლათ და სხვ. და სხვ. ამ წიგნების შემწეობით და იმ თხზულების გადაკითხვით, რომელნიც ამ საგანზე ჩვენს გამოცემაებში იბეჭდებოდნენ და დაიბეჭდებიან, სასოფლო ბანკების საქმის წაყვანა და ანგარიშის გაწყობა ყოველ წერაკითხვის მცოდნე პირს შეეძლება, ისე რომ სასოფლო ბანკების გამართვაში ჩვენს სოფლელებს არაფერი დაბრკოლება და სიძნელე აღარ დახვდებათ, თუ კი თვითონ სოფლელები ბანკის დაარსებას მოინდომებენ და თავიანთში ამის შესახებ გარდაწყვეტილებას მიიღებენ.

ვიმეორებთ: ეს ისეთი საჭიროებაა ჩვენი ხალხისთვის, რომელზედაც დამოკიდებულია თუ მთელი ეხლანდელი სიძნელე არა, ძლიერ ბევრი წვრილმანი გაჭირვება და უსიამოვნობა. ამ ბანკების შემწეობით ჩვენი ხალხი ცოტოდნათ მაინც განთავისუფლდება მისი გამალარიბებელი და დამამხობელი მოვალეებისგან, და სხვა რომ არაფერი ესეც ბევრია. მამ ვისარგებლოთ ამ ადვილი საშუალებით, მით უფრო, რომ ყველაფერი, რაც მის შემოღებას სჭირდება, ჩვენს სოფლელებს დღეს ხელში ეძლევათ.

ჩვენებურ ყმაწვილებს ნამდვილი სურვილი რომ ჰქონდესთ ხალხისთვის სარგებლობის მოტანისა და დახმარების მიცემისა, ამისთანა საქმეში ბევრი ღალადი და ქადაგება ჩვენ როდი დაგვჭირდება. ყმაწვილები აიღებდენ ხელში ანაირი ბანკის წესდებას და წაუკითხავდენ სოფლელებს, აუხსნიდენ მის სიადვილეს და სარგებლობას, ასწავლიდენ დასაწყისში საქმის წაყვანას და გაუმართავდენ მთელ საქმეს. მაგრამ ამაებს ჩვენში არავინ ჰკიდებს ხელს, ან კი, მართალიც რომ ვთქვათ, როგორ უნდა მოჰკიდონ ხელი: ხუმრობა ხომ არაა ბართის მიწერა რედაქციაში, წესდების პირის მისაღებად, და მისი გარდაცემა თავის საკუთარი სოფლის მცხოვრებლებისთვის? ეს თავის სამტკრევი შრომაა. ბევრათ უფრო ადვილია უგზო-უკვლო ქუჩა-ქუჩა თრევა და სტუმრათ სიარული, სადაც გლეხებთან ლაპარაკის მაგიერ, უფრო ადვილი და სასიამოვნო საქმე აქვთ ამ ყმაწვილებს: ენის მიტან-მოტანა, კორიკანაობა, ბანქოს თამაში და ცეკვა.

არა, ამისთანა ახალგაზდობის მიხედვით ჩვენი სოფლელები ამ საქმეს ნუ წაუყრუებენ. თავიანთ თავზე იქონიონ იმედი გლეხებზე და თვითონვე საქმეს ხელი მოჰკიდონ, როგორც გონივრათ მოიქცენ წინანდლის, კონდალის და ქისისხევის მცხოვრებლები. გლეხებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენი ყმაწვილები იმნაირათვე უსარგებლოთ ჩაკვდებიან უსაქმო ხეტიალში, როგორც მათი მამები ჩამკვდარან.

კაცხის გლეხების საქმე

კაცხის გლეხების საქმე ამ ჟამად უმთავრეს სამმართველოს განხილვაში არის. ვინც საქმის გარემოება დაწვრილებით იცის, ყველანი დარწმუნებული არიან, რომ უმთავრესი სამმართველო ამ საქმეს გლეხების სასარგებლოთ გარდაწყვეტს. გლეხების სიმართლის დამამტკიცებელია იმისთანა საფუძვლები, რომელნიც კანონს ყოველთვის ღირსეულათ უცვნია. ამ საფუძვლების დარღვევას ცდილობენ ეხლა უფ. აბაშიძეები; იმათ ეხლა ადვოკატებიც გამოუჩნდნენ; მაგრამ იმედი, რომ ეს იმათი მეცადინეობა ამაოდ ჩაივლის საბოლოოდ, თუმცა ამ თავით ბევრს უსიამოვნობა და გაჭირვება მიაყენა.

კაცხის გლეხების საქმე, სახელდობრ იმათი საეკლესიო უწყებისაგან საბატონო უწყებაში გარდაყვანა, გადაუწყვეტია ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების სამმართველოს.

ამ განკარგულებაზედ გლეხებს მისს იმპერატორების უმაღლესობასთან, კავკასიის მთავარ-მართველთან, უჩივლიათ და შემდეგ უმთავრეს სამმართველოში საჩივრის დამატება შეუტანიათ.

აი საქმის გარემოება და საფუძვლები, რომელზედაც გლეხები თავის სიმართლეს ამყარებენ.

ჯრუჭის, მღვიმისა და კაცხის მონასტრებს ჰყოლიათ თავის საკუთარი გლეხები და მიჩენილნი. საკუთარ გლეხებათ ითვლებოდენ ისინი, რომელნიც ადგილ-მამულიანათ და ყოველივე შემოსავლით მონასტრებისათვის შეეწირათ მეფეებს, ან და სხვა მებატონეებს. მიჩენილი გლეხები იყვნენ ისინი, ვინც მონასტრებს საბატონო გარდასახადის ნაწილს აძლევდა თავის მებატონის ბრძანებით. ამგვარათ საეკლესიო გლეხები ორგვარნი იყვნენ: ზოგნი სრულიად ეკლესიას ეკუთვნოდენ და ზოგნი ერთსა და იმავე დროს მებატონესაც ხარჯს აძლევდენ და ეკლესიასაც. ის კაცხის გლეხები, რომელთაც ეხლა აბაშიძეები ითვისებენ, არიან სრული მონასტრის საკუთრება.

დროებით ვალდებულ საბატონო გლეხებათ გახდენა მხოლოდ იმათი შეიძლებოდა, ვინც მებატონესა და ეკლესიას ეკუთვნოდა და ორივეს ხარჯს აძლევდა. კაცხის გლეხები მონასტრის სრული სა-

კუთრება ყოფილან, იმათ არავითარი გარდასახადი არ მართებიათ აბაშიძეებისა და სრულიათ უსაფუძვლოა აბაშიძეების სურვილი, რომ ეს გლეხები თავის დროებით-ვალდებულათ გახადონ.

მართალია, თ. აბაშიძეების წინაპრებს კაცხის მონასტრისთვის გლეხებისაგან შემოსავლის ნაწილი შეუწირავთ; მაგრამ ეს გლეხები დიდი კაცხის, ჯოკოვეთის, საყურნის, რკოვის და ვაჩევის მცხოვრებნი ყოფილან. ესენი ყოფილან აბაშიძეების ყმები, ამათ უძლევიათ ხარჯი როგორც ამ თავადებისათვის, ისე მონასტრებისათვის. იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა ლალატისათვის წაართვა აბაშიძეებს კაცხის მონასტერი ხსენებულ სოფლებში მცხოვრებ გლეხებიანათ. სოლომონ მეორეს ისევ დაუბრუნებია აბაშიძეებისათვის ათას რვაას ექვსში როგორც მონასტერი, ისე გლეხები, იმ პირობით, რომ ხსენებულ მებატონეებს მონასტერი თავის ხარჯით შეენახათ, ან და გლეხებისაგან შემოსავალი უწინდულათ მიეჩინათ.

შემდეგ რუსის მმართველობის დროს, აბაშიძეებმა, განიზრახეს, რომ მონასტრისათვის წაერთვათ გლეხების შემოსავალი, რომელიც იმათ წინაპრებს შეეძინათ და რომელიც სოლომონ მეორის ბრძანებითაც მონასტერს უნდა ჰქონოდა, მაგრამ საეკლესიო უწყებამ თავი გამოიღვა და ამისგან წარმოსდგა საქმე მყოფს დროებითს სასამართლოში. აქედან საქმე გადიტანეს სენატში. სენატმა ეს საქმე ათას რვაას ოცდაოთხში გარდაწყვიტა. ეხლა აბაშიძეები ამ გარდაწყვეტილებაზედ აფუძნებენ თავის სიმართლეს და საგლეხო საქმეების სამმართველო თავის განკარგულებას, თუმცა ათას რვაას ოცდაოთხში შემდგარი სენატის გარდაწყვეტილება შეეჩებოდა კაცხის გლეხებს კი არა, სხვა სოფლების გლეხებს, რომელნიც აბაშიძეებს ლალატისათვის ჩამოერთვათ, რომელნიც მონასტერსა და მებატონეებს ეკუთვნოდა, რომელნიც რუსის მმართველობის დროს კამერალური აღწერის დროს ყოველთვის აბაშიძეების ყმებად იწორებოდნენ, რომელთ განთავისუფლებისთვის აბაშიძეებმა სასყიდელი მიიღეს და რომელზედაც იმათ დებულების ოქმი შეადგენინეს.

ის გლეხები, რომელთაც ეხლა აბაშიძეები ითვისებენ, სახლობენ კეთილ-შეძენილს საკუთარს მიწებზე, თუ საეკლესიო მიწებზედ, რომელნიც კაცხის მონასტრისათვის სხვებს და არა აბაშიძეებს შეუწირავთ ხარჯს მარტო მონასტერს აძლევენ, მარტო მას ემსახურებოდნენ.

რომ ამ გლეხებს აბაშიძეებისათვის არავითარი გარდასახადი არ უძლევიათ, რომ იმათი მოსამსახურე არ ყოფილან არასოდეს, არც იმერეთის მეფეების დროს, არც რუსის მმართველობის დროს,

ეს ცხადათ სჩანს მომრიგებელი შუამდგომელის მოხსენებისაგან № 62. მაგრამ აბაშიძეებს თავის სიმართლის საბუთათ ერთი რაღაც ხელწერილი მოჰყავთ, რომელიც იმათ წინაპრებს ვითომც კაცხის მონასტრისათვის მიეცეთ, რომ ამ გლეხების გარდასახადი შენთვის შეგვიწირავსო. მაგრამ ეს ხელწერილი არავის არ უნახავს. გლეხებისათვის არაოდეს არ უჩვენებიათ. კიდევ რომ ყოფილიყოს, ამნაირი ხელწერილი სრულიად არ დაამტკიცებს აბაშიძეების სიმართლეს. იმათ შეეძლოთ, რომ ამგვარი ხელწერილით კაცხის მონასტრისათვის მთელი იმერეთის შემოსავალიც შეეწირათ და ამით ხსენებულ მებატონეებს არაფერი არ დააკლდებოდათ. დააკლდებოდათ კი არა, თუ ამგვარი ხელწერილობით რისმე დასაკუთრება შეიძლება, მთელს იმერეთსაც დაისაკუთრებდენ.

რა რომ ჩვენში კამერალური აღწერა დაუწყიათ, მას აქეთ კაცხის გლეხები ყოველთვის საეკლესიო უწყებაში ირიცხებოდნენ. ათას რვაას სამოცდა ხუთში, გლეხების განთავისუფლების დროს, აბაშიძეებს კაცხის გლეხებისათვის სასყიდელი არ მიუღიათ მმართველობისაგან, მათზე დებულების ოქმები არ შეუდგენინებიათ. და არც უფლება ჰქონდათ ამისი აბაშიძეებს, ამიტომ რომ უმაღლესად დამტკიცებულის კანონების ძალით და მთავარმმართველის სახელმძღვანელო მიწერილობის ძალით, მებატონეებს მხოლოდ იმ გლეხებში უნდა მისცემოდათ სასყიდელი და მარტო იმ გლეხებზედ უნდა შეედგინათ დებულების ოქმები, რომელნიც ბატონყმობის მოსპობის გამოცხადების დროს მებატონეების დამოკიდებულებაში იყვნენ და კამერალური აღწერით მათ კუთვნილებად ითვლებოდნენ. და თუ რომელიმე მებატონე უსამართლოდ სასყიდელს მიიღებდა, კანონის წინაშე პასუხი უნდა ეგო.

ამგვარად, ის გლეხები, რომელნიც ახლა სჩივიან, ეკუთვნოდნენ ყოველთვის მონასტერს და აბაშიძეებისათვის არავითარი გარდასახადი არ უძღვევიათ და იმათთვის არ უმსახურნიათ. ეს ის გლეხები არ არიან, რომელნიც იმერეთის მეფეებს ჯერ ჩამოურთმევეიათ და მერე დაუბრუნებიათ აბაშიძეებისათვის და მაშასადამე, ათას რვაას ოცდაოთხში შემდგარი სენატის გარდაწყვეტილება ამათ არ შეეხება, მაგრამ ეს გლეხები რომ მართლა იმერეთის მეფეებისაგან წართმეული და ხელახლა დაბრუნებული ყოფილიყვნენ და, მაშასადამე, იმათ რომ ოცდაოთხში შემდგარი სენატის გარდაწყვეტილება შეეხებოდესთ, მაშინაც არ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი, რომ საქმის გამოუძიებლათ და სამსაჯულოში გარდაუწყვეტლად ისინი აბაშიძეების დროებით-ჯალდებულ გლეხებათ გაეხადათ, აი ამისი საფუძვლები: ა) კაც-

ხის გლეხებს და მათ მამა-პაპებს არც მეფეების და არც რუსის მმართველობის დროს აბაშიძეებისათვის არავითარი სამსახური არ გაუწევიათ და არავითარი გარდასახადი არ უძღვევიათ; ბ) გლეხთა განთავისუფლების გამოცხადების დროს კაცხელი გლეხები აბაშიძეების დამოკიდებულებაში არ ყოფილან და იმათში ხსენებულს თავადებს სასყიდელი არ მიუღიათ და მათზე დებულების ოქმები არ შეუდგენიათ; გ) სამი წელიწადია მას აქეთ, რაც კაცხელი გლეხები სახელმწიფო უწყებაში ითვლებიან; დ) კამერალურ აღწერაში აბაშიძეების საკუთრებათ არაოდეს არ ჩაუწერიათ კაცხელი გლეხები; ე) ათას რვაას ოცდაოთხში შემდგარი სენატის გარდაწყვეტილება არც კაცხელი გლეხების მამებს და არც თვითონ იმათ არ გამოცხადებიათ და არც სცოდნიათ აქამდის, თუ ამგვარი გარდაწყვეტილება როდისმე მოხდა. ეს გარდაწყვეტილება ორმოცდა ათი წლის განმავლობაში კაცხელი გლეხების შესახებათ სისრულეში არ მოუყვანიათ, მისი ძალა ამ გლეხებზედ არ გაუფრცვლებიათ; მაშასადამე ამ გარდაწყვეტილებას ეხლა არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს.

ამ საფუძვლების ძალით კაცხელი გლეხები თხოულობენ, რომ ქუთაისის საგლეხო საქმეების სამმართველოს გარდაწყვეტილება დაირღვეს და აბაშიძეებს მხოლოდ სამსახულოში სიმართლის ძიების ნება მიეცეს.

1873 წ.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება

ჩვენს წინ დევს დიდი ტომი: „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ოცდახუთი წლის თავი, შედგენილი, საზოგადოების დავალებით, მისი მდივანის ნ. სიტოვსკის მიერ“. უფ. სიტოვსკის წიგნი გამოიცა საიუბილეოთ, რომელიც ერთი თვის წინათ იდღესასწაულა ჩვენში სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ⁸⁵. ის თითქოს წარმოადგენს ამ საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიას.

უფ. სიტოვსკის წიგნის შესახებ ჩვენ არაფერს არ ვიტყვი. ის შედგენილია, როგორც ადგენენ ხოლმე საიუბილეო, ლიტერატურის ყველა პანეგირიკულ ნაწარმოებებს, საზოგადოების გარშემო არსებული წრის, მისი ვალდებულების, საშვალეების და მისი როლის ყოველგვარი კრიტიკული შეფასების გარეშე. მაგრამ, ამ წიგნის დაბეჭდვასთან დაკავშირებით რომ თვალი გადავაგლოთ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოღვაწეობას, უთუოდ არ იქნება უადგილო. აი რატომ ვისარგებლებთ ჩვენ შემთხვევით, რომ შევაფასოთ საზოგადოება, რომელიც უფ. სიტოვსკიმ შეაქო ვებერთელა in-octavo-ს შვიდასი გვერდის მანძილზე.

ყველა კალენდრების მოწმობით, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება დაარსებულია 1850 წელს. მაგრამ ჯერ კიდევ ფამუსოვი ამტკიცებდა, რომ „ყველა კალენდრები სტყუიან“-ო, და მართლაც, ირკვევა, რომ ეხლანდელი საზოგადოება სხვა არაფერია, ვინემ აღორძინება 1845 წ. ჩვენში არსებული „კავკასიის სასოფლო და მანუფაქტურული წარმოების და ვაჭრობის წამახალისებელი საზოგადოებისა“⁸⁶. აქედან პირდაპირ გამოდის, რომ ეხლანდელი საზოგადოების მოღვაწეობა, მისი დაარსებიდანვე, იყო არა საეხებით ახალი და, მაშასადამე, საზოგადოებას თავიდანვე უნდა ჰქონოდა ერთგვარი გამოცდილება. ეს გამოცდილება მით უმეტეს უნდა ყოფილიყო მრავალმხრივი, რომ 1845—1850 წ. პერიოდში თავადი ვორონცოვის მთელმა რიგმა ღრმა-აზროვანმა ღონისძიებებმა ჩვენს მხარეში სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეში, ეხლანდელ საზოგადოებას, პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, მოუმზადა კარგი ნიადაგი⁸⁷.

თავისი ოცდახუთი წლის არსებობის განმავლობაში, კავკასიის საზოგადოებას ჰქონდა ფრიად მნიშვნელოვანი თანხები, რომლითაც სარგებლობდა ის. გარდა საწვერო გადასახადისა (170 წევრი, რომელიც იხდიდენ წელიწადში თითოეული 10 მან.), ის იღებდა ყოველწლიურად მნიშვნელოვან სუბსიდიას მთავრობისაგან (6.000 მან). საზოგადოების ყველა აქტიური წევრები, ითვლებოდენ რა მრავალსხვადასხვა შტატის თანამდებობებზე, იღებდენ საკმაოდ დიდ ჯამაგირს ხაზინის თანხებიდან. თანხები „მხარის სასარგებლო დაწესებულებათათვის“, როგორც სჩანს „კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს ანგარიშებიდან 1862 — 1872 წ.“, ყოველთვის ღია იყო საზოგადოების შუამდგომლობისათვის, და როცა ეს თანხები საკმარისი არ იყო, მთავრობა უხვად აძლევდა დახმარებას პირდაპირ სახელმწიფო ხაზინიდან. მარტო ერთი საზოგადოების ქიმიკოსი იღებდა, თავის ჯამაგირად და თავის ლაბორატორიისათვის, „სასარგებლო დაწესებულებათა“ თანხებიდან, წლიურად 2.400 მან. რომ არ ვიანგარიშოთ არც წინასწარი ხარჯები, და არც ეგრეთ წოდებული „მივლინებების“ ხარჯები. ერთი სიტყვით მთავრობა, თავის მხრივ, აკეთებდა ყველაფერს რაც კი შესაძლებელი იყო და აძლევდა ყველაფერს რაც კი შეეძლო, იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოღვაწეობას მოეტანა არსებითი სარგებლობა ჩვენი მხარისათვის.

მეორე მხრივ, საზოგადოებას თავისი მოღვაწეობისათვის საქმე ჰქონდა არა უმადურ ნიადაგთან. არც ერთ არსებულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათაგანს არ შეუძლია დაიტრახახოს ისეთი ხელისშემწყობი პირობებით, რომელიც ჰქონდა ჩვენს საზოგადოებას ნიადაგისა და ჰავის სხვადასხვაობით, ბუნებრივ სიმდიდრეთა სიუხვით, შესაძლებლობით, რომ მიეღოთ სხვადასხვაგვარი პროდუქტები, ყველაფერ ამის შესაძლებლობა მას ჰქონდა შედარებით განსაზღვრულ თავის სამოღვაწეო რაიონში. მთელი მხარე წარმოადგენდა ბუნებრივ ბოტანიკურ და ზოოლოგიურ ბაღს, ყველა მხარეთა ფლორით და ფაუნით. მხარის მცხოვრებლები ელოდენ მხოლოდ მითითებას და მზათ იყვნენ სიხარულით და ხალისით გაეკეთებიათ ყველაფერი, რასაც მიუთითებდა მათ საზოგადოება. ამიტომ არავისთვის, ვისაც კი შესწევდა განჰკრეტის უნარი, არაფერი საეჭვო არ იყო ამ შეხედულებებში, რომელიც გამოთქმული იყო „Обзор действий Наместника Кавказского, для развития сельскаго хозяйства с 1845 по 1850 гг.“-ში⁸⁸: „ყველა საგნები (რომელიც მოიპოვებია მხარეში) თვალსაჩინოდ ხდიან კავკასიის უდიდეს სიმდიდრეს. მრავალ-

სახეობა, ეს კავკასიის ყოფის საერთო დამახასიათებელი თვისება, ისტორიული, ტომობრივი და კლიმატიური მხრივ, ყველაზე მეტად გამოჩნდა მხარის ბუნებრივ და სამრეწველო ნაწარმოებებში. თუ კი მრეწველობის სული, ეს ძლიერი ბერკეტი ხალხის მოქმედებისა, მზრუნველი მთავრობის დახმარებით, უფრო განვითარდება კავკასიის მხარის მწარმოებლებში, მაშინ ეს მხარე, მისცემს რა რუსეთს ბევრ კოლონიალურ ნაწარმოებს, შესაძლებელია გადაიქცეს ჩვენი იმპერიის უმდიდრეს კუთხედ“.

აი რა სახით, აი რა მიზნით განაახლა თ. ვორონცოვმა 1850 წ. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

რამდენად გაამართლა მოლოდინი ამ საზოგადოებამ, შეგვიძლია დავეინახოთ თუ შევადარებთ ჩვენი მხარის 1850 წ. სასოფლო სამეურნეო დებულებას, 1875 წ. ასეთსავე დებულებასთან. გაუკეთოდ ჯამი, მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ამ დარგში მიღწეულ წარმატებებს. უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის შევადაროთ „ბუნებრივ და სამრეწველო ნაწარმოებთა ჯამოფენა ტფილისში“, რომელიც 1850 წელს ნაჩქარევად იყო მოწყობილი ორ თვეში, მერე კიდევ მარტში, იმას, რასაც ყველა ჩვენგანი ყოველდღიურად ხედავს თავის ირგვლივ, და რაც თვალსაჩინოთ გამომოქლავნდა სექტემბრის საიუბილეო გამოფენაზე.

1850 წ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 2.000 ნიმუში; ვტოვებთ რა უყურადღებოთ ადგილობრივი მეურნეობის ჩვეულებრივ ნაწარმოებებს, აღვნიშნავთ, რომ არ გავავარძელოთ, შემდეგ პროდუქტებს:

ხორბალი-არნაუტკა, ჩინური ბრინჯი, ველური შვრია, ხმელი ხილი, ნუში, კაკალი, ჭარხალი, წიწმატი (მებაღეებმა და მებოსტნეებმა ვერ წარმოადგინეს თავიანთი ნაწარმოებნი, ვინაიდან გამოფენა ისეთ დროს იყო გამართული), აბრეშუმის ადგილობრივი და იტალიური, აბრეშუმის ნაძენძი, პარკები, მოქსოვილი და მოქსოველი შატყლი, თხის თივთიკი, ანგორის თხის თივთიკი, ესპანური შალი, ლიუცერნა, 37 ნიმუში ტყის ჯიშებისა, თამბაქო ადგილობრივი, ოსმალური და გავანის (ეიდაროვის), მარენა ბალის და ტყის, გაკეთებული ადგილობრივ და ფრანგულ წესზე, ზაფრანა დამზადებული ადგილობრივი წესით, ზაფრანა დამზადებული ფრანგული წესით, ინდიგო ადგილობრივი წესით დამზადებული, საღებავი ანუ ავინიონის მსხალი, საფლორი, საღებავი ღიქა, თუთუბო, ბროწეულის კანი (საღებავად), ველური ვაშლის კანი, სხვადასხვა ხარისხის სათრიმლო ნივთიერებანი, ბამბა ადგილობრივი და ამერიკული თესლი-

სა (გრძელ-ბოჭკოიანი), სელი, სელის ნაძენძი, დაუძახავი ნართები: აბრეშუბის, ბამბის, სელის და სელის ნაძენძის: ჩინური ჭინჭარი, ზეთის ხილის მცენარეები (ქანჯუთი, აბუსალათინი, სელის მარცვლები), ზეთი: კაკლის, ქანჯუთის, კანაფის, სელის და აბუსალათინის; სამედიცინო მასალები: ორხისი, სხვადასხვა სააფთიაქო მცენარეები, ოპიუმი, სპარსული ფხვნილი; ტყავეულობა და სხვ. ამას მიუმატოთ მადნები: ქვა-ნახშირი ტყიბულის, ხუმარის და ტაბასარანის, მაგნიტის რკინის მადანი გელ-ლაშის მთიდან, რკინის კრიალი (60% რკინა), სპილენძის მადანი (20% სპილენძი), ვერცხლ-ტყვიის კრიალი, პემზა, დიორიტი საუკეთესო ღირსების, იასპი, გამსჭვირვალე მარმარილო, მარმარილოს ჰუდლინგი, გოგირდი, თეთრი სოდა („ობზორის“ თქმით ყველაზე უფრო წმინდა, რომელიც კი ცნობილია ვაქრობაში), მარგანეცი, შაბი, თეთრი ნავთი, სელიტრა, ალემასტრი, არჯაა-სპის ქვა და სხვა.

არ შეიძლება არ დათანხმდეს კაცი, რომ მხარე, რომელიც იძლევა ყველა ამას თითქმის კაცის ხელის დაუხმარებლად, წარმოადგენს საკმაოდ დამაკმაყოფილებელ ნიადაგს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოღვაწეობისათვის. თავადმა ევრონცოვმა გააართა ეს გამოფენა რამოდენიმე თვით ადრე, ვინემ გაიხსნებოდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, თითქოს სურდა მისთვის ხელისგულზე ეჩვენებინა მხარის მთელი სიმდიდრე. მის „ობზორში“ თითქოს ისმის კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისადმი შიშობილი სიტყვები: „ყველაფერს ამას მე მოგცემ შენ, იშრომე და განავითარე“. ეხლა გავსინჯოთ ეს შრომა და ეს განვითარება.

ჩვენი მხარის სასოფლო-სამეურნეო ყველა დარგები გამოუკლისად, ეხლაც ისეთსავე პრიმიტიულ მდგომარეობაშია, როგორშიაც ის დასტოვა ჩვენმა წინაპარმა ნოემ. ადგილობრივი სამუშაო იარაღების, როგორც აღნიშნულია „Отчет Главного Управления Наместника Кавказского за 1862—1872 гг.“ - ში (გვ. 244), დამახასიათებელია მოუხეშაობა და არადამაკმაყოფილებელი კონსტრუქცია, და მოითხოვს დიდძალ მუშა-ხელს და გამწევ ძალას. იმავე „Отчет“-ის სიტყვით, კულტურის განვითარების ღონისძიებათა, და აგრეთვე სამუშაო იარაღების დამახასიათებელია: „სრული ჩამორჩენა“. მთავრობა აუცილებელ საჭიროდ სთვლის წარმოების გაუმჯობესებული ღონისძიებების შემოღებას, მას აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია გამოყენებულ იქნას გაუმჯობესებული სამუშაო იარაღები და გავრცელდეს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკული და თეორეტიული შკოლები. ამ რეფორმების გარეშე, რომელიც უნდა გატარებული იქნას ფართე

საზომით, მხარის სასოფლო მეურნეობას არა თუ არ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს მეზობელ ოლქების წარმოებას, რომელსაც ნაწარმოები გაცილებით იაფი უჯდებათ, არამედ ის იძულებული იქნება უნაყოფოდ გაფლანგოს მხარის საუკეთესო საწარმოო ძალები.

რა გააკეთა ჩვენმა საზოგადოებამ იმისათვის, რომ მხარი დაეჭირა და განეხორციელებია მთავრობის მიერ დასახული ამოცანები ამ საკითხში? ვთქვათ მას არ გააჩნდა საშვალეები ფართე საზომით გარდაექმნა კულტურის. ღონისძიებანი, მაგრამ არავინ არ დაეჭვდება, რომ თუ კი რაციონალურად იქნებოდა გამოყენებული ასი ათასი მანეთები, რაც დაიხარჯა, ან შუამდგომლობით იქნა გამოტანილი საზოგადოების მიერ, თავისუფლად შეიძლებოდა ორი-სამი პრაქტიკული ფერმის გახსნა, ქუთაისის, ტფილისის და ერევნის გუბერნიებში. რამდენად ადვილად შეეძლო მას გაეკეთებია ეს, დავინახეთ „ОТЧЕТ“-ის შემდეგი სიტყვებიდან:

„მხარეში ახალ კულტურების შემოღების ცდების საწარმოებლად და გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების შესაძენათ, რეაგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთა ახალგაზღობისათვის პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო ცოდნის მისაცემათ, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მიეცა აუცილებელი თანხები, პრაქტიკული „ხეტორის“ მოსაწყობათ, რისთვისაც არჩეული იქნა კერძო მამული „ლოჩინო“, ტფილისიდან 15 ვერსის მოშორებით“.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ არჩია საქმე გადაეცა კერძო პირისათვის.

„ОТЧЕТ“-ში ნათქვამია: „ხელშეკრულების ძალით, რომელიც დადებულ იქნა საზოგადოების მიერ, ათი წლის ვადით, უცხოელი ფივეგი ვალდებული იყო: ესწავლებია მოწაფეებისათვის მებაღეობა და სხვადასხვა დარგი მეურნეობისა; ჰქონებოდა ხეებისა და ხეხილების სანერგეები. ამის შესრულებისათვის მას ეძლეოდა მეფის ნაცვლის განკარგულებით, გადადებულ თანხებიდან ხუთ-ხუთი ათასი მან. წელიწადში, და ამას გარდა მიეცა მას იმავე წყაროდან 20.000 მან.“

ამ რიგათ, საზოგადოების მონაწილეობა ამ პირველ ხარისხიან საკითხში განისაზღვრებოდა მხოლოდ ხაზინასა და უფ. ფივეგს შორის შუამავლობით. დარწმუნდა რა ამნაირი ზომების უნაყოფობაში, მთავრობამ საჭიროდ დაბნახა შეეძინა „ლოჩინო“ ხაზინის სრულ საკუთრებათ და მოეწყო იმ მამულში, ჩვენს მხარეში პირველი, სამიწადმოქმედო სკოლა, რომელიც გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსებიდან ოცდაერთი წლის შემდეგ.†

რაც შეეხება მხარეში გაუმჯობესებული სამუშაო იარაღების შემოღებას, აი ყველაფერი ის. რაც გააკეთა ამ მხრივ ჩვენმა საზოგადოებამ, — განვაგრძობთ ლაპარაკს „Отчет“ - ის სიტყვებით:

„ასეთ (ზემოთ აწერილ) მდგომარეობაში და მიწის დამუშავების ასეთ ღონისძიებათა ხმარების დროს, მხარეში გაუმჯობესებული სამიწადმოქმედო მანქანებისა და იარაღების შემოტანა უნდა ჩაითვალოს დიდ და თსასარგებლო და აუცილებელ საჭიროდ. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 1865 წელს ტფილისში მოწვეული იყო, სამიწადმოქმედო იარაღების დეპოს გასახსნელად, ინგლისური ფირმის რანსომისა და სიმსის მექანიკური ქარხნის აგენტი, რომელსაც ამ მიზნით მთავრობამ მისცა ფულს. მაგრამ იმ აგენტმა, სამწუხაროდ, ვერ შესძლო წარმატებით წაეყვანა ეს საქმე“.

ამავე დროს საზოგადოებას, რომელსაც ეხმარებოდა მთავრობა, და ჰქონდა ხანგრძლივი არსებობის გარანტია, ჰქონდა სრული შესაძლებლობა, თავისი მხრით ყოველგვარი მსხვერპლის გაუღებლად, გაეხსნა საუკეთესო საზღვარგარეთელ ფაბრიკანტების იარაღების დეპო. ევროპაში და ამერიკაში არ მოიპოვება ისეთი მექანიკური დაწესებულება, რომელიც დიდის ხალისით არ დათანხმებულიყო, რომ საზოგადოებისათვის გამოეგზავნა გასაყიდათ რამდენიმე ეკზეზპლიარი თავისი მანქანისა და ჰქონოდა აქ თავის ნაწარმოებთა მუდმივი საწყობი. ეს დაწესებულებანი სანთლით ხელში ეძებენ ყოველგან თავის აგენტებს და უხსნიან მათ მნიშვნელოვან კრედიტებს. ნუ თუ, რასაც ისინი აკეთებენ პირველ შეხვედრილ ვაჭრისთვის, არ გააკეთებდენ ჯაპატო საზოგადოებისათვის? ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ წერილობითი კავშირის გაბმა და კეთილსაიმედობის ოფიციალური დოკუმენტის წარდგენა.

წინა დროებში გაუმჯობესებული იარაღები მხარეში ვრცელდებოდა სხვა სისტემით. „Обзор действия Наместника Кавказского для развития сельскаго хозяйства за 1845—1850 гг.“ - ში ჩვენ ვგებულობთ, რომ ამ პერიოდში იწერდენ სახაზინო ხარჯზე ოდესიდან და საზღვარგარეთიდან მოხერხებულ და უბრალო მანქანებს, აბრეშუმის სახვევათ, ბამბის საწმენდათ, ინგლისურ დაზგებს და სხვა. და ეგზავნებოდათ ადგილობრივ მწარმოებლებს საცდელად და საქმისათვის გამოსაყენებლად...

ყველაფერი ზემოთ თქმული შეეხება ჩვენი მეურნეობის მუდმივ, ძირითად საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. მაგრამ გვქონდა ჩვენ განსაკუთრებული საჭიროებანი და მოთხოვნილებებიც. კავკ. მეფის ნაცვლის მთავ. სამ. „Отчет“-ი დაწერილებით ჩერდება ორ უდიდეს

დაბრკოლებაზე, რამაც დააზიანა ჩვენი მხარის წარმოება. მეაბრეშუმეობა თითქმის მთლად დაიღუპა, აბრეშუმის თესლის უფარგისობის გამო და ის საესებით შეწყდებოდა, რომ თვით მთავრობას არ გამოეწერა ახალი თესლი, რომელიც მას უჯდებოდა ფუთი ორი-სამი ათასი მანეთი და რომელსაც ის არიგებდა უფასოდ. ზერები გაფუჭდა და დაიღუპა ავადმყოფობის გამო, რომელიც ოცი წელიწადი გრძელდებოდა ჩვენს მხარეში. მესამე დარგი ჩვენი მეურნეობის, — მარენის წარმოება, — უკვე სახსებით იღუპება. რა გააკეთა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ რათა შეენელებია ეს უბედურებები და აეცილებია მათი დამღუპველი შედეგები? უღემდე ამ საზოგადოების სწავლული მეტყევეები, ქიმიკოსები და ტექნიკოსები უნდებიან საქმის „შესწავლას“ და „აწარმოებენ ცდებს“. მზამზარეული ცოდნა და უშუალო დახმარება არსად სჩანს. სწავლულმა აგრანომებმა და სხვ. როგორც ირკვევა, მხოლოდ ეხლა გაიგეს ყველაფერი ეს და მხოლოდ ეხლა იწყებენ საშვალებათა გამოიყენებას იმ ბოროტების წინააღმდეგ, რომელიც ოცი წელიწადია ანადგურებს მხარის წარმოებას. იტყვიან — მეცნიერებას ჯერ არ აღმოუჩენია საშუალებანი ამ ბოროტებათა წინააღმდეგ. მართალია, მაგრამ ის ვერც ვერასოდეს აღმოაჩენს ფილოსოფიურ ქვევს, რომელთაც ეძებენ ჩვენი საზოგადოების სწავლული მდივნები. მაგრამ მეცნიერებამ აღმოაჩინა მრავალი პრაქტიკული საშუალებები ბოროტების თავიდან მოსაშორებლათ, რომელთაც წარმატებით იყენებენ არა მარტო სწავლულთა კაბინეტებში, არამედ დაზიანებულ ზერების და აბრეშუმის ჭიის დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად. მთელი სამხრეთი საფრანგეთი გადარჩა განადგურებას ამ საშუალებათა მეოხებით. ჩვენში კი არაფერ ამის მზგავსს არ ვხედავთ.

მაგრამ დავუშვათ თუნდაც, რომ ვერავინ ვაბედა ჩვენში გამოყენებია ცდები პასტერის, პუშეს და ამხანაგების... დავუშვათ, რომ ამ ბოროტების არც დაძლევა და არც შემსუბუქება არ შეუძლია. დღევანდელ მდგომარეობაში მყოფ მეცნიერებას. ნუ დაავიწყებთ დაობას ყველა ამის შესახებ და გადავიდეთ საკითხზე, რომელიც უფრო უბრალოა და დღესავით ნათელი.

შვიდი წლის წინად დღემა, გრებემ და ლიბერმანმა აღმოაჩინეს მარენის საღებავის ხელოვნური სუროგატი — ალზარინი. ამ აღმოჩენამ საესებით გაანადგურა ჩვენში მარენის წარმოება. მთელ ევროპაში მარენის წარმოებას მისდევნენ მხოლოდ ორ-სამ ოლქში. ვნახოთ ეხლა, რა გააკეთეს საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებმა იმისათვის, რომ ეხსნათ განადგურებისაგან ვოკლიუზის დეპარ-

ტამენტი, რომელიც მისდევდა მარენის წარმოებას, და შევადაროთ მას, რაც გააკეთა ჩვენმა კავკასიის საზოგადოებამ რომ შეემსუბუქება ნუხის და კუბის მარენის მწარმოებლების მდგომარეობა.

როგორც კი აღმოაჩინეს ქიმიკოსებმა ალზარინი, საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებმა შექმნეს ყიჟინა ყველა თავის გამოცემებში და ყველა ყრილობებზე, რომ მარენის წარმოება საჭიროა თანდათანობით შემცირდეს, ისე რომ რამდენიმე წლის შემდეგ ის სრულიად შეიცვალოს რაიმე სხვით. ვინაიდან ამ საზოგადოებათა წევრნი ყოველთვის იჩენდენ პრაქტიკულ ცოდნას, და ვინაიდან ადგილობრივი მწარმოებლები მათ საესებით ენდობიან, — მარენის კრიზისი ჩაიარა სრულიად უმტკივნეულოდ, და საფრანგეთში არავის აზრადაც არ მოსვლია შუამდგომლობა აღეძრა, რათა აეკრძალათ ალზარინის შეტანა, ან ამ პროდუქტისათვის დაედოთ დიდი ბაჟი. მიწები, რომელზედაც მოჰყავდათ მარენი, გამოყენებულ იქნა სხვა საჭიროებისათვის და ავინიონში ამ ქამად აშენებენ ალზარინის ქარხნებს.

ჩვენში კი? ჩვენმა სწავლულმა ქიმიკოსებმა თითქმის გუშინ გაიგეს ალზარინის აღმოჩენის ამბავი და მისი კავშირი ჩვენი მხარის მარენის წარმოებასა და ამ აღმოჩენას შორის. ჩვენს საზოგადოებას ერთი სიტყვითაც არ გაუფრთხილებია ჩვენი მწარმოებლები თუ რა ბედი ემუქრებოდათ. იმ დროს როცა გაცხარებით მისდევდენ მარენის წარმოებას, უცებ დაეცა მისი ფასი 12 მანეთიდან 5 და 3 მან. და 25 კაპეკამდე. ნუ თუ არ ჰქონდა ჩვენს საზოგადოებას საშვალეობა თავიდან აეცილებია ეს უბედურება, ნუ თუ ამ უმწეო მდგომარეობაში ბრალი შიუძღვის მეცნიერებას? რას აკეთებდა და რას ფიქრობდა ქიმიის მაგისტრი, რომელიც საზოგადოების არჩევით და შუამდგომლობით იღებდა 2,400 მან. „სასარგებლო დაწესებულებებისათვის“ გადადებულ თანხებიდან, და რომელიც „სამეცნიერო მიზნით“ ხაზინის ხარჯზე მოგზაურობდა სატანტო ქალაქებში და ევროპაში? თუ „Записки Кавк. Общ. Сельскаго Хозяйства“-ს რედაქტორი და თანამშრომლები არ კითხულობენ საზღვარგარეთელ პოპულარულ სასოფლო-სამეურნეო გამოცემებს, ნუ თუ ჩვენი ქიმიკოსი არ იყო ვალდებული დროულად მიექცია მთავრობის და მწარმოებლების ყურადღება რათა დროულად შეემცირებიათ ჩვენი მარენის წარმოება? აი რატომ გვიხდება დღეს ავირჩიოთ ორ ბოროტებაში ერთ-ერთი: ან ვუცქიროთ როგორ ნადგურდებიან — დიდი და პატარა — კასპიის ზღვის სანაპიროების ოლქების მცხოვრებლები, ან დაშვებულ იქნას რამდენიმე წლით უმაღლესი ბაჟი ალზარინზე...

ეს თვალსაჩინო მაგალითი, რომლის უარყოფა შეუძლებელია, ამტკიცებს, რომ სასოფლო მეურნეობის სხვა მრავალ დარგშიაც ჩვენს საზოგადოებას შეეძლო გაეკეთებია გაცილებით იმაზე მეტი, რაც გააკეთა. ასეთი მაგალითები სხვაც ბევრი მოინახება, მაგრამ საქმის სიცხადისათვის ესეც დამაკმაყოფილებელია.

რაში გამოიხატა, შემეკითხებიან, ჩვენი საზოგადოების ოცდახუთი წლის მოღვაწეობა? სასოფლო მეურნეობის პრაქტიკულ გაუმჯობესებაში, წესიერ მეურნეთა თეორეტიულ მომზადებაში, კრიზისების გაფრთხილების საქმეში და სხვ., — არა სჩანს ამ მოღვაწეობის კვალი. იქნებ ამ მოღვაწეობის კვალი ჩვენ აღმოვაჩინოთ მხარეში ჯანსაღ სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებაში? ამ მიზნით საზოგადოება ხარჯავს საგრძნობ სახაზინო თანხებს თავის გამოცემებზე. ავიღოთ ხელში ეს გამოცემები:

ჩვენ ხელთ გვაქვს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების „Записки“ ხუთი უკანასკნელი წლის და ქართული გამოცემები იმავე საზოგადოების, წინანდელი — „სასოფლო გაზეთი“ და ეხლანდელი — „გუთნის დედა“⁸⁹, მაგრამ რა გამოცემებია ისინი? საზოგადოების ოქმები, „კავკაზიდან“ ამონაწერი მთაწარის განკარგულებები, ამონაწერები სხვათა სასოფლო-სამეურნეო გამოცემებიდან, სტატიები როგორც არის: „შეხედულებანი რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის შესახებ“, ან „მეაბრეშუმეობის კომიტეტის ოცდახუთი წლის თავი მოსკოვში“ („Моск. вед.“ — დან) და ძნელი მოსაწილებელი ტრაქტატები, როგორც არის: „Опыт физическаго очерка восточного склона горы Казбек“ — აი, ეს არის არსებითად მათი აღფა და ომევა. სპეციალისტები იმათ არ წაიკითხავენ, ვინაიდან მთელი გამოცემა წარმოადგენს კომპილაციას, ამონაწერებს და უმნიშვნელო დაკვირვებებს, ხალხი კი ვერაფერს გაიგებს ამ „ბრძნული“ ტონით დაწერილ სტატიებიდან. რაც შეეხება ქართულ „პოპულარულ“ გამოცემებს, — „სასოფლო გაზეთს“ და „გუთნის-დედას“ — იმათზე ლაპარაკი კი არა ღირს. დასახასიათებლათ მინც ვიტყვი, რომ ერთ ამ ორგანოთაგანში გლახებს ურჩევნ ქათმები კვებონ შაქრით და რძით, მეორეში იმავე გლახებს აცნობენ გაზეთის რედაქტორის პირად ანგარიშებს „დროების“ თანამშრომლებთან, და მეტოქე გამომცემლობის რედაქტორთან პოლემიკას. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ გამოცემებში ტყუილად მოძებნის კაცი ჯანსაღ აზრს სასოფლო მეურნეობის შესახებ.

სამაგიეროდ საზოგადოების კვალი სჩანს ყოველნაირ გამოფენებში მონაწილეობის საქმეში. გამოფენებში მონაწილეობის მიღება

არის ჩვენი საზოგადოების სუსტი მხარე, და ამ სისუსტისათვის ის მართლაც არ ზოგავს შრომას. კავკ. მეფის ნაცვლის მთ. მმართ. „ОУЧЕТ“-იდან ჩვენ ვხედავთ, რომ მას დაუხარჯავს შემდეგ გამოფენებში მონაწილეობისათვის: სრულიად რუსეთის სამანუფაქტუროზე (1870 წ. პეტერბურგში) — 5.000 მან, რუსულ ეტნოგრაფიულზე — 1800 მან. მოსკოვის პოლიტექნიკურზე (1872) — 26.000 მან; პარიზის მსოფლიო გამოფენაზე (1867) — 11.500 მან. რომ არ ვიანგარიშოთ ვენის გამოფენა, სწავლული აგრონომების, მდივნების და სხვა მივლინების ხარჯები და აგრეთვე მრავალი გამოფენები მებაღეობის, მესაქონლეობის, მეყვავილეობის და სხვა.

ეხლა უნდა ვიკითხოვდ; გვქონდა თუ არა ჩვენ რაიმე გამოსაფენი? ამ სტრიქონების დამწერი გულის ტკივილით უყურებდა, 1873 წ. ვენის მსოფლიო გამოფენაზე, რომ ჩვენი საზოგადოება სამრეწველო გამოფენად სთვლის ყოველგვარ არქეოლოგიურ და ეტნოგრაფიულ კურონოების დაგროვებას⁹⁰. იმ ათი ათასი მანეთებით, რომელიც დაიხარჯა ამ ნამსხვრევებზე, სხვანაირ მოქმედების პირობებში, შეიძლება ჩვენში არა ერთი და ორი დაწესებულების ფეხზე დაყენება. ამასთანავე „კვკასიის განყოფილება“ არა თუ ალყირის მეზობლობას ვერ უძლებდა, არამედ ის ვერ ედრებოდა თითქმის ვერც ქვიან არაბეთს.

ჩვენი საზოგადოების მოღვაწეობის კვალი კიდევ სჩანს მხოლოდ უფ. კუჩინბახის მეურნეობაზე, რომელმაც მიიღო 25.000 მან. სესხი, რამაც სარგებლობა მოუტანა მხოლოდ კუჩინბახს, ისე რომ არავითარი გავლენა მას არ ჰქონია ადგლობრივ სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებაზე, და საზოგადოების მოღვაწეობის კვალი ამჩნევია აგრეთვე ალექსანდერგილფის კოლონისტების მეურნეობას, რომელთაც, საიდუმლოდ მეზობლებისაგან, მოაწყვეს ყველის შემამზადებელი არტელი.

მაგრამ რა საჭიროა ვეძიოთ ჩვენი საზოგადოების მოღვაწეობის კვალი: მან თვით გამოააშკარავა, რომ ამდენხანს არაფერს არ აკეთებდა. საკმაოა მხოლოდ წავიკითხოთ მისი კომისიის მიერ გამომუშავებული წიგნი და მასში დასმული საკითხები. ყველა ეს საკითხები ელემენტარულია და უნდა დასმულიყო და გადაჭრილიყო სწორედ ოცდახუთი წლის წინად. საზოგადოება, რომელიც აძლევს თავის თავს და სხვებს ასეთ კითხვებს თავისი არსებობის მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ამ ფაქტით აღიარებს, რომ დღემდე მას არაფერი გაუკეთებია.

ასეთია ჩვენი საზოგადოების ოცდახუთი წლის მოღვაწეობის პრაქტიკული შედეგები.

სამიწადმოქმედო არტელები

ამ ბოლო დროს ჩვენს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება საკითხი გლეხურ მეურნეობის არტელურ სისტემაზე მოწყობის შესახებ. „Земледельческая газета“, „Труды Импер. В. Э. О.“, „Сельское хоз.“ და „Лесовод“-ი არა ერთხელ შეხებიან ამ საკითხს. კიდევ მეტი — ამის შესახებ ალაპარაკდნენ წმინდა ლიტერატურულ-პოლიტიკური გამოცემანი, როგორც მაგალითად: „Отечеств. Записки“, „Газета неделя“, „Молва“ და სხვა.

უთუოდ, დასახელებული საკითხი შეიცავს ისეთ რაღაცას, რაც მოითხოვს მის სერიოზულ განხილვას, და ეს რაღაც მდგომარეობს იმაში, რომ მიწათმოქმედების არტელურ ნიადაგზე მოწყობაში ენახულობთ იმ საშუალებებს, რომელიც ერთის მხრით გამოასწორებს დღევანდელ თემურ მეურნეობის ცუდ მხარეებს და, მეორეს მხრით, შეანელებს იმ მიზეზთა ზეგავლენას, რომელიც აფერხებს გლეხური სასოფლო მეურნეობის წარმატებას და განვითარებას.

ჩვენ არ შევუდგებით საკითხის ყოველი წვრილმანი მხარის განხილვას, განსაკუთრებით მის კავშირს თემურ წყობილებასთან — არა მარტო იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია საგაზეთო წერილში, არამედ იმიტომაც, რომ თემური მიწათმფლობელობა არ შეადგენს ჩვენი მხარის გლეხური ცხოვრების დამახასიათებელ თვისებას, და ამიტომ ის ჩვენ ნაკლებათ გვეხება. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება არტელურ სამიწათმოქმედო შრომის მოწყობაზე საერთოდ და იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ღონისძიებას გლეხურ მეურნეობის საქმეში.

ჩვენს შემდგომ საუბარს საფუძვლად ექნება ის შესანიშნავი პროექტი — მიწათმოქმედების საარტელო ნიადაგზე მოწყობის შესახებ — რომელიც ერთი წლის წინად დაიბეჭდა „Землед. газета“-ში და რომელიც ისევ დღის სინათლეზე გამოიტანა უფ. ა. ნიკოლსკიმ „Труды И. В. Э. О.“-ში. აი ამ პროექტის შინაარსი:

მთელი სათემო მიწა, როგორც სათიბი ისე სახნავი, — საფუძვრების, ბოსტნების და ბაღების გამოკლებით ერთი ან დედა ყოველგვარი სამიწადმოქმედო სამუშაო წარმოებს არტელური

წესით, ხოლო უკვე დამზადებულ პროდუქტს — მარცვლეულს, თივას და სხვ. — არტელის წევრები იყოფენ ერთმანეთს შორის. კალო კარაპანი, საპურე ბელლები და სასწორი ეწყობა საერთო. თვითთული არტელის წევრის ვალდებულება სათემო მიწის მიმართ თითქმის იგივეა, რაც ბატონყმობის დროს დაკისრებული ჰქონდათ გლეხებს მემამულეთა მიწების მიმართ. ყოველგვარ მუშაობის მსვლელობას და ანგარიშ-წარმოებას განაგებს არჩეული პირი, ხოლო მნიშვნელოვანი საქმეები ირჩევა მთელი არტელის მიერ.

საერთოდ რომ ვთქვათ, უმნიშვნელოვანესი მხარე ყოველი არტელისა მდგომარეობს იმაში, რომ ის საშუალებას აძლევს ადამიანს ისარგებლოს კოლექტიური შრომის მთელი მომგებიანობით და ამავე დროს უტოვებს მას სრულ თავისუფლებას, რომელიც კი შესაძლებელია ადამიანთა საზოგადოების წევრისათვის... „არტელურ ნიადაგზე მოწყობილ სამიწათმოქმედო შრომის დროს, ამბობს უფ. ნიკოლსკი, გლეხები იქნებიან გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებში გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მხრით, თუმცა, ასეთი გაწყობილება, რა თქმა უნდა, არ მოგვცემს სწრაფ შედეგებს ამ მხრივ. მატერიალური მოთხოვნილებანი-კი, რომლებიც გაიზრდებიან მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობასთან შეფარდებით, უთუოდ იქნებიან პირდაპირ დამოკიდებულებაში იმ ეკონომიურ შედეგისადმი, რომელსაც მოგვცემს არტელური მიწათმოქმედება“.

თუ ახლო განვიხილავთ სამიწათმოქმედო არტელის ყველა ხელსაყრელ მხარეს, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ არტელურ მეურნეობის დროს სრულებით არ ექნება ადგილი სხვადასხვა ადგილას მდებარე დაქუცმაცებულ მიწის მფლობელობას, მთელი მათი საზიანო შედეგებით; არ ექნება ადგილი აგრეთვე მიწისადმი დაუდევარ მოპყრობას, რადგან დაუდევრობა თვითთულ არტელის წევრის მიერ ვნებას მოუტანს მთელ კორპორაციას, და ამიტომ არტელი იძულებული იქნება თვალყური ადევნოს თავის წევრთა წესიერ მოქმედებას. ინტერესთა სოლიდარობის შეგნება და აქედან გამომდინარე მკაცრი საურთიერთო კონტროლი წარმოადგენს სრულიად საკმაო ზღუდეს, რომელიც წინააღმდეგა ამ ინტერესებისადმი დაუდევარ მოპყრობას. გლეხურ ყოფაცხოვრებების ისეთ ჭირს, როგორიც არის „ქვეყნის მჭამლები“ და კულაკები, შრომისა და გასამრჯელოს თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებულ არტელში არავითარი ძალა არ ექნება, ერთის მხრით, იმიტომ რომ კულაკებს მათი მთავარი შემოსავალი წყარო — ლარობთა „ნადელები“ — არტელურ მეურნეობის დროს აღარ ჩაუვარდებათ

ხელში; ხოლო მეორეს მხრივ, წესიერათ მოწყობილი არტელი უსათუოდ შეიცავს საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების დასაწყისს უბედურ შემთხვევების დროს, და სწორეთ ასეთ უბედურ შემთხვევებში იჭერს კულაკი და „ქვეყნის მჭამელი“ თევზებს. შემდეგ, ურთიერთთავდებობა (круговая порука) „ეს უზნეო და უილაჯო ხლართი თემისა“, მხოლოდ არტელში ღებულობს ზნეობრივ რეგულიატორის ხასიათს, მხოლოდ იქ ხდება ზნეობრივ სრულყოფის ფაქტორად, რადგან ის აქ არ წარმოადგენს ვალდებულებას ნებაყოფლობითი შეთანხმების გარეშე, როგორც ეს ხდება თემში. პირიქით ურთიერთ თავდებობა არტელში არსებობს, როგორც შეგნებული ნებაყოფლობითი შეთანხმებაზე დამყარებული, და ის უზშობს არტელის კარებს არამზადებს და გარყვნილ ხალხს. ან და აღკვეთს მათ მისწრაფებას უწყესო მოქმედებისადმი. ამას გარდა ურთიერთ თავდებობას აქვს არტელში ერთი უაღრესად დიდი მნიშვნელობა: ის შეენაცვლება არტელში კაპიტალს, ამ უძლიერესს ეკონომიურ მამოძრავებელს. ის თავს უყრის და აერთიანებს წვრილ, დაცალცალკებულ და ამის გამო სუსტ ეკონომიურ ერთეულებს, როგორსაც წარმოადგენენ გლეხური მეურნეობანი, ის ამით ქმნის მათგან, უფ. ნიკოლსკის გამოთქმით, „სერიოზულ ეკონომიურ ძალას რის მეოხებით არტელს ადვილად შეუძლია იშოვნოს კრედიტი ისეთი რაოდენობით, რომელიც მიუღწეველია თვითეულ ცალკე მეურნეობისათვის. დასასრულ, თავისთავად ცხადია, რომ ურთიერთ თავდებობას, დამყარებულს თავისუფალ შეთანხმების სრულიად რაციონალურ პრინციპზე, აქვს გავლენა გლეხური თვითმმართველობის მოვლენებზე, რადგანაც ის კურნავს გლეხური ყოფაცხოვრების იმ საერთო სნეულებებს, რომელიც იწვევს ამავე გლეხური თვითმმართველობის უძლურებასაც.

სამიწადმოქმედო არტელს აქვს კიდევ ისეთი ხელსაყრელი მხარე, რომელიც მიუწვდომელია როგორც არსებულ თემური მფლობელობის, ისე, მით უმეტეს, მიწის წვრილ კერძო მფლობელობის პირობებში. სხვადასხვა გაუმჯობესებანი, რომელიც ასე ესაჭიროება დღევანდელ მეურნეობას, ხელმისაწვდომია მხოლოდ მსხვილ მიწათმფლობელებისათვის და პირდაპირ წარმოუდგენელია წვრილ მეურნეობებში; არტელებში კი ეს გაუმჯობესებანი, — გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების გამოყენება, გაუმჯობესებული მიწის გაპოხიერება და სხვ. — შესაძლებელია, რადგანაც მასში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი (პირუტყვს გარდა) შესაძლებელია, და კიდევაც უნდა იქნეს, საერთო, მთელი კორპორაციის საერთო საშვალებით შეჭენილი.

ყოველ კერძო მეურნეობაში, მეურნეობის შედეგები დამოკიდებულია მუშა-ხელზე, რომლის ფასი მუდმივ რყევას განიცდის. არტელში კი შრომის ფასი მუდამ ერთნაირია. დაბოლოს, არტელი შესამჩნევად შეანელებს იმ ვნებას, რომელიც მოაქვს გლეხურ მეურნეობისათვის ოჯახის გაყოფას, რომლის რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება; ამ უკანასკნელი მოვლენის მიზეზები, როგორც ვიცით, ერთის მხრით, არის თვით გლეხის ბუნებრივი ლტოლვა გაინთავისუფლოს თავი იმ სალტეებიდან, რომელსაც ახვევს მას ოჯახი, სადაც მთავარი როლი საყოველღეო ზნეობისა და ეკონომიურ ცხოვრების სფეროში ეკუთვნის მხოლოდ ერთს, თითქმის ყოველთვის დესპოტიურ უფროსს, ოჯახის „თავს“, ხოლო მეორე მხრით — სიღარიბე. არტელი კი ხდის ყველა მის წევრს თანასწორუფლებიანათ, მიუხედავად იმისა თანასწორი ძალა და საშვალეობა აქვთ მათ თუ არა, და ის ხელსაყრელი პირობები, რომელსაც არტელი უქმნის მეურნეობას, უთუოდ გაზრდის წარმოების შემოსავლიანობას, და მაშასადამე, აამაღლებს მატერიალურ კეთილდღეობას იმ ოჯახებისას, რომლებიც შედიან არტელში.

თუ შევჯამებთ ყოველივე იმას, რაც ვთქვით სამიწათმოქმედო არტელების შესახებ, უთუოდ უნდა ვაღიაროთ, რომ სრულიად მართალია უფ. ნიკოლსკი, როცა ის არტელურ მიწათმოქმედების მთელ სარგებლიანობას შემდეგ ნაირათ აყალიბებს:

ა) სრული თანასწორი სარგებლობა მიწით;

ბ) სრულიად უზრუნველყოფილია: სარგებლობა იმ შრომისა და კაპიტალის შედეგებით, რომელიც მოხმარდა მიწის გაუმჯობესებას, და აგრეთვე სამიწადმოქმედო სამუშაოების თავის დროზე შესრულება!

გ) დროის მოგება კოლექტიური შრომის მეოხებით და მიწის ნაკრების კომპაქტიურობა; და

დ) უზრუნველყოფა განადგურებისაგან ავანტიურების შემთხვევაში ან და სხვა უბედურ შემთხვევებისაგან მუშაობის დროს; ეს განსაკუთრებით მარტოხელა-მეურნეებისათვის. საერთოდ უზრუნველყოფა ამბოჯარობის შედეგებისაგან, რომელიც ყოველ წლობით ძლიერდება გლეხთა პირადი დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ ლტოლვის გამო.

აქ აუცილებლობას არ წარმოადგენს გაეხსენოთ რუსი ადამიანის მიდრეკილება შრომის არტელურ ფორმისაკენ, კოოპერატიულ მოღვაწეობისაკენ. ყოველგვარი არტელური ორგანიზაციები, რომლებშიაც ისახებოდა გლეხთა სხვადასხვაგვარი ეკონომიური მოღვაწეობა, თითქმის ყოველ დროს და ყოველგან რუსეთში წარმატ-

ბით ვრთარდებოდა; საკმარისია გავიხსენოთ სწრაფი განვითარება ყველის დამამზადებელ არტელების, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობების, სამკედლო ამხანაგობების ტვერის გუბერნიაში და სხვ. — რათა დავრწმუნდეთ არტელურ მეურნეობის წარმართებით განვითარების უეჭველობაში. მხოლოდ საჭიროა ნათლად და ავტორიტეტულად გავუარკვიოთ გლეხებს ასეთი მეურნეობის მთელი სარგებლიანობა.

1876 წ.

გლეხთა ქონების გაყიდვა

„ონაიპ“ - ის №226 - ში ჩვენ მოვათავსეთ წერილი რედაქტორის მიმართ, ⁹¹ რომელიც ეკუთვნოდა ზაქათაის მომრიგებელ განყოფილების სამოსამართლო ბოქაულს უფ. ხოჯაევს. ჩვენმა მკითხველებმა კარგათ იციან, რომ ჩვენ არ გვაქვს ჩვეულებათ პოლემიკა ვაწარმოოთ იმათთან, ვინც სადაოთ ღდის „ონაიპ“ - ის ცნობებს. ჩვენ ცვდილობთ საშვალემა მიეცეთ ორივე მხარეს გამოსთქვან თავიანთი აზრები რაც შეიძლება სრულათ, და არ ვსთვლით ჩვენ მოვალეობათ დავსცინოთ ცნობის უარყოფელთ და აუხირდეთ მათ წერილებს. უმრავლეს შემთხვევაში ჩვენ თვით მკითხველებს ვანდობთ გასაჯონ, თუ რომელ მხარეზეა ქეშმარიტება. მაგრამ, რაც შეეხება ხოჯაევს, ჩვენ უნდა ჩავერიოთ ამ დავაში, ვინაიდან ამ დავის საგანი ფრიად საინტერესოა და მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის. თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ არ აუხირდებით უფ. ხოჯაევის წერილს და არ დაუწყებთ მას დაცინვას. ჩვენთვის არავითარი გარჩევა არა აქვს როგორც უფ. ხოჯაევის, ისე უფ. ბოგუსლავსკის პიროვნებას. ამ შემთხვევაში არავითარ გარჩევას არ ვაძლევთ აგრეთვე იმ ჩვენს ზაქათაელ კორესპონდენტის პიროვნებას, რომელმაც შეეხო ამ საკითხს. თვით საქმე, როგორც ამას მკითხველები ქვემოთ დაინახავენ, ღიდადალმატება ყოველგვარ პირად ინტერესებს.

საქმე შემდეგში მდგომარეობს. როგორც უკვე ცნობილია, ამიერკავკასიის ბევრ ოლქებში და მაზრებში გლეხობა სრულ ბატონყმურ მდგომარეობაში ჰყავთ მევახშეებს. როცა გლეხს ესაჭიროება 10-20 მანეთი საოჯახო საჭიროებისა ან „სანადელო“ ბეგარისათვის, ანადა სხვა გადასახადებისათვის, მევახშე აძლევს მას საჭირო თანხას იმ პირობით, რომ გლეხმა პროცენტათ უხადოს ყოველ წლიურათ, ნატურით, თვითეთულ 10 მანეთზე ორ-ორი გუდა ღვინო (ე. ი. რასაც ერთი ცხენი ზიდავს ერთ წალებზე), ან და ზღაპრული რაოდენობა ხორბლისა. ეს ნამთავნი ფულათ რომ გამოვხატოთ 100 პროცენტზე მეტი გამოვა. თვითონ მთავნი კი თითქმის უკუნითი უკუნიისამდერჩება გადაუხდელი. დროთა განმავლობაში გლეხი იმდენათ ებმება ამ გადასახადთა უღელში, რომ მთელი მისი მოსავალი მიღის მევახ-

შეთა დასაკმაყოფილებლათ. გადაუხდელი ვალი კი იზრდება ყოველწლიურად და ამ ვზით, გაანბოკარებულ გლენტა გვერდით, იქნება ორიგინალური მემანულები მევახშეებიდან, რომლებიც ცხოვრობენ გლენტის შრომით. ამრიგათ, მევახშისათვის საკმაოა დაასესხოს 1000-1200 მანეთამდე იმისათვის, რომ მიიღოს ნატურით შემოსავალი, რომელიც აღემატება ყოველ შეძლებულ მემამულის შემოსავალს.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ბეგარისა და გადასახადების გადახდის აუცილებლობა, მაშინ, როცა მთელი მოსავალი მევახშის დასაკმაყოფილებლად მიდიოდა, აიძულებდა გლენტობას ეცხოვრა მხოლოდ ვალებით, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გადაეხადა და აი, მევახშეები შეუდგენ თავიანთ ვალების განაღდებას. დაიწყო საჯარო ვაჭრობით გლენტა მიწების გაყიდვა. ხოლო შემდეგ, როცა მიწაც აღარ აღმოაჩნდათ, დაიწყეს მათი ქონების გაყიდვა.

ტყვილათ ცდილობს უფ. ხოჯაევი დაამტკიცოს, რომ თითქოს ასეთი გაყიდვა ზაქათალის ოლქის ფარგლებში წინეთ არ ხდებოდა. ამ ოლქში რომ ასეთი გაყიდვები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდებოდა, ეს სჩანს მთიულეთის სამმართველოს ოფიციალურ მიმოწერიდან. როცა სამმართველო დარწმუნდა რომ გლენტა მევალები ჰყიდიან არა თუ თავიანთ მოვალეთა კერძო საკუთრებას, არამედ იმ სახანო მიწასაც, რომელიც დასამუშავებლათ ჰქონდათ გლენტებს აღებული, — დაემყარა კანონს, რომელიც კრძალავს ასეთი მიწების გაყიდვას, და გააუქმა ყველა მოხდენილი ასეთი სახის საჯარო ვაჭრობა. ეს არის ფაქტი, რომლის შესახებ, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში, სწერდა ჩვენი ზაქათალელი კორესპონდენტი...

არსებობს მეორე კანონი, რომლის ძალით არც ერთ მევალეს არა აქვს უფლება გაუყიდოს სამუშაო იარაღები ისეთ პირებს, რომლებიც საკუთარ შრომით ირჩენენ თავს. მაგრამ ეს კანონი ირღვევა მეტისმეტ ერთგულ სამოსამართლარ ბოქაულებისაგან, რომლებიც უყიდიან გლენტებს უკანასკნელ მუშა-საქონელს და უკანასკნელ კავს. სწორედ ამგვარათვე სწარმოებდა აწერა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვა იმ ღვინისა და ხორბლის მარაგის, რომელიც აუცილებელი იყო გლენტის ოჯახის გამოსაკვებათ; და ამით არღვევდენ კანონს, რომლის ძალით აკრძალულია ვალში გაიყიდოს ან აიწეროს პირველი მოთხოვნილების საგნები...

სამწუხაროთ, ჩვენში დაბალი ადმინისტრაციის წარმომადგენლები ნაკლებათ იცნობენ კანონმდებლობას და ბევრს არ ყოფნის დრო, და არც ხალისი აქვს გამოეჭომავოს გლენტებს, რომლებიც

ნადგურდებიან უსინდისო მევაჭმეებისაგან... ამას გარდა ყველას არც აქვს გამბედაობა აიძხვროს თავის თავის წინააღმდეგ მისი უბნის მთელი შეძლებული მოსახლეობა, მით უმეტეს, რომ იმ ნაწილს მოსახლეობისას, რომლისადმი დახმარების გაწევა მას შეუძლია, არა თუ შეძლება აქვს საჭიროების დროს მხარი დაუჭიროს მის კეთილისმყოფელ ადმინისტრატორს, არამედ, ხშირად, არც კი ესმის ნამდვილად ეხმარება ის მას თუ არა...

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმ პატარა ადმინისტრატორების მდგომარეობის შესახებ, რომელთაც მიზნათ დაუსახავთ ასეთი სამართლიანი და კეთილი საქმე, საკმაოა მოვიყვანოთ კახის უბნის ნაიბის — პრაპორჩიკი უფ. ბოგუსლავსკის მაგალითი. როგორც ვიცით. ის მგონი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც გაიხსენა კანონი და აღძრა საკითხი მთავრობაში სახაზინო მიწებისა და გლეხის უკანასკნელი ქონების უკანონო გაყიდვის შესახებ. ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ რა ურიცხვი დაბეზლების ქაღალდები აფრინეს ამის გამო მის შესახებ თფილისში. თხზავდნენ უცნაურ ბოროტმოქმედებების ცნობებს, რათა აეძულეზებიათ მთავრობა გადაეყენებია თავზედი“ ნაიბი. დაბეზლება სეტყვასავით სცვივოდა, მაგრამ ყველაზე უფრო საშინელება ის იყო, რომ ამ დაბეზლებათა, უმრავლესობას ხელს აწერდნენ გლეხები მევაჭმეების ჩაგონებით. მითუღეთის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა, გენერალმა ფრანკინმა გაგზავნა კახის უბანში ყველა ამ საჩივრებისა და დაბეზლებათა გამოსაძიებლათ ფრიად განათლებული და კეთილსინდისიერი მოხელე უფ. ვეიდენბაუმი, რომელიც თავის თვალთ დარწმუნდა ყველა ამ დაბეზლებათა სიყალბეში. თითქმის ყველა ადგილობრივ გაზეთში დაგზავნილ იქნა ხელოვნურად შედგენილი კორესპონდენციები, რომლებშიაც აშავებდნენ უფ. ბოგუსლავსკის. ის კორესპონდენციები, რომლებიც მიღებულ იქნა „Одзир“ ის მიერ, ახასიათებდნენ უფ. ბოგუსლავსკის, როგორც დესპოტს, „დერჟიმორდას“, გლეხების შემავიწროებელს და სხვ და სხვ. ადგილობრივ გაზეთების ღირსებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ არც ერთმა მათგანმა არ მიიღო ასეთი ღვარძლიანი კორესპონდენცია და ჩასთვალეს ის წმინდა წყლის ცილისწამებად

და ასე, პატარა ადმინისტრატორს, რომელმაც გაბედა მიემართა კანონისათვის და გამოჰკომაგებოდა გლეხებს, დაუწყეს ღვენა საზიზლარი ცილისწამებით და დაბეზლებით. და ამავე დროს მის წინააღმდეგ ხელს აწერდნენ, რა თქმა უნდა იძულებით, ის პირები, რომელთა კეთილდღეობისათვისაც ეს ადმინისტრატორი ზრუნავდა... კიდევ კარგი რომ ყველაფერი ეს მან გადაიტანა...

უფ. ხოჯაევს, რა თქმა უნდა, ნება აქვს იფიქროს, რომ როცა „Орвап“ - ი და მისი კორესპონდენტი წინაღუდგენ ამ ბოროტებას, — ამით ზიანი მიაყენეს უფ. ხოჯაევის ღირსებას და კეთილ სახელს. ადვილი შესაძლებელია, რომ ის მართლაც ყოველთვის მოქმედებდა კანონის ფარგლებში; მაგრამ ვინ არ იცის, რომ მევახშე ადვილად ახერხებს გლების განადგურებას სამართლისწარმოების ყოველგვარ ფორმებისა და წესების დაცვის ფარგლებში?

აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა უფ. ხოჯაევის კეთილი სახელის ინტერესებთან, არამედ გაცილებით უფრო დიდ და მნიშვნელოვან საკითხთან; აქ ჩვენ საქმე გვაქვს გლებების მიერ მიწის დაკარგვასა და მათ გალატაკებასთან, ხოლო უფ. ხოჯაევს კი სურს დაიყვანოს ეს საკითხი მისი პიროვნების შევიწროების საკითხამდე.

დასასრულ, ვიმედოვნებთ რომ ამ საჭირობოროტო საკითხს; რომელიც შეეხება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობას, მიექცევა სერიოზული ყურადღება.

1878 წ.

საბლესო საქმი

სატახტო ქალაქის პრესამ ცოტ-ცოტათი დაიწყო ჩვენი კავკასიის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებისადმი ყურადღების მიქცევა. ხშირად, მოულოდნელად წააწყდები ხოლმე ამა თუ იმ გაზეთში შენიშვნას ან კორესპონდენციას, ხოლო ზოგჯერ მოწინავე სტატიაცი-კი, რომელიც მიძღვნილია ჩვენი შინაური საკითხებისადმი, და რომელიც მოითხოვს მათ გადაწვეტას. ბევრ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს საშუალება მივაქციოთ „ონაიპ“-ის მკითხველების ყურადღება სატახტო გაზეთების ასეთი ხასიათის სტატიებისადმი. მაგრამ მარტო ის მოვლენა, რომ ასეთი სტატიები უკვე იწერება სატახტო ქალაქის გაზეთებში, — ნიშნავს დიდი ნაბიჯის წინ წადგმას, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ სულ რაღაც ხუთი-ექვსი წლის წინეთ სატახტო ქალაქის პრესამ თითქმის სრულებით არაფერი იცოდა და არც სურვილი ჰქონდა ცოდნოდა რამე კავკასიისა და მისი ცხოვრების შესახებ. მაშინ თითქმის მთელ რუსულ საზოგადოებას ისეთივე წარმოდგენა ჰქონდა კავკასიის შესახებ, როგორც მასში შემუშავდა ოცდაათიან წლებში მარლინსკის რომანების ზეგავლენით, — როცა სიტყვა „კავკასიას“ უნებურად ემატებოდა ეპიტეტი „დამღუპველი“ და როცა ყველას მიერ მიღებული იყო ურყევი აქსიომათ, რომ მთელი კავკასია და ამიერ-კავკასია დასახლებულია ისეთი ველური, თავზეხელაღებული ჩერქეზებით, რომელთა შორის ყოვლად შეუძლებელია რაიმე რეფორმის გატარება, ან რაიმე წესრიგის დამყარება, და რომელთა მართვა შეუძლებელია მხოლოდ და მხოლოდ უპასუხისმგებლო და ძალმომრეობაზე დამყარებულ სამხედრო ადმინისტრაციის საშუალებით.

და აი სწორედ იმის გამო, რომ რუსული საზოგადოება არ იცნობდა ჩვენი კავკასიის ყოფა-ცხოვრებას, ამ საზოგადოებაში და რუსულ პრესაში ნელ-ნელა წარმოიშვა და განმტკიცდა გარდამეტებული შეხედულება იმ რაღაც უცნაურ „ადგილობრივი პირობების“ შესახებ, რომელიც თითქოს ხელს უშლიდეს ჩვენი საზოგადოებრივი საქმიების წესიერათ მოწყობას და წარმართვას.

მართალია, ჩვენი „ადგილობრივი პირობები“ სავსებით არ შეეფარდება არხანგელსკისას ან და ვოლოგდისას. მაგრამ სწორეთ ამიტომ, — იმის მაგივრად რომ გამოუდგებით გვეყვირა ამ „ადგილობრივ პირობების“ შესახებ, — საჭირო იყო დიდი ხნიდან ადრე შეედგომოდით მათ გარკვევას და შესწავლას. მაგრამ ამას არავინ ყურადღებას არ აქცევდა... და ეხლა, რამდენადაც სატახტო ქალაქის პრესა იწყებს ამ საკითხების გარჩევას, იმდენად ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ირკვევა და მტკიცდება, რომ ამ სახელგანთქმულ „ადგილობრივ პირობებში“ არც ისეთი რამ იმალება, რასაც წინეთ ფიქრობდენ... სატახტო ქალაქის გაზეთებმა უკვე შენიშნეს, რომ ჩვენი მხარე დასახლებულია არა თავზებელადებულ ჩერქეზებით, რომლებთან ახსნაგანმარტება და თანხმობის დამყარება შეუძლებელია; და, რომელთა ვაგება ან დაკმაყოფილება არ შეიძლება, — არამედ სრულიად უბრალო და საკმაოდ კეთილი მომკვდავებით, რომელთაც აქვთ ფრიად განსაზღვრული და სრულებით სამართლიანი ინტერესები, რომლის დაკმაყოფილებას ისინი მოთმინებით ცდილობენ. თანდათან ირკვევა, რომ ჩვენი მხარის ცნობილი „მრავალენიანობა“ რომელიც წარმოადგენს იმ საბედისწერო კლდეს, რომელზედ იმსხვრევა ჩვენი ლტოლვა გაუშჯობესებულ საზოგადოებრივ წყობილებისაკენ, — სრულებით არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ კავკასიის განსაკუთრებულ თვისებას.

ყაზანის გუბერნიაში, მაგალითად, და ვოლგის მხარეში, მოსახლეობა არა ნაკლებ ჭრელია სარწმუნოების, კილოკავის, ინტერესების და დამოკიდებულების მხრით, ვინემ ჩვენში — ამიერ-კავკასიაში. მაგრამ, ამავე დროს, იქ არავინ არ ემყარება ამ „ადგილობრივ პირობებს“ და ამ ნიადაგზე არავინ აყენებს საკითხს მოუსპონ ადგილობრივ მცხოვრებთ საშუალება ისარგებლონ იმ კეთილდღეობით, რომელსაც აძლევს მათ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება.

მაგრამ ჩვენ დავმორდით დღევანდელი ჩვენი საუბრის საგანს. დღეს მიღებულ „Голос“-ის (№ 260) ნომერში მოთავსებულია მეტად საინტერესო მოწინავე სტატია: „ს ა გ ლ ე ხ ო ს ა ქ მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ს ა ქ ა რ თ ე ლ ო შ ი“. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სტატია თითქმის სიტყვა სიტყვით გადმოწერილია იმ სტატიებიდან, რომლებიც შეეხებოდა ამავე საგანს და რომლებიც მოთავსებული იყო წარსული 1877 წლის გაზაფხულზე გაზ. „Тиф. Вестник“-ში; ეს სტატიები დაწერილი იყო საგამოყიდვო ოპერაციის ნელი მსვლელობის შესახებ ქუთაისის გუბერნიაში. ამ შენიშვნას ჩვენ იმისათვის კი არ ვაკეთებთ, რომ ამით დავამციროთ სატახტო ქალაქის გაზეთი. პირიქით, ამ

მოვლენაშიაც ჩვენ ვხედავთ უქველ წინსვლას, და თუ ჩვენ საქმის ამ მხარეს შევხვით, მხოლოდ იმიტომ, რომ აღგვენიშნა ეს წინ წადგმული ნაბიჯი.

ჩვეულებრივად სატახტო ქალაქის გაზეთებს გადააქვთ პროვინციალურ გაზეთებიდან მხოლოდ და მხოლოდ შიშველი და მშრალი ახალი ამბები, უმთავრესად არაჩვეულებრივი ხასიათისა, როგორც მაგალითად: ხანძარი, მკვლელობა, ბოროტმოქმედება, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც თავსდება საპოლიციო „შემთხვევების დღიურში“, — აი, რით სარგებლობენ ჩვეულებრივად სატახტო ქალაქის გაზეთები. დაბეჭდეთ, თუ გნებავთ, გამოგონებული ამბავი იმის შესახებ, რომ თბილისში ან ოზურგეთში ძროხამ მოიგო ხბო, რომელსაც აქვს სამი თავი და ოცდარვა კუდი, და თქვენ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს თქვენი ცნობა მოივლის ყველა რუსულ ჟურნალ-გაზეთს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობას არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს. დაბეჭდეთ აგრეთვე, რომ რომელიღაც გლეხის ქალმა შემთხვევით და უნებლიეთ მოწამლა თავისი ბავში, ვთქვათ, ქინაქინის მაგიერ მას შიალებინა თავისი შაქარი, ეს ცნობაც გადაბეჭდილი იქნება ყველა გაზეთის მიერ. საერთოდ ჩვენს გაზეთებს უყვართ „მხურვალე საკმაზი“ — საშინელი შემთხვევები, არაჩვეულებრივი ამბები და სხვ.

მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ასეთი მოვლენებისგან არ იქმნება, და ამასთანავე კიდევ უფრო ნაკლებად დამოკიდებულია მათგან... ხოლო რაც შეეხება ჩვენი ცხოვრების ნამდვილ, მუდმივ მხარეებს, მათ პრესა აქამომდე სრულებით არ ეხებოდა. ის უთუოდ ამ საქმეს არ სთვლიდა ყურადღების ღირსად, აი ამის გამო იყო, რომ კავკასიის გაზეთების საუკეთესო სტატიები და ცნობები, რომელიც ხატავდა ადგილობრივ ცხოვრების რეალურ და ძირითად მხარეებს, ყოველთვის უყურადღებოდ რჩებოდა სატახტო ქალაქის პრესას: არავის არ ყოფნიდა იქ უნარი და ხალისი წაეკითხა ყველა ეს გრძელ-გრძელი მოწინავე სტატიები, ჩაფიქრებოდა ყველა ამ გრძელ კორესპონდენციას; განა უფრო ადვილი არ იყო აედო მაკრატელი, ამოეჭრა ადგილობრივ გაზეთიდან მოკლე ცნობა სამ-თავიანი ხბოს ან შვილის მომწამვლელი დედის შესახებ! რა ედარდება ჟურნალისტს, თუ მკითხველი საზოგადოება, როცა კავკასიის შესახებ მხოლოდ ასეთ „ცნობებს“ ხვდება გაზეთებში, ძალაუფლებურად შეიმუშავენ ისეთ წარმოდგენას, რომ კავკასია დასახლებულია მხოლოდ და მხოლოდ კაცისმკვლელებით, მახინჯებით და საკუთარ შვილის მომწამვლელ დედაკაცებით!..

და ამის შემდეგ, თავისთავად ცხადია, როცა ჩვენ ვნახულობთ სატახტო ქალაქის გაზეთში—როგორც დღეს „Голос“-ში—ადგილობრივ პრესიდან გადაღებულ სტატიას, რომელიც შეეხება ჩვენი მხარის ყოფა-ცხოვრებას, ჩვენ მას ვხვდებით დიდი პატივისცემით და მადლობით, და შორს ვართ იმ აზრისაგან, რათა ახირებით გამოუდგეთ იმის ძიებას თუ რომელ წყაროთი ისარგებლა მან.

ამ უამად კი, რადგან „Тиф. Вестник“-ის სტატიები დაბეჭდილი იყო სწორეთ იმის გამოცხადების ხანებში, და ამის გამო ცოტათ თუ ბევრათ უკვალოთ ჩაიარა,—ჩვენ საკიროდ ვსთვლით გადმოვბეჭდოთ „Голос“-იდან მისი უკანასკნელი მოწინავე სტატიის ზოგიერთი ადგილები. ვიმედოვნებთ, რომ ამით ჩვენ მივაპყრობთ მკითხველი საზოგადოების ყურადღებას ჩვენი ადგილობრივი ცხოვრების ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხისკენ, და მით, შესაძლებელია, გამოვიწვიოთ მისი უკეთესად დაყენება:

„საქართველოში დამყარებულ ბატონ-ყმობას არავითარი საერთო რამ არ ჰქონდა იმასთან, რაც ჩვენ ვნახეთ ჩვენში, რუსეთში. იქ მემამულეთა უფლება გლეხებზე, და გლეხთა ვალდებულება მემამულეებისადმი ერზელ და სამუდამოთ იყო გარკვეული, მკაცრად განსაზღვრული და დამყარებული ისეთი პროგრამით, რომლის ძალით გლეხები ფლობდენ ყველა მიწებს, და სამაგიეროდ უზღიდენ მემამულეებს განსაზღვრულ გადასახადს.“

ამ პროგრამას ორივე მხარე მხარე სარწმუნოებრივი სიწმინდით ასრულებდა, უხსოვარ დროიდან გადადიოდა პაბიდან შვილის შვილებზე და მამიდან შვილებზე. გლეხს შეეძლო გაედიდებია თავისი მიწა-ყიდვის საშუალებით ან და შეემცივებია ის გაყიდვით, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში პროგრამა არ იცვლებოდა: ორივე შემთხვევაში მას უნდა გადაეხადა იმდენი, რამდენიც პროგრამაში იყო აღნიშნული. მემამულეს უფლებოდა არ ჰქონდა გაედიდებია ის, მაგრამ მისი შემცივება შეეძლო და ასედაც ვერებოდენ ზშირად ქართველი მემამულეები იმ სხვა და სხვა სამსახურის გამო, რომელთაც უწევდა მათ გლეხები, განსაკუთრებით იმ გამუდმებულ ომების დროს, რომელსაც ქართველები აწარმოებდენ თურქებთან და სპარსელებთან. აი, ამით აახსნება ის, რომ ბევრი ქართველი გლეხი არაფერს არ იხდიდა თავის მებატონის სასარგებლოთ, თუმცა ამ უკანასკნელის გლეხთა ითვლებოდა. საქართველოში არსებობდა გლეხთა ისეთი გვარეულობა, რომელიც, პროგრამის ძალით, სრულიად არ იყო ვალდებული გადასახადი ეძღვრა მემამულესათვის, მხოლოდ, ყოველდღიურად, და ძინების დროს უყვებოდა მემამულეს ზღაპრებს. მემამულეს სრული უფლება ჰქონდა გაეყიდა თავისი გლეხები, მაგრამ ერთის პირობით, გლეხის გაყიდვა უნდა მომხდარიყო მთელ მის მიწასთან ერთად, და მიწინ ახალ მემამულის ხელში ეს გლეხები ისეთივე უფლებებში გადაიოდა, როგორც მათსე ჰქონდა ძველ მემამულეს, და ამრიგათ, წი-

ნანდელი პროგრამა საესკებით თავის ძალაში რჩებოდა. ე. ი. უბრალოდ რომ ეთქვათ, მემამულეს შეეძლო გადაეცა სხვისთვის მხოლოდ თავისი უფლება გლეხებზე. გლეხების გაყიდვა კი არ შეიძლებოდა.

„საგლეხო რეფორმა გატარდა ამიერ-კავკასიაში ცოტა უფრო სხვანაირათ, ვინემ იმპერიის სხვა დანარჩენ ნაწილებში. მთელი ადგილმამული გადავიდა მემამულის საკუთრებაში, საკარმიდამო მიწას გარდა, რომლისათვის გლეხებს ყოველწლიურათ უნდა ეხადათ სამსამი მანეთი, მანამ, სანამ საბოლოოთ არ გაეყრებოდენ ისინი მემამულეებს. გლეხებს მიეცათ უფლება ეცხოვრათ თავიანთ წინანდელ, მაგრამ ეხლა მემამულეთა უფლებაში გადასულ მიწებზე, ათი წლის განმავლობაში თავისუფლების გამოცხადების დღიდან; მაგრამ ამ უფლებისათვის მათ უნდა ექლიათ მემამულისათვის თავიანთი მთელი შემოსავლის ნეთხენდი. ამავე ათი წლის განმავლობაში, დროებით ვალდებული გლეხები უნდა თვითონ გაყროდენ მემამულეებს ერთმანეთს-შორის ნებაყოფლობითი მოჩიგებით. ყოველივე ამას შედეგათ მოჰყვა სიძნელენი, აი, თუ გინდ, მაგალითად ავილოთ ქუთაისის გუბერნია. იქ მიწის ფასი აღემატება იმ ნორმას, რომელიც დადგენილი იყო მთავრობისაგან სესხის მისაღებათ შემუშავებულ გამოსაყიდ ოპერაციის ნაკაზით, და ამიტომ, როგორც სჩანს, მემამულეები არ აცხადებდენ თანხმობას, რომ მათ გლეხებს გამოეყიდათ მიწები „ნაკაზის“ ნორმალური პირობის მიხედვით. ამიტომ გლეხები იძულებული გახდენ გამოეყიდათ თავიანთი მიწები საკუთარი საშვალელებით — იმ წესების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც იხდებოდა ხელშეკრულებანი მემამულეებსა და გლეხებს შორის, ამ უკანასკნელთა მიერ მთავრობის დაუხმარებლად მიწის საკუთრებათ შექენის დროს. ვინაიდან ორივე მხარეს აღმოაჩნდა შეთანხმების სურვილი, გამოვიდვის საქმე დაჩქარდა: გლეხებმა იშოვნეს მიწების გამოსაყიდი ფული, მემამულეებმა თავის მხრით ცოტაოდენი დაუთმეს, და დაიდო მათ შორის ხელშეკრულებანი.

„1868 წლის 14 აგვისტოს წესების“ ძალით ასეთი ხელშეკრულება მხარეებმა უნდა წარუდგინონ მომრიგებელ მოსაშუალეს. მომრიგებელი შუამავალი კი წარადგენს მას გუბერნიის საგლეხო საქმეთა სამმართველოში, სადაც ეს ხელშეკრულება შენოწმდება და დამტკიცდება, და გადაეცემა ნოტარიუსს, ამ უკანასკნელის მიერ შემოწმების შემდეგ კი მიეცემა გლეხებს.

რამოდენიმე ათასი ასეთი ხელშეკრულება შემოვიდა გუბერნიის საგლეხო საქმეთა სამმართველოში და ამას გარდა კიდევ საკმაო რიცხვი ოქმებისა, შედგენილი მომრიგებელ მოსაშუალეთა მიერ იმის შესახებ, რომ მემამულეებმა იცნეს გლეხთა საკუთრების უფლება იმ მიწებზე, რომელთაც ეს უკანასკნელნი ამუშავებენ. საჭირო იყო აგრეთვე, რომ ეს ოქმები დამტკიცებულიყო გუბერნიის სამმართველოს მიერ, მაგრამ რალაც მიზეზების გამო, როგორც ამ ოქმებს ისე ხელშეკრულებებს არ მიეცა მსვლელობა და ინახებოდა სამმართველოში უმოძრაოდ, როგორც არქივში, თითქმის მთელი ათი წლის განმავ-

ლობაში. და როცა 1876 წელს გუბერნიის სამმართველოს წევრებმა დაიწყეს ამ ხელშეკრულებათა გადათვალისწინება, გამოირკვა, რომ ნათი დამტკიცების უფლება მათ არ ჰქონდათ, რადგან იმ მიწებზე, რომელიც მემამულეებს დაეთმოთ ან მიეყრდათ გლეხებისათვის, დადებული იყო კერძო აკრძალვა, და ეს აკრძალვა გამოწვეული იყო იმ დავალიანებით, რომელიც გაეკეთებინათ დაუდგვარ მემამულეებს გლეხებთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, ე. ი. იმ ხანებში, რომლის განმავლობაში ეს გამოყიდვის ხელშეკრულებები უმოძრაოთ ეწყო სამმართველოს კანცელარიაში.

მაგრამ აი რა გამოდის აქედან: „დებულებათა“ მუხლები 69, 70 და 71 არდგენს, რომ ხელშეკრულებები, დადებული მემამულეებსა და გლეხებს შორის, და დადგენილ წესის მიხედვით შემოწმებული მომრიგებელ შუამავალის მიერ, არ შეიძლება სადაოთ გახდეს ე. ი. არც მემამულეს და არც გლეხებს უფლება არ აქვთ უარყონ ის ვალდებულებანი, რომელიც მათ მიიღეს თავის თავზე ხელშეკრულების დადების დროს. ქუთაისის გუბერნიაში კი ეს დადგენილება ისე ახსნეს, რომ თითქოს ყოველგვარი ასეთი ხასიათის ხელშეკრულება, შემოწმებული მომრიგებელ შუამავალის მიერ, უკვე საბოლოოა, და არ შეიძლება გაუქმებულ იქნეს, ხოლო მისი დამტკიცება სამმართველოსა და ნოტარიუსის მიერ—უბრალო ფორმალობაა. ამიტომ იყო, რომ გლეხები, როცა ხელშეკრულებას დებდენ მემამულეებთან, იხდიდენ მიწების მთელ ღირებულებას, რომელიც ეკუთვნოდა მემამულეებს, და ამასთანავე ფიქრობდენ, რომ ყოველგვარი დაჯა და სავადღებულო დამოკიდებულებანი მათსა და მემამულეებს შორის სამუდამოდ მოსპობილია; მათ მოსპეს ყველა წინანდელი დოკუმენტები, რომელიც შეეხებოდა კერძო საკუთრების უფლებას მათ მიერ გამოსაყიდ მიწებზე, ისევე კერძო პირებიდან ფული და ვალის უზრუნველსაყოფად, პირობით შეეკრენ მევალებებს.— მიეყრდათ მათთვის გამოსაყიდ მიწის განსაზღვრული ნაწილი, და აპავედნენ მევალებები არ ივიწყებდენ მოსალოდნელ პირობის დარღვევის შემთხვევებსაც. ზოგიერთმა გლეხმა ადგილობრივ ჩვეულებისამებრ, შინაურული წესით მიყიდა კიდევ ამ მიწის ნაწილი მევალეს. ესლა კი გამოდის, რომ არა შესაკუთრე გლეხებს ტყუილა-უბრალოდ მიუცია ფული მემამულეებისათვის, რომელთაგან ისინი ვერასდროს ვერ მიიღებენ მიწებს, ვინაიდან ამ მემამულეთა უმრავლესობა უკვე დიდი ხანია გალარობდა და არა აქვთ საშუალება დააკმაყოფილონ გლეხები. ეს კიდევ ცოტაა: გლეხებმა ჩაიდინეს უნებური სიყალბე, როცა გაყიდეს და დააგირავეს ისეთი მიწა, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, მათ არ ეკუთვნოდათ, და რომელზედაც კერძო პირთა მიერ აკრძალვა იყო დადებული და სხვ.

იბადება კითხვა: ვინ დააკმაყოფილებს ამ გლეხებს? მემამულეებს სრული უფლება აქვთ სთქვან, რომ მათ დიდი ხანია საქმე გაათავეს გლეხებთან,— მომრიგებელ შუამავალის თანდასწრებით გადასცენ მათ მთელი მიწები, და რაც შემდეგ მოხდა, ამასთან მათ საქმე არა აქვთ, ხოლო რაც შეეხება ახალ მევალებებს, იმათ ხომ არასდროს

არავისთვის პირობა არ მიუციათ, რომ საკვიროების დროს ვალს არ აიღებდენ. მომრიგებელ შუამავლებსაც შეუძლიათ აგრეთვე თქვან თავის გასამართლებლათ, რომ შეცდომა კაცს არ შეიძლება სიყალბეთ ჩაეთვალოს: ისინი მაინცადამაინც დიდი ნასწავლი ხალხი არ არიან, ვერ გაიგეს „დებულებათა“ აზრი და ამასთანავე, როცა მათ ფული გადასცენ მემამულეებს და ხელმოწერილი ხელშეკრულებები შეიტანეს სამმართველოში, მაშინ მიწებზე აკრძალვა არ ყოფილა დადებული, რომ ეს შემდეგ მოხდა, შემდეგი წლების განმავლობაში დაედგა ამ მიწებს საერთო აკრძალვა, და რომ გუბერნიის საგლეხო საქმეთა სამმართველოს უფრო ადრე გაერჩია ხელშეკრულებანი, ამ უბედურებას ადგილი აღარ ექნებოდაო. ნაწილობრივით ისინი მართალია, მაგრამ რას იტყვიან თავის გასამართლებლად გუბერნიის საგლეხო საქმეთა სამმართველოს წევრები? რას აკეთებდენ და რას აკეთებენ ისინი მთელი ამ ხნის განმავლობაში? ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ მათი დიდი უმრავლესობა ჯართულია კერძო საქმეებით. მიმდინარე კამპანიაში სამმართველოს წევრების უმრავლესობა და მომრიგებელი შუამავლები ეწეოდენ მოიჯარადრობას, და საკმაოდ მომგებიანად. მხოლოდ განწყოფილებები არ იყო ამით კმაყოფილნი: ერთის მხრით, სჩიოდენ მემამულეები, მეორეს მხრით — გლეხები, და დამოკიდებულება მათ შორის სულ უფრო და უფრო იზღარბებოდა და ლებულობდა ფრიად არასანუჯეშო ხასიათს.

1878 წ.

ხიზანთა საკითხი

ხიზანთა საქმე ჩვენში მუდმივად წარმოადგენს ერთ-ერთ იმ უმნიშვნელოვანეს და საჭირბოროტო საკითხთაგანს, რომლის გადაწყვეტას ასე მოუთმენლად მოელის ადგილობრივი მოსახლეობა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თფილისის გუბერნატორის ინიციატივით შესდგა კომისია, რომლის მიზანია გამოიკვლიოს ხიზანთა მდგომარეობა, და გლუხობის ეს კლასი, რომლის საადგილ-მამულო დამოკიდებულება მეტატონებთან არ არის გათვალისწინებული რუსეთის კანონმდებლობით, დაუქვემდებაროს რომელიმე დამაკმაყოფილებელ სისტემას. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ადმინისტრაცია, რომელმაც ხელი მოჰკიდა ხალხის ცხოვრებისათვის ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას, როგორცაა ქართველ გლუხთა მთელი კლასის ბედი იმოქმედებს იმ სიფრთხილით რომელიც საჭიროა ასეთ შემთხვევაში და არ გადადგამს არც ერთს ნაბიჯს ისე, სანამ წინასწარ არ შეისწავლის ამ საქმის ყოველ მხარეს. სამწუხაროთ, უნდა ვაღივაროთ, რომ აქამდე არავინ არ დაინტერესებულა საქართველოში ხიზანთა მდგომარეობით, ხოლო თუ ვინმე დაინტერესებულა, მხოლოდ სრულიად შემთხვევით, კანტი-კუნტათ, და ცნობები, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ადმინისტრაცია ამ საქმეში, მეტად მცირეა და განსაზღვრული. ერთად ერთი ღირებული დოკუმენტი, რომელიც ცოტათ მანაც ნათელს ჰფენს ხიზანთა მდგომარეობას, ეს არის წერილი, მოთავსებული „Сборник материалов для описания Тифлисской губернии“-ში (1870 წ. I ნაკვეთი), და რომელიც უკვე გადაბეჭდილია „Обзор“-ში. ამასთანავე ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადგილობრივ პრესას უნდა აეღო თავის თავზე მოვალეობა რათა წარმოედგინა ამ შემთხვევაში ის მითითებანი და დაწვრილებითი ცნობები, ურომლისათაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, შეუძლებელია ხიზანთა ბედის სწორად გადაწყვეტა.

მართალია ვაზეთ „დროებამ“ უძღვნა ამ საკითხს ორი სტატია, და დაგვირდა ამ სტატიების გაგრძელების დაბეჭდვა, მაგრამ აქამდე არ შეუსრულებია ეს დაპირება². საქმე კი დაყოვნებას არ ითმენს: კომისია განაგრძობს თავის მუშაობას, და, შესაძლებელია, მი-

ვიდეს ამა თუ იმ საბოლოო დასკვნამდე, რის შემდეგ „დროების“ ცნობები ისეთივე საჭირო იქნება, როგორც მღოვავი სადილის შემდეგ.

თავის ერთ-ერთ მოწინავე სტატიაში ეს გაზეთი, ხიზანთა საკითხის გასარკვევად, ცდილობს მოძებნოს, თუ საიდან წარმოიშვა მიწით სარგებლობის ეს ფორმა; ანალიზისა და ისეთი ეკონომისტების დამოწმებით, როგორც მილლი და ლაველეა, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ხიზანთა წარმოიშვა ისე, როგორც ბატონყმობა, თემური და საგვარეულო მფლობელობის კერძო საკუთრებათ გადაქცევის გზით, რის გამო იმ პირებს, რომლებმაც მითვისეს საერთო მიწები, დასჭირდათ მუშა-ხელი, ხოლო უმიწოთ დარჩენილებს, — სამუშაო და მიწა. აქედან დაიწყო უკანასკნელთა დამოკიდებულება პირველები-სადმი. „დროებას“ გამოყავს შემდეგი დასკვნა: ხიზნები — ეს არის ხალხი, რომელიც დარჩა უმიწოთ, ხოლო შემდეგ ვახდა მოიჯარად-რეთ და ფერმერათ.

„დროების“ გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა ამ საკითხის შესახებ მეორე მოწინავე სტატია, რომლის ავტორი თ-დი ვეზიროვი სწერს, რომ „გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებამ გამოაცხადა ერთის ხმით, რომ ხიზანი არის მოიჯარადრე (არენდატორი) მამულისა და მას არა აქვს არვითარი ისტორიული მნიშვნელობა და დამოკიდებულება არც მამულთან, არც მამულის პატრონთან. ამიტომაც კრებამ ითხოვა შუამდგომლობა მის უმაღლესობის მთავარ-მმართველის წინაშე, რათა მიენიჭოს ამ ეკონომიურ წყობას უფრო შესაფერი იურიდიული წესი, ე. ი. დაარსდეს საერთო მომრიგებელ წესდებულების მფარველობის ქვეშ, როგორც წინადა“.

შემდეგ თ-დი ვეზიროვი გამოსთქვამს სურვილს, რომ ეს, მისი აზრით, სწორი და კანონიერი თვალსაზრისი ხიზანთა საქმის შესახებ, მიღებულ იქნას ადმინისტრაციის მიერ.

„დროების“ რედაქცია ამ სტატიას უკეთებს სარედაქციო შენიშვნას, რომ ის არ ეთანხმება თ-დი ვეზიროვის აზრს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თ-დი ვეზიროვის დასკვნები სრულებით არ განირჩევა გაზეთ „დროების“ დასკვნებისაგან: თვით ამ გაზეთის ზემოხსენებული სარედაქციო სტატია, გორის მაზრის თავად-აზნაურობა და თ-დი ვეზიროვი მივიდნენ ერთსა და იმავე დასკვნამდე, რომ ხიზნები — მოიჯარადრეებია მემამულეთა საკუთრებისა...

თ-დი ვეზიროვს, თავის აზრების დასამტკიცებლად, მოჰყავს შემდეგი საბუთები:

უხილანდელი ხიზნობა არის ადგილობრივი აგრარული ჭარბ-მობილად წარმომდგარი ეკონომიური მდგომარეობა; უფრო გავრცელებით გამოთქმული იმას ნიშნავს, რომ მეცხოვრებთაგანთა უნაყოფო და შევიწროებული ადგილებისა, როგორათაც ოსები, მთიულები და იმერლები არიან, დაიწყეს ეკონომიური ცვლილების მიზნით მოძრაობა, რადგანაც თავიანთ სამშობლო ადგილებში ნაჭერი სახელმწიფოვო, საბატონო, გინა საკუთარი მამულები აღარ აძლევდენ შრომის ფასის სარგებლობას. ამიტომაც მათ გადასცეს, ვინ გასყიდვით, ვინ იჯარით თავიანთი ნაჭერი მამულები, და მიმართეს იმ ახლო მდებარე ადგილებს, სადაც სიუხვე და სიკეთე მამულისა მათ უჭადა და მომავალ კეთილ ცხოვრებას და შრომის უკეთ დაჯილდოებას.

ეს აგრარული გარემოებიდან წარმომდგარი მოძრაობა დაიწყო ბატონ-ყმობის გადაყრდნის ბევრით წინათ და მომდინარეობს ამჟამამდე. შესანიშნავი მხოლოდ ის არის, რომ ბატონ-ყმობის გადაყრდნის შემდეგ ოსებმა უფრო მეტი მოძრაობა გამოიჩინეს და მოკლე ხნის განმავლობაში აავსეს სოფლებით ქართლის უდაბნო ტყეები. მათს მამულის უსვინდისო მოხმარებაზე, უზომო ტყის აიხრებაზე არა ღირს კაცმა უბრალოდ ილაპარაკოს.

უპირველესი პირობა ხიზნის დასახლებისა იყო და არის, ერთის მხრით, მამულის პატრონის სურვილი უცხო კაცის თავის საკუთრებაზე დასახლებისა, და, მეორე მხრით, თავისუფალი კისრება იმა პირობებისა, რაიცა გლეხ-კაცს ვალად სდებენ სვინდისიანად და სიამოვნებით აღასრულოს ყოველივე წინადადეგ გადაწყვეტილი მოთხოვნილება ნაკვლად თავისუფალი მამულის მოხმარებისა.

მამულის მდებარეობისა და მიწის ნაყოფიერებისდაგვარად იცვლება ხიზანის ვალდებულება. ერთგან ვხედავთ, რომ გარდა დღიურზე გადაწყვეტილი ორი კოდი ჰირნახულისა, ხიზანი იხდის დიდის სიამოვნებით კვირაში ერთხელ ბეგარას მუშით და ურმით. უხნავს მებატონეს, უთესავს, უმკის, ულუწავს კიდევ და ძღვენსაც მიაერთმევს. მეორედგან კიდევ ვხედავთ, რომ ორი კოდის მაგივრათ აძლევს მხოლოდ ერთს კოდს ღალას და მცირე ბეგარას, მესამე მხრიდგან-კი, არც ღალას იხდის, არც ბეგარას, მხოლოდ მცირე გადაწყვეტილი ფული (მახტა) და ორიოდ ძღვენი არის მისი ვალდებულება. ამ გვარი მაგალითი შეიძლება ბევრი მოვთვალოთ, სულ განსხვავებული ერთი მეორესაგან.

რაც შეეხება სახლ-კარობას ვადას და აყრას, ვიდრე ცირკულიარი გამოვიდოდა, რომელიც აღუკრძალავს ხიზნების აყრას, პირობაც სხვადასხვა იყო. ბევრს მებატონეს ეყენა ვადით და ვადის გასვლის შემდეგ, უკეთუ ორივე მხარეს სურდათ, სდებდენ ახალს ანუ იმავე პირობას, და თუ ერთ-ერთს მათგანს აღარ სურდა მეტი ურთიერთ დამოკიდებულება, ხიზანი იყრებოდა და სახლ-კარი, უკეთუ საკუთრება იყო, თან მიჰქონდა. იყენენ მებატონენიც რომელნიც აყენებდნენ უვადოთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ, უკეთუ დადებულს ვალდებულებას არ აღასრულებს, მამულის პატრონს ნება ჰქონდა ხიზანი აეყარა, როცა სურდა, მხოლოდ კალოობის გათავებამდინ ვერ აყრიდა.

რა თქმა უნდა, რომ გლეხ-კაცსაც ვერავინ ვერ დაუშლიდა აყრას და მაშინ აიყრებოდა, როდესაც ალარა სურდა, ან ხელს არ აძლევდა იმ მამულზე ცხოვრება.

ვრაცნ სავიროდ დაფუძალა, რომ გარდა უჩინო ნაწილისა, ხიზნებათ მყოფთ ოსებსა და იმერლებს ეხლაც კიდევ უჭირავთ თავიანთ სამშობლო ადგილებში მამულები, აქვთ ორი და სამი ოჯახობა სხვა-და-სხვა ალაგას.

ყოველივე ესე ნათქვამი გვიმტკიცებს, რომ ხიზანს არა რაიმე პირისპირი დამოკიდებულება არა აქვს მებატონესთან. იგი არის თავისუფალი მხმარებელი (ექსპლუატატორი) მიწის ნაყოფიერებისა, რომლისათვის იგი ფასს აძლევს. მაშასადამე, ხიზანი არის ნამდვილი მოიჯარადრე (арендатор) სხვისადმი კუთვნილის მამულისა, როგორათაც ინგლისში პატარა ფერმერი, გერმანიაში პატარა მოიჯარადრე (Kleinpächter) და სხვა“.

თავის სტატიის დასასრულს თ-დი ვეზიროვი გვარწმუნებს, რომ თითქოს ხიზნები უფრო მეტი კეთილდღეობით სარგებლობენ, ვიდრე სხვა დანარჩენი გლეხები, ამ აზრის დასამტკიცებლათ მას მოყავს მოწმედ ისეთი ავტორიტეტი, როგორიც არის ეკონომისტი ვილლ როშფორი.

თუ რამდენად დამარწმუნებელია თ-დ ვეზიროვის და გაზეთ „დროების“ მტკიცება, რომ, არც მეტი არც ნაკლები, ხიზნები მხოლოდ უბრალო მოიჯარადრეებია — ამის შესახებ მათ იმსჯელონ ისე, როგორც სურთ, მაგრამ ჩვენ კი გვგონია, რომ ეს თვალსაზრისი არ არის სწორი.

მოიჯარადრე — ეს არის კაცი თავისუფალი; რომელსაც უფლება აქვს აიყაროს, და რომელიც შეუძლიან აყარონ მის მიერ იჯარით აღებულ მამულიდან; ხიზნები კი, თუ ყველანი არა, მათი დიდი უმრავლესობა ყოველ შემთხვევაში, საუკუნოებით ფლობენ იმ მიწებს, რომელზედაც ჩვენ დღეს მათ ვხედავთ. მართალია, ბევრი მათგანი ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, მაგრამ უმრავლესობა მაინც ცხოვრობდა ერთ განსაზღვრულ ადგილას, აწყობდა მეურნეობას და არ სტოვებდა ამ ადგილს. რადგან ის მიჯაჭული იყო მასზე არა მარტო მატერიალურად, არამედ ზნეობრივადაც: აქ ცხოვრობდნენ მისი ნათესავები, აქ იყვნენ დამარხულნი მისი წინაპრები და მისი საყვარელი აღამიანები. ეს მობინადრე ხიზნები იმდენად შეეთვისენ მათ მიერ დაჭერილ ადგილებს, რომ ძნელია მათი გარჩევა ძირითად მცხოვრებლებისაგან. კიდევ მეტი, გლეხების განთავისუფლებამდე და მის შემდეგაც, ისინი იყვნენ ისეთივე დამოკიდებულებაში მებატონებთან, როგორც დანარჩენი ყმები.

ხიზნების მოიჯარადრეებად მონათვლა და მათი საერთო კანონდებულებისადმი დაქვემდებარება — ნიშნავს იმას რომ მთელი ეს კლასი დაუმორჩილოთ მებატონეთა ძალადობას. ხიზნები — ეს თითქმის იგივე „ჩინწევიკებია“, და ისეთივე უფლებები აქვთ მათ იმ მიწებზე რომლითაც ისინი საუკუნეების განმავლობაში ფლობდნენ, როგორც ამ „ჩინწევიკებს“. თ-ღ ვეზიროვის სტატიისაში არის ერთი წინადადება, რომელიც, დამწერის შეუმჩნეულად, ლებულობს ფრიად დიდ მნიშვნელობას ამ საკითხში, და, რაც მთავარია, ადასტურებს მისი აზრის მცდარობას. ის ამბობს, რომ ამ ცოტა ხნის წინად ოსეთიდან გადმოსული ხიზნები იტაცებენ და ანადგურებენ ქართლის ტყეებსა და მიწებს. აი, საქმე სწორედ ამაშია. თავისთავად ცხადია, თუ ეს მოსულები არ იქნებიან დარწმუნებულნი იმაში, რომ მათ მიერ აღებული მიწები და ტყეები მათ დარჩებათ, ისინი მხოლოდ იმას შეეცდებიან, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიიღონ მათ მიერ აღებულ მიწის ნაკრებიდან, და ამავე დროს სრულებით არ დაგიდევინ განადგურებას ან იმ მამულის გამოფიტვას, რომელსაც ისინი დღეს ფლობენ. გორის მაზრაში არიან ისეთი ხიზნები, რომელთაც მშვენიერი მეურნეობა აქვთ გაწყობილი; ეს ის ხიზნებია, რომელნიც უფლებით გათანასწორებული არიან დანარჩენ გლეხებთან და დარწმუნებული არიან იმაში, რომ აღგილ-მამულს მათ ვერავინ წაართმევს. იქვე, მათ მახლობლად, ცხოვრობენ ხიზნები, რომელნიც დარწმუნებული არიან, რომ დღეს არა ხვალე მათ აყრიან თავიანთ ადგილებიდან, და ისინიც, როგორც ობობები, ისე სწოვენ მიწას მთელ სიღბოს. დაუფიქრდით ახლა, რამდენად ჰუმანიურია, კანონიერი და სახელმწიფოსათვის გამოსადეგი, რომ ჩავთვალოთ ხაზნები თავისუფალ მოიჯარადრეებათ და ისე გაუშვათ ცარიელ-ტარიელი სახეტილოთ...

საბანკო საკითხები

ბიბლიოგრაფია

(„თფილისის ბანკის დანიშნულება“, მ. გ. მ — სა)

ჩვენ განგებ არაფერი ვთქვით ამას წინეთ, როცა თფილისში გამოვიდა რუსულ ენაზე ერთი პაწაწა წიგნი „ქუთაისის და თფილისის ბანკის თაობაზე“⁹³. ჩვენ ხმის ამოუღებლობას ამ საქმეზე თავის საფუძველი ჰქონდა, და ეს ხმის ამოუღებლობა გვარიან ხანს გაგრძელდებოდა, იმ წიგნის დამწერს ეხლა მეორე წიგნიც რომ არ დაეწერა, საკუთრივ „თფილისის ბანკის დანიშნულებაზე“. რაკი ამ წიგნების დამწერი თავის მიზანს არ ეშვება, და პატიოსნად სცდილობს თავის აზრის ასრულებას, ჩვენი მხრითმეტის მეტათ გულგრილობა იქნებოდა დაწერილებით მაინც რომ არ მოვიხსენოთ მისი შრომა და არ ვთქვათ აქ ჩვენი ხმის ამოუღებლობის მიზეზი ამ საქმეზე.

ჩვენი მდგომარეობა და შრომა, მართალი რომ თქვას კაცმა; ახირებული, სწორეთ და ნამდვილათ ახირებულია. ჩვენ რომ ვატყობდეთ, ჩვენში ვისმეს აზრს, ვისმეს მაგალითს და რჩევას ნაყოფი და სარგებლობა მოაქვს, ღმერთმა ხომ იცის, რომ გვარიანათაც შევიძლებდით საზოგადოების დახმარებას, და არც არაფერ ღვაწლს და განსაცდელს დაეზოგავდით ამისთანა სასარგებლო საქმეში. ეს სიტყვები არც ტრაბახათ უნდა ჩაგვეთვალოს, არც თავის გამოსაჩენ საშუალებათ, ამიტომ რომ ნამეტანი დიდი და შესანიშნავი საქმე როდია კაცისათვის სხვისი მოაზრების და სწავლის გადმოღება და გავრცელება, არც იმ მოვალეობის ასრულება, რომელსაც ყოველი ხეირიანი კაცი უნდა ასრულებდეს...

მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ჩვენი საზოგადოება რალაც ნაირად მიყუჩებული და მიძინებულია. თუ თვითონ საზოგადოებას არ ესმის თავისი მდგომარეობის სიძნელე ანა და თუ ესმის, არ უნდა მის გამოსაცვლელათ რაიმე ღონისძიების ხმარება, არ უნდა ხელის განძრევა, იმას რამდენიც გინდა უქადაგე, რამდენიც გინდა შეეხვეწე, შენ ხელს მაინც ვერ გაანძრევინებ, და საქმეზე მაინც ვერ აღძრავ. ის ყურს დაგიგდებს, მთქნარებით მოისმენს შენს სიტყვას, თუ ლაზათიანად და გასართველად არის შემდგარი და მაშინვე

ერთ ყურში შეშვებულ სიტყვებს მეორე ყურიდან გააფრენს. ნუ გგონია, რომ მის ტვინში და ხასიათში, მის მოქმედებაში და ცხოვრებაში დარჩება კვალი შენი სიტყვების და აზრისა. ტვინი დალაღულია, ხასიათი დაფარული, მოქმედება — უძლური და ცხოვრება — უსუსური. ვის აქვს ისეთი ტიტანური ძალა და იმისთანა ბედნიერი ასპარეზი, რომ ჩაუდგას ამ კაცს, ამ ნაირ საზოგადოებას ძლიერი და გასაგებარი სული, ვის შეუძლია მისი აღძვრა, მისი საქმეზე დაყენება, მისი ნიადაგი გამხნეება? სადა იმისთანა გენიოსი? არ ვიცი. ეს კი ნამდვილათ და ზედმიწევნით ვიცი, რომ ჩვენ არაფერი მიგვივაგეს ამ გვარ ღვთისგან მოვლენილ გმირს, რომელსაც ოდესმე მკედრებით აღდგენა შესძლებია.

ამის გამო კაცს, ჩვენ მდგომარეობაში, არც ხალისი და არც ღონე აქვს უსარგებლოთ და უნაყოფოდ ფანტოს სიტყვები და კარგოს რჩევები, რომელსაც არავინ მისდევს, თუმცა ზოგი კი ყურს უგდებს, და იმ საზოგადოებას, რომელსაც ჩვენი აზრით, ბევრი სასტიკი რჩევა სჭირია, რომელსაც მოუხდება მარტო მარჯვე აზრის გამოკვლევა და შეთვისება, ჩვენ იძულებული ვართ ველაპარაკოთ უმიზნო, უხეირო საგნებზე, ისეთებზე, რომ ხეირიანი კაცი სირცხვილით უნდა იწოდეს როცა ის ნიადაგ მათ ხსენებაში და შინჯვაშია.... რა ქნას კაცმა, როდესაც მის მომუსაიდვს, მის მასმენელს სხვა არაფერი არ მიაჩნია შენიშვნის და გამოკვლევის ღირსათ...

ბანკის საქმე, მაგალითად, ისეთია. რომლის ბედზე დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილის მომავალი, მაგრამ ვისაც უნდა დაიდვას გულზე ხელი და თქვას გულწრფელად — ვის მიაჩნია ეს საქმე ისეთ ნაირად, რომ მისთვის ენის განძრევის გარდა ხელიც გაანძრიოს, შრომაც მიიღოს. ჩვენ ვიცი, რომ ორიოდ მაგალითი, და წინეთ ნახსენები წიგნების დამწერი იმის მაგალითია. რომ საზოგადოებაში უთქვამთ: „ეს კაცი რას ჩასცივებია ამ ბანკის საქმესო, ის ვისი ტიკი-ტომარააო“. ჩვენ საზოგადოებას არა თუ არ ჩვევია საზოგადო საქმეში ღვაწლი და თავის გამოდება, იმას იქნამდინაც არ მიუღწევია ჯერ, რომ მიხვდეს, თუ შესაძლებელია საზოგადო სარგებლობისათვის შრომა და თავის დადება...

ბანკის თაობაზე ბევრი იყო ნათქვამი¹⁴. რაც ჩვენ საზოგადოებაში ჭკუა და მოაზრება მოიპოვება, ყველას გამოუთქვამს თავისი აზრი ამ საქმეზე, ყველას ჰქონია შემთხვევა მისი მნიშვნელობის განხილვისა, რა გამოვიდა ამისგან? ვინ მიაგნო ნამდვილ სიძნელეს, ვინ გადაიარა ნამდვილი დაბრკოლება და ვინ დაეხმარა ამ საქმეში მოთავეს? ან სად იყო მოთავე, სად იყო დამხმარე: ერთი მარჯვნივ

მიიქაჩებოდა, მეორე — მარცხნით, მაშინ როდესაც მესამე, მეოთხე და მეხუთე, განზე და უფრო მეტი ქვეშ-ქვეშ მიიწეოდნენ. ამ ჩვენ საზოგადოებას, ამისთანა საზოგადო, საერთო საქმეშიაც ვერ ჩაედგა ერთი სული, ვერ მოეძებნა ერთი ნება, ვერ ეღირსა ერთი მიზანი: დაფანტული, დანგრეული, დაცალ-ცალკებული ხალხი დაფანტულათ მისდევდა დაფანტულ მიზანს, და არსაიდგან არ გამოჩნდა საშველი, სინათლე და არც მარჯვე და ძალუმი გზის გამოკვლევა, დარჩა ბანკი-სანატრელ სიზმრად, რომელსაც ვითომც გაბედნიერება შეუძლია მთელი საზოგადოების, ოღონდ კი მოველინოს ის ჩვენს ქვეყანას. და ყველა დღეში ათასჯერ დაძინებას ცდილობს, ეგებ მაშინ მაინც მოველინოს იმას ძილში ეს სანატრელი და სელომიუწდომელი ჩვენება.

არც მარტო საზოგადოების ბრალია ამ საქმის ამნაირათ მიგდება. ჩვენ განათლებულ საზოგადოებაში ერთი კაცი ვერ გამოჩნდა, რომელმაც ეს საქმე სახეიროდ ითაოს და რომელსაც ეს საქმე საზოგადოებამ მიანდოს. რაა ამისი მიზეზი? ის რომ ჩვენ განათლებას არ მიუცია ჩვენი ახალგაზდობისთვის პრაქტიკული რეალური ცხოვრების ცოდნა, და მათ სიცოცხლეს არ უჩვენებია ძველი საზოგადოებისთვის ნდობის ღირსი მაგალითი. არც გამძღოლი ვარგებულა, არც გამყოლი — მეტი უბედურება იქნება?

და რომ იცოდეს კაცმა რა უბრალო, რა ადვილი საქმეა ეს ბანკის საქმე, ხეირიანათ დაწყობილი, ანგარიშით წაყვანილი, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია იმას ხეირიან და მშრომელ საზოგადოებაში, მაგრამ როგორია ის საქმე, რაა ხეირიანი გაწყობილება მისი? რა წესი უნდა, როგორ სჯობია საქმის წაყვანა?

ერთ ახალგაზდა კაცს მოუნდომია ამ საქმის გარჩევა და რამდენიმე სიტყვის თქმა ამ საგანზე. და ამ აზრით დაუწერია იმას ის ორი წიგნი, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით ამ სტატიის დასაწყისში. ჩვენი აზრით, იმას უქნია მეტის მეტად პატიოსანი, მაგრამ უფრო მეტად უსარგებლო საქმე, ამიტომ რომ, როგორც ერთი ანდაზა ამბობს, ჩვენ ქვეყანაში სმენა კია, მაგრამ გაგონება არსაიდანსჩანს. ამ ავტორს ჩვენ ყველაფერში არ ვეთანხმებით, და მრავალ მის აზრებში კიდევ პირდაპირ წინააღმდეგი ვართ მისი, მაგრამ საქმე იმაში კი არ არის, იმაშია, რომ მისი მიზანი კეთილია და მისი შრომა საქმეი. ჩვენ საზოგადოებაში ესეც ძვირია, ესეც ფარნით საძებარი, და თითოთ საჩვენებელია. ეს შენიშვნა და ეს გრძნობა მოგვეგვარა ჩვენ ამ ორმა პაწაწა წიგნმა.

მაგრამ, დახეთ რა გავლენა აქვს კაცზე ახალგაზდობის მაგალითს, რა გინდ უსარგებლოდ ეჩვენებოდეს კაცს, მწუხარე დროს

რომელიმე საქმე, ახალგაზღვრული აღტაცებით და ყმაწვილური სასო-
ებით საესე მოქმედება იმას ჯერ დაციინვის ღიმილს მოგვრის ტუჩზე,
მერმე სიტყვებს „რა გამოვა“ და ბოლოს მის და უნებურად
თვითონ იმასაც მიაბაძენებს ყმაწვილის უსარგებლო მაგალითის-
თვის. ჩვენც ამ გვარი საქმე მოგვდის. უფ. მ — ის მაგალითი ჩვენ-
ზედაც თავის ზემოქმედებას იჩენს, რაკი იმის თქმა გეჭირდება, თუ
რაში მიგვაჩნია მისი აზრი და რჩევა შემცდარათ ან უსაფუძვლოთ.
მაგრამ ამ საგანს ბევრი ლაპარაკი სჭირია და თუ ახალგაზდა ავტო-
რის მაგალითმა ჩვენზე თავისი გავლენა არ დაკარგა, ჩვენ „კრე-
ბულში“ დაწვრილებით გავსინჯავთ ამ საგანს.

1871 წ.

ბანკის საქმე ჩვენში

წელიწად-ნახევარია მას აქეთ, ჩვენ დავბეჭდეთ „დროებაში“ (1870 წ, № 17) ვრცელი სტატია „ბანკის თაობაზე.“ იმ დროს ბანკის საქიროება ჩვენ ქვეყანაში გვარიანათ ნაგრძნობი იყო ყველასგან, მაგრამ ისე ძლიერ კი არა, როგორც ეხლათ. დღეს ჩვენი საზოგადოების მდგომარეობა — განსაკუთრებით ფულის საქიროებაში — მეტის მეტათ გაჭირვებული და მოუთმენელია. საითკენაც უნდა მიიხედოს კაცმა ჩვენში, იმას ყოველგან ერთი და იგივე სანახავი ხედება. ყოველგან საქიროა ადგილ-მამულის მოვლა, პატრონობა და განსაკუთრებით მისი შემუშავების გაუმჯობესება; ყველა მხრით საქიროა ამ საქმისთვის ხარჯი და ხარჯი, და ფული კი, ამ ხარჯისთვის კი არა, აუცილებელი საქიროების და მოუთმენავი ვალების გადასახდელათაც არსად იპოება. ამ უშოვნელობას და საქიროებას ეხლა ჩვენში აღარაფერს მალავს; ნიადგ ყველასგან ისმის „ფული მჭირია“, „ნეტავი ფული სად ვიშოვო“ „აქვს ამა და ამ კაცს სასესხებელი ფული, თუ არა“ და სხვა ამ გვარივე კითხვები. და ვინც ამ დაუთვალავ ფულის — მაძიებელთაგანი რამდენიმე თუმანს იშოვის სადმე, ის თავის თავს ისე ბედნიერათ სთვლის, თითქო ეს ფული მოეგოს, ან ეპოვოს სრულ საკუთრებათ. ფულის სარგებელზე, ხომ, რაღა ითქმის: ის იმსიდიდეა, რომ თითქმის არც ერთი საქმე არ იხეირებს, თუ მის გასაწყობლათ თავდაპირველშივე იმოდენა სარგებლის ტვირთი უნდა დააწვეს, რაც სხვა ქვეყნებში დიდ უშველებელ სარგებლათ მიაჩნიათ — ორი შაური — ეს ჩვენში უბრალო და უმნიშვნელო რაათმე ითვლება. ჩვენში დღეს ფულის მაზანდა ხუთი, ექვსი შაურია, და არც ორი აბაზის სარგებელია იშვიათი სანახავი. როცა „საღიკაცები“ ამ ნაირ სარგებელს იძლევიან, რაღა გასაკვირველია, რომ სხვებს ორ იმდენსაც ახდევინებენ ხოლმე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არაფერს გადაჭარბებას არ შეგვწყამებს, როცა ვიტყვით, რომ დღეს მთელი ჩვენი ადგილ-მამულის შემოსავალი ძლივს აუღის ჩვენი საზოგადოების ვალების სარგებლის გადახდას. ეს სამწუხარო მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. პოლიტიკური ეკანომიის და საზოგადოების ცხოვრების კანონები იმრიგათვე აუცილებელი და შეურყე-

ველი არიან, როგორც თვით ბუნების კანონები. როგორც ამ ბუნების კანონების ძალით კაცი რამდენიმე წამის მეტს ვერ გასძლებს, წყალში რომ თავიანათ ჩაიყურყუმალოს, აგრეთვე ვერც საზოგადოება და ვერც კერძო პირი ვერ იცხოვრებს დიდხანს ვალის აღებით, თუ მისი შრომის ან მამულის შემოსავლიდან, ვალის სარგებლის გადახდის გარდა, იმოდენა კიდევ არ დარჩა, რომ თავის საკვებათ ჰყოფნიდეს. ყოველთვის, როცა აღებული ვალი, ვალის ამღების მამულს არ აუმჯობესებს, ესე იგი, იმის შემოსავალს არ ადიდებს, ვალი კაცის დამლუბველია. ადრე თუ გვიან ის ანგარიშს შეუშლის კაცს, დაუბურდავს მის საქმეს და მეხსავით დაეცემა თავზე გარდახდის ვადაზე. ეს პოლიტიკური ეკონომიის კანონები შეუცვლელი არიან, და ვალის აღება და ვალის საქმე ნიადაგ და ყოველგან ემორჩილება იმათ. ამის გამო შეუცდომლათ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ჩვენი საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობა ამ მოკლე ხანში უნდა შეიცვალოს, რადგანაც ამისთანა ძნელი, „გაჭიმული“ მდგომარეობა დიდხანს ვერასოდეს ვერ სძლებს; და როგორც ავთომყოფობის დროს ყოველი ამნაირათვე „გაჭიმული მდგომარეობა“, ესე იგი, „კრიზისი“ მალე თავდება ან ავთომყოფის სიკვდილით, ან მისი ნელი გამომთელებით, სწორეთ ამ რიგათვე ჩვენს საზოგადოებას ამ მოკლე ხანს ან სრული ეკონომიური დაღუპვა ელის, ან და ნელ-ნელი და მძიმე გამომთელება, ყუათზე და ღონეზე მოსვლა, — ესე იგი, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა.

როგორც ავთომყოფობისთვის ნაპოვნია მრავალი სხვა და სხვა გვარი საშუალება, რომლის ძალით ავთომყოფობა ხან წალმა და ხან უკულმა ბრუნდება, და ავთომყოფი კარგი მოვლით და ექიმობით რჩება, ან უფრო დიდხანს სცხოვრობს, ისე ეკონომიურ ცხოვრებისთვისაც მოძებნილია და გამოკვლეულია სხვა და სხვა გვარი საშუალებები გაჭირვებულ მდგომარეობაში გამოსაყენებლად. ერთჯერ და ორჯერ კი არ მომხვედარა მარტო, რომ ჩვენ საზოგადოებაზე უარეს მდგომარეობაში მყოფი ხალხი ჩინებულათ გამოსულიყოს თავის გაჭირვებისგან და შემდეგში შესანიშნავი ძალა და შეძლება შეეძინოს: ამისთანა მაგალითებს ათასობით გვიჩვენებს ჩვენ ჩვენი დროების ისტორია, და რადგანაც ჩვენ დღეს ვერც ჩვენს ავთომყოფობას დაუმაღავთ ვისმე, ვერც ჩვენ თავათ, ჩვენი ჭკუით, გამოვძებნით ისეთ რასმე, რომ ამ გაჭირვებაში გამოგვადგეს, ჩვენ აუცილებლათ უნდა მივაკითხოთ ჩვენი შველის ამბავი სხვა, უფრო გამოცდილს ქვეყნებს და ულაპარაკოთ შეუდგეთ იმათ სწავლას და მაგალითს. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ არა ვიცით რა, ვერა

მოვახერხეთ რა, ვერაფერი შევლა და შემწეობა ვერ გამოვძებნეთ ჩვენში; ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ის ორიოდე „მკითხავების“ და „ბუბრუხების“, რომელიც ფუჟ-ფუჟით და ჭიმვით ქვის წყალს გვასმევდენ და თავზე მტვერს გვაყრიდენ, მაშინ როდესაც ჩვენი შეძლების - დაგვართ ჩვენ მათთვის პრაფერს ვზოგავდით და არც ისინი ჩვენსას არას ზოგავდენ, რომ ამ მკითხავების შელოცვა მეთქი სრულიად უსარგებლო და ფუჭი გამოდგა ჩვენთვის. როგორც სოფლის მკურნალისაგან და მკითხავისგან მოწამლული ავთამყოფი — უკანასკნელ წამში ნამდვილ ექიმს ეკითხება, ისე, დღეს ჩვენი საზოგადოებაც უნდა დაეკითხოს ნამდვილს ექიმს, რომელსაც მისი მოვლა და — იქნება შევლაც შეეძლოს. ეს ექიმია ის მეცნიერება, რომელსაც მიზნათ საზოგადოების გაწყობილება და კანონების გამოკვლევა აქვს, და სახელათ „პოლიტიკური (ანუ სოციალური) ეკონომია“ ჰქვია. ეს მეცნიერება გაუგებარი და ძნელი საგანი არ არის, ისეთი, რომ მისი დარიგების ვაგება ყველას არ შეეძლოს და მისი რჩევა აუსრულებელი იყოს. მაშ ცუდი როდი იქნება, ჩვენი საზოგადოება ხეირიანათ ყურადღებას რომ მიაქცევდეს ამ საგანს და გულდა-გულ მოინდომებდეს ამ სწავლისგან გამოძებნილი საშუალებების ხმარებას. რასაკვირველია, რომ ეს სწავლა ვრცელია, და ჩვენ მდგომარეობას მარტო ერთი საშუალებაა კი არ ეყოფა, მაგრამ ყველას ზომ კაცი ერთად ვერ მოედება. დღეს ისიც საკმაოთ უნდა ჩაითვალოს, რომ გავსინჯო შემოკლებით ერთი იმ საშუალებათაგან, რომელნიც ჩვენი საზოგადოების გაჭირვებულ მდგომარეობას მოუხდებიან, ესე იგი „კრედიტი“ (სესხი) და მისი მმართველი — „ბანკი“.

ჯერ გავიხსენოთ, რა იყო ნათქვამი ამ საგანზე შარშანდელ „დროებაში“.

„ქვეყანაზე ღმერთს იმისთანა არა გაუჩენიარა, რომ ან ყველაფრით სასარგებლო და კარგი იყოს, ან სულ ცუდი და მავნებელი. საგნის სიკარგე და სიცუდე მომხმარზე და გარემოებაზე ჰკიდია: მაგალითად, დანის მოხმარება კაცს თავის სასარგებლოთაც შეუძლია ოჯახში და თავის მოსაკლავათაც.“

„ბანკის საქმეც სწორეთ ასეა. ზოგ საზოგადოებას ბანკი ფეხზე დააყენებს, ზოგს კი სულ ერთიანად დაღუპავს და ამოაგდებს. ამის მაგალითები ბევრი მომხდარა ქვეყანაზე.“

„ბანკს იმ განზრახვით მართვენ, რომ დაჭირების დროს ფული ისესხონ. ნასესხს ფულს ბევრ ნაირათ მოიხმარს კაცი: თუ უნდა, ქეიფში და ლხინში დააბნევს, თუ უნდა იმ ნაირათ დაახარჯებს მამულს, რომ შემდგომში ბევრათ მომეტებული შემოსავალი მისცეს.“

პირველ შემთხვევაში ფულის შოვნა კაცისთვის უბედურებაა: იმას რომ ნასესხი ფული ვერ ეშოვა, მამულის გაყიდვას ისე ადვილათ ვერ გაბედავდა, და უიმისოთ ხომ მიწა-წყალს ვერ შესვამდა და შესჭამდა, — მაშ ქეიფი და ლხინი უნდა დაევიწყებინა, მაგიერათ, როცა ფულს კაცი თავის მამულის გასაუმჯობესებლათ ხეირიანათ ხმარობს, ამითი მის მიწა-წყალს უწინდელზე მეტი შემოაქვს, მაშასადამე, ფასიც ემატება; ამგვარათ დახარჯული ფული კაცის მდგომარეობას აუკეთესებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ვალის აღება კარგი და კეთილი საქმეა, თუ კი ფულის სარგებელი მამულის შემოსავლის ნამატს არ გადააჭარბებს.

„სარგებლის დაწესება მარტო ფულის გამსესხებელზე არ ჰკიდია რაც უფრო საჭიროა კაცისთვის ფულის შოვნა, და რაც უფრო ბევრი კაცისთვის არის ეს საჭირო, მით უფრო დიდი სარგებელი ედება ფულს. აგრეთვე რაც უფრო მეტი ფულის პატრონებია რომელსავე მხარეში და რაც უფრო ნაკლებს რიცხვს სჭირია იმ მხარეში ფული, მით უფრო მცირდება სარგებელი.

„ამას გარდა, სარგებლის მომატება ან მოკლება სხვა მიზეზისგანაც მოხდება ხოლმე. ერთი და იგივე ფულის პატრონი ზოგ კაცს რვა კაპეკათ ასესხებს თუმანს, ზოგს კი იმავე თუმანში ორ აბაზს და ათ შაურს ახდევინებს. პირველ შემთხვევაში ვალის ამლები ალბათ კარგი მამულის პატრონია, ფულის — პატრონს ხეირიან საწინდარს (გირაოს) აძლევს, და ფულს, დასაფანტველათ კი არა, სახეიროთ სესხულობს; — ყველა ეს გარემოებანი სესხის გამცემს აიძულებენ, რომ მის მოვალეს ვადაზე თავნის და სარგებლის გადახდა არ გაუჭირდება, — მაშასადამე, მის ხელში ფული კარგათ და საღათ შეინახება. — სულ სხვა საქმეა, როცა ვალს მფანტველი კაცი იღებს: ვინიცის შექმლება იმას ვადაზე გადახდა თუ არა? ვაი თუ ის ვადამდო ორჯერ სამჯერ გაკოტრდეს, უნდა იფიქროს ფულის პატრონმა; და რაკი ის დაჯერებული არ არის, რომ თავის ღრრზე ფულს უკანვე ამოიღებს, მისი პირველი ფიქრი ეს უნდა ღყოს: თუ ამოვიღე, ბარელამ კარგათ — ხეირიანათ ავკრამ, და თუ ვერა — ჯანიც კი გავარდნია ფულსაც და მის წამლებსაცო.

• „მე ყველაფერი მართალია“, იფიქრებს მკითხველი, „მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე ცალკე — პირებს შუა წარმოებს. ბანკის საქმე სულ სხვა არის: ბანკის კანონი დაწესებულია, — მისთვის ფულის გამტანი ყველა ერთია; ფულის წყალში გადამყრელს, და ხეირიანათ მომხმარებელს, ბანკი ორივეს ერთ და იმავე სარგებლით აძლევს ფულს, თუ ორივეს ერთნაირი საწინდარი აქვს“.

„აბა ენახოთ, მართლა ასეა თუ არა?

„ჩვენში ბანკებს, სულ ბევრი, ბევრი, ორმოცდა ათი ათას თუმანზე მეტი სერმია (ფონდი) არ ექნებათ. ღმერთმა ხომ იცის, რომ არც ეს ექნებათ, მაგრამ ასე ჩავაგდოთ. ეს ფული საიდგან შედგა? მამულის პატრონებს როცა გლეხკაცების დასახსნელი ფული გამოუვიდათ, მაშინ დაწესდა, რომ ამ ფულის ათის თავი ბანკის გასაწყობლათ გადადებულიყო; ამ ნაირათ ზოგმა ორი თუმანი დატოვა საბანკოთ, ზოგმა ოცი. ათი-თუთხმეტი კაცი არ იქნება, ას თუმანზე მეტი რომ დაეტოვებინოს, ეს გახლავთ შემომტანები.

„ეხლა მკითხველს უნდა ვკითხოთ, ამ ფულების დამტოვებლში ურევია, თუ არა, ოციოდე კაცი იმისთანა, რომ ბანკის გამართვას აღდგომა დილასავით არ მოელოდეს, ფულების გამოსატანათ? უმეტეს ნაწილს საბანკოთსამი თუმანი დაუტოვებია, ბანკის გამართვისთანავე, სულ ცოტა, ცოტა, ოცდაათი თუმნის გამოტანის იმედი კი აქვს. იმისთანებიც ბევრია, რომ ბანკში გროშის მონაწილეობაც არ ჰქონდეს, და დღესვე საწინდარი გაემზადებინოს, ბანკიდან ათას თუმნობით ფულის სასესხებლათ...

„ცხადია, რომ ამტენ ვალის ამლებს ჩვენი ბანკების სერმია დიდ-ხანს ვერ გაუძლებს; ბანკის ზანდუკები ძალიან მალე დაცარიელდებიან და მაშინ ბანკს, როგორც ყოველ, ცალკე პირს — ფულის მოძებნა და სესხება დასჭირდება.

„მაშინ, ფულის პატრონების თვალში, ბანკი მართლა ბანკი კი არა, ცალკე პირების კრება იქნება. თუ ბანკის მოვალეები საღი პირები არიან, თუ მათი მამული ხეირიან მდგომარეობაშია, და თუ მამულის პატრონებს ფულის დასაფანტავათ თვალები გამოჭიმული არა აქვთ, ბანკს დიდი და ადვილი ნდობა ექნება, და ძალიან იაფ ფასათ შეეძლება ფულის შოვნა. თუ არა და ბანკიც — გაჭირვებულ კოტრივით — ფულის პატრონებს დიდ სარგებელს უნდა დაპირდეს, და ეს მომეტებული სარგებელი ვალის ამლებს უნდა ახდევინოს.

„ამ გვარია სარგებლის ანგარიში. — ეხლა, ვგონებ, მკითხველი ცხადათ ხედავს, რომ როგორც სარგებლის სიდიდე, ეგრეთვე ფულის სიმრავლე ბანკში, საზოგადოების ზნეობაზე და მოქმედებაზე დამოკიდებული. ეს კანონი მკითხველმა კარგათ უნდა დაიხსოვნოს; ამიტომ რომ ამ კანონზეა დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების მომავალი და ბედი. აი როგორ:

„მალე მტერი დაელაია ჩვენს მოკეთეს, მალე ჩვენს ბანკს სერმია გამოეღიოს. ორიოდე წლის შემდგომ ბანკების გამართვისა, ჩვენი მამულების უმეტესი ნაწილი ბანკებს ექნება დაგირავებული,

ფული ბანკის მოვალეებს დახარჯული ექნებათ.—ამას რაღა ლაპარაკი უნდა. რაც ადვილათ საშოვარი ექნება ბანკს ფული, მით უფრო დიდხანს შეეძლება დაარჩინოს გატანილი ფული თავისი მოვალეების ხელში.—მაშასადამე თუ ბანკს ფულის შოვნა გაუჭირდა, ის ან სულ უნდა დაცარიელდეს და უსაქმო დარჩეს, ან თავის მოვალეებს უნდა მისდგეს, საქმე გაუჭირვოს და ფული გადაახდევინოს.—როცა ფულის გადახდის ვადა დადგება, და ბანკი ერთბაშათ რამდენიმე მამულის გაყიდვას დააწესებს, მაშინ მყიდველები საიდან გაჩნდებიან? მამულის მეპატრონეები (უმეტესი ნაწილი, რასაკვირველია) ბანკის და ცალკე პირების ვალში იქნებიან ჩავარდნილი; სხვა ფულის პატრონები კი—ვაჭრების, ცოტაოდენ დიდრონ-დიდრონ მეპატრონეების და ურიების გარდა—ჩვენში არაეინ არის; მაშასადამე, ბანკის განკარგულებით და ბანკის წყალობით აზნაურების მამულები ნელ-ნელა ზოგი გადავა ვაჭრების, ესე იგი სონხების და ურიების ხელში, ზოგი დიდრონ დიდრონ მამულის პატრონებს ხვდება, და უმეტესი ნაწილი კი შორიდან მოსულ სხვა ქვეყნების პირებს ერგება. ამ ნაირათ ჩვენი თავად-აზნაურობა ძალიან მალე და გაუგებლათ დარჩება რიყეზე, უყმით და უმამულოთ...

ამ უბედურების აზნაურობის თავიდან ასაცილებლათ საკმაოა, ბანკს იმოდენა შეძლება ჰქონდეს, რომ დიდხანს შესძლოს მოვალეების ხელში ფულის დატოვება. ამას ბანკი მხოლოდ მაშინ მოახერხებს, როცა თვითონ საზოგადოებაში, როგორც ჩვენში, აგრეთვე სხვა ადგილებშიაც, დიდი ნდობა ექნება და როგორც წელან ახვსენით, ეს ნდობა იმას მხოლოდ მაშინ ექნება, როცა მისი მოვალეები, საზოგადოების თვალში, სალი და სანდო ხალხი იქნება.

„ჩვენში რომ ბანკი გაიმართება, იმისთანა ბანკს ორი საშუალება აქვს ფულის შესაძენათ: პირველი საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი შემძლე პირები, ფულის შინ შენახვის მაგიერათ, ბანკს აბარებენ თავის ქონებას, ძალიან მცირე სარგებლით. გვეგონია, საჭიროც არ არის თქმა, რომ ჩვენ სზოგადოებაში ამისთანა პირებს, ჩირაღდნითაც რომ ვეძებოთ, მაშინაც ვერ ვიპოვიოთ.— მეორე საშუალება, ბანკისთვის ფულის საშოვნელათ, „ობლიგაციებში“ მდგომარეობს.

ბანკის ობლიგაცია აი რას ნიშნავს: ვთქვათ ბანკმა თავისი ფული გაასესხა და ვისიმე მამული დაიგირავა; სანამ დაწინდრებული მამულის პატრონი ნასესხ ფულს არ გადაიხდის, ბანკს შეუძლია თავისი უფლება ამ მამულზე სავა პირს მისცეს გირაოთ და იმდენივე ფული აიღოს ვალათ, რამდენიც თითონ მიუცია მამულის პატრონის-

თვის. ისე რომ, თუ ბანკს, ვთქვათ, ათი ათასი თუმანი გაუვალე-ბია გირაოს ქვეშ, იმას შეუძლია ათი ათასი თუმნის, ან იმაზე ნაკლები, ობლიგაციების გამოცემა. — ამ ობლიგაციებს კერძო პირები ბანკის ბილეთით ყიდულობენ, ამიტომ რომ ობლიგაციას გირაოს სახით აქვს ყველა ბანკში დაწინდრებული მამულები.

„ობლიგაცია“ სხვა და სხვა ნაირი არის. ზოგიერთ ბანკებს ნება აქვს გამოსცეს ობლიგაციები მამულების დაგირავებამდინაც. სხვა ბანკს მხოლოდ იმდენი ობლიგაციების ნებას აძლევენ, რამდენისაც მამული აქვს დაგირავებული; ზემოხსენებულ ბანკებს კი პირდაპირვე უფლებას აძლევენ, ათასი, ან ორი ათასი, ერთი სიტყვით, რამოდენიც დაწესებული იქნება, იმდენი ობლიგაციები გამოსცენ. მაგიერათ ამისთანა ბანკი სულ სხვა წესზეა გამართული: ეს ბანკები იმით გაირჩევიან სხვებისგან, რომ რომელიმე მხარის, ან მაზრის, საზოგადოება თავისი მამულებით პასუხისმგებელი არის ამ ბანკის ვალეზე. — ამ ბანკებს საზოგადო ბანკები ქვიათ (общественные банки).

„ამას რომ მკითხველი შეიტყობს, მაშინვე შებრალებით გაიღიმებს და იტყვის:— „მამა უტხონდა იმათ, მე, რალაც ბანკია, იმის თავდებათ დავდგე ჩემი მამულით! რასაკვირველია!“

„ნუ აჩქარდები, მკითხველო, ის ფული, რომელსაც ბანკი საზოგადო თავდებობით შეაგროვებს, ბანკის ხელიდან მარტო მაშინ გადის, როცა გამტანს ძალიან მტკიცე და საღი მამული შემოაქვს საწინდრათ. მაშასადამე, ნამდვილი თავდები — დაწინდრებული მამულებია, და არა მთელი საზოგადოება. თუ საზოგადოება ხეირიან წესდებულებას მისცემს ბანკს და სინიდიხიან, მცოდნე კაცებს ჩააპარებს ბანკის თაობას, თუ მამულები პატიოსნათ იქნებიან დაფასებული, საზოგადოებას გროშიც არ გადახდება, და მისი თავდებობა უბრალო წესი, ფორმა, იქნება.

„რუსეთში და სხვა ქვეყნებში ამ უკანასკნელ დროს ძალიან ბევრი საზოგადო ბანკები იმართება. ეს გასაკვირველი საქმე არ არის, იმიტომ რომ ამ ნაირი ბანკი ძალიან ადვილი დასაარსებელია და ძლიერ სასარგებლოა, როგორც ფულის პატრონებისთვის, აგრეთვე ვალის ამღებლებისთვის: მაგნაირი ბანკი დიდ ფულს არ თხოულობს დასაწყისში, და არც თავის მოვალეებს საქმეს უჭირვებს, როცა ვალის გადახდის ბორჯი დგება; ამ შემთხვევაში იმას ადვილათ შეუძლია ხელ-მეორეთ დაგირავების ნება მისცეს გაჭირვებულ მოვალეს.

„ამისთანა ბანკების საშუალებით, ფულით ღარიბი მხარე სხვა მხარის მცხოვრებლებიდგან იათ ფასათ შოულობს სასესხებელ ფულს;

ისეთი საშვალეებითვე მამულის მეპატრონეების ხელში რჩება მათი მამული, რომელიც უიმისოთ ძალიან მალე გადავიდოდა ვაჭრების ხელში. აი ეს ორი მიზეზი ავრცელებს ქვეყანაზე ამ ნაირ ბანკებს და აბედინებს საზოგადოებას ერთმანერთის თავდებთ დადგომას. — მართალია, ჭკუიან, წინ დამხედველ და გონიერ საზოგადოებისთვის ეს, გაბედვა კი არაა, ძალიან ნათელი ანგარიშია. მაგრამ ჩვენებურ საზოგადოებაში კი სწორეთ გაბედვა ქვია ამ საქმის თაობას“.

ეს იყო დაბეჭდილი „დროებაში“. ესლა ჩვენ აქ რამდენიმე შენიშვნა კიდევ უნდა დაუმატოთ „დროების“ სტატიას, რომ ბანკის საქმე უფრო ნათლათ დავანახოთ ჩვენ მკითხველებს.

საზოგადოროთ რომ თქვას კაცმა, „ბანკს“ მარტო იმ ადგილს, იმ დაწესებულებას ეძახიან, სადაც ფულების შენახვა და ცრტა ხნით სესხება შეიძლება. იმ ქვეყნებში, საცა დიდი ალებ-მიცემაა გამართული, თითქმის ყოველი მწარმოებელი (ფაბრიკანტი), ყოველი ვაჭარი და მეპატრონე ისეთ მდგომარეობაშია, რომ დღეს ათასი თუმნობითა აქვს ჯიბეში, ხვალ კი ასი გროშიც არა აქვს და ზეგ კიდევ უწინდელზე მეტი შემოჟღის. ამისთვის, რასაკვირველია, ძნელია, რომ რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში ფული ჯიბეში უსარგებლოთ ედვას; ათასჯერ უფრო ძნელია მისთვის, რომ დაჭირების დროს საკმაო ფული არ მოეძეოდეს და შოვნაც ეძნელებოდეს. ამის გამო, იმ ადგილებში, საცა დიდი ალებ-მიცემაა, საცა, მაშასადამე, ერთ პირს მუქთად ფულის შენახვა ეძნელება და მეორეს უფულობა აწუხებს, იმ ადგილებში მოიგონეს ისეთი დაწესებულება, სადაც ფულის პატრონს შეაქვს ფული მოკლე ან გრძელი ვადით და საიდანაც ფულის მაძიებელს აგრეთვე მოკლე ან გრძელი ვადით ფული გამოაქვს. ამისთანა დაწესებას დაარქვეს სახელათ „ბანკი“ ვთქვათ ჩემ მეზობელს მართებს ჩემი ასი თუმანი, ერთი თვის ვადით, და მე თვითონ დღეს ან ხვალ ფული მჭირდება; მე მივდივარ ბანკში, და ვთხოვ — აი ეს ჩემი მეზობლის თამასუქი მიიღეთ, მე ფული მომეცით, და თქვენ იმას გამოართვით ჩემთვის მოსაცემი ფული. თუ ბანკი მე და ჩემ მოვალეს საღ კაცებათ გვიცნობს, ის მე მაშინვე მიხდის ჩემი მეზობლის ვალს, და თავის დროზე იმას ახდევინებს ფულს, რასაკვირველია, რომ ერთი თვის სარგებელი, რომელიც მე ჩემი მეზობლიდან უნდა მიმელო, ბანკს მოგებათ რჩება. ანა და, მე მაქვს ბანკის ბილეთები, ან სალი აქციები და ობლიგაციები, მაგრამ ნაღდი ფული მჭირდება. მე მიმაქვს ეს აქციები, ბილეთები და ობლიგაციები ბანკში და ვაძლევ იმათ გირაოთ; ბანკი მე ნაღდ ფულს რამდენიმე ხნის (უფრო ხშირათ სამი თვის ვადით) მაძლევს, და მახ-

დევინებს ნასესხი ფულის მხვედრ სარგებელს. — აგრეთვე, როცა მე ნაღდი ფული მაქვს, რომლის დახარჯვა მომიხდება მე, ვთქვათ, ორი თვის შერდევ, მე ვაძლევ ამ ფულს ბანკს, და ვახდევინებ იმას მის სარგებელს. — საქიროების დაგვარათ, მე შემიძლია, იმ ფულებიდან, რომელიც ბანკში შეტანილი მექნება, ვხარჯო წვრილმანათ, რაც მომიხდება, და მაშინ ბანკი მე ჩემგან დანახარჯი ფულის სარგებელს გამომირიცხავს და ისე მიანგარიშებს, რომ სარგებელი მარტო იმოდენა ხნისა მომცეს, რამდენი ხანიც ჩემი ფული ბანკში იმყოფებოდა.

ადვილათ მისახდომია, რომ იმისთანა ქვეყანაში, სადაც დიდი ვაჭრობა, წარმოება, ალებ-მიცემა არის, ფულიც ძლიერ ხშირათ და მალ-მალე გადადის ერთი ხელიდან მეორეში, და ბანკშიაც ხშირათ შედის და გამოდის. აგრეთვე ადვილი გასაგები ისიც არის, რომ იმისთანა ბანკს, რომელიც ამ გვარ საქმეებს შვრება, დიდი თანხა და თავნი არ სჭირია. დღეს ის ჩემგან შეტანილ ფულს ჩემ მეზობელს ასესხებს, ხვალ — ჩემ მეზობლიდან მოცემულ ფულს მე დამიბრუნებს, და ამ საქმეში თვითონ სარგებლობას მიიღებს. თავისი ფული იმოდენა თუ ექნება, რაც დასჭირდება გადასახდელათ რამდენიმე კოტრის მაგიერათ, — მეტი ამნაირს ბანკს არა სჭირია რა, და მისი საქმე ჩარხსავით ტრიალობს, ნდობაზე და ყველას საქმის გაადვილებაზე.

მაგრამ, ყველა კაცი ვაჭარი და ალებ-მიმცემი ხომ არ არის; ყველას იმისთანა საქმეები ხომ არა აქვს, რომელშიაც დღეს ათასი თუმნობით შემოუღდის ფული და ხვალ ორი იმოდენა ეხარჯება და სჭირდება. არიან ისეთი პირები, რომელთაც ფული ბლომათ აქვთ და სულ არ სჭირიათ; არიან იმისთანებიც, რომელთაც ფული ნიადაგ სჭირიათ და არასოდეს კი არ აქვთ. არიან ადგილ-მამულის მეპატრონეები, რომელთაც ფული სჭირიათ ქარხნის გასაშენებლათ, ან სახლის დასადგამათ, ანდა მზითვის გასაცემათ, ან თუნდ წაგებულ პროცესის ფულის გადასახდელათ. იმათ აქვთ გვარიანი ადგილ-მამული, რომელსაც გვარიანათ შემოაქვს პური, ან ღვინო, ან სხვა მოსავალი; მაგრამ ფულათ ფული კი არ აქვთ. აი, ამისთანა პირების სასარგებლოთ მოგონილია სულ სხვანაირი დაწესებულება, რომელიც თითქმის სრულიადაც არ ჩამოგავს ზემო აღწერილ ბანკს, და რომელსაც საზოგადოთ „ადგილ-მამულის კრედიტს“ (Credit Foncier, поземельный кредит) ეძახიან, რადგანაც ამ დაწესებულებას ესესხებიან ისეთი პირები, რომელთაც კარგი მამული აქვთ, მაგრამ ფულათ-ფული კი ძვირათ ეპოებათ, და რომელნიც ფულებს იშვიფათ და ცოტ-ცოტათ შოულობენ. უეჭველია, რომ იმათზე გავალე-

ბული ფულის მოკლე-ხანში დაბრუნების იმედი ამ დაწესებულებას არ უნდა ექნას. იმან კარგათ უნდა იცოდეს, რომ გასესხებული ფული თუთხმეტი, ოცი წლობით მაინც დაბრუნება ვალის ამღების ხელში, და თუ გადაიხდებუ თითო-ოროლა გროშობით, რამდენიმე წლის განმავლობაში. ამის გამო, ამგვარი დაწესებულება მარტო მაშინ ხარობს, იმას მარტო მაშინ მოაქვს სარგებლობა, და მარტო მაშინ აქვს გრძელი სიცოცხლე, როცა შეუძლია ძლიერ დიდი ხნის ვადით გაავალოს ფული და იმ ფულის დაბრუნებამდე თითონ სული არ ამოძვრეს.

ამნაირათვე ცხადია, რომ რაც უფრო მეტია რომელიმე ქვეყანაში იმისთანა პირების რიცხვი, რომელთაც ადგილ-მამულის მეტი არა მოეძევათ რა, და ფული კი სჭირიათ სასესხებლათ, მით უფრო მეტი ფული უნდა ჰქონდეს „კრედიტი“, რომ მარტო ორიოდვე პირს კი არ ავალებდეს, ერთნაირათ სარგებლობას აძლევდეს ყველას, ვისაც კი მისი დახმარება სჭირია. და რადგანაც ამ გვარმა დაწესებულებამ დიდხანს უნდა უცადოს ფულის დაბრუნებას და დიდ-ძალ რიცხვს უნდა ასესხოს ფული, ცხადია, რომ იმას ძლიერ დიდი სერმია, დიდი თანხა უნდა ჰქონდეს.

ეხლა, ვგონებ, საკმაოთ უნდა ჩნდეს განსხვავება ამ ორ დაწესებულებებს შუა, და ის აზრიც, რომ ჩვენ საზოგადოებას, ჩვენ ხალხს და ჩვენ ქვეყანას სჭირია „კრედიტი“, რომელიც გრძელი ვადით იძლევა ფულს, და არა „ბანკი“, რომელიც ვაჭრული ანგარიშით მარტო რამდენიმე დღის ვადით უწყობს კაცს ხელს. ჩვენი ალებ-მიცემა ჯერ მეტის მეტათ თოთოა და არც იმისთანა სახლის შვილია, რომ დიდრონი საჭიროება ადგეს. — ჩვენი საზოგადოება და ხალხითუ სესხს, ფულს იზოვის, მალე მის დაბრუნებას ვერ მოახერხებს, და იმას გულდაგული მტერის მეტი არავენ ურჩევს, რომ იმისთანა დაწესებულებებისგან ან პირისგან ისესხოს ფული, რომელიც ორიოდვე თვის ან წლის მეტს ვერ ადროვებს, და მერმე ყელში ხელს წაუჭერს. ამისთანა გარემოებაში მოკლე ვადით ფულის სესხება, სიკეთე კი არა, დაღუპვა იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის, და ამ საზოგადო დაღუპვის დამზადება იქნება იმისთანა ბანკის დაარსება, რომელსაც გრძელი ვადით ფულის გასესხება არ შეეძლება. მაშასადამე, ჩვენ გვჭირია მარტო ხანგრძლივი კრედიტი, რომელმაც გრძელი სესხით უნდა ჩაუდგას სული ჩვენი ადგილ-მამულის პატრონობას, ესე იგი, მთელ ჩვენ ქვეყანას. — ამიტომ რომ ადგილ-მამულის მეტი ჩვენი ქვეყანაზე არაფერი მოიძევა.

მაშ, იმ დაწესებულებას, რომელმაც ფულის სესხით ხელი უნდა გაუწყოს ჩვენებურობას, უნდა ჰქონდეს ძლიერ ბევრი ფული; იმას სრულიადაც არ გამოადგება იმ ბანკების მაგალითი, რომელნიც მოკლე ვადიან სესხს არიგებენ და მცირე თანხით კმაყოფილდებიან. ეს კანონი ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ.

ეხლა ჩვენ იმის გამოკვლევას უნდა შეუდგეთ, თუ საიდან და როგორ უნდა იზოვოს „ძლიერ ბევრი ფული“ იმ დაწესებულებამ, რომელსაც ჩვენ აღდგომის კვერცხსავით შევჩერებდით, ესე იგი, ჩვენმა ბანკმა?

ჩვენ ქვეყანაში ფული არ არის. — ეს, თუმცა სამწუხარო ჭეშმარიტებაა, მაგრამ მაინც ჭეშ-მა-რი-ტე-ბა-აა. ჩვენ ქვეყანაში რაც ფულია, ის ჩვენ საკუთარ მოთხოვნილებას, ჩვენ ძუძუ-მწოვარ აღებ-მიცემას და ცხოვრებას არ ყოფნის. მაშასადამე, ჩვენ ბანკს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ აქ, ჩვენ ქვეყანაშივე, იზოვის იმ ფულს, რომელიც სჭირია ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილს. ეს ფული ბანკმა უნდა გააჩინოს, ესე იგი, მოგვევაროს საიდანაც მოახერხებს, შორიდან თუ ახლოდამ, როგორც იმას და ჩვენ უფრო ხელს მოგვცემს. მაშასადამე, ჩვენი ბანკის პირველი ნაბიჯი, პირველი ხელის განძრევა იმაში მდგომარეობს, რომ მოიწვიოს ფული, დაანახვოს ფულის პატრონებს, რომ იმათი ფული იმათ სარგებელს მისცემს და არც დაიკარგება, ადგილ-მამულის გირაოთი რომ გასცენ. პოლიტიკური ეკონომიის ენით ამ საქმეს „ადგილ-მამულის დახურდავება ჰქვია“. ეს იქნება ჩვენი ბანკის პირველი და უმთავრესი საქმე.

მაგრამ, რა ნაირათ უნდა მოახერხოს ჩვენმა ბანკმა ეს საქმე, რა გზით უნდა შეასრულოს ეს მოვალეობა?

უეჭველია, რომ, რაკი ჩვენ „ბანკს“ ბევრი ფული დასჭირდება, და ჩვენ ქვეყანაში ფული ბევრი კი არა, ცოტაც არ მოიძიება, ბანკმა ფული სხვაგან უნდა ეძებოს. ბანკს შეუძლია იმედი ჰქონდეს: 1) კერძო პირებისგან შესანახავათ შემოტანილ ფულზე; 2) თავის საკუთარი ჩაღალდების (ობლიგაციების, გირაობის ფურცლების და სხვა ამ გვარი საშუალების) ფულათ გასაღებაზე; 3) გავალებული ფულის შემოსვლაზე და მის სარგებელზე, და 4) თავის საკუთარ თანხაზე, რომლის ოდენა (თითქმის) ფული ხელუხლებლათ შენახული უნდა ჰქონდეს მოულოდნელ — შემთხვევებისთვის. ჩვენებურ ბანკს, ისეთს, როგორც სჭირია ჩვენს საზოგადოებას, კერძო პირებისგან შემოტანილი და გასესხებული ფულის შემოსვლის იმედი არ უნდა ჰქონდეს — ეს ყველასთვის ცხადია. თავისი საკუთარი სამასი ათასი მანეთი იმან ყოველ-შემთხვევისთვის შენახულ თანხათ უნდა იქონიოს.

დარჩა, მაშ, ქალაქდების გასაღება, რომელიც უნდა მოხდეს, ჩვენში კი არა, იმისთანა ადგილებში, სადაც ფული ბლომათ და იაფათ არის; იმისთანა ქვეყნებში ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ძლიერ ნაკლებათ გვიცნობენ, და ამის გამო, უფრო ნაკლებათ გვენდობიან. მაშასადამე, ჩვენს ბანკს ისეთი საშუალება რამ უნდა ჰქონდეს, რომ ერთბაშათ სხვა ქვეყნებში დიდი ან გვარიანი მაინც ნდობა გაიკეთოს, რომ ბლომათ და იაფათ შეეძლოს ფულის სესხება ან შოვნა და ჩვენსკენ წამოღება. — იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოება ხეირიან გაწყობილებას და ცხოვრებას დიდი ხანია ღირსებია, გძელ-ვადიან ბანკს საკმაო გარანტიათ ისიც ეყოფა, რომ ბევრი მამულეები აქვს დაგირაფებული. ამისთანა ბანკს (კრედიტს) ფულიანი კაცი ადვილათ ანდობს თავის ფულს, იმ იმედით, რომ თუ ბანკს ვალის ამღებმა ფული არ გადაუხადა, ბანკს შეუძლია მისი მამული გააყიდოს და აღებული ფულით დააკმაყოფილოს თავისი მოვალეები. მაგრამ ჩვენში, საქმე სულ სხვანაირათ არის. შორებელი ფულის პატრონები როდი დარწმუნდებიან, რომ ბანკი საკმაოთ საფუძვლიანი იქნება და საფუძვლიანათ გადაიხდის თავის ნასესხ ფულს იმათთვის მეტი რამ არის-საჭირო, ისეთი, რომ ერთბაშათ დააჯეროს ბანკის სიმტკიცეში და-ერთბაშათვე დააფუძნოს მათ გულში ბანკის და მაშასადამე — ჩვენის საზოგადოების ნდობა.

ამ ნაირ საშუალებათ გამოდგება მარტო მთელი საზოგადოების თავდებობა ბანკისთვის. შორებელი ფულის მეპატრონე ათასჯერ და ათი ათასჯერ უფრო ადვილათ ენდობა მთელ მხარეს, ვინემ ერთს რომელსამე მილიონერს, ამიტომ, რომ მილიონერი შეიძლება ორ დღეში გაკოტრდეს, და მთელი მხარე კი თავის დღეში არ კოტრდება; შიგ ზოგიერთი მდიდრდება, ზოგიერთი ღარიბდება, მაგრამ მხარე ისევ იმისთანა მხარეთ რჩება, როგორც წინეთ იყო, თუ უფრო მდიდარი არა. რისთვის აქვთ სახელმწიფო ბანკის ან უბრალო კრედიტის ბილეთებს დიდი და ყოველგანი გასავალი? რისთვის ენდობა მათ კაცი არა თუ ჩვენში, მაგრამ ევროპაში, ამერიკაში, ერთი სიტყვით, ყველგან? ამიტომ რომ იმ ბილეთების თავდები არის მთელი სახელმწიფო, ესე იგი, შენ, ჩემო მკითხველო, მე, ჩემი მეზობელი, შენი მოყვარე, ერთი სიტყვით, ყველანი, ვინც კი ჩვენს სახელმწიფოში ვართ. ამის მსგავსათ არის ყოველგან, და ყოველგანვე მთელ საზოგადოებას უფრო დიდი ნდობა აქვს, ვინემ ძლიერ მდიდარ ფულის პატრონს.

ჩვენში ძლიერ ერიდებიან ამ საზოგადოების თავდებობას და ძლიერ ეშინიათ მისი. მაგრამ სხვაგან, საცა კი უსინჯავთ ეს საქმე,

არავის საყვედური არ განუცხადებია მის დაარსებაზე და წარმოებაზე. ცხადია, როგორც წელან იყო ნათქვამი, რომ თუ ბანკი თავის ნასესხს ფულს უფირაოთ არ გასცემს, იმ პირებისთვის, ვისგანაც ბანკი ფულს ისესხებს, გირაოთ მარტო ის მამულები იქნება, რომელიც დაწინდრებულთ აქვს ი ვითონ ბანკს. თუ ფულის ამღებმა დროზე თავის ვალი არ გადაიხადა, ან სარგებელი არ შემოიტანა, ბანკს შეეძლება მისი საწინდარი მამულის გაყიდვა და აღებული ფულის შენახვა თავისი საკუთარი ვალის გადასახდელათ. სხვა გასავალი, სხვა ხარჯი ჩვენ ბანკს არ უნდა ჰქონდეს, და თუ ექნება, მარტო ისეთი, უნდა იკისროს, რომელიც ყოვლის უეჭვოთ ფულს ასარგებლებს, მაგრამ ისე კი, რომ ამ სარგებლობაში თვითონ ფული არ დაიკარგოს. და თუ ბანკის საქმე გონიერათ იქნება წაყვანილი, რა ზიანი და უბედურება დაემართება ბანკს ისეთი, რომ მისი ვალუბის გადახდა საზოგადოებას დაატყდეს თავზე?

ჩვენ ბანკს ამის მეტი არა სჭირია რა, — ესე იგი დიდი და ძნელი — მის მეტი იმას განსაცდელი არა მიაღება რა. მართალია, იმას დასჭირდება ჩინებული მოანგარიშეები, მეტის მეტათ პატიოსანი უმანკო თავი, კეთილ-სინდისიანი დამფასებლები, მაგრამ თუ ესეც ძნელი საშუარია ჩვენში, სულ მთლათ ამოვარდნილი და გლახაკები გყოფილვართ, და მაშინ ან ბანკს რათ ემართავთ, ან სიტყვა-პასუხს რაზე ვხმარობთ? ეს საქმე თითონ საზოგადოების ხელში იქნება. იმაზე იქნება დამოკიდებული სანდო და ხეირიანი პირების ამორჩევა. ბანკის მმართველისთვის, და თუ უხეიროებს ამოირჩევს, ვაი მის გუნებას და ბედს. და, თუნდ თავდაპირველათ ძლიერ კარგები არ ამოირჩიოს, შემდეგში მაინც ისწავლის ჭკუას, გამოიცდება და დახელოვნდება, ამიტომ რომ სრული გამოცდილება და ცოდნა ადამსაც არ დაჰყოლია, როცა ის გამჩენის ხელიდგან გამოვიდა. ყოველი საზოგადოება, როგორც ყოველი კერძო პირი, ჭკუას და გამოცდილებას იჩენს საქმეში, ცხოვრებაში. მაშ, ბანკის თაობაზედაც ის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, თუ გინდ, პირველათ მისი საქმე ძლიერ კარგათ არ წავიდეს, დასაწყისის გამოცდილება შემდეგისათვის გზას გაგვიადვილებს....

მაგრამ აქედან მკითხველმა ის კი არ უნდა გამოიყვანოს, რომ დაე, როგორც იყოს ბანკი, დავაარსოთ, და მერმე როგორც იქნება მოუვლით და გავაუმჯობესებთო. გაუმჯობესება, გამოკეთება მარტო იმისი შეიძლება, რასაც ცხოვრების სული უდგია. მკვდრათ დაბადებულ ბავშვს, რამდენიც უაროთ და ეფეროთ ვერ გააუმჯობესებთ და სულს ვერ ჩაუდგამთ, ათასი წელიწადიც რომ ეფეროთ. ბანკიც

ჩვენ სულდგმული და ჯანმრთელი თუ არ დავაარსეთ, მერმე მისი გამოკეთება ჯაინოზ-ექიმსაც აღარ შეეძლება. და მისი ჯანმრთელობა დამოკიდებულია სამ საფუძველზე:

1) ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ის დაწესებულება, რომელსაც ევროპაში და რუსეთში ბანკს უძახიან, ჩვენ სრულიადაც არ გამოგვადგება ჩვენ სჯაში ამ საქმის თაობაზე, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბანკათ ჩვენში მარტო ის დაწესებულება გამოდგება, რომელსაც ჰქვია სახელათ ადგილ-მამულის კრედიტი.

2) ჩვენ ბანკს ძლიერ ბევრი ფული დასჭირდება, რომლის საშოვრათ აუცილებლათ საჭიროა რომ ბანკს ჰქონდეს საზოგადო თავდებობა.

3) ჩვენი ბანკი მხოლოდ მაშინ გამოადგება ეხლანდელ ადგილის-მეპატრონეებს, როცა ისინი ნასესხი ფულით თავიანთ მამულს გააუმჯობესებენ, ესე იგი, იმ ფულს იმ რივათ მოიხმარებენ, რომ მამულს უწინდელზე მეტი შემოჰქონდეს, იმოდენა მაინც, რომ მომეტებული შემოსავალი ნასესხი ხულის სარგებელს გადააჭარბებდეს. ამ საჭიროებისთვის საჭიროა ცოდნა, თუ რა და რა მოუხდება მამულს, როგორი პატრონობა და მოვლაა მისთვის საჭირო, საიდან და რისაგან შეიძლება სარგებლობის პოვნა და სხვა. მაგრამ ეს უკანასკნელი საგანი ბანკის საქმეს აღარ შეეხება.

საწყალი ბანკი

ვთქვათ — ახალ წელიწად-დღეს არაკით ლაპარაკი მიღებულა — ვთქვათ მოვიდა შენთან, მკითხველო, ოთხიოდე შენი ნაცნობი და გთხოვა ერთი წყვილი წალა შეგვიკერეო. რას ეტყვი შენ ამ ნაცნობს? დაფიქრდები დიდხანს, სანამ ამ სიტყვებს ეტყვი:

— ძმობილო, მამა არ მყოლია ხარაზი და მე თითონაც, წალის კერვა კი არა, დაკერებაც არ მისწავლია; თუ ხეირიანი წალა-გინდა, წადი და ხარაზს შეუტყვეთ.

ხომ ამას ეტყვი იმ ახირებულ ნაცნობს და ხომ შენს დღეში აზრათაც არ გაგივლებს თავში იმნაირი შრომის კისრება, თუ მართლა და ნამდვილათ ხარაზის ხელობა ზედმიწევნით არ გისწავლია?

ხარაზობა იქით იყოს, ქულის ან ტანისამოსის შეკერვა რომ გთხოვოს ვინმემ, ან მიწის დაბარვა, ან ჭის მოთხრა, ან — თუნდ — ცეკვა, ხომ ყოველთვის ერთნაირი პასუხი და აზრი გექნება — არ მისწავლია, ძმაო, არ ვიცი, ვერ ვიკისრებო?

ხომ, როგორც შენ თვითონ თავიდან იცილებ იმ გვარ შრომას, რომლისთვისაც მომზადებული არა ხარ, სხვასაც დაუძრახავ, თერძობას, თუ თერძი არ არის ან ღურგლობას, თუ ღურგლობა არ უსწავლია?

მაშ ეხლა ეს მითხარი, თუკი ჩვენში არავინ არც ხარაზობას, არც ღურგლობას, არც თერძობას იკისრებს, თუ ეს ხელობა არ იცის და არ უსწავლია, რითი აიხსნება ის უცნაური გარემოება, რომ ყოველთვის, როცა კაცი მოგანდობს შენ ათასჯერ უფრო ძნელ შრომას, საქმეს, ჯაფას, შენ სუბუქი გულით და დამშვიდებული სინიღისით ამ შრომას და საქმეს კისრულობ, მისი ასრულების მოვალე ხდები, და იმას კი არაოდეს კითხულობ, თუ რა საქმე და რა შრომს მოგენდო, იცი მისი ასავალ-დასავალი, მისი გარემოება, მისი ხასიათი, და შეგეძლება მისი არა თუ ასრულება, გაგება, გამოკვლევა და დაფასება?

რით და როგორ ავხსნათ ის გარემოება, ნავალითად, რომ წაღის შეკერვის უარის მყოფელი კაცი კისრულობს, ვთქვათ ბანკის დაარსებას, ან მთელი საზოგადოების, მთელი მხრის და ხალხის ბედის გაწყობას?

ერთი დრო იყო, როცა ჩვენში არც ბანკზე იყო ლაპარაკი, არც ერობაზე, არც სასწავლებლებზე. იჯდა მებატონე თავის ოდაში, ჰკრეფდა ბეგარას, სვანდა, ჭამდა, და ხანდისხან, გასართობათ, ან ნალირობდა, ან ქალაქში ჩამოდიოდა მთავრობის დასანახავად და თავის თავის გამოსაჩენათ. იმ დროს ამ ბედნიერ მებატონეს საქმეთ მართო ის მიაჩნდა, როცა თფილისში ნამყოფი გლეხი იმას თავისუფლების ძიებას დაუწყებდა, ან მეზობელი ორიოდე ქცევა მიწას შოსტაცებდა. ვინც იმას მაშინ იმისთანა „მაგარ“ არხას და აპელაციას დაუწერდა, რომ ქალაქს „ქვა გაეხეთქა“ და „საქმე“ მოეგო, ის მისთვის ჰკვიანიც იყო და ნასწავლიც, და გონიერებით, ჰკუთით, ცოდნით, მის თვალში, არისტოტელს თუ არა, პლატონ ფილისოფოსს ზომ უდრიდა. მეტი ცოდნა, სხვა ნაირი სწავლა მაშინ არავის სჭიროდა, არავის გამოადგებოდა...

ამ დალოცვილ დროში გამოგვიდგა ჩვენ ხუთი-ექვსიოდე მეცნიერი. მათი სწავლა — თუ ამას სწავლა ჰქვია — იმაში მდგომარეობდა, რომ უეზდის სასწავლებლის პირველი ან მეორე კლასიდან ისინი უეზდის სასამართლოში მწერლათ გადადიოდნენ, და იქ ექვსი ან რვა წლის განმავლობაში ხან მელანში ბუზებს არჩობდნენ და ხან უფროსის ჩექმას სწმენდნენ. ზოგი ძველი სეკრეტრების მიბაძვით, ზოგი ძველი არზების კითხვით, გაეჩვიენ აპელაციების წერას და დაიწყეს გავლენის შექმნა ჩვენ ბნელ საზოგადოებაში, რომლისთვის მათ ღვაწლს, მართალი რომ თქვას კაცმა, არც ერთი იოტის ტოლი სარგებლობა არ მოუტანია, იმიტომ რომ ისინი ერდს სძენდნენ იმას, რასაც მეორეს აკლებდნენ. მაგრამ, კარგათ იყო თუ ავით, სწერეს ამ კაცებმა აპელაციები მთელი ორმოცი წლის განმავლობაში და შეიძინეს დიდი მეცნიერების სახელი და გავლენა.

დროთა ვითარებამ ჩვენი ბედი ისე შესცვალა, რომ ჩვენ საზოგადოებას მართო აპელაციების წერა კი არა, სხვა რალაც „პროექტების“ წერაც მოეთხოვა. ეს პროექტები ხან გლეხების, და აზნაურების გაწყობილებას შეეხებოდნენ, ხან საზოგადოების მდგომარეობას, ხან ბანკს, ხან სწავლას, ხან რასა და ხან რას. და ამ მძიმე და დაბურდულ საგნებზე, რომლების განხილვა გაძნელებია ევროპის ჩინებულ მეცნიერებს, რომლებზე თავს იტყვენ პირველი მოაზრენი,

დღეს ჩვენში პროექტებს სწერენ ეს ჩვენი კანცელარიის მეღანში გათხიპნული ბუზები.

ნეტა თუ იმათგან ვისმე აზრათ მოსვლია თავის გულში ჩახედვა, ან ნეტა სინდისიანათ თუ განუხილავს — ერთი მისხლის ტოლა მაინც გაეგება, თუ რა საქმეს კისრულობს, რა შრომას ჰპირდება საზოგადოებას, როცა ამნაირ მძიმე საგნების თაობას იღებს, როცა ამისთანა საქმეში ეჩრება? სად იყო გული, სინდისი!.. საზოგადოებას ჩვენ ბრძნებათ, მეცნიერებათ მივაჩნივართ, როგორ გამოეტყდეთ, რომ ჩვენ ეს საქმე, ან რომელიმე საქმე არ გვესმის, როგორ აღვიაროთ, რომ ვიღაც ბავშვებს კი ესმისთ ეს საქმე და ჩვენ არა! დაიფუშოს კეთილი საქმე, დაიღუპოს მთელი ქვეყანა, ოღონდ კი ის არავინ გაიგოს, რომ ჩვენ ბრძენები და მეცნიერები არა ვართ!

აი, როგორ უკისრნიათ ჩვენ ბრძენებს, სხვათა შორის, ბანკის გამართვაც.

რაკი ვნახეთ, თუ როგორ აიღეს იმათ ეს საქმე, ვნახოთ ალების შედეგი როგორია.

ექვსი წელიწადი იბზუეს იმათ კუთხე-კუთხე, თითო-ოროლათ, თითქო საქმეს არიგებდენ. ბზუილი, ენის მიტან-მოტანა, მზადება, წაყრუება — ბევრი იყო, მაგრამ საქმე მაინც არ კეთდებოდა. დღეს, როგორც იქნა, მორჩა ბერი ცხონებას, გადარჩა ჩვენი დედოფალი, და მისი პირმშო ვაჟის მნახავი, მე ავწერ მის სიმშვენიერეს, მის აგებულებას, ძალას და სიდიდეს.

აი, სიტყვა სიტყვით, რა პროექტი მომივიდა იმ დღეს ქუთაისიდან. მისი გამომგზავნელი მწერს, რომ ერთ „მეცნიერთან“ ვაგონში ერთად ვიჯექიო, და იმას ქუთაისის სადგურზე მატარებელში ქალაქდები დარჩაო; რადგანაც მისი სახელი და სადგომი არ ვიცო „დროებაში“ გამოაცხადე, ვისია ეს ქალაქდებიო და ვინც მოიკითხოს, გაუგზავნეო.

როცა მე ეს ქალაქდები გადავარჩიე, იქნება შიგ დამწერის სახელი და სადგომი ჩაწერილი იყოსთქო, შიგ რუსულათ დაწერილი პროექტი დამხვდა, და მე მისი დაბეჭდვა ვარჩიე, მისი დამწერი უფრო ადვილათ იცნობს თავის დაკარგულ საუნჯეს, და უფრო მალე შოიკითხავს იმას რედაქციისაგან.

აი ეს პროექტი, რომლისგანაც ჩვენ სიტყვა სიტყვით ვბეჭდავთ პირველ ორ ფურცელს; შიგ ჩვენ წერტილების და შეცდომით ნახმარი ასოების მეტი არა ვაგვისწორებია რა, და არც არა ჩავვიმატებია.

Проект устава Кутаисского Дворянского Банка

Глава 1

Общие основания

1. Цель основания Кутаисского Дворянского банка состоит в приятном препровождении времени благородным сословием Кутаисской губернии.

Примечание а): избалованные в шулерстве лишаются права закладывать банк.

Примечание б): лица неблагородных сословий к участию в банке допускаются не иначе, как под прикрытием и за гарантию туги набитых кошельков.

2. Банк закладывается в г. Кутаисе, с свободным капиталом, остающимся в наличности после сведения счетов за прежние кутежи.

Примечание: Буде основной капитал сей, по сведении счетов окажется не превышающим 10 руб. сер., основание банка откладывается до более благоприятного времени.

3. К участию в банке допускаются пайщики, наличная ставка которых именуется впрямь акциею. Долг партнера (пайщика) банку, невыплаченный им наличными деньгами, называется облигациею.

4. Делами банка управляет банкومت, которому предоставляется титул директора банка.

5. Операции банка заключаются в приеме ставок и вкладов, в выдаче дивидендов и выигришей, в учете кредитных бумаг и в ведении текущих счетов.

Примечание: С согласия директора банка допускается также и выдача ссуд под залог часов, колец, экипажей и даже недвижимых имуществ.

6. Учет векселей за двумя подписями лиц известных директору за исправных кутил допускается лишь с его согласия; но кредитные билеты могут быть учитываемы во всякое время без всякого ограничения.

7. Текущие счета партнеров ведутся лично самим банкومتом (директор тож)

8. Трансферты и транспорты в текущих счетах допускаются с кушем, либо без онаго.

9. Банк за перевод денег из одних рук в другие никакой особой комиссии не взывает.

10. Переводы денег допускаются в форме прямых и первых мандатов, либо в форме углов, на пе, перепе, обоуга, плие, мирандолей и пр. Подробные условия этих переводов излагаются ниже, в 78 — 95.

11. Операции банка прекращаются на слове „ва-банк“, буде...

გვეყოფა ესეც. უეჭველია, რომ იმ ბრძენს, რომლისთვისაც ამ პროექტის დაწერა მიუზღვიათ, ბანკზე მარტო ის გაგება ჰქონია, როგორიც მოიპოვება ზოგიერთ ჩვენ კლუბებში. მისი აზრით „ბანკი“ და „ვა-ბანკი“ ერთი და იგივე საგანი ყოფილა და უეჭველია, რომ

მის წარსულს, მის სწავლას და გონიერებას სხვის რაიმეს გაგება არ შეეძლებოდა. თუ ღმერთმა ქნა და ამ პროექტის დამწერმა თავისი აზრით ბანკი გამართა, ჩვენი საზოგადოება დიდ სარგებლობას იმაში მაინც ჰპოებს, რომ შემდეგისათვის ხეირიანი წესდება ექნება შტოსის თამაშობისათვის, და უწინდელურათ უთავბოლოთ აღარ წააგებს ამ თამაშში: შემდეგში წაგება დამჯდარი, წესიერი და კანონიერი იქნება.

ეხლა, მკითხველო, მომილოცავს შენთვის ახალი წელიწადი და ახალი ბანკის პროექტი.

1873 წ.

ჭუთაისის ბანკი

ამ დღეებში გადაწყდება ქუთაისში ექვსი წლის გაჭიანურებული, დაუბოლოებელი და თავ-მოუბმელი „ბანკის საქმე“. ამ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია, ჩვენი საზოგადოების აზრით, ჩვენი ქვეყნის მომავალი თუ არა, ჩვენი აზნაურობის ბედი ხომ მაინც. მომავალი ბანკიდან გაკეთებას და სულის ჩადვმას ელის ჩვენი გალატაკებული და ურჩის ვალში ჩავარდნილი საზოგადოება. იმან წელი უნდა გაუმავროს ჩვენ ეხლანდელ აზნაურობას, და მომავალი დაუმზადოს შემდეგ თაობას. იმაზე ბრუნავს მთელი მხარეს იმედი და იმასვე შეჩერებია, მისგან დახსნას მოელის მთელი ჩვენი ქვეყანა.

ჩვენ მწერლობაში ამ საქმეზე რაც სათქმელი იყო, ერთხელ კი არა, ათასჯერაა ვამოთქმული. ახალს ამაზე ჩვენ დღეს ვერას ვიტყვით. ვისაც ამ საქმისთვის ყური უთხოვებია და ვისაც ცოტაოდნათ მაინც საქმის გაგება აქვს, იმას კარგათ ესმის, რომ ბანკს ქუთაისში მარტო მაშინ ექნება მნიშვნელობა და მარტო იმ შემთხვევაში შეძლება ექნება ლოდინის და იმედის შესრულებისა, როცა ის ხეირიან საფუძვლებზე გაიმართება. ყველასთვის ცხადია, რომ იმ საზოგადოებას, რომელმაც ორი-სამი წლის განმავლობაში სრულიად უნამყოფოთ და გაუგებრათ ხუთი მილიონი დაჰფანტა და „დათესა“, ვერაფრათ გამოადგება ოთხასი და თუნდ ხუთასი ათასი მანეთი. ყველა მიმხედარა, რომ თბქმის მთელი ჩვენი აზნაურობა ბანკის გახსნას იმიტომ ნატრულობს, რომ მისგან სესხის აღება შეეძლოს, და ვისაც შიგ ორი-სამი თუმანი აქვს დატოვებული, ის ორას და სამასი თუმნის გირაოს ამზადებს ფულის სასესხებლათ. ბანკის სერმია, ცხადია. იმდენ მასესხებლებს ვერ აუვა. მაშასადამე, აუცილებლათ საჭიროა, თუკი საზოგადოებას თავისი ბანკის დაცალიერება და გაკოტრება არ სურს, რომ სერმიას გარდა იმას სხვა ფულების შოვნაც შეეძლოს, იაფათ და ბლომათ. ამისთვის, ხომ, საჭიროა ნდობის შოვნა იმ კაცებთან, რომელთაც ფული ხელში აქვთ, და ეს კაცები ფულს ჩვენ ბანკს მარტო მაშინ მიცემენ, როცა სერმიას გარდა იმას ჩვენი საზოგადოების გარანტია, ან დაწინდრებული მამულების ურთი ერთი პასუხის გება დაეხმარება.

ეს ისეთი უეჭვო და მტკიცე ქეშმარიტებაა, რომ ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. ვისაც ეს დღეს ჩვენში არ ესმის, იმას ალბათ არაფრის გაგება და გამოკვლევა არ შესძლებია და მათი დარწმუნების ცდა ეხლაც ისე ფუჭათ ჩაივლის, როგორც ამდენხანს ჩაუვლია. დანარჩენებისთვის კი ათასჯერ გამოთქმული დამტკიცებები და საფუძვლები იმდენათ ცხადათ და ნათლათ ხატვენ საქმეს, რომ ბაასის გაგრძელება მათგან თავის მობეზრებათ ჩაითვლება.

მაშასადამე, ჩვენი ბანკი, როგორც ათასჯერ დამტკიცებული იყო, უნდა იქნეს საადგილ-მამულო, დიდ-ვადიანი და ურთიერთი გარანტიის მქონე. უამისოთ ის ვერ გაძლებს, ხუთასი ათასი კი არა, ათი მილიონიც რომ ჰქონდეს სერმიათ. ეს როგორც ვთქვით და როგორც ყველამ იცის, მტკიცე და უეჭვო ქეშმარიტებაა.

მაგრამ ჩვენი საზოგადოების უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ამნაირათ ცხადი და ნათელი საქმე ხელახლავ დაიბურდება, დაიშლება იმ უხეირო თავმოყვარეობის და განხეთქილების გამო, რომელიც ჩვენში სუფევს და რომელმაც ჩვენ დაგვლუბა და სული ამოგვართვა. ის ვერ მიხვდება, რომ სასარცხო როდია, ხეირიანი კაცის და საზოგადოებისთვის, თქმა, ესა და ეს საქმე, ესა და ეს საგანი გაცნობილი არა მაქვსო, არ მესმისო, და მცოდნე კაცთან მიმართვა უცნობი საქმის ან შრომის გასაკეთებლათ. ის ვერ გაიტანს ბოლოს ამ მომავლიან საქმეს, რომელზედაც მისი შვილების ბედია დამოკიდებული, და რამე უხეირო ბაასით ან წვრილმანი „კულში გამოკიდებით“ შეშლის ზოგიერთ იმ უმთავრეს საფუძვლებთან, რომელზედაც ბრუნავს ბანკის მომავალი. ის რამე ისეთ დახლართულ, ნაკუწ-ნაკუწათ დაკერებულ პროექტს მიიღებს, რომ ბანკის საქმე სანიადაგოთ დაღუპული იქნება. და იმასაც კი ვერ გაიგებს, რომ თუ ჩვენში ბანკი ერთხელვე დასაწყისში ცუდათ წავიდა, ხარ-კამბეჩითაც ვეღარ ააყენებს კაცი ჩვენი ქვეყნის დაცემულ კრედიტს და დაფუკულ ბანკს.

ამაში ჩვენ თითქმის დარწმუნებულნი ვართ. ჩვენ ვიცით, ამას გარდა, რომ ქუთაისში ეხლა საქმე განსაკუთრებით მძიმეთ დახლართულია სულ სხვა მხრითაც. ბანკს ჩვენში ბევრი ძლიერ შემძლე მოწინააღმდეგე ჰყავს, რომელნიც მომავალ პროექტს თვალ გამოჭყეტით შეჩერებინან, რომ რამე კვანტი გამოდონ და საქმე ორიოდ-სამი წლით კიდევ დააბრკოლონ. იმათთან საზოგადოებას და მის წარმომადგენლებს ბევრი ხერხი, ცოდნა და ოინი დასჭირდებათ. არის კიდევ გასაჭირიც. ჩვენი დამშეული დიდკაცობა დღეს ბანკს სხვათაშორის იმისთვისაც შეჩერებია, რომ იქნება დირექტორობა, მართ-

ველობა ან თანამდებობა რამე მერგოსო და ჯამაგირი დამენიშნოსო, აზნაურობო ამ ორ მახეში ჩავარდნას უნდა ერიდოს, თორემ საქმე უარესათ დაებურდება. აჩქარებით, ორ-სამ დღეში, ამისთანა ძნელი საქმე ვერ გარიგდება. ამ ძნელ და საშინელ გაჭირვებაში ჩვენ საზოგადოებას ხეირიანი, გონიერი საქციელი სჭირია, ისეთი, რომ მომავალ თაობას ჩვენი ლანძღვით სსენება და გინება არ შეეძლოს, რომ ჩვენ, შემდეგში, ჩვენი შვილების წინ თავის დაღუნვა და გაწითლება არ დაგვჭირდეს. აი, ამ მძიმე მდგომარეობის და საშინელი ჰასუსხის-გების მიხედვით, ჩვენ მოვალეობათ ვრაცხთ სინდისის წინ, ორიოდ გულწრფელი რჩევა მივცეთ როგორც ჩვენ საზოგადოებას, ისე ჩვენ ახალგაზდა მოთავეებს. გამოდება თუ არა ჩვენი რჩევა, მიიღებენ იმას თუ არა, ეს სხვა საქმეა. ჩვენ ჩვენსას კი ვიტყვი და მერმე ღმერთმა ყველას გზა დაულოცოს.

აი ეს ჩვენი რჩევა:

1. საზოგადოებისათვის: ძველ მოთავეებს ბანკის საქმე და ქვეყნის საჭიროება და მომავალი სწორეთ იმდენათ ესმისთ, როგორც ჩვენ — ჩინური ენა. იმათგან ამ საქმეში ვნების მეტი არა გამოვა რა, და ისინი საზოგადოებამ დღეს უნდა საქმის გარეთ დასტოვოს. საზოგადოება უნდა მიენდოს ამ საქმეში ერთს, ან ორს, ან თუნდ სამს ახალგაზდას, და საქმის წაყვანა, პროექტის შედგენა და ბანკის დაარსება იმათ მიანდოს, მათ ნამუსზე შეაგდოს, ისე რომ ამ ამორჩეული კაცების მომავალი და სახელი სამუდამოთ ამ ბანკის საქმეზე დამოკიდებული იყოს. თუ იმათ ეს საქმე კარგათ წაიყვანეს, იმათ ჩვენი საზოგადოების მადლობა, პატივის ცემა საკმაო ჯილდოთ მიანდებათ. თუ არა და, ნუ ამოაყოფინებს იმათ საზოგადოება თავს ნურასოდეს, ნურსად, ნურაფერში, — მათთვის მომავლის დაკარგვა, სახელის გატეხა და საზოგადო შეურაცხყოფა საკმაო სასჯელათ იქნება. ამ ცდის მეტი საზოგადოებას დღეს, ჩვენი აზრით, არაფერი შეუძლია. მეტი გზა, მეტი საშუალება იმას დღეს ხელში არა აქვს. საზოგადოებამ რომ თითონან პროექტის შედგენა მოინდომოს, ან სხვაგან შედგენილ პროექტს შინჯვა დაუწყოს, პროექტი და ბანკი დაიღუპება, წახდება, ამიტომ რომ არც საზოგადოებას, არც არცერთ მის ეხლანდელ მოთავეს ბანკის საქმის გაგება არა აქვს.

2. ახალგაზდა მოთავეებს: თუ საზოგადოება ამ თავითვე უმთავრეს საფუძველებზე არ დათანხმდა და მათი დაარსების უფლება არ მიანდო პროექტის შემდგენელებს, არც ერთმა ხეირიანმა კაცმა ამ საქმის თაოსნობა არ უნდა იკისროს, რადგანაც მაშინ

ბანკის მომავალ და აუცილებელ დაცემას ჩვენს ახალგაზღობას მიაწერენ და ჩვენ მიმართულების წინააღმდეგ იარაღთ გამოიყენებენ. მაშასადამე, საყოველთაო ცხადი და ნაცნობი უნდა იყოს, რომ ვინც ქუთაისში ბანკის საქმეს იკისრებს იმ საფუძვლების დაუმტკიცებლათ, რომელზედაც წინეთ ვლაპარაკობდით, იკისრებს საზოგადო სარგებლობისთვის კი არა, თავის საკუთარ კერძო გამორჩენისთვის, და ჩვენი მხრით, ჩვენი თაობის და მწერლობის მხრით, იმას დახმარება და რჩევა კი არა, ერთგული და ნიადაგი წინააღმდეგობა და ბრძოლა მოეღის. მაშინ ბანკის დაცემა მათი, და არა ჩვენი ახალგაზღობის საქმე იქნება.

1873 წ.

იმერეთის აზგაბი

I

მას აქეთ, რაც ჩვენში კენჭის ყრა დაარსებულა, არც ერთხელ თავად-აზნაურობის ყრილობას იმსიდიდე მნიშვნელობა და იმისთანა მძიმე ხასიათი არ ჰქონია, როგორც ესლანდელ ქუთაისის კრებას აქვს. ჯერ ხომ არის და არის ბანკის საქმე, რომელიც ნიადაგ იმედსავით თვალწინ უდგია ჩვენებურ საზოგადოებას, მაგრამ რომელიც, იმედსავით, თან და თან უფრო და უფრო ძნელად მისაღწევი ჩნდება, მისი ბედი და მომავალი, მისი ხეირი და შველა ესლანდელ კრებაზეა დამოკიდებული, და მარტო ეს გარემოება მისცემდა გვარიან მნიშვნელობას ამ კრებას, სხვაც რომ არაფერი ყოფილიყოს. მაგრამ მაგარი ესაა, რომ ბევრი სხვა მიზეზებიც აძლევენ დიდძალ მნიშვნელობას ამ ჩვენს ყრილობას, და ამის გამოისობით ჩვენც მივაქციოთ იმას ჩვენი ყურადღება.

თავიდანვე მოგახსენებთ, რომ მე არც ნება მაქვს და არც სურვილი გამბოთ თქვენ რა და რა მოხდა ჩვენებურ თავად-აზნაურობის კრებაზე, რა და რა წინადადებები და გადაწყვეტილება მიიღო იმან, ვინ რა წარმოსთქვა მასში, — ერთი სიტყვით, აგიწეროთ მისი სხდომები. ამას ბევრი დაბრკოლება მოსდევს, როგორც თქვენც იცით. მე მინდა მარტო ის ნაწილი აგიწეროთ ამ საქმისა, რომელიც მის კულისებს შეადგენს, სხდომებს გარეთ ხდება ან მზადდება და ოფიციალურ მხარეს მარტო იშვიათად შეეხება. ამ მხრით ესლანდელი ყრილობა უფრო შესანიშნავია, ვინემ თავის მეორე მხრით, სხდომების ოფიციალური მდინარეობით.

დავიწყოთ ბრძულათ, თავიდან, დალაგებით.

ამას წინეთ რომ კენჭის ყრები იყო ჩვენში, ზედ, როგორც მოგეხსენებათ, დიდი აყალ-მაყალი და შვოთი თუ არა, უკმაყოფილება მაინც მომხდარა, როგორც ჩვენს თავად აზნაურობაში, ისე, განსაკუთრებით იმ პირებში, რომელნიც ამ ყრილობების საქმეს შორიდან დასცქერიან. საფუძვლიანია თუ არა მათი საყვედური და აზრი, ეს სხვა საქმეა, მაგრამ უიკვო კია, რომ მათ გონებაში მტიცეთ და ღრმათ ის აზრი შთაბეჭდილა, ვითომ ჩვენი აზნაურიშვილობა უსარგებლოთ და უმიზეზოთ ცდილობდეს ორიოდე პატივ-მაძიებლების ოინობის-

თვის... ჩვენთვის უეჭვო საქმეა, რომ ამ ახნაურობას ვერც ერთი პატივის-მამძიებელი მეოინე ვერ ააღელვებდა და აახრიალებდა, ახნაურობას საქმე კარგათ გაწყობილი რომ ჰქონდეს და ცხოვრებაში ბევრი გასაჭირი არ ადგეს; მაგრამ შორიდან დამცქერლები სულ სხვა აზრისა არიან. და ყოველთვის, როცა იმათ შუა ან იმათთან ლაპარაკი იწყება ჩვენი საზოგადოების და ხალხის საჭიროებებზე და მომავალზე, ისინი ნიადაგ ერთ, მარტო ერთ პასუხს იძლევიან: „დახეთ ქუთაისის ახნაურობის ყრილობებს, და თქვით, მიენიჭება რამე ამნაირ საზოგადოებას ან გამოსადეგი იქნება მისთვის მისი საზოგადოებრივი სიმართლეების გავრცელება, როცა ის იმ მცირედ უფლებასაც ხეირიანად და გონიერად ვერ ხმარობს, რომელიც იმას მინიჭებული აქვსო“!

ვინც გაიხსენებს, თუ რამსიდიდე გავლენა ექნება ამ მოაზრებას ჩვენში ერობის და საზოგადოებრივი სიმართლეების შემოღებაზე, ის ადვილათ მიხვდება, რომ წლეულს ჩვენი საზოგადოების და განსაკუთრებით მისი მოთავეების პირველი მოვალეობა იმაში მდგომარეობდა, რომ ყრილობას უშფოთველად, გონიერათ, თითქმის ერთხმათ ბანკის საქმის მტკიცე საძირკველი გაეჭრა და ყველა საქირო საქმეები წესიერად და კილო-გამოუდებლათ გაეთავებინა. ამით, და მარტო ამით, შეიძლებოდა ერთის მხრით ბანკის რიგიანათ დაწესება, და მეორეს მხრით იმ პირების ჩაჩუმება, რომელნიც დიდი ხანია ხმამალლა ამტკიცებენ, რომ იმერეთში და, მაშასადამე, საქართველოშიაც შეცდომა იქნება იმ ახალი საზოგადოებრივი წესების შემოღება, რომელნიც დღეს რუსეთს სულს უდგმენ და რომლის მოლოდინე და მხურვალე მოსურვეა ყველა, ვისაც კი გულს აჩნია ჩვენი ხალხის მდგომარეობა და ჩვენი ქვეყნის მომავალი.

რასაკვირველია, მთელი საზოგადოებისაგან ვერაჲინ მოითხოვს, რომ იმას საფუძვლიანათ გაესინჯოს და აეწონოს ყველა ის გარემოებები და მათ შესაფერათ მოქცეულიყოს. საზოგადოება ამოდნათ დაფიქრებული და გონება-გახსნილი არსად მოიძებნება. მაგრამ მის მოთავეებს და მრჩეველებს, მის მოწინავე კაცებს ამ გარემოებების გაგება უნდა ჰქონოდათ და მათ შესაფერი საქციელი უნდა ერჩიათ ჩვენი საზოგადოებისთვის. თუ ამაებს ვერ გაიგებს და ვერ მიხვდება მოთავე პირი, ან მოთაობას რაღათ ჩემობს, ან საზოგადო ასპარეზზე რაღათ ეჩრება და მის პირველ პლანზე რათ გამოდის?

ჩვენ მით უფრო იმედი გვქონდა, რომ ახლანდელი ყრილობის ამ მძიმე ხასიათს ჩვენი მოთავეები ხეირიანათ დააფასებდენ და ასცილდებოდენ, რომ თვითონ „დროებამ“ თითქმის დაწვრილებით გამო-

გვისახა ამ მდგომარეობაში გამოსადეგი საქციელი და მიმართულება. მაგრამ საიდან სადაო! აქაური საქმე დღესაც სწორეთ ისე მიდის როგორც უწინ, და მის მოთავეებს დღესაც იმ მოშლილი წისკვილის ხასიათი აჩნიათ, როგორიც აქნამდი მათ მოქმედებებს ებეჭდა და მათ საქმეს ნიადაგ ახდენდა და აბრკოლებდა...

მაგრამ სჯობია ისევ დალაგებას მივუბრუნდეთ.

თქვენ იცით, რომ დიდი ხანია რაც ჩვენს იმერეთში ორი ძლიერი პარტია არსებობდა. ამ პარტიებს არც ეკონომიური კითხვები და განსხვავება აშორებდა ერთს-მეორესაგან, არც აზრების და შეხედულებების წინააღმდეგობა, არც მტკიცე მიზნის ძებნა. ამ პარტიების მიზეზი და უმთავრესი წყარო იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი ერთ სამარშლო კაცს მისდევდა, და მეორე — მეორეს; იყო იმათ შუა ნიადაგ განხეთქილება და ქიშპობა. მაგრამ ამ ქიშპობისა და განხეთქილების უსაფუძვლობას ყველაზე უფრო ის ამტკიცებდა, რომ ერთი და იგივე პირი, არა თუ უბრალო მეკენჭებთაგანი, მაგრამ თვით მოთავეთაგანი, ხან ერთ პარტიას მიეკედლებოდა, ხან მეორეს; ერთი ყრილობის დროს ერთ პარტიას ეხმარებოდა და მისთვის თავს იკლავდა, და მეორე ყრილობის დროს კი — თავის უწინდელ მოწინააღმდეგეებს დამხმარეთ და ერთგულ მოძმეთ უხდებოდა. ერთი სიტყვით, ეს ჩვენი კენჭის ყრის „ვითომ ბრძოლა“ იყო თითქმის ყოველთვის, თითქმის ყველასათვის, პიროვანი თავმოყვარეობის მუშტ-კვრივი დამეტო არაფერი.

ამ მდგომარეობაში, რასაკვირველია, ხეირიან და გონიერ მოთავეს, ისეთს, რომელსაც მარტო და განსაკუთრებით ქვეყნის და საზოგადოების სარგებლობა აქვს მხედველობაში, უნდა ეფიქრნა თუ: რა საშუალებით შეიძლება საქმის იმ ნაირად წაყვანა, რომ საზოგადოებრივი ძალა უწინდელსავე უსარგებლოთ არ დაფანტულიყოს და გონიერათ გამოყენებულიყოს საზოგადოების დასაკმაყოფილებლათ. ამასთან იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საზოგადოების საჭიროებათითქმის ყველასთვის ერთნაირი და ერთრიგათ გამოსადეგია ორივე ვითომ-პარტიებისთვის. ბანკის საქმე, მაგალითად, სწორედ ერთნაირათ საჭირო და აუცილებლად გამოსადეგია ყველა ჩვენებურ მეპატრონებისთვის; იმას შესჩერებია და მისგან შემწეობას და დახმარებას მოელის ორივე პარტიის თავად-მხნაურობა. მაშასადამე მის გაწყობაში, მის წაყვანაში ერთნაირად მოიქცეოდა ორივე პარტიის ძალა, მოთავეებს საქმის გაგება რომ ჰქონოდათ და ცოტაოდნათ მიინც რომ დაჰყოლოდათ ის საზოგადოებრივი პატიოსნება, რომელიც კაცს მის

პიროვან სარგებლობას და თავმოყვარეობას ავიწყებინებს საზოგადო სარგებლობისა და წარმატებისათვის.

მართლაც, თითქმის ყოველი თავად-აზნაური, რომელთანაც მე ამ საგანზე მილაპარაკნია, იმ აზრისა იყო უწინ, რომ „ამ საქმეში პარტიობა არ უნდა იყოსო, ეს რა საპარტიო საქმეაო“. და რადგანაც ამ საქმეს პარტიული ხასიათი მარტო მაშინ მიეცემოდა, როცა მის ხელში ჩაგდებას რომელიმე პარტიის მოთავე შოინდომებდა და ამით მოწინააღმდეგე პარტიის და განსაკუთრებით მოთავეების თავმოყვარეობას გააფხიზლებდა, „დროებამ“ საქიროდ დაინახა ერჩია ჩვენი საზოგადოებისთვის ამ საქმის ისეთი კაცებისთვის მინდობა, რომელნიც არცერთ პარტიას არ ეკუთვნოდნენ, ან, უფრო სწორეთ ვთქვათ, ორივე პარტიის გარეშე იღგენ და ორივეს ერთნაირად ეწინააღმდეგებოდნენ.

უეჭველია, კიდევ, რომ როცა საზოგადოებაში ამგვარი შეკავშირება და საქმის ერთგული წაყვანა მზადდება, მოთავეებს ყოვლის ღონისძიებით უნდა ემეცადინებინათ რომ იმავე დროს რომელიმე სხვა უსარგებლო და უმიზნო ბრძოლა არ აეტეხათ, რომელსაც საზოგადოების გაცალკეება და გახეთქა შეძლებოდა. და რადგანაც ბანკის თაობაზე არა თუ მზადდებოდა, მაგრამ მზათ იყო ძმული განწყობილება და საქმის დაბოლოება, არც ერთი პარტიის მოთავეებს არ უნდა მონდომებოდა ახალი შფოთის ატეხა და არ უნდა დაზარებოდა მცირედი დათმობის ჩვენება უწინდელ მოწინააღმდეგეებისთვის. ამრიგათ უნდა მოქცეულიყო ორივე პარტია მეკენჭეების საქმეში და მარშლების ამორჩევაში.

მეტი არაა თქვენი მტერი!

როცა თითქმის ყველა შეერთების და თანხმობის გზაზე იდგა ბანკის საქმის გასარიგებლათ, როცა თითქმის ყველას ამ საქმეზე ერთნაირი შეხედულება და აზრი ჰქონდა, როცა ყველას სარგებლობა ერთგვარ მოქმედებას თხოულობდა, ორივე მხრის მოთავეებმა იმის დავიწყება ვერ მოახერხეს, რომ ბანკს დირექტორები და მმართველები სჭირია და, მაშასადამე, მას, საზოგადოებრივ სარგებლობის გარდა, კერძო პიროვანი სარგებლობაც მოსდევს ორიოდ-სამი პირისთვის. ამ გარემოებამ ძილი დაუფრთხო ორივე მხრის მოთავეებს, მაშინ, როცა ამ საქმეშიაც იმათ თავი უნდა მოეკავებიათ და არც ერთი სიტყვით, არც ერთი მოქმედებით არ უნდა გამოეჩინათ პიროვანი სურვილი და იმედი. და რაკი ჩვენ გავიხსენებთ უწინდელ განხეთქილებას, რაკი ჩვენ მოვიგონებთ თუ რა ნაირად სცდილობს თითოეული პარტია მოწინააღმდეგეების დაცემას და ფეხის მოტე-

ხას, ცხადათ გამოჩნდება, რომ ბანკის საქმეში განსაკუთრებით უნდა გაჩუმებულიყვნენ ისინი, ვისაც მოწინააღმდეგე და საზოგადოება, საფუძვლიანათ ან უსაფუძვლოთ, სწამებს და აწერს პიროვან მიზანს ბანკის საქმის წაყვანაში..

ეს ყველაფერი გარიგდებოდა და საქმე ძლიერ კარგათ წავიდოდა, ჩვენდა საუბედუროთ ჩვენს მოთავეებს იმერული ხასიათი რომ არ ჰქონდეთ. ვერ წარმოიდგენს ხორცშესხმული კაცი, რამდენი ფალავანდობა და დიპლომატია დაიხარჯა ამ უკანასკნელ თვეში ამისთანა უბრალო, ნათელი საქმის დასაბუროდავით. მგონია გერმანიის ერთობის დაარსებაში არ გამოჩენილა და არ დახარჯულა იმოდენა დიპლომატია, რამდენიც წლეულს ქუთაისში დაიხარჯა. მეო რისთვის და როგორ? იმის მაგიერ, რომ საზოგადოების წინ საქმის ნათლად გამოსახვით, დაბრკოლების ჩვენებით, საშუალების ძებნით და გონიერი სჯით მოთავეებს ჩვენი თავად-აზნაურობის გონება გაეწაფათ და საზოგადოება გონიერ პოლიტიკურ ცხოვრებას შეეჩვიათ, ჩვენმა მოთავეებმა მამა-პაპურ ცილის-წემებას ხელი მიჰყვეს. მოლაპარაკების, სწავლის, გაწაფვის და გამოძიების მაგიერ ატყდა ერთი უშველებელი ენის მიტან-მოტანა, სხვის სულში და გულში ჩაძრომა, შეწამება, მოახლური ჭორიკანობა და დედაბრული ცრუობა. ვერც საზოგადოებრივ ყრილობებში, ვერც წვრილმან მუსაიფებში, ვერც შინაურ სტუმრობაში ვერ მოჰკრავდა კაცი ყურს დამჯდარ ბაასს და გამოკვლევას საზოგადო საქმეების შესახებ. ყოველგან და ყოველთვის გესმოდათ, სამაგიეროდ, აი, რა: „ბატონო, იმას აი რა უნდა“, ან „რას ბრძანებთ, ის იმას ამიტომ ფიქრობს და ამბობს, რომ უნდა ...“ და სხვ.

ამ გვარი საქმის წაყვანით სჩხრიკეს ჩვენმა მოთავეებმა, სჩიქნეს და გამოძებნეს, როგორც იქნა ცენზი.

ღიახ, ცენზი. თქვენ, ეს, ვიცი, არ გჯერათ. თქვენ მეტყვიით, რომ ცენზის საქმე ბანკს როდი შეეხება, რომ დასაწყისში ბანკის პროექტის შედგენის მინდობა ეკუთვნის ყოველ აზნაურს, რომელსაც უფლება აქვს არა თუ კენჭის ყრისა, მაგრამ საზოგადო ყრილობაზე დასწრებისა. ბანკის საქმის საბოლოო გადაწყვეტილება კი, უეჭველია, ყველა იმ პირებს მიენდობა, რომელთაც ბანკის სერშიაში ცოტაოდენი რამ მაინც დაუტოვებიათ. თქვენ იმასაც დაუმატებთ, რომ, მაშასადამე, ამ საგანზე განხეთქილება არსაიდ უნდა წარმომდგარიყო. ეს ყველაფერი მართალი და ქეშმარიტია, მაგრამ განხეთქილება მაინც წარმოსდგა და წარმოსდგა სწორედ ამ ცენზის თაობაზე.

მაგრამ განხეთქილება რაგინდ მძიმე ყოფილიყოს, მაინც ადვილად დაბოლოვდებოდა, ორივეს მხრით, ან თუნდ ერთის მხრით მაინც, რომ გამოჩენილიყოს გონიერი და რიგიანი საქმის წაყვანა. რა გინდ გაბრაზებული იყოს ერთმანერთზე ორი პარტია, შესაძლებელია მაინც, საქმის იმნაირად წაყვანა, რომ ორივე მხარეს დათმობით, დათანხმებით ანა და, თუ გაჭირდა, ერთი რომელისამე მსწრაფლათ დამარცხებით ბრძოლის ასპარეზი გაიწმინდოს და საქმე ნიადაგ ერთ მდგომარეობაში დგომით არ დახაესდეს. საუბედუროდ, როგორც შეეფერება უწინდელ თაობებს, ჩვენი მოთავეები მოქმედებენ არა გაუგებარათ და უმიზნოთ, მაგრამ უსისტემოთ, უაზროთ. ამის გამოისობით ის კითხვა, რომელიც გასახილველათ იქნება ნახევარ საათს არ მოინდომებდა, აჩერებს ყრილობას მთელი კვირის განმავლობაში, და არა თუ პარტიის პირებს, მაგრამ პარტიის მოთავეებსაც გაგება არ აქვთ, თუ რა უფრო საჭიროა, რისი წამოწევა სჯობია და რისი მივიწყება და წაყრუება. დაუმატეთ ამას თუ გინდათ ორივეს მხრით, უნიჭო თავმოყვარეობის მრავალსიტყვიანობა, იმერული დაცივნის ალი და გაბრაზების ძალა, უთაობა, უცოდინარობა და სხვ. და თქვენ შეგეძლებათ წარმოიდგინოთ თუ რა რიგათ მიღის ჩვენი ბანკის საქმე.

ჯერ ამ საქმეს ერთი ნაბიჯიც არ უქნია და განხეთქილება კი მარული და უშველებელია. ვერსად ყურს ვერ მოჰკრავთ ბანკის საფუძვლებზე ბაასს და სჯას, და ყველგან კი ლაპარაკია მის მომავალ დირექტორზე. მოთავეები — წვრილმანებზე ხომ რაღა თქმა უნდა — ამაზე შეტს ფიქრობენ, ვინემ ბანკის პრინციპების გამოკვლევაზე. ეს მართალია, იმასა ჰგავს, წისქვილის გაშენებამდე კაცი მეწისქვილეს რომ ჰჭირობდეს, და, ცოტათი არ იყოს, ეს საქციელი მე ჩვენებურ ანდაზებს მახსენებს: — ეშმაკებს ღვინო არ ჰქონდა და ტიკებს ალბობდენო. მაგრამ საქმე კი ამ რიგათაა, და რაც გერჩიოთ ის ქენით.

ეხლა, რაკი ეს მძიმე საქმე ატყდა, რა კი საქმე ასე უხეიროთ დაიფუშა, ატეხილა, ბატონო, ერთი უშველებელი წინააღმდეგობა და პარტიობა და სდულს უხეირო, წვრილმანი ბრძოლა. ზემოურებს და ქვემოურებს შუა. ჩვენი უბედური ქვეყანა, ძველ დროში, აი სწორეთ ამ გვარივე განხეთქილების მსხვერპლათ შეიქნა, და უწინაც ჩვენთვის გარეშე მტერს იმოდენი არა დაუკლია რა, რაც ამ ზემო და ქვემოურების ქიშპობამ და ბრძოლამ დაგვმართა. ნუ თუ ეს უბედურება ჩვენს ბედზე გვიწერია და მის დაღსა და კვალს ვერ ამოშლის ვერაფერი გაჭირვება და ვერანაირი განსაცდელი? ვინ იცის, იქნება ეს სწორეთ ის საწამლაგია, რომელითაც მოწამლულია ჩვენი

ქვეყნის გვამი და, თუ ეს მართალია, ვერაფერი ზღადავენს ჩვენს დაცემულ კეთილდღეობას, მით უფრო, რომ ჩვენი ცრუ მქადაგნი, ჩვენი ვითომ ახალგაზდა მოთავენი, იმის მაგიერ, რომ ეს უბედური და უხეირო წინააღმდეგობა და განხეთქილება მოსპონ და ხალხის სსოენიდან ამოხოცონ, მასში თითქო საგანგებოდ უფრო და უფრო ცეცხლს უკეთებენ და სულს უბერვენ. საწყლებს იქნება ჰგონიათ, რომ ამით ისინი ჩვენ საზოგადოების საქმეს არიგებენ და ჩვენ ხალხს სარგებლობენ და ეხმარებიან!..

დიდი საქმე ყოფილა, თურმე, ტვინის სისუსტე და გონების უძლურება. რა და რა სიგლახაკეს არ აქნევიანებს ის კაცს, და რა ადვილათ აჭიწყებიანებს ის პატიოსნების კანონებს და საზოგადოების სიკეთეს! წარმოიდგინეთ, ის ყმაწვილები, რომელნიც ვითომ ახალგაზდა პარტიის თაოსნობას კისრულობენ, არა თუ მარტო ზემოაღწერილი მოქმედებით უწინდელ შფოთს აგრძელებენ და ძველ უხეირობას აძლიერებენ: ისინი ახალნაირ უხეირობებსაც ჰბადებენ. წარმოიდგინეთ მეთქი, რომ იმათ დაურქმევიათ თავიანთ თავისთვისის „ახალგაზდობის“ სახელი, და ამ უმანკო, ჯერ შეურცხვენელ დროშას ათასნაირ ტალახში და ჩირქში სვრიან, — აქაო და, ჩვენი პარტიის პირდაპირი, წუთიერი სარგებლობა ამას თხოულობსო. ისინი ემოყვრებიან და ხელს აძლევენ ისეთ პირებს, რომელნიც არა თუ ახალგაზდობის სახელს, კაცის ღირსებასაც ამდაბლებენ... და თუ თქვენის აზრით გამოსთქვით, რომ ახალგაზდობას ავაცილოთ ამ უჯიშო პირების ლაფი და უხეირობა, ნუ შევარცხვენიებთ ჩვენს თავსა და თაობასო, ნახავთ რამდენი უქმური, ბინძური და მდაბალი პიროვანი საფუძვლით ახსნიან ჩვენი მოთავეები თქვენს სიტყვას და რჩევას... ან მეტი რა საშუალება უნდა მოეთხოვებოდეს იმათ, ვინც ხტის ხტომისთვის, უმიზნოთ და უპლანოთ, ვინც ბზუის კოლოფში დამწყვდეულ ბუზსავით და თან მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მისი ბზუილი და ფრთების მტვრევა სწორეთ იმ ბრძოლას და მოქმედებას შეადგენს, რომელიც საზოგადოებას ამალლებს და ხალხის მომავალს ამზადებს! ნეტავი იმათ, რომ ამ როლით და ამნაირ მოქმედებით დაკმაყოფილდება მათი ბუნების და ტვინის მოთხოვნილება და ძალა! ნეტარ არიან გლახაკნი სულითაო, ნათქვამია...

მართლა. დამავიწყდა ერთი გარემოება, რომელიც განსაკუთრებით „დროებას“ შეეხება. ამ ვაჟბატონებს, დასიზმრებია, თურმე, რომ „დროება“ და ახალი ახალგაზდობა დღეს იმათკენ უნდა იყენენ, და ალბათ ამ სიზმრის მიზეზით მათი მეგობრები დიდ საყვედურს გვიცხადებენ, „განზე გადგომისთვის“. ვითომ და ჩვენი წინააღმდე-

გები ჩვენზე უარესები არიან, და იმათ, ხომ, ჩვენ ვჯობვართო. ეს სიზმარი, ცოტათი არ იყო, უსაფუძვლო გახლავს. „დროებას“, ბატონებო, თქვენ მოქმედებაში ჯერ-ჯერობით არაფერი დაუნახავს ისეთი, რომელიც იმას თქვენს უპირატესობას უჩვენებდეს თქვენ მოწინააღმდეგეებზე. მიზნისიმალით, ხასიათის სიწმინდით, საშუალებების გამოჩვენებით თქვენ ორივე მხარე ერთნაირ სიმაღლეზე ან სიმაღლეზე დგახართ „დროების“ თვალში. მხოლოდ გარჩევა იმაში მდგომარეობს რომ თქვენ ახალგაზდობას იჩემებთ და ახალი მოწინავე პარტიის სახელს ირქმევთ. მაგრამ ჯერ ერთი ეს, რომ საქმე იმაში კი არ არის, ვინაა ახალგაზდა და ვინ ბებერი: ახალგაზდა ჩვენ ბევრი გვინახავს უხეირო და უმსგავსო, და პატიოსან და ჩინებულ მოხუცებულებსაც ბევრს ვიცნობთ. მეორეთ — ამას ნუ დაივიწყებთ, ჩვენ ბევრს რასმე მივუტევებთ იმას, ვინც ცდება უცოდინარობით, ვინც ცუდია, იმიტომ რომ. კარგი არ უხახავს და უხეირო წრეში გამოზდილა. და იმის მეასედსაც ვერ მივუტევებთ ჩვენ იმას, ვისაც უმჯობესი ცხოვრება უნახავს, უმაღლეს სწავლას მიახლოვებია, ხასიათის გაკეთილშობილება შესძლებია და — მის საუბედუროთ — გამოსულა კი სწორეთ იმისთანა, როგორც იყო და არის ძველი თაობა, რომელსაც ის გასამართლებელი საბუთი მაინც აქვს, რომ თავის დღეში იმერულ კერიას არ მოსცილებია და უმჯობესი ცხოვრების ჰაერი არ უსუნთქავს.

აი რისთვის „დროება“ განზე დგას ამ უბედურ ბრძოლაში. იმან სთქვა, რაც სათქმელი ჰქონდა, სთქვა ბეჯითათ. თუმც ბეჯითადვე დარწმუნებული იყო, რომ მის სიტყვას არავინ ყურს არ უგდებდა. აწი იმას გულ-ხელ-დაკრეფის და მოცდის მეტი არაფერო მოუხდება. ის მოიცდის. ის ახალგაზდაა და მომავალის არ ეშინია, რადგანც იცის, რომ მომავალი იმას ვერ გაექცევა როცა დრო მოვა; როცა ეხლანდელი ვითომ მოთავეების უხეირობა მტკიცედ დამწიფდება და საქმეს საბოლოოდ წაახდენს, მაშინ და მართო მაშინ ამოიღებს ხმას „დროება“ და გაიხსენებს თავის ეხლანდელ ნათქვამს. და ეს განკითხვის დღე, ღვთის მადლით, ნამეტნათ მოშორებული როდია.

II

გათავდა გამწარებული ბრძოლა, გაიწმინდა დასისხლიანებული ბრძოლის ველი. მორჩა ბერი ცხონებას. დაიხურა ჩვენი აზნაურების კრება, გათავდა კენჭის ყრა. მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს! ვინ გაიმარჯვა, ვინ დამარცხდა, რა მოხდაო მკითხავთ.

დავიწყით ჩვენებური ჩვეულებრივი წილა-დობილა, და თავდაპირველად ბანკის საქმეზე ჩამოვადგოთ მუსიაფი.

უფ. ბეს. ლოლობერიძეს ბედმა მშვენიერი და იშვიათი შემთხვევა აარგო: საქმის გარიგება ორივე მებრძოლი პარტიის დახმარებით და თანხმობით. იმას გამოსვლის, ათიოდე სიტყვის თქმის მეტი არა სჭიროდა რა, რომ შეეთანხმებია და ერთ კალაპოტში ჩაესვა ორივე მხრის დაღალული ძალა. საზოგადოების გრძნობა იმოდენათ დაღალული იყო იმდენი ხნის უსარგებლო დავით ბანკის თაობაზე, და ჩვენი თავად-ახნაურობა იმდენათ მოსურვებელი იყო ბანკის დაარსებისა, რომ „ოლონდ კი ვათავებულყო საქმე“, ოლონდ კი რამე გამართულიყო, მოწინააღმდეგე არსაიდან წარმოსდგებოდა... ამ მდგომარეობაში გონიერ და პატროსან მომქმედს დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი საზოგადოებისთვის. ჩვენი ქვეყანა ისეთ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება, იმას ისეთი განვითარებული საჭიროებები აქვს, რომ მის ხელის გასაწყობლათ საჭირო იყო სულ სხვანაირი საშუალებების ხმარება, ვინემ ჩვენში რუსეთელი ბანკების წესის შემოღება. პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებამ ამ უკანასკნელი ოცი-ოცდა-ათი წლის განმავლობაში ბევრი ამნაირი საშუალებები გამოაჩინა და მათი შემოღება ჩვენ ქვეყანაში არავისგან წინააღმდეგობას არ ნახავდა. მაგრამ ამ საშუალებების გამოყენებისთვის ყველაზე უფრო საჭირო იყო მათი ცოდნა, მათ გაცნობას სწავლა სჭირია, მაშინ როდესაც ათასჯერ უფრო ადვილი და სწრაფი საქმეა რომელიმე რუსეთელი ბანკის წესდებულების გადმოწერა და აღსრულებაში მოყვანა.

„დროებას“ ქუთაისის ბანკის თაობაზე ის განზრახვა ჰქონდა, რომ საზოგადოებისთვის ერჩია ბანკის პროექტის შედგენა მიანდეთ ორიოდე ახალგაზდას, რომელნიც ამ საქმეს კარგათ წაიყვანენო. „დროების“ თანამშრომლებს ის უბედურება დაემართა, რომ კერძობითი მოლაპარაკების დროს სხვადასხვა გავლენიან პირებთან ისინი ურჩევდენ ბანკის პროექტის შედგენას, სხვათა შორის, უფ. ბეს. ლოლობერიძეს მიანდეთო, და ეს პირიც, თავის მხრით, იმ აზრზე იდგავითომ, რომ საზოგადოებისთვის საქმის მინდობა ეთხოვა და თავისი პროექტი მართო იმ აზრის დასამტკიცებლათ წარედგინა, რომ ძლიერ ადვილია იმისთანა პროექტების გადმოწერა და გადმოკეთება, როგორსაც თქვენ სხვები გირდგენენ და შიგ რვაას-რვაას თუმანს გთხოვენო. უფ. ლოლობერიძემ ჩვენთან მოლაპარაკების დროს რამდენჯერმე დავეარწმუნა, რომ მისი აზრით მისი პროექტი მეტის მეტათ ნაკლულევანი რამ არის, და მის დასამტკიცებლათ წარდგენის სურვილი ჩვენ მისთვის არ შეგვიმჩნევია. აი ამ მიზეზით ჩვენ გვეგონა, რომ მის მოქმედებას ამ საქმეში სკეთილი შედეგი უნდა ჰქონოდა ჩვენი ბანკის მომავლისთვის.

რა მოხდა და რა არა ამ უკანასკნელ კვირაში, არ ვიცი, მაგრამ თფილისიდან რომ დავბრუნდი, გაოცებით შევიტყვე, რომ უფ. ლოლობერიძეს, არა თუ თავისი პროექტი წარუდგენია, — ის პროექტი, რომელიც იმას და მის ბიძაშვილებს უხეირო პროექტათ მიაჩნდათ, მაგრამ ყოველი ღონისძიება უხმარია, რომ ამ პროექტის განხილვაში და დამტკიცებაში როლი მისცემოდა უფ. ნ. ლოლობერიძეს, რომლის მონაწილეობას, ჩვენი აზრით და რწმუნებით, იქნება ვნება-მოეტანა ბანკისთვის, და რომელზედაც უფ. ბ. ლოლობერიძემ სიტყვა მოგვცა, რომ იმას „კომისიაში“ ადვილი არ ექნებაო. ამ ნაირი საქმის წაყვანა, რასაკვირველია, სრულიად შეეფერება უფ. ლოლობერიძის წარსულ მოქმედებას, და ჩვენ ეს როდი უნდა გვიკვირდეს. მაგრამ, მაინც, ეს ისეთი მოქცევაა, რომელიც ჩვენ ყოველგვარ მოლოდინებს აკარბებს...

ამნაირი მოქცევის გამო ქუთაისის აზნაურობას ხელში შერჩა ისეთი პროექტი, რომლის შემდგენლებიც აშკარათ გამოტეხილია მის უვარგისობაზე, შერჩა ისეთი მოთავეები, რომელნიც აგრეთვე აშკარათ, აგრეთვე უღარდელათ ამბობენ: „ბანკი ხომ კი ჩავიგდეთ ხელშიო“. და შერჩა უფ. ბ. ლოლობერიძის ოინობა. მოდით ეხლა გაამტყუნეთ ჩვენი უბედური საზოგადოება. მისი უმჯობესი პირები, მისი მოთავენი, მისი „განათლებულები“ იმას, საზოგადო საქმეების წაყვანაში, ამნაირ უპირულობის და დაუზოგველობის მაგალითს აძლევენ, იმის წინ ასე ორგულათ იქცევიან, ამგვარ უქმურ ღონისძიებებს სმარობენ, — რალა ეკითხოს გაუნათლებლებს და გამოუზღდელებს!

დღეს მე ბევრი წერის დრო არა მაქვს, მაგრამ ამ საქმეს მე ხშირად მოუბრუნდები შემდეგში. ეხლა კი მარტო იმას ვიტყვი, რომ ჩვენში ძლიერ ადვილი ყოფილა, უწინ, სახელის და გავლენის დამსახურება. ვინც ბრძნულათ გაჩუმებული იყო, ვისაც ნიადაგ დაუიქრებული პირისახე და უმოძრაო გამოხედულება ჰქონდა, იმას ჩვენი საზოგადოება სიბრძნეს და პატიოსნებას სწამობდა. მათი გაუყჩება, მათი დამჯდარი კრუტუნნი იმოდნათ უხვევდა თვალს ჩვენ საზოგადოებას, რომ ის ვერც ამ პირების გაუზომელ უნიჭობას და უვარგისობას ხედავდა, ვერც მათ პირად სარგებლობის ძიებას, ვერც მათი სულის სისუსტეს. ქუთაისის ბანკის საქმის წაყვანას, თუმც ერთის მხრით ის ცული შედეგი მოსდევს, რომ ბანკი არ გაიმართება, ან ისე გაიმართება, რომ ვაი ამ გამართვას, მაგრამ მეორეს მხრით ჩვენი საზოგადოებისთვის ის სარგებლობა მოაქვს რომ ამ ცრუ-ბჭძნების და ცრუ-მქადაგების სიყალბეს ააშკარებს, მათ უნიჭობას ყველას აჩვენებს და მათ გავლენას სანიადაგოთ ჰკაფავს. სულ არარაობას ესეც სჯო-

შია, თუმც ეს პირები მართალი რომ ვთქვათ, იმათ არც კი ღირან, რომ საზოგადოებამ მათ გაცნობისთვის ამოდენა ზარალი ნახოს.

უნდა გენახათ, გუშინ დილას, რანაირათ დაფრინავდენ ჩვენი კრუ-მქადაგნი, რა რიგ დახტოდენ ისინი კიჟინით: „ეს გახლავართ“, „ასე ვიცი“, „რაც გვინდა იმას ვშერებით“, „ბანკი ხელში ჩაეიგდეთ“ და სხვა და სხვ. მართლაც იმათ არა თუ ბანკი ჩაეგდოთ ხელში, მაგრამ თითქმის ყველა უეზდებში თავიანთი კაცები ამოერჩიათ მარშლებათ და დეპუტატებათ. მაგრამ მათმა უდროო მხიარულებამ და ტრაბახმა, მათი საქციელის და მიზნის გამოამკარებამ, გაქვთ სიცოცხლე, იმათ მალე ფეხი მოსტეხა! წუხელი მათი სამარშლოკანდიდატი, მათი ბრალით, გააშავეს და მათი წინააღმდეგების კანდიდატი, დიდი უმრავლესობით მარშლათ ამოიჩიეს.

ეს უკანასკნელი ამბავი მეტის-მეტათ სასიამოვნოა: ის გვიმტკიცებს, რომ დღეის იქით მოისპო ჩვენში იმ პირების გავლენა, რომელნიც ახალგაზდობის სახელით ამ საქციელზე იდგენ, რომ ჩვენში საზოგადოება ზნეობით მახინჯია და ამის გამო ჩვენ, მოთავეები, ზნეობის კანონს უნდა ვივიწყებდეთ და ორპირობას, გაუტანლობას და თაღლითობას ნიადავ იარაღათ უნდა ვხმარობდეთო. — გაწყდეს მათი სახელი და სახსენებელი.

პასუხი იაკინთე ყიფიანს

შვიდი წელიწადი რომ სწეროს უფ. ბეს. ლოლობერიძემ თავის პასუხი ჩემს „იმერეთის ამბებზე“, იმისთანა „ბრალმდებით წერილს“ ვერ დასწერს, როგორც თქვენ შეგიდგენიათ. არ ვიცი, ვცდები მე ამ შემთხვევაში თუ არა, მაგრამ მგონია კი, რომ თქვენი ნაწერის ძლიერება და საფუძვლიანობა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენი პირით უნდა ლაპარაკობდეს ჩვენი აზნაურობა, და თქვენგან გამოთქმული ჩვენი გაკიცხვა და გამტყუნება სწორეთ იმ მოახრებაზე დამყარებულათ მიმაჩნია, როგორც ჩვენებურს ადგილის - მეპატრონეს თავში უნდა უჯდეს. აი რისთვის „დროებამ“ ადგილი მისცა თქვენს ნაწერს და მე მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს გულწრფელი პასუხი დაგიბეჭდოთ თქვენ გამტყუნებაზე⁵⁵.

თქვენ თვითონ ამბობთ, რომ ამ საქმეს თქვენ სჯით ისე როგორც გონიერ ან ნიჭიერ, მაგრამ გამოუცდელ ან უსწავლელ კაცს შეუძლია. ნუ დამემღურებით, მაშ, თუ მე თქვენ ორიოდ სიტყვით აგებხნით ჩვენს მოქმედებას, იმ საქციელის და მოვალეობის გამოხატვით, რომელიც ნიადაგ მხედველობაში უნდა ჰქონდეს ჩვენ მსგავს მოქმედ პირს, — მწერალს და პუბლიცისტს

პუბლიცისტის დანიშნულება ქვეყანაში მარტო იმაში მდგომარეობს, რომ იცოდეს თავისი ხალხისა და საზოგადოების მოთხოვნილება და საჭიროებები და მათი გამოსადეგი საშუალებების გამოძებნა და ჩვენება შეეძლოს. ის გულმოდგინეთ უნდა აკვირდებოდეს თანამედროვე ცხოვრებას და საქმეებს და გულწრფელათ თავის აზრს გამოთქვამდეს ამ საგნებზე, გამოთქვამდეს როგორც კი მოახერხებს, მძიმე თუ მსუბუქი გაკვრით, დალაგებით თუ დაციხვით, სულ ერთია, მაგრამ ისე-კი რომ მისმა ნათქვამმა საზოგადოების ყურამდი მიაწიოს და საზოგადოების ტვინში კვალი დასტოვოს. ამნაირად გაუგია პუბლიცისტის დანიშნულება ყველა მწერლებს, ყველა საზოგადოებებს.

არც ერთ ქვეყანაში არავის თავში აზრათაც არ მოსვლია მოეთხოვა, რომ პუბლიცისტს თავისი აზრის გამოთქმა უიმისოთ არ შეეძლებოდა, თუ თვითონვე გარჩეული და გაკიცხული საგნის და მოვლენის მაგიერის გაჩენა და შედგენა არ მოეხერხებინა. როცა ღვინე

ერთი ლექსით და დაცინვით რომელიმე პოლიტიკური მოქმედი პირის ან მწერლის ორმოცი წლის შრომას ჰკლავდა და აძაგებდა, როცა ბორნე გერმანიის წესდებულებას მასხარათ იგდებდა, როცა პრევო - პარადოლი ნაპოლეონის მოქმედებას და მიზანს ერთი შედარებით და სურათით ჰკაფავდა, როცა დობროლიუბოვი რკინის გზების მშენებლების ხარბობას და უსინდისობას ააშკარავებდა, არავის არ უთქვამს ლენინსთვის — მენცელის თხზულებებისთანა ისტორია დასწერე და მერმე იცინეო, არც ბორნესთვის — ჯერ უკეთესი კონსტიტუცია შეუდგინე გერმანიას და მერმე ეხლანდელი გაჰკიცხეო, არც პრევო - პარადოლისთვის — ჯერ იმპერატორათ გახდი, და მერმე ნაპოლეონს დავაში შეებო, არც დობროლიუბოვისთვის — ჯერ მილიონები მოიგე და რკინის გზის კონცესია აიღე და მერმე კოკორევის და ბუბონინის მოქმედებას გაკიცხვის დალი დაასვიო. ბელინსკის ვოდევილიც არ დაუწერია თავის სიცოცხლეში, და სხვების ნაწერის გარჩევის და დაფასების მეტი არ უქნია რა. მაგრამ იმის შრომა მაინც იმდენათ სარგებლიანი იყო რუსული მწერლობისთვის. რომ ის არც პუშკინის, არც გოგოლის ნაკლებ არავის მიაჩნია. ასეა ყოველგან, და დიდი უშველებელი უსაფუძვლოებაა პუბლიცისტი რომ უთხრას კაცმა — ხმას ნუ ამოიღებ, სანამ იმ საგნის მაგიერს არ მოძებნი, რომელიც შენი სინდისისა და გონების რწმუნებას შენთვის გაკიცხვის და ძაგების ღირსათ უჩვენებიაო.

მეორე მოვალეობა პუბლიცისტისა იმაში მდგომარეობს, რომ თავის დღეში საზოგადოებას იმისთანა რჩევა არ მისცეს, რომელმაც საზოგადოებას ავნოს ან საქმე გაუმრუდოს, თავის დღეში საზოგადოებაში გავლენა არ მოაპოვებინოს იმისთანა პირებს, რომელთაც მისი მტკიცე რწმუნებით, საზოგადოებისთვის ვნების და ჩავკრის მოტანა შეეძლებათ. ამ საქმეში პუბლიცისტი სინდისის ღ შემდეგი თაობის წინაა პასუხის მგებელი, ღ ეს პასუხისგება, დამიჯერეთ, უკრო მძიმე და საშინელოა, ვინემ სისხლის სამართალი თავისი კატორგით და თუნდა დახვრეტითაც. გულითად მებრალება ვისაც არ ესმის, ღ ვისაც ამ პასუხისგების გახსენებასთან, ვისაც ამ მოვალეობის ასრულებასთან ან მეგობრობა, ან წვრილმანი პიროვანი გაწყობილება, სიამოვნება თუ უკმაყოფილება, ახსოვს და გულში აქვს..

იქონიეთ მხედველობაში ეს დანიშნულება პუბლიცისტისა და გადახედეთ, ეხლა, ჩვენს მოქმედებას ქუთაისის ბაკის თაობაზე.

ბეჭდვითა და სიტყვით ჩვენ ვცდილობდით, რომ ქუთაისის აზნაურობას ხეირიანი, მომავლიანი, მტკიცე ბანკი გამართოდა. გარდაიკითხეთ ამ საგანზედ ჩვენი ნაწერი (მაგალითად „დროება“ 1870 წ.

№ 17 და 1873 №21) და ნახავთ, რომ ამ საქმეში ჩვენ არ დაგვივიწყნია პუბლიცისტის მოვალეობის სიმძიმე. შემდეგში, როცა ჩვენი საზოგადოების მოთავეები ყველა მხრით იმას გვეუბნებოდნენ, დაგვეზარეთ, ხელი გავგიწყეთო, უსტავი დაგვიწერეთო, როცა საქმე უკანასკნელ მდგომარეობაში იყო მოსული, ჩვენ ვთქვით: მიანდეთ ეს საქმე ორიოდ - სამ ახალგაზღვას, ისეთს რომ მათი გონება ნიადაგ პარტიული ბრძოლის სარგებლობაზე არ ჰფიქრობდეს, ვისაც ცოტაოდენი რამე ესმის ჩვენს ახალგაზღვობაში ყველა ერთიანად დაეხმარება ამ პირებს, თავის შრომას და ცოდნას გაუზიარებს და გამოვა ხეირიანი უსტავი, მომავლიანი ბანკის დედა-ბოძი და საფუძველი. ჩვენ იმდენად გულწრფელად ვიქცეოდით ამ გარემოებაში, რომ სხვისგან სხვანაირ მოქცევას და განზრახვას არც კი ველოდით. და კერძობით მოლაპარაკების დროს ჩვენ ყველა მოთავეებს ამ სიტყვებს ვეუბნებოდით: „მიანდეთ ეგ საქმე ბეს. ლოლობერიძეს, კ. ლორთქიფანიძეს, ერთს კიდევ ვისმე, ვინც გინდოდეთ მანდაურ ახალგაზღვებთაგანს, მაგალითად ან. ლორთქიფანიძეს“⁶⁶, და რაც ჩვენ რამე ვიცით, რის მიგნება გვაქვს ან რასაც ჩვენი რუსეთელი და სამზღვარ-გარეთელი მეგობრები მიაგნებენ; შევავროვებთ, გავშინჯავთ და თქვენ ამორჩეულ პირებს გაუზიარებთ. სხვანაირად უსტავის შედგენა შეეცდომება, საქმის საბოლოოდ წახდენა“⁶⁷. მიაკითხეთ ქუთაისის ვისაც გასურდეთ, და შეიტყვეთ ასე იყო ეს თუ არა? კითხეთ კიდევ, თანახმა იყო ამაზე უფ. ბ. ლოლობერიძე თუ არა, და თუ ეს ასე არ ყოფილიყოს, შერცხვენილი და სახელგატეხილი ვიქნები მე საზოგადოების და ახალთაობის წინ.

მაგრამ თქვენ ამ დროს ქუთაისში, არ ყოფილხართ, თქვენ თფილისში იყავით, როცა ეს საქმეები ქუთაისში მზადდებოდა. ეხლა მე მიინდა დაგიმტკიცოთ, რომ თფილისშიაც შეგეძლოთ თქვენ დაგეხმარებოდით, რომ სწორედ ამნაირი იყო ჩვენი საქციელი.

აი რას ვწერდით ჩვენ მაისის დამლევს („დროება“ 1873, №21):

„ჩვენი საზოგადოება რამე ისეთ დახლართულ, ნაკულ-ნაკულად დაკერებულ პროექტს მიიღებს, რომ ბანკის საქმე სანიადაგოდ დაღუპული იქნება, და იმასაც კი ვერ გაიგებს, რომ თუ ჩვენში ბანკი ერთხელვე დასაწყისში ცუდად წავიდა, ხარ-კამბეჩითაც ვეღარ ააყენებს კაცი ჩვენი ქვეყნის დაცემულ კრედიტს და დაფუძულ ბანკს.

„ამაში ჩვენ თითქმის დარწმუნებული ვართ. ჩვენ ვიცით, ამას გარდა, რომ ქუთაისში ეხლა საქმე განსაკუთრებით მძიმე და დახლართულია სულ სხვა მხრითაც. ბანკს ჩვენში ბევრი ძლიერ შემძლე მოწინააღმდეგე ჰყავს, რომელიც მომავალ პროექტს თვალ გამოჰყუცით შეჩერებთან, რომ რამე კვანტი გამოდონ და საქმე ორიოდ სამი

წლით კიდევ დააბრკოლონ... აზნაურობა ამ ორ მახეში ჩავარდნას უნდა ერიდოს, თორემ საქმე უარესად დაებურდება. აჩქარებით, ორ სამ დღეში, ამისთანა ძნელი საქმე ვერ გაროვდება. ამ ძნელ და საშინელ გაპირვებაში ჩვენ საზოგადოებას გონიერი საქციელი სჭირია, ისეთი, რომ მომავალ თაობას ჩვენი ლანძღვით ხსენება და გინება არ შეეძლოს, რომ ჩვენც, შემდეგში, ჩვენი შვილების წინ თავის დაღუნვა და გაწითლება არ დაგვჭირდეს. აი, ამ მძიმე მდგომარეობის და საშინელი, პასუხის-გების მიხედვით, ჩვენ მოვალეობათ ვრაცხთ სინდისის წინ, ორიოდ გულწრფელი რჩევა მივცეთ როგორც ჩვენ საზოგადოებას ისე ჩვენ ახალგაზდა მოთავეებს, გამოდგება თუ არა ჩვენი რჩევა, მიიღებენ იმას თუ არა, ეს სხვა საქმეა. ჩვენ ჩვენსას კი ვიტყვით და მერმე ღმერთმა ყველას გზა დაულოცოს.

აი ეს ჩვენი რჩევა:

„I. საზოგადოებისთვის: ძველ მოთავეებს ბანკის საქმე და ქვეყნის საჭიროება და მომავალი სწორეთ იმდენათ ესმისთ, როგორც ჩვენ ჩინური ენა. იმათგან ამ საქმეში ვნების მეტი არა გამოვა რა, და ისინი საზოგადოებამ დღეს უნდა საქმის გარეთ დასტოვოს. საზოგადოება უნდა მიენდოს ამ საქმეში ერთს ან ორს, ან თუნდ სამს ახალგაზდას, და საქმის წაყვანა, პროექტის შედგენა და ბანკის დაარსება იმათ მიანდოს, მათ ნამუსზე შეაგდოს, ისე რომ ამ ამორჩეული კაცების მომავალი და სახელი სამუდამოთ ამ ბანკის საქმეზე დამოკიდებული იყოს. თუ იმათ ეს საქმე კარგათ წაიყვანეს იმათ ჩვენი საზოგადოების მადლობა, პატივისცემა საკმაო ჯილდოთ მიაჩნდებათ. თუ არა და, ნუ ამოაყოფინებთ იმათ საზოგადოება თავს ნურასოდეს, ნურსად, ნურაფერში, — მათთვის მომავლის დაკარგვა, სახელის გატეხა და საზოგადო შეურაცხყოფა საკმაო სასჯელათ იქნება. ამ ცდის მეტი საზოგადოებას დღეს, ჩვენი აზრით, არაფერი შეუძლია. მეტი გზა, მეტი საშუალება იმას დღეს ხელში არ აქვს. საზოგადოებამ რომ თვითონ ან პროექტის შედგენა მოინდომოს, ან სხვისგან შედგენილ პროექტს შინჯვა დაუწყოს, პროექტი და ბანკი დაილუპება, წახდება, ამიტომ რომ არც საზოგადოებას, არც არც ერთ მის ეხლანდელ მოთავეს ბანკის საქმის გაგება არა აქვს.

„II. ახალგაზდა მოთავეებს: თუ საზოგადოება ამ თავითვე უმთავრეს საფუძველზე არ დათანხმდა და მათი დაარსების უფლება არ მიანდო პროექტის შემდგენლებს, არც ერთმა ხეირიანმა კაცმა ამ საქმის თაოსნობა არ უნდა იკისროს, რადგანაც მაშინ ბანკის მომავალ და აუცილებელ დაცემას ჩვენს ახალგაზდობას მიაწერენ და ჩვენი მიმართულების წინააღმდეგ იარაღათ გამოიყენებენ.

მამასადამე, საყოველთაოთ ცხადი და ნაცნობი უნდა იყოს, რომ ვინც ქუთაისში ბანკის საქმეს იკისრებს იმ საფუძვლების დაუმტკიცებლათ, რომელზედაც წინეთ ვლაპარაკობდით, იკისრებს საზოგადო სარგებლობისთვის კი არა, თავისი საკუთარ კერძო გამორჩენისათვის, და ჩვენი მხრით, ჩვენი თაობის და მწერლობის მხრით, იმას დახმარება და რჩევა კი არა, ერთგული და ნიადაგი წინააღმდეგობა და ბრძოლა მოეღის. მაშინ ბანკის დაცემა მათი, და არა ჩვენი ახალგაზდობის საქმე იქნება“.

ეს იყო ჩვენი განზრახვა და აზრი ქუთაისის ბანკის საქმეზე. შემდეგში, როცა საზოგადოებამ „ნაკუწ-ნაკუწათ დაკერებული პროექტი“ მიიღო, როცა უფ. ბეს. ლოლობერიძემ პროექტი წარადგინა და, საზოგადოების წინ გულ-წრფელი პასუხისგების მაგიერ იკისრა კამედიის თამაშობა, ვითომ ჩემი პროექტი პატივცემულმა პირებმა განიხილესო (რომელთაც, ჩვენი სიტყვით, „ბანკის საქმის გაგება არა აქვთ“), ჩვენ იმ საქციელს დავადექით, რომელიც ამოწერილი ადგილის ბოლოსაა გამოსახული. რა ვთქვით ჩვენ მაშინ?

ის, რომ ჩვენ ამ საგანზე ხშირათ მოვილაპარაკებთ, ესე იგი დაწვრილებით განვიხილავთ უფ. ბ. ლოლობერიძის პროექტს. ის კიდეც, რომ ჩვენი წინააღმდეგობის უმთავრესი მიზეზი ჩვენი აზრით იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენში რუსეთელი ბანკის მიბაძვა არ გამოდგება, ჩვენ სხვა საჭიროებები გვაქვს, ჩვენ სხვა საშუალებების გამოყენება შეგვეძლო და ამ საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს, ამ საშუალებებს ვერ ხმარობს უფ. ბეს. ლოლობერიძის პროექტი. მგონია, რომ ეს ძლიერ საფუძვლიანი და შეურყეველი დამტკიცებაა. ეს დამტკიცება ჩემი „იმერეთის ამბების“ თავში გამოვსახე და დაწვრილებით იმის აწერა შემდეგისთვის გადავდე, როცა ხელში უფ. ლოლობერიძის პროექტის პირი მექნება და მისი დაწვრილებით გარჩევა შემეძლება. მანამდე კი, ჩემი პასუხისგების ქვეშ, როგორც სინდისიანი პუბლიცისტი, მე ვამბობდი, რომ უფ. ბეს. ლოლობერიძე ცუდათ მოიქცა, კარგი საქმე წაახდინა, ბანკის მომავალს ავნო. ნუ თუ ამისი თქმის ნება არ აქვს პუბლიცისტს?

ან რაა, ვითომ, პუბლიცისტის სიტყვა? განა მისი ნაწერი სახარების სიტყვაა? არა. პუბლიცისტი თავისას ამბობს და საზოგადოება, თუ ყურს უგდებს, მარტო იმას იჯერებს, რაც იმას უჯდება და ხეირიანათ მიაჩნია. ჩვენ ჩვენსას ვამბობთ. თქვას უფ. ლოლობერიძემ თავისი და საზოგადოება გაგვარჩევს. რათ უნდა მოდიოდეს გული და რათ უნდა სწყენდეს პატიოსან კაცს მის წინააღმდეგ წერა-ბეჭდვა? გონიერი და პატიოსანი მოქმედი ნიადაგ დაჯერე-

ბული უნდა იყოს, რომ საზოგადოების წინ მისი საქციელის და აზრების განხილვა, ძაგება, გაკიცხვა და მასხარათ აგდება იმას ვერაფერს დააკლებს, თუ მისი აზრი მტკიცე და საფუძვლიანია, თუ მისი საქციელი გონიერი და პატიოსანია, ამ შემთხვევაში უსაფუძვლო დაცინვა და გაკიცხვა მარტო გამკიცხველს და დამცინველს აუნებს. რადგანაც მისი წინააღმდეგობა საზოგადოების წინ უსაფუძვლოთ და უგნურათ გამოჩნდება. სინათლის გამოაშკარების, ქვეყნის წინ გამოსვლის მარტო ცუდათ-განზრახულ, პიროვანი მიზნისა და სარგებლობის შეძიებელ, ბნელ ყოფაქცევას დაჩვეულ კაცს უნდა ეშინოდეს და ერიდებოდეს. დაინახოს დაე, საზოგადოებამ ყველა მოქმედი პირების განზრახვა, მიზანი, საქციელი, აზრი, შეიდეგინოს გაგება საზოგადოებრივ საქმეებზე და მოქმედ პირებზე, გაიგოს ყოველი საზოგადო საქმის გარემოება, გამოაშკარავდეს ყველაფერი — და საზოგადოებას ამისგან სიკეთის და სარგებლობის მგეტი არაფერი მოელის. ვნება, დამხობა, სახელის გატეხა იმას ერგება, ვინც ცუდათ მოქცეულა, ვისაც საზოგადოების სარგებლობა დავიწყებია ან პიროვანი განზრახვით უმოქმედნია.

რას ნიშნავს, კიდევ, თქვენი და ბევრი სხვების გაბრაზება? რათ არ გვწყენია ჩვენ ჩვენი წინააღმდეგი წერა, რათ ვაძლევთ ადგილს ყველაფერს, რასაც თქვენ ანსხვა ჩვენზე დასწერს ამ საქმის თაობაზე? ამიტომ, რომ მტკიცეთ და ბეჯითათ დარწმუნებული ვართ, რომ საქმის ნათლათ გამოაშკარებით სარგებლობა მოეტანება ჩვენს საზოგადოებას, და არც ერთს ჩვენს მოქმედებაში, არც ერთ სტრიქონში არ გამოჩნდება არც ერთი ლალატი, არც ჩვენი მოვალეობის დავიწყება. მოითმინეთ, ყური დაუგდეთ ორივე მხარეს, მოისმინეთ ორივე მხრით წარმოდგენილი საფუძვლები და ახსნა და ბოლოს შეთდგინეთ აზრი, ვინ ყოფილა ჩვენი ქვეყნის და საზოგადოების ერთგული, და ვინ — მოლალატი.

ბეს. ლოლობერიძის „ტიტინი“

ულირსად ამალღებული ან ნაქები კაცის შეხება და გამოაშ-
კარავება მარტო სასარგებლო კი არა, ადვილი საქმეც ყოფილა.
დგას ათი და ოცი წლობით „დიდი ქებით გაბერილი“ კაცი, უსარ-
გებლო და ხან მავნებელ მდგომარეობაში; გაყუჩებით და ფილოსო-
ფიური გამოხედულობით უხვევს ის თვალს მთელს საზოგადოებას და
იქამდი აწევს, რომ ყველა იმას მართლა რალაც „ძალათ“ სთვლის,
ყველა იმას დიდ ჭკუას და გამოცდილებას აწერს, ყველას ის მეც-
ნიერათ მიაჩნია. მაგრამ მისი გავლენის საფუძველი ისე სუსტია, მისი
ნამდვილი ღირსება იმდენათ სუბუქია, რომ ერთი შეხების მეტი არც
კი სჭირია კაცს ამ ხანგრძლივათ აშენებული რეპუტაციის შესარყევ-
ლათ და დასამხოზლათ. ჭკრავს თუ არა კაცი თითს ამისთანა სილა-
ზე გაშენებულ „ძეგლს“, მთელი შენობა ვაი-ვაგლაზით ინგრევა, და
მტვერის მეტი აღარაფერი რჩება იქ, სადაც უწინ მაგარი და საშვი-
ლიშვილო შენობა სჩანდა. რაც უწინ ნათალ ქვათ მიაჩნდა კაცს,
რაც ათასი წლის კირს გავდა, რასაც თუჯისა და რკინის სახე ჭქონ-
და, ის დაფუტუროებული მიწა გამოდის, რომელიც მცირეოდენ ნი-
ავს გააქვს და გამოაქვს დედა-მიწის ოთხივე კუთხისკენ, თითქო
იმის დასამტკიცებლათ, რომ აი რა მტვერი სჩვენებია კაცს მაგარ
ზღუდეთ და ძეგლათო.

სწორეთ ამ გვარი საქმე ემართება უფ. ბეს. ლოლობერიძეს.
თუმც ჩვენ „მაგარ ძეგლათ“ ის არასოდეს არ მიგვაჩნდა, მაგრამ
გამოვტყდებით, ჩვენს დღეში ვერ წარმოვიდგენდით, რომ იმას მეტი
საქმის მიგნება და სიმტკიცე არ ექნებოდა. მისი გრძელი გოდება
ჩვენ გვაკვირვებს და გვაშტერებს, და მისი საბუთების განზიღვის
შემდეგ ჩვენ გაცობით ვკითხულობთ, ნუ თუ ამის მეტი საფუძველი
არ ჭქონია უფ. ლოლობერიძეს თავის მოქმედების დროს, ნუ თუ
მარტო ამ მოაზრებით უხელმძღვანელებია, ნუ თუ ამნაირი უთავბო-
ლო და უსაფუძვლო მოქმედება იმას თითონ ბავშობათ არ მიაჩნია?
და ამ კითხვაზე ჩვენ პასუხს ვერ ვპოულობთ.

თუმც მისი „წილა-დობილა“ სრულიადაც არ შეეხება იმ საგ-
ნებს, რომელზედაც ჩვენ „იმერეთის ამბებში“ ვწერდით, და ლაპარა-
კობს მარტო გარემე გარემოებებზე, მაგრამ ამ ოდისეაშიაც ისეთი

ძვირფასი თვლები იპოება უფ. ბ. ლოლობერიძის უსაფუძვლოებისა, რომ უჩეთესი ღმერთმა შეარცხვინოს. ვითომ იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ მე ყოველთვის მტკიცებ ვიდეკი ჩემს პროექტზეო და ნიკოლაძესთან არაფერი. პირობის დადება არ შემეძლო, უფ. ლოლობერიძე მოგვითხრობს თავისი პროექტის უცაბედ დაბადებას:

„მე შევადგინე (გადმოვწერეო, უნდა ეთქვა) უსტავის პროექტი რაოდენისამე მეგობრების რჩევით და შემწევობით. დრო დამეხმარა, თე ბერელის თვეში (1873 წ.) ჩემის სამსახურის საქმეებისთვის გამგზავნეს პეტერბურღს, სადაც მქონდა შემთხვევა, ჩვენი ბანკის გარემოება და ჩემი პროექტი მცოდნე კაცებისთვის გამე-სინჯვინა*. რაკი მათ მომიწონეს ჩემი ნარჩევი, მე მტკიცებთ და გაბედვით დავადეკი ჩემს პროექტს“;

„მე მტკიცებთ და გაბედვით დავადეკი ჩემს პროექტს თებერვალ-შიო“ ამბობს ხომ უფ. ბეს. ლოლობერიძე. მაგრამ იგივე უფ. ლოლობერიძე იმავე სტატიაში ამბობს მეორე ადგილას, რომ ახალს ნამაღლობევს (მაისში), როცა ნიკოლაძე მობრძანდაო, მე თუმც ამ მძიმე საქმეზე ვფიქრობდი, მაგრამ ბევრჯერ განსჯა მიბორძიკდებოდა, უსაფუძვლო აზრები მივიღიდენ ტვინშიო, მანამ საუკეთესო გზას გამოვარჩევდი და უკანასკნელ საფუძვლიანს აზრზე დავადგებოდიო. ერთხელ ამბობს: „ჩემი პროექტის იმედი მქონდა და არა უხეიროთ მიმაჩნდა ის, როგორც ცილს მწამებს უფ. ნიკოლაძეო“, და მეორეჯერ: — „ჩემთვის სულ ერთი იყო, ჩემს პროექტს მიიღებდენ თუ სხვისასო“. სხვაგან მოგვითხრობს კიდევ, რომ მაისის დამდეგს „პროექტი გასწორებული ს. ლოლობერიძეს დავუტოვეო“, და შემდეგ: „სამს იენის ნ. ლოლობერიძეს ვაუგზავნე ჩემის პროექტის უკანასკნელი რედაქციაო“. დღეს ბეჭდავს: „პროექტი შევადგინეო“, და გუშინ ამბობდა, „პროექტი გადმოვწერეო“.

ეს ყველაფერი წვრილმანი უსაფუძვლოებაა, იმათზე ლაპარაკიც არ ღირს, თუ არა იმისთვის, რომ ვაჩვენოთ მკითხველს, რა სიმტკიცით და რა სიბეჯითით მოქმედება სჩვევია უფ. ლოლობერიძისთანა ბრძენ კაცებს. ეხლა ჩვენ მეორე მხარეს შევუდგეთ, აგრეთვე წვრილმანს, მაგრამ რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორი გზების ამორჩევა სჩვევიათ იმავე ბრძენებს.

* სანამ უფ. ლოლობერიძე ამ მცოდნე პირებს არ დაგვისახელებს, ჩვენ ამ სიტყვებს საზოგადოების თვალის ახვევათ ჩავთვლით. და თუ უფ. ლოლობერიძემ ამაზე წაჯიყრუა, ეს იმის დამტკიცება იქნება, რომ იმას არც ერთ ნამდვილათ მცოდნე და მისანდოღელ, გამოჩენილ კაცთან ამ საქმეზე არ მოულაპარაკნია.

უფ. ბ. ლოლობერიძეს ჯიბეში უძევს „შედგენილი“ პროექტი „მცოდნე“ კაცებისაგან მოწონებული, რომელზედაც ის ისეთნაირათ „მტკიცეთ და გაბედვით ადგია“, რომ თავიდანვე ქუთაისელ მოთავეებს ეუბნება: „თუ სხვა საფუძველზე (საფუძველზე, და არა საფუძველზე) გაკეთდა ბანკი, მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მაშინ კარგათ არ წავაო“. გვეგონა, ეს სიმტკიცეს ნიშნავს. მაგრამ თებერვალში და მაისში ასე მტკიცეთ დაჯერებული კაცი, მაისის დამლევს ცდილობს შეიტყოს, „ჩემი ბიძაშვილები და სხვა პირები რა გზას ადგანან და მეც ერთ გაკვლულ გზას დავდგომოდი“. წავიდა ეს კაცი ამ განზრახვით ქითაისს, დაინახა მისი ბიძაშვილები რა გზას ადგენ და იფიქრა: „მე ჩემი ზომა უნდა მივიღო მეთქი, და ამ უამიღგან (იენისიდამ) ის მოქმედების პროგრამა ავირჩიე, რომელიც 25 იენისს კრებას წარუდგინე“. — ამას ჩვენში სიბრძნეს და მტკიცე მოქმედებას ეძახიან თურმე.

ჩვენ ამას სულ სხვა სახელს ვაძლევთ. ვისაც მტკიცე საფუძველი არა აქვს, ვისაც გამოკვლეული მიზანი არ უდგია წინ და გასავლელი გზაც კარგათ არ გაუცვნია, იმის მხრით საზოგადო საქმეში გამოჩნება ან სიბრძნეა, ან უსინდისობა. ამოირჩიოს უფ. ლოლობერიძემ რომელიც უნდოდეს ის სახელი; ჩვენ კი ჩვენდა თავად ვფიქრობთ, რომ უფ. ლოლობერიძეს ეს ტინის რყევა გამოუცდელივით და უსაფუძველობით მოსვლია, სხვითი არაფრით. მაგრამ ქუთაისში იმ პირებს შუა, რომლების გზის გამოკვლევას ცდილობდა უფ. ბ. ლოლობერიძე, ისეთებიც არიან, რომელნიც საგანგებოთ აი ამნაირ მოქმედებას და ოინს ხმარობენ: როცა საზოგადოებას რამე საჭიროება ადგია კარზე, როცა იმას რომელიმე საქმის გარდაწყვეტა და დაბოლოება სურს, ეს პირები, ამ საქმის სინდისიანათ განხილვის და ჩვენების მაგიერ, ასტეხენ ერთ უბრალო საქმეზე ყაყანს და შფოთს, წაკიდებენ საზოგადოებას ერთმანეთთან, როცა ყველას ერთი და იგივე საჭიროება ადგია და, მაშასადამე, ყველა ერთ და იმავე საქციელზე ძმურათ უნდა იდგენ და შფოთში, ვაი-ვაგლახში ყველას არწმუნებენ „უმთავრესს საქმეზე ჩვენ ჯერ გადაწყვეტილი აზრი არ გვაქვს, აი ამ შფოთში გავიმარჯვოთ და იმას მერზე გავიხილავთო. როცა საზოგადოება კარგათ ლამაზათ დაილალება, როცა ყრილობის უკანასკნელი წუთი დადგება — ამოაყოფინებენ ისინი თავს თავიანთ განზრახვას, კანდიდატს თუ პროექტს, დაიძახებენ „არიქა-კენკიო“ და გადააფუჩეჩებენ საქმეს უცტაო, შფოთში და ვაი-ვაგლახში. ამგვარი საქციელი ქვეყნის დამლუპველი და დამამცირებელია, და რა გინდ რეკლამას უშვებოდეს ბ. ლოლობერიძე იმათ, ვინც ამ ოინებს ხმარობს, იმ

კაცებს არავენ ქვეყნის ერთგულათ არ ჩასთვლის. იმათ ყოველგან საკუთარი სარგებლობის მეძიებლები და ქვეყნის ორგულები ჰქვია.

ვიმეორებთ, ეს სულ წვრილმანი შენიშვნებია ჩვენი მხრით, უფ. ბეს. ლოლობერიძის წვრილმან უსაფუძვლოებზე.

გადვიდეთ სხვილ-სხვილ საქმეებზე.

ბ. ლოლობერიძეს ვერ გაუგია, რა განზრახვით ვამბობთ ჩვენ, რომ ბ. ლოლობერიძეს „ჩვენთან მოლაპარაკება ჰქონდა“, „ჩვენ გვეგონა“, „ჩვენ იმედი გვქონდა“ და სხვ. იმას ჰგონია, და პასუხშიაც გვეუბნება, რომ ჩვენ რამე „ანგარიში“ გვქონია. ალბათ ამ ანგარიშით იმას საზოგადოების სამსახურის სურვილი მიაჩნია ჩვენის მხრით. დიდი მიხედვით არ ჰქონია იმას, თუ ჰგონია, რომ ამნაირ განზრახვას ჩვენ ან დავმალავდით, ან ვითაკილებდით: რომ ანგარიში გვქონოდა ჩვენი ხელით საქმის გაკეთებისა ან ჩვენი საკუთარი წამოდგომისა, პირ-და-პირ ვეტყოდით საზოგადოებას: ჩვენ გემსახურებით, ჩვენ მოგვანდეთ ეგ საქმეო. ამაში სათაკილო ან დასამალავი არა არის რა, რადგანაც ეს მოვალეობის ასრულებაა, მეტი არაფერი. ჩვენ სულ სხვანაირათ მოვიქცით. ჩვენ მთელი თვის განმავლობაში ყველას ვურჩევდით, დიდს და პატარას, — ეგ საქმე ბ. ლოლობერიძეს და ამხ. მიანდეთ, ისინი გაგიკეთებენ კარგათ-თქო. და იმ კაცმა, რომელზედაც ჩვენ ამას ვამბობდით, საქმე ისე წაიყვანა, რომ, ჩვენის აზრით, დღეს იმას საშინელი გასაჭირი ადგია. მაშასადამე, ჩვენ შევცდით, ჩვენ ცუდი რჩევა მივეციით ჩვენს ნაცნობებს, ჩვენ ჩვენი თავის გამართლება გვჭირია, არა? აი, ამ საქმეების მიხედვით ჩვენ ვხსნით, რომ ის რჩევა ჩვენ იმიტომ მოგვცით, შეცდომაში იმიტომ შეგატოპვინეთ, რომ „იმედი გვქონდა“, „გვეგონა“, „მოლაპარაკება გვქონდა“ და სხვ. და სხვ. მეტს მნიშვნელობას ნურავინ ნუ აძლევს ჩვენს სიტყვებს უფ. ლოლობერიძესთან მოლაპარაკებაზე.

მაშასადამე, ამ პირადი მხრით, რომელიც თვითონ ბანკის საქმეს არ შეეხება და მართო ერთ გარეგან შემთხვევას შეადგენს, საჭირო იყო ახსნა, მართლა გვქონდა ჩვენ მოლაპარაკება, მართლა აღგვითქვა ეს უფ. ბ. ლოლობერიძემ თუ არა.

უფ. ბ. ლოლობერიძის წილადობილაში იმ ადგილამდი რომ მივა საქმე, როცა უფ. ნიკოლაძე ჩამოვიდაო, და როცა უფ. ბ. ლოლობერიძეს იმავე დაწვრილებით უნდა ეანბო ჩვენი მოლაპარაკება და საქმეზე ერთათ დადგომა, ის თავის ოდისიეას უცბათ სწყვეტს და ჩვენი ნალაპარაკების მაგიერ აი რა გასაოცარ სიტყვებს სწერს:

„ახალ ნამაღლობევს უ. ნიკოლაძეც მობრძანდა.

„კაცი რომ ერთს მძიმე საქმეზე ფიქრობდეს, წარმოიდგინე, მკითხველო, რამდენი რა მოუვა თავში, რამდენჯერ განსჯა დაუბორძიკდება, რამდენი უსაფუძვლო აზრი გაუვლის ტვინში, მანამ საუკეთესო გზას გამოარჩევს და უკანასკნელ საფუძვლიანს აზრზე დაადგება. რომ დავხატოთ სულ ის მრუდე გზები, რომლითაც რუსთველის ჭკუას უვლია, მანამ ის „ვეფხვის-ტყაოსნის“ შესავალს ან ავთანდილის ანდერძს დასწერდა, და მოვკითხოთ ანგარიში იმ შავთ ნაფიქრები ლექსებისა, რომელთაგან წარმოდგა ჩვენის ენის სიამპარტავენე და საუნჯე, გარწმუნებ, ჩემის და გორისელის ქართულზედაც უარესს მრავალს რამეს ნახავთ. აგრეთვე კაცი თავის ოთხ კედელს-შუა, თავის მეგობრებთან და ნაცნობებთან მრავალს იმისთანას იტყვის, რომ ელშიდაც ანგარიში და პასუხის მგებლობა არ მოეთხოვება. კაცთან რომ დიდხანს დარჩები, გარეშეც რომ იყოს, უეჭველია, ისეთი რამეები შეიძლება ითქვას, რომელიც არ უნდა გამჟღავნდეს. ამ მიზეზების გამო ყოველი თქმული ოჯახში, კერძობითს მუსაიფში მხიარულების დროს, ტიტინის მადის დროს, შეუხებელი საიდუმლო უნდა იყოს, ეს ერის ზნეობითი კანონია, რომლის გადახდომა არის მეჭორეობა და მპარაობა“.

ეს შეუძლებელი სიტყვები დაბეჭდა უფ. ლოლობერიძემ „დროებაში“ (1873 წ. № 28, პირველ გვერდის მესამე ბოძზე).

ამით აპირებს ვითომ ის უარის ყოფას ან თავის გამართლებას? ვიმეორებთ, ვერ ყოფილა დიდი გონების კაცი, თუ ამისთანა საშუალებები საფუძვლათ მიაჩნია.

თუ ჩვენთან (უფ. ნიკოლაძესთან კი არა, ჩვენთან, ესე იგი ს. მესხთან, კ. ლორთქიფანიძესთან, გ. წერეთელთან და ნ. ნიკოლაძესთან) მოლაპარაკების დროს უფ. ბ. ლოლობერიძე ბოდილობდა როგორც კაცი, რომელსაც თავში საფუძვლიანი აზრი აკლია და რომელმაც არ იცის რა გზას დაადგეს, ვერც დღეს მოუძებნია იმას ეს საფუძვლიანი აზრი და მტკიცე გზა, თორემ იმას კარგათ ეცოდინებოდა, რომ დიდი განსხვავებაა „შინაურ ტიტინს“ და „საზოგადო საქმეზე მოლაპარაკებას“ შუა. ვინ არ იცის, დაბნეული კაცის მეტშია, რომ ოჯახზე, კერძობით საქმეებზე, პიროვან შთაბეჭდილებაზე ენის წაღება და მიტან-მოტანა საძრახისია? მაგრამ საზოგადო საქმეებზე ნალაპარაკევი, საზოგადო სარგებლობისთვის ნათქვამი — საყოველთაო გასაგებარი და გამოსათქმელი უნდა იყოს? საზოგადო საქმეებში ვის გაუგონია შინაურული „ენის ტიტინი“ და დაფარული ყურში ჩურჩული? განა ეს მოახლური ჩვეულებები უნდა შევიტანოთ

ჩვენს საზოგადოებრივ საქმის წაყვანაში? მოგვილოცნია უფ. ლოლობერიძისთვის ეს ახალი გამოჩენა და დაგვილოცნია მისთვის მისი ხმა-რება და მითი სარგებლობა!

მაგრამ აქ უფ. ბეს. ლოლობერიძე თავის თავს თვითონვე ცილს-წამებს. იმას კარგათ ესმის, რომ საზოგადო საქმეებში ნათქვამი საყოველთაო გასაგონია, თორემ აბა რა უფლებით დაბეჭდდა თვი-თონ ის თავის მოლაპარაკებას უფ. გ. იოსელიანთან, კ. ნიჟარაძესთან, გ. ლოლობერიძესთან, დ. ჩხეიძესთან, და სხვ.? თუ მე უფლება არა მაქვს დავბეჭდო—ბეს. ლოლობერიძემ აი რა მითხრა, აი რა აღგვით-ქვა, — რა უფლება აქვს უფ. ბ. ლოლობერიძეს ბეჭდოს თ. გ. აგიაშვილს ვთხოვეო შინაურულათ მომალაპარაკე, უფ. სპ. მაჭავაძიანს მო-ვასხენეო და სხვ. და სხვ.? ან იქნება უფ. ბ. ლოლობერიძეს კი მინი-კებია ეს უფლება და ჩვენ — არა? ვინ იცის, ვინ იცის! ეს იმას კი ამტკიცებს, რომ ბ. ლოლობერიძეს არ სურს რომ გამოვაცხადოთ რა-თქვა იმან იმ ჩვენ მოლაპარაკების დროს. მაგრამ რათ არ სურს?

ნუ ეშინია უფ. ბ. ლოლობერიძეს. ჩვენ ისეთს არაფერს ვიტ-ყვით, რომ იმას ავნოს, მაგრამ რაც საჭიროა ის კი უსათუოთ უნდა ითქვას — ეს თუნდ ეწყინოს უფ. ლოლობერიძეს, თუნდ იამოს, ჩვენ-თვის სულ ერთია და „პარაობის და ქორობის“ დარქმევით ის ჩვენ ენას ვერ აგვიბამს.

ბ. ლოლობერიძემ სხვათა შორის გვითხრა, რომ აი ამ წიგნიდამო („Свод кредитных установлений“) გადმოვსწერე პროექტი, მი-ნდოდა ქუთაისის კრებისთვის წარმომედგინაო, სულ არარაობას ესეც; სჯობიაო. თუ გამოადგა ეს პროექტი ქუთაისელ ლოლობერიძეებს, მოიხმარონ როგორც უნდათო, მე იქაური გარემოება და საქმეები არ ვიციო. ამაზე ჩვენ უთხარით, რომ ქუთაისის აზნაურობის მდგო-მარეობა და საქმეები სწორეთ გულ-შემაწუხებელი არიან; ამ აზნა-ურობას უმიზნოთ და უდროოთ აშფოთებენ ერთმანეთში ისეთი-კერძობით მდაბალი განზრახვებით, რომელნიც აზნაურობის სარგებ-ლობას არ შეეხებიან და მის მდგომარეობას და საზოგადოთ ჩვენი მამულის მომაჯალს კი ავნებენ თქო. ერთი სიტყვით ჩვენ უფ. ლოლო-ბერიძეს სიტყვიერათ ის აზრი გამოუხატეთ, რომელიც დაბეჭდილი იყო ფელეტონში „რისთვის ვჩხუბობთ?“ („დროება“ 1873, № 20).

ამ მდგომარეობაში, — განვავრძეთ ჩვენ — აუცილებლათ სა-ჭიროა, რომ იმერეთის აზნაურობას დახმარება მიეცეს ახალგაზ-დობის მხრით, ესე იგი, იმისთანა კაცების მხრით, რომელნიც არც ერთ ეხლანდელ მებრძოლ ვითომ-პარტიას არ ეკუთნოდეს. რამდენათაც ჩვენ იმერეთის საზოგადოების ეხლანდელ აზრს და

მიმართულებას ვიცნობთ, ჩვენ გვგონია, რომ ის ალტაცებით მიიღებს. ყოველს გონიერ ახალგაზდას, რომელიც ეტყვის: „თქვენ ყველას ერთი ბედი, ერთი საქმე, ერთი მდგომარეობა გაქვთ, მაშ ერთი მიზანიც, ერთი პირიც იქონიეთ, თავი დაანებეთ იმ პირებს, იმ კითხვებს, რომელნიც თქვენ გაცალ-ცალკეებენ, საშფოთო, სააყალ-მაყალო თქვენ არა გაქვსთ რა, მშვიდობიანათ და ერთგულათ შეუდექით თქვენ საქმესო. — წადით ქუთაისს, ვეუბნებოდით ჩვენ უფ. ლოლობერიძეს, უთხარით ეს აზნაურობას, დაუმატეთ, რომ ბანკის საქმეს თავის მობმა ერთხმობით სჭირია, უთხარით, რომ თქვენ იკისრებთ ამ საქმის გაწყობას, მოთხოვეთ საზოგადოებას, რომ მოგეცეს თქვენ თვითონ და ერთ ორს სხვას თქვენთან (ვინც თქვენ გსურდეთ, ქუთაისში ბრძოლაში გარეულ პირების გარდა) და თქვენ ყველაფერი მოგენდობა, ვერავინ გეწინააღმდეგებ, ყველა დაგეხმარებათ. და ამნაირი საქციელით, ამ საქმით თქვენ სამუდამოთ დაავალდებთ ჩვენ მხარეს, დიდ გაჭირვებას თავიდან ააცილებთ და პატიოსან სახელს დაიმსახურებთ“.

ეს უთხარით ჩვენ უფ. ბეს. ლოლობერიძეს. ამაზე იმან (როგორც თვითონ ამბობს) გვეტიტინა, რომ არ მცალიაო, სამსახურში ვარო, ქუთაისის ბანკს ბევრი წინააღმდეგები ჰყავსო, არა მგონია ჩემი წასვლით რამე გარიგდესო, მე რა შემიძლიანო და სხვ.-და-სხვ. ჩვენ კიდევ დავარწმუნეთ, რომ წინააღმდეგი ათი-თუთხმეტი კაცის მეტი არავინ იქნება, რომ საქმე გარიგდება, რომ იქ ყოფნა საჭიროა, და სხვ.-და-სხვ. და ბოლოს უთხარით, რომ იმას ეხლა უარის თქმა შემდეგში ნამდვილ ლალატად ჩათვლება.

თვითონ ბანკის თაობაზე იმან გაგვაცნო თავისი პროექტის საფუძვლები, და ჩვენც, რასაკვირველია, მაშინვე მის აზრს დავეთანხმეთ, რომ ეს „პროექტი უნდა გადაკეთდეს თავიდან ბოლომდე“. ამაზე როგორც დანარჩენზე, უფ. ბეს. ლოლობერიძემ გვითხრა: „რასაკვირველია, საქმის წაყვანის დროს მე იმ ენას ვიხმარ, რომელზედაც მე დაჩვეული ვარ, და არა თქვენ კილოსო (ეს ტანის და გარეგან მიხვრა - მოხვრას შეეხებოდა). მაგრამ თვითონ საქმის წაყვანაში კი, რადგანაც თქვენ გგონიათ, რომ მე გამოსადეგი ვიქნები, ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ მიჩვეუთო და იმ გზას დავადგები, რომელსაც თქვენ დამანახებთო.“

თქვით ეხლა, რაა ამ მოლაპარაკებაში ან „შინაურული“ ან „ოჯახური“ ან „მეგობრული,“ რომ მისი გამჟღავნება არ შეიძლება? თქვით, მოეთხოვება თუ არა კაცს პასუხისგება იმ აზრებისა და სიტყვების, რომელნიც ამნაირ მოლაპარაკების დროს გამოთქმულია?

უფ. ბ. ლოლობერიძე ამგვარათვე თავის-თავს ცილს-სწამებს, როცა სურს დაარწმუნოს მკითხველი, ვითომ საზოგადო საქმეების წაყვანა შესაძლოა „მრუდე გზებით,“ ან ვითომ რუსთაველი მრუდე გზებით სწერდა და გარდააკეთებდა თავის „ვეფხისტყაოსანს“; მრუდე გზებით მრუდე საქმის მეტი არაფერი გაკეთებულა ჯერ, არც არაფერი გაკეთდება, ეს ცხადი და ჭეშმარიტებაა, და „ვეფხისტყაოსნისთანა“ თხზულება გადაკეთებით და გადასხვაფერებით კი არა ერთბაშით ამოიხსნის პოეტის გრძნობიდან, ან სულ არ დაიწერება. გასწორდება აქ ერთი ასო, იქ მეორე რითმი, აქ ერთი სიტყვა წაიშლება, იქ იქნება მეორე ლექსი, მაგრამ მთელი პოემის ხასიათი და დედა აზრი, მთელი თხზულების დედა აზრი, მთელი თხზულების ალი და გრძნობა პოეტს პირველი ლექსის დაწერამდე მზათ და გამოკვლეულათ რომ არ ჰქონოდა თავში, „ვეფხისტყაოსნის“ მაგიერ უფ. ბეს. ლოლობერიძის „ოინობის მოთხრობისთანა“ არეულ-დარეული, კულდმოჭრილი და დახლართული რამ გამოვიდოდა. ლომი ლომათ იბადებოა თქვა ამ საგანზე გეინემ, და არა თავვით დაიბადება და მერე ნელნელა ლომათ გადიქცევაო.

დაუბრუნდეთ ჩვენ მოლაპარაკებას და დავსაკვნათ აქ ჩვენი უმთავრესი სადავო საგანი. ჩვენ ვთქვით „იმერეთის ამბებში“ და ეხლაც ვამტკიცებთ, რომ უფ. ბ. ლოლობერიძემ ქუთაისის აზნაურობას ისეთი პროექტი წარუდგინა, რომელიც იმას და მის ბიძაშვილებს უხეიროთ, ნაკლუნევიანებით სავსეთ მიაჩნდათ. ამაზე ეხლა უფ. ბეს. ლოლობერიძე გვეუბნება, არა, მე ის კარგ პროექტად მიმაჩნდა, და დამტკიცებათ ის მოყავს, რომ დ. ჩხეიძეს, კ. ნიჟარაძეს და სხვ. ვეუბნებოდი ჩემი (!?!) პროექტი კარგიაო. საქმე იმაში კი არ არის, რას ეუბნებოდა უფ. ბ. ლოლობერიძე ამ პირებს, როცა ცალ-ცალკე იმათ ეჩუბნებოდა. საქმე იმაშია, გვითხრა ეს ჩვენ თუ არა, გამოტყდა ამაში ჩვენს წინ, თუ არ გამოტყნილა. და იმის დასამტკიცებლათ, რომ ის ამაშიც თავის თავს ცილს-სწამებს, როცა ამბობს არ გამოვტყნილვარო. გავახსენებთ იმ მოლაპარაკებას, რომელიც მოხდა ქუთაისს, მაისის დამლევს, უფ. ბ. ლოლობერიძის სადგომზე, და რომელზედაც დაესწრენ: უფ. ბეს., გ. და ნ. ლოლობერიძენი, თ. ერეთეოზ სიღამონ-ერისთავი და ნ. ნიკოლაძე. და რადგანაც უფ. ბეს. ლოლობერიძეს ძლიერ მოკლე მეხსიერება ჰქონია, უმორჩილესად ვთხოვთ და ვიწვევო უფ. სიღამონ-ერისთავს უამბოს ჩვენ საზოგადოებას, თანახმა იყვნენ თუ არა სამივე უფ. ლოლობერიძენი, რომ პროექტი წარსადგენი არაა.

მეორე, უმთავრესს მუხლზე უფ. ბეს. ლოლობერიძე გამოტეხილია: ის თვითონ ამბობს, ჩემი პროექტი ხერსონის და ხარკოვის ბანკების უსტავებიდამ გადმოვწერეო. ეს ჩვენთვის საკმაოა. ის თვითონ გვიწილადობილებს თავისი პროექტით უმთავრეს საფუძვლებს — ეგვე აგრეთვე საკმაოა. ჩვენი აზნაურობა მარტო ამიტომ აარსებდა ბანკს, რომ ფულის სესხება შესძლებოდა სულის მოსაბრუნებლათ და იმ გაჭირვებაში, რომელიც იმას ახლა ადგია, მისი მამულები გარეშე პირებს ვალებში არ შერჩენოდა. იცის ეს უფ. ლოლობერიძემ, თუ არა? მაშასადამე, პირველი საჭირო საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ფული გარეშე თანხის პატრონისგან ბლომათდა იაფათ გვეშოვნა. ამისთვის საჭირო იყო, აუცილებლათ საჭირო იყო საზოგადოებრივი გარანტია, და არა მარტო დაწინდრებული მამულების ურთ-ერთი თავდებობა. როცა ჩვენ ეს ბეს. ლოლობერიძეს უთხარით, იმან გვითხრა — აზნაურობა ამაზედ არ დაგვეთანხმებოა. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ თუ კაცი ხეირიანათ აუხსნის აზნაურობას ამ გარანტიის სარგებლობას და მის უვნებლობას, აზნაურობა უსათუოდ დათანხმდებათქო. და თუ გგონია, რომ არ დათანხმდება, ითხოვე მაინც, აუხსენი, იდავე და ეს დაწინდრებული მამულების ურთ-ერთი თავდებობა ხომ მაინც დაგრჩებათ. ამაზედაც დაგვეთანხმბა უფ. ლოლობერიძე, მაგრამ კრებაში ამ საგანზე ხმა არ ამოუღია, თუ არა იმისთვის, რომ ეთქვა — ეს საზოგადოებრივი გარანტია საჭირო არ არისო. — გადაწყვიტა, რალა!

მეორე საჭირო საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ადგილები, რომელთაც დღეს არაფერი ფასი არ აქვთ, მარტო იმიტომ რომ დღეს მყიდველი, ფულის გამომღებელი არავინ მოიძებნება, ხეირიან ფასათ დაფასდეს, რომ ადგილის მებატონეს ერგოს რამე. მაინც ხელის მოსაკიდებელი და ტყუილა უბრალოთ არ შემოეცალოს ადგილი ხელიდამ. ამ უსაჭიროეს საქმეზე, ამ დაფასების ხეირიან გზაზე დაყენებაზე სიტყვას არ ამბობს უფ. ბეს. ლოლობერიძის პროექტის საფუძვლები, და თვითონ პროექტი კი ჩვენში რუსეთელი, „ნორმალური დაფასების“ წესს იღებს. რუსეთი მინდორია იქ რაც ერთ ადგილსაა მიწა, იქორასი ვერსის სივრცეზე ეთნაირია. იქ რაც ერთ ალაგას ღირს მიწა, მეორესაც ისევ ღირს, და ვინც ერთ ფასს გამოძებნის, — ხარკოვის გუბერნიაში ეს და ეს მამული ამათ და ამათ ღირს დესიატინაო, ის ამითვე მთელი ადგილ-მამულების ფასს იპოვის. ჩვენში კი ერთი ქცევა ადგილი რომ ორას მანეთათ ღირს, მის გვერდში ისეთი კლდე და ღრეა, რომ გროშსაც არვიწ მისცემს იმაში, და მეორე მხრით ისევ გვარიანი თხილნარო

ან ტყე და საბალახო ადგილებია, ისე რომ ერთი ვერსის სივრცეზე თუთხმეტ ნაირი ფასი ადევს ერთ ქცევა მიწას. მიბრძანდით, და ამ მდგომარეობაში „ნორმალური“ ფასი მოძებნეთ. ჩვენში ნორმალურ ფასათ თუ ხუთ მანეთზე მეტს დაადებთ ქცევას, იმასაც ვნახავთ. ამას აწვევებს უფ. ბეს. ლოლობერიძის პროექტი და თუმც იმას ვითომ „სპეციალური“ დაფასებაც მოხსენებული აქვს, მაგრამ ამ დაფასებას რაც შედეგი ექნება ბანკის ბედზე იმასაც გავიგებთ და მოვესწრებით.

ვიმეორებთ, ჩვენი მდგომარეობა და საჭიროება სხვაა, და ხერხონის და ხარკოვისა — სულ სხვაა. არც ერთს იმათ ის საჭიროება არ უგრძნიათ, რომ ამ თავიანთი იზრუნონ — ჩვენი მიწა გარეშე პირებს არ ჩაუარდეს ხელშიო, გაღატაკებული არ დარჩეს ჩვენი ქვეყნის კაციო, პროლეტარებათ არ გადვიქცეთ სხვისი ფულების გამოისობითო. რითი და როგორ საშვალეებით აპირებს უფ. ბ. ლოლობერიძის პროექტი ამ მომავლის თავიდან აცილებას? — თუ არ შემოიტანა მეპატრონემ დროზე ფული, გაიყიდება მისი მამული, და ის იქნება და ისო. ვინ არ იცის, რომ ეს შემოტანა გაძნელებდა ჩვენში? რითი შევლის ამ საქმეში „სააზნაურო ბანკი“ ჩვენს აზნაურობას, ჩვენ საზოგადოებას და ხალხს? რა საშვალეებებს ძებნის, როგორ წესს აარსებს ისეთს, რომ ჩვენი ქვეყანა ურიებისა და სხვ. ხელში არ ჩავარდეს, ამ ოცი-ორმოცდა ათი წლის შემდეგ? არაფრით. სრულიად არაფრით. ერთი სიტყვა არაა ამაზე უფ. ბ. ლოლობერიძის პროექტში, ამიტომ რომ არც ხერხონის, არც ხარკოვის ბანკებს არც ეს საჭიროება ჰქონიათ, არც ეს ღონის ძიებები უხმარიათ.

აქედამ სჩანს, რომ ბ. ლოლობერიძის პროექტით დაარსებული ბანკი სწორეთ იმისთანა ბანკათ გამოდგება, რომლის დაარსების ემინია ჩვენში ყველას, რომლის დაარსება ქვეყანას დალუპავს, ამიტომ რომ ეხლა აზნაურობას ვალს აალებინებს, და შემდეგ — მამულებს გაუყიდის, როცა მყიდველი გარეშე კაცის მეტი არვინ იქნება.

და თქვენ ბრძანებთ, რომ როცა ჩვენ ქვეყანას თქვენმა უმეცრებამ ეს მომავალი დაუმზადა, როცა ჩვენ საზოგადოებას, თქვენი სულწასულობით და აჩქარებით, ამისთანა საშიში, ყელის გამომჭრელი დანა მისცემია ხელში, ხმას ნუ ამოიღებთო, ნურაფერს იტყვიეთო, აცალეთ, ჯერ ბანკი დამტკიცდეს და მერე უეჭიმეთო, ჯერ ყელი ჭამოიჭრას და მერე წამალი დაადევითო? როცა ამისთანა გასაჭირია თქვენ კიდევ თქვენი თავი გახსოვთ, თქვენი თავმოყვარეობა,

გეზოგებათ, თქვენი კერძობითი სახელი გახსოვთ! — ლმერთო, რას შეუქნია ამისთანა კაცები, რა გარემოებებს დაუმახინჯებია ამდენად კაცის გული და გონება.

და ამისთანა გასაკვირი რომ კარზე გვადგია, ამისთანა საშინელ და ძნელ მომავალზე რომ უნდა ვზრუნავდეთ, გამოდის უფ. ბ. ლოლობერიძე და თავის ან ჩვენ პიროვნებაზე ლაპარაკობს. არც ესაა გასაკვირველი მაგისთანა ვითომ-ბრძენები არ ბრძანდებოდენ, ვიზანტიას რომ მაჰმედ მეორე იღებდა, როცა ყოველ ხეირიან კაცს ქალაქის დაცვაზე უნდა ეზრუნა და ეშრომა, გამოდიოდენ მოედანზე ბრძნულათ ბაასობდენ: საიღამ სწარმოებს გონების სინათლეო! რა ვქნათ, ამაზედაც ვიბაასოთ.

როცა ჩვენ დავსწერეთ, რომ უფ. ბეს. ლოლობერიძის წარსულს საკმაოთ უნდა ეჩვენებინა ჩვენთვის, რომ სწორეთ ამ საქციელს დაადგებოდა ის და ჩვენ მისი „ოინობა“ არ უნდა გვაკვირვებდეს-თქო, ჩვენ მხედველობაში გვქონდა ის საქციელი, რომელიც დაათვა-სა პირუთნეველმა მწერლობამ, და რომლის გულისათვის უფ. ბ. ლოლობერიძეს „ჩატეხილი ხიდი“ და ბევრი სხვა ამისთანა ტიტულები მიენიჭა. ამას ინსინუაცია კი არა, პირდაპირი გამტყუნება ჰქვია, და მიკვირს, დღეს რათ მოდის ამაზე გული უფ. ლოლობერიძეს, როცა ეს საქმე დიდხანია გადაწყვეტილი და არხივში ჩადებულია? გვიან სცოდნია მაგ დალოცვილს თავის გამოდება!

მაგრამ ეს ახალი ცილის-წამებაა ბ. ლოლობერიძის თავის საკუთარ თავზე. იმას უნდა რომ გვათქმევინოს „ინსინუაცია რა არის არ გცოდნიაო“ და მერე დაგვიმტკიცოს კი ვიცო. არა, ამას ჩვენ არასოდეს არ ვიფიქრებთ, რომ ლოლობერიძემ კარგათ, მტკიცეთ და საფუძვლიანათ არ იცოდეს, ინსინუაცია რა არის. მაგრამ ბევრმა ჩვენმა მკითხველმა არ იცისამ სიტყვის მნიშვნელობა, და მიტომ ავხსნით, რომ გავაგებინოთ, — ლოლობერიძე ნიკოლაძეს რა ბრალს ადებს, ინსინუაცია გიხმარიაო რომ ამბობს. ინსინუაცია იმას ჰქვია კაცი პირ-და-პირ თავის აზრს რომ არ გამოთქვამს სხვის წინააღმდეგათ, მაგრამ ისე კი წაიბუტბუტებს, ჩაუჭურჩულებს ვისთანაც საჭიროა, რომ კვანტი მოედოს და საქმე წაუხდეს. პირ-და-პირსაქვეყნოთ რომ ვერ ეტყვის კაცი ვისმე — აი ეს ცუდკაცობა გიქნია, ეს ოინი ჩაგიდენია, ცუდი კაცი ყოფილხარო, და ჩუმათ, ნელ-ნელა მიძვრება სხვა-და-სხვა გარეშე პირთან და ხმადაბლა ეტყვის: იცით, ამა და ამ კაცს ეს გაზნზრახვა აქვსო, ეს უნდაო, ასე თქვაო, ისე მოიქცაო ინსინუაცია ამას ჰქვია. ინსინუაცია ხანდისხან დანოსსაც ნიშნავს, და საზოგადოათ კი იმ კაცებს სჩვევია, ვინც იეზუიტურ საქციელს

ადგია, ვინც დიდ კაცების პერედნაში დაძვრება და გზას იკვალავს... აი ამას აბრალებს ლოლობერიძე ნიკოლაძეს. და ჩვენში ხომ ყველამ იცის, რომ სწორეთ ამ სახიზლარ საქციელსაა დაჩვეული ნიკოლაძე. სწორეთ ასე უშვერათ იქცევა, ასე იეზუიტურათ მოქმედებს; მაშინ როდესაც ლოლობერიძე ყველას პირში ეუბნება თავის სათქმელს, ყოველთვის პირდაპირ მოქმედებს და დიდისა და პატარის მოურიდებლათ თავის პატიოსან გზას ადგია!

უფ. ბეს. ლოლობერიძე ეხლა ბრძანებს თქვენთან არაფერი კავშირი არ მქონიაო და ნიკოლაძის პატივისცემა არა მაქვსო (დავიწყებია კი დაეწერა, არ მქონიაო). ალბათ ეს მართალია, და შეუკვლია, რომ ნიკოლაძეს ტყუილი მოუგონია. იმ საწყალს კავშირათ ის სჩვენებია, „თქვენს გზას დავადგებო“ „და ამა და ამ საქმეში რას მეტყვი, როგორ მოვიქცეო“, „წავიდეო“, „რა უთხრაო?“, ან „საჭიროა „დროების“ შემდეგ ნომერში დაბეჭდო ერთი კარგი ცხარე სტატიო“ (უკაცრავათ, მაგრამ მაშინ „დროება“ კარგი იყო, მაშინ იმის სიტყვას გავლენა ჰქონდა, ეხლა კი — ფი!) „ნ. ლოლობერიძეს, ხომ იცი, მე არაფერში ვეთანხმები, ჩვენ სხვა-და-სხვა გზით დავდივართო“ (ეს სიტყვები ჩემსა მითხრა უფ. ლოლობერიძემ, თ. ნ. ჩიჯავაძის იქ დასწრებით) და სხვ.-და-სხვ. ნიკოლაძეს მოჩვენებია ეს ყველაფერი და, რასაკვირველია, შემცდარა, „ყმაწვილობა მოსვლია“.

მივანებოთ თავი ამ წვრილმან შენიშვნებს, იმათზე ლაპარაკიც არა ღირს, და გადავიდეთ უფ. ლოლობერიძის საქციელის დაფასებისკენ. მცირე გონების კაცი მთელ თავის სიცოცხლეს იმ შთაბეჭდილებას ვერ ივიწყებს, რომელსაც ის ერთხელ როდესმე მეტის მეტათ შეუფუცხუნებია. როცა უფ. ლოლობერიძე რუსეთში იყო, იმას იქ იმის მაგალითები ჰქონდა თვალის წინ, რომ ახალგაზდობას და შემძლე პირებს შუა დიდი განხეთქილებააო. მას აქეთ იმას ნუდამ ეს აზრი თავიდან არ ამოდის. ის ნიადაგ იმას ცდილობს, რომ დიდკაცობას თავი ისე დაანახოს ახალგაზდა არ გეგონოთო. მაგრამ ამასთანავე იმას არც ახალგაზდობის დავიწყება უნდა, არის ამ ორს გასაჭირს შუა გამწარებულათ გაბმული. ყოველ საქმეს, რა გინდ უბრალო და უმანკო იყოს ეს საქმე, ის იმ თვალთ უყურებს, ვაითუ ვინმემ იფიქროს, ეს ახალგაზდობის საქმეაო. აი ამ უსაფუძვლო კანკალში ვხედავთ ჩვენ უფ. ბ. ლოლობერიძის მოქმედების შეცდომას, უსაფუძვლობას და ვნებას. დღეს ჩვენ იმ მდგომარეობაში როდი ვართ რომ ამგვარათ ვიქცეოდეთ. დღეს ახალგაზდა და მოხუცი ერთია, ერთ ტაფაზე იწვევა, ერთნაირი რეპუტაციით სარ-

გებლობს... და იმისთანა პრაქტიკულ საქმიან საქმეში, როგორც ბანკის საქმეა, ამისთანა ოცნებების დანახვა მარტო ბ. ლოლობერიძის შემინებულ თვალს შეეძლო.

კიდევ ერთი შენიშვნა, და გათავდა ჩვენი გრძელი ბაასი:

მწერლობა ხომ მარტო ჩვენი არ არსებობს და ჭკვიანი, გონიერი და პატიოსანი მოქმედებები მარტო უფ. ბ. ლოლობერიძით ხომ არ დალეულან? თუ რომელიმე მწერლობაში, რომელსამე ქვეყანაში ვინმე იმისთანა მწერალს ან ავტორს გვიჩვენებს, რომელიც საზოგადო საქმის წაყვანაში იმისთანა ენას ხმარობდეს, როგორც ბ. ლოლობერიძეს უხმარია, იმისთანა კილოთი წერდეს, იმნაირათ ლაპარაკობდეს, სწორეთ ლაფ-დასხმულები ვიქნებით ჩვენ. ვის გაუგონია მწერლობაში მოახლური კილო, პირფერული სიტყვები, პირში მოქალაქუნება? მწერლობას ყოველგან და ყოველთვის პირდაპირი, პირმოუფერებელი, გულწრფელი ენა ჩვევია, არა თუ საზოგადო საქმეების წაყვანაში და განხილვაში, უბრალო პოლემიკაში და სიტყვიერებაშიაც. რას ნიშნავს, მაშ, რომ უფ. ლოლობერიძე თავის პასუხში სულ სხვანაირ ენას ხმარობს? რათ დაუფიწყნია იმას, რომ მტერს თუ მოეფერება პირში კაცი, თორემ მოყვარესთან, კეთილის მყოფელთან იმას გულწრფელი ენა სჭირია? რათ შეყავს იმისთანა მკითხველის აზრში, რომელიც უფ. ბ. ლოლობერიძეს არ იცნობს, ის ეჭვი, ვითომ უფ. ბ. ლოლობერიძე ჩვენი საზოგადოების ერთგული მსახური არ იყოს, რადგანაც ის იმის წინ შემძრომი მსახურის ენას ხმარობსო? რათ? რისთვის? ამიტომ, რომ უფ. ბ. ლოლობერიძე სუსტი მოაზრების პატრონი კაცია.

ჩვენ გავათავეთ უფ. ბ. ლოლობერიძეზე ლაპარაკი. ბანკზე კი როცა საჭირო იქნება, შემთხვევა გვექნება მოლაპარაკებისა. ეხლა გასინჯოს მკითხველმა და გადასწყვიტოს, გეჭონდა ჩვენ თუ არა სიმართლე და მოვალეობა: იმნაირათ მოვპყრობოდით უფ. ლოლობერიძეს, როგორც მოვეპყართ.

რაც შეეხება უფ. ბ. ლოლობერიძეს, განისვენოს ეხლა იმან მარტო იმ ერთი გამარჯვების გვირგვინით, რომელიც კენჭის ყრამ და „ოინობამ“ იმას მიანიჭა. დატკბეს იმ აზრით, რომ კრებამ „სინამოფნებით მომისმინაო“, „ჩემი პროექტი მიიღოვო“, „ბანკი დაარსდაო“ და სხვ. მაგრამ ვარწმუნებთ, რომ ათი ათასჯერ ჯობდა მისთვის, არ გაემარჯვა ამ საშუალებით: ზოგიერთი გამარჯვება დანარცხებაზე უფრო სასირცხო და სათაქილოა. ამნაირი გამარჯვების გვირგვინი შუბლზე დიდხანს როდი მაგრდება, მაგრამ სანიაღვრეთ ამოუხოცელ დაღს კი ასვამს.

ქუთაისის ბანკის გარეგნობა

ამ მოკლე ხანში შეიკრიბება სამეგრელოში თავად-აზნაურობის ყრილობები, მაზრა მაზრათ, იმ კითხვის გადასაწყვეტათ, უნდა შეუერთდეს სამეგრელოს საზოგადოება ქუთაისელს ბანკის გამართვაში თუ არა. ეს ყრილობა, უეჭველია, ისე წაიყვანს საქმეს, რომ, ავით თუ კარგად, ქუთაისის ბანკს მიაკედლებს სამეგრელოს ფულებს, და სხვაფრივ მოქცევა სამეგრელოს საზოგადოებას არც მოუხერხდება, არც მოუხდება. იმ მცირედი ფულით, რომელიც იმას აქვს, ის თავისას ვერას გამართავს, და სხვა ბანკთან შეერთებას ისევ ქუთაისელთან შეერთება სჯობია.

მაგრამ სამეგრელოს თავად-აზნაურობა რომ ამ საქმეში გონიერათ და წინდახედვით მოიქცეს, ის არა თუ თავისთავს მოუტანს სარგებლობას, ქუთაისელ ბანკის საქმესაც ხეირიანად დაეხმარება. სამეგრელოს საზოგადოებას შეუძლია, მაგალითად, დააწესოს რომ უერთდება ქუთაისელ ბანკს იმ პირობით, რომ ამ ბანკის უსტავი გადაკეთდეს ან შეიცვალოს, იმას უმჯობესი ხასიათი და უფრო მტკიცე საფუძველი მიეცეს და სხვ. იმედი ვიქონიოთ, რომ ის ასე მოიქცევა და თვალდახუჭულათ არ გადასწყვეტს თავის სამომავლო საქმეს, გამოურკვეველი და აღშფოთებული კენჭის ყრით და ყაყანით.

სამეგრელოში მოიპოება რამოდენიმე ახალგაზდა, რომელთაც თავიანთი ცოდნა და გავლენა — თუ კი აქვთ ეს ღირსებები — ეხლა უნდა მოიხმარონ. ვნახოთ, რა ნაირათ მოიქცევიან ისინი. ვნახოთ აგრეთვე, როგორ საქციელს დაადგება ის ორიოდე ერთობ შემძლე პირები, რომელიც საქართველოში უწინდელი ფეოდალური ცხოვრების და წესის წარმომადგენელათ ჩარჩენილან. ერთი სიტყვით, ვნახოთ, ვნახოთ.

ჩვენ მივიღეთ უფ. ერ. სიღამონ-ერისთავის პასუხი ჩვენ გამოწვევაზე („დროება“ №29). ამ პასუხს ჩვენ შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ, და ეხლა კი მისი გამოგზავნის მადლობას ვუძღვნით უფ. სიღამონ-ერისთავს, რომელსაც გაუგია, რომ ამისთანა საქმეში ხმის ამოუღებლობა და გაჩუმება საზოგადოებისათვის სავენებელი და საძრახისი საქმეა.

მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეგვიძლია არ ვთქვათ, რომ ჩვენ მეტის მეტად გვაკვირვებს დანარჩენი პირების გაჩუმება, რომელნიც ბ. ლოლობერიძემ ან ჩვენ გამოვიწვიეთ ან მოწმეთ ვახსენეთ. მეტად საჭიროა, რომ იმათ თავიანთი შეხედულება გააცნონ ჩვენ საზოგადოებას, გაიხსენონ როგორ იყო საქმე, ვინ როგორ მოიქცა და რათ ან როგორ მოხდა უცაბედი გადაწყვეტა ქუთაისის ბანკის საქმისა. ამ გაჩუმებას მკითხველები ხათრის შენახვას მიაწერენ, ერთის ან მეორეს მხრის მორიდებით. ამის გამოისობით ჩვენ ხელმეორედ ვთხოვთ უფ. ნ. აბაშიძეს, ნ. ჩიჯავაძეს, სპ. მაჭავარიანს, ბ. ხელთუფლიშვილს და სხვებს დასახელებულ პირებს, აუწერონ მკითხველ საზოგადოებას, როგორ მოხდა ეს ამბავი და როგორ წახდა ქუთაისის ბანკის საქმე. იმედი გვაქვს, რომ ამ ჩვენს თხოვნას პატივი ეცემა, მით უფრო, რომ ეს ჩვენ საზოგადოებას სარგებლობას მოუტანს.

უფ. ბეს. ლოლობერიძის პროექტი მოგვივა თუ არა ქუთაისიდან, მაშინვე დავბეჭდავთ მის გარჩევას, და იმედი გვაქვს, რომ ეს ძლიერ მალე მოხდება. მაგრამ ეს ჩვენი „საქმის წაყვანის“ კითხვა და მოქმედების გამოკვლევა უსათუოდ უწინ უნდა გაისინჯოს და გადაწყდეს. ამას მოითხოვს ის გზა, რომელიც ჩვენ ამ საქმეს თავიდანვე მივეცი, და რომელსაც ჩვენ იმას არაფრისგულისთვის არ ავაცილებთ, ამიტომ რომ ის ჩვენ უკეთეს გზათ მიგვანჩნია; არა თუ მარტო ქუთაისის ბანკის სარგებლობისთვის — ეს კერძობითი, შედარებით წვრილმანი საქმეა — მაგრამ შემდეგში ყველა ჩვენი საზოგადოებრივი საქმეების წაყვანისა და პატრონობისათვის.

მაშასადამე, ჩვენ დასახელებული პირების წერილებს ველით და ვუსცილოთ.

* * *

ჩვენ ვამბობდით (№№ 26 და 29), რომ უფ. ლოლობერიძეებმა ქუთაისის თავად-აზნაურობას ისეთი პროექტი წარუდგინეს დასამტკიცებლათ, რომელიც იმათ თვითონ უხეიროდ მიაჩნდათ თქო. ამაზე ჩვენ გვიპასუხეს, რომ არა, ეს ტყუილიაო, ჩვენ ყოველთვის ბეჯითად დარწმუნებული ვიყავით ჩვენი პროექტის სიკარგეშიო. ამ საგანზე ჩვენ უფ. სილამონ-ერისთავის მოწმობა მოვითხოვეთ. და აი, რას იწერება დღეს ეს მოწმე:

„უფ. რედაქტორო! „დროების № 29“-ში, უფ. სკანდელმა გამომიწვია მე საზოგადოების წინაშე ვალდებულ იმ, რაც უფ. ბესარიონ და სხვა ლოლობერიძეებმა წარმოსთქვეს ქუთაისის სააზნაურო ბანკის პროექტის უსტაბუხე ერთ საღამოს, რომელსაც იგვივ უფ. სკანდელი იხსენიებს. რაც ბანკის თაობაზე ამ უამათ იწერება „დროებაში“, ჩვენის აზრით, ძალიან ნაკლებათ ეხება ბანკის საქმის შინაარსსა; ჩვენ არ ვიცით ვისთვის არის საინტერესო, რა ლაპარაკი და ურთიერ-

თში განწყობილება ჰქონდათ უფ. ნ. ნიკოლაძეს და ბეს. ლოლობერიძეს. ამ ვაშათ საქმე იმაშია, რომ უფ. სკანდელი ამბობს, უსტავი არამც თუ გამოსადეგარი არის, არამედ იმ გვამში მდგომარეობის იმისთანა სენი, რომელიც როგორც ბანკს აგრეთვე მოჰყავდა საზოგადოების თავობას დაღუპავს. მაგრამ ეს აზრი მას ჯერ არაფრით არ დაუმტკიცებია. უფ. სკანდელი შემდეგ თავის ამ საქმეზე სტატიებისა, ჩვენის აზრით, ვალდებულია დაამტკიცოს ორი შემდეგი დებულება: ა) რომ უფ. ლოლობერიძისაგან წარმოდგენილი უსტავი გამოუსადეგარი და მავნებელია, და ბ) რომ ეს გამოუსადეგარი და მავნებელი უსტავი იმან განზრახ გაიყვანა, მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა, რომ უფ. სკანდელმა ყველაფერი ფაქტები შეჭკრიბოს: სად როგორ მოიქცა უფ. ლოლობერიძე, ვინ რა ურჩია მას, რა აზრი ჰქონდა საზოგადოთ მას თავის უსტავზე და განსაკუთრებით სხვა რჩევაზე. ამ შემთხვევაში შეიძლება საჭირო ყოფილიყო, როგორც მასალა, ჩემი დამოწმება.

ცხადი საქმეა, ყოველ სალიტერატურო ორგანოს აქვს მოვალეობა; რომ საზოგადოებას აცნობოს მხოლოდ ის, რაც საზოგადო საჭეყნო ინტერესებს შეეხება. აქედან იხადება მოვალეობა საზოგადოების წევრებისა შეიტანონ მათ სალიტერატურო ორგანოში მხოლოდ ამ გვარი კანონები. ხოლო კერძო პირების ურთიერთ შორის დამოკიდებულებაზე და მათ საკუთარ ინტერესზე საუბარს ლიტერატურაში არ უნდა მისცეს ადგილი. ვიმეორებთ, მხოლოდ საზოგადო, საჭეყნო ინტერესი არის მასშტაბი, ზომა, ლიტერატურის კეთილსინდისიანი მოქმედებისა.

ჩვენ გგონია, რომ უფ. სკანდელის წერა უსტავზე, უკეთ ვთქვათ, ბ. ლოლობერიძეზე, იმ წრეშია, რომ არ ენება ჯერ საზოგადოების ინტერესს, სტოვებს ამას და აქვს ვინაობის ხასიათი. ეს იქიდან გამოგვეყვას ჩვენ, რომ, როგორც ვთქვით, ჯერ ის არ შესდგომია უმთავრეს საგნის განხილვას, ბანკის უსტავის ანალიზს, გარჩევას. სანამ საქმე ამგვარ მდგომარეობაში არის, ჩვენ წერაში არ გავეროდით და უფ. სკანდელის თხოვნას აღნიშნულ მიზეზების გამო უყურადღებოთ დავსტოვებდით; მაგრამ უფ. სკანდელი, თუშეცა დაიწყო ბოლოდამი, გვპირდება, რომ ის შექველათ დაამტკიცებს ბანკის უსტავის უვარგისობას, და, როგორც ეტყობა, ამას წინათვე მოჰყავს ცნობაში მიზეზები, რომლებსა გამო ის, მისი აზრით, გამოვიდა ცუდი. თუ ეს ასეა, ჩვენ ვალდებული ვართ დავაკმაყოფილოთ უფ. სკანდელი იმ გვართ, როგორც ჩვენ გვახსოვს ამ საქმის გარემოება.

კარგათ აღარ მახსოვს, მაისის რომელი რიცხვი იყო, უფ. ნ. და ბ. ლოლობერიძეებმა სადღიზე თავიანთ ძმასთან გიორგისთან, რომელთანაც ჩვენ ერთ სახლში ვდგევართ, მისცეს ერთმანეთს პირობა, შეყრილიყვნენ სადამოზე უფ. ნ. ლოლობერიძისთან და იქ ბანკის უსტავი გაესინჯათ. დანიშნულ ადგილს აღარ მოუხდათ შეყრა, და როგორც ბინდმა დაჰკრა, უფ. ნ. და ბ. ლოლობერიძეები შამოვიდნენ გიორგი ბესარიონისძესთან და შეუდგნენ უსტავის კითხვას. ამ დროს შემოვიდა უფ. ნ. ნიკოლაძეც. დაიწყეს ლაპარაკი და უსტავის

კითხვა; ამ ლაპარაკში და კითხვაში, სხვათა შორის, წარმოსთქვეს და-
ახლოებით შემდგომი:

უფ. გ. ლოლობერიძემ თავიდანვე დაიწყო უსტავის ზრახვა
და როგორც წავითხვს ის პარალრაფი, რომლის ძალით გარეშე პი-
რებს შეეძლო შესყიდვა ბანკის დამწესებლის წილების, მაშინ სთქვა:
თუმცა მე უსტავი არ მიკითხავს, მაგრამ, როგორც სჩანს წავითხ-
ლიდამ, ეს უსტავი არ ვარგა და არც აზნაურობა მიიღებსო.

უფ. ბ. ლოლობერიძემ ილაპარაკა შემდეგი: ეს უსტავი უშიდ-
გენია; წავითხვით, გავსინჯოთ, შევასწოროთ და ისე წარუდგინოთ
საზოგადოებას. უფ. ნ. ნიკოლაძემ წარმოსთქვა: ეს უსტავი უმთავრე-
სი საფუძვლებით უქველად ამ უამად უნდა გაეყვანოთ და შემდგომ
შეგასრულოთო რითაც საჭირო იქნებოდა.

უფ. ნ. ლოლობერიძემ, შემდეგ ფიქრისა და მოაზრებისა, სთქვა
გავსინჯოთ უსტავი და, თუ შეიძლება, რაც ნაკლებად ენება
ვიპოვოთ გავასწოროთო. — ამ ლაპარაკში და სამიოდ პარალრაფის
წაკითხვის შემდეგ უსტავის კითხვა შესწყდა, და ყრილობა დაიშალა,
იმ განზრახვით, რომ სხვა დროს შესდგომოდენ ამ საქმეს.

აი ჩვენი პასუხი უფ. სკანდელის კითხვაზე. ჩვენ მოვიყვანეთ
აქ ფაქტი და მოვერიდენით ამ ფაქტზე ჩვენი აზრის გამოთქმას, რად-
განაც, იქვი არ არის, რომ ფაქტის აღწერა ერთი საქმეა და იმის
ახსნა კი სულ სხვაა. ვიმედოვნებთ, რომ ეს სტრიქონები შემდგომში
ყოველ ამ საგანზე კითხვისგან ჩვენ გაგვანთავისუფლებენ.

იეროთეოზ სიღამონოვ-ერისთავი

ქუთაისი, 2 აგვისტოს.

აქ ჩვენ მარტო იმას შევნიშნავთ, რომ უფ. სიღამონ-ერისთავის
ცოტაოდნათ დავიწყებია ჩვენი ნალაპარაკები. ჩვენ იმას ვამბობდით
ამ სხდომაზე, რაც წინეთ „დროებაში“ დავბეჭდეთ (№ 21): საჭიროა
საზოგადოებას ვუთხრაოთ, თუ გნებავსთ აი ამა და ამ უმთავრესს სა-
ფუძვლებზე შეგვიდგინოთ ბანკის (ახალს) უსტავსთქო. მაგრამ ეს
უფ. სიღამონ-ერისთავის სიტყვებიდანაც სჩანს: პროექტის წარდგენა
რომ გვერჩია, უმთავრესს საფუძვლებს რაღათ ვახსენებდით: პროექ-
ტი თუ კი წარიდგინებოდა უმთავრესი და უმცირესი საფუძვლებიც
ერთიანად და ერთად წარიდგინებოდა, და არა მარტო უმთავრესები.

შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ უფ. კირ. ლორთქიფანიძის წიგნს
იმაზე, თუ რა გზას ადგა (ან ამბობდა, რომ ადგა) უფ. ბ. ლოლო-
ბერიძე, თფილისიდან ქუთაისის წასვლის დროს⁹⁷.

ქუთაისის ბანკის საქმე

შ ე ს ა ვ ა ლ ი

რაკი მკითხველი ამ ჩემი სტატიის სათაურს და ხელ-მოწერას თვალს გადაავლებს, მის გონებაში აუცილებლათ ერთი ახირებული აზრი გაელავს:

— ოჰ, გამოუძებნია ნიკოლაძეს ძველი თამასუქები! ქუთაისის ბანკს ხსნიან, ეხლა ჩაასობს ის კბილს ბესარიონ ლოლობერიძეს, აღარ მოეშვება, ასტეხს ერთს უშველებელს ვაი-ვაგლახს, და მოსვენებას როდღილა მოგვცემს!

დამშვიდდი, ჩემო მკითხველო! ბესარიონ ლოლობერიძესთან მე, ღვთის მადლით, გასაყოფი არა მაქვს რა, და ჩვენ არც არაფერში ვეცილებით ერთმანეთს, არც ერთი მეორის ჯინი გვჭირს. ბესარიონ ლოლობერიძემ შეადგინა ქუთაისის ბანკის წესდება, და დღეს მის კისერზე აუცილებელი მოვალეობა სწევს — ეს წესდება ასრულებაში მოიყვანოს და ბანკის მმართველობა იკისროს. მე ღმერთს ჯერ იმოდნათ ჭკუიდან არ შეუშლივარ, რომ ბესარიონ ლოლობერიძეს ამ მოვალეობის მიღებაში და შესრულებაში ხელი შეუშალო. მაგიერათ არც ბ. ლოლობერიძეა ისეთი კაცი, რომ მთელი ქვეყნის პირზე ხელის აფარება მოინდომოს. მეც მაწევს თავზე ერთი მძიმე მოვალეობა, რომლის ასრულებაში მე ვერავინ შემეცილება. ეს მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ მე ბეჭდვით რამდენჯერმე გამოვთქვი იმ წესდების განკიცხვა, რომელიც ბ. ლოლობერიძემ შეადგინა და რომელიც იმან ეხლა ასრულებაში უნდა მოიყვანოს. მართალია, ამ განკიცხვას ის საფუძველიც ჰქონდა, რომ მე ვკიცხავდი იმ გზას, რომლითაც ბ. ლოლობერიძემ თავისი წესდება ჩვენს თავად-აზნაურობას მიაღებინა, მაგრამ ეხლა უმთავრესი მნიშვნელობა ამ გზას კი არა, თვითონ ამ წესდების შინაარსს მიეცა, ამის გამო მე უნდა ვილაპარაკო თვითონ ამ წესდებაზე.

მართალია, კიდევ, რომ ვინც საქმეს მარტო დღევანდელი ინტერესის თვალთ უყურებს, იმისთვის ამ ჩემს წერას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. ეხლანდელ ქუთაისელ კრებას მარტო ერთი დანიშნულება აქვს: ვის მიანდოს ბანკის მმართველობა, ვის

ჩააბაროს მისი ზედამხედველობა¹⁸. ამ კრებაში წესდების შინაარსი და პრინციპები არც კი გაიხილება. შიგ არსებითი, პრინციპიალური სჯის მაგიერ, მარტო პიროვნული სჯა და შეტაკება იქნება. მაგრამ განა ეს ეხლანდელი ქუთათელი კრება მთელს ჩვენს ქართველთ საზოგადოებას შეადგენს? განა მწერლობას მარტო ეს კრება და მისი გადაწყვეტილებანი უნდა ჰქონდეს მხედველობაში, და არა მთელი ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი და მდგომარეობა? განა ჩვენ არ უნდა ვისარგებლოთ წარსული შეცდომით, რომ მომავალში მსგავსი უბედურება თავიდან ავაცილოთ ჩვენს საზოგადოებას, ხალხს და ქვეყანას? განა ცოტ-ცოტა ეხლავე არ უნდა შევიყვანოთ საზოგადოების გონებაში იმ ცვლილებების საჭიროება, რომელთაც შემდგომი შეეძლებათ გამრუდებული საქმის გასწორება და ზვირიანს გზაზე დაყენება?

მწერალმა და მწერლობამ მხედველობაში უნდა იქონიოს ეს ყველაფერი, თუკი მის წერას საზოგადო სარგებლობა წინ მიუძღვის და არა მარტო წუთიერი გავლენის ან პირადი სარგებლობის სურვილი: ამის გამო მე უბრუნდები ბანკის საქმეს და საჭიროთ ვთვლი მივაქციო მასზე საზოგადო ყურადღება სწორეთ იმ დროს, როცა ქუთაისის თავად-აზნაურობა ერთ მის კერძო, პიროვნულ კითხვას სჯის და სწყვეტს.

I. რა ნაირად არღებენ ბანკის წესდებას

ყოველგან, სადაც კი გონიერი და მცოდნე პირი რომელიმე ბანკის დაარსებას აპირებს, ის ყველაზე უწინ ერთ კითხვას აძლევს თავის თავს: „რა ნაირ მდგომარეობაშია ის მხარე, რომელშიაც ბანკი მინდა გავხსნა, რა ეკონომიური და სოციალური საჭიროება უფრო ძლიერია ამ მხარეში, და რომელი წესი ყველაზე უფრო სრულათ დააკმაყოფილებს ამ საჭიროებას?“ როცა ბანკის გამხსნელი ამ კითხვებს საფუძვლიანათ გამოიკვლევს, ის შეუდგება თავისი არჩეული ქვეყნის იურიდიკულის მდგომარეობის გაშინჯვას, რომ გაიგოს, რა და რა უფლება და კანონიერი მდგომარეობა აქვს იმ საზოგადოებას და ხალხს, რომელშიაც უნდა დაარსდეს მისი ბანკი. ამის შემდეგ ის შეათანასწორებს სხვა და სხვა გვარი ბანკების დედა აზრებს, პრინციპებს, საფუძვლებს, და გამოარჩევს ამ საფუძველებში ერთს იმგვარს, რომელიც ყველაზე უფრო მოუხდება და შეეფერება არჩეულ მხარეს, საზოგადოებას და ხალხს. მეტემ ამ საფუძველზე ის თვითონ ააშენებს მთელს წესდებას, ისე, რომ ამ წესდების თითოეული თავი და მუხლი შეეფერებოდეს არჩეული მხარის მდგომარე-

ობას, საჭიროებას, ხასიათს და მომავალს. მაშინ გამოდის ხეირიანი და სრული, ერთიანი, მრთელი წესდება და ბანკი თავის საკუთარს ფეხზე მაგრათ დგება. მაშინ ამნაირათ გაწყობილი ბანკი ნამდვილი და ცხოველი ნამყოფე გამოდის იმ ქვეყნისა, რომელშიაც და რომლისთვისაც იმართება.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ სადმე ბანკი ამ ნაირათ კი არ დაარსებულა, დაარსებულა მიბაძვით, გამოუკვლეველათ. ვთქვათ, მე მოვიწოდომე აფხაზეთში ბანკის გამართვა, და სანამ შევიტყე რა რიგი გაწყობილება იქ ბატონ-ყმებს შუა, რა ნაირი უფლებები აქვს იქ მიწისმეპატრონეთ ადგილ-მამულზე, რა კანონებს ემორჩილება იქაური მმართველობა და სამართალი, რა ეკონომიური და სოციალური საჭიროება ადგია იქ ხალხს, ავიღე პოლტავის, პარიჟის და მადრიდის ბანკის წესდებები და ამოვწერე თითოეული მათგანიდამ ის მუხლები ან თავები, რომელაც მე მომეწონა. რა გამოვა აქედამ? შესაძლებელია, რომ თავიანთი მხარეებისთვის ეს წესდებები გამოსადეგი და გონიერნი იყვნენ, მაგრამ ჩემი ნაკუწ-ნაკუწათ შედგენილი წესდება მაინც იქნება ჭრელი და უხეირო. რა გინდ მოხერხებული და ხელოვნური ნიჭი მქონდეს მე, რა გინდ ვეცადო და ვიშრომო, ათასიც რომ მოვიწოდომო, მაინც ვერ მოვახდენ იმ სასწაულს, რომ პეტრეს მშვენიერი შუბლიდამ, ივანეს ლამაზი თვალებიდან, იაკობის ჩინებული ცხვირიდან, ლაზარეს ნაზი ტუჩიდან, ოქროპირის დარგვალეული ნიკაპიდან, ლუარსაბის შავი უღვაშიდან და ქაიხოსროს ქერა თმიდან ერთი ცხოველი და ცოცხალი პირის სახე შევადგინო. შეიძლება რომ, ცალკე აღებული, თითოეული ნაწილი მშვენიერი და დაუწუნარი იყოს, მაგრამ ერთათ ეს ნაწილები შეადგენენ უმსგავსო და უსულდგმოლო კატლეტს, რომელსაც ზეციდან მოვლინებული ანგელოზიც ვერ შთაბერავს დღეგრძელობას და ცხოველს სულს. გაივლის ცოტაოდენი დროება, და ნაკუწ-ნაკუწი ნაშრომი დაიშლება, გან-განზე გაიწვეს, მისი ნაკერავეები გაცვდებიან, ნაწილები დაღვებიან და დაიხგრევიან.

რისგან წარმოგბს, ვითომ, ამ გვარი უფარგისობა ნაკუწ-ნაკუწი შრომისა? იმისგან მარტო, რომ ამ გვარ შრომას არასოდეს არ დაყვება ერთი საერთო სული, რომ ის არ შეადგენს ნამყოფს ერთი რომელიმე ქვეყნის ან ხალხის შესწავლულ საჭიროებისას. მივუბრუნდეთ ისევ, სამაგალითოდ, ბანკის წესდებას. ჩვენს ქვეყანაში, რომელშიაც კრედიტი ყველას სჭირია, ნაკუწ-ნაკუწათ შედგენილი ბანკი გამოადგება მარტო იმ პირებს, რომელნიც სწორეთ იმ გვარივე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორშიაც პოლტავის ან პარიჟის

მიწის მეპატრონენი არიან. დანარჩენი პირებისთვის კი ამ გვარი ნაკუწ-ნაკუწათ შედგენილი ბანკი გამოუდგვარი იქნება, ამიტომ რომ მათი მდგომარეობა უცნობია პოლტავაში და პარიზში. და თუ ამ უკანასკნელი პირების რიცხვი უფრო მომეტებული იქნა, ვინემ პირველების, რასაკვირველია, ბანკი რომელსაც მთელი საზოგადოებისთვის უნდა მოეტანა სარგებლობა, გაძოადგება მარტო ზოგიერთებს, და მით ავნებს დანარჩენებს. მაშინ ის უმრავლესობა, რომლის მდგომარეობა და საჭიროება ვერ გამოუკვლევია და ვერ დაუკმაყოფილებია ბანკის გამწყობელს, რჩება უწინდელ საჭიროებად, და ბანკი ველარ აკმაყოფილებს უმრავლესობის მოთხოვნილებას, ხდება ზოგიერთების საჭიროებათ და ჰკარგავს თავის ბუნებით ფესვებს ქვეყანაში. ხანგრძლივი, შეურყეველი და დაუცემელი მარტო ის საქმე ან საგანია, რომელიც უპასუხებს, აკმაყოფილებს და სარგებლობას აძლევს უმრავლესობის მოთხოვნილებას. და რადგანაც, სხვა და სხვა ქვეყნებში, უმრავლესობის საჭიროება და მოთხოვნილება სხვა და სხვა ფერია, თითოეული ქვეყნის საჭიროების და მოთხოვნილების გამოსაკვლეველათ საკმაო არ არის სხვა და სხვა ბანკების წესდებათა შეზავება. ამ საგანს სჭირია საკუთარი გონება, გამოცდილება, ცნობა, სჭირია საკუთარი სული და ჭკუა. აი ამის გამო, ყოველს ქვეყანაში, რომლის მდგომარეობაც სხვა ქვეყნებს არ ჩამოგავს, გონიერი პირები იმ გვარს წესებს ურდგენენ, რომელნიც საზოგადოებრივი მეცნიერების უმთავრეს პრინციპებს ადგილობრივი საჭიროების მიხედვით გამოიყენებენ და ამოქმედებენ.

II. რა ნაირათ არის შედგენილი ქუთაისის ბანკის წესდება

უფ. ბესარიონ ლოლობერიძემ შეადგინა ქუთაისის ბანკის წესდება სულ სხვანაირათ. იმან თვითონ აღვიარა ამ სამის წლის წინეთ, რომ ჩემი უსტავი მე გადმოვწერეო. რა რიგათ, არის გადმოწერილი ეს წესდება, მას ჩვენ გვიჩვენებს შემდეგი საზოგადო მოაზრება.

რუსეთის საადგილ-მამულო ბანკებში არის ორი უმთავრესი ტიპი ბანკების გამართვისა:

1. ხერსონის ერობის ბანკისა, რომელშიაც პრინციპათ მიღებულია ურთიერთობის თავდებობა და ადგილობრივი მიწის მეპატრონეების ამხანაგობრივი გაწყობილება; 2. ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკისა, რომელშიაც საქმე იმაზე ბრუნავს, რომ ზოგიერთი ფულების მეპატრონენი, აქციების და ფურცლების გამოშვებით, ფულს აგროვებენ და მიწის-მეპატრონეს, მისი მამულის გირაოს ქვეშ,

ასესხებენ. პირველი ბანკი დაფუძნებულია ურთიერთის ნდობაზე და თავდებობაზე, მეორე — სესხზე და გირაოზე. ერთია — საზოგადოება, მეორე — აქციონური კამპანია. ამ ორი ბანკის წესი ორი სხვა-და-სხვა პრინციპიდან წარმოებს, სხვა-და-სხვა მიზანს სდევს, სხვა-და-სხვა წინააღმდეგ ანგარიშზე მოქმედებს და არსებობს...

უფ. ბესარიონ ლოლობერიძეს აუღია ეს ორი მოწინააღმდეგე ბანკი, და მათს საერთო კალაპოტზე შეუდგენია ქუთაისის ბანკის წესდება. შეუდგენიაო რომ ვთქვი, იმის მაგიერ უნდა მეთქვა შეუწებაესთქო, ამიტომ რომ „შედგენა“ აქ შეუძლებელი იყო. იმას გადმოუწერია ათიოდე მუხლი ხერსონის ბანკის წესდებიდან (რომელშიაც ურთიერთის თავდებობას უმთავრესი ადგილი უკავია), ოთხმოციოდე მუხლი გადმოუწერია ხარკოვის ბანკის წესდებიდან (რომელიც აქციონურს პრინციპზეა დაფუძნებული), ხუთიოდე მუხლი თფილისის ბანკის წესდებაში უპოვნია, და მარტო ხუთთუთ ექვსი მუხლი თვითონ თავისი შეუდგენია. თუ მთელ მის წესდებაში მე ვინმე ოთხმოც-და-ათს სიტყვას მიჩვენებს, რომელიც თვითონ ბესარიონ ლოლობერიძეს შეედგინოს და დაეწეროს, მაშინ მე ცუდი კაცი მითხარით.

ჯერ იმის განხილვას მოვყვებით, რა ნაირათ არის გადმოწერილი ბ. ლოლობერიძის წესდება.

თითქმის მთელი წესდება გადმოწერილია სიტყვა-სიტყვით, შეუცვლელათ, ისე, რომ ერთი ასოს გადასწორებაც ვერ გაუბედნია შემდგენელს. ყველა უმთავრესი მუხლები, სადაც კი ბანკის პრინციპი და ხასიათი უნდა გამოსახულიყო, ამ გვარათ არის გადმოწერილი-

რამდენიმე მუხლი (ათიოდე, მეტი არა) გადმოწერილია ორი, სამის სიტყვის ადგილის შეცვლით. მაგალითად: თფილისის ბანკის წესდებაში სწერია, მეორე მუხლში: „Основной (складочный) капитал банка...“ ქუთაისის წესდებაში კი მეორე მუხლი ამბობს: „Складочный (основной) капитал банка...“ და სხვ.

გადმოწერის ხასიათს ყველაზე უკეთესათ გვიჩვენებს ჩვენ ქუთაისის ბანკის წესდების პირველი მუხლი. მოვიყვან სიტყვა-სიტყვით იმ ორ მუხლს რუსული ბანკების წესდებისას, საიდანაც ის ამოწერილია:

ხერსონის ბანკის წესდება, მუხლი პირველი:

„Кредитное общество под названием: „Земский банк Херсонской Губернии“, учреждается для доставления землевладельцам Херсонской Губернии средств к получению ссуд под залог поземельной собственности“.

ხარკოვის ბანკის წესდება, მუხლი პირველი:

„Харьковский земельный банк учреждается для выдачи ссуд под залог недвижимой собственности в губерниях: Харьковской, Курской“ და სხვა.

თუ კაცი ორივე ამ მუხლს დააკვირდა, დაინახავს, რომ ორივე მუხლი სრულიად შეეფერება თითოეულის თავისი წესდების პრინციპს. ხერსონის ერობის ამხანაგობა თვითონ როდი აძლევს ფულს სესხად ადგილ-მამულის მეპატრონეს: ის იმას უადვილებს ფულის შოვნას ურთიერთის თავდებობით და ფურცლების გამოცემით. ხარკოვის ბანკი კი, თავისი პრინციპით, თვითონ უნდა შოულობდეს ფულს, აქციებით ან ფურცლებით, და თვითონ უნდა აძლევდეს ამ ფულს სესხათ. ამის გამო ერთი ბანკის წესდება ამბობს: кредитное общество учреждается для доставления землевладельцам средств к получению ссуд, მაშინ როდესაც მეორე (ხარკოვის) ბანკის წესდება კი ამბობს: банк учреждается для выдачи ссуд. ცხადია, რომ ორივე ეს მუხლი ჩინებულათ შეეფერება თავ-თავის წესდებას. ვნახოთ ესლა, რანაირათ გადმოუწერია ბ. ლოლობერიძეს ეს მუხლები:

ქუთაისის ბანკის წესდება. მუხლი პირველი:

„Кредитное Общество, под названием „Михайловский Дворянский Земельный банк“, учреждается для выдачи ссуд под залог недвижимой собственности в Кутаисской губернии и Сухумском военном отделе“.

აქედამ სჩანს, რომ ბ. ლოლობერიძეს ორივე რუსული ბანკის წესდებიდამ ცოტ-ცოტა რამ აუღია: ერთიდამ თავი, მეორედამ — ბოლო, და აღებულისთვის თავისი საკუთარი მარტო ის წაუშატებია, რაც ქუთაისის სახელს შეეხებოდა. დანარჩენი შეიხამებოდა ერთათ, თუ არა, ამისთვის იმას ყურადღება არ მიუქცევია. ამის გამო მისი წესდების ძალით ქუთაისის ბანკი გამოდის ვითომც თვითონ, აძლევდეს ფულს სესხათ, მაშინ, როდესაც ის, როგორც ხერსონისა, მარტო უადვილებს, მიწის მეპატრონეს ფულის შოვნის საშუალებას.

მთელს წესდებას სწორეთ ამ რიგი გადმოწერის ბეჭედი ასვია. ყოველგან, სადაც კი უფ. ლოლობერიძეს თავისი რამ ჩამატება გაუზბედავს, გამოდის ნამდვილი და გაუგებარი შემსგავსება. ორს მაგალითს მოვიყვანთ. ქუთაისის ბანკის წესდების მეექვსე მუხლის ერთი წილი გადმოწერილია თფილისის ბანკის წესდებიდამ, და მეორე წილი შედგენილია თვითონ უფ. ლოლობერიძისგან. შემდგენელს, არ ვიცით რა მიზეზით, დაუწესებია, რომ ბანკს მარტო მაშინ შეუძლიან გაიხსნასო, როცა მსესხებელნი ასი ათასი მანეთის სესხის აღების სურვილს გამოაცხადებენო. მერმე დამატებულია, რომ ბანკის მმართველობის ამორჩევამდე, სესხის მიღების სურვილი ყველას შეუძლიან განუცხადოს ბანკის დამაარსებლებსო. და რადგანც ბანკის დამაარსებელათ მთელი ქუთაისის გუბერნიის თავდააზნაურობა ითვლება, ცხადია, რომ წესდების ძალით სესხის სურვილი უნდა განეცხადოს თითოეულ თავადს ან აზნაურს, ცალ-ცალკე. რატომ არ

დაუმატა ამას შემდგენელმა, რომ სურვილი უნდა განეცხადოს ბანკის დახმარებლების წინამძღომელს ან ბანკის კომიტეტს ამისი გაგება შეუძლებელია. ამგვარივე უზგავსოება სჩანს მეორე მაგალითშიაც. თფილისის ბანკის წესდებაში სწერია (მუხლი 64): „ბანკის საქმეებს განაგებს მმართველობა, რომელიც თფილისში იმყოფება და სამი წევრიდამ შესდგება“ და სხ. უფ. ლოლობერიძეს საჭიროთ დაუნახავს ჩაკვებება ამ მუხლში დამფასებელი კომისიისა, რომელიც სრულიადაც არ განაგებს ბანკის საქმეებს, და მართო აფასებს დასაგირავებელ მამულებს. ამის გამო ქუთაისის ბანკის წესდება (მუხლი 64) ამბობს: „ბანკის საქმეებს განაგებენ: 1) მმართველობა ბანკისა და მასთან დაარსებული დამფასებელი კომისია, 2) ზედამხედველი კამიტეტი“ და სხვ. ორივე ეს ჩამატება უბედურია, ამიტომ რომ ბანკის საქმეების გამგეობაში არც დამფასებელ კომისიას, არც ზედამხედველ კომიტეტს არავითარი გავლენა და ადგილი არა აქვთ: პირველი მამულებს აფასებს და თავის დაფასებას არადგენს; მეორე ზედამხედველობს იმაზე, წესიერათ და კანონიერათ განაგებს მმართველობა ბანკის საქმეს თუ არა. ამგვარი სხვა და სხვა ფერი საქმეების ერთმანერთში არევა საკმაოთ გვიჩვენებს, რამოდენათ ნათელი აზრი ჰქონია შემდგენელს თითოეული ბანკის ჩარხის დანიშნულებაზე, და ჩვენ საკმაო საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ამ გვარ ჩამატებებს და ჩაკვებებებს ისევ ის სჯობდა, რომ წესდება უფ. ლოლობერიძეს სიტყვა-სიტყვით გაუსწორებლათ და ჩაუმატებლათ გადმოეწერა...

ამნაირათვე უბედურია ის ადგილებიც, სადაც უფ. ლოლობერიძეს გამოუტოვებია ან წაუშლია ზოგიერთი სიტყვები რუსულ-წესდების გადმოწერის დროს. ერთს მაგალითს ამისასაც მოვიყვანთ.

ხარკოვის (აქციონერების) ბანკის წესდებაში მუხლი 48 ამბობს, რომ დაფასების საფუძვლათ ბანკი უნდა ხელმძღვანელობდეს განსაკუთრებით (преимущественно) მამულის შემოსავლის რაოდენობით. უფ. ლოლობერიძეს, არ ვიცი რა მოაზრებით, წაუშლია ეს სიტყვა „преимущественно“, და ეხლა მისი წესდების ძალით დაფასების დროს ბანკი უნდა ხელმძღვანელობდეს მართო მამულის შემოსავლით, მერე როგორით? შემოსავლით, რომელიც განიმართება არენდის პირობით, ანა და მიწის გაქირავების და სხვა ამგვარი კანტრახტების პირობებით. ბევრს აქვს ჩვენში მამული არენდით გაცემული ან კანტრახტით გაქირავებული? რასაკვირველია, ხარკოვის გუბერნიაში, სადაც თითქმის ყველა მამულის-მეპატრონეები თავიანთ ადგილ-მამულს არენდით აქირავებენ და

მიწას თვითონ არცერთი პატრონი არ ასარგებლებს და არ შეამუშავებს, ეს მოთხოვნილება თავის ადგილზე იყო. მაგრამ ჩვენში, სადაც არენდი რა სიტყვაა არავინ იცის, და სადაც არენდათ მარტო საჩუქარი ჯილდო მიაჩნიათ, უნდა დარჩენილიყო ამ გვარი მუხლი შეუცვლელი? და თუ შეცვლა რამე უნდა მოხდენილიყო შიგა, განა უფრო უნდა გაეძნელებია წესდების შემდგენელს დაფასების წესი, თუ უნდა გაეადვილებინა?

ერთი სიტყვით, მთელი წესდება, რამდენიმე (ექვსიოდე) მუხლის გარდა, გადმოწერილია რუსულ წესდებიდამ, უმიზნოთ და უაზროთ. იქ, სადაც შემდგენელს რამე ან ჩაუმატებია ან გამოუკლია, იმას შეცდომა მოსვლია, თითქო ის თვალ-დახუჭული შლიდა ანა და ამატებდა, საჭიროების და სარგებლობის დაუხედველათ. არც ერთს მისგან შედგენილს ან ჩაკვებებულ სიტყვაში არ სჩანს საქმის ცოდნა და რომელიმე მძიმე და საჭირო მიზნის ძიება. არც ერთს გადმოწერილს მუხლში არ სჩანს შემდგენელის მტკიცე აზრი და მრთელი საფუძვლიანი შეხედულება ბანკის მომავალზე და დანიშნულებაზე. ამის გამო ქუთაისის ბანკის წესდება დღეს ისეთი წესდებაა, რომელსაც ადვილათ შეადგენდა ყოველი პირი, სრულიად გაუჩვეველი პოლიტიკური ეკონომიის და ფინანსიური მეცნიერების საიდუმლოებაში, და რომელსაც ატყვია დალი სრული უცოდინარეობისა და მიუგნებლობისა...

ამ გზით და ამ საშუალებით გადმოწერილი და შედგენილია ეს ჩვენი წესდება, ეხლა ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმაზე, თუ რა იპოვება თვითონ ამ წესდებაში.

III. ქუთაისის ბანკის წესდება

წესდების ძალით, ქუთაისის ბანკი მიიღებს გირაოთ იმ მამულებს, რომელნიც მფლობელს სრულ საკუთრებათ ეკუთვნიან, და ამ საკუთრების დასამტკიცებლათ მოითხოვს კანონიერს მოწმობას. ამ გარემოებაზე მე ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა.

უმთავრესი დაბრკოლება ხალხში კრედიტის გავრცელებისა და ქვეყანაში საადგილ-მამულო ბანკის დაუქმებისა ჩვენში იმაში მდგომარეობს, რომ ადგილ-მამულის კუთვნილება ჯერ კიდევ განსაზღვრული და განმარტებული არ არის. მამული არ მოიპოვება ჩვენში ისეთი, რომ ზედ დავა და პროცესები არ ატეხილიყვნენ ან არ ატყდებოდნენ. რასაკვირველია, რომ ფულის პატრონი ვერ ანდობს თავის ფულს იმისთანა პირს, რომლის უფლება ადგილ-მამულზე შეურყვევლი და მტკიცე არ არის. ამის გამო ჩვენში ყოველად შეუძლებ-

ლია აქციონერული ბანკის ხეირობა ადგილ-მამულზე ფულის გასასესხებლათ. მაგრამ, რადგანაც ჯერ ჩვენში გამიჯვნა (მეყევანიე) გვარიან ხანს კიდევ ვერ დაბოლოვდება, და ჩვენს საზოგადოებას მანამდე ფული ეჭირვება, შესაძლებელი იყო ბანკს ფულიც ეშოვნა და ზარალსაც ასცილებოდა, ურთიერთის თავდებობის დაწესებით. მაშინ ფულის პატრონი ბანკის ფურცლებს იყიდიდა არა დაგირავებული ადგილების მიხედვით, არამედ ბანკის დამაარსებლების, ესე იგი, შთელი ქუთაისის გუბერნიის აზნაურობის თავდებობით. ამ გვართათ ფული ადვილათ და იაფათ იშოვნებოდა ბანკისთვის. მეორეს მხრით, ჩვენის ბანკის სიმაგრისათვის, შესაძლებელი იყო, რომ ბანკში ადგილ-მამულის შეტანა გაეადვილებია კაცს იმ შემთხვევებში, როცა გირაოს შემტანის მეზობლობა ბანკს ხელწერილს მისცემდა, რომ ადგილი ნამდვილათ ამ პირს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში ბანკს საკმაო გარანტია ექნებოდა, როგორც თავისთვის ეგრეთვე იმ კაპიტალისტებისათვის წარსადგენლათ, რომელნიც გირაოს ფურცლებს ყიდულობენ. მე იმას როდი ვამტკიცებ, რომ მაინცა და მაინც ამგვართათ უნდა გამართულიყო საქმე, მე ვამბობ მარტო, რომ შესაძლებელი იყო ამ გზით რომელიმე ისეთი საშუალება მოეძებნა კაცს, რომლის შემწეობით ბანკის ინტერესებიც დაიცვებოდნენ, და ჩვენს ადგილ-მამულის პატრონებს ბანკიდან ფულის გამოტანაც შეეძლებოდათ, ეს საშუალება უფ. ღოღობერიძეს არც უძებნია, არც უპოვნია. იმას გადმოუწერია სიტყვა-სიტყვით ის მუხლი ხარკოვის ბანკის წესდებისა, რომელიც თხოულობს კანონიერს საბუთს და სრულს კუთვნილებას. ხარკოვის გუბერნიაში, სადაც გამიჯვნა დიდი ხანია გათავებულა და სადაც ყველა მეპატრონის სიმართლე განმარტებულია, ეს მუხლი, რასაკვირველია, თავის ადგილზე სდგას. ჩვენში კი ამ მუხლის შეუსწორებლათ გადმოწერას ის შედეგი ექნება, რომ ორიოდ სოფლის მამულის მეტის ბანკში დაგირავება არც-კი მოხერხდება, ვისა აქვს ჩვენში კანონიერი და შეურყეველი საბუთი და გამიჯვნის პლანი სოფლის მამულებზე? ვის შეუძლიან აიღოს უფროს ნოტარიუსიდან მოწმობა, რომ მამული იმას დოკუმენტით შეუცილებლათ ეკუთვნის, რომ ზედ აღკრძალვას არა აძევს რა, რომ მასზე არც მთავრობის, არც კერძო გარდასახადი არ აწერია, რომ არცერთს სასამართლოში მასზე არც პროცესი, არც დავა, არც საქმე რამ მოიძიება? მგონია, რომ ძლიერ ცოტას. თუ ამაზე მე მიპასუხებენ, რომ ბანკს უამისოთ ფულის გაცემა არ შეეძლო, დაკარგვის უნდა ჰქონებოდაო და სხვ., მე ვიტყვი, რომ თუ ასეა, სულ არ უნდა დაგვეფუძნებინა ჩვენ საადგილ-მამულო ბანკი, ამიტომ რომ ამ პირობით

ის არც ეხლა გამოადგება ადგილ-მამულის პატრონს. მოგვეცადა გამიჯვანმდი და მერმე გაგვემართა. მაგრამ, რადგანაც გამიჯვნის დაბოლოვებამდი ჩვენს თავად-აზნაურობას ტყავი გაძვრებოდა უფულობის გამო, საჭირო იყო ჩვენში ისეთი ბანკის გამართვა, რომელშიაც საადგილ-მამულო ბანკის პრინციპი შეზავებული ყოფილიყო ურთიერთი ნდობის ბანკის პრინციპთან. ამგვარ ბანკს უნდა ჰქონოდა საფუძვლათ არა თუ მარტო დაგირავებული მამულების ერთმანეთის გარანტია, მაგრამ ბანკის დამაარსებლების, ესე იგი, მთელი ჩვენი თავად-აზნაურობის ურთიერთი თავდებობა,

რადგანაც უფ. ლოლობერიძეს ეს სახეში არ ჰქონია, დღეს ჩვენ მტკიცეთ დარწმუნებული უნდა ვიქნეთ, რომ ჯერ-ჯერობით, გამიჯვნის გათავებამდი, ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკი განსაკუთრებით სარგებლობას მოუტანს მარტო იმ პირებს, ვისაც ქალაქებში შენობები აქვთ გაშენებული, და ზედ მტკიცე საბუთებით აქვთ დამყარებული საკუთრების უფლება. სოფლელები კი, სოფლის მამულების პატრონები გვარიან ხანს ვერ მოესწრებიან ბანკილამ ფულის გამოტანას.

იმავე ხარკოვის წესდების მიზანძვით უფ. ბ. ლოლობერიძეს დაუწყესებია, რომ ჩვენს ქუთაისის ბანკში გირაოთ მარტო ის მამულები მიიღებიან, რომელთაც ნიადაგი შემოსავალი შემოაქვთ (მუხლი 11). ამ მუხლს წინეთ გასინჯული მუხლი 46 იმ რიგათ ხსნის, რომ შემოსავალი განმარტებული უნდა იქნეს არენდის ან სხვა ამგვარივე კანტრახტის პირობებითო. მაშასადამე, უფ. ანანოვის ტყე, აჯამეთში, ჩვენს ბანკში გირაოთ არ უნდა მიიღონ, ამიტომ რომ იმას ნიადაგი შემოსავალი არ შემოაქვს და ის არენდით გაცემული როდია. წრეულს მისი პატრონი ორმოც-და-ათი ათას მანეთს მოიგებს შეშის გაყიდვაში, გაისათ ასი ათასს—ტრავერსებში, გარდამისათ გროშსაც არ აიღებს, და შემდეგში იქნება ოთხასი ათასი მანეთიც მოიგოს. ამგვარი მამული, წესდების ძალით, ბანკში გირაოთ არ უნდა მიიღებოდეს; აგრეთვე ის მამულიც, რომელშიაც მეპატრონე ერთს წელიწადს თივას სთიბავს, მეორეში კი არა, მესამეში ყანებს მართავს და მეოთხეში სრულიად არაფერს. ერთის სიტყვით, თუ ქუთაისის ბანკის დამფასებელმა კომისიამ მართლა მტკიცეთ იხელმძღვანელა ამ ორი მუხლით, დარწმუნებით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ორი მამულიც არ მიიღება ბანკში გირაოთ, რადგანაც თითქმის არც ერთი ჩვენი მამული ამ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს.

შექველია, ვგონებ, ყველასთვის, ვინც ჩვენი ქვეყნის გარემოებებს იცნობს, რომ ჩვენი ადგილ-მამულის მეპატრონე სულ სხვა ნაირ მდგომარეობაში იმყოფება, ვინემ რუსეთელი. ჩვენში მიწის-მეპატრონე ან თვითონ ამუშავებს თავის მიწას, ან წილში უდგია იმას, ვინც მიწას ამუშავებს. ჩვენი მიწის შემოსავალი, თითქმის ყოველთვის, ფულათ კი არ შემოდის, შემოდის სიმინდათ, ღომათ ან ღვინოთ და პურათ, და უმეტეს ნაწილში ისე, რომ ეს პური და ღვინო და ეს შემოსავალი მაშინვე იხარჯება, გარეთ ფულათ იშვიათათ იყიდება. ეს გარემოება უნდა ჰქონოდა მხედველობაში წესდების შემდგენელს, თუ იმას უმთავრეს თავის მიზნათ ის ჰქონდა, რომ მის ბანკს სარგებლობა მოეტანა ჩვენის თავად-აზნაურობისთვის და ჩვენის მიწის-პატრონებისთვის. ეს გარემოება იმას სრულიად არ მახსოვრებია, თორემ მის წესდებში ორიოდე სიტყვა მაინც იქნებოდა ნათქვამი ბუნებით შემოსავალზე, მის მნიშვნელობაზე დაფასების დროს, აგრეთვე როგორც იმ გარემოებაზე, რომ ბანკი ყოველთვის იმ მეპატრონეებს უნდა აძლევდეს უპირატესობას, რომელნიც თვითონ ამუშავებენ თავიანთ მიწა-წყალს. ეს მეპატრონეები, ყოველთვის, უფრო ნაკლებათ ჰფლანგვენ ფულს, ვინემ ისინი, რომელნიც თავის მიწას აქირავებენ და თვითონ კი უსაქმოთ ქალაქებში ცხოვრობენ, მათსადამე, ბანკს მათ პირში უფრო მეტი გარანტია ექნებოდა ხვედრითი ფულის რიგიან გარდახდაში...

ჩვენს ბანკს ერთი მეტის-მეტად საენებელი და საშინელი დაბრკოლების შიში უნდა ჰქონოდა. ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ იმოდნათ არ გაჩვევია კომერციულ ცხოვრებას, რომ ვადების მნიშვნელობა და საჭიროება გაეგო. ამის გამო, და სხვა ეკონომიური მიზეზების წყალობით, ძლიერ ხშირათ მოხდება, რომ მსესხებელი დროზე არ გარდაიხდის თავის შესატანს ფულს. პრიკაზის მაგალითი გვიჩვენებს ჩვენ, რომ მისი წლიური გარდასახადი ხუთი-ექვსი წლობით არ შეაქვთ მსესხებლებს. ღმერთმა ნუ ჰქნას, და ამ გვარივე დაბრკოლება რომ ჩვენს ბანკს მიადგეს, რითი გარდაიხდის ის დროთხ თავის გირაოს ფურცლების სარგებელს და ტირაქში გამოსული ფურცლების თავნსაც? შექველია, თავის კაპიტალით. ამ კაპიტალის რაოდენობა შეადგენს 400,000 მანეთს. აქედამ ერთი წილი დანიშნულია მოკლე-ვიდიანი მსესხებისთვის, მეორე წილი შენახული უნდა იქნეს მმართველობის სარგებლიან ქალაქებში *), რომ გამოშვებული

*) ბ. ლოლობერიძეს დაეწყება გადმოწერა სიტყვების „ანუ მართველობისაგან გარანტია - მიცემულს აქციებში და ობლიგაციებში“, რომელთაც ბევრათ უმეტესი სარგებელი აქვთ, ვინემ ბანკის ბილეთებს.

გირაოს ფურცლების მეათედი შეადგინოს. მესამე წილი უნდა მოხმარდეს ტირაჟში გამოსული ფურცლების თავნის გარდასახდელათ და კუპონების გასასტუმრებლათ, როცა მსესხებელნი დროზე ფულს არ შემოიტანებენ. მაგრამ ეს მესამე წილი მარტო მაშინ იქნება სა-
მყოფი, თუ მსესხებელნი მარტო ორიოდ ან ექვსიოდე თვით დააგვი-
ანებენ ხვედრი გარდასახადის შემოტანას. და თუ დაგვიანება, რო-
გორც ამ ჟამათ პრიკაზს ემართება, რამდენიმე წელიწადს გასწევს,
მაშინ ხომ ეს წილი არ აუვა გირაოს ფურცლებს, და ბანკი უნდა
დაიკეტოს, განსაკუთრებით თუ დაგირავებული მამულები უცვათ.
არ გაიყიდა. ამ მდგომარეობის და საჭიროების მიხედვით, ბანკის
წესდების შემდგენელს უნდა მოეხერხებინა, რომ ბანკს უფლება
ჰქონოდა მსწრაფლათ გარდახდევინა ხვედრი ფული მსესხებლისგან,
ვექსილის უსტავის ზოგიერთი წესების მიღებით. ამ გვარივე უფლე-
ბები მიეცა ოსმალოს და ავსტრიის ბანკებს, სადაც საზოგადოება
ჩვენისთანა მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაგრამ ჩვენი ქუთაისის
ბანკისთვის უფ. ლოლობერიძეს ამგვარი უფლება არ უთხოვნია, და
ამით იმას დაუსუსტებია ჩვენი ბანკის ძალა და სიმტკიცე. ამით
წესდების შემდგენელი გვიმტკიცებს, რომ იმას ძლიერ სუსტად
გაცნობილი ჰქონია უმთავრესი პრინციპი კრედიტის საქმისა: რაც
უფრო მტკიცეთ და ფიცხლათ შეიძლება ვალის გარდახდევინება,
მით უფრო ადვილათ შეიძლება ვალის გაცემა. იმის მაგიერ, რომ
იმას ეს პრინციპი დაეცვა, იმას ის უკუღმა გადმოუბრუნებია და
ვალის გაცემა გაუძნელებია, ალბათ იმ აზრით, რომ ვალის გაცემის
გაძნელებით უფრო გაადვილდეს მისი გადახდევინება. მაგრამ ამ
უკანასკნელი მოაზრების უსაფუძვლობა დიდი ხანია დამტკიცებულია
პრაქტიკით და მეცნობრებიანაც.

არა მგონია, რომ საჭირო იყოს ამგვარივე გარჩევა მთელი წე-
სდებისა, მით უფრო, რომ ჩვენი ბაასი ერთობ გაქიანურდა და სა-
განბ კი ნამეტნათ ვრცელი და დაუბოლოებელია. ამის გამო მოკლეთ
ვიტყვი, რომ ვერც ერთი ბანკისა, კრედიტის და პოლიტიკური ეკო-
ნომიის მკოდნე პირი ვერ გაბედავს თქმას, რომ ქუთაისის ბანკის
წესდება შეეთანხმებოდეს და აკმაყოფილებდეს იმ მდგომარეობას,
რომელშიაც ჩვენი საზოგადოება იმყოფება, და იმ საჭიროებას, რომ-
ლის დასაკმაყოფილებლათ გარდაწყვეტილი იყო ქუთაისის ბანკის
გამართვა. თუ არის ვინმე ჩვენში ამის მთქმელი, გამოვიდეს და
თქვას, და მაშინ ვნახავთ, რით დაამტკიცებს თავის თქმას.

IV. ქუთაისის ბანკის მდგომარეობა და დანიშნულება

ღვთის მადლით, ჩვენს საზოგადოებაში, ძველში და ახალში — საკმაოდ მოიპოვება ისეთი პირები, რომელნიც ბანკის საქმეს მარტო სესხის თვალთ რაღაც უყურებენ. ამ გვარი გონიერი პირების თვალში, ჩვენი ბანკი უნდა დაფუძნებულიყო არა თუ მარტო ფულის შოვნის გასაადვილებლათ — ეს იყო მარტო გარეგანი, წუთიერი მიზანი ჩვენი ბანკისა, მაგრამ სხვა, უფრო ღრმა და მომავლიანი საზოგადოებრივი მიზნის მისაღწევლათაც. ბანკის დაარსების უმთავრესი მიზანი და საფუძველი, როგორც ყველა გონიერმა პირმა იცის ჩვენში, ის იყო, რომ ბანკი, თუ ჩვენ, არ გვექმნა ჩვენი საკუთარი ბანკი, ჩვენთვის და ჩვენ მიერ დაარსებული, მთელი ჩვენი მამულები ხელიდამ წაგვივა და სხვას დარჩებაო. მარტო ამ ჭკვიანურმა მოაზრებამ გაუქვალა ჩვენში გზა ამისთანა მძიმე და უცნობ საქმეს, რაგორიც ყოველგან საზოგადოებრივი ბანკის დაარსებაა. მაშასადამე, უმთავრესი მიზანი ბანკის წესდების შემდგენელისა ამაზე უნდა ყოფილიყო მიზმანებული, რომ ჩვენი მამულები ხელიდამ არ წაგვივიდეს და ჩვენვე დავგრძელებდით. ამ უმთავრეს მიზანს აბია მეორე, აგრეთვე მძიმე და საჭირო მიზანი: ბანკის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ჩვენი საზოგადოების საჭიროებას: მის შვილების აღზრდას, განათლებას, მდგომარეობის გაუმჯობესობას და სხვა.

გარდაიკითხეთ, ეხლა, მთელი წესდება, შედგენილი ბ. ლოლობერიძისაგან, და მიბრძანეთ: რომელი მუხლი, რომელი სტრიქონი ამ წესდებისა შეეხება ამ უმთავრეს მიზანს? ხარკოვის აქციონერულს ბანკს ხომ სიზმარშიაც არ ზმანებია ამ გვარი ქვეყნის სასარგებლო მიზანი? მიჩვენეთ რომელიც გსურთ მუხლი ქუთაისის წესდებისა, და მე დაგანახებთ, რომელი მუხლიდამ არის გადმოწერილი ის ხარკოვის წესდებისაგან. მარტო ფორმისთვის ჩაკვეტიებულია ქუთაისის თავად-აზნაურობის პირველი პროტოკოლის სიტყვები: ბანკის მოგების ნახევარი ქვეყნის საჭიროების დასაკმაყოფილებლათ უნდა მოხმარდესო. მაგრამ უმთავრეს საჭიროებაზე და სიზმანზე, მამულების დაკარგვისაგან დაცვაზე ზრუნავს განა ჩვენი წესდება, უმეტესად, ვინემ ხარკოვის ბანკის წესდება? თუ ზრუნავს, მიბრძანეთ, რომელს მუხლშია გამოსახული ეს ზრუნვა და რომელს თავშია დაწყობილი ის წესები, რომლის შემწეობით შესაძლებელია ამ მიზნის მიღწევა?

რამდენადაც მე ვიცი, არც ერთჯერ, არც ერთს ქვეყანაში ისე ადვილი არ ყოფილა ხეირიანი ბანკის გამართვა ჩინებულ, სოციალურ საფუძვლებზე, როგორც ქუთაისში. ნურვინ მოიყვანს აქ თფი-

ლისის ბანკის და წესდების მაგალითს. თფილისის ბანკის წესდების შემდგენლებს წინააღმდეგადად ჰყავდათ ძლიერი დიდკაცობა. რაც კი რამ თფილისის გუბერნიაში პატივ-საცემი და ამალღებული იყო ძველიდამევე, ყველა იმ ბანაკში იდგა, რომელსაც ებრძოდნენ წესდების შემდგენელნი. ამ შემდგენლებს არ შეეძლოთ თავიანთ აზრების და მიმართულების სრული განხორციელება წესდებაში, და ამის გამო უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ მით, რაც შეიძლეს, რაც დაუთმეს იმათ მათმა ძლიერმა და დიდი პარტიის მექონე მოწინააღმდეგეებმა. ქუთაისში კი მდგომარეობა სულ სხვა იყო. ვინ იყო წინააღმდეგი? არავინ, სრულიად არავინ! ქუთაისში მოხდა უმაგალითო საქმე: დიდი და პატარა, ძველი და ახალი, ავი და კარგი ერთი გრძნობით და ერთი სურვილით აღვსებული იყო — ბანკი დავაარსოთ, კარგი, ქვეყნის სასარგებლო, და ამ მიზნისთვის ნურაფერს დავზოგავთ, ნურაფერზე უარს ნუ ვიტყვივითო! მარტო ამ გრძნობის მაღლით გავიდა ისეთი მძიმე პრინციპი, როგორც ურთიერთის თავდებობაა, რომლის ხსენება თფილისის კრებაში შეუძლებელი იყო. მაშინ რაგინდ მსხვერპლი მოეთხოვა შემდგენელს საზოგადოებისაგან, უარს არავინ ეტყოდა, წინააღმდეგობას არავინ გაუწევდა. მთელი იმერეთის თავად-აზნაურობა მომყავს იმის მოწმათ, რომ მე ნამდვილათ ვსწერ ამ გარემოებას. ამას გვიმტკიცებს ჩვენ კიდევ ის, რომ კენჭის ყრის დროს წესდების წინააღმდეგ მარტო ექვსი თუ შვიდი შავი კენჭი ამოვიდა, მაშინ როცა თეთრი კენჭი რამოდენიმე ასი იყო.

ხალხისა და ქვეყნის ცხოვრებაში ამ გვარი ერთსულობა და თანხმობა იშვიათია. ადვილათ შეიძლება, რომ ოცი და ორმოცი წელიწადი გავიდეს ჩვენში, სანამ ჩვენ ხელახლათ ველირსებით ამ გვარი ერთსულობის და თანხმობის დასწრებას და ნახვას. ეს ერთსულობა, რომელიც დამზადებული იყო არა უფ. ბეს. ლოლობერიძის წესდების მისაღებათ, მაგრამ ბ. ლოლობერიძის და ყმარწვილ-კაცობისთვის წესდების შედგენის მისანდობლათ, გამოიყენა უფ. ლოლობერიძემ თავისი გადმოწერილი წესდების გასატარებლათ. წესდება საზოგადოებამ მიიღო, გაუსინჯველათ, დაუფიქრებლათ, ამიტომ რომ იმ ჟამათ ხალხში გავარდნილი იყო ხმა (პაროლი) — ბანკის საქმე ბეს. ლოლობერიძეს უნდა მივანდოთო. მე მინდა ვთქვა ეხლა როგორ შეიძლებოდა მაშინ ერთი ძვირფასი პრინციპის დაცვა, ბ. ლოლობერიძეს თავისი წესდება რომ არ წარედგინა საზოგადოებისთვის და მის ბიძაშვილებს თავის ოინებით ეს გადმოწერილი და მოუაზრებელი წესდება რომ არ დაემტკიცებინათ საზოგადოებისთვის.

ჩვენი ბანკის უმთავრესი აზრი — ადგილ-მამულის¹ დაკარგვისგან ჩვენი საზოგადოების დაცვა — ერთობ საჭირო საქმეა. ვინც ჩვენს ეხლანდელს საზოგადოებას იცნობს იმან კარგათ იცის, რომ მამულის დაგირავებას, ვინც კი მოახერხებს, არავინ დაზოგავს, და ბანკი დამ გამოტანილ ფულს კი, საწარმოებლათ, მამულის გასაუმჯობესებლათ, ანგარიშების კარგათ გასაწყობლათ იშვიათათ ვინმე მოიხმარს. მაშასადამე ნასესხი ფული დაიფლანგება ტანსაცემელში, სტუმრობაში, თამაშში, ერთი სიტყვით გამოუყენებლათ. უმთავრეს ნაწილს სესხის ამღებთ დროზე ფულის შემოტანა გაუჭირდება. ადრე თუ გვიან აუცილებლათ საჭირო გახდება დაგირავებულ მამულების გაყიდვა, თუ არა ყველასი, უმეტესი ნაწილისა ხომ მაინც.

ჩვენი ბანკი დაარსებული იყო პირველათ იმისთვის, რომ რამდენადაც კი შეიძლებოდა განეშორებინა ამ გაყიდვის საჭიროება, და თუ გაუყიდველობა შეუძლებელი შეიქმნებოდა, ისე წაეყვანა საქმე, რომ მამული მაინც ჩვენებს, ახლობლებს, ჩვენი ქვეყნის კაცებს დარჩენოდათ, და არა გადამთიელებს, მოსულს ურიებს და ურიების მსგავსებს. ამ მოსულების ეშინიან ჩვენს ხალხს, და ეშინიან საფუძვლიანათ, ამიტომ რომ ისინი დაუზოგველათ სარგებლობენ ჩვენი ხალხის და საზოგადოების სისუსტით, დაუზოგველათ ჰყვლეფენ და აღარიბებენ ივას. ვინ იქნება ჩვენში მყიდველი გასაყიდელი მიწებისა ჩვენთაგანი? ათი-თუთხმეტი თავ-შენახული და გონიერი მეპატრონე, მეტი არავინ, ხომ? დანარჩენი მყიდველები იქნებიან ჩვენში მცხოვრები ვაჭრები, განსაკუთრებით ურიები, და უფრო განსაკუთრებით ისინი, ვინც აქამდი და აწიც ურიის სარგებლით ფულს ავალებენ. მაგრამ ამათი რიცხვიც მცირედია. მაშასადამე დანარჩენი მამულები დარჩებათ მოსულებს, უცხო-ქვეყნელებს, მყიდველ-გამყიდველებს, რომელნიც ან ჩამოგვესიძებიან და ხალხს გაჰყვლეფენ, ანა-და შორი დამ ჩვენ ადგილ-მამულით ივაჭრებენ და ჩვენ საზოგადოებას და ხალხს პროლეტარებათ გარდააქცევენ.

ჩვენი ქვეყნის ერთგულ შვილს, ჩვენი საზოგადოების და ხალხის კეთილის-მსურველს ამ განსაკუთრებულ მდგომარეობაში ისეთი საშუალება უნდა მოეძებნა, რომ ეს გასაყიდი მამულები ისევ ჩვენს ხალხს და საზოგადოებას დარჩენოდა. მე მგონია, რომ ამ გვარ საშუალებათ გამოდგებოდა, მაგალითად, შემდეგი წესი:

ვთქვათ მე ვაპირებ ჩემი მამულის დაგირავებას ბანკში; ვთქვათ კიდევ, რომ მე მყავს ოციოდ მეზობელი ან სახლის-კაცი, რომელთაც ეწყინებათ შემდეგში, ჩემი მამული რომ ვისმე გარეშე პირს ვაჭრობით დარჩეს. ვთქვათ კიდევ, რომ ჩემი მამული მოსწონს ან სახეიროთ

შიაჩნია ჩემი სოფლის გლეხ-კაცობას, რომელსაც, მართალია, ერთბაშათ მისი ყიდვა არ შეუძლია, მაგრამ, ყიდვაზე რომ საქმე მივარდეს და რამდენიმე ათი წლით გაუნაწილოს კაცმა მისი ფასი, გარდახდა, ყიდვის უარს არ იტყვიან და დიდის სიამოვნებით შეიძენენ იმ ჩემს მამულს. განა შეუძლებელი საქმეა, ბანკმა ამ გვარ სახლის-კაცებთან, მეზობლებთან ან გლეხებთან თავდა-პირველათვე მორიგებაში შევიდეს, დაფასების დროს, და მტკიცე პირობა ჩამოართვას, რომ, ვინცობაა, ჩემი მამული გასაყიდათ რომ შეიქმნეს ბანკის ვალში, ის ჩემი მეზობლები, სახლის კაცები ან გლეხები მოვალეობას იღებენ ამა-და-ამ ფასათ ის მამული აიღონ და ამდენ-და-ამდენ წელიწადში მისი ფასი ბანკს გარდაუხადონ? წარმოვიდგინოთ ეს, რომ ბანკის წესდების შემდგენელმა იქონია მხედველობაში ეს წესი. ვნახოთ, რამდენს სარგებელს მოუტანდა ის ამით ქუთაისის ბანკს და საზოგადოებას.

ერთი რომ, დაფასება ამ გვარი მამულისა თითქმის საჭიროც აღარ იქნებოდა: რაკი ბანკს თავიდანვე მყიდველი მზათ ეყოლებოდა, დაფასება რალა საჭირო იქნებოდა: დამფასებლის მოვალეობას თვითონ ის პირები აასრულებდენ, რომელნიც მოვალეობას აიღებდენ მამულის ყიდვისას.

მეორე. როცა კაპიტალისტებს ეცოდინებოდათ, რომ ბევრ და-გირავებულ მამულებს წინ-და-წინვე ნაშოვნი ჰყავს მყიდველები, ჩვენი ბანკის გირაოს ფურცლების ღირსება მომატდებოდა, და ამით უსათუოთ აიწევდა.

მესამე. თვითონ ბანკს, ამ გვართ მიღებულ გირაოებში, თავის დღეში ზარალი და დაბრკოლება არ მიეცემოდა, რადგანაც პირველივე გარდასახადის დაგვიანების დროს სესხის აღების მხრით, ის ხელს-მიჰყოფდა მყიდველებს და მათგან მიიღებდა კმაყოფილებას.

მეოთხე. მამული, თუნდ პირველი მფლობელის ხელიდამ დაკარგულიყო, ისევ მის ნათესავეებს, სახლის კაცებს, მეგობრებს, მეზობლებს და თანა-მემამულეებს დარჩებოდა.

მეხუთე. ჩვენი გლეხკაცობა ამ გვართ ნელ-ნელა შეიძენდა კარგ-ძალ მიწებს, ამისთანაებს, რომელნიც ეხლა, ამ წესის მიუღებლობის გამოისობით, უცხო ქვეყნელებს და ურჩებს უნდა დარჩესთ, რომლითაც, მაშასადამე, ვერც ჩვენი თავად-აზნაურობა ისარგებლებს, ვერც ჩვენი გლეხობა, და რომელნიც უცხო ქვეყნელების ხელში შეიქნებიან იარაღათ ჩვენი ხალხის გაყვეფისა.

მითხარი, ჩემო მკითხველო, ცუდი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის-თვის ეს წესი? ვინ იქნებოდა მისი წინააღმდეგი? ეს წესი არც ბანკის დამაარსებლების აზრს ეწინააღმდეგებოდა, არც თავად-აზნაურობას

არც ხალხს, არც მმართველობას. ამ წესის მისაღებლათ საჭირო იყო მარტო მისი გამოსახვა წესდებაში, ათიოდე ან ოციოდე ახლათ შემდგარი მუხლით, ისეთებით, რომელნიც ხარკოვის ბანკის წესდებაში არ მოიპოვებინან, ამიტომ რომ ხარკოველ აქციონერებს ფეხებზე ჰკიდიათ ვის ხელში გარდავა მამული, ოღონდ კი იმათ თავიანთი დივიდენდი მიიღონ. საჭირო იყო კიდევ სხვანაირათ გამოანგარიშება. გირაოს ფურცლების ვადებისა, ისე, რომ შესაძლო ყოფილიყო მყიდველისთვის ახალი ვადის მიცემა და გაგრძელება და ამ გამოანგარიშებას აგრეთვე საკუთარი შრომა სჭიროდა. მარტო ეს ორი დაბრკოლება უდგა წინ ამ, ჩემის აზრით, ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო, აზრს. თორემ არც ჩვენი თავად-აზნაურობა, არც ჩვენი მმართველობა მის წინააღმდეგ სიტყვასაც არ იტყოდა. გკითხავ ეხლა, რისთვის არ იფიქრა ამ წესზე უფ. ბ. ლოლობერიძემ, როცა იმან იკისრა თავზე წესდების შედგენა იმ ბანკისათვის, რომლის უმთავრესი მიზანი იმაში იდგომარეობდა, რომ ჩვენი მამულები და მიწები ჩვენი ხალხისა და საზოგადოების ხელიდან არ დაკარგულიყვნენ? მიბრძანეთ, აბა, რისთვის?

V. დასკვნა

ის აზრი, რომ ეხლა უსარგებლოა ყველა, ამ საგანზე ლაპარაკი, რომ საქმე დიდის ხნით და დიდი ხანია გაბრუნდებულია, რომ წესდება დამტკიცებულია, მე ფეხს მისხლეტს და მადას მიკლავს გავაგრძო დაწვრილებით საუბარი ჩვენი ბანკის წესდებაზე. თუ ღმერთმა ჰქნა და მოვესწარით როდესმე იმ დროს, როცა ჩვენს საზოგადოებაში ატყდება კითხვა ამ წესდების შეცვლაზე, მაშინ, თუ ცოცხალი ვიქნები, უფრო მჭიდროთ და დაწვრილებით მოვიყვან ყველა ჩემს მოსაზრებებს და საფუძვლებს. ეხლა კი, ამ კითხვის აღსაძვრელად, მგონია, საკმაოა ისიც, რაც ვთქვი.

გადავიდეთ ეხლა დღევანდელ კითხვაზე: ბანკის გახსნაზე და მმართველობის ამორჩევაზე.

მე არ ვიცი, ვის მიანდობს ჩვენი საზოგადოება თავისი ბანკის გახსნის და თავდაპირველი წაყვანის საქმეს. ამოარჩევს ის იმ კანდიდატებს, რომელნიც ამას წინეთ „დროებაში“ იყვნენ დასახელებულნი, თუ სტეგებს იცნობს უფრო საიმედოთ, ეს თვითონ საზოგადოების საქმეა. მე მარტო იმას ვისურვებ, და იმედი მაქვს, რომ ამ სურვილს ჩემთან ყოველი ჩვენი მამულის ერთგული შვილი გაიმეორებს, — რომ საზოგადოების ამორჩევის მიმმართველად იქნეს მხოლოდ საზოგადო სიკეთის სურვილი, მხოლოდ სინდისი და პატიოსნება, და არა პირადი,

ან მეგობრობითი და ნათესაობითი მიდგომა. ვისურვებ ამასთანავე, რომ ყოველ მეკენჭეს მტკიცეთ ახსოვდეს, კენჭის ყრის დროს, ორი ჭეშმარიტება: ერთი ის, რომ ამ აქამდი სუსტათ, მიუგნებლიეს და უცოდინარათ წაყვანილ საქმეს ხეირიანი და მარჯვე მმართველები სჭირიათ, და მეორე ის, რომ რაც ამ პირველს სამ წელიწადში წახდება ან გაკეთდება, იმას შემდეგში ათი და ოცი წლის შრომა ვერ გაასწორებს და ვერ შეცვლის. ამ ჭეშმარიტების გულში დანერგვით, სინდისიანათ ჩაკითხონ მეკენჭეებმა თავიანთს გულს, და ის პირები ამოირჩიონ, ვისაც ნამდვილათ და მტკიცეთ იცნობენ თავიანთი მამულის ერთგულ და თავიანთი საქმის მცოდნე კაცებათ.

1876 წ.

მრუდე გამოსარჩლება

(პასუხი უფ. ილია ჭავჭავაძეს)

I

ამასწინეთ, როცა ქუთაისის კენჭის ყრა იყო ბანკის მმართველობის ამოსარჩევათ, უფ. ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა „დროებაში“ სტატია „უფ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“. ეს სტატია ესარჩლებოდა უფ. ბეს. ლოლობერიძეს და მისგან გადმოწერილს ქუთაისის ბანკის წესდებას. რასაკვირველია, უფ. ჭავჭავაძის მხრით საქები რაინდობა იქნებოდა იმისთანა პირის დაცვა, რომელიც თვითონ თავის თავს ვერ იცავს, მაგრამ საუბედუროთ, ამ შემთხვევაში, უფ. ჭავჭავაძე უფ. ბეს. ლოლობერიძეს ესარჩლებოდა თავისი საკუთარი თავის დასაცავათ. საქმე იმაშია, რომ უფ. ჭავჭავაძე არის თფილისის ბანკის წესდების შემდგენელი და ამავე ბანკის მმართველიც. მისი წესდება იმავე კალაპოტზეა გაკეთებული, ესე იგი გადმოწერილი როგორც უფ. ლოლობერიძისაც. ორივეს თითქმის ერთი ხასიათი აქვთ, ერთგვარი ნაკლულევანება და ღირსება. მაშასადამე, ერთი წესდების დაცვა ან ძაგება მეორე წესდებასაც შეეხებოდა. ამას არც თვით უფ. ჭავჭავაძე მალავს. „უნდა აღვიაროვო, ამბობს ის, რომ იგი სტატია (ჩემი) ამ საგანზედ იმისთანა აზრებს ჰქადაგებს, რომელიც არა მგონია დამჯდარის გონებით იყვნენ მოსაზრებული და რომელთაც საქმის წახდენა შეუძლია არამც თუ ქუთაისის, არამედ თფილისის გუბერნიაშიაც“. და რადგანაც საერთო უბედურება მტრებსაც ერთმანეთს აახლოვებს, გასაკვირველი არაა, რომ ჩვენ ერთს და იმავე ბანაკში ვხედავთ უფ. ჭავჭავაძეს და უფ. ლოლობერიძეს.

ამის გამო ჩემს პასუხში მე საჭიროთ ვრაცხ შევეაერთო ამ ორი პირის და ბანკის საქმე, და მომავალში ვილაპარაკო, როცა საჭირო იქნება, არა თუ მარტო ქუთაისის, თფილისის ბანკის წესდებაზედაც.

II

უმეტესი ნაწილი უფ. ჭავჭავაძის სტატიისა სრულიად არ შეეხება ჩემი პირველი სტატიის შინაარსს და საგანს. უფ. ჭავჭავაძეს აზირობული ჩვეულება ჰქონია პოლემიკის გამართვისა. ვთქვათ, მე

დავბეჭდე, რომ ესა და ეს ქუჩა ცუდათ და სამარცხოთ არის მოკენ-
ტილითქო. თუ ვინმე ამ აზრის თანახმა არ არის, ის, უეჭველია,
უნდა იმ აზრის დამტკიცებას შეუდგეს, რომ არა, ეს ქუჩა ჩინებულათ
და გონიერათ მოკენჭა მისმა გამკეთებელმა, ამას გვიმტკიცებს ჩვენ
აი ეს და ეს მაგალითები და ფაქტებიო. ხომ ასეა მკითხველო? მაგ-
რამ წარმოვიდგინოთ, რომ ჩემი აზრის წინააღმდეგ წამოდგა კაცი
და დაიწყო დაუბოლოვებელი ლაპარაკი მაზე, რომ ქუჩები სასარ-
გებლო რამ არიან, რომ მათზე სიარული უფრო სასიამოვნოა და ადვი-
ლია, ვინემ გაუკაფავ ეწერზე, რომ ეხლანდელი ქუჩების მოკენჭვა
ჩინელებმა მოიგონეს, რომ ქუჩები ამა და ამგვარათ იკენჭებიან და
სხვ. განა ამგვარი ლაპარაკი ჩემი აზრის დარღვევა იქნება? ხომ არა?
უფ. ჭავჭავაძე კი სწორეთ ამგვარი პოლემიკის სისტემას დადგომია.

III

ის შედგომია თავის სტატიას იმ აზრის დამტკიცებით და გან-
მარტებით, რომ კრედიტი ჩინებული რამ არის, და საადგილ-მამულო
კრედიტი — წარჩინებული. ვინ იყო ამ აზრის წინააღმდეგი? პარახო-
დიც მშენიერი რამ არის, და წყლით სიმძიმის გადატან-გადმოტანა-
ბევრათ უფრო იაფათ ჯდება, ვინემ რკინის გზით. — მაგრამ განა
აქედამ ის დასკვნა გამოდის, რომ თფილისიდან ვლადიკავკაზს ჩვენ
საქონელი ზღვით უნდა ვგზავნოთ? ან თუნდ კიდევ დაგეთანხმოთ,
უნდა ვგზავნოთქო, განა ამით საქონელი მართლა ზღვით და გე-
მით გაიგზავნება?

უფ. ჭავჭავაძეს გრძლათ განუმარტებია თუ რაა კრედიტი, რა
ლირსება აქვს საადგილ-მამულო კრედიტს, რა თვისება, რა ხასიათი;
განუმარტებია აგრეთვე რომ ქუთაისის გუბერნია განსაკუთრებით
„მიწის-მომქმედი“ გუბერნიაა, დაუმტკიცებია ადგილ-მამულზე მტკიცე
საბუთების ქონვის ღირსება, და ბევრი სხვა ამგვარი საანბანო ჭეშ-
მარიტებები. ვინ იყო, ვიმეორებ, ამ აზრების წინააღმდეგი? როდის
ეთქვი მე მაგალითად, რომ ქუთაისის გუბერნია მიწის მომქმედი არ
არისთქო? ან რა მნიშვნელობა აქვს აქ მიწის მოქმედებას? რა საჭი-
რო იყო ამ საგნებზე ბაასის ატეხა და გაჭიანურება?

IV

რა საჭირო იყო, ჩემო მკითხველო, და ის, რომ, როცა კაცს
პირდაპირ კითხვაზე პასუხის მოცემა ეძნელება, ის მთასა და ბარს
მოედება, აქაო და აკი გელაპარაკები, მაშასადამე პასუხს გაძლევო
და როცა კაცი ბრძნულ საგნებზე გააბამს ამ გვარ ლაპარაკს, მაშინ

დამსწრე ხალხს ეგონება — „კარვათ, გონივრათ ლაპარაკობსო!“ კვალში ჩამდგომი, ბაასის საგნის მხსოვნელი ცოტაა, უმრავლესობა. მართო სიტყვების ხმაურობას აკვირდება, და ვინც ამგვარი უმრავლესობის აზრს მეტათ აფასებს, ვინემ დამკვირვებელი უმცირესობის, ის, რასაკვირველია, არ იწუნებს ამნაირი პოლემიკის წესს.

V

საუბედუროთ მაგარი ესაა, რომ ამგვარ საანბანო უბრალო ქე-შმარიტების გამოთქმის დროსაც წამტვრევია ფეხი უფ. ჭავჭავაძეს. აი, მაგალითად, რა დაუწერია იმას თავის სტატიაში:

„კრედიტი, რომელიც მიწის მოქმედებისათვის არის საჭირო და მასზედ უნდა იყოს მიქცეული, არის ის კრედიტი, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან მიწის სამომქედლო (Земельный) კრედიტსა“.

„კრედიტი“ „მეცნიერება“ და სხვა ამგვარი სიტყვების რახარუხი, რასაკვირველია დააჯერებს ზოგიერთ მკითხველს. მაგრამ იმ პირებისთვის, ვისაც ცოტაოდნათ მაინც ესმის საგანი, ცხადია პირველათ ის, რომ ეს ლაპარაკი უადგილო იყო ჩვენს ბაასში, და მეორეთ ის, რომ земельный კრედიტი სულ სხვანაირათ არის ახსნილი მეცნიერებაში. მიწის-სამომქედლო (земельный) კრედიტს იმ კრედიტს ეძახიან, რომელიც ნაშოვნია მიწის გიროთ მიცემით, და არა იმას, რომელიც უნდა მოხმარდეს მიწაზე. მაგალითად: ვექსილით რომ ფული ვისესხო და მიწას მოვახმარო, ამ კრედიტს მაინც სავაჭრო კრედიტი ერქმევა, როგორც მეცნიერებაში, ისე ცხოვრებაშიაც. მაგივრათ, საადგილ-მამულო ბანკში მიწა-წყალი რომ დავაგირავო, მით ფული გამოვიტანო, და მერმე ის ფული ბანკში ან ნარდში წავავაო, ეს, „მაინც, მიწის მოქმედი“ ანუ земельный კრედიტი იქნება. ამას გარდა ესეც უნდა დავსძინო, რომ земельный კრედიტი ქართულათ ითარგმნება, „მიწის მოქმედ“ კრედიტათ კი არა, „საადგილ-მამულოთ“. „მიწის-მოქმედ კრედიტს რუსულათ ერქმევა земельный კი არა земледельческий. ამ ორს სახელს შუა, ვგონებ, დიდი უშველებელი განსხვავებაა.

VI

დიდათ მაკვირვებს უფ. ჭავჭავაძე, რომ ის ამგვარს შეცდომას იჩენს ისეთს უბრალო ცნობებში, რომელნიც ყველას საანბანოთ მიაჩნია. ნუ თუ ბანკის მმართველს და წესდების „შემდგენელს“ ამგვარი შეცდომები შეეფერება? წვრილმანებში თუ იმას ამისთანა „მეცნიერება“ ჰქონია, სხვილ-სხვილებში რას უნდა ველოდეთ.

VII

რადგანაც უფ. ჭავჭავაძემ თავისი სტატია საანბანო ჭეშმარიტების უადგილო განმეორებით აავსო, მეც ჩემ თავს ნებას მივცემ მარტო ერთხელ, ამნაირივე საანბანო ჭეშმარიტება განვუმარტო უფ. ჭავჭავაძეს, რომ იმას სხვა დროს წელანდლური შეცდომა არ შეემთხვეს.

ნდობა (კრედიტი), რომელიც დამყარებულია მიწა-წყლის გირაოზე, არის საადგილ-მამულო ნდობა. ის იმით განირჩევა სავაჭრო ნდობიდან, რომ ეს უკანასკნელი დამყარებულია ან პირად ნდობაზე ანდა იმგვარ გირაოზე, რომელსაც წუთიერი, შემცვლელი ფასი აქვს, მაგალითად — აქციების, სარგებლიანი ქალაქების და სხვა ამგვარი მოძრავი საკუთრების გირაოზე.

VIII

ჩემს სტატიაში მე ვამტკიცებდი უფ. ლოლობერიძის წესდების სისუსტეს სხვათა შორის იმ საფუძვლითაც, რომ ეს წესდება გადმოწერილია რუსული ბანკის წესდებებიდან, ადგილობრივი საჭიროებების დაუხედეველათ და დაუქმყოფილებლათ — რა უყოთ რომ გადმოწერილიაო, მიპასუხებს უფ. ჭავჭავაძე, განა სხვისგან მოგონებული წამალი უნდა დავიწუნოთო! მკითხველო, ამგვარ პასუხს პასუხი ჰქვია, განა? ჩვენში ამას ბაასის საგნის შეცვლას ეძახიან. მე ვამბობდი წესდება გადმოწერილია ადგილობრივი საჭიროებების მიუხედეველათ, მაშასადამე, პასუხიც ამაზე უნდა. მომცემოდა, ამ ადგილობრივი საჭიროებების მიხედვაზე. სხვისგან შეკდგენილ წამალზე კი იმას მოგახსენებთ, რომ ეს წამალი ჩვენს უნდა მივიღოთ, თუ ჩვენს ავათმყოფობას და მდგომარეობას მოუხდება, და დავიწუნოთ, თუ მის შემდგენელს იმ წამლით ჩვენებური ციების მორჩენა კი არა, მექსიკანური *nomiti negro*-ს მორჩენა უნდოდა. და მექსიკანურთ იმას ვამბობდი, რომ ჩვენი ადგილის მეპატრონის მდგომარეობა არ შეეფერება ხარკოვის ან პოლტავის მეპატრონის მდგომარეობასთქო.

IX

მე ვამბობდი კიდევ:

„ჩვენს ქვეყანაში ნაკუწ-ნაკუწათ შედგენილი ბანკი გამოადგება მარტო იმ პირებს, რომელნიც სწორეთ იმგვარივე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორშიაც პოლტავის ან პარიჟის მიწის-მეპატრონეები არიან. დანარჩენი პირებისათვის კი ამგვარი ბანკი გამოუდგვარი იქნება, ამიტომ რომ მათი მდგომარეობა უცნობია პოლტავაში და პარიჟში“.

მგონია, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვისგან შედგენილი წამალი მარტო იმ ავთამყოფებს არგებს ჩვენში, ვინც იმავე სენით არიან ავთ, რომელიც გამოუკვლევია წამლის შემდგენელს. მაგრამ უფ. ჭავჭავაძე მაინც თავის წამლის მაგალითს ადგია, და მეორესაც უმატებს: რა ვუყოთ რომ ნაკუწ-ნაკუწათ არის წესდება შედგენილი? განა ერთ ადგილს რომ მაუღი ვიყიდო, მეორე ადგილს სარჩული და შესამეს-ძაფი, დერციკი ამით ხეირიან ტანისამოსს ვერ შეკერავსო? ესეც პასუხი არ არის, ესეც საგნის შეცვლაა, მაგრამ არც ამ მაგალითს დავტოვებ განუხილველათ. მითხრას უფ. ჭავჭავაძემ, შეკერავს დერციკი ხეირიან ტანისამოსს, თუ ის პირი არ ნახა, ვისთვისაც ჰკერავს, თუ მასზე ზომა არ აიღო, თუ მისი აგებულობა და ტანი არ გასინჯა? ამას გარდა ხეირიანი ტანისამოსის შესაკერავათ საჭიროა თუ არა, რომ ვინც შეკერვას ჩემობს, მართლა დერციკი იყოს და თავისი ხელობა შეესწავლოს? ესეც განმიმარტოს: სხვა და სხვა ადგილას ნაყიდი მაუღი, ძაფი, სარჩული უფ. ჭავჭავაძემ მექოთნეს რომ მიუტანოს, და მექოთნემ ზომის აღებაც რომ არ იფიქროს, შეიკერება ხეირიანი ტანისამოსი ამნაირათ, თუ არა?

X

საქმე იმაშია, რომ მე ვამბობდი: უფ. ბეს. ლოლობერიძეს არ შეუსწავლია არც ჩვენი ქვეყნის საჭიროება, არც კრედიტის და ბანკების საქმე. იმას აულია ათიოდე უცხო ქვეყნელი ბანკის წესდებები და მიუხედავად, ადგილობრივი საჭიროების გამოუკვლევლათ გადმოუწერია ნაკუწ-ნაკუწათა ზოგიდამ რა და ზოგიდამ რა. ეს გახლდა ჩემი აზრი. არღვევს ამ აზრს უფ. ჭავჭავაძის მაგალითები და სიტყვები? ეს შენ გაისინჯე, მკითხველო.

XI

უფ. ჭავჭავაძე მავვედრის, ნიკოლაძე გრძლათ ამტკიცებს უფ. ლოლობერიძის წესდების გადმოწერასაო, თითქო ეს რასმე ნიშნავდესო, აფუხსნი უფ. ჭავჭავაძეს რისთვის ჩავთვალე მე ჩემ მოვალეობათ ეს გრძელი დამტკიცება. უფ. ლოლობერიძემ გადმოწერა თავისი წესდება. დიდი შრომა ან ცოდნა უნდოდა ამ გადმოწერას? ეს კითხვა გასინჯოს ჩვენმა ახალგაზღობამ და მომავალმა. მე მგონია კი, ჩემდა თავათ, რომ ეს შრომა ღირს რვა აბაზათ. უფ. ბეს. ლოლობერიძის მომხრენი კი ქადაგებდენ ქუთაისში, რომ ამ პატიოსანმა კაცმა დიდი შრომა გასწიაო, დიდი ღვაწლი დაადვა საზოგადოებასო, და მაგიერათ საზოგადოებამ ის უნდა ამოირჩიოსო.

ამორჩევა და პირადი ღირსება იქით იყოს, განა ყოველი პატიოსანი კაცის მოვალეობა არ იყო ამგვარი უმსგავსო და ცრუ აზრის დარღვევა? წესდება გადმოწერაო, და ამისათვის ხუთის წლის ვადით ოთხას-ოთხასი თუმანი აძლიეთო, ამ აზრს უნდა დაეთანხმებოდით ჩვენ? ამ აზრს რომ წინააღმდეგათ არ ავდგომოდი, განა ჩემზედაც არ გავრცელდებოდა პასუხის გება საზოგადოების შეცდომაში შეყვანისათვის? ესეც შენ გასიჯე, მკითხველო.

XII

მე კი იმას ვიტყვი, რომ, ჩემდა თავათ, ვერ გავერევი საზოგადოების თვალის ახვევაში. ჩვენში ბევრია ისეთი პირები, რომელნიც სარგებლობენ საზოგადოების უმეცრებით, და რომელნიც სცხოვრებენ და მდიდრდებიან საზოგადოების ხარჯით, იმით, რომ თავიანთ საქმეს და შრომას საზოგადოებას მოაჩვენებენ მეტის-მეტათ ძნელ და მეცნიერულ რამეთ. განა აი ეს ვეჭილი, რომლის აზრის დაწვრას ან სიტყვის თქმას არავითარი განსაკუთრებითი ნიჭი, ცოდნა და შრომა არ სჭირია, და რომელიც ერთი საათის შრომისათვის თხოულობს იმოდენს, რამდენსაც სხვა შვიდი წლის შრომით ვერ შეიძენს, განა ეს ვეჭილი ხალხის მატყუებელი არ არის? ცუდია განა რო ვუთხრა ხალხს, დიდი არაფერია, ბატონებო, ამ კაცის შრომა, არ ღირს იმდენათ, რამდენსაც თქვენ აძლიეთთქო? ყოველ შემთხვევაში, მგონია, რომ ხალხს გამცარცველების რიცხვში ურევია ის, ვისაც შეუძლია ამ გვარი შეცდომის გამოაშკარება და არ ააშკარავებს.

XIII

მეორე ალაგას ჩემს სტატიაში ვწერდი:

„ხარკოვის ბანკის წესდებაში მუხლი 48 ამბობს, რომ დაფასების საფუძვლათ ბანკი უნდა ხელმძღვანელობდეს განსაკუთრებით (преимущественно) მამულის შემოსავლის რაოდენობით. უფ. ბეს. ლოლობერიძეს, არ ვიცი რა მოაზრებით, წაუშლია ეს სიტყვა „преимущественно“, და ეხლა მისი წესდების ძალით დაფასების დროს ბანკი უნდა ხელმძღვანელობდეს მარტო მამულის შემოსავლით, მერე როგორით? შემოსავლით, რომელიც განიმარტება არენდის პირობით ან და მიწის გაქირავების და სხვა ამგვარი კანტრახტის პირობებით. ბევრს აქვს ჩვენში მამული არენდით გაცემული ან კანტრახტით გაქირავებული? რასაკვირველია, ხარკოვის გუბერნიაში, სადაც თითქმის ყველა მამულის მეპატრონეები თავიანთ ადგილ-მამულს არენდით აქირავებენ და მიწას თვითონ არც ერთი პატრონი არ ასარ-

გებლებს, ეს მოთხოვნილება (არენდის ან კანტრახტისა) თავის ადგილზე იყო. მაგრამ ჩვენში, სადაც არენდა რა სიტყვაა არავინ იცის, უნდა დარჩენილიყო შეუცვლელათ ამგვარი მუხლი?“.

რა პასუხს მაძლევს ამ კითხვაზე უფ. ჭავჭავაძე? სრულიად არა-ეითარს. ის მოპყოლია იმ ჭეშმარიტების დამტკიცებას, რომ ყოველი საგნის ფასი (ვახსოვს, მკითხველო, წედანდელი ქუჩის მოკენჭვის მაგალითი?) მისი შემოსავლით განიმარტება. იმ შემოსავლით, რომელიც ამ საგანს ან ეხლა მოაქვს, ან შემდეგ მოტანა შეუძლია. კარგი და პატროსანი, მაგრამ რა საჭიროა იყო ამაზედ ლაპარაკი? მე იმას ვჩიოდი, რომ ჩვენს წესდებაში არ არის გამოსახული ის აზრი, რომ ყოველი მამულის ფასი განიმარტება იმ შემოსავლით, რომელიც მამულს შემოაქვს, ან რომლის შემოტანა შეუძლია. მე იმას ვჩიოდი, არენდა და კონტრახტები რისთვის არიან ამ საქმეში ჩაკვებულნი მეთქი, და უფ. ჭავჭავაძე კი თავის ანაბანას მიზეპირებს. ეს ნიპასუხეთ, თუ მოპასუხე ბრძანდებით, რათ არის გამოყვანილი უფ. ლოლობერიძის წესდებაში, რომ მამულის ფასი განიმარტება მარტო არენდის და კანტრახტების პირობებითო?

XIV

თითქო ამ პასუხის მოსაგებლათ უფ. ჭავჭავაძე შეუბნება: ეს შეიძლება ინსტრუქციეფში ჩაიწეროსო. არა, ბატონო, ინსტრუქციეფში თქვენ ისეთს ვერაფერს ჩასწერთ, რაც თქვენ წესდებას ეწინააღმდეგება, და თუ ჩასწერთ — კანონს დაარღვევთ. მაშასადამე, ინსტრუქციაც პასუხი არ არის. ამას გარდა, თუმც. უფ. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ ჩვენს ინსტრუქციაში ეს გამოყვანილიაო, მაგრამ როცა მისი ინსტრუქცია გადავთვალიერე, შიგ მარტო ის ვნახე, რაც წესდებაში უწერია: მამულის ფასი განიმარტება მისი შემოსავლითო, იმისთანა შემოსავლით, რომელიც მამულს დღეს შემოაქვსო. მართალია, თფილისის ბანკის ინსტრუქციაში სწერია, რომ შეიძლება მამული ამ გრძელ ვადაში შეიცვალოსო, მაგრამ-აი როგორ სწერია ეს:

§ 45. Выведенная на основании вышеизложенного цифра ценности всего имения представляют только стоимость его по доходу при тех условиях и обстоятельствах, при которых произведена оценка. Но так как именье отдается в залог на продолжительное время, в течение которого условия и обстоятельства хозяйства могут подвергнуться разным переменам и случайностям, то цифра стоимости имения, как продолжительного залога должна быть регулирована на основании следующих соображений: 1) в имениях оброчных можно предполагать смотря по обстоятельствам, недоборы, или недоимки от 5% до 15%; 2) имения переходя в руки новых владельцев, или при

новых менее благоприятных условиях и обстоятельствах, могут приносить дохода менее нежели показано при сдельной сценке: 3) именные с доходного хозяйственного положения может перейти в оброчное или арендное, уменьшающего цифру прежнего дохода“.

ეს გახლავს ის საშუალება, რომელიც უფ. ჰავეჰავადეს ჩემი აზრის დასარღვევლათ მოუძებნია თავის ინსტრუქციაში.

XV

მკითხველს ემახსოვრება აგრეთვე ჩემი აზრი, რომ ჩვენი ბანკების დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ მათი წესდება თხოულობს მსესხებლისაგან უეჭვო და უდავო საბუთებს.

მე ვამბობდი, რომ ჩვენში გამიჯვნა ჯერ მარტო იწყება, საბუთები ჩვენში თითქმის არავის აქვს და ამის გამიჯ ბანკი უმრავლესობას ფულს ვერ ასესხებსტყო. რითი დაარღვია ეს ჩემი აზრი უფ. ჰავეჰავადემ? მით, ვითომ, რომ დამიმტკიცა საბუთების საჭიროება, მათი სიკარგე, დამიმტკიცა ერთის სიტყვით, რომ რაც უფრო მეტი სინავარე ექნება გირაოს, მით უფრო კარგათ წავა ბანკის საქმეო. ვინ იყო ამის წინააღმდეგი? კანონიერი საბუთი და გამიჯვნის პლანი — ეს ხომ ბრყვებისთვისაც ცხადია — ჩინებული და ძვირფასი რამაა. მაგრამ უბედურება ესაა, რომ ეს ჩინებული და ძვირფასი საუნჯე ჩვენში ძვირობს. ათასჯერ უფრო მაგარი და შეურყეველი იქნებოდა ჩვენი ბანკი, თავნ ფულათ იმას თავისი საკუთარი ნაღდი ფული ოციოდე მილიონი რომ ჰქონოდა. მაგრამ რომ არ გვაქვს ეს დალოცვილი ოცი მილიონი ნაღდი ფული! ვიცით, ჩემო ბატონო, რომ საბუთი და პლანი ჩინებული რამაა ბანკისათვისაც და მეპატრონესათვისაც, მაგრამ არა გვაქვს, თქვენი ჰირიმე, ეს მშვენიერი საუნჯე და რა ვქნათ? მე იმას მოგახსენებდით, რომ ჩვენი ბანკი გამოადგება მარტო იმ პირებს, ვისაც ამნაირი პლანები და საბუთები აქვთ და არა დანარჩენებს, ესე იგი ჩვენი თავდა-აზნაურობის და აღვილის მეპატრონეების უმრავლესობასტყო. აი ეს გახლავთ ჩემი აზრი, და თუ შეიძლებოდეს ეს აზრი დამირღვიეთ, მისი უსაფუძვლობა დამიმტკიცეთ. ათასიც რომ მიმტკიცოთ საბუთების ღირსება, ამ მტკიცებით თქვენ ჩემს აზრს მაინც ვერ შეარყევთ, ამიტომ რომ საბუთების ღირსებას მე არ უარყოფ.

XVI

ამ ჩემს აზრს: „ჩვენი ბანკი სარგებლობას მოუტანს მარტო მცირეოდენ საბუთების მქონე პირებს, და არა მთელს საზოგადოებას ანა და საზოგადოების უმრავლესობას“, ვერ შეარყევთ თქვენ ვერც თეორიული მოაზრებით, ვერც თქვენი თფილისის ბანკის პრაქტიკით. შარშანდელი თქვენი ბანკის ანგარიში გვიჩვენებს რომ თქვენ მარტო ცამეტი სოფლის მამულის მეპატრონისათვის მი-

გიცხათ გრძელ-ვადიანი სესხი. და მარტო თვრამეტი სათვის — მოკლე-ვადიანი. სულ ერთიანად გაგიციათ თქვენ სოფლის მამულებზე 152.957 მან., მაშინ როდესაც ამავე დროის განმავლობაში მოქალაქეებისთვის გისესხებიათ 360.440 მან. ეს მოხდა იმ გუბერნიაში, სადაც გამიჯვნა სწარმოებს აგერ თორმეტი წელიწადია. მაშ რას უნდა მოველოდეთ ქუთაისის გუბერნიაში, სადაც გამიჯვნას გუშინ წინ შეუდგენ? ეს ამიხსენით, ამაზე გამეციოთ პასუხი.

XVII

ამიხსენით, კიდევ აი რა. რომელს წარმოებდას, რომელს ხალხის სასარგებლო ან ქვეყნის გამოსადეგს საქმეს ან შრომას მოუხდა თქვენი თფილისის ბანკი? ჩემის აზრით, ყველაზე უფრო თქვენი ბანკი იმ ვაჭრებს გამოადგათ, ვისაც თფილისში შენობები აქვთ. გამოიტანეს ამ ვაჭრებმა თქვენი ბანკიდან ფული, თავად-აზნაურობის სახელით ნაშოვნი, გამოიტანეს გრძელი ვადით და მცირე სარგებელით, და ეს ფული ისევე ამავე თავად-აზნაურობას მიასესხეს, მოკლე ვადით და უშველებელი, დამღუპველი სარგებლით. მართალია ეს თუ არა?

ეხლა მიბრძანეთ: ის ბანკი, რომელიც ზოგიერთებს ხელში იარაღს აძლევს უმრავლესობის გასაცარცველათ, სასარგებლოა თუ საზნებელია ამ უმრავლესობისთვის, ესე იგი თვითონ ქვეყნისთვის? ამ აზრს მე აი როგორ ვმარტავდი:

„თუ ამ უკანასკნელი (უკრედიტოთ დარჩენილი) პირების რიცხვი უფრო მომეტებული იქნა ვინემ პირველების (ვინც კრედიტს ელირსა), რასაკვირველია ბანკი, რომელსაც მთელი საზოგადოებისთვის უნდა მოეტანა სარგებლობა, გამოადგება მარტო ზოგიერთებს და მით ავნებს დანარჩენებს.“

აი ეს აზრი დამირღვიეთ, ეს ჩემი სტატიის უმთავრესი და უძლიერესი აზრი, და მაშინ თაყვანს ვცემ თქვენს წესდებას და თქვენს ბანკებსაც. და როცა თქვენ ამ უმთავრესს აზრს ხელ-უხლებლათ, უმანკოთ უშვებთ, დანარჩენი ყველაფერიც რომ დამირღვიოთ, მაინც თქვენი ბანკის საქმე და თქვენი წესდებების ღირსება დაფუძნებული იქნება. იმის თქმა კი ეხლაც შემიძლია, რომ ამ აზრს უფ. ჭაჭავაძე არც კი მიჰკარებია.

XVIII

მეორე უმთავრესი აზრი ჩემი სტატიისა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ბანკებს იმაზედ უნდა ეზრუნათ — რით და რანაირათ დაცვან დაფირავებული მამულები უცხო ქვეყნელების ხელში გადას-

ვლიდამ, როცა მათი გაყიდვის დღე მოაწევსო. — მე ვამტკიცებდი, რომ არც ერთს რუსულ ბანკს ეს მიზანი არასოდეს არ ჰქონია, მაშასადამე, მათი წესდებაც ამ საგანზე ყრუ უნდა ოყოს-თქო. ამის შემდეგ მე ვამბობდი: მიჩვენეთ აბა, რომელი მუხლი შეუდგენია თვითონ უფ. ბ. ლოლობერიძეს იმ მიზნის მისაღწევათ, რომელიც რუსულ ბანკებს არ ჰქონიათ მეთქი.

ამ საგანზე უფ. ჭავჭავაძე ბურჟუაზული შეუშფოთებლობით მიპასუხებს: ეს აუცილებელი უბედურობააო, მამულები მაინც სხვის ხელში გადავლენო!

XIX

ჯერ ერთი ეს, რომ ამაშიდაც უფ. ჭავჭავაძე საგანს და ბაასს აბრუნდებს. ის ამბობს: ვითომ ჩემი აზრი იმაში ზღვომარეობდა, ფულიც შევკამოთ და მამულიც დავიტოვოთო. არა ჩემი აზრი ის იყო, რომ დაგირავებული მამული თუ დამგირავებელმა ვერ დაიხსნას, მიეყიდოს ისევ ჩვენებურებს-თქო. ამას ჩვენებურათ ის კი არ ჰქვიან „ავიღე და არ მოგეციო“, ჰქვია: „ლუკმა გავარდეს — ჯამში ჩავარდესო“! ეფიქრნათ უფ. ჭავჭავაძეს და უფ. ბ. ლოლობერიძეს ამ საგანზე, შეედგინათ ცალკე წესი მამულების გამოყიდვაზე სახლის-კაცების, მეზობლების — ან გლეხების შეერთებით, დაეწესებიათ მთელი სოფლის ან უბნის მცხოვრებლების დამოკიდებულება ბანკთან, უფრო ხანგრძლივი და გაწვრილმანებული ნდობა დაეარსებიათ ნათესავებძისთვის და მშრომელებისათვის, და ვნახავდით, მაშინ, უცხო ქვეყნელებს დარჩებოდათ ჩვენი მამულები, თუ ჩვენებურებს, ურიას — თუ ქრისტიანს. იმას ხომ მაინც ვერ იტყვის უფ. ჭავჭავაძე, რომ გლეხები სიხარულით არ ყიდულობდნენ მიწებს, ყოველთვის, როცა ფასის განაწილება და რამდენიმე წლის ვადით გარდახდა შეუძლიათ? ან იქნება ესეც სოკვას, ვინ იცის!

XX

ამ საგნის თაობაზე უფ. ჭავჭავაძე სწერს, რა უფლებით აიძულებდით მეპატრონეს მაინც და მაინც გლეხებს ან მეზობლებს მიჰყიდოს მამულიო, თუ კი გარეშე პირი მეტს ფასს მისცემსო? ვინ აიძულებს ბატონო? გაუადვილოთ სახლის კაცებს და გლეხებს ფულების გარდახდა, გავანაწილოთ გადასახადი ცალ-ცალკე თითოეულ კაცზე, გაუადვილოთ სოფლებს ან უბნებს ამხანაგობების შედგენა და ამხანაგობით მამულების ყიდვა, და ვნახოთ მაშინ, ვინ უფრო მეტ ფასს მისცემს, გარეშე პირი თუ მეზობელი. და თუ ვინცობაა გარეშე კაცმა

მეტი მისცეს,—რა გაეწყობა! მაშინ ხომ ბანკისთვის მარტო ის იქნება, რაც ეხლა არის, და არა უარესი. რას წაახდენს, მაშინაც, წინდაწინ პირობის დაკავება ბანკსა და მეზობლებს ან გლეხებს შუა, თუ ვერას გაუყეობს? და რაც მე ვთქვი წინდაწინათვე დაფასებაზე, განა ეს დაფასება minimum-ის განმარტება არ იყო? ვერ მიხვდა ამას უფ. ჭავჭავაძე, თუ არ მიხვდა?

XXI

ამგვართვე მიპასუხებს უფ. ჭავჭავაძე შესახებ იმ ჩემი აზრისა, რომლითაც ვამტიკებდი, რომ შესაძლებელი იყო ურთიერთობის თავდებობით, ესე იგი, მთელი თავადაზნაურობის თავდებობით ეშონა ბანკს ფული, უფრო ადვილათ, ვინემ დაგირაგებული მამულეების გირაოთი, როგორც ეხლა ბანკებშია მიღებული.

თქვენმა „საადგილ-მამულო“ ბანკმა უფრო მეტი იშონა თავისი გირაოს ფურცლებით, თუ თფილისის ურთიერთი ნდობის ბანკმა (инщество взаимного кредита), რომელსაც არც გირაო აქვს, არც საბუთი, არც ერთი, არც მეორე. რომელს ბანკს მეტი ნდობა აქვს, მიბრძანეთ? რომლის ბილეთები უფრო ადვილათ გადის და საღდება, თქვენი თუ იმისი? ნუ თუ შეუძლებელი იყო ან გირაოზე დაფუძნებული ბანკის ცალკე გახსნა და მის გვერდით ამგვარი ურთიერთის ნდობის საზოგადოების დაფუძნება, ანა და ერთ და იმავე ბანკში ორივე სისტემის ერთად მიღება? ამაზედ უფ. ჭავჭავაძე, რასაკვირველია, იმას მეტყვის, რომ ამგვარ ბანკებში მოკლე ვადიანი სესხიაო ზ ჩვენს თავად-აზნაურობას კი ხანგძლივი სესხი სჭირიაო. მაგრამ მთელი გუბერნიის თავად-აზნაურობის თავდებობას, რომელსაც მთელი გუბერნიის ადგილ-მამული საერთოდ გირაოთ ექნებოდა (როგორც საქალაქო ბანკებში მთელი ქალაქის უძრავი ქონებაა, ბანკის გირაოთ), განა ნაკლები ღირსება ექნებოდა კაპიტალისტების თვალში და იმოდენივე ხანგძლივი ფასი არ ექნებოდა, როგორც რამოდენიმე იმ მამულების ცალ-ცალკე თავდებობას? ამას ვარდა, განა ურთიერთის თავდებობაზე დამყარებულ ბანკებს ცოტა ფული შემოდის სანიაღვრით შესანახავათ ან ოცი და ოცდა ხუთის წლის ვადით?

XXII

ეს ჩემი აზრი გამოთქმული იყო აი რა გვართ:

„მაგრამ რადგანც ჯერ ჩვენში გამიჯვნა (მეუყვანიე) გვარიანს ხანს კიდევ ვერ დაბოლოვდება, და ჩვენს საზოგადოებას კი მანამდი ფული ეჭირვება, შესაძლებელი იყო ბანკს ფულიც ეშონა და

ზარალსაც ასცილებოდა, ურთიერთის თავდებობის დაწესებით. მაშინ ფულის პატრონი ბანკის ფურცლებს (ბილეთებს) იყიდდა არა დაგირავებული ადგილების მიხედვით, არამედ ბანკის დამაარსებლების, ესე იგი, მთელი ქუთაისის გუბერნიის აზნაურობის თავდებობით. ამ გვარათ ფული ადვილათ და იაფათ იშოვნებოდა ბანკისთვის. მეორე მხრით შესაძლებელი იყო რომ ბანკში ადგილ-მამულის შეტანა გაეადვილებია კაცს იმ შემთხვევებში, როცა გირაოს შემტანის მეზობლობა ბანკს ხელ-წერილს მისცემდა, რომ ადგილი ნამდვილათ ამ პირს ეკუთვნის.

რალა თქმა უნდოდა, რომ თავდებობა მარტო ცარიელ სიტყვას არ ნიშნავს, და ხელწერილიც უბრალო მოკითხვის წიგნს ვერ ემსგავსება. ურთიერთ თავდებობაზე მთელი საზოგადოებისა უფ. ჭავჭავაძე, რასაკვირველია, ბევრს ვერას იტყოდა, რადგანაც ამის სიმაგრე შეურყეველია. ის ჩაფრენია იმ აზრს, რომელიც მეზობლობის თავდებობას შეეხება, დაუჯინია, რომ მეზობლები ცრუ მოწმობას მისცემნო და თან ისიც დაუმატებია, რომ მეზობლები პირველი მოდავეები არიან მეპატრონისა. ცრუ-მოწმობას ვინ მისცემდა, როცა მისივე საკუთარი მამული მოწმობის თავდები და მოპასუხე იქნებოდა, ეს მე არ მესმის. უფრო მეტათ მაკვირვებს მეორე მოაზრება: მეზობლები მოდავენი არიანო. თუ კი ღმერთი იმდენათ შემეწევა, რომ თვითონ მოდავისაგან ავიღებ მოწმობას ამა და ამ მამულზე არავის არაფერი უფლება არა აქვსო, ამას კიდევ ემჯობინება რამე? მერმე რალა პირით ამიტენს დავას?

XXIII

ამ გვარი პასუხებით შექეიფებული უფ. ჭავჭავაძე მეუბნება:

„განა მარტო აქციონერული ბანკის განსაკუთრებითი თვისებაა, რომ დასაგირავებელი მამულისთვის მტკიცე საბუთია საჭირო? ეგ თვითონ მიწის-სამოქმედო კრედიტის არსებითი სულია... უმაგისობა შეუძლებელია. უმაგისოთ ქვეყანაზედ არც ერთი მიწის სამოქმედო კრედიტის ბანკი არც ყოფილა, არც არის, არც იქნება, ჩვენი დალოცვილი პრიკაზის მეტი“*).

რა მაგრათ, გარდაწყვეტით, უეჭვოთ არის გამოთქმული „არც ყოფილა, არც არის, და არც იქნებაო“, მაგრამ წელანდელ განმარტებას თუ გავიხსენებთ, საცა უფ. ჭავჭავაძე მიწის სამოქმედო კრედიტს იმ

*) პრიკაზის ხსენებაც შეცდომაა. ვინ არ იცის, რომ პრიკაზი საბუთებს თხოულობდა, და მასში დაგირავებულ მამულებზე დავა არასოდეს არ ატეხილა?

კრედიტს უძახის, რომელიც მიწის შემუშავებისთვის არის დანიშნული, ჩვენ აი რას ვნახავთ: სწორეთ ამგვარი „კრედიტი“, დანიშნული მიწის შესამუშავებლათ არსებობს უსაბუთოდ აი, მაგალითად ამ სამს ბანკში *Crédit agricole* (მიწის-სამოქმედო კრედიტი), *Crédit rural* (სასოფლო კრედიტი) და *Crédit colonial* (საკოლონიო კრედიტი), სამივე ეს ბანკები კიდევ ყოფილან, კიდევ არიან და კიდევ იქნებიან, და არც ერთ იმათგანს მსგავსება არა აქვთ საფრანგეთის „საადგილ-მამულო ბანკთან“, რომელსაც ჰქვია *Crédit foncier*.

XXIV

ამ წერილმან შენიშვნებზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმა აზრს, რომელიც გამოუთქვამს უფ. ჭავჭავაძეს შესახებ „აღებ-მიცემობის თავისუფლებისა“. ეს აზრი, რომელიც უფ. ჭავჭავაძეს მოუყვანია გაკვრით, თითქო უეჭვო ჭეშმარიტება, ბევრს რასმე გვიხსნის. ჩვენ ამ ბაასში. ამის გამო ცოტაოდნათ უნდა მივაქციო მკითხველის ყურადღება ამ აზრზე, მით უფრო, რომ ამ აზრის გამოკვლევა შეადგენს ფილოსოფიურ მხარეს იმ უთანხმოებისას, რომელიც არსებობს ჩვენს შუა.

XXV

ეკონომიურ და საზოგადოებრივ მეცნიერებაში ორი უმთავრესი მიმართულება იყო ამ ჩვენს საუკუნეში. ამ ორს მიმართულებებს შუა მთელი ორმოცი წლის განმავლობაში დაუცხრომელი ბრძოლა იყო ატეხილი. პირველი მიმართულება, რომელსაც ჰქვია „ბურჟუაზიული“, და რომლის წარმომადგენელი იყო ჟან-ბატისტ-სე, ამტკიცებდა, რომ ქვეყანაზე ყველაფერი კარგათ მიდის, ოღონდ ნურც მთავრობა, ნურც საზოგადოება ნუ გაეგრევა ეკონომიურ საქმეებშიო. „აღებ-მიცემობის თავისუფლება“ დაამყარეთო, ქვეყანას მის მეტი არაფერი სჭირაო. ამ თეორიის ბაირალათ ითვლება სიტყვა *Laisser faire, laisser passer*, ესე იგი, თავისუფლათ რომ ვთარგმნოთ „აცალეთ, თავი დაანებეთო“! „მე ვყიდი დამპალს თევზს, სოფლის კაცი მოდის და ყიდულობს, თქვენ (ესე იგი მმართველობას და საზოგადოებას) რა გენაღვლებათო? თუ არ მოსწონს, რად ყიდულობს, თუ ძვირია, წაბრძანდეს, თუ მოტყუვდებოდა, რათ თანხმდებოდა“. „მე ვასესხებ ფულს და მანეთში ორს მანეთს ვიღებ სარგებელს: ეს ჩემი და მსესხებლის საქმეა, თუ ძვირათ მიაჩნია — ნუ მიიღებსო“. „მე ქარხანა მაქვს, მუშებს ვამუშავებ. ქირა არ ჰყოფნისთ იმათ, შიმში-

ლით კვდებიან: თუ არა ჰყოფნისთ წაბრძანდენ, სადაც მეტი მისცენ იქ იმუშავებონ.“ ეს გახლავთ ბურჟუაზიული მიმარმულების აზრი. ასე ითარგმნება „აღებ-მიცემობის თავისუფლების“ ფრაზა.

XXVI

ამის წინააღმდეგათ ის მიმართულება, რომელსაც ჰქვია „საზოგადოებრივი“, ამბობს: საზოგადოება შედგება ცალ-ცალკე პირებისაგან, და თავის საკუთარი სარგებლობისთვის მთელი საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ არც ერთი მისი წევრი არ დაიხაგროს, არ წახდეს, სწორეთ. ისე, როგორც კაცი თითოეულ თავის თითს ან სხეულის ნაწილს უფროთხილდება. ცხოვრება ბრძოლაა, რომელშიაც დაიარაღებული კაცი იმარჯვებს დაუიარაღებელზე. საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ, თუ ამ ბრძოლის მოშლა და გარმონიის გამართვა ჯერ-ჯერობით არ შეიძლება, ბრძოლა ისე მაინც მიდიოდეს, რომ ყოველი მებრძოლე ერთნაირათ იყოს დაიარაღებული. რა ჰქნას ეხლა სოფლის მყიდველმა, როცა იმას თევზის ყიდვა სჭირია, თუ არ დაეთანხმა იმ ვაჭარს, რომელიც დამპალ თევზს ძვირათ ყიდის? ეს თავისუფლება კი არა, ცარცვაა. ამისთვის საზოგადოებამ უნდა გამართოს თავისი საკუთარი დუქნები, რომ ვაჭრობა მარტო საქონლის მოტანაში და ხარჯის აღებაში მდგომარეობდეს. ამ აზრით დაარსებულია ეხლა ბევრს ქალაქებში, და ჩვენს თფილისშიაც, საზოგადოებრივი დუქნები, „потребительные общества“.

ვთქვათ, უფ. ჰავჭავაძე თფილისიდან ქუთაისს წასვლას აპირებს. მისი „აღებ-მიცემობის თავისუფლების“ თეორიით. რა ხელი აქვს ან მთავრობას ან საზოგადოებას მის მოლაპარაკებაში გაერიონ რკინის გზის უფროსებთან? მორიგდენ ის და რკინის გზა ვის რა ხელი აქვს იმათ შუა გარევისა, მაგრამ რას იტყვის უფ. ჰავჭავაძე, მისაღებია ეს აზრი? მაშინ ხომ რკინის გზა ეტყვის უფ. ჰავჭავაძეს: ან მომეცი ხუთი თუმანი ქუთაისში წასაყვანი, ან როგორც გინდა ისე წადი, გინდ ჯორით, გინდ ურმითო, აი რისთვისაა დაწესებული ტაქსა, გარდაწვეტილი ფასი, თითოეული ბილეთისა. უამისოთ „აღებ-მიცემობის თავისუფლება“ თავისუფლება იქნებოდა, მაგრამ ცარცვისა და გლეჯისა, და არა მთელი საზოგადოებისა.

XXVII

ამავე თეორიით ბანკის საქმეშიაც, საზოგადოებრივი ბანკები ამისთვის არიან დაარსებულნი, რომ ურთიერთის შეერთებით და თავდებობით თანხა და ნდობა მოიპოვონ, და დაიხსნან გაჭირვებულ-

ლი ხალხი ურიების და მათი მზგავსი კაპიტალისტების ხელიდამ. მეორეს მხრით, ბანკები გამართული აქეთ თვითონ ამ კაპიტალისტებსა, რომ „წესიერათ“ „კანონიერათ“, სცარცვონ ხალხი. ამგვარია, მაგალითათ ის „რუსული ბანკი“, რომელიც თფილისელ სათავად-აზნაურთა ბანკს უსაღებს გირაოს ფურცლებს. მაგრამ აქ საქმე იმაში კი არ არის, კარგია თუ ავი ესა და ეს ბანკი. საქმე იმაშია, რომ საზოგადო მეცნიერებამ გამოიგონა საზოგადობრივი ბანკები სწორეთ იმისთვის, რომ დაარღვიოს აღებ-მიცემობის თავისუფლება იმ ვაჭბატონებისა, რომელნიც ხალხს სცარცვავენ, და არა იმისთვის, რომ ამ ვაჭბატონებს ხელი-გაუწყოს თავისუფალ გლეჯაში და ცარცვაში.

XXVIII

როცა ჩვენი ბანკების წესდებები სდგებოდენ, მაშინ უფ. ჭავჭავაძეს და ლოლობერიძეს გაცნობილი რომ ჰქონოდათ საზოგადოებრივი მეცნიერება, ისინი უსათუოთ ისე შეადგენდენ ბანკის წესდებებს, რომ ბანკი გამოდგომოდა ჩვენს საზოგადოებას, თავად-აზნაურობას, ხალხს, ესე იგი იმათ, ვისაც ფული სჭირიათ, და არა იმ ოციოდე პირთ, რომელნიც ფულს იღებენ გასასესხებლათ. საუბედუროთ, რადგანც იმათ არ სცოდნიათ ეს მეცნიერება, რადგანაც იმათ დღეს ჭეშმარიტებათ მიაჩნიათ ის, რაც ამ ოც-და-ათი წლის წინათ მეცნიერებამ დაარღვია და სავნებელათ იცნო, რაღა გასაკვირველი უნდა იყოს, რომ დღეს უფ. ჭავჭავაძეს ჩემი აზრები სასაცილოთ მიაჩნია. ამას წინათ მე ერთი პატივცემული კაცი ვნახე, რომელსაც სასაცილოთ და სათაკილოთ ის აზრიც მიაჩნია, რომ დედა-მიწა რგვალა და ბრუნავს.

XXIX

ეს გახლავს მხოლოდი მიზეზი ჩვენი უთანხმოებისა: უფ. ჭავჭავაძე ეკუთვნის იმ მიმართულებას, რომელიც ამ ოც-და-ათი წლის წინათ სუფევდა მეცნიერებაში. მეყოველთვის ყოველგან, ყველაფერში ვებრძოდი ამ მიმართულებას, ამიტომ რომ ვეკუთვნი „საზოგადობრივ“ მიმართულებას, რომელმაც მეცნიერებაში კაიხანია სრულებით დაამარცხა ბურჟუაზიული მიმართულება. რადგანაც უფ. ჭავჭავაძეს ეს ჯერ ვერ შეუტყვია, ეხლა ის ამას უფრო ადვილათ შეიტყობს, როცა დამარცხება მის საკუთარს კანს მოხვედება.

XXX

დასკვნა.

გვეყოფა ამოდენა წერა. ვისაც მოაზრება შეუძლია, იმას ნათქვამიც საკმაოდ გაუხსნის თვალს. ვისაც სჭირია უფრო ნამდვილი ფაქტები, იმათ თფილისის და ქუთაისის ბანკის მომავალი აუხსნის ყველაფერს. მოვიცადოთ ორიოდ-სამი წელიწადი. როცა თავად-აზნაურობის სახელით ნაშოვნ ფულებს ვაჭრები და ურიები ისევ თავად-აზნაურობას მიასესხებენ ძველებური სარგებლობით, და როცა თავად-აზნაურობა დაჰკარგავს თავის ადგილ-მამულს, მაშინ წარვდგეთ მის წინ უფ. ჭავჭავაძე და მე, და მაშინ ვკითხოთ ამ თავად-აზნაურობას:

— ჩვენგანი ვინ სტყუოდა და ვინ გაბრმავებდა?

1867 წ.

ჩვენი საადგილ-მამულო კრედიტის მომავალი

დამშვიდდით, მკითხველო; ამ სტატიაში სრულებით არ გვექნება დავა არც უფ. ლოლობერიძესთან და არც უფ. ჭავჭავაძესთან. არ იქნება, აგრეთვე, არც გადაკრული სიტყვები, არც მხილება, არც პოლემიკური ფანდები. ჩვენ ვიცით, რომ ყველაფერმა ამან დიდი ხანია თავი მოგაბეზრათ. და, ვინაიდან მომავალ სასამართლოს დროს, თქვენ კვლავ მოგელით იგემოთ ყველაფერი ეს, და საკმაო დიდი დოზითაც, — ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ დავზოგოთ თქვენი მოთმინება. ყოველივე ამის გამო, ამ სტატიაში შევეხებით მხოლოდ თეორეტიკულ მხარეს საკითხისას, რაც გამოწვეულია იმ დიდმნიშვნელოვანი მოვლენით, რომელიც გამოჩნდა ჩვენს პორიზონტზე.

საქმე აი რაშია. საადგილ-მამულო კრედიტის ოპერაციის არა დამაკმაყოფილებელმა მსვლელობამ ჩვენში, და ჩვენი საადგილ-მამულო ბანკების დამაარსებლების მიერ ადგილობრივი მიწადმფლობელობისა და მიწადმოქმედების უმთავრეს მოთხოვნილებათა დავიწყებამ, ზოგიერთ საქმიან პირებს დაუბადეს აზრი — დაარსონ ამიერ-კავკასიისათვის სააქციონერო ნიადაგზე დაფუძნებული კერძო საადგილ-მამულო ბანკი. ჩვენ გავიგეთ, რომ ამ პირებს უკვე შეუდგენიათ თავიანთი წესდების პროექტი და კიდევ წარუდგენიათ სათანადო დაწესებულებისათვის განსახილველად და დასამტკიცებლად. როგორც გადმოგვცემენ, წესდების პროექტი უკვე გადაუციათ სპეციალისტებისათვის განსახილველად, მაგრამ, ამავე დროს, ადგილობრივ საადგილ-მამულო ბანკების უფ. გამგეებს და დირექტორებს ნება არ აქვთ მონაწილეობა მიიღონ წესდების განხილვასა და გარჩევაში, უმთავრესად არა იმისთვის, რომ ისინი ასეთ საკითხებში მართლაც რომ არაკომპეტენტური არიან, არამედ უფრო იმისთვის, რომ ისინი აშკარად დანტერესებულნი არიან ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტაში.

ამ ახალ საქმეს, როგორც გვარწმუნებენ, სათავეში უდგანან ფრიად ცნობილი პირები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ არა მარტო ფინანსიურ წრეებში. დამაარსებლებათ ასახელებენ სხვათა

შორის, გრ. აღღერბერგს, თ-დ. მინგრელსკის და სხვ. წარმოება, რომელიც იწყებს მოქმედებას ასეთი პირების მფარველობით ღირსია, რომ ყოველმხრივ და დაწვრილებით განვიხილოთ, მით უმეტეს, რომ მისი განხორციელება და წარმატება, როგორც სჩანს, უშეკელია...

ამ უამად, სამწუხაროდ, ამ საქმეს ასე დაწვრილებით ვერ გავარჩევთ, ვინაიდან ჩვენ ჯერ არ გვქონია საშვალეობა გავცნობოდით წესდების პროექტს, ამიტომ მსჯავრს დავსდებთ მას იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ გავიხილი გვაქვს მის შესახებ. ამასთან იპასაც ვფიქრობთ, რომ ამ პირველჯერ არც კია საჭირო ასეთი დაწვრილებითი განხილვა. უპირველეს ყოვლისა საჭიროა, და ამავდროს საკმაოც, აღინიშნოს საქმის მთავარი საფუძვლები, მისი საერთო პრინციპები; საჭიროა და საკმაოც გარჩეულ იქნეს მისი მთავარი მიზანი, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება საჭირო და სასარგებლოც განვიხილოთ და გავარკვიოთ მისი წვრილმანი მხარეები, იმისათვის რომ დივიანახოთ, თუ რამდენად ეთანხმებიან ისინი საერთო გეგმას და დებულებას.

როგორც ვადმოგვცეს, ეს ახალი ბანკი იქნება ისეთი ტიპისა, როგორცაა რუსეთში ამჟამად არსებული საადგილ-მამულო ბანკები, იმ მნიშვნელოვანი განსხვავებით, რომ მას საფუძვლათ უდევს ჩვენს ქვეყანაში სესხის ოპერაციისა და საგამოყიდვო ოპერაციის შეერთების აუცილებლობის აზრი.

ჩვენს მკითხველებში იმათ, რომელნიც გულდასმით თვალყურს ადევნებდნენ 1873 წლიდან დაწყებული ამ სტრიქონების დამწერის ცხარე პოლემიკას ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკების დამაარსებლებთან, კარგად იციან, რომ სწორედ ეს აზრი მუდმივად წარმოადგენდა ჩვენი მოღვაწეობის დასაყრდენს ამ საკითხში. მაგრამ, ვინაიდან ჩვენ არა გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ „Одвоп“-ის მკითხველთა უმრავლესობა იცნობს ამ პოლემიკას, ამიტომ ჩვენ უნდა გავაცნოთ მათ, თუ გინდ ზოგად ფორმებში, ამ აზრის მთავარი დებულებები. ამისათვის ვისარგებლებთ ერთი იმ ჩვენი სტატიათაგანით, რომელიც დაიბეჭდა 1876 წ. ნაკლებათ გავრცელებულ კრებულში, სახელდობრ „Кавказский Альманах на 1877 г.“ გამოცემული ი. ს. შახტახტინსკის რედაქციით*).

* სტატიას, რომლის შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ეწოდება „Наш год“ (мест-ный обзор), „Кавказский Альманах“ ამჟამად მოიპოება ყოფილ უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში.

აი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ადგილები ამ სტატიიდან:

„ჩვენი განაპირა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, განსაკუთრებით კი მისი ორი გუბერნიის—თფილისის და ქუთაისის—უჭმინდა ჩვენს საადგილ-მამულო ბანკებს სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობას, და ამასთანავე ანიჭებდა მათ ზედმიწევნით ორიგინალურ და ნაყოფიერ როლს. კრედიტს, თავისთავად, არსად არ შეუძლია მოიტანოს ნაყოფი, თუ მით არ სარგებლობენ, როგორც საშუალებით—გაადიღონ წარმოება და გაადვილონ გაცვლა-გამოცვლა. მაშასადამე, კრედიტით ნაყოფიერათ შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ ნამდვილ მწარმოებლებს, ხოლო კრედიტის მიღების გაადვილება ისეთი წოდებისაი ვის. რომელიც სრულიად არაფერს არ საქმობს და არ აწარმოებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას მისცე ნამდვილი საშუალება სასწრაფოდ თავი მოუყაროს და ასითივე სისწრაფითვე გაიცალოს ხელი იმ უძრავი ქონებისაგან, რომელიც მას აქვს. მაგრამ თავისთავად ცხადია, მართო ამ ერთ მოსაზრებას არ უნდა შეეჩერება და გერც შეაჩერებდა ჩვენში საადგილ-მამულო ბანკების დაფუძნებას, რომლის მიზანი იყო კრედიტი მიეწოდებია მიწადმოქმედებისათვის. ცხადია, რომ ბანკი არ იყო ვალდებული ეზრუნა იმისთვის, თუ როგორ ან, რა მიზანს მოახმარდა სესხის გამტანი მიღებულ ფულს. მაგრამ არსებობდა ბევრი სხვა საზრუნავი საგანზე, რომლის შესახებ უნდა დაფიქრებულიყვენ ბანკები, უკეთ რომ ესთქვათ, მისი დამაარსებლები. საჭირო იყო იმის გაგება: თავად, ანაწიურთა წოდებას, რომლის საშუალებით ფუძნდებოდა ბანკები ნამდვილად ექნებოდა შეძლება თუ არა მიელო ამ ბანკებიდან საჭირო სესხი, და მიღების შემთხვევაში, რით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი ხელსაყრელი გასაღება იმ დაგირავებულ მამულთა, რომელთა გადასახადი, როგორც მოსალოდნელია, თავის დროზე არ იქნებოდა შეტანილი...

... უნდა ვიკანოთ მანდელობაში, რომ ჩვენს მემამულეებს დაუდევარი დამოკიდებულება მეურნეობისადმი აუცილებლად მიიყვანოდა იქამდე, რომ მათ მიერ დაგირავებული მამული ადრე თუ გვიან საჯარო ვაჭრობით გაიყიდება. პირველი წლების განმავლობაში, შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ მემამულეები, კერძოთ ალებულ ვალების წყალობით, საჭირო გადასახადს წესიერათ შემოიტანენ. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდება, და დროთა განმავლობაში ჩვენ ვიქნებით მოწამენი დაგირავებულ მამულების გახშირებულ და თანადროულ ვაყიდვისა. ამავე დროს კი, მეორე მხრით, ასეთი მდგომარეობა: ჩვენი თავად აზნაურთა სრულ უფულობას განიცდის, საშუალო წოდება ჩვენში მცირე რიცხოვანია და ამასთანავე სრულებით არა აქვს სურვილი გასცვალოს თავისი მომგებიანი ქალაქის ვაჭრობა ნაკლებ ფასიან სოფლის მეურნეობაში, ხოლო ჩვენი გლეხობა სრულ სიღატაკეს განიცდის, — მაშასადამე, ასეთ პირობებში ვინ გამოვა და ვინ შეიძენს იმ ადგილ-მამულს, რომელიც ბანკმა უნდა გაყიდოს?

აი მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც უნდა აღძვროდათ თავში იმათ, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს ადგილობრივ თავდა-აზნაურთა საშუალებებით საადგილ-მამულო ბანკების დაარსებას ჩვენი გზა შეეცვადოთ საქმის მეორე მხარის გარკვევას: გავიგოთ, როგორი სარგებლობის გამოღებას შეძლებდნენ არსებულ მდგომარეობიდან ის პირები, რომლებმაც იბრძვიან საზოგადოებრივ და სოციალურ დაოკიდებულებათა სამართლიან მოწყობისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის.

ვინც ცოტათი მაინც იცნობს ჩვენი თავდა-აზნაურობის ხასიათს, მან ძალიან კარგად იცის, რომ ახლო მომავალში საადგილ-მამულო საკუთრების უდიდესი ნაწილი ხელიდან გამოეცლება ამ წოდებას და გადავა ბურჟუაზიის ან ხალხია ხელში. საქმის ბუნებრივ მიმდინარეობის დროს, ეს გადასვლა მოხდება თანდათანობით: ჯერ მას დაისაკუთრებს ვაჭრობით გამდიდრებული ქალაქის წოდება, შემდეგ კი, ამ უკანასკნელთა მეშვეობით, გადავა ის მოძლიერებულ გლეხ-მესაკუთრეთა ხელში. მაგრამ გამოყიდვის შესახებ გამოცემულ დადგენილები და ამასთან ერთად, საადგილ-მამულო ბანკის დაარსების გამო, რომელიც ვალდებულია დაიგრიავოს თავდა-აზნაურთა მამულები, — შესაძლებელი იყო ამ ბუნებრივ და აუცილებელ გადასვლისათვის მიგვეცა უფრო გარკვეული და მიწადმოქმედთათვის სასარგებლო მიმართულება. ამისათვის საკმაო იყო მხოლოდ ადგილობრივ პირობებთან შეგუებით, გაგვეადვილებია მემამულისათვის კრედიტის მიღება, ვცდილიყვიოთ მოგვეხდინა საბანკო ოპერაციების შეყიდვის ოპერაციებთან შეერთება და გაგვეადვილებია გლეხთა საზოგადოებათათვის ვადაგასულ მამულების გამოყიდვა იმით, რომ გვეწარმოებია გადასახადთა დანაწილება ისე რომ გლეხებს შესძლებოდათ მისი სხვა და სხვა ვადებში გადახდა ბანკისათვის. ამრიგად, საქმის ცოტათ თუ ბევრათ რაკიონალურ და ენერგიული წარმოებით, ორი-სამი ათეული წლების განმავლობაში, ჩვენი საადგილ-მამულო საკუთრების უდიდესი ნაწილი, დაყოფილი და დანაწილებული, გადავიდოდა მიწადმოქმედ წოდების ხელში და მით უმტკივნელოთ მივალწვიდით ჩვენი დროის ერთ უმნიშვნელოვანეს და მეტად აუცილებელ რეფორმის განხორციელებას...

სამწუხაროდ, ჩვენი საადგილ-მამულო ბანკების დამფუძნებელი მეტად ზერელეთ იყვნენ მომზადებულნი სოციალურ-ეკანომიურ და ფინანსიურ საკითხებში, რომ ასეთი მიზნები დაესახათ...

ამ მოყვანილ ამონაწერიდან მკითხველი გაიგებდა, თუ რამდენათ ძვირფასია ჩვენთვის ის აზრი, რომელიც საფუძვლად ედება ჩვენ მიერ განსახილველ ბანკს. მაშასადამე, ჩვენ მიერ მის შესახებ გამოთქმულ შემდგომ მოსაზრებაში თუ მკითხველი დაინახავს, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ მისი, რომ ჩვენ არ უქადით მას არავითარ მომავალს, და არ ვამყარებთ არავითარ იმედებს მის განხორციელებას...

მაზე, — აქედან მხოლოდ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ჩვენ ვგრძნობთ, რომ სწორედ ამ ჩვენთვის ძვირფას აზრს მოელის სა-
შიშროება მისი არა სრული და ცალმხრივი განხორციელებით.

საკითხი იმის შეხახებ, რომ აუცილებლათ საჭიროა გადავილ-
დეს თანდათანობით გადასვლა საადგილ-მამულო საკუთრებისა
სწორედ იმ წოდების ხელში, რომელიც, ცხოვრობს რა მიწადმოქ-
მელებით, საჭიროებს მიწას, როგორც უმთავრეს იარაღს თავის
შრომისას, — წარმოადგენს, უთუოდ, სახელმწიფოებრივ მნიშვნელო-
ბის საკითხს და ყველაზე უფრო ამ საკითხში დაინტერესებულია
თვით სახელმწიფო ე. ი. ჩვენ მიწა-წყალზე მცხოვრებ მოქალაქეთა
მთელი კრებული. მაშასადამე, მისი გადაწყვეტა არ შეუძლია და
არც შეიძლება მივანდოთ კერძო პირებს, ეს არის სახელმწიფოს
საქმე და შედის მის მოვალეობათა ფარგლებში. თუ ჩვენ მივალ-
წიეთ ცივილიზაციის ესეთ საფეხურს, როცა ყოველად დაუშვებელია
იჯარით მიეცეს კერძო პირებს სახალხო მოხმარებისა და წარმოების
ღარგები, ან და სხვა-და-სხვა გადასახადთა შეკრება, — მაშინ რა
საბუთის ძალით უნდა ჩაუგდოთ კერძო პირებს ხელში და ამასთა-
ნავე განუსაზღვრელ დროის განმავლობაში ისეთი ოპერაცია, რომე-
ლიც ასჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ რომელიმე იჯარა ან და
რომელიმე წყარო შემოსავლის? ამ ოპერაციის წესიერ მსვლელობაზე
და იმ ხელსაყრელ პირობებზე, რომელსაც ის შეუქმნის მიწადმოქ-
მედ წოდებას, და წარმოიდგინეთ, იმაზეც, თუ რამდენათ სამა-
რთლიანად გამოყენებული იქნება იგი მიწადმფლობელი წოდების
მიმართ, — დამოკიდებულია არა მარტო ქვეყნის მშვიდობიანობა,
არამედ მთელი მისი მოსახლეობის კეთილდღეობა, და აქედან, მაშა-
სადამე, ამ მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ბეგარის წესიერად
შესრულება. პროფესორ იანსონის ღირსეულმა ნაწრომმა ნათლად
გვიჩვენა ის საშინელი უფსკრული, რომელიც გაუთხარა ჩვენს სახელ-
მწიფოს საგლებო ნადელების საკითხის არა დამაკმაყოფილებელმა
გადაჭრამ. ამ გზით სიარულის გაგრძელება მეტი აღარ შე-
იძლება...

ამ მდგომარეობის მიხედვით, საკითხი საადგილ-მამულო საკუთ-
რების მიწადმოქმედ წოდების ხელში გადასვლისა წარმოადგენს
პირველ ხარისხოვან და ძირითად საშუალებას სახელმწიფოს თანა-
მედროვე სიძნელეთა გადასაჭრელად. ამავე დროს, თვით ეს საკითხი
მოითხოვს გადაჭრილ იქნეს არა რომელიმე კერძო პირების, არამედ
თვით სახელმწიფოს მიერ, რომელსაც მოეპოვება საშუალებაც და
შესაძლებლობაც გადაჭრას ის ყველაზე უფრო დამაკმაყოფი-
ლებლათ.

კერძო საზოგადოების ხელში მოქცეული დაწესებულება, რომელსაც ასეთი მიზანი დაუსახავს, ძალა უნებთრათ იმოქმედებს მიკროსკოპიული დოზებით: დღეს ერთი გლენის მდგომარეობას გააუმჯობესებს, ხვალე მეორისას და ა. შ. მთელი საუკუნეები გაივლის მანამდე, სანამ ეს დაწესებულება შესძლებდეს ძირბუდიანათ შესცვალოს ქვეყნის აგრარული მდგომარეობა. და განა ვიცით რა მოხდება ამ საუკუნეების, და თუ გინდ, ათეულ წლების განმავლობაში? განა ვიცით სანამდე მივა გლენტა მოსახლეობის ის ფენები, რომელთაც შეძლება არ ექნებათ ისარგებლონ კრედიტის სიკეთით. და ამავე დროს ვერც დაკმაყოფილებიან იმ ნაღელით, რომელიც მათ მიაკუთვნეს? ხოლო კერძო ბანკს, რომელიც ხელს ჰკიდებს ასეთ ოპერაციებს, რა საწინდარი შეუძლია წარმოგვიდგინოს, გარდა თავისი ძირითადი კაპიტალისა? მაგრამ რას წარმოადგენს ასეთი რთული და ვრცელი ოპერაციისათვის, თუ გინდ, ათი მილიონი კაპიტალისა? ეს — წვეთია იმასთან შედარებით, რაც საჭირო იქნება.

მაგრამ გვეტყვიან, კი მაგრამ, გირაოს ფურცლები რაღასთვის იქნებაო? როცა გვაქვს უზრუნველსაყოფათ დაგირაავებული მამულები, მაშინ შეგვიძლია გამოუშვათ იმდენი გირაოს ფურცლები, რამდენიც გვინდა და, მაშასადამე, კაპიტალის ნაკლებობა აღარ გვექნებაო. მაგრამ ერთი საქმეა ამ გირაოს ფურცლების გამოშვება და მეორეა — მისი მოთავსება. ამის საუკეთესო დასამტკიცებელ მაგალითს წარმოადგენს ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები. ამას გარდა, კერძო ბანკების მიერ თვით გირაოს ფურცლების მოთავსების საშუალებას თან სდევს ისეთი შედეგები, რომელიც სრულებით არ აძლევს საშუალებას მიწის ნამდვილ მწარმოებლებს ისარგებლონ ბანკის კრედიტით. ფული რომელსაც შოვნილობს მსესხებელი კერძო ბანკის მიერ გირაოს ფურცლების გაყიდვის საშუალებით, უჯდება მას არა უიაფეს 8-10 პროცენტისა, ზოგჯერ უფრო მეტიც, ხოლო სააქციონერო ბანკის საშვალებით კი, რომლის მთავარ მიზანს შეადგენს რაც შეიძლება მეტი ფულის მოგება, მსესხებელს ფული დაუჯდება თითქმის 12 პროც.

ამავე დროს კი მიწათმოქმედებას, როგორც ცნობილია, შემოაქვს ძლივს-ძლიობით ამ პროცენტების ნახევარი. საშუალო რენტა, რომელსაც ნამდვილად ღებულობენ მიწიდან, შეიძლება განისაზღვროს 4-5-6 პროცენტით. მხოლოდ მწარმოებელ მუშაკის ხელში, კარგსა და ხელსაყრელ პირობებში, მიწა იძლევა 7-8 ან 9 პროც. კაპიტალზე, თუ რა თქმა უნდა, კაპიტალათ ჩავთვლით თვით მიწის ღირებულებას. ამავე დროს მწარმოებელსაც ხომ უნდა ცხოვრება,

ამას გარდა, მან უნდა იხადოს გადასახადები, უნდა იხადოს მარჯვნივ და მარცხნივ. საიდან უნდა დაფაროს მან ასეთ პირობებში ჩასესხებ ფულის პროცენტები და თვით სესხი?

მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, ასეთი დაწესებულების ოპერაციების საკუთარ გარანტიით უზრუნველყოფით, მიაწოდოს მიწის მწარმოებელს იაფი ოთხ-ნახევრიანი ან ხუთ-პროცენტიანი კრედიტი. მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია, მეორეს მხრით, დაიფაროს გლეხური საზოგადოება ბანკების სისტემატიურ ექსპლოატაციისაგან, — ამ მიზნით მას შესაძლებლობა აქვს გამოსცეს სპეციალური წესები გადახდის ვადების გახანგრძლივებისა და აგრეთვე ბანკებისა და იმ გლეხურ საზოგადოებათა ურთიერთობის შესახებ, რომლებიც სცდილობენ დაგირავებულ მიწების გამოყიდვას. მაგრამ საქმის ამ მხარეებსაც რომ არ მივაქციოთ ყურადღება, ამ რთული ოპერაციის წესიერი წარმოება მაინც მოითხოვს ჩვენში ფრიალ მრავალ და მნიშვნელოვან თემურ მიწათმფლობელობის ჩვეულებათა გამოყენებას. გლეხთა საზოგადოებანი, რომელნიც შესდგომიან ვადაგასული მიწების გამოყიდვას, ამით ერთგვარ სავალდებულო დამოკიდებულებაში არიან ბანკებთან. ამ ვალდებულებათა წესიერი შესრულება მოითხოვს თვითეული გლეხის ოჯახის ან ერთეულის ამ საქმეში პროპორციონალურ მონაწილეობას, ხოლო მეორეს მხრით კი, საჭიროა ამ უკანასკნელს შესაძლებლობა ჰქონდეს შესაფერათ ისარგებლოს გამოსაყიდ მიწით. ისეთი მიწების, ანდა მისი ისეთი განუყოფელი ნაწილების, როგორიც არის, მაგალითად, საბალახო ადგილები, ტყეები და სხვა — განაწილება ყოველთვის არ არის შესაძლებელი. საბოლოო გაყოფის სიძნელეს ართულებს ისიც, რომ გამოსაყიდი თანხის უკანასკნელ ნაწილის შეტანამდე, შეუძლებელია მამული დაუმტკიცდეს გლეხობას; რადგან ამ უკანასკნელ გადახდის ვადამდე ის ითვლება ბანკის საკუთრებათ. მეორეს მხრით კი ამ ვადის გასვლამდე, ზოგიერთ გლეხის ოჯახმა, შეუძლებელია, უარი განაცხადოს მის წილხდომილ გადასახადის შეტანაზე და სხვ. ყველა ეს მდგომარეობა მოითხოვს, რათა კანონმდებლობის გზით წინასწარ გამომუშავებულ იქნას წესები და პირობები იმის შესახებ, თუ როგორი მონაწილეობა მიიღოს თვითეულმა ცალკე გლეხის ოჯახმა გამოყიდვის საერთო საქმეში და რა წესით ისარგებლოს გამოსაყიდ მიწით და სხვ. ე. ი. მოითხოვს კანონთა კოდიფიკაციას საზოგადოებრივ შეუწეობის შესახებ.

საკმაოა, თუ გინდ, ასეთ ზოგად ფორმებში მოვხაზოთ ეს სერიოზული ამოცანები, რათა მყისვე დავრწმუნდეთ, რომ ყველაფერი ეს შორდება კერძო ბანკის კომპეტენტობისა და ძალების ფარგლებს.

მტკიცება იმისი, თუ რა ადვილია სახელმწიფოსათვის ხელი მოჰკიდოს ასეთ ოპერაციას, ჩვენ მიგვაჩნია უმიზნოთ და არა საჭიროდ. ნ. გ. ჩერნიშევსკის სტატიაში „ძნელია თუ არა მიწის გამოყიდვა“, გამოყიდვის სიადვილის საკითხი მეტად ნათელი და დაურღვეველი საბუთებით არის გადაჭრილი¹⁰¹. საკმაოა აქ მხოლოდ დაუმატოთ, რომ ფინანსიური, უკეთ რომ ვთქვათ, ოპერაციის საბანკო მხარეც არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს. ოპერაციის მთელი ეს ნაწილი დამყარებული იქნება მხოლოდ გირაოს ფურცლების გამოყიდვაზე (ან გამოსაყიდ მოწმობებზე, სახელწოდებას აქ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს), რომელიც უზრუნველყოფილია მთავრობის გარანტიით და გამაგრებული გამოსაყიდი მამულებით. ასეთი ქალაქების გამოშვება — რა გინდ ბევრი იყოს ის გამოშვებული. ოდნავათაც არ მიაყენებს ზიანს სახელმწიფო ხაზინას და არ შეამცირებს სახელმწიფოს კრედიტს. ხშირად ხელისუფლება, ახალი სესხის გამოშვების დროს, ვალის უზრუნველსაყოფათ ასახელებს ისეთ წყაროებს შემოსავლისას, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს ჩვეულებრივ კუთვნილებათ, როგორც, მაგალითად, რკინის გზები, არხები, კერძო საწარმოები, კერძო ან სათემო მამულები დი სხვ. — მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას სრული შესაძლებლობა აქვს ასეთი უზრუნველსაყოფელ წყაროების წყალობით მიიღოს იმდენი ფული, რამდენიც მას სურს, და ამით არავითარი ზიანი არ მიადგება მის წმიხდა სახელმწიფოებრივ კრედიტს, რომელიც დამყარებულია მიმდინარე ხარჯ-აღრიცხვაზე. იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ეს მისი კრედიტი უკიდურეს არა ხელსაყრელ მდგომარეობაშია, სახელმწიფოს შეძლება აქვს სპეციალურ საუზრუნველყოფო წყაროების წყალობით მიიღოს სესხი ფრიად ხელსაყრელ პირობებში. ავსტრია, მაგალითად, მისი ბიუჯეტისა და საკუთრივ სახელმწიფო ფინანსების მერყევი მდგომარეობის გამო, სახელმწიფო კრედიტ ღებულობს 7-8 პროცენტთან სესხს. მაგრამ, როცა იგი ვალს უზრუნველყოფს სპეციალურად რკინის გზებით, მაშინ ის თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ზოენილობს 5-6 პროცენტთან სესხს. ასეთივე ამბების მოწამენი ვიყავით ჩვენ 1875 წ. საზღვარგარეთ ჩვენი რკინის გზის ობლიგაციების გამოყიდვის დროს.

კერძო ბანკი, თუ ის არ იქნება უზრუნველყოფილი სახელმწიფოს გარანტიით, ჩვენში და ვერც საზღვარ გარეთ ვერ იშოვნის

6-7 პროცენტთანზე ნაკლებიან სესხს. ამავე დროს სახელმწიფოს, თუ ის თავის თავზე აიღებს ამ ოპერაციას, ადვილად შეუძლია იწოვნოს ამ საქმისათვის რამდენიც უნდა იმდენი ფული 4-5 პროცენტითაც კი. და, ვინაიდან რუსეთში შეუძლებელია ამის მიღწევა პროცენტზე უფრო იაფათ, ამიტომ, სწორედ საზღვარგარეთ ფულის ძებნის აუცილებლობა — კიდევ ერთხელ მეტყველებს კერძო ბანკების საწინააღმდეგოთ და სახელმწიფოს სასარგებლოთ. საზღვარგარეთ არ იცნობენ და არც სურვილი ექნებათ იცნონ კერძო ბანკი. მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს სანქციას, რომელიც გააორკვეებს ამ ოპერაციის ნდობას, და რომელიც თვითაც გამაგრდება ამავე ოპერაციით, შეუძლია დამაკმაყოფილებლად გადაჭრას სხვა მხრით გადაუჭრელი ამოცანა, ე. ი. აუცილებელი საქირობა ვიშოვოთ ბევრი ფული, ხანგრძლივი ვადით, უმნიშვნელო პროცენტებში.

ჩვენ რომ მოგვესურებია ყველა იმ საბუთების ჩამოთვლა, რომელიც მეტყველებს ჩვენი აზრის სასარგებლოთ, რომ აუცილებელია ამ ოპერაციას ასრულებდეს სახელმწიფო და არა კერძო დაწესებულებანი — ამას ვერასდროს ვერ გავათავებდით. აქ ჩვენ ჩამოვთვალეთ რამოდენიმე მათგანი, ხოლო დანარჩენს განზე ვტოვებთ, და გამოვიყენებთ იმ შემთხვევაში, თუ ის პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ზემო ხსენებულ ბანკის დაარსებაში, წინააღმდეგებიან ამ ჩვენს შეხედულებებს. მანამდე კი, სანამ ასეთი წინააღმდეგობა არ გამოაშკარავებულა, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენ მიერ უკვე გამოთქმული საბუთებიც სრულებით საკმაოა.

მაგრამ, გვეტყვის მკითხველები, თქვენს სტატიებში ამ საგნის შესახებ ჩვენ წინააღმდეგობას ვხედავთო. 1873 წლიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა დაიწყო პირველი ცდები თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკების წესდებების შესადგენათ, თქვენ სულ იმას გაჰკიოდით და ამტკიცებდითო, რომ თავად-აზნაურთა ბანკებს საფუძვლად უნდა დაედვას სესხის ოპერაციების საგამოყიდვო ოპერაციებთან შეერთებაო. ახლა კი ამტკიცებთო, რომ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია დამაკმაყოფილებლად გადაჭრას ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხიო.

ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ, რომ ეს წინააღმდეგობა მხოლოდ მოჩვენებითია. იმ ხანებში, როცა ჩვენ ვიცნებობდით ამ გრანდიოზული და ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო ამოცანის გადაწყვეტას თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკების საშუალებით, ჩვენ იმედოვნებდით და დარწმუნებულიც ვიყავით, რომ მათი წესდებები შედგენი-

ლი იქნებოდა სწორედ იმ თვალსაზრისით, რომელიც საფუძვლად ედება სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებას. ბანკების დამაარსებლებს და წესდებათა შემდგენთ, რომ გაერკვიათ სახელმწიფოსათვის ნამდვილი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედებისა, მაშინ სახელმწიფო ადვილათ შესძლებდა აელო თავის ხელში ამ ბანკების საქმე, ან და ენდობოდა რა თავდაზნაურთა კეთილგონიერებას, მისცემდა მათ დაწესებულებას თავის საკუთარ სანქციას გარანტიასთან ერთად... ეს კი ასე არ მოხდა იმ გარემოებათა გამო, რომელიც სრულიად დამოკიდებული იყო წესდებათა შემდგენლებისაგან...

ჩვენ ამაში იმდენათ ვართ დარწმუნებული, ეხლაც კი ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის საუკეთესოდ გადაჭრა უდგომარეობს ჩვენი საადგილ-მამულო ბანკების წესდებათა გადასინჯვაში, რათა გაერთიანდეს მისი ოპერაციები, მიეცეს მას სახელმწიფოს გარანტია და შეცვლილ იქნეს მათი დანიშნულება სასესხო საგამოყიდვო ოპერაციების თვალსაზრისით... ასეთი აზრი ერთხელ კიდევ დაიბადა ჩვენი უმაღლესი ადმინისტრაციის ფენაში ამ წლი-ნახევრის უკან, კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარმართველობამ მიმართა ჩვენი საადგილ-მამულო ბანკის გამგეობებს კითხვით, თუ რა საფუძველზე და რა პირობებში მოჰკიდებენ ისინი ხელს საგამოყიდვო ოპერაციებს; საჭიროა ამ კითხვის ხელახლა დასმა, მისი განზოგადება და განვითარება, როგორც მთავარი ღონისძიების, და მაშინ მის კეთილად და გონიერად გადაწყვეტას აღარ გადაელობება წინ არავითარი სიძნელენი.

1878 წ.

რედაქტორის შენიშვნები

1. ნიკო ნიკოლაძის ნაწერების ქრონოლოგია

ნიკო ნიკოლაძის რჩეულ ნაწერების ამ მეორე ტომში ჩვენ განზრახული გვქონდა მოგვეთავსებია ყველა ის მთავარი წერილები, რომელიც დაუწერია ავტორს 1870—1877 წლების პერიოდში (ამ პერიოდის ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის წერილები დაიბეჭდება ცალკე ტომში). სამწუხაროდ, ტექნიკურად ყველა ამ წერილების ერთ ტომში მოთავსება შეუძლებელი შეიქმნა და ამიტომ ერთი ნახევარი ამ წერილებისა ჩვენ გადავიტანეთ მესამე ტომში. განყოფილებების მიხედვით ამ ორ ტომში დაიბეჭდება: I. „ახალი ახალგაზღობა“; II. „სასოფლო მეურნეობა და გლეხთა საკითხი“; III. „საბანკო საკითხები“; IV. „ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება“; V. „რუსეთის ცხოვრება“ და VI. „უცხოეთის ცხოვრება“. ამ განყოფილებებიდან პირველი სამი იბეჭდება ამ ტომში, ხოლო დანარჩენი სამი დაიბეჭდება მესამე ტომში.

დიდი ნაწილი აქ მოთავსებული წერილებისა, რომელიც გაზეთ „დროება“-ში იყო დაბეჭდილი, თვით ავტორს გადმოებეჭდა „დროებიდან“, მცირეოდენად სტილისტიურად შეესწორებია და ქრონოლოგიური წესით დაეწყო. რასაკვირველია, „დროებიდან“ ყველა წერილები არ იყო გადმობეჭდილი, ჩვენ დაგვჭირდა 1870—77 წლების „დროების“ ხელმეორედ გადახედვა, გადმობეჭდილი წერილების დედნებთან შედარება და გამორჩენილის ხელმეორედ გადმობეჭდვა. რასაკვირველია, ნიკოლაძის 1870—77 წლების ყველა წერილები ჩვენს „რჩეულ ნაწერების“ გამოცემაში არ იქნება მოთავსებული, აქედან მხოლოდ მნიშვნელოვანი ნაწილია არჩეული. „დროების“ წერილები ჩვენ შევავსეთ „კრებულის“, „სასოფლო გაზეთის“, „ტფილისის მოამბისა“ და „ობზორის“ წერილებიდან.

წერილები განყოფილებებში დალაგებულია ქრონოლოგიურის წესით. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გადაუხვიეთ ამ წესს. ერთ გადახვევაზე კიდევ გვინდა ვაცნობოთ მკითხველს: რამოდენიმე წერილი ამ ტომს ჩვენ დავამატეთ 1878—80 წლების „ობზორიდან“.

* * *

1. ჩვენი ახალგაზღვრება (გვ. 3—18) დაიბეჭდა „კრებულში“ 1871 წ. (№ 2, გვ. 147—190) ნ. სკანდელის ფსევდონიმით.
2. საახალწლო (გვ. 19—31) დაიბეჭდა „კრებულში“ 1871 წ. (№ 1, გვ. 159—192) ნ. სკანდელის ფსევდონიმით.
3. „კრებულის“ დანიშნულებაზე (გვ. 32—51) დაიბეჭდა „კრებულში“ 1871 წ. (№ 3, გვ. 1—40) იგი სარედაქციო წერილი იყო და ამიტომ ხელმოუწერელი დაიბეჭდა. მესამე ნომრიდან „კრებული“ გადაკეთდა ჟურნალად.
4. ახალი ახალგაზღვრება (გვ. 52—76) დაიბეჭდა „კრებულში“ 1873 წ. (№ 1, 275—336). ეს წერილი საერთოდ გამოხატავდა მთელი „დროება-კრებულის“ ჯგუფის შეხედულებებს. ს. მესხმა ეს წერილი ნიკოლაძისა სპეციალურად გააარჩია თავის ბიბლიოგრაფიაში; იგი წერდა: „ეს უკანასკნელი სტატია უფ. ნ. სკანდელისა... კარგი, ჭკვიანური, გრძნობიერად დაწერილი პუბლიცისტური სტატიაა, და მკითხველი უეჭველია ყოველთვის სიამოვნებით წაიკითხავს ამგვარ სტატიას“ (ს. მ.: „ბიბლიოგრაფია — კრებული, წიგნი პირველი, 1873 წ.“ „დროება“ № 19, 1873 წ.).
5. „მნათობი“ (გვ. 77) დაიბეჭდა „დროებაში“ 1870 წ. (№ 16) წერილი ხელმოუწერელია. ამ წერილმა დიდი კამათი გამოიწვია ნ. ნიკოლაძესა და „მნათობს“ შორის.
6. „მნათობს“ (გვ. 78—93) დაიბეჭდა 1870 წ. „დროებაში“ (№ 20, 21). ეს წერილიც ხელმოუწერელია. ამ წერილის საპასუხოდ მეტად მკაცრი წერილი დასწერა მოსე ქიქოძემ შემდეგი სათაურით: „სუსტი ჭკუის ამაყობა“ („მნათობი“ № 1, გვ. 1—26, 1871 წ.); ამ წერილიდან ცენზორის მიერ მრავალ ადგილას არის ამოგდებული ადგილები. ამ წერილის საპასუხოდ ნ. ნიკოლაძემ დასტამბა სტატია: „კიდევ მნათობს“ („დროება“ № 13, 1871 წ.), რომელსაც ხელმოწერა აქვს ნ. სკანდელი. ამ წერილის გადმობეჭდა ამ ტომში ჩვენ აღარ დავინახეთ საჭიროთ. „მნათობში“ ამის შემდეგ ნიკოლაძის საპასუხო წერილი არ დაბეჭდილა. თებერვლის ნომერში ვკითხულობთ: „მნათობის“ რედაქციისაგან: ჩვენზედ დამოუკიდებელის მიზეზის გამო უფ. სკანდელს არ ეძლევა პასუხი“ (№ 2, 1871 წ.); ცხადია, ცენზორს აუკრძალავს „მნათობის“ საპასუხო წერილი.
7. „ძველი მეგობარი ახალ კანში“ (გვ. 94—98) პირველად დაიბეჭდა „დროებაში“ 1870 წ. (№ 23), შემდეგ იგი დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის ნაწერების ცალკე გამოცემაში (იხ. ნ. ნიკოლაძის ნაწერი, პირველი წიგნი, გვ. 26—38, 1878 წ.). 1878 წ. ამ წერილის რუსული თარგმანი დაიბეჭდა „ობზორში“.

8. „დროების“ გამოცემაზე მომავალ 1871 წ. (გვ. 99—100) დაბეჭდა მოწინავე წერილად 1870 წლის „დროებაში“ (№ 47).

9. რისთვის გჩხუბობთ? (გვ. 101—104) დაბეჭდა 1873 წლის „დროებაში“ (№ 20).

10. „მნათობის“ სიკვდილი (გვ. 105—106) დაბეჭდა 1873 წლის „დროებაში“ (№ 30), „მნათობის“ გამოცემა შეწყდა 1872 წ. უკანასკნელი ნომრით.

11. მშვიდობით, მშვიდობით! (გვ. 107—110) დაბეჭდა ნ. სკანდელის ფსევდონიმით 1873 წლის „დროებაში“ (№ 45), ამ წერილმა მაშინდელ პრესაში საგრძნობი გამოხმაურება გამოიწვია (იხ. „დროება“ № 400, 404, 1873 წ.).

12. ვაკვრა-გამოკვრა (გვ. 111—113) დაბეჭდა ნ. სკანდელის ფსევდონიმით 1874 წ. „დროებაში“ (№ 410).

13. კალმის კაპრიზი (გვ. 114—118) ხელმოუწერლად დაბეჭდა 1875 წლის „ტფილისის უწყებაში“ (№ 109).

14. სოციალური მოძრაობანი (გვ. 119—126) ხელმოუწერლად დაბეჭდა 1875 წლის „ტფილისის უწყებაში“ „კალმის კაპრიზის“ სათაურით (№ 110), შემდეგში ავტორმა თვით შეუტყვალა სათაური.

15. სალაში (გვ. 127—131) დაბეჭდა ნ. სკანდელის ხელმოწერით 1876 წლის „დროებაში“ (№ 25), ამ წერილით დაუბრუნდა ნ. ნიკოლაძე ხელმეორედ „დროებას“, რომელშიაც აღარ თანამშრომლობდა 1874 წლიდან და ამის შემდეგ მან ითანამშრომლა „დროებაში“ დაახლოებით წელიწად ნახევარი: ნიკოლაძესა და მესხს შორის დიდმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი და როდესაც ნიკოლაძემ 1878 წელს „ოზბორი“ დააარსა, მან სასტიკი ომი გამოუცხადა „დროებას“ და მის რედაქტორს ს. მესხს.

16. ჩვენ ნაკლულევანებანი (გვ. 132—134) დაბეჭდილია მეტაურად ნ. სკანდელის ფსევდონიმით 1876 წ. „დროებაში“ (№ 31), გაზეთში სათაურად ჰქონდა: „თ ფ ი ლ ი ს ი, 20 მ ა რ ტ ს“, ახალი სათაური ჩვენ გავუკეთეთ.

17. განა „საქირო“ „უდროოა“? (გვ. 135—138) დაბეჭდა ნ. ნიკოლაძის ხელის მოწერით 1876 წ. „დროებაში“ (№ 56).

18. პირველი ნაბიჯი ჩვენ ბანკარებისა (გვ. 139—147) დაბეჭდა ნ. ნიკოლაძის ხელის მოწერით 1876 წლის „დროებაში“ (№ 57, 58).

19. უმიზნო პარტიობა (გვ. 148—151) დაბეჭდა ნ. ნიკოლაძის ხელის მოწერით 1871 წ. „დროებაში“ (№ 68).

20. უკაუო მაკახელას (გვ. 152—168) დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის ხელის მოწერით 1876 წ. „დროებაში“ (№ 97, 98).
21. საახალწლო გოდება (გვ. 169—174) დაიბეჭდა 1877 წ. „დროებაში“ (№ 1).
22. ცოტა კიდევ (გვ. 175—182) დაიბეჭდა 1877 წ. „დროებაში“ (№ 6).
23. გაფრთხილება (გვ. 183—187) დაიბეჭდა 1877 წ. „დროებაში“ (№ 6).
24. „ივერიის“ პირველი ნომერი (გვ. 188—193) დაიბეჭდა 1877 წ. „დროებაში“ (№ 26).
25. ამხანაგობის ძალა (გვ. 197—205) დაიბეჭდა ნ. სკანდელის ფსევდონიმით 1870 წ. „სასოფლო გაზეთში“ (№ 10, 11).
26. რა გზით შეიძინება მიწა-წყალი (გვ. 206—220) დაიბეჭდა ნ. სკანდელის ფსევდონიმით 1871 წ. „სასოფლო გაზეთში“ (№ 1, 2, 5, 6).
27. მევენახეობის საქმე ჩვენში (გვ. 221—222) დაიბეჭდა მეთაურად 1873 წ. „დროებაში“ (№ 4).
28. ახირებული ამბავი (გვ. 223—224) დაიბეჭდა მეთაურად 1873 წ. „დროებაში“ (№ 45).
29. საგლეხო ბანკი და ჩვენი გლეხოზა (გვ. 225—226) დაიბეჭდა მეთაურად 1873 წ. „დროებაში“ (№ 41).
30. კაცების გლეხების საქმე (გვ. 227—230) დაიბეჭდა მეთაურად 1873 წ. „დროებაში“ (№ 40).
31. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება (გვ. 231—240) დაიბეჭდა 1875 წ. „ტფილისის უწყებაში“ (№ 113).
32. სამიწათმოქმედო არტელეში (გვ. 241—245) დაიბეჭდა 1876 წ. „ტფილისის უწყებაში“ (№ 203).
33. გლეხთა ქონების გაყიდვა (გვ. 246—249) დაიბეჭდა 1878 წ. „ობზორში“ (№ 228).
34. საგლეხო საქმე (გვ. 250—256) დაიბეჭდა 1878 წ. „ობზორში“ (№ 251).
35. ხიზანთა საკითხი (გვ. 257—261) დაიბეჭდა 1880 წ. „ობზორში“ (№ 470).
36. ბიბლიოგრაფია (გვ. 265—268) დაიბეჭდა 1871 წ. „დროებაში“ (№ 31).
37. ბანკის საქმე ჩვენში (გვ. 268—282) დაიბეჭდა 1872 წ. „კრებულში“ (№ 6).

38. საწყალი ბანკი (გვ. 283—287) დაიბეჭდა 1873 წ. „დროებაში“ (№ 1).
39. ქუთაისის ბანკი (გვ. 288—291) დაიბეჭდა 1873 წ. „დროებაში“ (№ 21).
40. იმერეთის ამბები (გვ. 292—302) დაიბეჭდა 1873 წ. „დროებაში“ (№ 25, 26).
41. პასუხი იაკ. ყიფიანს (გვ. 303—308) დაიბეჭდა 1873 წ. „დროებაში“ (№ 28).
42. ბ. ლოლობერიძის „ტიტინი“ (გვ. 309—321) დაიბეჭდა 1873 წ. „დროებაში“ (№ 29).
43. ქუთაისის ბანკის გარშემო (გვ. 322—325) დაიბეჭდა 1873 წ. „დროებაში“ (№ 34, 35).
44. ქუთაისის ბანკის საქმე (გვ. 326—343) დაიბეჭდა 1876 წ. „დროებაში“ (№ 35), ამ წერილის დედანი ინახება საქართველოს მუზეუმში (იხ. ყოფ. უნივერსიტეტის საქმეები № 5272). წერილს რედ. შენიშვნა აქვს: „... მაგ სტატიაში გამოთქმულ აზრებსა და მსჯელობას არ ვეთანხმებით“.
45. მრუდე გამოასარჩლება (გვ. 344—359) დაიბეჭდა 1876 წ. „დროებაში“ (№ 47).
46. ჩვენი საადგილ-მამულო კრედიტის მომავალი (გვ. 360—369) დაიბეჭდა 1878 წ. „ობზორში“ (№ 186, 190).

II. შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი

1. (გვ. 5) როგორც ცნობილია, რუსეთში გლეხობა გაანთავისუფლეს ბატონყმური უღლისაგან 1861 წლის თებერვლის მანიფესტით. ჩვენში რეფორმის გატარებამ დაიგვიანა. ფორმალურად ამ დაგვიანების მიზეზად ასახელებდნენ საქმეების მოუშუადებლობას ჩვენში; არსებითად კი ადგილობრივი ხელისუფლება იმიტომ აგვიანებდა რეფორმის გატარებას, რომ მას ეშინოდა არ გამოეწვია უკმაყოფილება ქართველ მემამულეებში, მათ სურდათ რეფორმის გატარება შორეულ დროისათვის გადაედვათ, მაგრამ გარემოებამ აიძულა ისინი უფრო ადრე შედგომოდნენ ამ საქმეს. ტფილისის გუბერნიაში გლეხთა განთავისუფლება გამოცხადდა 1864 წლის 13 ოქტომბრის მანიფესტით; ქუთაისის გუბერნიაში—1865 წ. 13 ოქტომბრის მანიფესტით; სამეგრელოში—1866 წ. დეკემბრის 1-ს; აფხაზეთში—1867 წელს. როგორც ცნობილია, რეფორმა უმთავრესად გლეხთა პირად განთავისუფლებას შეეხო, ხოლო ეკონომიურად ისინი მემამულეთა სრულს მორჩილებაში დატოვეს, — დ რ ო ე ბ ი თ. ვ ა ლ დ ე ბ უ ლ თ ა ინ ს ტ ი ტ უ ტ ი არსებითად ფორმა შეცვლილი ბატონყმობა იყო. რეფორმის

საშუალებით გლეხებს დიდძალი მიწები „ჩამოაჭრეს“. ტფილისის გუბერნიის გლეხობის განკარგულებაში რეფორმამდე იყო სულ 84.665 დესეტინა მიწა; რეფორმის შემდეგ დაუტოვეს 55.679 დესეტინა, ე. ი. შეუმცირეს 28.986 დესეტინით. ამრიგად, „რეფორმის“ წყალობით კომლზე არსებული მიწის ნორმა 5,9 დესეტინიდან შემცირდა 3,9 დესეტინამდე. აღსანიშნავია, რომ 1334 კომლს მიწა სრულიად არ მიუღია, ხოლო 386 კომლმა ნორმაზე ბევრად ნაკლები მიიღო (იხ. ს. ავალიანი „Крестьянский вопрос“... ტ. I, გვ. 421, 1912 წ.). ამრიგად რეფორმის შემდეგ პერიოდში გლეხობისათვის მიწის საკითხი ერთ-ერთ უდიდეს თავსამტვრევ საკითხად გადაიქცა; მებატონეთა ხელში კვლავ დიდძალი მიწა დარჩა დაგროვილი, რომლითაც ისინი კვლავ განაგრძობდნენ ბატონობას გლეხობაზე. მაგ. ქუთაისის გუბერნიაში 74.673 კომლ ყოფილ ყმა-გლეხებს ჰქონდათ 210.770 დესეტინა „სანადგლო“ მიწა, ხოლო შედარებით სრულიად უმნიშვნელო მემამულეებს—815,321 დეს., ე. ი. 4-ჯერ მეტი. ტფილისის გუბერნიაში 27.635 კომლს—134,796 დესეტინა, მემამულეებს—961.502 დეს., ე. ი. 7-ჯერ მეტი (იხ. О. Семин: „Великая годовщина“, გვ. 34—35, 1911 წ.). ამ გარემოებამ გაამწვავა ურთიერთობა მემამულეთა და გლეხთა შორის და გამოიწვია მთელი რიგი აჯანყებებისა. მეორე მხრივ, განთავისუფლებული გლეხობა იძულებული შეიქმნა ფულის საძებნად ქალაქებისაკენ წასულიყო და აქედან ჩამოყალიბდა ჩვენში მუშათა კლასი.

გლეხთა რეფორმას საქართველოში ხშირად ეხებოდა ნიკოლაძე თავის წერილებში. პირველად ეს საკითხი განიხილა გერცენის „კოლოკოლში“ 1865 წ. (იხ. № 198, 199, გადმობეჭდილია პირველ ტომში, იხ. გვ. 161—184).

2. (გვ. 5) მთავრობა სტიპენდიებს უნიშნავდა ზოგიერთ თავად-აზნაურთა შვილებს, რომელნიც რუსეთში მიდიოდნენ სწავლის დასამთავრებლად: ამ მხრივ თვითმპყრობელობის მიზანი იყო გამოეზარდა ერთგული მოხელეები, რომელიც მას ძლიერ ესაჭიროებოდა ა/კავკასიაში. ამ „სტიპენდიანტების“ დიდი ნაწილი მართლაც ერთგული მოხელეები იყვნენ რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილებისა, ხოლო მცირედი ნაწილი (მაგ. გ. წერეთელი) სულ სხვა სწინააღმდეგო გზას დაადგა.

3. (გვ. 11) წვერულვაშიანს ნიკოლაძე დაცინვით ხმარობს: იმ ხანებში რუსეთის ახალგაზდობა წვერებს უშვებდა, მათი მიბაძვით ჩვენშიაც განვითარდა ეს „მოღა“, ახალგაზდებს ხშირად „წვეროსნებს“ უძახოდნენ.

4. (გვ. 19) ეს ციტატა ამოღებულია ნ. ჩერნიშევსკის (1828—1889) რომანიდან: „Что делать?“ ავტორმა იგი დასწერა პეტრე-პავლოვის ციხეში 1862—63 წლებში, სადაც იგი დაპატიმრებული იყო ალექსანდრე მეორეს მთავრობის მიერ. რაკი ჩერნიშევსკის მოსპობილი ჰქონდა საშუალება სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებით ეწარმოებია თავისი იდეების პროპაგანდა, მან ბელეტრისტიკას მიჰმართა და ამ საშუალებით მოინდომა სოციალისტური იდეების გავრცელება ინტელიგენციაში. ჩერნიშევსკი თავის რომანში ფურიეს ფალანგების თეორიას ქადაგებდა და იგი ამ რომანით ახალცხოვრებისაკენ მოუწოდებდა. რომანმა დიდი გავლენა მოახდინა რუხეთის ახალგაზდობაზე. ვერც ჩვენი ინტელიგენციის მოწინავე ფენები ასცდა ამ გავლენას. იმ ხანებში ავტორის — ჩერნიშევსკის დასახელება მთავრობის მიერ სასტიკად აკრძალული იყო, ამიტომ ნიკოლაძე, რომელსაც ხშირად მოყავდა ადგილები ამ რომანიდან თავის ლეგალურ ქართულ ნაწერებში, ჩერნიშევსკის გვარს ვერ ასახელებდა. მოყვანილი ადგილი ამოღებულია, რომანის გმირი ქალის — ვერა პავლოვნას მეოთხე მიზმარიდან.

5. (გვ. 32) „კრებული“ გამოდიოდა 1871—73 წლებში. მისი ოფიციალური რედაქტორი იყო გ. წერეთელი. არსებითად იგი იყო დამატება გაზ. „დროებისა“, რომელიც იმ ხანებში ს. მესხის რედაქტორობით გამოდიოდა. ამ ჟურნალში უმთავრესად იბეჭდებოდა მხატვრული ნაწერები, კრიტიკულ-ლიტერატურული წერილები, წერილები საზოგადოებრივ საქმეებზე, პოლიტიკურ და საერთაშორისო საკითხებზე და სხვა. უმთავრეს თანამშრომლებად ითვლებოდნენ: ნ. ნიკოლაძე (სკანდელი), გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. ჰავჭავაძე, პ. უმიკაშვილი, აკაკი წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, მამია გურიელი, ი. მესხი, მ. ყიფიანი და მრავალი სხვა. ჟურნალი თავისი მიმართულებით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებისა იყო. ნიკოლაძის აღნიშნული წერილი დაბეჭდილია 1871 წლის მესამე ნომერში. ორი წინა ნომერი უბრალო კრებულის სახით გამოვიდა, ხოლო მესამე ნომრიდან იგი ჟურნალად გადაკეთდა. ნიკოლაძე ამ ჟურნალის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და უახლოესი თანამშრომელი იყო. აქ არის მოთავსებული დიდი ნაწილი მისი კრიტიკულ-ლიტერატურული წერილებისა.

6. (გვ. 38) მალტუსი (1766—1834) — ინგლისელი ეკონომისტი, პოლიტ-ეკონომიის კლასიკური სკოლის ვულგარული წარმომადგენელი. მისი თეორიით მცხოვრებლები უფრო ჩქარა იზრდებან, ვინემ საწარმოო საშუალებანი და საზრდო: პირველი იზრდება გეო-

მეტრიული პროგრესით, მეორე — არითმეტიკულით. მალტუსის თეორია არსებითად წარმოადგენდა ბურჟუაზიის ცდას გაემართლებია, ერთი მხრივ, ის ტანჯვა და სიღარიბე მშრომელ მასეებისა, რომელიც გამოიწვია სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ ინგლისში და მეორე მხრივ, — ფუფუნება და უამრავი სიმდიდრის დაგროვება გაბატონებული კლასის ხელში. მალტუსის თეორია სასტიკად გააკრიტიკა მარქსმა; რუსეთში მალტუსისა და მისი რუსი მიმდევრების წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა ლენინი.

7. (გვ. 40) შარშანდელ ომის დროს — იგულისხმება 1870 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომი. ამ ომის შესახებ ნიკოლაძეს მრავალი წერილები აქვს მოთავსებული გაზ. „დროებასა“ და სხვა ორგანოებში. ამ წერილების ნაწილი დაიბეჭდა მესამე ტომში.

8. (გვ. 47) ახალი სასამართლო საქართველოში უფრო დაგვიანებით შემოიღეს, ვინემ რუსეთში — სასამართლოს „რეფორმა“ ჩვენში გატარდა 1868 წელს. თანახმად 1867 წლის 9 დეკემბრის კანონისა აკავკასიაში შემდეგი სასამართლო დაწესებულებანი იქნა შემოღებული: მომრიგებელი მოსამართლენი ყოველ მომრიგებელ განყოფილებისათვის (მაზრების მიხედვით), საოლქო სასამართლოები — ცალკე გუბერნიებისათვის და სასამართლო პალატა — მთელი მხარისათვის, ეს რეფორმა ისტორიულად გამოხატავდა ნაბიჯს პოლიციურ-მემამულეთა წყობილებიდან ბურჟუაზიულ-თავად-ახნაურულს წყობილებისაკენ გადადგმულს. რეფორმამ ვერ გაამართლა ხალხის იმედები, იგი არსებითად ხალხის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. თვით ოფიციალური მკვლევარების მიხედვითაც, რეფორმამ ვერ მოიპოვა პოპულარობა მცხოვრებლებში იმ მხრივაც, რომ სასამართლოს წარმოება ერთობ ნელი ნაბიჯით ხდებოდა და შიგ გაემყვებულ იყო ფორმალისში. ადგილობრივ ხელისუფლებას რეფორმის უარყოფით მხარეებზე მიუთითებდნენ როგორც მცხოვრებნი, ისე ადმინისტრაციაც (იხ. ს. ესაძე: „Историческая зап. сб. управ. Кавказом“ ტ. II გვ. 1—57, 1907 წ.).

9. (გვ. 52) ახალრახალგაზღობის ქვეშ ნიკოლაძე გულისხმობს იმ ახალგაზღაობა ჯგუფს, რომელიც შესდგა 1869 წელს და რომელშიაც შედიოდნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და კ. ლორთქიფანიძე. ამ ჯგუფს დახმარებას უწევდნენ: პ. უმიკაშვილი და აკაკი წერეთელი. ამ ჯგუფმა „დროების“ რედაქტორად დანიშნა ს. მესხი (1844—1883 წ.); ეს ჯგუფი არსებობდა 1877 წლამდე (დაწერილებით იხ. ამ ტომის წინასიტყვაობაში).

10. (გვ. 52) ძველი თაობის ქვეშ აქ იგულისხმება, თაობა რომელიც 60-იან წლებამდე ბატონობდა საზოგადოებრივ სარბიელზე-მისი უმთავრესი წარმომადგენელი იყვნენ: გრ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, გ. ერისთავი და მრავალი სხვანი, რომელთაც პირველი ადგილი ეჭირათ სახელმწიფო სამსახურში. ამ ძველი თაობის იდეურ ორგანოს წარმოადგენდა „ცისკარი“ და მის გარშემო შემოკრებილი მწერლები რამდენიმეს გამოკლებით. თავისი იდეოლოგიით ეს ძველი თაობა გამოხატავდა რეაქციონურ-კონსერვატიული თავად-აზნაურობის სულისკვეთებასა და მისწრაფებას. მათი მთავარი მიზანი იყო დაეცვათ მემამულეთა ეკონომიური ინტერესები და შეენარჩუნებიათ ბატონყმური წყობილება; პოლიტიკაში ჭისნი რუსეთის თვითმპყრობელობის უერთგულეს დამცველებად ითვლებოდნენ და მეფის ტახტში ხედავდნენ მათი კლასის საუკეთესო დამცველ ძალას. ამ თაობის წინააღმდეგ იბრძოდა ახალი ახალგაზრდობა, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მიმდინარეობას გამოხატავდა.

11. (გვ. 52) 1861-მ დი — აქ ავტორს მხედველობაში აქვს ი. ჭავჭავაძის ჯგუფის გამოსვლა 1861 წელს.

12. (გვ. 53) ო რ მ ო ც და თ უ თ ხ მ ე ტ ი ს ო მ მ ა — ნაგულისხმევია ყირიმის ომი, რომელმაც გამოაშკარავა მთელი რუსეთის საზოგადოებრივი წყობილების გახრწნილება. ამ ომმა ძლიერ დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს საზოგადოებაზედაც. ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლებას და სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველებას, ფულის დაბანდვას; მეორე მხრივ, გაამწვავა ურთიერთობა წოდებათა შორის, რასაც შედეგად მოყვა მთელი რიგი გლახთა აჯანყებებისა საქართველოში. ყოველივე ეს მაჩვენებელი იყო ძველი ურთიერთობის რღვევისა და ახლის განვითარების. ძველი საზოგადოებრივი ფორმები ვეღარ თავსდებოდა ახალ პირობებში და ხდებოდა მწვავე ბრძოლები სოციალურ წრეებს შორის.

13. (გვ. 55) ბანკის დაარსების იდეა პირველად წამოაყენა დ. ყიფიანმა 1865 წელს, როცა ჩვენში უკვე ფორმალურად ისპობოდა ბატონყმობა. დ. ყიფიანი იმ ხანებში ტფილისის გუბერნიის წინამძღოლად იყო არჩეული მისი მთავარი მიზანი იმაში გამოხატებოდა, რომ თავად-აზნაურობა გადაერჩინა ეკონომიურ განადგურებას და შეენარჩუნებია მისთვის ძველი ბატონობა და პრივილეგიები. ამ მხრივ ბანკი ყიფიანს ერთ-ერთ უდიდეს საშუალებად მიაჩნდა მემამულეთა ეკონომიური აღორძინების საქმეში. მან, როგორც თავად-აზნაურთა წინამძღოლმა მოწოდებით მიჰმართა თავის წოდებას 1865 წელს; იგი წინადადებას იძლეოდა, რომ მემამულეებს გადაეღვათ ბანკის

დასაარსებლად გლეხების პირად განთავისუფლებაში მიღებული თანხის ნაწილი, დანარჩენი ნაწილი შეეძინათ სახელმწიფოს დახმარებით და ამრიგად მოწყობილი ბანკი მოკლე-ვადიან სესხს მისცემდა მემამულეებს, არ გაუყიდდა თავიანთ მამულებს და ამით მემამულეთა ეკონომიური ბატონობა უზრუნველყოფილი იქნებოდა სამუდამოდ. ბანკის დაარსების საქმემ დიდი კამათი გამოიწვია მთელი წლების განმავლობაში თავად-აზნაურთა კრებებზე: სხვადასხვა აზრები და პროექტები ეჯახებოდა აქ ერთი მეორეს. თავად-აზნაურთა ბანკებს ტფილისსა და ქუთაისში მხოლოდ 1875—76 წლებში ჩაეყარა საფუძველი. ნიკოლაძეს საბანკო საკითხების გარშემო ცხარე კამათის წარმოება დასჭირდა.

14. (გვ. 55) ავტორი გულისხმობს 1861 წელს გამოსულ ახალ ჯგუფს, რომელსაც მეთაურობდა ი. ჭავჭავაძე. ამ წრის შესახებ ვ. წერეთელი წერდა 1897 წელს შემდეგს:

„ქართული ლიტერატურის ახალ ხანას ჩვენ იმ პერიოდს ვუწოდებთ, რომელიც საქართველოში ბატონ-ყმობის განთავისუფლების წინა წლებიდან იწყება, სახელდობრ 1861 წლიდან, როდესაც თ. ილ. ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ასტეხა ჯერ კიდევ „ცისკარში“ და გარს შემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე. ამ წრეში მოიმქმედ პირებათ იყვნენ თ. ილ. ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და ჰუმანიტარული დროშის ამფრიალებელი; პეტრე ნაკაშიძე, გ. ყაზბეგი, ივ. პოლტარაცკი, მიხ. ყიფიანი, ივ. ბერიძე, დავით ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ალ. სავანელი, მიხეილ ჩიკვაძე, ილ. წინამძღვარიშვილი და ვ. თულაშვილი. ამათ შემოიღეს კერძო კრებები, სადაც კითხულობდნენ რეფერატებს და სადაც აღტაცებული ჭაბუკი ილ. ჭავჭავაძე თავისი ახალ დაწერილი ლექსების ზ „გლახის ნაამბობი“-ს თავების კითხვით ამხნევებდა, ასულდგმულეებდა თავის საკუთარ წრეს, და წრეს გარეშე არაჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში. აი, ამ წრემ თ. ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით გამოსცა „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. ჟურნალში მიიღეს მონაწილეობა მაშინდელმა საუკეთესო მწერლებმა... პეტერბურგის სტუდენტობაც აღტაცებით შეხვდა ამ ჟურნალის გამოსვლას. იქიდან მესამე კურსის სტუდენტმა კ. ლორთქიფანიძემ და პირველი კურსის სტუდენტმა გ. წერეთელმა თავისი ჯერ კიდევ უცდელი კალმის ნაშრომიც მოაწვდინეს ახალ წრეს ჰუმანიტარულის მიმართულებისას. „საქართველოს მოამბემ“ დაჰგმო ძველი ბატონ-ყმური დამოკიდებულება, სანტიმენტალურათ

შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულს ბედს და შემდეგ ესევე გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც. სამწუხაროდ ამ ცოცხალმა მოძრაობამ მხოლოდ ერთი წელიწადი გაატანა: „საქართველოს მოამბე“, როგორც მაშინდელი ახალი თაობის ჟურნალი, გამოდგა დღენაკლული. ერთ წელს შემდეგ მასთან ერთად დალია სული თვით ილ. ჭავჭავაძის ახალთაობის წრეც. ჟურნალის მოსპობასთან ერთად ილ. ჭავჭავაძის წრეც უცბად დაიშალა... რადგან მეთაური და მისი წრე ახალი მოძრაობისა მოხერხებულათ დაბინადნენ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, ქართველ საზოგადოებაში ისევ ჩამოვარდა ჩვეულებრივი მყუდროება. იმ დროს მთავრობის სფერაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ წრის შესახებ, რომლის წევრებსაც მაშინ საშიშ ლიბერალებათ იხსენიებდნენ“ (იხ. „კვალი“ № 46, გვ. 815, 1897 წ.).

ამ თერგდალეულთა თაობას მოჰყვა შემდეგში „ახალი ახალგაზღობა“, რომლის შესახებაც სწერს ნ. ნიკოლაძე თავის წერილში. ბრძოლა და უკმაყოფილება ამ ორ ახალ თაობათა შორის გ. წერეთელსაც დასურათებული აქვს თავის რომანში „გულქანი“.

15. (გვ. 56) ილია ჭავჭავაძე 60-იანი წლების ახალი თაობის ერთ-ერთ საუკეთესო მეთაურად ითვლებოდა. „საქართველოს მოამბის“ (1863 წ.) დახურვის შემდეგ იგი სახელმწიფო სამსახურში შევიდა და დიდი ხნის განმავლობაში დღუშეთში ითვლებოდა მომრიგებელ მოსამართლედ. დრო გამოშვებით მონაწილეობას ღებულობდა „დროებასა“ და „კრებულში“. 1875 წელს იგი აირჩიეს ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის დირექტორად, სავსებით დასცილდა ახალთაობის ჯგუფს და მათთან ცხარე კამათსაც ეწეოდა. თავისი სამოღვაწეო პროგრამით ილია ჭავჭავაძე ცდილობდა ძველი წყობილების ზოგიერთი ფორმები შეეგუებია ახალი კაპიტალისტური ვითარებისათვის; არსებითად თავისი იდეოლოგიით იგი გამოხატავდა პროგრესიულ თავად-აზნაურობის ინტერესებს; მისი პროგრამა კაპიტალიზმის პრუსიული გზის გამომხატველი იყო. 1876 წლიდან ჭავჭავაძე ცხარე კამათს აწარმოებდა ნიკოლაძის წინააღმდეგ, უმთავრესად საბანკო საკითხების გარშემო.

16. (გვ. 62) ანტონ კათალიკოზი (1719-88)-მე-XVIII საუკ. სასულიერო მოღვაწე და მწიგნობარი. რეაქციონური მოაზროვნე და ფეოდალურ-ეკლესიის იდეოლოგი. მას დიდძალი წიგნები აქვს შედგენილი და გადმოთარგმნილი ქართულად. მან უმაღლეს ხარისხამდე აიყვანა ჩვენში სქოლასტიურ-კლერიკალური აზროვნება და ფილოსო-

ფია. ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებშიაც ანტონმა სავსებით გაატარა ეს სქოლასტიურ-კლერიკალური თვალსაზრისი. ეს მისი შეხედულებანი დიდი ხნის განმავლობაში იყო გაბატონებული ქართულს ლიტერატურაში. როდესაც 60-იან წლებში ახალი თაობის ინტელიგენცია შეეცადა ჩვენს ლიტერატურაში განემტკიცებია ბელინსკის ესთეტიურ-შტილიტარული თეორია, ძველი თაობა ანტონის სქოლასტიურ-კლერიკალური თეორიით შეიარაღდა და დაუპირისპირდა მათ, ამიტომ ახალი თაობის წარმომადგენელნი სასტიკად ილაშქრებდნენ ანტონის თეორიების წინააღმდეგ.

17. (გვ. 63) რკინის გზის გაყვანას ჩვენში ფაქტიურად შეუდგნენ 1866 წლიდან და ფოთი შეუერთეს ტფილისს 1871 წელს. საერთოდ ტრანსპორტის მოწყობის საქმეს თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივი ხელისუფლება, რადგან ამას მოითხოვდა არა მარტო სტრატეგიულ-სამხედრო ინტერესები, არამედ რუსეთის კაპიტალის ინტერესებიც და მისი კოლონიალური პოლიტიკა: აკავკასიის ბაზრების დაპყრობა, მისი სავაჭრო ცენტრად გადაქცევა და ნედლეულობით სარგებლობა — რუსეთის კაპიტალის ძირეულ მოთხოვნილებებს წარმოადგენდა. რუსეთის კაპიტალის ამ ეკონომიურმა პოლიტიკამ გამოიწვია ამიერ-კავკასიაში ყოველგვარი ტრანსპორტის მოწყობის აუცილებლობა. ფოთის პორტად გამოცხადებამ 60-იან წლებში, ხელი შეუწყო „ცეცხლის გემის“ — საზღვაო ფლოტის გაძლიერებას და ამით სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას შავი ზღვით; იმავე პერიოდში დაიწყო ტელეგრაფის გაყვანა, რაც ხელს უწყობდა სწრაფი ურთიერთობის გაბმას მსოფლიო ბაზრებთან; ხოლო რკინის გზის გაყვანამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩვენი ეკონომიური განვითარების საქმეზე და გააცხოველა წარმოება და აღებ-მიცემა ჩვენში.

18 (გვ. 66) ნიკოლაძის მოგონებას — „ჩვენ ახალგაზღვობაში, რომელიც უნივერსიტეტებში ჩემ დროს (ე. ი. 1861—63 წ.) სწავლობდა, ხშირათ ყოფილა მოლაპარაკება საზოგადო საქმეზე და შრომაზე, ხშირათ შემოტანილა აზრი შეერთებაზე და შეერთებულ მოქმედებაზე“ აკაკიც ადასტურებს თავის დაუმთავრებელ რომანში „იმერლები“. აქ ავტორი აგვიწერს ჩვენი სტუდენტების ცხოვრებას 60-იან წლების დასაწყისში პეტერბურგში და მათ კრებებს, სადაც ისინი იხილავენ სამშობლოში მომავალ შეერთებულ მუშაობის გეგმებს (იხ. აკაკის „იმერლები“ — „დროება“ № 13, 14, 15, 16, 17, 18, 22, 23, 1875 წელი.) უდაოა, რომ ასეთს

მოძრაობას ჰქონია ადგილი ახალთაობაში, თუმცა მას არავითარი საგულისხმიერო შედეგი არ მოყოლია.

19 (გვ. 68) გაზ. „დროება — 1866-69 წლებში გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა; 1869-83 წლებში სერმესხის რედაქტორობით, 1883-85 წლებში ივ. მაჩაბლის. იგი პირველი სერიოზული ევროპული ხასიათის გაზეთი იყო ქართულ ენაზე. თავისი მიმართულებით ბურჟუაზიულ დემოკრატიული იყო. მის უახლოეს თანამშრომლებლად ითვლებოდნენ: სერ. მესხი, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, აკაკი წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, დ. შიქელაძე, შ. ჯაფარიძე, ივ. მესხი, პ. უმიკაშვილი, ნ. ინაშვილი, ვ. პეტრიაშვილი, პ. ცაგარელი, ან. ფურცველაძე, დ. ჩხოტუა, მ. ფაზელი, ალ. ჭყონია, დიმ. ბაქრაძე, რაფ. ერისთავი და მრავალი სხ. ნ. ნიკოლაძე „დროების“ უახლოეს თანამშრომლობას ეწეოდა 1869-73 წლებში და 1876-77 წლებში; 1877 წელს იგი დასცილდა სერ. მესხს და საკუთარი ორგანო „Орбис“-ი დაარსა.

20 (გვ. 69) ციურხში 70-ინი წლების დასაწყისში პატარა ქართული კოლონიაც იყო მოწყობილი ქართველ სტუდენტებისაგან, რომელთა ნაწილს კავშირი ჰქონდათ რუს და ფრანგ ემიგრანტებთან. 70-იან წლების დასაწყისში ქართველი ახალგაზრდობა ძლიერ გაიტაცა ევროპაში სწავლა-განათლების მიღების სურვილმა. ამ მხრივ მათზე ერთგვარი გავლენა მოახდინა პროფ. ი. თარხნიშვილის ლექციებმა. გ. წერეთელი თავის მოგონებაში გადმოქცევს:

„1871 წელს ივ. თარხნიშვილი ჩამოვიდა თფილისში და აქ რამდენიმე პუბლიკური ლექცია წაიკითხა კრუჟოკის დარბაზში, ექსპერიმენტალურ ფიზიოლოგიაზე... კრუჟოკის დარბაზში ტევა აღარ იყო მაყურებლებისაგან. განსაკუთრებით საინტერესოთ მიაჩნდათ ეს ლექციები მაშინდელს მანდილოსნებს. საოცარი მჭერმეტყველებით ჰფენდა ნათელს ახალგაზდა პროფესორი ი. თარხნიშვილი ყოველნაირს ფიზიოლოგიურ ფუნქციების განმარტებას. ამ დროს იმ ხანებში მთელს თფილისის საზოგადოებას მხოლოდ ახალგაზდა პროფესორის ნიჭიერებაზე ჰქონდა ლაპარაკი და უნდა ვთქვათ, რომ იმან კიდევ შეჰქმნა მთელი ეპოქა მიძინებულს თფილისის საზოგადოებაში. იმან აღძრა უმაღლესი სწავლის სურვილი მთელს ახალგაზდობაში, განსაკუთრებით დედათა სქესში. უმეტეს ნაწილად თ. ივ. თარხნიშვილის მჭევრმეტყველებას და ცოცხალ მეცნიერულ სიტყვას უნდა დაბრალდეს ის მოძრაობა, რომელიც აღმოჩნდა 1873 წელს

თფილისის ახალგაზდობაში. პირველი მაგალითი იყო რომ ამ წელს ერთმა გუნდმა ახალგაზდა ინსტიტუტ-ზავედენიას დასრულებულმა ქალებმა მოინდომეს საზღვარ გარეთ წასვლა უმაღლეს სწავლა-მეცნიერების მისაღებათ. (იხ. „კვალი“ № 12, გვ. 10, 1895 წ.)

ციურისის კოლონიის შესახებ სწერს თავის მოგონებაში ივ. ჯაბაძარიც. იგი 1874 წლის ივნისში ჩასულა ციურისში და გაცნობია იქაურ კოლონიას. რევოლუციონურად განწყობილ ივ. ჯაბაძარს არ მოსწონებია ამ კოლონიის შემადგენლობა და მათი მოღვაწეობის გეგმები. ივ. ჯაბაძარი სწერს:

„... ჩვენ დაგვხდა ციურისში მრავალრიცხოვანი ქართული კოლონია. იქ იმ პირების გვერდით, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზით ვერ მოესწროთ რუსეთში საშვალო სკოლის კურსი; იყვნენ უნივერსიტეტის დოცენტები (მელიქიშვილი, პეტრიაშვილი, თარხნიშვილი), იყვნენ სამსახურს გარეშე დარჩენილი გენერლებიც თავიანთი ოჯახებით.... ნაწილი ქართული კოლონიისა უკვე გადასული იყო ყენევაში; იქ იმდროს ცხოვრობდნენ დები ნიკოლაძეები, ქართველი მწერალი გიორგი წერეთელი, ახალგაზრდა თავადი ჩოლოყაშვილი, რომელიც ცხოვრობდა ერთობ სიმპატიურ კომუნარის მონტენგიუს ბინაზე; იქვე იყო დაღესტნის წარმომადგენელიც კი... მაჰომეტ-დოღმატი, აგრეთვე ჩემი ძველი გიმნაზიის წრიდან თავადი ალექსანდრე ციციშვილი. ციურისის ქართველმა ახალგაზრდობამ ჩემზე რამდენადმე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა; იგი თითქმის არაფერს არ აკეთებდა და სრულიად არ იყო გაცნობილი რუსეთის ნაროდნიკულ მოძრაობასთან, არამედ იმასთანაც, რაც ხდებოდა მათ თვალწინ ციურისში 1872-74 წლების შესანიშნავ პერიოდში... შვეიცარიის ამ ქართულ კოლონიაში, გარდა თავ. ალ. ციციშვილისა... ჩემი ყურადღება მიიქცია მეორე ახალგაზდამ, მეტად სიმპატიურმა და ცოცხალმა ელიოზიშვილმა; წინააღმდეგ სხვა ციურისის ქართველებისა, ისინი ორივე დიდად დაინტერესებულნი იყვნენ რუსეთის მოძრაობით და ძლიერ გატაცებულნი იყვნენ ბაკუნინის როგორც პიროვნებით ისე ნაროდნიკული პროპაგანდით; ისინი აგრეთვე ახლოს იცნობდნენ ზოგიერთ ფრანგ კომუნარებს.. ციციშვილმა და ელიოზიშვილმა გადმოგვცეს შე და ჩიკოაძეს, რომ ქართულმა კოლონიამ დაარსა აქ კავკასიის საზოგადოება

კავკასიის ყოველმხრივი შესწავლის მიზნით. ამ საზოგადოების საბოლოო მიზანი იყო—კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა.. დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ოცნება, რასაკვირველია შვეიცარიის მაგალითით იყო წარმოშობილი.„ (იხ. „Былосе“ № 8 გვ. 23-24, 1907 წ.)

ამ მოგონებასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ამ კოლონიის ზოგიერთ წევრთა მეთაურობით 1874 წელს ციურხისში მოწვეული იქნა ა/კავკასიის კონგრესი, რომელსაც ორმოცამდე ქართველი და-ესწრო, მათ შორის გ. წერეთელი, პ. მელიქიშვილი, ს. მესხი, ივ. მესხი, და მრავალი სხვა. იყვნენ სხვა ერების წარმომადგენელნიც. კონგრესზე ამ ჯგუფმა წამოაყენა ა/კავკასიის რუსეთიდან გამოყოფის აუცილებლობა და ფედერატიული რესპუბლიკის დაარსება. ამათ საწინააღმდეგოდ გამოვიდნენ ქართველი ნაროდნიკები (ივ. ჯაბაღარი, ალ. ციციშვილი, ელიოზიშვილი, ჩიკოიძე და სხ.); ისინი შოითხვდნენ რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობის მიღებასა და სოციალური ბრძოლის გაჩაღებას თვით-მპყრობელობის დასამხობად (იხ. იქვე, № 9.)

როგორც ვხედავთ, ციურხისის ქართველ საზოგადოებას გარკვეული პოლიტიკური პროგრამაც ჰქონია დასახული მიზნად. ეს პროგრამა შემუშავებული იყო გ.ა. „დროების“ ჯგუფის, — გ. წერეთლისა და სერ მესხის მიერ: იგი აშკარად გამოხატავდა ამ ჯგუფის ნაციონალურ-ბურჟუაზიულ მისწრაფებას.

21 (გვ. 70). აქ ლაპარაკია იმავე ციურხისის ქართველ კოლონიის მიერ დაარსებულ საზოგადოება „ულელზე“. ეს საზოგადოება დაარსდა 1873 წლის მარტში; ამ საზოგადოების მიზანი იყო ურთიერთ დახმარება და თვითგანვითარებისათვის ზრუნვა, მომზადება შომავალი საზოგადო მოღვაწეობისათვის. „ულელი“ თავისებური ლეგალური საზოგადოება იყო, მსგავსი რუსეთის უნივერსიტეტებთან დაარსებულ „ზემლიაჩესტვებისა“ ამ საზოგადოების დაარსების შესახებ გ.ა. „დროებაშიც“ იყო მოთავსებული ფელეტონი ციურხიდან (იხ. № 16, 1873 წ.). 1873-74 წლებში ამ „ულელში“ მხურვალე მონაწილეობა მოიღეს გ. წერეთელმა და სერ. მესხმა. მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ოფიციალურად ეს საზოგადოება პოლიტიკურ საკითხებს არ ეხებოდა და მარტო თვითგანვითარებითა და ურთიერთ დახმარებით კმაყოფილდებოდა.. რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ კავკასიის კონგრესის მოწვევას, იგი ოფიციალურად არ უნდა ყოფილიყო ამ „ულელის“ მიერ მოწვეული. მე ვფიქრობ მისი ინიციატივა უნდა ეკუთვნოდეს სერ. მესხსა და გ. წერეთელს.

ჩვენ ხელთ ამჟამად არის „უღელის“ 1873 წლის მარტის სამი პირველი სხდომის ოქმი. გავაცნობთ მკითხველს რამოდენიმე ადგილს ამ ოქმებიდან.

„9 მარტს, 1873 წ. ციურიხში მცხოვრები ქართველი მოსწავლეები შეიკრიბნენ იმ კითხვის გამოსაკვლევლათ, თუ რა და რანაირად შეიძლება იმათგან ერთი ისეთი წრის და საზოგადოების შედგენა, რომელშიაც, როგორც ახლანდელ მოსწავლეებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება ევრეთვე ახლად მოსულესაც და საზოგადოთ ყველა ქართველ მოსწავლეებს, რომელნიც სწავლის მისაღებათ საზღვარ გარეთ არიან წამოსულნი. სხდომას შეადგენდნენ: ოლ. გურამი-შვილისა, პელ. ნაცვლიშვილისა, ოლ. ნიკოლაძისა, ეკ. ნიკოლაძისა, ბოგ. ზემიანსკისა; ვლ. ინანაშვილი, პავ. იზმაილოვი, დავ. ქადაგიძე, ალ. სუმბათაშვილი და ივ. სესხი.—ამ მათი მოლაპარაკების დედა აზრი და შედეგი:—

ჩვენებურ ყმაწვილებს, რომელნიც სამზღვარ გარეთ მოდიან სწავლის მისაღებათ, საზოგადოთ ძრიელ შევიწროებული მდგომარეობა ხვდება, როგორც სწავლის მისაღებასპარეზზე, აგრეთვე მატერიალურის მხრითაც.—იმათ თითქმის ყოველთვის ეკარგებათ სამშობლოსთან შემაერთებელი კავშირი, რომლითაც შესაძლებელია — ერთის მხრით სამშობლოიდან დახმარების და ხელის მოწყობის მიღება, და მეორეს მხრით იმ ხალხის და ქვეყნის გაცნობა, რომელშიაც იმათ სწავლის დასრულების შემდეგ მოქმედება და ცხოვრება დასჭირდებათ.—ამასთანავე იმათ ურთიერთშორის საკმაო მსვლელობა და დაახლოება არა აქვთ, ერთმანეთზე საკმაო გავლენა ვერ მოუზოვებიათ, რომ ერთმა მეორეს სწავლის მიღება და გონების გახსნა გაუადვილოს რჩევით, წყაროების ჩვენებით, ერთმანეთის დახმარებით და სხვ.—რადგანაც ერთად სწავლა თითოეულს წევრს მის საქმეს უადვილებს, ხანგრძლივ შთაბეჭდილებას (იძლევა) და უფრო სასარგებლოა, ეს ახალგაზდები ჰფიქრობენ, რომ სასურველი იქნება იმათ შუა ისეთი საზოგადოების დაარსება, რომელშიაც თითოეულ წევრს ერთი რომელიმე სწავლის ან განყოფილების მითვისება შეეძლოს და დანარჩენი წევრებისათვის არჩეულ საგანზე თავისი ცოდნის და შეძენილი ცნობების გარდაცემა.—რაკი ეს დანარჩენი წევრები მის ნაწარმოებს განიხილავენ და თავის მხრით შეავსებენ და შეასწორებენ—ეს ნაწარმოები

თფილისში გაიგზავნება—ქართული გამოცემების რედაქციაში, ან და ცალკე წიგნებათ დასაბეჭდავათ. ამნაირათ შეერთებული შრომა იმ მხრივ გამოსადეგი იქნება, რომ თითოეული, ახალგაზრდას შეეძლება, როგორც თავისი საკუთარი საგნის შესწავლა, ეგრეთვე დანარჩენი წევრების საგნების და სწავლის სდენა, მათი შრომის ნაყოფის მიღება, ერთი სიტყვით თითქმის მთელი ეხლანდელი ცხოვრების და მეცნიერების გარდათვლიერება და გაცნობა. ამასთანავე მათი ნაშრომი ჩვენი საზოგადოებისათვის და ლიტერატურისათვისაც სასარგებლო გახდება და უფრო ვაადვილებს საზოგადოების მხრით მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ხელის გაწყობას.—“ (იხ. პირველი სხდომის ოქმი, 9 მარტის 1873 წ.)

როგორც მკითხველი ხედავს „უღელი“ უბრალო თვითგანვითარებისა და ურთიერთ დამხმარე წრე იყო. იგი არავითარ პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავდა და არც ამის შესაფერისი პროგრამა ჰქონდა შემუშავებული. აღსანიშნავია, რომ იმავე ხანებში ციურხში დაარსებულა სომეხ ახალგაზრდობათა მსგავსივე საზოგადოება: ოქმებში ვკითხულობთ:

„რადგანაც უფ. პავ. იზმაილოვმა გამოაცხადა, რომ ციურხშივე ეხლა არსდება სომეხების ახალგაზრდობის საზოგადოება, და ამას უფ. ინანაშვილმა დაუმატა, რომ საჭიროა ამ საზოგადოებასთან ხეირიანი განწყობილება დაიკავოს ქართველმა მოსწავლეებმა, ის აზრი მიიღეს რომ საჭირო და სასარგებლო იქნება სომეხების საზოგადოებასთან ისეთი მისვლა მოსვლის და განწყობილების გამართვა, რომელსაც საგნათ შემდეგი საქმეები ჰქონდეს: 1) საერთო ბიბლიოტეკის გაწყობა იმ თხზულებებისაგან, რომელნიც ევროპიულ ენებზე შეეხებიან კავკასიას და საზოგადოთ წინა აზიას; 2) ერთმანეთისთვის მუდამ ჩვენება ორივე ხალხის ლიტერატურის და ისტორიის წარმატებისა და მდგომარეობის; 3) ერთად შედგენა ცნობაებისა წინა აზიაზე ევროპიულ ლიტერატურისათვის; 4) ერთმანეთისთვის ჩვენება იმ წყაროებისა და ცნობაებისა, რომელნიც შუა-აზიის გაცნობას და შესწავლას შეეხებიან“ (იქვე).

ასეთი არის საზოგადოება „უღელი“. ნიკოლაძეს ამ საზოგადოების გეგმები და საქმიანობა სისწოროთ აქვს გადმოცემული.

22 (გვ. 76). „თუ კი აწმყო არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია“, ამოღებულია ილია ჭავჭავაძის ლექსიდან „ჩემო კარგო ქვეყანავ“,

რომელიც დაწერილია 1872 წელს, 15 სექტემბერს. შემდეგში მოყვანილბ ადგილი ცოტა ცვლილებით დაიბეჭდა.

23 (გვ. 77) ჟურნალი „მნათობი“ (1869 — 72) გამოდიოდა ნ. ავალიშვილის რედაქტორობით. ჟურნალის უმთავრეს თანამშრომლებად ითვლებოდნენ: აკაკი წერეთელი, გ. იოსელიანი (წყალტუბოელი), მოსე ქიქიძე, ნ. ინაშვილი, გრ. თარხან-მოურავი, ანტონ ფურცელაძე (ზურაბ მოენიძე), ინგილო-ჯანაშვილი, ნ. ლომაური, ი. ბაქრაძე, თორელი, კუხელი, სვიმონ მგალობელი, დიმ. ბაქრაძე, ნ. ავალიშვილი და სხვები. თავისი მიმართულებით ეს ჟურნალი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო; ხშირად იბეჭდებოდა ან. ფურცელაძის ნაროდნიკულ-უტოპიური ხასიათის წერილები. ჟურნალში დაიბეჭდა ნ. ინაშვილის შესანიშნავი წერილი „ქალთა განთავისუფლების“ შესახებ. „დროებას“, „კრებულსა“ და „მნათობს“ შორის ცხარე კამათი სწარმოებდა. განსაკუთრებით გაამწვავა მათ შორის ურთიერთობა და კამათი ან. ფურცელაძის კამათში ჩარევამ.

24. (გვ. 77) 1870 წლის „მნათობის“ პირველი ნომერი გამოვიდა დავიანებით.

25. (გვ. 77) ანჩისხატის უბნელის ფსევდონიმით სწერდა ცნობილი ჟურხალისტი პეტრე უმიკაშვილი (1838 — 1904 წ.). ის წერდა აგრეთვე მ. პეტრიძისა, უ, პ, პ-ძისა და სხვა ფსევდონიმით. უმიკაშვილი ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო 60-იანი წლების ახალთაობის ინტელიგენციისა. „საქ. მოამბეში“ იგი კორექტორის მოვალეობას ასრულებდა; შემდეგში ჟ-ლ „დროებისა“ და „კრებულს“ უახლოეს თანამშრომელად ითვლებოდა. 1873—80 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა „სასოფლო გაზეთი“, რომელიც 1868 წელს დაარსა გ. წერეთელმა. 1877 წლიდან იგი ი. კავკავაძის „ივერიაშიც“ თანამშრომლობდა. დიდი დამსახურება მიუძღვის უმიკაშვილს ძველი კლასიკური ლიტერატურის გამოცემის საქმეში; იგი დიდი ხნის განმავლობაში კრეფდა სახალხო სიტყვიერების ძეგლებს: მის კალამს ეკუთვნის მრავალი საინტერესო პუბლიცისტური ხასიათის წერილები; იგი ნათლად გრძნობდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების საკიროებასა და ბურჟუაზიული წყობილების დამკვიდრების აუცილებლობას (იხ. მის შესახებ კრებული: „პ. უმიკაშვილის სახსოვრად“ და მისივე „ავტობიოგრაფია“ „ივერია“ № 123, 1904 წლის).

ნიკოლაძის მიერ დასახელებული წერილი პ. უმიკაშვილისა დაბეჭდილია „დროებაში“ № 8, 1870 წელს და ეხება ქართულ წარმოდგენას.

ამ წერილის საპასუხოდ წერს „მნათობში“ ა. კუხელი წერილს: „რამდენიმე სიტყვა ამ წლის ყველიერის ქართულს წარმოდგენაზედ და „დროების“ ფელეტონისტის — უ. ახის-ხატის უბნელის აზრზედ ამ წარმოდგენის შესახებ“ (იხ. „მნათობა“ № 1, 1870 წ.)

26. (გვ. 78) ნიკოლაძის საწინააღმდეგოდ დაწერილი პასუხის სათაურია: „დროების ბიბლიოგრაფიის შესაფერისი ბიბლიოგრაფია“ (იხ. „მნათობი“ № 2, 1870 წ.).

27. (გვ. 78) „მნათობის“ პირველ გვერდზე ეპიგრაფად მოყვანილი იყო ი. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის ლექსებიდან შემდეგი ადგილები:

ჩვენ უნდა ვზობოთ ჩვენი მყობადი.

ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს:

არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს.

იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს...

28. (გვ. 79) მოსე ქიქოძე, იმ ხანებში მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, უახლოესი თანამშრომელი იყო უტრნ. „მნათობისა“. აქ მან მოათავსა რამოდენიმე წერილი: 1) „საქართველოს მომავალი“ (№ 1, 1870 წ.), 2) „გზებისა და ბოგირების მნიშვნელობა“ (№ 3, 4, 1870), „სუსტი ჭკუის ამაცობა“ (№ 1, 1871 წ.) და სხ. შემდეგში იგი ჩამოსცილდა მწერლობას და უმთავრესად ვექილობის პრაქტიკას მისდევდა. 900-იან წლებიდან იგი მიემხრო ფედერალისტების პარტიას, 1912 წელს ამავე პარტიამ ქუთაისში კანდიდატად წამოაყენა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს. გარდაიცვალა 1914 წელს (იხ. „თემი“ № 163, 1914 წ.).

მოსე ქიქოძე თავის წერილებში უმთავრესად ჯონ-სტუარტ-მილის ლიბერალურ-სოციალისტურ აზრებს ეყრდნობოდა, იგი ნათლად გრძნობდა, რომ საქართველოში დაწყებული იყო სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება და მას ეს სასარგებლოდ მიიჩნდა. მაგრამ მას სურს ამ კაპიტალიზმის განვითარებას ასოციაციურ-კოოპერატიული ფორმა მისცეს. მას მეტის მეტად აფიქრებს პროლეტარიატის გაზრდა ჩვენში და მისი მოწესრიგების პრობლემასაც აყენებს. ქიქოძე ფიქრობს, რომ „გლეხობა არ უნდა დავაგდოთ უმიწოთ“. „ჩვენთვის დიდი ბედნიერება იქნება, რომ სიღარიბის (გაპროლეტარების) აცილებას ახლავე შეუდგეთ“ (იხ. „მნათობი“ № 1, გვ. 52, 1870 წ.). მაგრამ მას აქვს მეორე საშვალეზაც სიღარიბის მოსასპობად: ეყრდნობა რა მილის აზრებს, ქიქოძე წერს: „თუ რომ ჰსურთ ფულის პატრონებს, რომ მუშებმა იმათი კაპიტალი (თანხა) სინდი-

სიანად აწარმოონ, იმათ, კაპიტალისტებმა, შემოსავალშიაც წილი უნდა დაუდონ მუშებს და არ დააჯერონ მართოქირას. ეს აზრი მეტად საფუძვლიანი არის“ (იხ. „მნათობი“ № 1, გვ. 46—47, 1870 წ.). როგორც მკითხველი ხედავს, ქიქოძე თავისებურ ლიბერალურ-ბურჟუაზიულად სწყვეტდა მუშათა საკითხს. მის წერილებში უკვე სჩანს გარკვეული შიში საქართველოში პროლეტარიატის წარმოშობისა და მისი მომავალი ბრძოლების წინაშე. ქიქოძემ ნიკოლაძეს ვრცელი პასუხი დაუწერა (იხ. „სუსტი ჭკუის ამყობა“ № 1, 1871 წ.), რასაც მოყვა ნიკოლაძის პასუხის პასუხი.

(29. გვ. 80) ნაშდვილ სწავლულების ქვეშ ნიკოლაძე გულისხმობდა ევროპის უტოპისტ-სოციალისტებს. მაშინდელი ცენზურული პირობების გამო შეუძლებელი ხდებოდა სიტყვა სოციალიზმისა და სოციალისტების ხმარა პრესაში. ამის ნაცვლად ხმარობდნენ: მასწავლებლები, სწავლულები და სხვა.

30. (გვ. 84) მილის „პოლიტიკური ეკონომიის“ რუსული თარგმანი 60-იან წლებში ორჯერ გამოვიდა: პირველად 1860 წელს ჟურნალ „სოვრემენიკში“, და მეორედ 1865 წ. ცალკე ორ ტომად. მილის აღნიშნული წიგნი სთარგმნა ნ. ჩერნიშევსკიმ და ზედ დაურთო თავისი შესანიშნავი კომენტარიები, რომლის შესახებაც კ. მარქსი წერდა, რომ ჩერნიშევსკიმ ზედმიწევნით გააკრიტიკა ბურჟუაზიული აზროვნებაო. ამ კომენტარიებში ჩერნიშევსკიმ მილის ბურჟუაზიულ-ლიბერალური აზრები და თეორიები უტოპიურ-სოციალისტურ შეხედულებებით შესცვალა; ე. ი. არსებითად გადაამუშავა მილის თეორიები. ამ შენიშვნებმა უდიდესი გავლენა მოახდინა რუსეთის ინტელიგენციის რევოლუციონურ ნაწილზე; „კომენტარიების“ სახით, იმ ხანებისათვის ამ ინტელიგენციას საუკეთესო სოციალისტურ პოლიტიკური ეკონომიის დებულებანი მიეცა ხელში. 1865 წელს, როდესაც მეფის ჯალათებმა ჩერნიშევსკი უკვე კატორღაში გაგზავნეს, გამოვიდა ა. პიპინის ხელმძღვანელობით მილის ორივე ტომი ჩერნიშევსკის მიერ ნათარგმნი, მაგრამ მთარგმნელის აღუნიშნავად და აღნიშნული კომენტარიების მოხსნით. ამიტომ არის, რომ ნიკოლაძე მიუთითებს მილის წიგნის 1860 წლის გამოცემაზე.

31. (გვ. 84) ჰელვეციუსი (1715 — 1771) — საფრანგეთის XVIII საუკ. მატერიალიზმის საუკეთესო წარმომადგენელი. თავის მოძღვრებაში იგი გამოდის ბუნების მატერიალისტურ გაგებიდან; მაგრამ ვერ იძლევა თანმიმდევნო-მატერიალისტურ თეორიას საზოგადოების შესახებ და წინააღმდეგობაში ვარდება.

32. (გვ. 84) ჰოლბახი (1723—1789) — ფილოსოფოსი-მატერიალისტი. მის ნაწერებში ყველაზე უფრო მკვეთრად და დამთავრებულად არის წარმოდგენილი XVIII-ე საუკუნის მექანიკური მატერიალიზმი. თავის შესანიშნავ „ბუნების სისტემაში“ ჰოლბახი შეეცადა გაეტარებია მექანიკური მატერიალიზმის პრინციპი.

33. (გვ. 84). ბენტამი (1748—1832) ინგლისელი მეცნიერი, დამაარსებელი უტილიტარიზმისა. შორალის გამოსავალი პუნქტია — სარგებლიანობა, გონება განსაზღვრავს ამა თუ იმ მოვლენის სარგებლიანობას. ბენტამიზმს საფუძვლად ედგა: „საერთო კეთილდღეობა ყველაზე უფრო ბედნიერებაა, ყველაზე უფრო მეტ მცხოვრებლებისათვის“. იგი პოლიტიკაში ბურჟუაზიულ დემოკრატიას უჭერდა მხარს. ნიკოლაძე იზიარებდა უტილიტარიზმის თეორიას.

34. (გვ. 86) როგორც მკითხველიც შეამჩნევს, ტექსტში წინადადება დამთავრებული არ არის. ცხადია, რომ აქ ცენზორის მიერ არის ადგილი ამოღებული. საჩხერის სკოლის შესახებ „დროებაში“ ვკითხულობთ.

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ სოფ. საჩხერეს, საცა კეთილშობილები აგრეთვე თავის ხარჯით მართავენ შკოლას, არ აპირებენ გლეხების მიღებას შკოლაში. „გამჭურული ყაძახის შვილს ჩემი შვილი როგორ ამოუჯინო გვერდშიო“? — იძახის თურმე იქაური თავად-აზნაურობა. ღმერთმანი, დროა დავანებოთ თავი ამისთანა ხეპრულ ამპარტავნობას და შთამომავლობით ტრახახობას. რით ვერ გავიგეთ ამდენი ხანი, რომ თავადის და აზნაურის შვილობა კაცს არავითარ ღირსებას არ აძლევს“?! (დროება“ № 19, 1870 წ.).

ამ ციტატებიდან ნათელი ხდება ნიკოლაძის აზრი: ბატონყმობის მოსპობით არ მოსპობილა მუქთამქამელები და არც სოციალური განსხვავებანი.

35. (გვ. 87) როგორც ცნობილია, შ. რუსთაველის სიტყვები: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“ ი. ჭავჭავაძეს მოყვანილი აქვს პოემა „კაკო ყაჩაღის“ ეპიგრაფად. ნიკოლაძე საფუძვლიანად ეკამათება ი. ჭავჭავაძეს, რომელიც ფიქრობდა, რომ „რუსთაველი მეთორმეტე საუკუნეში ბატონ-ყმობის მოსპობას ქადაგებდა“.

36. (გვ. 88) მილხ (1806—73) ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და ფილოსოფოსი. იმ ხანებში მისი წერილები ხშირად ითარგმნებოდა ჩვენში. მას ხშირად იხსენიებდნენ და იმოწმებდნენ ჩვენს ლიტერატურაში. ჩვენს ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში მილხ

მიმდევრები ყავდა. გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ „პოლიტიკო-ეკონომიურ შეხედულებაში ის („დროების“ დასი) ემხრობოდა უფრო პოლიტიკო-ეკონომისტის მილის თეორიას“ (იხ. „კვალი“ № 46, 1897 წელი).

37. (გვ. 88) დ რ ე პ ე რ ი (1811—82) ამერიკელი ბუნების მეცნიერი და კულტურის ისტორიკოსი. იდეოლოგი და პანეგირიკი ახალგაზრდა ამერიკული სამრეწველო ბურჟუაზიისა; ლამარკისტი. იგი სცნობს ისტორიული პროცესის კანონშეწონილებას! მაგრამ მას საფუძვლად უდებს ფიზიკურსა და ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს. დრეპერი საზოგადოების უმაღლეს წარმატებას გონებრივ პროგრესში ხედავდა. დრეპერი თავისი უხეშ-ბიოლოგიური თეორიით აიგივებდა, ისტორიული პროცესის განმარტების დროს, ხალხთა ისტორიას ადამიანის განვითარებასთან. დრეპერთ ძლიერ დაინტერესებული იყო რუსეთის რადიკალური ინტელიგენცია. ჩვენში მის შესახებ ხშირად სწერდა ან. ფურცელაძე.

38. (გვ. 83) ბ ო კ ლ ი (1821—62) ინგლისელი სოციოლოგი. მიმდევარი იყო კონტის პოზიტივეური ფილოსოფიისა. თავისი პოლიტიკური სოფლმხედველობით ბურჟუაზიული რადიკალი იყო და მომხრე დემოკრატიული წყობილებისა.

39: (გვ. 88) „მნათობის“ თანამშრომელი ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი — (1840—1905 წ.) უახლოეს თანამშრომლობას ეწეოდა „დროება-შიაც“, შემდეგ იგი „ივერიის“, „მომამის“ და სხვა ორგანოების თანამშრომელიც იყო. „მნათობში“ მას მოთავსებული აქვს საინტერესო წერილი: „კაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსარი ცხოვრების გაფაჩიზებისა და სიმდიდრის მოპოვებისა,“ („მნათობი“ № 4 და სხ. 1869 წ.). „დროებაში“ იბეჭდებოდა უმთავრესად მისი კორექსონდენციები და პოპულიარული წერილები საქართველოს ისტორიიდან. (იხ. მოსე ჯანაშვილის წერილი: „დიმიტრი ჯანაშვილი“ — „განათლება“ № 3, 6, 7, 1917 წ. და სხ.).

40. (გვ. 88) გ ა ბ რ ი ე ლ ი (1825-1895 წ.) ეპისკოპოზი იმერეთისა, გვარად ქიქოძე. დაამთავრა პეტერბ. სასულიერო აკადემიის კურსი, მაგისტრის ხარისხით, 50-ან წლებში ტფილისის სემინარიაში ასწავლიდა ფიზიკას. 1860 წლიდან იგი განაგებდა იმერეთის ეპარქიას. მისი ორტომიანი ქადაგებანი სამჯერ გამოვიდა ქართულად, აგრეთვე გადაითარგმნა ინგლისურად და გამოიცა ლონდონში. მასვე ეკუთვნის შრომა: „Основания опытной психологии“ (1858 წ.). მისი ქადაგებანი თითქმის ყოველ თვე იბეჭდებოდა ჟურნ. „ცისკარში“. გაბრიელი ნათლად ხედავდა მემამულეებისა და სასულიერო წოდების

დაცემას და გახრწნას; მთელი მისი ქადაგება მიმართული იყო იქეთ-კენ, რომ აღედგინა მათში ძველი ზნეობრივი პრინციპები და გადაერჩინა ეს წოდებანი სრულს განადგურებას. თუ დ. ყიფიანი ეკონომიურ ღონისძიებებითა და საბანკო პოლიტიკით ცდილობდა ამ წოდების აღდგენას, გაბრიელი ძველი საეკლესიო მორალით ფიქრობდა ამ მიზნების ძილწევას. პოლიტიკურ-ნაციონალურ საკითხში იგი ენერგიულად იცავდა რუსეთის თვითმპყრობელობის იდეას და სამშობლოს დაცვის პროგრამას. მას ხშირად უხდებოდა შეხლა-შემოხლა რუსის ჩინოვნიკების რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი რეაქციონურ-კლერიკალური აზროვნების საუკეთესო გამომხატველი იყო (მის შესახებ მ. კელენჯერიძემ ვრცელი წიგნი გამოუშვა 1913 წ.: „გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრება და მოღვაწეობა“ ტ. I, რომელიც მის ხოტბას შეიცავს იხ. ახრეთვე წიგნაკი: „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“ 1895 წ.).

41. (გვ. 90) საქართველოს ეკლესიის ისტორია რუსულად დასწერა და გამოსცა 1845 წელს ცნობილობა პლატონ იოსელიანმა (1809—1875), რომელიც ტიპიური რეაქციონური მწერალი იყო და ერთგული მოხელე რუსეთის თვითმპყრობელობისა.

42. (გვ. 93) აქ ლაპარაკია „მნათობის“ 1869 წლის დეკემბრის ნომერში (№ 9—10, გვ. 12—14) „დროებიდან“ გადაბეჭდილი ცნობილ მწერალის ლავრენტი არდაზიანის (1818—70) ნეკროლოგის შესახებ. ნეკროლოგი მოთავსებულია 1870 წ. „დროების“ პირველ ნომერში და ეკუთვნის (უმიკაშვილს).

43. (გვ. 94) აქ ნიკოლაძეს მხედველობაში აქვს თავისი საზღვარ-გარეთ ყოფნა სწავლის გასაგრძელებლად 1863—1868 წლებში. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, ამ ხნის განმავლოვაბაში იგი საქართველოში არ ჩამოსულა.

44. (გვ. 97) ბეჟან ხამასურიძე — ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი იყო 60-იანი წლების ახალი თაობის ჯგუფისა. იგი სრულიად ახალგაზრდა გადაიცვალა 1869 წელს პეტერბურგში. მის შესახებ ერთ-ერთ ნეკროლოგში ნიკოლაძე წერს: „შარშან (1869 წ.) მარიამობის თვეში, მოკვდა პეტერბურგს ბეჟან ხამასურიძე, რომლის გულში არც ერთხელ არ გაუვლია არც ერთ მდაბალ* გრძნობას... მისი ახალგაზრდობა — რომლითაც ჩვენ ხალხს როდესმე თავის მოწონება შეეძლებოდა — სიღარიბესთან ბრძოლაში გაჰქრა და მის ნახევრამდი წყლით ავსებულ საფლავში გამბედავი, ნიჭიერი და საზოგადოებისათვის თავდადებული გული დაიმრხა“ („დროება“ 1870 წლის, 14 ნოემბრის ნომერი და ნიკ. ნიკოლაძის ნაწერი, ტ. I, გვ. 134—5, 1878 წ.). ხამასურიძის შესახებ

ხშირად ვხვდებით ცნობებს 60-იანი წლების მოღვაწეთა მიწერ-მოწერებში.

45. (გვ. 90) წლევეანდელმა ომმა — იგულისხმება საფრანგეთ-პრუსიის 1870 წლის ომი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ომისა და საერთოთ საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ საყურადღებო წერილები იბეჭდებოდა იმ ხანების „დროებაში“. უმთავრესად ამ საკითხებზედ წერდნენ ნიკოლაძე, ს. მესხი, დ. მიქელაძე (მეველე), ბ. ჯაფარიძე და სხვები. ნიკოლაძის წერილები უცხოეთის შესახებ მოთავსებული იქნება შემდეგს ტომში.

46. (გვ. 100) გაზ. „დროების“ ხელისმომწერთა რიცხვი იმ ხანებში მცირე იყო. 1866 წ. გაზეთს ყოლია 40-დე ხელისმომწერი; 1867 წ. — 350; 1868 წ. — 330; 1869 წ. — 300; 1870 წ. — 243 წ. (იხ. „დროება“ № 2, 1871 წ. გრ. თარხან-მოურავის წერილი). რასაკვირველია, შემდეგ ხანებში ხელისმომწერთა რიცხვი გაიზარდა. მკითხველმა არც ის უნდა დაივიწყოს, რომ გაზეთი კერძოთაც იყიდებოდა.

47. (გვ. 101) იმ ხანებში თავად-აზნაურობათა კრებები უმთავრესად ორი გარემოების გამო იკრიბებოდა: ერთი — მარშლების ასარჩევად და მეორე — საბანკო საქმეების გამო. თავად-აზნაურთა საკრებულო ვიწრო წოდებრივ ორგანიზაციას წარმოადგენდა და ამ კრებებზე ირჩეოდა წმინდა წოდებრივი საკითხები, რომლის დროსაც მეტად ცხარე კამათი იმართებოდა სხვადასხვა თავად-აზნაურთა „პარტიებს“ შორის. „დროებაში“ ხშირად იყო მოთავსებული ანგარიში ამ კრებების შესახებ. გ. წერეთელმა თავის „გულქანში“ საუცხოვოდ დაგვისურათა 60—70-იანი წლების თავად-აზნაურთა კრებებზე წარმოებული უპრინციპო დავა სხვადასხვა ჯგუფთა შორის.

48. (გვ. 106) როგორც აღვნიშნეთ, „დროებას“ და „მნათობს“ შორის ცხარე კამათს ჰქონდა ადგილი. მაგრამ ეს კამათი უფრო გამწვავდა, როცა „მნათობში“ თანამშრომლობა დაიწყო ანტ. ფურცელაძემ, რომელიც ცხარე კამათს აწარმოებდა პირადად ნიკოლაძის, გ. წერეთელისა და სერ. მესხის წინააღმდეგ (იხ. „მნათობი“ მისი წერილები: „კრებულ-დროებას“, „ათი მტერს, ერთი მოყვარეს“, „საწყალი კულაბზიკა“ და სხვ. (მათ შორის კამათი პირადობაზედაც გადავიდა).

49. (ავ. 107) ეს წერილი, დაწერილი 1873 წლის ნოემბერში, ერთგვარი გამოსათხოვარი უსტარი იყო ნიკოლაძისა; მის წინააღმდეგ მაშინ ზოგიერთი წრეები, განსაკუთრებით ლოლობერიძეები, სასტიკ კამპანიას ეწეოდნენ. ამის შემდეგ მან „დროებაში“ ცოტა ხანს ითანამ-

შრომლა და შემდეგ საზღვარგარეთ წავიდა. „დროებაში“ მას აღარ უთანამშრომლია 1876 წლის დასაწყისამდე, ამ ხნის განმავლობაში იგი უმთავრესად თანამშრომლობდა „Тифлиск. Вестник“-ში. საინტერესო არის, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ამ წერილმა — „მშვიდობით, მშვიდობით“ მაშინდელ მკითხველ საზოგადოებაზე. ერთი მხრივ, ხშირად იბეჭდებოდა იუმორისტული ხასიათის წერილები ნიკოლაძის წერილის მიბაძვით. მეორე მხრივ, ნიკოლაძის ახლო მეგობრები ძლიერ დაალონა ამ წერილმა, რომელიც ისე გაიგეს თიქოს ავტორი საესეებით ეთხოვებოდა ქართულ ლიტერატურას. აღსანიშნავია ი. ჭავჭავაძის პეტერბუგიდან, 1873 წლის 6 დეკემბრის თარიღით, გამოგზავნილი წერილი. იგი სწერდა:

„ძმაო ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება, — წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა. ნუ თუ მართლა შენ დაჰსწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი აწერია ქვეშ? ნუ თუ მართლა შეუშინდი ჭიალუებს და იმათს ბზუილზე გაფრთხი? მე იმდენად შენ პატივსა გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ. არ დავიჯერებ, რომ შენისთანა საიმედო კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრიყვოს... ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ, სად? იქით, ამბობს შენი ფელეტონი, საცა უკეთესი ცხოვრებააო. არა, ერთი მითხარი, მაგას ლუარსაბ თათქარიძე კი ვერ იზამდა... მანდ საკვირველი ის არის, რომ შენისთანა კაცი ბრძოლას ექცევა და თბილ ოთახში აპირობს გადაგორ-გადმოგორებასა. მერე იცი რა კბილი ჩავარდება იმ რაზმს, რომელშიაც შენ ფალანათ გვეგულუბოდი ყველას, ვინც კი შენი თანახიარი იყო. ჯერ რიგიანი ბრძოლაც არ გამართულა და შენ კი ეხლავე გინდა თავს უშველო. ეგ ვერაფერი ძალგულოვანებაა. განა წინაღვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზე, რომელსაც შენ დაადეგ, ათასი ვაივაგლახი, ბეზლი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხედებოდა ჯილდოთ შენის შრომისა და მოღვაწეობისა?... თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ეგრე თამამად და უშიშრად იღწვოდი, თუ ის ყოველიფერი, რითაც შენ მოსაწონი ხარ, ქარის მოტანილი არ არის, ნუ აღასრულებ მას, რასაც გბიქადი. დარჩი მაგ უბედურს ქვეყანაში; მაგრე სამარცხვინოთ ბოლოს ნუ მოუღებ მას, რაც ეგრე რიგიანად შენ თითონ დაიწყე. დარჩი და იშრომე, — და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდათ შველა და არავის სხვასა“.

იმავე წლის „დროებაში“ (№ 404, 1875 წ.) პეტერბურგის სტუდენტობის სახელით დაიბეჭდა წერილი ნიკოლაძისადმი, რომელსაც ხელმოწერა აქვს „ჩვენ უჩინონი“. გაიხსენეთ, რომ იმ ხანებში — 1871-72 წლებში არალეგალური კამათი იყო „უჩინოთა“ და „ჩინოსანთა“ შორის. (იხ. ი. ჭავჭავაძის, აკაკის და გრ. ორბელიანის ლექსები) როგორც ჩანს, ამ წერილის ავტორი თვით ი. ჭავჭავაძე იყო. თვით რედაქცია შთაბეჭდილების შესამცირებლად წერდა „უფ. სკანდელი მხოლოდ რამოდენიმე მცირე ხნის ვადით მიდის საზღვარგარეთ. ის სრულებით არ სტოვებს სალიტერატურო ასპარეზს ამ ცოტა ხნის განმავლობაშიაც“. (იხ. „მკითხველებს“ „დროება“ № 400, 1873 წ.)

50 (გვ. 108) აქ ავტორს მხედველთაში ყავდა ციურხის საზოგადოება „უღელის“ წევრები.

51 (გვ. 114) დავით ქართველოვის წიგნაკი დაიბეჭდა 1875 წელს. მისი სათაურია: „საქართველო დავარდნილია (ჩვენი ახალი თაობის ვალი)“. წიგნაკი გამოუცდელი ჟურნალისტის ხელით არის დაწერილი, მაგრამ მასში აღძრულია ისეთი კითხვები, რომელიც აღელვებდა იმ პერიოდში არა მარტო ჩვენს მოწინავე ახალთაობის ინტელიგენციას, არამედ რუსეთის ნაროდნიკულად განწყობილ თაობასაც.

52. (გვ. 115) ნიკოლაძეს თავის წიგნში ქართველოვი ერთობ შკაცრად ეხება. იგი წერს:

„ჩვენი ჟურნალების მიმართულება — ცარიელი უაზრო ყვირილია, იმათი მოთავეების ხასიათი უმდაბლესი თავმოყვარეობაა და ტრაბახი... ესეთივე მიმართულება ჰქონდათ „მნათობს“ და „კრებულს“. აბეზარი სკანდელი (ნიკოლაძე) თვალს არ აშორებდა „მნათობსა“ და მისი უმთავრესი აზრი ის იყო, რომ როგორმე დაეხშო ისა და მისი გამოცემა დაეყენებია... სკანდელი სუნით ეძებდა „მნათობში“ იმის დამამცირებელს რასმეს და არ უშვებდა არც ერთ ხაზს, რომ უაზრო შენიშვნა არ მიეცა. მაგრამ დახვდა იმ მხრიდამაც კარგი ხასიათის კაცი. ეს იყო ანტონ ფურცელაძე, რომელიც კბილებს ამტვრევდა ყველა შემთხვევაში ამპარტავან სკანდელს: და ჩვენი გულკეთილი წრეც სკანდელისაკენ იყო, ის იმას ტაშს უკრავდა და ზეცამდისინ აჰყავდა. იმას მოსწონდა სკანდელის უაზროსიტყვების თამაშობა და ზოგს ფულიცა“... (დავით ქართველოვი: „საქართველო დავარდნილია“. გვ. 41—43, 1875 წ.).

53 (გვ. 116) ინტელიგენციის სოფელში მუშაობის შესახებ დ. ქართველოვი წერდა:

„ღირსეული ახალი თაობა, ნამდვილი პატრიოტი, ჩემის აზრით, უნდა ყურს უგდებდეს ყველა მხარეებს ხალხის ცხოვრებისას, საიდგანაც კი შეიძლება იმისი შველა და მდგომარეობის გაუკეთესება და ყველა ღონისძიებასა ხმარობდეს რომ შვევა მისცეს ყველა მხარის სნეულებას და ნაკლულევანებას.... გლესს გვერდით უნდა ჰყავდეს დამრიგებელი, რომელიც განუწყვეტლად ჩასჩინებდეს და მაგალითს აძლევდეს განათლებისას, ზნობისას, მხნეობისას და სხვ. ამისათვის საქართველოში სოფლესი საჭიროა ისეთი განათლებული და ნასწავლი ხალხი ჰყავდეს, რომლებიც უყოფნენ გლესის გრძობებსა, აჩვენებდნენ ყველა გზას და საშუალებასა, რომლებითაც შეიძლება იმათი მდგომარეობის გაუკეთესება და თვითონვე აძლევდნენ ამისათვის მაგალითსა—იმათთან სწავდნენ იმათთან სთესდნენ და სხვ.... მაშინ გავლენაც ექნებათ ახალი თაობის ჰაზრებსა და მიმართულებასა... მოგიწოდებთ მამულის მოყვარე პატრიოტებო, სამშობლოსათვის გულის შემატივარნო! ნუ თაკილობთ სოფლებში ცხოვრებას, აიღეთ ხელი ფულზედაც და მდიდრულ ჩაცმა-დახურვაზედაც, დაანებეთ თავი და დასთმეთ ბალში და კრუჟოკში სიარულიც... დაანებეთ ამ სულ ყველავერს თავი, გააჩინეთ საქართველოში ნაპერწკალი ნამდვილი თავისუფალი ცხოვრებისა და გამოიყვანეთ გონებით სიბნელისაგან ჩვენი ხალხი.—ეს არის ნამდვილი კაცობა, ეს არის ნამდვილი პატრიოტობა!“.

(იქვე გვ. 29—30—50).

54. (გვ. 119) როგორც ცნობილია, 70-იან წლების დასაწყისში რუსეთში აღმოცენდა მთელი რიგი რევოლუციონური წრეებისა და ფართოდ განვითარდა რევოლუციონურ-სოციალისტური პროპაგანდა. იმ ხანებში საზღვარგარედ გამოდიოდა ნაროდნიკული ჟურნალი „Вперед“—პ. ლავროვის რედაქტორობით; ჟურნალმა და ნაროდნიკულმა ორგანიზაციებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ხალხში გასვლა“; ამ ლოზუნგმა მოიცვა ნაროდნიკული ინტელიგენცია და სხვადასხვა რაიონებსა და სოფლებს მოედვენ გადაცემული რევოლუციონერები—ხალხში პროპაგანდის საწარმოებლად. რასაკვირველია ამ პროპაგანდამ ვერავეთარ საგრძნობ შედეგს ვერ მიაღწია, მაგრამ სამაგიეროთ დააფრთხო რეაქციონური მთავრობა და იმანაც სასტიკ ზომებს მიმართა. ნიკოლაძის წერილში აღნიშნული განათლების მინისტრის ცირკუ-

ლიარი ერთ-ერთი ზომა იყო რევოლუციონერების წინააღმდეგ მიმართული; უმთავრესი ბრძოლის საშუალებათ გამოყენებული იქნა ჟანდარმერია, ციხეები და კატორღა. იმ ხანებში სასტიკი ღვარძლიანობით ამეტყველდა ნაროდნიკების წინააღმდეგ ბურჟუაზიული და რეაქციონური ჟურნალ-გაზეთები. ნიკოლაძე თავის წერილში სწორედ ამ მომენტს ეხება.

55 (გვ. 121) ფურ იე (1672—1837) საფრანგეთის გამოჩენილ უტოპისტი, იგი უარყოფდა რევოლუციასა და კლასთა ბრძოლას. ფურიე პოლიტიკური ბრძოლის გარეშე, მშვიდობიანი გზით ცდილობდა სოციალიზმის განხორციელებას. მან წამოაყენა პატარა სოციალისტური თემების — ფალანგების დაარსების პროექტი.

56 (გვ. 121) ნაპოლეონ მეცამე — საფრანგეთის იმპერატორი, რომელმაც ისარგებლა 1848 წლის რევოლუციის კრიზისით, 1851 წელს მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და დაამყარა საფრანგეთში თავისი დიქტატურა: არსებითად იგი გამოხატავდა მსხვილ საფინანსო-სამრეწველო ბურჟუაზიის ბატონობას. ნაპოლეონი ხშირად მიმართავდა მუშებს მოწოდებით და მათი ინტერესების დამცველად აჩვენებდა თავს, მაგრამ მისი მეფობის პერიოდში ძალზე გაუარესდა მუშათა მდგომარეობა და გამძაფრდა კლასთა შორის ურთიერთობა. ნაპოლეონი ჩამოაგდეს 1870 წლის სექტემბერში, პრუსიასთან დამარცხებისას. ნიკოლაძე ხშირად წერდა ქართულ გაზეთებში ნაპოლეონის მოღვაწეობის შესახებ. შემდეგ ტომში დაიბეჭდება მისი ვრცელი წერილი „კრებულიდან“ ამის შესახებ.

57 (გვ. 122) პლატონი (428—348 ჩვენს ერამდე) — საბერძნეთის ფილოსოფოსი, იდეალიზმის დამაარსებელი ანტიურ ქვეყნებში. გარდა ფილოსოფიური ნაწერებისა, პლატონს აქვს დაწერილი „სახელმწიფო და კანონები“, რომელშიაც აკრიტიკებს საბერძნეთის მაშინდელ წყობილებას და ანვითარებს თავისებურ არისტოკრატიულ კომუნისტურ უტოპიას. მისი კომუნიზმი არისტოკრატიულ მიწადმფლობელური შინაარსისაა: იგი ქონების გაერთიანებას მოითხოვს გაბატონებული კლასისათვის.

58 (გვ. 122) სოკრატი (4703—99 ჩვენს ერამდე) — საბერძნეთის ფილოსოფოსი; თავისი შეხედულებით იგი ახლო იდგა არისტოკრატიასთან: იგი უმთავრეს ყურადღებას ეთიკის პრობლემას აქცევდა.

59 (გვ. 122) მონტესკიე (1689—1755) საფრანგეთის მწერალი, ავტორი თეორიებისა სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოვლენათა შესახებ. იგი იცავს ჰუმანიურ პრინციპებს, რწმენისა და სიტ-

ყვის თავისუფლებას, მის თეორიას დიდი გავლენა ჰქონდა თავის დროზე. იგი იყო აღრინდელი ბურჟუაზიული მოაზროვნე.

60. (გვ. 122) ენციკლოპედისტები — საფრანგეთის ფილოსოფოსები (ვოლტერი, მონტესკიე, რუსო და სხვ.). რომელნიც მონაწილეობას ღებულობდნენ 1751-72 წ. დიდროსა და დალამბერის რედაქციით გამოსულ ენციკლოპედიაში, რომელშიაც თავისი გამოსახულება ჰპოვა რევოლუციის წინა პერიოდის განათლებულ ბურჟუაზიის აზროვნებამ.

61 (გვ. 122) ვოლტერი (1694—1778) საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი — თავის კრიტიკულ და სატირულ წერილებში იგი თავს ესხმოდა კათოლიკურ ეკლესიას და სასახლის არისტოკრატიას.

62 (გვ. 122) რუსო (1712—1778) საფრანგეთის მწერალი, რომელიც ენციკლოპედისტთა რიცხვს ეკუთვნოდა. მან წამოაყენა თანამედროვე წყობილების საზოგადოებრივ ხელშეკრულებით წარმოშობის თეორია და იგი მკაცრად აკრიტიკებდა წერილ ბურჟუაზიის თვალსაზრისით თანამედროვე ცივილიზაციის უარყოფით მხარეებს და „ბუნებრივ მდგომარეობის“ აღდგენას მოითხოვდა.

63. (გვ. 125) არჩ (1826—1919) ინგლისის პოლიტიკური ნოღვაწე, ღარიბი გლეხის შვილი. ეწეოდა დაქირავებულ სასოფ.-სამეურნეო შრომას. მან გამოსცადა მოხეტიალე მუშის მთელი გასაქირი. 70-იან წლებში, ეკონომიური კრიზისების დროს, ის აგატაციას ეწეოდა სოფლის მუშებში, რომ შეეყიდათ მიწები მემამულეებისგან, რათა მათ ჰქონოდათ საკუთარი საარსებო წყარო. 1872 წელს დაარსა სას.-სამეურნეო მუშების ნაციონალური კავშირი. რამოდენიმე წლის განმავლობაში თემთა პალატის წევრად ითვლებოდა; იყო ლიბერალური პარტიის წევრი.

64. (გვ. 127) ორი წლის განმავლობაში (1874 და 1875 წლები) ნიკოლაძე აღარ თანამშრომლობდა „დროებაში“. ამ ხნის განმავლობაში იგი უმთავრესად რუსულად წერდა წერილებს, „თბილისის მოამბეში“ და დროგამომგებით ფრანგულადაც წერდა.

65. (გვ. 135) 1876 წელს ი. ჰავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის შორის ატყდა ცხარე კამათი საბანკო საკითხების გარშემო. პირველად კამათი სწარმოებდა გაზ. „დროების“ ფურცლებზე (იხ. № 35, 39, 47, 1876 წ.), შემდეგ გადავიდა რუსულ გაზეთ „ტფილისის მოამბეშიც“ (იხ. ნიკოლაძის წერილები „Наш кредит“ № 73, 75 „Практика земельного кредита“ № 103 „Jiat lux“ № 118, 119, 120, 121. ილია ჰავჭავაძის: „Письмо к редактору“ № 53; ნიკოლაძის საპასუხოდ დაწერილი, № 105, 106. „К чему и зачем“

№ 115, 116,) 1878—79—80 წლებში ნიკოლაძემ კამათი განაგრძო „ომ-ზორში“. აკაკის აღნიშნული წერილი დაბეჭდილი იყო „დროების“ № 55-ში. აკაკი წერდა:

„აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გამოსჯელით-სო“ ნათქვამია ანდაზად. სწორეთ ასეა უფ. ნიკოლაძისა და ჭავჭავაძის საქმე ბანკის შესახებ. მართალია, ჩვენ არც ერთი და არც მეორე აქლემივით დიდათ არ მიგვაჩნია და არც ბანკსა ვსთვლით კოზაკად, მაგრამ მაინც შინაურების ბრძოლა გარეულებს ღონეს მიჰმატებს და ფრთებს გამოასხამს... დღევანდელი ნიკოლაძისა და ჭავჭავაძის ბაასი მე მესმის კარგათ, თუ რისიც ბრალია; ვხედავ კარგათ ერთის ოინსა და მეორეს ნალველს; ეგებ ამ ნალველში მეც მედგას ფეხი, მაგრამ რა გაეწყობა!... ახლა თუ ამგვარი რამე არის ჭავჭავაძისა და ნიკოლაძის მოქმედებაში, ძალიან კეთილი იქნება და პატიოსანი მათის მხრით, რომ საზოგადო საქმეს, ესე იგი ბანკს, თავი დაანებონ და კერძოთ რამოდენიმე შუა კაცით გასამართლდენ“ (აკაკი: „უდროვო ბრძოლა“, „დროება“ № 55, 1876 წ.)

66. (გვ. 139) ბეს. ლოლობერიძე (1833—1879)—ერთ-ერთი მეთაური იყო 60-იანი წლების ქართველი სტუდენტობისა. იგი პირადად იცნობდა ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, ჰანთელეევს და ჰქონდა მათთან საქმიანი დამოკიდებულება. 1861 წელს სტუდენტთა არეულობის გამო იგი დააპატიმრეს და რამოდენიმე თვე იჯდა კრონშტატის ციხეში. 1876 წლიდან იგი იყო ქუთაისის თავად-ახნაურთა ბანკის თავმჯდომარე. ნიკოლაძე მის წინააღმდეგ 1873 წლიდან ცხარე პოლემიკას ეწეოდა.

67. (გვ. 139) როგორც ვწერდით, 1876 წელში საბანკო საკითხების გარშემო ცხარე კამათი ატყდა ილ. ჭავჭავაძესა და ნ. ნიკოლაძის შორის. ამ კამათმა გამოიწვია ი. ჭავჭავაძის გასვლა „დროების“ რედაქციის შემადგენლობიდან; ი. ჭავჭავაძის მომხრეები შეუდგნენ მზადებას ახალი გაზეთის გამოცემის შესახებ, და კრებაზე მოიწვიეს მაშინდელი ჩვენი ცნობილი პირები. გაზეთი მათ ესაჭიროებოდათ ბანკის ინტერესების დასაცავად. ამ ფაქტით უკვე გარკვევით დაუპირდაპირდა „დროების“ ჯგუფი და ი. ჭავჭავაძის ჯგუფი ერთი მეორეს. ასე დაიწყო ჟურნ. „ივერიის“ გამოცემის საქმე 1876 წელს. საინტერესოა მოუსმინოთ სერ. მესხსაც. იგი წერს:

„ამბობენ, რომ მომავალი წლიდამ ახალი ქართული გაზეთი გამოვა ჩვენშიო... რედაქტორობა ამ გაზეთისა თავ.

ილ. ე. ჭავჭავაძეს უკისრნია. თანამშრომლებს ურიცხვს ამბობენ: პეტერბურლის ქართული ენის პროფესორს უფ. ალ. ცაგარელს, ოდესის ქიმიის პროფესორს უფ. ვ. პეტრიაშვილს, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგებელს უფ. ბეს. ლოლობერიძეს, უფ. ნ. ქანანოვს, ი. გოგებაშვილს, ბეს. ჯაფარიძეს, დავ. ჩხოტუას და ბევრს კიდევ სხვა მცნობ და უცნობ პირებსა... ამნაირად, ჩვენს გაზეთს ახალი მოძმე ებადება. კეთილი იყოს იმის ჩასახვა ილ. ჭავჭავაძისა და ბეს. ლოლობერიძის აზრში. კეთილი იყოს იმის დაბადება! კეთილი იყოს, თუ ამ მომავალ ჩვენს მოძმეს მარტო და მხოლოდ ლიტერატურული ინტერესები ექნება მხედველობაში და არა სხვა რამე... მაგრამ რა ექნათ? ეჭვი ვერ მოგვიშორებია თავიდან. ის გარემოება, რომელმაც დაბადა ეს ახალი გაზეთი, რომელმაც უფ. ბეს. ლოლობერიძე და ილ. ჭავჭავაძე „აიძულა“, რომ ქართული გაზეთის გამოცემისათვის ხელი მოეკიდნათ, ის გარემოება სულ სხვას გვიჩურჩულებს ყურში, სულ სხვას გვეუბნება, ცდილობს სულ სხვაში დაგვარწმუნოს. თქვენც იცით ეს გარემოება: ბეს. ლოლობერიძემ და ი. ჭავჭავაძემ მხოლოდ მაშინ გაივლეს გულში ახალი გაზეთის გამოცემა, როდესაც ძველმა, ე. ი. „დროებამ“ იმათ წინააღმდეგ სიტყვის თქმა გაბედა; მხოლოდ მაშინ, როდესაც „დროების“ ერთმა თანამშრომელთაგანმა გაბედა იმათ მოქმედებაზე ცოტაოდენ ეჭვის შემოტანა. ამ პირებმა წინადადება მისცეს „დროების“ ახლანდელ პატრონებს, რომ თუ აკ. წერეთელსა და ნიკო ნიკოლაძეს გამოაგდებთ რედაქციიდან და მათ ნაცვლად უფ. ბეს. ჯაფარიძესა და დ. ჩხოტუას მიიღებთ, მატერიალურ და სხვა ყოველ გვარ შემწეობას მოელოდეთ ჩვენგანაო, და თუ არა... თუ არა ჩვენ ახალს გაზეთს გამოცემთო. რომელიმე გაზეთი რომ ამისთანა გარემოებაში დაიბადება, როგორ არ შეგივა კაცს ტვინში ეჭვი, რომ ეს გაზეთი მიუდგომელი და „ლიტერატურის დროის მალაღამუკერი“ ვერ იქნება?.. ჩვენ ამას ვამბობთ, ამ ეჭვს ვაცხადებთ; მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ყველაზე პირველად და იქნება ყველაზე მომეტებულადაც ჩვენ გავციხარდება, თუ ეს ჩვენი ეჭვი ბოლოს არ გამართლდება და ჩვენი ახალი მოძმე-გაზეთი სწორს, პატიოსანს, საზოგადო სიკეთის გზას მტკიცედ, შეურყეველად, მხნეთ დაადგება“ (ს. მ—ს წერილი: „ახალი ქართული გაზეთი“: „დროება“ № 64, 1876 წ.).

68. (გვ. 140) 1876 წლის მარტში „დროების“ ახალი რედაქცია შესდგა: ნ. ნიკოლაძის, აკაკი წერეთლის, ი. ჭავჭავაძისა და ს. მესხის შემადგენლობით. მათ შორის დაიდვა ხელშეკრულება და განაწილდა ფუნქციები, შემუშავდა წესი თუ როგორ უნდა ეწარმოებიათ გაზეთი და როგორ გადაეწყვიტათ სადაო საკითხები. დედანი ამ ხელშეკრულებისა, რასაკვირველია არ გამოქვეყნებულა (იგი ინახება ს. მესხის არქივში), ხოლო ს. მესხის ხელმოწერით „დროებაში“ (№ 23) მსხვილი ასოებით დაიბეჭდა შემდეგი წერილი:

„ეს დღე შესანიშნავი იქნება ჩვენის გაზეთისათვის მითაც, რომ ამ ოთხის მარტიდამ 1876 წ. „დროებაში“ მიიღებენ განსაკუთრებითს მონაწილეობას ქვემო-ხსენებულნი პირნი, რომელნიც კისრულობენ როგორც ლიტერატურულს, აგრეთვე მატერიალურს წარმატებას გაზეთისას:

ნიკო ნიკოლაძე (ნ. სკანდელი)

აკაკი წერეთელი

და ილია ჭავჭავაძე.

ამათ გარდა ჩვენის გაზეთისათვის იშრომებენ ეხლანდელნი თანამშრომელნიცა“.

ს. მესხი.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს ახალი ცვლილება „დროების“ რედაქციაში დაკავშირებული იყო „დროების“ ათი წლის თავის შესრულებასთან, რომელიც ზეიმით გადაიხადენ 1876 წ. მარტის 4-ს (იხ. „დროება“ № 24). აღნიშნული რეორგანიზაცია გაზ. „დროებისა“ ხანგრძლივი ვერ გამოდგა და რამოდენიმე თვის შემდეგ დაიშალა საბანკო საკითხებზე შეტაკების გამო, პირველად რედაქციიდან გავიდა ი. ჭავჭავაძე, შემდეგ 1877 წელს ნ. ნიკოლაძეც.

69. (გვ. 141) დ. ჩხობუა თანამშრომელი იყო გაზ. „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“. 1876 წ. მას დაბრალდა ანდრეესკის ქალის მოკვლა და კატორღაში გაგზავნეს. იქიდან დაბრუნებული იგი საბჭოთა წყობილების დროს გარდაიცვალა.

70. (გვ. 141) ბეს. ჯაფარიძე (1850—77) — სტუდენტი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტისა, 1868—69 წლებში სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის, დააპატიმრეს, დაამწყვდიეს პეტრეპავლოვის ციხეში და 1869 წელს ჟანდარმთა შეფის განკარგულებით გაგზავნეს რაჭაში თავის სოფელში, სადაც იგი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. 1870-იან წლების დასაწყისში მოახერხა საზღვარგარეთ წასვლა და სწავლის გაგრძელება. იქიდან ხშირად გზავნიდა წერილებს გაზ. „დროებაში“ ბ. ჯ — ს ფსევდონიმით (მის

შესახებ იხ. ი-ის—ივ. მესხის — წერილი „ივერია“ № 44, 1877 წ.; „Деят. редвижения в России“ ტ. I, გვ. 102, 1928 წ.).

71. (გვ. 141) სტ. მელიქიშვილი — ძმა პროფ. პ. მელიქიშვილისა და ცოლის-ძმა პუბლიცისტ სერ. მესხისა — იყო „დროების“ ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და მისი გამომცემელი. მას საკუთარი სტამბაც ჰქონდა და გაზეთშიაც ლებულობდა მონაწილეობას. გარდ. 1886 წელს.

72. (გვ. 141) გ. წერეთელი — ერთ-ერთი დამაარსებელი „დროებისა“, მისი რედაქტორი 1866—69 წლებში და უახლოესი თანამშრომელი, აღნიშნულ ხანებში საზღვარგარეთ იმყოფებოდა სწავლის დასამთავრებლად. 1874—1877 წლებში იგი აღარ წერდა წერილებს გაზეთებში.

73. (გვ. 148) ნ. წერეთელი — დიდი ხნის განმავლობაში იყო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. მას ებრძოდა ახალი თაობის ინტელიგენცია. აკაკიმ მას 1867 წელს უძღვნა თავისი მეტად მკაცრი ლექსი „ჩემს მოგვარეს“.

74. (გვ. 148) გიორგი დოლობერიძე — ძმა ნიკო დოლობერიძისა, ქუთაისელი ვეჟილი და მოღვაწე. ს. მესხი მის შესახებ წერდა 1876 წელს:

„გიორგი დოლობერიძე უძველესი მოთავეა იმ ახალგაზრდა პარტიისა, რომელსაც იმერეთში „წვეროსნებს“ ეძახიან... შეხედვით 50 წლისა იქნება. ყირიმის ომის დროინდელი, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი“ („დროება“ № 51).

იგი მხურვალე მონაწილეობას ლებულობდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დაარსების საქმეში.

75. (გვ. 152) მაჭახელაძე იყო ფსევდონიმი ალექსანდრე ჭყონიასი (1855—1907 წ.). 1875 წელს მან დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი კანდიდატის ხარისხით, შემდეგ ორი წელიწადი დაჰყო პარიზში. საიდანაც წერილებს გზავნიდა „დროებაში“ ა. ჭ—ას და ა. მაჭახელაძის ფსევდონიმით. დაბრუნდა 1877 წელს და მონაწილეობას ლებულობდა საზოგადო საქმეებში; 1894—1905 წლების განმავლობაში იგი რედაქტორობდა ჟურნ. „მოამბეს“; მასვე ეკუთვნის ამ ჟურნალის სარედაქციო წერილი: „მოამბის“ პროგრამის გამო“ (№ 1, 1894 წ.). ჭყონიას აქვს „ისტორიული ნარკვევები“ გამოცემული და ნათარგმნი იტალიელ და სხვა მოგზაურთა ნაწერები (მის შესახებ იხ. „ძველი საქართველო“ ტ. I, გვ. 11—16, 1909 წ.).

კამათი მაჭახელაძესა და ნიკოლაძეს შორის გამოიწვია პირველის წერილმა. პირველად მაჭახელაძემ მოათავსა წერილი მომავალ „ივერიის“ გეგმების, პროგრამისა და თანამშრომლების შესახებ (იხ. წერილი: „დასაბადებელ დღეურას“, „დროება“ № 79, 1876 წ.). გაკვირვით მან აღნიშნა, რომ მას, „დროებაც“ ვერ აკმაყოფილებს. რედაქციის გამოწვევით, მაჭახელაძემ მეორე ვრცელი წერილი დაბეჭდა: „დროებაში“ „დროებასვე“ (იხ. № 96), რომელშიც უშთავრესად ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ მოღვაწეობას აკრიტიკებდა. მაჭახელაძის წერილებმა ცხარე კამათი გამოიწვია; მის წერილს მოყვა ნ. ნიკოლაძის წერილები (№ 97, 98); ს. მესხი ორივეს შეეკამათა ვრცელ წერილში: „ორთავეს“ (№ 99, 100); ამან გამოიწვია ნიკოლაძისა და ს. მესხისადმი მაჭახელაძის მეორე პასუხი: „უფ. ნიკოლაძეს“ (№ 2, 3. 1877 წ.) და უფ. ს. მესხს (№ 3, 1877 წ.). საპასუხოდ დაიბეჭდა ნიკოლაძის: „ცოტა კიდევ“ (№ 6, 1877 წ.). გარდა ამისა მაჭახელაძის წინააღმდეგ წერილი დასტამბა პროფ. ვ. პეტრიაშვილმა: „წერილი რედაქტორთან“ (№ 90, 1876 წ.), რასაც მოყვა ვრცელი პასუხი მაჭახელაძისა: „წერილი უფ. პეტრიაშვილთან“ (№ 107, 108, 1876 წ.). ეს კამათი მით იყო შესანიშნავი, რომ ეხებოდა გაზეთისა და ახალი თაობის მოვალეობასა და პროგრამას.

76. (გვ. 154) დ. მიქელაძე (1844—1918) „დროების“ უახლოესი თანამშრომელი იყო; წერდა მეველესა დ. ყულაშელის და დ. ზურაბიშვილის ფსევდონიმით. 90-იან წლების დასაწყისში რამოდენიმე წელი „ივერიის“ ფაქტიური რედაქტორი იყო.

77. (გვ. 154) „Тифлисский Вестник“-ი გამოდიოდა ტფილისში 1873—80 წლებში. იგი დაარსა და რედაქტორობდა კონ. ალ. ბებუთოვი. ნიკოლაძე ამ გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწეოდა 1873—77 წლებში. გაზეთი ლიბერალური მიმართულებისა იყო.

78. (გვ. 160) აქ ლაპარაკია ცნობილ სენატორი გ. კ. მუხრანსკის (1820—77) წიგნზე: „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“. დაიბეჭდა გაზ. „კავკაზის“ დამატებად 1872 წელს. წიგნაკი ხელმოუწერელი იყო, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ იგი მუხრანსკის ეკუთვნოდა. მას იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული, ბარიათინსკის დროს მეფის მოადგილის საბჭოს წევრი იყო. 1877 წელს, საზღვარგარეთ ყოფნის დროს, იგი აპირებდა ფრანგულად გამოეცა თავისი წიგნი მეორე ნაწილის დართვით, მაგრამ სიკვდილმა მოუხსწრო და განუხორციელებელი დარჩა. მუხრანსკი თავის წიგნში ამტკიცებდა, რომ ეპოქა პატარა ერების არსებობისა და განვითარე-

ბისა წავიდა, ახლა დაიწყო დიდი სახელმწიფოების ისტორიამ. მუხრანსკის თეორიით გამართლებული უნდა ყოფილიყო თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკა, არსებითად ეს წიგნაკი გამოხატავდა იმას, რომ ნაწილი მსხვილ ქართველ მემამულეებისა შეეხორცენ თვითმპყრობელობას და თავიანთ ხსნას გარუსებასა და ტახტის ერთგულებაში ხედავდნენ. მუხრანსკის წიგნმა, მიუხედავად ცენზურული პირობების სისასტიკისა, ცხარე პროტესტი გამოიწვია ჩვენ მწერლობაში; ლექსებში იგი დაჰგმო ი. ჯავახიანი და აკაკიმ; „დროებაში“ ს. მესხის ბიბლიოგრაფია დაიბეჭდა (იხ. მისი თხზულებანი, გვ. 96—102, 1904 წ.), ხოლო „კრებულში“ მ. პეტრიძემ (უმიკავილმა) გაილაშქრა მის წინააღმდეგ (იხ. „კრებული“ 1873 წ.).

79. (გვ. 161) ვას. პეტრიაშვილი (1843—1908 წ.) ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი და გამოჩენილი მეცნიერი. „დროების“ დაარსებისას იგი რამდენიმე წელიწადი თანამშრომლობდა ამ გაზეთში და ათავსებდა წერილებს და მოთხრობებს. წერილებიდან აღსანიშნავია: „ამ დროის ქართველები“ („დროება“ № 20, 21, 22, 23, 24, 1866 წ.); „რატომ ჩვენ მდგომარეობაზე არასა ვფიქრობთ?“ („დროება“ № 9, 11, 1867 წ.). სამეცნიერო ხარისხის მიღების შემდეგ (1870—1908 წ.) იშვიათად უბრუნდებოდა საგაზეთო წერილებს (იხ. ზევით 75 შენიშვნა). როდესაც „მომამბე“ დაარსდა (1894 წ.) მთელი რიგი სამეცნიერო ხასიათის წერილები მოათავსა შიგ რძეზე, ლეინოზე, მევენახეობაზე და სხვა. თანამშრომლობდა აგრეთვე ჟურნალ „მეურნეში“. 1907 წელს რამოდენიმე თვის განმავლობაში ოდესის უნივერსიტეტის რექტორადაც იყო, მაგრამ მინისტრის განკარგულებით გადააყენეს, რადგან მხურვალედ იცავდა მემარცხენე პროფესორებს (იხ. „განათლება“ № 7—8, 1908 წ.; გ. თუმანიშვილის წიგნი: „Характеристики“... ტ. I, გვ. 103—115, 1913 წ.).

ზემოდ დასახელებულ წერილში ვ. პეტრიაშვილი წერდა:

„... ხალხის ცხოვრებაში, მის ღღერძელობაში და კეთილდღეობაში დიდი ადგილი უჭირავს, სხვათა შორის, ეკონომიურს გარემოებას და მდგომარეობას; თუ ეს გარემოება ისეთია, რომ მას აძლევს ნებას ცოტაოდენი თავისუფალი დრო და ფული იქონიოს, ის მაშინ განათლებასაც მოინდომებს და სხვა ყოველგვარ წინ წაწევას... მაგრამ თვითონ ეს განათლება მატერიალურ მდგომარეობაზე დამოკიდებული და იქნება ორივენი მართალნი ვიყუვეთ, მაგრამ იმ გარჩევით, რომ მატერიალური მდგომარეობა მაინც და მაინც პირველი

და უპირველესია. მაშ იმ კაცების მოქმედება, რომლებსაც სამშობლოსათვის კეთილი ჰსურთ, და ყურადღება, უნდა იყოს მიქცეული იმ სწავლაზე, რომლებიც ამ გარემოების აღდგინებას ცოტათ თუ ბევრათ დაეხმარებიან. აი, ჩემო ბატონო, ბუნების გამოძიებას, ბუნებით მეცნიერობას, ქიმიას, ეს თუ სხვა, სადა აქვს დიდი და ვრცელი ზედმოქმედება“ („დროება“ № 90, 1876 წ.).

აქედან დაასკვნის პროფ. პეტრიაშვილი, მართალია მე სამშობლოდან შორს ვმუშაობ, მაგრამ ვმუშაობ ხალხისათვის, ჩემი შრომები და მეცნიერული დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნეს ხალხის ეკონომიური ცხოვრების აღდგენისათვის. ავტორს ღრმად სწამს, რომ „ხალხში საჭიროა მომკმედი პირი მართლა მუშა იყოს და არა მქადაგებელი; ამისთანა მდგომარეობაში საჭიროა მუშაკმა თავის მხრებზე წამოიკიდოს ის ტვირთი, რომელიც ხალხს ამძიმებს და უშლის წინ წასვლას, და არა მარტო ბრძანებასა სცემდეს; აქ უნდა მაგალითებით იმოქმედოს და არა დარიგებით — ჩემი აზრით, ვისაც ჰსურს ხალხი კეთილ გზაზე დააყენოს, უეჭველათ პირველათ თვითონ უნდა უჩვენოს როგორ შეიძლება ამ გზაზე სიარული“ (იქვე). პეტრიაშვილი ფიქრობს, რომ ხალხისათვის სამსახური ყველგან შეიძლება, ქართველი მეცნიერი არ არის სავალდებულო საქართველოში დაჯდეს, მას რუსეთშიაც შეუძლია მეცნიერულად მოამზადოს ხალხის დამხმარე ნამდვილი ძალები და არა ფუქსავატი მეოცნებე ინტელიგენტები. „დროების“ რედაქცია ცოტა სხვანაირად ფიქრობდა, — მისი აზრით ქართველი ინტელიგენციის მთავარი სარბიელი საქართველოში უნდა ყოფილიყო.

80. (გვ. 172) ანდრეევსკის ქალი, ბოროტგანზრახვის მიზნით, მტკვარში დაახრჩვეს. 1876 წლის ზაფხულზე. იგი იყო ვორონცოვის პირადი ექიმის ასული და ცოლის-და გ. შარვაშიძისა. მის მამას დიდძალი მამულები ჰქონდა შექმნილი საქართველოში. ამ ახალგაზრდა ქალის დახრჩობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საზოგადოებაში. საქმის წარმოება მთელი სამი წელიწადი სწარმოებდა. დაშნაშავედ დ. ჩხოტუა იცენეს და კატორღა მიუსაჯეს; თუმცა, მეორეს მხრივ, ხმა იყო დავარდნილი რომ იგი არაფერ შუაში იყო და სრულიად უდანაშაულო მსხვერპლი იყო (იხ. „Обзор“ № 56, 57, 58, 59, 60, 1878 წ.; აგრეთვე ა. სტეპანოვის წერილი: „Процес Чхотуа в Тифл. суд. палате“, „Обзор“ № 355, 56, 57, 58, 59, 60, 61, 63, 1879 წ.). ნიკოლაძე ჩხოტუას წინააღმდეგ ილაშქრებდა.

81. (გვ. 188) „ივერიის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1877 წ. მარტის 3-ს; მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ი. ჭავჭავაძე. „ივერია“ 1886 წლამდე ხან ორკვირეული, ხან თვიური და ხან სამთვიური ჟურნალის სახით გამოდიოდა. 1885 წელს, როდესაც მთავრობის განკარგულებით დაპატიმრეს გაზ. „დროება“, — „ივერია“ გადაკეთდა ყოველდღიურ გაზეთად და ასე გამოდიოდა 1906 წლამდე. 1903 წლიდან ი. ჭავჭავაძემ რედაქტორობა სხვას გადასცა და გაზეთს თავი დაანება. დიდი ხნის განმავლობაში „ივერია“ ერთადერთი ყოველდღიური გაზეთი იყო საქართველოში და მონოპოლიაც მისი რედაქტორის ხელთ იყო. „ივერია“ თავად-აზნაურული ლიბერალობის იდეოლოგიას გამოხატავდა.

82. (გვ. 201) „სასოფლო გაზეთის“ 1871—72 წლების ნომრებში ნიკოლაძის დაპირებული წერილები არ არის დაბეჭდილი. საფიქრებელია, რომ ცენზურამ არ გაუშვა ისინი.

83. (გვ. 223) კაცხის გლეხობის საქმემ დიდი აღშფოთება გამოიწვია „დროების“ რედაქციაში. იმ ხანებში (1873—74 წ.) მთელი რიგი წერილებისა დაიბეჭდა „დროებაში“ აბაშიძეთა საწინააღმდეგოდ და გლეხობის დასაცავად. „დროების“ თანამშრომელი პ. უმიკაშვილი წერდა:

„როგორ გგონია, ჩემო მკითხველო, ბატონყმობა გადავარდა, თუ კიდევ იმედია, რომ გლეხები ისევ ბატონებს დაუბრუნდნენ? ნუ თუ ამ კითხვაზე გაიცინებ და იტყვი: განა კიდევ ვისმე იმედი, ცრუ იმედი დარჩენიაო ძველი ცხოვრების დაბრუნებისა, ნუ თუ კიდევ ისეთი თვალაბმული კაცი იპოება ჩვენში, რომ იფიქროს, რუსეთის სახელმწიფოს ძველი წესების ცვლილების მიზეზი, ბატონყმობა, ისევ უნდა შემოვიდესო?.. რუსეთში კი არა გგონია, და საქართველოში თურმე ყოფილან. წაიკითხეთ კორესპონდენცია ს. კაცხიდან და ისე გვიპასუხე“ (პ—ძე: „დასაწყისია, თუ დასასრული“? „დროება“ № 44, 1873 წ.).

კაცხის გლეხობის შესახებ მთელი რიგი წერილებია მოთავსებული „დროებაში“ (იხ. წერილი მეთაურები: „კაცხის გლეხობის საქმე“ № 399, 400; მეველე: „ალივსო საწყაული“ № 401; Z: „წერილი ქუთაისიდან“ და სხვა). Z — უნდა იყოს აკაკის ფსევდონიმი; ავტორი არ იცავს გლეხობას და ამიტომ მან მკაცრი თავდასხმები განიცადა „დროების“ რედაქციისაგან (იხ. № 401). „დროებას“ აკაკის პასუხის პასუხი იმ ხანებში არ დაუბეჭდია. კაცხის გლეხების საქმე მემამულეთა და გლეხთა ბრძოლის ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს წარ-

მოადგენს რეფორმის შემდეგ პერიოდში. გლეხების ბრძოლა მოძალადე მემამულეების წინააღმდეგ მთელი ოცი წელიწადი გაგრძელდა. 1882 წლის „დროების“ მეთაურში ვკითხულობთ:

„იმ დროს, როდესაც ქუთაისის გუბერნიაში განუსაზღვრელის უფლებით განაგებდა ბ. ლევაშოვი, ორის თავადის აბაშიძის მოხერხებით, გუბერნიის საგლეხო სასამართლომ გადასწყვიტა, რომ ორასი გლეხი მცირე გადასახადის მძლეველი კაცის მონასტრის სასარგებლოდ და 1871 წელში განთავისუფლებულნი სახაზინოთ, უნდა მინიჭებოდათ დილიკაურის სოფლის თ. თ. აბაშიძეებს ყმებათ და მიროვის ჰოსრედნიკებს მისწერეს მათ მამულეებზე უსტავნის გრამოტების შედგენა. ეს გადაწყვეტილება ისე მოხდა, რომ გლეხებმა, სანამ მიროვის ჰოსრედნიკები არ მიადგენენ კარზე ვერა გაიგეს-რა. შეიტყვეს თუ არა, ძალაზე დადგნენ და განაცხადეს უარი უსტავნის გრამოტების შედგენაზე. ლევაშოვმა მოახდინა ჯეროვანი განკარგულება ძალის დატანებით უსტავნის გრამოტების შედგენისათვის. ბევრი მათრახები მოხვდა ზოგიერთ გლეხებს ზურგზე. მაგრამ მაინც დიდ უარზე იყვნენ დააპირეს ეკზეკუციის გაგზავნა ამ გლეხების სოფელში. მაგრამ ამ დროს შეიქმნა ლაპარაკი და წერა ადგილობრივ გაზეთებში ამ ტოკარევის მსგავს საქმეზე. განსაკუთრებით „დროებამ“ შექმნა ამ საქმის თაობაზე დიდი ლაპარაკი... კავკასიის მთავარ სამმართველომ ქუთაისის გუბერნსკის სუდის განჩინება დაარღვია და აბაშიძეებს გამოუტყადა, რომ თავისი კუთვნილება სუდის წესით ეძიათ. აი ახლა არის დანიშნული ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოში“ (მეთაური: „ერთი საყურადღებო საქმე“, „დროება“ № 193, 1882 წ.).

1889 წელს იგივე გლეხები აკაკი წერეთელს ეუბნებოდნენ:

„ჩვენ აბაშიძეების დროებითი ვალდებული გახლავართ. ეს თხუტმეტი წელიწადია დავიდარაბაში ვიყავით... ვჩიოდით... არ დაგვრჩენია შეუწუხებელი არაფერი სასამართლო, მაგრამ ყველგან გაგვამტყუნეს, ყველგან წავაგეთ და უსტავნი გრამოტაც შეგვიდგინეს... ჩვენ კიდევ ვიძალეთ, მაგრამ მისთანა თქვენს მტერს, რაც ჩვენ მოგვივიდა: კაცში ზოგი დაჰკერილია, ზოგი გადავცვივდით, შინ ცოლ-შვილი დაწიოკებული დაჰყვართ... ეკზეკუცია დგას ჩვენს სოფელში; წყალში

თუ გადავცვივდებით, თორემ მეტი გზა აღარა გვაქვს“ -
(აკაკი: „დაგვიანებული პასუხი“ „ივერია“, № 78, 1889 წ.).

ასეთი იყო კაცის გლეხობის მდგომარეობა და მათი ისტორია. საჭიროთ მიმანია აღინიშნოს, რომ აკაკის თავიდანვე, 1873—4 წლებში ურჩევია კაცის გლეხობისათვის დანებებოდნენ აბაშიძეებს, რადგან საქმე წაგებულაო და მშვიდობიანის გზით გამოეყიდათ თავი. „დროება“ თავის დროზე გაილაშქრა აკაკის ამ აზრის წინააღმდეგ და მას საპასუხო წერილი არ დაუბეჭდეს (დედანი ამ წერილისა ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში). პოეტმა თხუთმეტი წლის შემდეგ გასცა „დაგვიანებული პასუხი“ „ივერიაში“.

84. (გვ. 225) „სასოფლო გაზეთი“ გ. წერეთელმა დაარსა 1868 წელს. გაზეთი მიზნად ისახავდა დახმარებოდა გლეხობას სხვადასხვა რჩევა-დარიგებებით; გაზეთს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა გლეხების უზრუნველყოფა მიწით და მათი შეკავშირება. სასოფლო ბანკების დაარსებას გლეხობისათვის ერთი მთავარი ადგილი ეჭირა „სასოფლო გაზეთის“ პროგრამაში. 1873 წლიდან „გაზეთის“ რედაქტორობა პ. უმიკაშვილმა იკისრა.

85. (გვ. 231) „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“ დაარსდა 1850 წელს მ. ს. ვორონცოვის წინადადებით. მთავარი დანიშნულება ამ საზოგადოებისა იმაში გამოიხატებოდა, რომ ხელი უნდა შეეწყო ჩვენი მემამულეთა სოფლის მეურნეობის რაციონალურ საფუძვლებზე გადაყვანისათვის, გაეწელებია ტექნიკური კულტურები და ამით რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის დაემზადებია ნედლი მასალები. არსებითად ამაში გამოიხატებოდა რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის შინაარსი. ამ საზოგადოებამ 50-იან წლებში ერთგვარი გავლენა მოახდინა მსხვილ მემამულეებზე, რომელნიც ეწეოდნენ რაციონალურ მეურნეობას. მაგრამ თავისი სრული პროგრამის განხორციელებისათვის მას არ აღმოაჩნდა შესაფერისი ძალა და აპარატი (იხ. И. Иоселиани: „Обзор деятельности Кав. О-ва Сельск.-хозяйства за 50 лет“, 1901 წ.).

86. (გვ. 231) ვინაიდან ტექსტში აღნიშნულმა საზოგადოებამ ვერ გამოიღო შესაფერისი ნაყოფი, ვორონცოვმა იგი 1845 წლის ბოლოს დახურა და 1850 წელს დაარსა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება (იხ. კოლოდევის ქვევით დასახელებული წიგნი, გვ. 49—100, 1851 წ.).

87. (გვ. 231) ვორონცოვი რუსეთის ახლად აღორძინებულ კაპიტალის კოლონიალურ პოლიტიკას ატარებდა ა-კავკასიაში. ერთი მხრით, ის ცდილობდა პოლიტიკურად სავსებით დაეპყრო ა-კავკა-

სია და სრული სიმშვიდე დაემყარებია აქ, მეორე მხრით მისი ეკონომიური პოლიტიკა მიმართული იყო იქეთკენ, რომ ეს მხარე სრულ საექსპლოატაციო ობიექტად გადაექცია რუსეთის კაპიტალისათვის: სავაჭრო-საზღვაოსნო გზების გახსნა და რუსეთის ბაზრების დაკავშირება ადგილობრივ ბაზრებთან — გზას უხსნიდა რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ა-კავკასიაში; მეორე მხრივ, ხელისშეწყობა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის — საჭირო აუცილებელ ნედლ მასალას უმზადებდა რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებს. ამ ძირითად საფუძველზე იყო აგებული ვორონცოვის ეკონომიური პოლიტიკა.

88. (გვ. 232) წიგნი „Обзор действий наместника кав-го для развития сельского хозяйства с 1845 по 1850 год“. დაწერილი იყო ხ. ი. კოლოდევის მიერ და პირველად დაიბეჭდა „კავკაზში“, ცალკე წიგნად დაიბეჭდა ტფილისში 1851 წელს. საინტერესო ცნობას გვაწვდის ვორონცოვის ეკონომიური პოლიტიკის შესახებ.

89. (გვ. 239) „გუთნის დედა“ ცისკრის დამატების სახით გამოდიოდა 1861 წლიდან. მისი რედაქტორობა მინდობილი ჰქონდა ივ. კერესელიძეს. ეს „სოფლის მესახლკარეობისა და ვაჭრობის გაზეთი“ მემამულეთა ინტერესებს იცავდა, მათში ახალი სამეურნეო ფორმების განვითარებას ემსახურებოდა. 1873 წლიდან „გუთნის დედის“ რედაქტორად დაინიშნა ანტონ ფურცელაძე, რომელმაც ძირიანად შესცვალა მისი პროგრამა და გაზეთს ნაროდნიკული ელფერი მისცა. აქ დაიბეჭდა მისი საინტერესო წერილები: „მამულის საერთო მფლობელობა“ (იხ. „გუთნის დედა“ № 9, 10, 11, 1874 წ.), „ბანკების მნიშვნელობა“ (№ 9, 1875 წ.), „სასოფლო წერილები“ (№ 17, 1873 წ.) და სხვ. იგი დახურეს 1876 წ.

90. (გვ. 240) ვენის გამოფენის შესახებ ნ. ნიკოლაძეს რამოდენიმე წერილი აქვს მოთავსებული 1873 წ. ვაზ. „დროებაში“.

91. (გვ. 246) ვაზ. „Орда“-ი დიდ ყურადღებას აქცევდა გლეხთა მიწით უზრუნველყოფის საქმეს. განსაკუთრებული სიძლიერით იბრძოდა იგი გლეხთა ქონების ვალებში გაყიდვის წინააღმდეგ. ნიკოლაძის წერილები აღნიშნულ საკითხების შესახებ იხ. „ობზორი“ № 212, 226, 246, 314, 1878 წლისა.

92. (გვ. 257) ნ. ნიკოლაძის მიერ დასახელებული „დროების“ წერილები ხიზანთა საკითხის შესახებ დაიბეჭდა მეთაურებათ 1880 წ. № 60, 65, 87, 89-ში და ეკუთვნოდა ილ. ჭავჭავაძეს. იმ ხანებში „დროება“ და „ივერია“ გაერთიანებული იყო. ჭავჭავაძე ხიზნებს

თვლიდა მოიჯარადრებად. 1880 წელს ეს წერილები ავტორს დაუმთავრებელი დარჩა და ხიზნობის საკითხს დაუბრუნდა 1886 წელს „ივერიაში“ (იხ. მეთაურები № 105, 168, 169, 170, 173, 174, 175, 176, 178, 179, 181, 188, 189, 190, 191, 196, 197, 198. იხ. ტ. VIII გვ. 129—204; აგრეთვე „Юридическое обозрение“ № 164, 1884 წ.). ნიკოლაძის შეხედულება ხიზნებზე არსებითად განსხვავდება ი. ჭავჭავაძის შეხედულებისაგან.

93. (გვ. 265) ეს წიგნაკი რუსულად არის გამოსული და ზედმოწერილი აქვს ინიციალები М. Г. М. ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობებით, ეს ფსევდონიმი ეკუთვნის მიხ. გაბ. მამაცაშვილს. ეს პიროვნება ჩვენს ლიტერატურაში არ არის ცნობილი. გარდა ნიკოლაძის წერილში დასახელებულ წიგნაკებისა: „ქუთაისის ბანკის შესახებ“ და „ტფილისის ბანკის დანიშნულებაზე“, მას ეკუთვნის რამოდენიმე წერილი გაზ. „ტფილისის უწყებაში“: „Земельный кредит в Т. и К. губерниях“ („Тифл. В.“ № 60, 61, 62, 63, 1876 წ.) და „Народное образование в Закав. крае“ (იხ. № 125, 126, 131, 132, 138, 145, 149, 161, 167, 1876 წ.). დიმ. ყიფიანის არქივში ინახება მისი განსაკუთრებული აზრი ბანკის დაარსების შესახებ. მ. მამაცაშვილის წერილებს ატყვიან ერთგვარი ლიბერალურ-ბურჟუაზიული აზროვნების გავლენა; ბანკი მასაც სურდა თავად-აზნაურობის გადასარჩენად.

94. (გვ. 266) როგორც მე-13-ე შენიშვნაში აღვნიშნეთ, ბანკის დაარსების იდეა პირველად წამოაყენა დ. ყიფიანმა 1865 წ. ამის შემდეგ ბანკის დაარსების საკითხი განხილული იქნა თავად-აზნაურთა კრებებზე და ცალკე კომისიებში. თვით დიმიტრი ყიფიანს დასჭირდა რუსიტიდან ცნობილ ფინანსისტების მოწვევა და მათი აზრის გაცნობა. 70-იან წლების დასაწყისიდან ბანკის გარშემო ხშირად იწერებოდა წერილები გაზეთებში.

95. (გვ. 303.) აი რას წერდა ი. ყიფიანი ნიკოლაძის საბანკო პოლიტიკის შესახებ.

„მე არ ვამტკიცებ, რომ ბ. ლოლობერიძის უსტავი ისეთი რამ იყოს, რომ იმისი მსგავსი და უკეთესი სხვა არ დაწერილიყოს, მაგრამ ამას თამამად ვიტყვი, რომ ის უსტავი ჩვენთვის საგანგებო არის. მით მაინც რომ ეთანხმება სარგებლობას და ინტერესებს აზნაურობისას და დაფუძნებულია იმ ბანკის უსტავებზედ, რომელნიც დღეს რუსეთში კარგად მოქმედებენ. მკითხველო, მე ვარ გაცხარებული და დავიწყე მოედანზედ ქაქანი მისთვის, რომ ძლივს იმერეთს ეღირსა ბანკის დაბოლოება ბ. ლოლობერიძის შრომით და ეხლა, ნაცვ-

ლად შეწევნისა და კარგი რჩევებისა, ნ. სკანდელი და აკ. წერეთელი აძაგებენ უსტავს, რომლის ნაკლულევენებას კი არ გვიხსნიან, და ამით აზნაურობას აგდებენ უბრალო ფიქრებში და დარდში“ (იაკ. ყიფიანი: „თქვენც ბანკზე“ „მეც ბანკზე“ „დროება“ № 28, 1873 წ.)

96. (გვ. 305) ანტონ ლორთქიფანიძე (1847—94)—ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი იყო ლიბერალური ახალთაობისა. მან კურსი ოდესის უნივერსიტეტში დაასრულა. მხურვალე მონაწილეობას ლებულობდა ქუთაისის ქალაქის საქმეების მოწესრიგებაში და ებრძოდა იმ დროის გუბერნიის მართველის თვითნებობას. 70-იანი წლების დასაწყისიდანვე ის და მისი მეუღლე ელენე დიმიტრი ყიფიანის ასული მხურვალე მონაწილეობას ლებულობდნენ ქუთაისის თეატრის მოწყობის საქმეში. ბანკის საკითხში იგი გადაუდგა „დროების“ ჯგუფს და მიემხრო ქავჭავაძე-ლოლობერიძის ჯგუფს, ან როგორც „კვალი“ წერს: „დაიჭირა ძველი განათლებული თაობის მხარე და საკამათო ბრძოლაში ნიჭიერათ ეხმარებოდა თავის პარტიას“ (№ 45, გვ. 2, 1894 წ.). ანტ. ლორთქიფანიძის მოღვაწეობის ერთ საინტერესო მომენტად უნდა ჩაითვალოს მის მიერ 70-იანი წლების დასაწყისში სახალხო ბიბლიოთეკის დაარსება ქუთაისში (იხ. წერილი: „ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკა“—„დროება“ № 45, 1873 წ.). ამის შესახებ „კვალის“ მეთაურში ვკითხულობთ:

„ერთ საუკეთესო ნათელ ხანათ მისი საზოგადო მოღვაწეობისა უნდა აღინიშნოს ის დრო, როცა მან საკუთარი წიგნთსაცავი გამართა ქ. ქუთაისში და აღძრა ქუთაისის მოზარდ ახალგაზრდობაში კითხვისა და თვით-განვითარების სურვილი. წელს, 1899 წ. ანტონ ლორთქიფანიძემ ნაშთი თავის საჯარო ბიბლიოთეკისა შეწირა ქალაქ ქუთაისს, რომლის საქალაქო გამგეობამ მადლობა გამოუტყაბა შემწირველს, ისარგებლა იმ ბიბლიოთეკით და შეუდგა ამ ბოლო დროს უფრო ვრცელის საჯარო სამკითხველოს დაარსებას“. (იხ. წერილი: „ანტონ ლორთქიფანიძე“—„კვალი“ № 45, 1894 წ.).

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბიბლიოთეკით ძლიერ სარგებლობდა ქუთაისის ნაროდნიკთა პატარა წრე.

97. (გვ. 325) კირ. ლორთქიფანიძის აღნიშნული წერილი—„ქუთაისის ბანკის საქმე“ დაიბეჭდა 1873 წლის „დროების“ № 36-ში. კ. ლორთქიფანიძე (1839—1918) უახლოესი მეგობარი იყო ნ. ნიკოლაძისა და თანამშრომელი ვაზ. „დროებისა“. მისი რედაქტორობით „დროება“ გამოდიოდა რამოდენიმე ხნის განმავლობაში, როცა რედაქტორი ს. მესხი 1873—74 წლებში საზღვარგარედ იმყოფებოდა. იგი წერდა სხვადასხვა ფსევდონიმებით: თერგდალეული,

თომა კარგარეთელი, კილოკავაძე და სხვ. (აქვე ვასწორებ პირველი ტომის შენიშვნაში (გვ. 378) დაბეჭდილ შეცდომას: კ. წუთი ისოფლელი ფსევდონიმი მას არ ეკუთვნის).

98. (გვ. 327). „ეხლანდელ ქუთაისელ კრებას“... ლაპარაკია 1876 წლის აპრილში მოწვეულ ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურთა კრების შესახებ, რომელსაც უნდა გაერჩია ქუთაისის ბანკის წესდება და ამოერჩია ბანკის მართველობა. კრებას დასწრებია 1200 კაცი სხვადასხვა მაზრებიდან (იხ. მეკენჭეს — მესხის წერილები; „თავად-აზნაურთა საზოგადო კრება ქუთაისში—ბანკის საქმის თაობაზედ“ „დროება“ № 42, 45, 46, 48, 49, 50, 51 და სხვ. 1876 წ.). „წესდება მიხაილის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისის“ დაიბეჭდა 1876 წ. „დროებაში“ (იხ. № 1, 2, 3, 4, 15, 31, 32 და სხვ.).

99. (გვ. 342) „დროების“ ჯგუფმა ქუთაისის ბანკის გამგეობის კანდიდატებად დაასახელა: თავმჯდომარედ: ბესარიონ ლოლობერიძე; დირექტორებათ: ანტონ ღორთქიფანიძე და ბეს. ჯაფარიძე, ამათ კანდიდატებათ: პეტრე ნაკაშიძე, დიმიტრი დადიანი და დავით ღორთქიფანიძე; მეთაურ წერილში გახეთი აღნიშნავდა, რომ სხვა ამ „ბანკის საქმეს ვერავინ ვერ წაიყვანს ამჟამად ისე რიგიანად, ვერავინ ვერ შეასრულებს ამ მძიმე მოვალეობას ისე კარგათ, როგორც აღნიშნულნი პირნი“ (იხ. წერილი: „ქუთაისის ბანკის გამგეობა“ „დროება“ № 33; „ვინ ამოვირჩიოთ“, № 34, 1876). შემდეგში, როდესაც „დროების“ რედაქციაში განხეთქილება მოხდა და ილია ჭავჭავაძე და ნიკოლაძე დაეტაკენ ერთმანეთს, ბანკის საკითხის გამო, — „დროება“ აღნიშნულ კანდიდატების წინააღმდეგ წავიდა.

100. (გვ. 344) ილია ჭავჭავაძის წერილი — „ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“ დაბეჭდილია 1876 წლის „დროებაში“ (№ 39). მოგვყავს აქ ზოგიერთი ადგილი ი. ჭავჭავაძის წერილიდან:

„ეკონომიური საგანი კრედიტისა განსაკუთრებით ის არის, რომ იგი უსათუოდ უნდა მოიხმაროს კაცმა ეკონომიურის წარმოების წარმატებისათვის. კრედიტი მხოლოდ ამით შეიქნება ერთ იმ ეკონომიურ ღონეთ, რომლის მეოხე-ბითაც ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე მატულობს. მაშასადამე კრედიტი, წმინდა ეკონომიურის თვისების, იმისთანა რამ არის, რომლის ძალითაც ფული ერთის ხელიდან მეორეში გადადის მარტო იმ აზრით, რომ ეკონომიური წარმოება გააძლიეროს. მიწის-სამოქმედო კრედიტს

საგნად უნდა ჰქონდეს გააღლიერება მიწის-მოქმედებისა, ესე იგი, იმ წარმოებისა, რომელიც მიწისა და მიწის შემუშავებაზედ არის დამოკიდებული... თანდათან, გაუწყვეტლივ, ზედმიყოლებით და მკვიდრად ისე გააძლიეროს, წარმართოს, გააუმჯობესოს მიწის-მოქმედება, რომ ხანგრძლივად, განუწყვეტლად და თანდათან მოგება მატულობდეს, არ დაშრეს.. მაშასადამე, მიწის-სამოქმედო კრედიტს სამი უსათუო თვისება უნდა ჰქონდეს: 1) ხანგრძლივი იყოს, 2) ცოტ-ცოტაობით და თანდათან გადასახადი და 3) მიწით დაიმედებული“.

ჭავჭავაძე არ იწყნარებს ნიკოლაძის არც ერთ დებულებას და აღნიშნავს, რომ ბანკს საფუძვლად უნდა დაედვას თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი, რომ მას არ შეუძლია იზრუნოს ცალკე პირთა მამულის გაუყიდველობაზე და სხვა. იგი აკრიტიკებს ნიკოლაძის დებულებას, რომ ბანკმა არ გაყიდოს დავალიანებული მემამულის მიწები უცხოზე და ხელი შეუწყოს ამ მიწების გლეხობაზე გადაცემას, და წერს:

„ნიკოლაძე ამისათვის სასაცილო ღონის-ძებნას გვირჩევს, იმისთანა ღონისძიებას, რომ ადამიანის ეკონომიურსა და პირადს თავისუფლებას არღვევს და ვაჭრობის თავისუფალ კონკურენციას სპობს.. ნიკოლაძეს სურს, —ადამიანის ქონებითი უფლება და ეკონომიური აღებ-მიცემობის და ვაჭრობის პრინციპი ხელ-ვეხ შეკრული იყოს და შევიწროებული“.

(„დროება“ № 39. 1876 წ.)

ამ ამონაწერიდან მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ჭავჭავაძემ ბურჟუაზიული პრინციპი თავისუფალი ვაჭრობის კონკურენციისა შეაუღლა სასოფლო-სამეურნეო კრედიტსა და პოლიტიკასთან. ამ მხრივ ჭავჭავაძის მთელი პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ ბანკს ხელი შეეწყო სოფლის-მეურნეობის აყვავებისა და წარმატებისთვის, რომ მემამულეები გადაეყვანა ახალ რაციონალურ წარმოებაზე. ჭავჭავაძის საბანკო პოლიტიკა სავსებით შეწონილი იყო მის სასოფლო-სამეურნეო პროგრამასთან, რომლის არსებითი მხარე თავად-აზნაურულ აგრარულ კაპიტალიზმში გამოიხატებოდა.

101. (გვ. 367) ჩერნიშევსკის მიწის გამოყიდვის შესახებ მთელი რიგი წერილებისა ჰქონდა მოთავსებული თავის „სოვრემენიკში“, 1858—59 წლებში. 1858 წლის „სოვრემენიკში“ (№ 11) მას მოთავსებული აქვს წერილი შემდეგი სათაურით: „О необходимости держаться возможно умеренных цыфр при определении величины выкупа усадеб“, ხოლო 1859 წლისაში (№ 1):

„Труден ли выкуп?“ ამ უკანასკნელ წერილში ჩერნიშევსკი ვრცლად იხილავს მიწების გამოყიდვის სხვა და სხვა ვარიანტებს — 1) მარტო თვითონ გლეხების მიერ; 2) სახელმწიფოს დახმარებით, ან 3) მხოლოდ თვით სახელმწიფოს მიერ, — და წერს:

„Выкуп крепостных крестьян с землею не только по настоящему наделу, но и по наделу, значительно увеличенному до той меры, при которой он действительно удовлетворял бы потребностям их благосостояния,—такой выкуп вовсе дело не трудное;... надобно сказать: он дело очень легкое... Если весь он будет предоставлен исключительно силам крестьян, крестьяне с небольшим в 20 лет уплатят его, сами не замечая, что платят выкуп. Если правительство найдет возможным, чтобы государство помогло крестьянам, то пожертвованием всего только от 175 до 195 миллионов рублей он сократится до 13 лет... Наконец, если правительство захотело бы принять весь выкуп на себя, такое великодушие или, лучше сказать, такая благородная и вместе расчетливая решимость была бы соединена с увеличением государственных доходов, вследствие финансовых улучшений значительными суммами“... (Н. Чернышевский: „Полное собрание сочинений“. ტ. IV. გვ. 368, 1906 წ).

ჩერნიშევსკის ამ მოსაზრებებს ეყრდნობოდა თავის წერილებში ნიკოლაძე, იგივე აყენებდა მიწის საკითხში იმ პროგრამას, რომ თვით სახელმწიფოს გამოეყიდა მიწები და გადაეცა ისინი გლეხობისათვის, ან გამოყიდვის დროს გაეწია სახელმწიფოს დახმარება გლეხობისათვის, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩერნიშევსკი ბოლომდე არ გაჩერებულა ამ ბურჟუაზიულ აგრარულ პროგრამის საფუძვლებზე და ბოლოს მან მოითხოვა რევოლუციონური საშუალებით მიწების გადაცემა გლეხობაზე. რასაკვირველია, ნიკოლაძე ჩერნიშევსკის ამ რევოლუციონურ მეთოდს არ იზიარებდა და ამიტომ მას არც იხსენიებდა.

სიმონ ხუნდაძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

70-იანი წლების ბურჟუაზიული ინტელიგენციის პროგრამა
(სიმ. ხუნდაძის წერილი)

გვერდი:

VII-XXIV

I. ახალი ახალგაზდობა	1—193
1. ჩვენი ახალგაზდობა	3—18
2. საახალწლო	19—31
3. „კრებულის“ დანიშნულებაზე	32—51
4. ახალი ახალგაზდობა	52—76
5. „მნათობი“	77
6. „მნათობს“	78—93
7. ძველი მეგობარი ახალ კანში	94—98
8. „დროების“ გამოცემაზე ზომავალ 1871 წელს	99—100
9. რისთვის ვჩხუბობთ?	101—104
10. „მნათობის„ სიკვდილი	105—106
11. მშვიდობით, მშვიდობით!	107—110
12. გაკვრა-გამოკვრა	111—113
13. კალმის კაპრიზი	114—118
14. სოციალური მოძრაობანი	119—126
15. სალამი	127—131
16. ჩვენი ნაკლულევეანებანი	132—134
17. ვანა „საჭირო„ „უდროოა?“	135—138
18. პირველი ნაბიჯი ჩვენი ბანკირებისა	139—147
19. უმიზნო პარტიობა	148—151
20. უკაჟო მაჭახელას	152—168
21. საახალწლო გოდება	169—174
22. ცოტა კიდევ	175—182
23. გაფრთხილება	183—187
24. „ივერიის“ პირველი ნომერი	188—193
II. სასოფლო მეურნეობა და გლეხთა საკითხი	195—261
1. ამხანაგობის ძალა	197—205
2. რა გზით შეიძინება მიწა-წყალი?	206—220
3. მევენახეობის საქმე ჩვენში	221—222
4. ახირებული ამბავი	223—224
5. საგლეხო ბანკი და ჩვენი გლეხობა	225—226

6. კაცხის გლეხების საქმე	227—230
7. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება	231—240
8. სამიწადმოქმედო არტელები	241—245
9. გლეხთა ქონების გაყიდვა	246—249
10. საგლეხო საქმე	250—256
11. ხიზანთა საკითხი	257—261
III. საბანკო საკითხები	263—369
1. ბიბლიოგრაფია	265—268
2. ბანკის საქმე ჩვენში	269—282
3. საწყალი ბანკი	283—287
4. ქუთაისის ბანკი	288—291
5. იმერეთის ამბები	292—302
6. პასუხი იაჟინთე ყიფიანს	303—308
7. ბეს. ლოლობერიძის „ტიტინი“	309—321
8. ქუთაისის ბანკის გარშემო	322—325
9. ქუთაისის ბანკის საქმე	326—343
10. მრუდე გამოსარჩლება	244—359
11. ჩვენი საადგილ-მამულო კრედიტის მომავალი	360—359
IV. რედაქტორის შენიშვნები	371—417
1. ნიკო ნიკოლაძის ნაწერების ქრონოლოგია	373—377
2. შენიშვნები	377—417

321

126/98